მესამე საერთაშორისო კონფერენცია

საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი

ადამიანი და ეპოქა

თეზისები

ნოემბერი **1-3, 2024 November**

ABSTRACTS

OF THE THIRD INTERNATIONAL CONFERENCE

GEORGIA AND THE CAUCASUS – PAST, PRESENT, FUTURE

Person and Epoch

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი

მოხსენებათა თეზისები

Abstracts of Papers

Third International Scientific Conference

Georgia and the Caucasus – Past, Present, Future

ნოემბერი **1-3** November

თბილისი **2024** Tbilisi

სარჩევი / Table of Content

ირმა რატიანი / Irma Ratiani
„კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში
Literary reflections of "Caucasus" and "Caucasian" in Georgian Literature ---------- 2

ლედი ანთიძე / Ledi Antidze
ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები მულტიკულტურალიზმის ჭრილში და ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები
Shorthand Novels by Elene Bochorishvili in terms of multiculturalism
and Notable Concepts of Hybrid Literature ---------- 4

გონელი არახამია / Goneli Arakhamia
არსენ ბერი (XII ს.) როგორც ისტორიკოსი
Arsen the Monk (12th Century) as a Historian ----------7

მეჰმეთ ნადირ აჯეთ / Mehmet Nadır Acet
აფხაზეთის ომის მოვლენების ასახავა გაზეთ „მილლიეთის“ მიხედვით
The Abkhazian War as Depicted in the "Millieti" Newspaper ---------- 9

ნინა ბარნოვი / Nina Barnovi
ვიზუალური კოდების სემიოლოგიის შესახებ (უმბერტო ეკოს მიხედვით)
On the Semiotics of Visual Codes (According to Umberto Eco) ----------12

ეკა გეგეშიძე, ბაჰმან მოღიმი / Bahman Moghimi, Eka Gegeshidze
საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის ტრადიციული და ნეირო-მარკეტინგის კამპანიების შედარებითი ანალიზი: საქართველოს უნივერსიტეტის შემთხვევის კვლევა (თბილისი, საქართველო)
Comparative Analysis of Traditional and Neuro-Marketing Campaigns on International Student Enrollment: A Case Study of the University of Georgia, Tbilisi, Georgia ----------16

თინათინ ბერუაშვილი / Tinatin Beruashvili
„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ დევიდ მარშალ ლენგის თარგმანი
Translation of "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" by David Marshall Lang -------18

ლიანა ბითაძე / Liana Bitadze; დავით ჭითანავა / Davit Chitanava; შორენა ლალიაშვილი / Shorena Laliashvili; რამაზ შენგელია / Ramaz Shengelia
გვარ-სახელების პოლიმორფიზმი და მოსახლეობის მორფოლოგიური და გენეტიკური შემადგენლობა / Polymorphism of Surnames and Morphological and Genetic Composition of the Population ---------- 21

ლიანა ბითაძე / Liana Bitadze; ანახიტ ხუდოვერდიანი / Anahit Khudoverdyan; შორენა ლალიაშვილი / Shorena Laliashvili, მარინე ჭკადუა / Marine Chkadua; პიერა ალეგრა რასია / Piera Allegra Rasia; ელენა როვა / Elena Rova; ფრანჩესკა ბერტოლდი / Francesca Bertoldi
სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის პალეოდემოგრაფია შედარებით ასპექტში
Paleodemography of the Late Bronze-Early Iron Age Populations of the Southern Caucasus in a Comparative Study ----------25

ნანა ბურჭულაძე / Nana Burtchuladze
ასურელ მამათა გამოსახულებები ანანურის კედლის მხატვრობაში
Images of Assyrian Fathers in the Wall Paintings of Ananuri ----------29

მზია ბუსკივაძე / Mzisa Buskivadze
„ახალი დროის“ „ახალი ადამიანები“ თურქი ავტორების აჰმედ ჰამდი თანფინარისა და ოღუზ ათაის რომანებში („სიმშვიდე“ და „ხელმოცარულები“)
“New People” of the “New Time” in the Novels by Ahmet Hamdi Tanpinar and Oguz Atay (“A Mind at Peace” and “The Disconnected”) ----------33

ლევან გელაშვილი / Levan Gelashvili
ქართული ავანგარდიზმის კინოასპექტები
Cinematic Aspects of Georgian Avant-garde ----------36

ნანა გელაშვილი / Nana Gelashvili
XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის მირ თემურ მარაშის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის
For the Interpretation of One Piece of Information from the 17th century Iranian Historian – Mir Temur Marashi ----------37

მარიამ გველესიანი / Mariam Gvelesiani
სახელისუფლო ძალაუფლების ამსახველი სასანური მოტივების იკონოგრაფიული ძიებანი ქართულ ხელოვნებაში
Iconographic Research of Sasanian Motifs of Supreme Authority in Georgian Art ------40

ქეთევან გონგაძე / Ketevan Gongadze
პალეოლოგოსური მხატვრულ-იკონოგრაფიული მოტივები ლატალის მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიაში
Palaeologan Artistic-Iconographic Motifs of the Matskshkvarishi Archangels Church in Latali ---------- 43

დეა გუნია / Dea Gunia
კუმურდოს კათედრალის მიმდინარე რესტავრაციის საკითხისათვის
Regarding the Ongoing Restoration of the Kumurdo Cathedral ----------46

მანუჩარ გუნცაძე / Manuchar Guntsadze
ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დროშის საკითხისათვის
For the issue of the flag of the Transcaucasian Democratic Federative Republic ----------50

ნინო დავითაია / Nino Davitaia, რუსუდან რუხაძე / Rusudan Rukhadze
საპენსიო სააგენტო საქართველოში – შედეგები და გამოწვევები
Pension Reform in Georgia – Main Results and Challenges ---------- 52

ლალი დათაშვილი / Lali Datashvili
სამყაროს სხვაგვარი ბრუნვა (ელიფ შაფაქი, „სიყვარულის ორმოცი წესი“)
The different rotation of the world (Elif Shafak, "The Forty Rules of Love") ----------55

ქეთევან დათუკიშვილი / Ketevan Datukishvili; ნანა ლოლაძე / Nana Loladze; მერაბ ზაკალაშვილი / Merab Zakalashvili
ქართული ენის ლინგვისტური მოდელი სიტყვაფორმათა სინთეზისა და ანალიზისთვის
The Linguistic Model of the Georgian Language for the Synthesis and Analysis of Word Forms ---------- 58

ნინო დათუნაშვილი / Nino Datunashvili, მამუკა ქაფიანიძე / Mamuka Kapianidze
ქართველ მეფეთა კოსტიუმი (ისტორია, ტიპოლოგია)
The Costumes of Georgian Kings (History, Typology) ----------62

ფარშიდ დელშადი / Farshid Delshad
ირანული გეორგიკა
Irano-Georgica ----------66

მარიამ დიდებულიძე / Mariam Didebulidze
ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სათავეებთან
At the Origins of Georgian Art History ---------- 68

ქეთევან დიღმელაშვილი / Ketevan Dighmelashvili
აღნას მოსახსენიებელი კრამიტები ბებრისციხისა და სამთავისის ტაძრიდან როგორც ისტორიული წყარო
The Tiles with the Inscriptions of Aghna from Bebristsikhe Castle and the Samtavisi Cathedral as the Historical Source ----------70

შალვა დუნდუა / Shalva Dundua
მშობელთა ჩართულობის ჰუვერ-დემპსისა და სენდლერის მოდელი და მისი გავლენა სკოლის განვითარებაზე
Hoover-Dempsey and Sandler Model of Parental Involvement and its Implications for School Improvement ---------- 72

ომიკო ეჯიბია / Omiko Ejibia
სიტყვების – „ტერორიზმი“ და „ტერორისტი“ – არასწორი მიმართებებისა და გამოყენების შესახებ თანამედროვე მსოფლიოში – მიზეზები და მიზნები (მაგალითები მსოფლიოდან და საქართველოდან)
About the Incorrect Relations and Usage of the Words "Terrorism" and "Terrorist" in the Modern World – Reasons and Goals (examples from the entire world and Georgia) ----74

დავით ზედელაშვილი / Davit Zedelashvili
მოდერნული კონსტიტუციური ერი-სახელმწიფოს საჭიროება საქართველოსთვის და მისი სოციალური საფუძვლები ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ ტექსტებში (1918-1921)
The Need for a Modern Constitutional State in Georgia and Its Social Foundations in Noe Zhordania's Political Texts (1918-1921) ----------77

მანანა თანდაშვილი / Manana Tandashvili
ქართული ენა მეცნიერების ახალი პარადიგმის კონტექსტში (ენათა ახალი კლასიფიკაცია და ქართული ენის თანამედროვე სტატუსი)
Georgian Language in the Context of the New Paradigm of Science (New Classification of Languages and Modern Status of the Georgian Language) ----------79

თეონა თავდიშვილი / Teona Tavdishvili
სიტყვიერი (Word of Mouth) და ინფლუენსერების მარკეტინგი ქართულ კომპანიებში
Word of Mouth and Influencer Marketing in Georgian Companies ---------- 83

თეა თვალავაძე / Tea Tvalavadze
გალაკტიონ ტაბიძის წიგნებზე მინაწერების ტექსტოლოგიური კვლევები
Textological Research of Galaktion Tabidze's Notes on Books ----------86

გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა დათარიღება გრაფემათა ბმების მიხედვით Dating Galaktion Tabidze's Manuscripts Based on Graphematic Links ---------- 89

შოთა თვალაძე / Shota Tvaladze
„ქართლის/ქართველთა ცხოვრების“ მცხეთური რედაქციის აღწერილობა
Description of the Mtskheta Version of "The Life of Kartli/Georgians" ---------- 92

ქეთევან კაკიტელაშვილი / Ketevan Kakitelashvili
გასაბჭოება და ებრაული იდენტობის მოდელის ცვლილება საქართველოში 1920-იან წლებში
Sovietization and the Shift in the Jewish Identity model in Georgia in the 1920s ---------- 95

ირაკლი კალანდია / Irakli Kalandia
გულბაათ ჭავჭავაძე – პოეტებისა და მხატვრების მუზა
Gulbaat Chavchavadze – Muse of Poets and Artists ---------- 99

დალი კანდელაკი / Dali Kandelaki
ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული წიგნი: მე-19 საუკუნის კავკასიური ომის ისტორიები
Ekaterina Lachinova's Forbidden Book: Stories of the Caucasian War
of the 19th Century ---------- 101

ბექა კაციტაძე / Beka Katsitadze
საქართველოს მოსახლეობის ღირებულებები და არჩევანი კრიტიკული პოპულარული გეოპოლიტიკური თეორიის კონტექსტში
The Values and Choice of the Georgian Population in the Context of
Critical Popular Geopolitical Theory ----------103

ნინო კვირიკაძე / Nino Kvirikadze
თომას მანის მოთხრობის „სასაფლაოს გზა“ სათაურის სემანტიკისათვის / On the Semantics of the Title of Thomas Mann's Story "The Path to the Cemetery" ---------- 106

ცირა კილანავა / Tsira Kilanava
კავკასიის ლიტერატურული განსახოვნების მოდელები:
მე-19 საუკუნის ქართული და რუსული პერსპექტივები / Models of Literary Representation of the Caucasus: Georgian and Russian Perspectives
of the 19th Century ----------109

მარიამ კორინთელი / Mariam Korinteli
კავკასია და ჩეჩნეთის პირველი ომი ნინო ხარატიშვილის რომანში „კატა და გენერალი“
The Caucasus and the First Chechen War in Nino Haratischwili's Novel "The Cat and the General" ---------- 112

დათო კუჭაშვილი / Dato Kutchashvili
ღვინის და ალკოჰოლური სასმელების სექტორი საქართველოში
Wine and Alcoholic Beverages Sector in Georgia ---------- 114

ლალი ლაზარაშვილი / Lali Lazarashvili
საკორპორაციო სამართლის განვითარება საქართველოში – წარსული, აწმყო, მომავლის პერსპექტივები
Development of Corporate Law in Georgia – Past, Present, Future Perspectives ------117

თამარ ლეკიაშვილი / Tamar Lekiashvili
ქალთა საკითხი დიმიტრი ჯანაშვილის პუბლიცისტიკაში
The Women's Issue in Dimitri Janashvili's Journalism ----------119

გივი ლემონჯავა / Givi Lemonjava
ბიზნესის შეფასების მოდელირება
Business Valuation Modeling ---------- 121

კოტე ლომიძე / Kote Lomidze
სოციალური დეიქსისის ერთი ნიმუში „ვეფხისტყაოსანში“
One Example of Social Deixis in *The Man in the Panther's Skin* ---------- 125

ერმინე მაღრაძე / Ermine Magradze
ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების მდ. ყვირილას ზემო წელის ბრინჯაოს მეტალურგიის შესახებ
Bronze Metallurgy in the Upper Basin of the Qvirila River in the 8th-7th Centuries BC ---128

ტრისტან მაჭარაშვილი / Tristan Macharashvili
შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება (კვება)
Everyday Life in Medieval Georgian Society (Food) ----------130

მარინე მახათაძე / Marine Makhatadze; მანანა რუსეიშვილი / Manana Ruseishvili
ეკოლექსიკოგრაფია როგორც ახალი პარადიგმა გარემოსთან დაკავშირებული ტერმინების ასახვისათვის ქართულ-ინგლისურ თემატურ ლექსიკონში
Ecolexicography as a New Paradigm for Representing Environmental Terms in Georgian-English Thematic Dictionary ----------133

ივანე მენთეშაშვილი / Ivane Menteshashvili
თომას კარლაილი და მისი მეფე-გმირი
Thomas Carlyle and his Hero-King ---------- 137

დავით მერკვილაძე / Davit Merkviladze
ტყვეებით ვაჭრობის ადგილები მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოში უცხოელ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით
Places of Slave Trade in 17th Century Western Georgia Based on Foreign Authors' Accounts
---------- 139

ირინე მოდებაძე / Irina Modebadze; თამარ ციციშვილი / Tamar Tsitsishvili
ალექსანდრე ხახანაშვილი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე
Aleksandre Khakhanashvili on the History of Ancient Georgian Literature ----------142

ნანა მრევლიშვილი / Nana Mrevlishvili
„შუშანიკის წამების“ ვრცელი ქართული რედაქციის საკითხისათვის
On the Issue of the Extensive Georgian Redaction of "The Martyrdom of Saint Queen Shushanik"
---------- 146

საიდ მულიანი / Saeid Muliani
ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში
Vocabulary Denoting Kinship in the Fereydanian Dialect of the Georgian Language ----------150

ირინა ნოზაძე / Irina Nozadze
“Obabakoak” – ბერნარდო ატხაგას ფანტასმაგორიული სამყარო
“Obabakoak” – Phantasmagoric World of Bernardo Atxaga ---------- 152

გულ მუქერემ ოზთურქი / Gül Mükerrem Özturk
ქართული ლექსიკოლოგიის მიმოხილვა
An Overview of Georgian Lexicology ----------156

ეკა ორაგველიძე / Eka Oragvelidze
ნესტან-დარეჯანი, ბეატრიჩე, „ზუბოვკა“ და „სულიკო“ – დაკარგული სატრფოს მხატვრული განსახოვნების პრინციპები
Nestan-Darejani, Beatrice, “Zubovka” and “Suliko” – The Principles of Artistic Representation of the Lost Lover ----------159

ქეთევან რამიშვილი / Ketevan Ramishvili; ელენე გიუნაშვილი / Helen Giunashvili
საქართველოს სასანური გლიპტიკა: შესწავლის ისტორია და თანამედროვე კვლევის საკითხები / Sasanian Glyptics of Georgia: Study History and Current Research Issues ---------162

ნესტან რატიანი / Nestan Ratiani
დაღვარკნილი, გალურსული და ჩახარშული გველი (გურამ ოდიშარიას რომანის – „სოხუმში დაბრუნება“ – მიხედვით
The Twisted, Coiled, and Boiled Snake (Based on Guram Odisharia's novel "Return to Sokhumi")
---------- 165

მანანა სანაძე / Manana Sanadze, ანდრო გოგოლაძე / Andro Gogoladze
„ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფის – „შიშუელმართალთათვს და ქუეყნისა საზომისათვს“ – გეოგრაფიული სურათი
Apocryphal Writings in "*Life of Kartli*": *History of Gymnosophists* and
Geographical Image of the World ---------- 168

მარი სიმონიშვილი / Mari Simonishvili
გივი მარგველაშვილის „მუცალი“ – პოსტმოდერნული გააზრებისთვის
Postmodern Perspectives on Givi Margvelashvili's "Mutsali" ----------172

ჰაიატე სოტომე / Hayate Sotome
ფსიქოლოგიური ტრავმა და სტრესული აშლილობა აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“
Psychological Trauma and Stress Disorders in Aka Morchiladze's
"Journey to Karabakh" ---------- 174

ნათია სურმანიძე / Natia Surmanidze; ქეთევან ცხადაძე / Keti Tskhadadze; რევაზ ლაზარიაშვილი / Revaz Lazariashvili
ტრანსფორმაციული ლიდერობის როლი და გამოწვევები საკვანძო ორგანიზაციულ დისციპლინებში 21-ე საუკუნის სამუშაო გარემოში
The Role and Challenges of Transformational Leadership in Key Organizational Disciplines
in the 21st Century Working Environment ----------177

სალომე სუხიაშვილი / Salome Sukhishvili
ტყუილის როლი და ფუნქცია ქართულ და ჩრდილოკავკასიურ საყოფიერო ზღაპრებში
The Role and Function of Lying in Georgian and North Caucasian Everyday Fairy Tales
---------- 181

დათო ტაბახმელაშვილი / Dato Tabakhmelashvili
1789 წელს ყარსის ბრძოლაში დაღუპული ბებურიშვილების ისტორიისათვის
Discovering the Beburishvili Brothers: A Study of Their Identity and Sacrifice
in the 1789 Battle of Kars ----------184

ნანა ტრაპაიძე / Nana Trapaidze
ისტორიული პოლიტიკა და ლიტერატურული ნარატივები
Historical Politics and Literary Narratives ---------- 187

ლალი ფირცხალავა / Lali Phirtskhalava
დრეიფუსის საქმე და მისი გავლენა მსოფლიო ისტორიაზე
The Dreyfus Affair and its Influence on World History ---------- 190

სოფიო ქადაგიშვილი / Sophio Kadagishvili
ეთნიკურობის კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში
Research on Ethnicity in Georgian Historiography ---------- 193

ნინო ქართველიშვილი / Nino Kartvelishvili
გენდერული თანასწორობა და ქალები მენეჯერულ პოზიციაზე
Gender Equality and Women in Managerial Positions ---------- 195

სალომე ქასაბიშვილი / Salome Kasabishvili
ადამიანი და მემკვიდრეობის დაცვა: შიდა ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მზადყოფნა საგანგებო სიტუაციების დროს
Human and Heritage Protection: Preparedness of Local Lore Museums of Shida Kartli During Emergency Situations ----------198

თამარ ქორიძე / Tamar Koridze
აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგისა და ზეობის დაზუსტებისათვის XVII საუკუნის 50-იანი წლები)
Clarifying the Chronology and Authority of the Catholicos of Abkhazia (Western Georgia) in the 1650s ----------202

ხათუნა ქოქრაშვილი / Khatuna Kokrashvili
საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი საქართველოში
The Museum of Ecclesiastical Antiquities in Georgia ---------- 205

ქეთევან ქუთათელაძე / Ketevan Kutateladze
სასაზღვრო დავები
Border Dissensions ----------209

ია ღადუა / Ia Ghadua
როგორ იქცა რაფიელ ერისთავის იუბილე სახალხო ზეიმად
How Raphiel Eristavi's Anniverasry Transformed into a Public Celebration ---------- 213

მარიამ ყამარაული / Mariam Kamarauli
თანამედროვე ქართული ენა და დეტერმინაციული ფრაზის (DP) ჰიპოთეზა
The Modern Georgian Language and the DP-Hypothesis ---------- 216

ამინ ყეზელბაშანი / Amin Ghezelbashan
ხუზისტანის ქართველ დიდებულთა ადგილი ირანის ისტორიაში
The Place of the Georgian Nobles of Khuzestan in the History of Iran ---------- 221

ნანა შავთვალაძე / Nana Shavtvaladze
ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ბ2 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა Requirements and Description for the B2 Level of Teaching Georgian as a Foreign Language ---------- 224

თეონა შავლოხაშვილი / Teona Shavlokhashvili
აბუხალოს სკიტე (გამოქვაბულების კომპლექსი)
Scythe of Abukhalo (Complex of Caves) ----------227

ეგნატე შამუგია / Egnate Shamugia
სამი ათწლეული: ინსტიტუტების განვითარება
Three Decades: The Development of Institutions ---------- 230

ხათუნა ჩაფიჩაძე / Khatuna Chapichadze
რუსული მიგრაცია საქართველოში – პროექტი „ახალი ნოვოროსია“ საკითხისათვის
Russian Migration to Georgia – For the Issue of the New Novorossiya Project ---------- 232

ეკა ჩიკვაიძე / Eka Chikvaidze
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ VI საუკუნის ქართლი და ტექსტთან დაკავშირებული პრობლემატიკა
"Martyrdom of St. Eustathius Mtskheteli" 6th century Kartli and text-related problems ---- 235

ცირა ჩიკვაიძე / Tsira Chikvaidze
აშშ საჯარო კანონი 86-90
US Public Law 86-90 ---------- 239

ნინო ჩიქოვანი / Nino Chikovani
გმირები და ანტიგმირები „ახალი მეხსიერების“ კონსტრუირების პროცესში
Heroes and Anti-heroes in the Process of Constructing a "New Memory" ----------242

ნინო ჩიხლაძე / Nino Chikhladze
XX საუკუნის 70-80-იანი წლების „შუშანიკის წამების“ ვიზუალიზაციის მხატვრულ-ისტორიული კონტექსტი
Artistic and Historical Context of the Visualization of "The Martyrdom of Saint Queen Shushanik" in the 1970s-80s ---------- 245

ნარი ჩხაბერიძე / Nari Chkhaberidze
გნოსეოლოგიის სიკეთესთან მიმართების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ასპექტები
Theological and Philosophical Aspects of Relations between Gnoseology and Kindness ---------- 248

თამარ ცაგარელი / Tamar Tsagareli
ტრაგედიის ჟანრის განსაზღვრა ანტიკურ ეპოქასა და 21-ე საუკუნეში
Evaluation of the Genre of Tragedy in the Ancient Era and the 21st Century ----------251

მაია ცერცვაძე / Maia Tsertsvadze
1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის – დიმიტრი ბატონიშვილის წერილები თამარ ბატონიშვილისადმი
For the Study of the Conspiracy of 1832 – Prince Royal Dimitri's Letters to Princess Royal Tamar ---------- 253

რუსუდან ციცქიშვილი / Rusudan Tsitskishvili
დასაქმებულთა მოტივაციის კავშირი ინტერპერსონალური ურთიერთობების მახასიათებლებთან
The Relationship Between Employee Motivation and Characteristics of Interpersonal Relations ---------- 256

აკაკი ცომაია / Akaki Tsomaia
ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ეკონომიკური გავლენა საქართველოზე
The Economic Impact of Georgia's Integration into the Euro-Atlantic Community --------260

ივანე წერეთელი / Ivane Tsereteli
გმირი თუ ანტიგმირი: XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ლიდერები თანამედროვე ტექსტებში
Hero or Antihero: 1990s Georgian Political Leaders in Modern Texts ---------- 264

ალექსანდრე ჭულუხაძე / Alexander Chulukhadze
იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების" უცხო ლექსიკა
The Foreign Vocabulary of "The Martyrdom of Saint Queen Shushanik" by Iakob Khutsesi ---------- 266

დოდო ჭუმბურიძე / Dodo Chumburidze
ისტორიის აქტივაციის პროცესი თერგდალეულთა ნაციონალური პროექტის კონტექსტში და ილია ჭყონიას საისტორიოგრაფიო მოღვაწეობა
Activating History: The National Project 'Tergdaleuli' and Ilia Chkonia's Historiographic Contributions ---------- 269

ნინო ხუნდაძე / Nino Khundadze
გიგო გაბაშვილი – ხელოვნების თეორეტიკოსი – მხატვრის იდეები და ნამუშევრები (გ. გაბაშვილის უცნობი წერილების/სწავლებების მიხედვით)
Gigo Gabashvili as an Art Theorist – The Artist's Ideas and Works (according to the unknown letters/teachings of Gigo Gabashvili) ----------273

ნანა ჯანაშია / Nana Janashia
ცენზურა და კავკასიურენოვანი გაზეთების დევნა ცარიზმისდროინდელ კავკასიაში
Censorship and persecution of Caucasian-language newspapers in the Caucasus during the Tsarist period ---------- 275

თინათინ ჯიქურაშვილი / Tinatin Jikurashvili
შუა საუკუნეების ქართული თეორიული გრამატიკა
Medieval Georgian Theoretical Grammar ---------- 277

ია ჯიჭონაია / Ia Jichonaia
„ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა ცნობები საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ
Chronicles of "Kartlis Tskhvreba" on the Political Relations Between Georgia-North Caucasus Countries ----------279

გიორგი ჯღარკავა / Giorgi Jgharkava
„ბედის“ კონცეპტი ქართველურ ენათა პარემიებში
The Concept of “Fate” in Kartvelian Paroemias ---------- 281

რაფიელ ერისთავი – 200 – Raphiel Eristavi

ნინო აბაკელია / Nino Abakelia
რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი და კულტურის კულტივატორი მე-19 საუკუნის ქართულ ერთიან სააზროვნო და წარმოსახვით სივრცეში / Raphiel Eristavi as an Ethnographer and Culture Cultivator in the 19th century Georgian Common Thinking and Imagined Space ----------284

ირინე აბესაძე / Irine Abesadze
ფრაგმენტები XIX ს. 80-იანი წლების სამხატვრო ცხოვრებიდან
Title Fragments from the Artistic Life of the 80s of the 19th century ----------290

ნოდარ არონიშიძე / Nodar Aronishidze
ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია
Church of the Virgin in Bodorna ---------- 293

ლევან ბებურიშვილი / Levan Beburishvili
რაფიელ ერისთავი და ქართველი სამოციანელები
Raphiel Eristavi and Georgian “samotsianelebi” (Representatives of Sixties) --------- 296

თამარ ბელაშვილი / Tamar Belashvili
მიხაი ზიჩის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის „ვეფხისტყაოსანი“
Mihály Zichy's Illustrations for Shota Rustaveli's Poem "The Knight in the Panther's Skin" ---------- 298

ციური ბერიძე / Tsiuri Beridze
იოზეფ რატილის ისტორიული ღვაწლი ქართული მუსიკალური კულტურისა და ქართველი ერის განათლების საქმეში
Historical Honours of Joseph Ratil Instead of Georgian Culture and in the Musical Knowledge of Georgian People ---------- 301

ირმა დოლიძე / Irma Dolidze
სათეატრო არქიტექტურა მე-19 საუკუნის საქართველოში
Theatrical Architecture in 19th Century Georgia ---------- 305

იამზე ვაშაკიძე / Iamze Vashakidze
რაფიელ ერისთავი ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის შესახებ / Raphiel Eristavi About the Vocabulary and Style of the Georgian Literary Language ----------309

ანა ვირსედა დი ანდრესი / Virseda de Andres
სახლ-მუზეუმების როლი თანამედროვე კულტურულ ტურიზმში – ახალი თაობის დაინტერესება
Engaging New Generations: The Role of House Museums in Contemporary Cultural Tourism ---------- 311

თათია თევდორაშვილი / Tatia Tevdorashvili
მხატვრული პროცესები მე-19 საუკუნის საქართველოში
Artistic Processes in 19th Century Georgia ---------- 313

ეკა კაჭარავა / Eka Kacharava
„ცოცხალი სურათების“ (Tableaux Vivants) საწყისებთან
On the Origins of 'Living Pictures' – 'Tableaux Vivants' ---------- 316

ირმა კვაშილავა / Irma Kvashilava
რაფიელ ერისთავი და ხალხური ტრადიციები
Raphiel Eristavi and Folk Traditions ---------- 320

ეკატერინე კვაჭატაძე / Ekaterine Kvachatadze
ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია
Art History and Heritage Preservation Ananuri - the Residence of the Dukes of Aragvi ---------- 323

მაია კიკნაძე / Maia Kiknadze
რაფიელ ერისთავი და ქართული თეატრი
Raphiel Eristavi and the Georgian Theatre ---------- 326

ესმა კუნჭულია / Esma Kunchulia
და-ძმა ერისთავები და პირველი ქართული სამზარეულო წიგნი
Siblings Eristhavi and the First Georgian Cookbook ---------- 329

ნანა კუპრაძე / Nana Kupradze
გავლენის ინტერპრეტაცია ორი მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების მაგალითზე (რაფიელ ერისთავი და ვაჟა ფშაველა)
Interpretation of Influence on the Example of the Creative Life of Two Writers (Raphiel Eristavi and Vazha-Pshavela) ---------- 332

სამსონ ლეჟავა / Samson Lejava
ერთი არქიტექტურული დეტალის შესახებ რ. ერისთავის სახლ-მუზეუმში
On the Architectural Detail of the Raphiel Eristavi House Museum ---------- 335

ესმა მანია / Esma Mania
რაფიელ ერისთავის ბიბლიოფილური მისწრაფებების ვექტორების კვალდაკვალ
Tracing the Vectors of Raphiel Eristavi's Bibliophilic Aspirations---------- 337

თეა მეშველიშვილი / Tea Meshvelishvili
რაფიელ ერისთავის წერილები ოსმალოს საქართველოს შესახებ
Raphiel Eristavi's letters about Ottoman Georgia ---------- 339

მაია მიქაბერიძე / Maia Mikaberidze
რაფიელ ერისთავის ბუბლიცისტიკა
Raphiel Eristavi's Journalism ---------- 341

მერაბ მიქელაძე / Merab Mikeladze
ვაზი – „ღვინო“ – ქართული იდენტობის სიმბოლო“
Vine – Wine as a Symbol of Georgian Identity ---------- 344

ასმათ ოქროპირიძე / Asmat Okropiridze
რაფიელ ერისთავის პოეზიის მიმართებისათვის ქართული კულტურის პარადიგმასთან
Regarding the Relation of Raphiel Eristavi's Poetry to the Paradigm of Georgian Culture
---------- 346

ნინო პოპიაშვილი / Nino Popiashvili
რაფიელ ერისთავის შემოქმედება გერმანულ ენაზე
Raphiel Eristavi's Work in German ---------- 348

თეონა რუხაძე / Teona Rukhadze
რაფიელ ერისთავი და ქართული ტრადიციული მუსიკა
Raphiel Eristavi and Georgian Traditional Music ----------350

მანანა სანაძე / Manana Sanadze
ერისთავი თუ ბიტიახში ადრეშუასაუკუნეებში
Eristavi or Pitiakhshi in the Early Middle Ages ---------- 352

ინგა სანიკიძე / Inga Sanikidze
რაფიელ ერისთავის მხატვრული ენის ესთეტიკა
The Aesthetics of Raphiel Eristavi's Artistic Language ----------353

რუსუდან საღინაძე / Rusudan Saginadze
რაფიელ ერისთავის იმერეთში მოღვაწეობის ქრონიკები
Chronicles of Raphiel Eristavi's Work in Imereti ----------357

ნატო სონღულაშვილი / Nato Songulashvili
რაფიელ ერისთავი და ქართული საგანმანათლებლო სფერო (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)
Raphiel Eristavi and the Georgian Educational Field (second half of the 19th century) ---------- 359

ნესტან სულავა / Nestan Sulava
„ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა და რაფიელ ერისთავი
Kartvelishvili Edition of "Vefkhistkaosani" and Raphiel Eristavi ---------- 361

ნანა ფრუიძე / Nana Pruidze
აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავის ღვაწლის შესახებ
Akaki Tsereteli about the Achievements of Raphiel Eristavi ---------- 365

მარინა ქავთარაძე / Marina Kavtaradze
მე-19 საუკუნის თბილისის მუსიკალური ცხოვრება პრესის შუქზე (ტექსტი და კონტექსტი)
The Tbilisi Musical Life of the 19th Century in the Reflection of the Press (Text and Context) ---------- 368

ლია ქაროსანიძე / Lia Karosanidze
რაფიელ ერისთავი – მე-19 საუკუნის ქართული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განმსაზღვრელი
Raphiel Eristavi – a Shaper of Georgian Terminology Policy in the 19th Century ---------- 371

მანანა ქაჯაია / Manana Kajaia
ერთი ასპექტი რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკიდან
One Aspect from Raphiel Eristavi's Publicism ---------- 374

ქისტაური გელა / Gela Kistauri
არაგვის საერისთავოს მმართველობითი სტრუქტურა და არაგვის ერისთავთა სოციალური მდგომარეობა XVIII ს-ის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში
The Administrative Structure of the Aragvi Eristavi and the Social Status of the Aragvi Eristavs at the End of the 18th Century and the Beginning of the 19th Century ---------- 376

ნაზი ქორთუა / Nazi Kortua
რაფიელ ერისთავი ზუგდიდში
Raphiel Eristavi in Zugdidi ---------- 379

ია ღადუა / Ia Ghadua
როგორ იქცა რაფიელ ერისთავის იუბილე სახალხო ზეიმად
How Raphiel Eristavi's Anniverasry Transformed into a Public Celebration ---------- 380

თამარ შაიშმელაშვილი / Tamar Shaishmelashvili
რაფიელ ერისთავი, როგორც საბავშვო პოეტი
Raphiel Eristavi as a Children's Poet ---------- 383

თამარ შარაბიძე / Tamar Sharabidze
ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი
Ilia Chavchavadze and Raphiel Eristavi ---------- 386

ლალი შაშიაშვილი / Lali Shashiashvili, გია ცისიშვილი / Gia Tsitsishvili
რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა
Reconstruction, Rehabilitation, and Infrastructure Development of the Raphiel Eristavi House Museum ---------- 389

ვაჟა შენგელია / Vazha Shengelia
ლალი იორდანიშვილი – რაფიელ ერისთავის შემოქმედების მკვლევარი
Lali Iordanishvili – Researcher of Raphiel Eristavi's Heritage ---------- 392

ნინო შიოლაშვილი / Nino Shiolashvili
ბერი ეგნატაშვილის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის (თექთურმანიძეთა გვარის ისტორიისათვის)
Regarding the History of the Tekhturmanydze Family ---------- 394

თამარ ცისიშვილი / Tamar Tsitsishvili; ირინე მოდებაძე / Irina Modebadze
ალექსანდრე ხახანაშვილი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე
Aleksandre Khakhanashvili on the History of Ancient Georgian Literature --------- 397

მანანა წერეთელი / Manana Tsereteli
რაფიელ ერისთავი და სპარსული წარმოშობის ძველი ქართული თამაში „განჯაფა"
Raphiel Eristavi and the Old Georgian Game 'Ganjafa' of Persian Origin ---------- 400

მარუსია ჭავჭავაძე / Marusya Chavchavadze
პავლე ჭავჭავაძის ოჯახის ისტორია
Paul Chavchavadze Family History ---------- 402

გიორგი ჭეიშვილი / Giorgi Tcheishvili
არაგვის საერისთავოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები
Issues of Historical Geography of Aragvi Saeristavo ---------- 404

მანანა ხიზანიშვილი / Manana Khizanashvili, გულნარა კვანტიძე / Gulnara Kvantidze
რაფიელ ერისთავი კავკასიური მუზეუმის პირველი კურატორი
Raphiel Eristavi – the Inaugural Curator of the Caucasian Museum ---------- 407

ბეჟან ხორავა / Bezhan Khorava
რაფიელ ერისთავი – სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი
Raphiel Eristavi – the Researcher of the History and Ethnography of Samegrelo -----411

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი / Nana Khocholava-Machavariani
რაფიელ ერისთავის ბოტანიკური ლექსიკონი
Botanical Dictionary of Raphiel Eristavi ---------- 414

თემურ ჯაგოდნიშვილი / Temur Jagodnishvili
რაფიელ ერისთავი და ქართველი ერი
Raphiel Eristavi and the Georgian People ---------- 415

ოთარ ჯანელიძე / Otar Janelidze
რაფიელ ერისთავი და მისი ეპოქა
Raphiel Eristavi and His Era ---------- 418

ლავრენტი ჯანიაშვილი / Lavrenti Janiashvili
მარნის მშენებლობა და რეკონსტრუქცია ხალხური გამოცდილების საფუძველზე
Construction and Reconstruction of *Marani* on the Basis of the People's Experience -------420

პლენარული სხდომის მომხსენებლები • Keynote Speakers

ირმა რატიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი
თბილისი, საქართველო
irma.ratiani@tsu.ge

„კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში

თანამედროვე ქართული მწერლობა „კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ცნებათა საინტერესო ინტერპრეტაციებს გვთავაზობს, თუმცა ფიქრი ამ პრობლემაზე გაცილებით ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, როდესაც ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში თვალნათლივ აღინიშნა კავკასიის თემის გააქტიურება. მსგავსი აქტუალიზება გამოწვეული იყო საქართველოს ისტორიული გადანაცვლებით რუსეთის იმპერიის ბატონობის ეპოქაში.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მეფის რუსეთი უკვე კომფორტულად ირგებს დამპყრობელის სტატუსს და თანამიმდევრულად შეუდგება სტრატეგიული გეგმის განხორციელებას როგორც საქართველოში, ისე – მთლიანად კავკასიის რეგიონში. რუსეთის პოლიტიკური სტრატეგია იმთავითვე განისაზღვრა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ოკუპირებული რეგიონების გათიშვისა და დაშლის პრინციპით, ხოლო სოციალურმა სტრუქტურამ რუსეთის იმპერიის სოციალური სისტემის მიკრომოდელის სახე მიიღო. ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ახალ პოლიტიკურ სტანდარტთან სხვადასხვა ფორმითა და მიზანდასახულობით გამოვლინდა ქართულ მწერლობაში, კერძოდ, რომანტიზმის, რეალიზმის, მოდერნიზმის, სოციალისტური რეალიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქებში.

მოდიფიცირებას განიცდის „კავკასიელი“-ს ცნება: რომანტიზმის ეპოქაში ცნება „კავკასიელი“ ცალკეულ აღნიშვნებად დიფერენცირდება – ქართველი, სომეხი, ჩეჩენი, დაღესტნელი და ა.შ., და თითოეული მათგანისათვის ნებისმიერი „სხვა“ მტრის სიმბოლიკის მატარებელი უფროა, ვიდრე მოყვარისა; რეალიზმის ეპოქაში „კავკასიელისა“ და „კავკასიის“ ცნებების ლიტერატურულ ინტერპრეტაცია სახეს იცვლის და ხაზგასმულად ანტირუსულ სიბრტყეზე გადაინაცვლებს; მოდერნიზმის ეპოქაში ის, ერთის მხრივ, ჰარმონიული თანაარსებობის იდეას ეფუძნება, ხოლო მეორეს მხრივ – შეიცავს იდენტობის დაკარგვის საფრთხეს; სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში „კავკასიელის“ გაგება ყალბი თანასწორობის პროპაგანდიდან პოლიტიკური ტრაგედიის ფაზაში შეაბიჯებს, პოსტმოდერნისტული ქართული მწერლობა კი, *აფხაზეთისა* და *სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს)* ომებგამოვლილი, თვისებრივად ახალ მნიშვნელობას მიანიჭებს მას.

საკვანძო სიტყვები: *კავკასია, კავკასიელი, ცნებათა ინტერპრეტაცია.*

Irma Ratiani

Doctor of Philological Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
Head of the Department of General and Comparative Literary Studies
Director of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi, Georgia
irma.ratiani@tsu.ge

Literary reflections of "Caucasus" and "Caucasian" in Georgian Literature

Modern Georgian literature offers interesting interpretations of the concepts of "Caucasus" and "Caucasian", although reflections on this problem began much earlier, in the 19th century, when the activation of the Caucasian theme was evident in Georgian literature and public thought. Such actualization was caused by the historical transition of Georgia to the era of the domination of the Russian Empire.

Since the beginning of the 19th century, Tsarist Russia had already comfortably settled in the status of a conqueror and consistently began to implement a strategic plan both in Georgia and in the entire Caucasus region. Russia's political strategy was determined by the principle of separation and disintegration of Georgia and the occupied regions of the Caucasus as a whole, and the social structure took the form of a micro model of the social system of the Russian Empire. The attitude of Georgian society to the new political standard manifested itself in Georgian literature in various forms and trends, namely in the eras of romanticism, realism, modernism, socialist realism and postmodernism.

The concept of "Caucasian" undergoes constant modification: in the era of romanticism, the concept of "Caucasian" is differentiated into separate designations – Georgian, Armenian, Chechen, Dagestani, etc., and for each of them, any "other" carries more symbolic of an enemy than a friend; In the era of realism, the literary interpretation of the concepts of "Caucasus" and "Caucasian" changes its face and moves into an emphatically anti-Russian plane; In the era of modernism, on the one hand, it is based on the idea of harmonious coexistence, and on the other, it contains the danger of losing identity; In the era of socialist realism, the understanding of "Caucasian" moves from propaganda of false equality to the phase of political tragedy, while postmodern Georgian writing, which has been through the wars in Abkhazia and South Ossetia (Samachablo), provides it with a qualitatively new meaning.

Keywords: *the concept of Caucasus, interpretations of the concepts, the concept of Caucasian.*

მომხსენებათა თეზისები

Abstracts of Papers

ლედი ანთიძე

ფილოლოგიის მაგისტრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-0531-6768
lediantidze27@gmail.com

ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები მულტიკულტურალიზმის ჭრილში და ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები

ჰიბრიდობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის, შესწავლას საფუძველი XX საუკუნის II ნახევრიდან ჩაეყარა და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ჰიბრიდული ლიტერატურის ერთ-ერთი ნიშანდობლივ მახასიათებელს მკაფიო ეთნიკური და კულტურული საზღვრების წაშლა და ახალი, მრავალფეროვან კულტურულ-ლიტერატურულ ფასეულობათა შემცველი მულტიკულტურული ფენომენის შექმნა წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ჰიბრიდული ლიტერატურისა და მწერლების კატეგორიებად დაყოფა, ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით, შეუძლებელია. თანამედროვეობაში ლიტერატურა ხდება უფრო მეტად მრავალმხრივი, არაერთგვაროვანი, იგი მდიდრდება ახალი, ურთიერთშერწყმული, იგივე ჰიბრიდული კონცეპტით. ეს მულტიკულტურული მოვლენა განპირობებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრებით. XX საუკუნეში მრავალი იმპერია დაინგრა, რამაც მსოფლიოს როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული რუკაც შეცვალა. შეიქმნა ჰიბრიდული ხასიათის პოსტკოლონიური კულტურა, რომელიც მიიღება მეტროპოლიებისა და კოლონიების კულტურათა ნიშან-თვისებების ურთიერთზემოქმედებითა და ტრანსფორმირებით. ამ უმნიშვნელოვანესმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა „კოლონიალური“ და „პოსტ-კოლონიალური“ დისკურსების ჩამოყალიბებას მრავალ სფეროში – პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, კულტუროლოგიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში და ა. შ.

ჰიბრიდული ტიპის ლიტერატურაზე საუბრისას, კოლონიალურ და პოსტკოლონიურ დისკურსებთან ერთად, აუცილებელია მიგრაციის საკითხის წამოყენება და მიმოხილვა, ვინაიდან, სწორედ თანამედროვე მსოფლიო ტენდენციამ ფართომასშტაბიანი მიგრაციისა, წარმოშვა ამ ტიპის ლიტერატურა. თანამედროვე მწერლების დიდი ჯგუფი არსებობს, რომლებიც არამშობლიურ, უცხო ენებზე წერენ. ლოგიკურია, რომ ესაა ის ენები, რომლებზეც პლანეტის მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი ნაწილი საუბრობს – ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ა.შ. ჩვენ, ქართველებს გვყავს ამ სამივე ენაზე „მოასპარეზე“ მწერლები. ერთ-ერთი მათგანია ელენე ბოჭორიშვილი, რომელიც

საინტერესო ფენომენს წარმოადგენს ვინაიდან ერთდროულად სამ სამყაროს ეკუთვნის – ქართულს, რუსულს და კანადურს. მწერალი ეროვნებით ქართველია, ცხოვრობს კანადაში, წერს რუსულად. მისი შემოქმედება რუსულიდან ფრანგულად ითარგმნება და ასე ეცნობა მას მკითხველი. ელენე ბოჭორიშვილი ახალი ჟანრის წარმომადგენელია, მან შემოგვთავაზა რომანის ახალი სახეობა – სტენოგრაფიული რომანი.

ჩვენს ნაშრომში მიმოვიხილავთ ელენე ბოჭორიშვილის სტენობრაფიულ რომანებს მულტიკულტურალიზმის ჭრილში. მწერალი აღნიშნულ რომანებში ბავშვობის მოგონებებს აცოცხლებს მოკლე და სხარტი ფრაზებით. ქართული გარემო, ოჯახური სიტუაციები, სახასიათო ტიპაჟები – ეს ყველაფერი დროში თავისუფლად „მოგზაურობს“ და მკითხველის წარმოსახვაში ცოცხლდება მკაფიო და ფერად სურათებად. სტალინის და საბჭოთა ეპოქა, მამების და შვილების წინააღმდეგობრივი ურთიერთობები, დაშლილი თუ მოშლილი მშობლიური სახლი, ვერაწყობილი აგარაკი, საბჭოთა რეალობის სხარტი და ზუსტი ანალიზი, პოსტაბჭოთა ეპოქის სირთულეები, სოციალისტური ბანაკის ჩარაზულობა და საშინელი სინანული, რომ თავს ვერ დააღწევ ამ ჩაკეტილ გარემოს. ცხოვრების მატარებელი თითქოსდა მიჰქრის, მაგრამ შენ სულ ბოლოს აანალიზებ, რომ, თურმე, მატარებელი არსაით მიდის.

ელენე ბოჭორაშვილის სტენოგრაფიულ რომანებში შესანიშნავადაა ასახული მულტიკულტურალიზმი – ქართული ეთნიკური თემატიკა მსოფლიო გლობალიზაციის კონტექსტში. ქართული თემა-სიმბოლოები ამ ნაწარმოებებში საინტერესოდ ასიმილირდება ზოგადსაკაცობრიო მსოფლიო თემებთან თუ სახეებთან.

საკვანძო სიტყვები: *ჰიბრიდული ლიტერატურა, ჰიბრიდობა, მულტიკულტურალიზმი, ელენე ბოჭორიშვილი.*

Ledi Antidze

Master of Philology
Sokhumi State University (PhD Student)
East European University (Invited Lecturer)
Tbilisi, Georgia
ORCID: https://orcid.org/0009-0003-0531-6768
lediantidze27@gmail.com

Shorthand Novels by Elene Bochorishvili in terms of multiculturalism and Notable Concepts of Hybrid Literature

The basis for the study of hybridity as a socio-cultural phenomenon was laid in the second half of the 20th century and is actively being continued to this day. One of the distinctive features of hybrid literature is blurring clear ethnic and cultural boundaries and the creation of a new multicultural phenomenon containing diverse cultural and literary values. It should be noted that it is impossible to divide hybrid literature and writers into categories, in terms of national affiliation. In modern times, literature is becoming more multifaceted, and

heterogeneous, it is enriched with a new, interconnected, hybrid concept. Multiculturalism is caused by political and economic changes. In the 20th century, many empires collapsed, which changed both the political and cultural map of the world. A post-colonial culture of a hybrid nature was created, which is obtained by the mutual influence and transformation of the characteristics of the cultures of the metropolises and colonies. These most important geopolitical changes laid the foundation for the formation of "colonial" and "postcolonial" discourses in many fields – political science, sociology, art studies, cultural studies, literary studies, etc.

While talking about the hybrid literature, together with the colonial and post-colonial discourses, it is necessary to raise and review the issue of migration, since it is the modern world trend of large-scale migration that gave rise to this type of literature. There is a large group of modern writers who write in non-native, foreign languages. Logically, these are languages that are spoken by a particularly large part of the population of the planet – English, German, French, etc. We, Georgians, have authors who write in foreign languages including these three languages. One of them is Elene Bochorishvili, who is an interesting phenomenon because she belongs to three worlds at the same time – Georgian, Russian, and Canadian. The writer is Georgian by nationality, lives in Canada, and writes in Russian Language. Her works are translated from Russian to French and this is how the readers are introduced to them. Elene Bochorishvili is a representative of a new genre, she proposed a new type of novel – a shorthand (stenographic) novel.

In our work, we review the shorthand novels of Elene Bochorishvili in terms of multiculturalism. In these novels, the writer revives her childhood memories with short phrases: Georgian environment, family situations, specific characters – all this freely “travels” in time and comes to life in the reader’s imagination as clear and colorful images. Stalin and the Soviet era, conflicting relations between fathers and sons, destroyed native houses, unbuilt and unorganized country houses, a brief and accurate analysis of the Soviet reality, the difficulties of the post-soviet era, the ambush of the socialist camp and the terrible regret of not being able to escape from this closed circle. The train of life seems to be going away, but you finally analyze, as it turns out, that the train is going nowhere.

Elene Bochorishvili’s shorthand novels perfectly depict multiculturalism – Georgian ethnic themes in the context of world globalization. Georgian theme symbols in these works are interestingly assimilated with world themes and faces.

Keywords: *Hybrid Literature, Hybridity, Multiculturalism, Elene Bochorishvili.*

გონელი არახამია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
goneli.araxamia@gmail.com

არსენ ბერი (XII ს.) როგორც ისტორიკოსი

არსენ ბერის კალამს ეკუთვნის წმ. ნინოს ცხოვრების გადამუშავებული რედაქცია, რომელიც მან დემეტრე I-ის (1125–1156) მეფობის ხანაში შექმნა. ამ დროს ქართულ მწერლობაში წმ. ნინოს მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თხუზულების სულ ცოტა სამი რედაქცია არსებობდა („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მოკლე და ვრცელი ვერსიები, „ქართლის ცხოვრებიში“ – ე. წ. ლეონტი მროველისეული ვარიანტი).

არსენ ბერი მიიჩნევდა, რომ მის დროს ლიტურგიულ პრაქტიკაში გამოყენებული წმ. ნინოს ცხოვრებას ამ დანიშნულების თხზულებისთავის შეუფერებელი არაერთი ნაკლი გააჩნდა, კერძოდ, წმინდანის მოღვაწეობა მეფეების შესახებ თხრობასთან იყო შერწყმული, წმ. ნინოს თავგადასავალი გადმოცემული იყო სხვადასხვა მთხრობელის მიერ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღრევით.

არსენ ბერი მკითხველს შეჰპირდა აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას, რაც პირნათლად შეასრულა კიდეც.

არსენ ბერმა „წმ. ნინოს ცხოვრების“ გადამუშავებულ რედაქციას ბოლოში დაურთო ისტორიული ექსკურსი, სადაც გადმოსცა თავისი შეხედულებები ქართლის სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. ის იზიარებს ქართლის სამეფოს წარმოშობის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ადრეულ ვერსიასა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში დაცულ მოსაზრებას და კატეგორიულად უარყოფს ლეონტი მროველის შეხედულებებს იმავე საკითხზე.

არსენ ბერის საგანგებო ყურადღებას იპყრობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა კათოლიკოსობის დაწესება ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაში. არსენ ბერი აუცილებლად თვლის მოგვითხროს ანტიოქიის სპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის სინოდისათვის (ეპისკოპოსთა კრებისთვის) კათოლიკოსის შერჩევისა და კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ.

ავტორი საჭიროდ მიიჩნევს წარმოაჩინოს საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის სრული გამიჯვნა ყოველგვარი ერესისგან, მათ შორის, ხატმებრძოლეობის მწვალებლობისგან, რომელმაც მოიცვა თვით საბერძნეთის (ბიზანტიის) ეკლესიაც და განუხრელი ერთგულება „მართალი სარწმუნოებისადმი“.

არსენ ბერი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსია, რომელმაც წმ. ნინოს მოღვაწეობის შემდგომი ხანის საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები ქვეყნის ისტორიის აუცილებელ კომპონენტად გაიაზრა, რამაც შემდგომი განვითარება ვახტანგ VI-ისა და „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ნააზრევში ჰპოვა (XVIII).

საკვანძო სიტყვები: *არსენ ბერი, წმ. ნინოს ცხოვრება, საქართველოს ეკლესიის ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია.*

Goneli Arakhamia

PhD in History
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute Georgian Studies
Chief Research Fellow
goneli.araxamia@gmail.com

Arsen the Monk (12th Century) as a Historian

Arsen the Monk is credited with a revised edition of the *Life of St. Nino*, which he composed during the reign of King Demetre I (1125-1156). By this time, at least three versions of works dedicated to St. Nino's life existed in Georgian literature (*The Conversion of Kartli* in its short and extended versions, and the so-called Leonti Mroveli version in *The Life of Kartli*).

Arsen the Monk believed that the version of St. Nino's life used in liturgical practice at the time contained several flaws unsuitable for such a text. Specifically, the saint's deeds were merged with narratives about kings, and different narrators presented St. Nino's story in a jumbled chronological order. Arsen promised his readers that he would correct these flaws, which he faithfully accomplished.

At the end of his revised edition of the *Life of St. Nino*, Arsen the Monk added a historical excursus, where he presented his views on various issues concerning the history of the state and church of Kartli. He endorsed the early version of the origin of the Kingdom of Kartli found in *The Life of Kartli* and the historical chronicle *The Conversion of Kartli*, and he categorically rejected the views of Leonti Mroveli on the same matter.

Arsen the Monk paid special attention to significant events in the history of the Georgian Church, such as the establishment of the Catholicosate during the reign of King Vakhtang Gorgasali. He considered it essential to inform readers about the Antiochian Patriarchate's granting of the right to select and ordain the Catholicos for the Georgian Church's synod (Council of Bishops).

The author found it necessary to highlight the complete separation of the Georgian Church and its congregation from all forms of heresy, including iconoclasm, which had even spread within the Church of Byzantium itself, and their unwavering loyalty to the "true faith."

Arsen the Monk is one of the first historians in medieval Georgian historiography to conceive of the significant events in the Georgian Church's history after St. Nino's era as an essential component of the country's history. This understanding later found further development in the works of King Vakhtang VI and the so-called "Commission of Learned Men" in the 18th century.

Keywords: *Arsen the Monk, Life of St. Nino, Georgian Church history, Medieval Georgian historiography.*

მეჰმეთ ნადირ აჯეთ

ფილოლოგიის დოქტორი
ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
ყარსი, თურქეთი
https://orcid.org/0000-0003-1642-8696
nadiracet@gmail.com

აფხაზეთის ომის მოვლენების ასახვა გაზეთ „მილლიეთის“ მიხედვით

1992–1993 წწ. აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით თანადროულ თურქულ პრესაში სხვადასხვაგვარი სტატიებია გამოქვეყნებული. მოხსენებაში განხილულია გაზეთ „მილლიეთში“ გამოქვეყნებული მასალები, რომელიც აფხაზეთში მიმდინარე ომის პერიოდს ეხებოდა.

სტატიების ერთი ნაწილში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან დაკავშირებით აზრია გამოთქმული. ხოლო მეორე ნაწილი, აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრეა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტატიებში იგრძნობა აფხაზურ-ჩერქეზული დიასპორის ზეგავლენა. რაც შეეხება თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკას, ის ცალსახად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა. მეტიც, სტატიების მიხედვით ცენტრალური ხელისუფლება აფრთხილებს ადგილობრივ აფხაზურ-ჩერქეზურ ასოციაციებს არ ჩაერიონ მიმდინარე კონფლიქტში. ამის მიუხედავად, აღნიშნული ასოციაციების საშუალებით იგზავნებოდნენ მოხალისეები აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილების მისაღებად, ასევე, იგზავნებოდა ჰუმანიტარული ტვირთი. სტატიებში არის კონკრეტული ინფორმაცია თურქეთელი აფხაზ – ადიღეველების აფხაზეთის ომთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციის შესახებ. მაგალითად ნათქვამია, რომ თურქეთიდან 40 კაცი ომში მონაწილეობისთვის გაემგზავრა; აფხაზეთის ომის გასაპროტესტებლად სტამბოლში, სულთან აჰმედის მოედანზე 30–მა ჩერქეზმა ახალგაზრდამ შიმშილობა დაიწყო; გუდაუთაში წასული 22 წლის ადაფაზარელი ჩერქეზი ერჰან ჩაღლი სოხუმის ახლოს დაიღუპა; ჩერქეზთა საერთაშორისო ორგანიზაციამ აფხაზთა უფლებების დაცვის მიზნით ომის დასრულებისთვის მეომარ მხარეებს მიმართა და სხვა.

გაზეთში არა მხოლოდ უშუალოდ აფხაზეთის, არამედ დანარჩენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებსაც ეთმობა ადგილი. ასევე, საომარ მოქმედებებთან ერთად სამშვიდობო მოლაპარაკების მიმდინარეობაც არის გაშუქებული. საგაზეთო სტატიებს ერთ-ერთ საკვანძო თემად გასდევს აფხაზეთის ომში რუსეთისა და ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობის საკითხი. აღნიშნულია, რომ აფხაზებმა კავკასიის ხალხებს მოუწოდეს საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანება. რაც შეეხება სამშვიდობო მოლაპარაკებებს, ეს საკითხიც დგას გაზეთის დღის წესრიგში. შეიძლება ითქვას, რომ საგაზეთო სტატიებში ცეცხლის შეწყვეტიდან საბოლოო შეთანხმებამდე, ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევის ჩათვლით, ყველა ინფორმაცია მეტად თუ ნაკლებად არის მკითხველისშვის მიწოდებული და შეფასებული.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, გაზეთში შეულამაზებლად არის ნაჩვენები რუსეთის პირდაპირი ჩარევის ფაქტები საომარ მოქმედებებში, მათგან აფხაზთა მხარდაჭერის საკითხი, გარკვეული მუქარები ქართული და აფხაზური მხარეების მიმართ ომის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაზეთ "მილლიეთში" გამოქვეყნებული სტატიები მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა მკითხველის ინტერესს აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების შესახებ. სტატიებში უფრო მეტი სიმპატია ჩანს აფხაზთა მიმართ. რაც, სავარაუდოდ, თურქეთში აფხაზურ-ადიღეური დიასპორის სიმრავლის ს და გავლენის გამო უნდა ყოფილიყო. თუმცა თურქეთის როგორ მაშინდელი, ასევე დღევანდელი მთავრობა მტკიცედ უჭერდა და უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობას.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, აფხაზეთის კონფლიქტი, თურქეთი, რუსეთი, სამ-შვიდობო მოლაპარაკებები.*

Mehmet Nadır Acet

PhD in Philology
Kafkas University
Assistant Professor
Kars, Turkey
https://orcid.org/0000-0003-1642-8696
nadiracet@gmail.com

The Abkhazian War as Depicted in the "Millieti" Newspaper

In 1992–1993 various articles have been published in contemporary Turkish press regarding the events in Abkhazia. The report discusses the materials published in the "Millieti" newspaper, which are related to the current war in Abkhazia.

In one part of the article, an opinion is expressed regarding the protection of the territorial integrity of Georgia. The second part is in favor of the independence of Abkhazia. It should also be noted that the influence of the Abkhazian-Circassian diaspora can be felt in the articles. As for Turkey's state policy, it is unequivocally in favor of Georgia's territorial integrity. Moreover, according to the articles, the central government warns the local Abkhaz-Circassian associations not to interfere in the ongoing conflict. Despite this, volunteers were sent to participate in the conflict in Abkhazia through these associations, and humanitarian cargo was also sent. The articles contain specific information about the position expressed by the Turkish Abkhaz-Adyghe people regarding the war in Abkhazia. For example, it is said that 40

men left Turkey to participate in the war; To protest the war in Abkhazia, 30 Circassian youths started a hunger strike at Sultan Ahmed Square in Istanbul; Erhan Chaghli, a 22-year-old Circassian from Adafazar who went to Gudauta, died near Sukhumi; To protect the rights of the Abkhazians, the International Organization of Circassians appealed to the warring parties to end the war and others.

The newspaper not only deals with the events of Abkhazia but also the events taking place in the rest of Georgia. Also, the progress of the peace negotiations with the belligerents is covered. One of the key topics of the newspaper articles is the participation of Russia and North Caucasians in the war in Abkhazia. It is noted that the Abkhazians called on the peoples of the Caucasus to unite against Georgia. As for the peace talks, this issue is also on the agenda of the newspaper. It can be said that in newspaper articles, from the ceasefire to the final agreement, including the violation of the terms of the ceasefire, all the information is more or less conveyed and evaluated by the reader.

As for the Russian factor, the newspaper shows the facts of Russia's direct intervention in the hostilities, among them the issue of support for the Abkhazians, and certain threats to the Georgian and Abkhaz sides regarding the continuation of the war.

In conclusion, it can be said that the articles published in "Millieti" newspaper more or less satisfied the reader's interest in the ongoing military operations in Abkhazia. The articles show more sympathy towards the Abkhazians. This was probably due to the abundance and influence of the Abkhazian-Adyghe diaspora in Turkey. However, Turkey’s then and current governments strongly supported the inviolability of Georgia's territorial integrity.

Keywords: *Georgia, Abkhazia conflict, Turkey, Russia, peace negotiations.*

ნინა ბარნოვი

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
ORCID: https://orcid.org/0009-0001-2899-8963
nino.barnovi@gmail.com

ვიზუალური კოდების სემიოლოგიის შესახებ (უმბერტო ეკოს მიხედვით)

უმბერტო ეკო განიხილავს კულტურის ნებისმიერ მოვლენას როგორც ნიშანთა სისტემებს, რადგან ვარაუდობს, რომ ისინი ასეთებს წარმოადგენენ, თუმცა ამავდროულად დარჩებიან კომუნიკაციის ფენომენებად. ამგვარად, სემიოლოგია უპასუხებს სხვადასხვა თანამედროვე სამეცნიერო დისციპლინების მოთხოვნილებებს, რომლებიც, სწორედ რომ, ცდილობენ განსხვავებული რიგის მოვლენები დაიყვანონ კომუნიკაციის ფაქტამდე. ფსიქოლოგია შეისწავლის აღქმას, როგორც კომუნიკაციის ფაქტს, გენეტიკა დაადგენს მემკვიდრეობითი ინფორმაციის კოდებს... კომუნიკაციური მოდელები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისას. განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ინფორმატიკის თეორიის თანამშრომლობა, რის შედეგადაც ასეთი მოდელები გამოიყენება განსხვავებული კულტურების, ნათესაობის სისტემების, მოდის, სამზარეულოს, ჟესტების ენის, სივრცის ორგანიზებისა და სხვ. შესასწავლად. ესთეტიკაც ზოგჯერ იყენებს კომუნიკაციის თეორიის ზოგიერთ ელემენტს თავისი მიზნებისათვის. ჩვენ ვხედავთ კვლევათა სივრცის (ველის) საგრძნობ უნიფიკაციას, რაც გვაძლევს საშუალებას მრავალგვარი მოვლენების ერთი და იმავე სამეცნიერო ინსტრუმენტარიით აღწერისა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ, როცა ავტორი საუბრობს კულტურაზე, მხედველობაში აქვს ის განმარტება, რომელსაც მას ანიჭებს ანთროპოლოგია: კულტურა არის ნებისმიერი ბუნებრივი მოვლენა, გადაქმნილი ადამიანის ჩარევით და ამის გამო მისი სოციალურ კონტექსტში ჩართულობის შესაძლებლობით.

კოდი, შეგვახსენებს უ. ეკო, განიხილება როგორც ალბათობათა (შესაძლებლობათა) სისტემა, რომელიც ზღუდავს წყაროს თანაბარ ალბათობას, მაგრამ, თავის მხრივ, აღმოჩნდება თანაბარალბათობიანი მის საფუძველზე შექმნილი შეტყობინებების რიგის მიმართ.

ეს საკითხი ენის ფილოსოფიის მთავარ პრობლემას წარმოადგენს და სხვადასხვაგვარად ფორმულირდება. ჩვენ შემოვიფარგლებით ინფორმაციის გამგზავნის განმარტებით, როგორც მოსაუბრე ადამიანისა, რომლის მეტყველება განპირობებულია შესაბამისი ბიოლოგიური და კულტურული ფაქტორებით, რის გამო შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მეტყველება უმეტეს შემთხვევაში იქნება განპირობებული თავს მოხვეული კოდით.

მაშასადამე, ვიზუალური კომუნიკაციის სემიოლოგიური ინტერპრეტაციის მცდელობა გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივაც, რომ აძლევს სემიო-

ლოგიას საშუალებას დაამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა ლინგვისტიკისაგან. როდესაც არსებობენ ნიშანთა ფენომენები ნაკლებად განსაზღვრული, ვიდრე საკუთრივ ვიზუალური კომუნიკაციის ფენომენები (მაგ., ფერწერა, ქანდაკება, ნახატი, ვიზუალური სიგნალიზაცია, კინო, ფოტოგრაფია...), ვიზუალური კომუნიკაციის სემიოლოგიამ შეიძლება შეასრულოს ტრამპლინის ფუნქცია კულტურის ისეთი სფეროების კვლევისას, როგორებიცაა, მაგალითად, არქიტექტურა და დიზაინი, სადაც ვიზუალური შეტყობინებები ამავდროულად წარმოადგენს გამოყენების საგნებს.

თუ დავაკვირდებით მოვლენათა განვითარებას, რომელმაც განაპირობა სემიოლოგიისადმი ინტერესის გაღრმავება საფრანგეთსა და გერმანიაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ ის უშუალოდაა გაკავშირებული მასობრივი კომუნიკაციების განვითარებასთან. ამას კი უნდა დავუმატოთ, რომ სოციოლოგიურ წრეებში გაჩენილი მასობრივი კომუნიკაციების პრობლემატიკამ უპირველესად შეერთებულ შტატებში საბოლოოდ მოითხოვა თავისი პრინციპების სემიოლოგიური დასაბუთება.

მართლაც, თუ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს მოეკუთვნებიან კინო, პრესა, ტელემაუწყებლობა, რადიო, როტაპრინტული ყოველკვირეულები, კომიქსები, რეკლამა, პროპაგანდის სხვადასხვა სახეები, მსუბუქი მუსიკა, მასობრივი ლიტერატურა, მაშინ ჩნდება კითხვა: ხომ არ წარმოადგენს მასობრივი კომუნიკაციების თითოეული სახეობა კონკრეტული კვლევის ობიექტს და, საერთოდ, ხომ არ წარმოადგენს ეს მასობრივი კომუნიკაციების კვლევები რაიმე დისციპლინის მეთოდის გამოყენებას რომელიმე ამ საშუალების, მისი ტექნიკების, მათი ზემოქმედების მიმართ? მეორე მხრივ, თუ აქამდე მასობრივი კომუნიკაციების კვლევა მაქსიმალური მოქნილობით ტარდებოდა სრულიად განსხვავებული მეთოდებით , მათი შესწავლის საგანი, ყველა შემთხვევაში, ერთი იყო. მაშინ არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე ზუსტად განისაზღვროს მასობრივი კომუნიკაციების შესწავლის მეთოდიც. მასობრივი კომუნიკაციების შესწავლისას, როცა გამთლიანდება სხვადასხვაგვარი მასალა, სასურველია და საჭიროც, დისციპლინათაშორის კავშირებზე დაყრდნობით, მივმართოთ ასევე სხვადასხვაგვარ მეთოდებს, დაწყებული ფსიქოლოგიიდან დამთავრებული სოციოლოგიითა და სტატისტიკით. მაგრამ თანმიმდევრულად და მთლიანობაში შესწავლა ამ მოვლენებისა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასობრივი კომუნიკაციების თეორია და ანალიზი საერთო სემიოლოგიის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან განაყოფს შეადგენენ.

საკვანძო სიტყვები: *კომუნიკაციური მოდელი, სოციალური კონტექსტი, მასობრივი კომუნიკაციები, სემიოლოგიური ინტერპრეტაცია.*

Nina Barnovi

PhD in Philology
The University of Georgia
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https:/orcid.org/0009-0001-2899-8963
nino.barnovi@gmail.com

On the Semiotics of Visual Codes (According to Umberto Eco)

Umberto Eco views any cultural phenomenon as a system of signs, suggesting that they constitute such systems while remaining communication phenomena. Thus, semiotics respond to the needs of various modern scientific disciplines, which precisely aim to reduce different types of phenomena to the fact of communication. Psychology studies perception as an act of communication, genetics identifies the codes of hereditary information... Communicative models are increasingly used in the study of social life. The collaboration between structural linguistics and information theory has been particularly effective, resulting in such models being applied to the study of different cultures, kinship systems, fashion, cuisine, sign language, spatial organization, and more. Aesthetics also sometimes employs certain elements of communication theory for its purposes. We observe a significant unification of the field of research, which allows for the description of diverse phenomena using the same scientific tools.

It is important to note that when the author speaks of culture, he refers to the definition given by anthropology which states that culture is any natural phenomena that has been altered by human activity and can be assimilated into a social context. A code, as Umberto Eco reminds us, is considered a system of probabilities (possibilities) that restricts the equal likelihood of the source but also makes it equally likely concerning the sequence of messages generated using it.

This issue represents one of the main problems in the philosophy of language and is formulated in various ways. We will limit ourselves to defining the sender of information as a speaking individual whose speech is determined by relevant biological and cultural factors, thus allowing us to assume that speech, in most cases, will be conditioned by an imposed code.

Thus, the attempt to semiotically interpret visual communication is of certain interest in that it allows semiotics to assert its independence from linguistics. When there are sign phenomena that are less defined than the phenomena of visual communication itself (e.g., painting, sculpture, drawing, visual signaling, cinema, photography...), the

semiotics of visual communication can serve as a trampoline for the study of cultural fields such as architecture and design, where visual messages simultaneously serve as objects of use.

Suppose we observe the developments that have led to a deepening interest in semiotics in France and Germany. In that case, we must acknowledge that it is directly linked to the development of mass communications. Furthermore, it should be added that the issues surrounding mass communications that emerged in sociological circles primarily in the United States ultimately demanded a semiological justification of its principles.

If mass communication media include cinema, press, broadcasting, radio, rotaprint weeklies, comics, advertising, various forms of propaganda, light music, and mass literature, then the question that needs to be asked is: does each form of mass communication not represent a specific object of study, and, in general, do these studies on mass communications not involve the application of some discipline's methods to any of these mediums, their techniques, and their effects? On the other hand, if the study of mass communications has so far been conducted with maximum flexibility using completely different methods, the subject of study has, in all cases, been the same. Therefore, it is equally important to precisely define the methods of studying mass communications. In the study of mass communications, when various materials are integrated, it is desirable and necessary to rely on interdisciplinary connections and also to apply different methods, ranging from psychology to sociology and statistics. However, a consistent and comprehensive study of these phenomena is only possible if the theory and analysis of mass communications constitute one of the most important branches of general semiotics.

Keywords: *Communicative models, mass communications, semiotically interpretation, social context.*

ეკა გეგეშიძე

საქართველოს უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებათა სკოლა
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-0592-079X
e.gegeshidze@ug.edu.ge

ბაჰმან მოღიმი

საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-7740-0075
B.Moghimi@ug.edu.ge

საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის ტრადიციული და ნეირო-მარკეტინგის კამპანიების შედარებითი ანალიზი: საქართველოს უნივერსიტეტის შემთხვევის კვლევა (თბილისი, საქართველო)

ეს კვლევა იკვლევს ტრადიციული და ნეირო-მარკეტინგის სტრატეგიების შედარებით ეფექტურობას საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვასა და აყვანაში, კერძოდ სამიზნე იყო პოტენციური კანდიდატები ორი ინდური ქალაქიდან. კვლევაში გამოყენებულია კომპლექსური კვლევის დიზაინი, რომელიც მოიცავს ვირტუალური რეალობის გამოცდილებებს, პერსონიზებულ ციფრულ კონტენტის გაცნობას და ონლაინ ინტერვიუებს. კვლევა ზომავს სტუდენტების ჩართულობას, ინტერესსა და ჩარიცხვის განზრახვებს. შედეგები აჩვენებს, რომ ნეირო-მარკეტინგის კამპანიები მნიშვნელოვნად სჯობნის ტრადიციულ მარკეტინგულ მიდგომებს სტუდენტების ჩართულობისა და ჩარიცხვის განზრახვების გაზრდაში. სტრუქტურული განტოლებების მოდელირება (SEM) ასევე ადასტურებს ნეირო-მარკეტინგის პოზიტიურ გავლენას, რომელსაც აწვდის გაუცნობიერებლი ტრიგერები, როგორიცაა ემოციური კავშირი და აღქმული შესაბამისობა. კვლევის შედეგები სთავაზობს პრაქტიკულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტებისთვის, მათ შორის პერსონალიზებული ციფრული შინაარსის გამოყენებას, ჩართულობის გამოცდილებების დანერგვას და ნეირო-მარკეტინგის ტექნიკის გამოყენებას რეკრუტირების სტრატეგიების ოპტიმიზაციისთვის. განხილულია შეზღუდვები და მომავალი კვლევების რეკომენდაციები, რათა სრულად გაანალიზდეს და გაიგოს ამ სფეროს საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *ნეირო-მარკეტინგი, სტუდენტების ჩართულობა, ჩარიცხვის განზრახვები, საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირება, გაუცნობიერებული ტრიგერები, პერსონალიზებული ციფრული კონტენტი, ვირტუალური რეალობის გამოცდილებები.*

Bahman Moghimi

The University of Georgia
Professor
Tbilisi, Georgia
https:/orcid.org/0000-0002-7740-0075
B.Moghimi@ug.edu.ge

Eka Gegeshidze

The University of Georgia
Academic Staff at the School of Business and Administrative Studies
Tbilisi, Georgia
https:/orcid.org/0000-0003-0592-079X
e.gegeshidze@ug.edu.ge

Comparative Analysis of Traditional and Neuro-Marketing Campaigns on International Student Enrollment: A Case Study of the University of Georgia, Tbilisi, Georgia

This study investigates the comparative effectiveness of traditional versus neuro-marketing strategies in engaging and recruiting international students, specifically targeting potential candidates from two Indian cities. By employing a comprehensive research design involving immersive virtual reality experiences, personalized digital content, and interactive online interviews, the study measures student engagement, interest, and enrollment intentions. The findings reveal that neuro-marketing campaigns significantly outperform traditional marketing approaches in enhancing student engagement and increasing enrollment intentions. Structural Equation Modeling (SEM) further confirms the positive impact of neuro-marketing, moderated by unconscious triggers such as emotional connection and perceived relevance. The study's implications suggest practical recommendations for universities, including leveraging personalized digital content, implementing immersive experiences, and utilizing neuro-marketing techniques to optimize recruitment strategies. Limitations and suggestions for future research are discussed to provide a comprehensive understanding and guide further exploration in this field.

Keywords: *Neuro-Marketing, Student Engagement, Enrollment Intentions, International Student Recruitment, Unconscious Triggers, Personalized Digital Content, Virtual Reality Experiences.*

თინათინ ბერუაშვილი

ფილოლოგიის მაგისტრი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
t.beruashvili@ug.edu.ge

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ დევიდ მარშალ ლენგის თარგმანი

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ VI საუკუნის ქრისტიანი წმინდანის მოწამეობრივ აღსასრულზე მოგვითხრობს. ქართულ მწერლობას შემორჩა თხზულების კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები. ძეგლი მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით: მასში ასახულია VI საუკუნის მე-2 ნახევრის ქართლის პოლიტიკური ვითარება, ქრისტიანული მქადაგებლობა, სამართლის წარმოების წესები და სხვა.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ სხვადასხვა დროს ითარგმნა ინგლისურ, რუსულ, და გერმანულ ენებზე. თხზულების პირველი თარგმანი ეკუთვნის მ. საბინინის, რომელმაც ის რუსულად თარგმნა 1872 წელს. ეს თარგმანი შესულია1882 წელს გამოცემულ მ. საბინინის წიგნში „**Полное жизнеописание святых грузинской церкви**“ სათაურით „**Страдание святого мученика Евстафия Мцхетского**“. 1901 წელს ივ. ჯავახიშვილმა თარგმნა და ბერლინში გამოაქვეყნა თხზულების გერმანულენოვანი თარგმანი, სათაურით „Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha“.

რაც შეეხება თხზულების ინგლისურ თარგმანს: 1956 წელს დევიდ მარშალ ლენგმა გამოაქვეყნა წიგნი „Lives and Legends of the Georgian Saints“ („ქართველი წმინდანების ცხოვრება და ლეგენდები“), რომელშიც სხვა ქართველ წმინდანთა ცხოვრებების თარგმანებთან ერთად შესულია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაც“, სათაურით The Passion of St. Eustace the Cobbler, ქართულად: წამება წმინდა ევსტათი მეწაღისა. მსგავსი ინტერპრეტაცია არ გვხვდება სათაურის რუსულ და გერმანულ თარგმანებში. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაზე“ საუბრისას ლენგი აღნიშნავს, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიისა, რომელიც გვაწვდის უხვ მასალას სასანური ირანისა და ქრისტიანული ქართლის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია არქიდიაკონი სამუელის შეხედებულებებზე, ევსტათის უკანასკნელ სიტყვებზე, ქრისტოლოგიურ საკითხებზე და ა.შ. დევიდ მარშალ ლენგი ეყრდნობა „მარტვილობის“ ს. ყუბანეიშვილისა და ი. იმნაიშვილის მიერ დადგენილ ტექსტს (Lang, 1976, 95) თარგმანი სრულია, არ არის გამოტოვებული თხზულების არცერთი მონაკვეთი.

ჩვენი მოხსენების მიზანია, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ქართული ტექსტისა და თხზულების ინგლისური თარგმანის შედარება. მუშაობის პროცესში გამოვიყენებთ დესკრიფციისა და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდებს, დისკურსის ანალიზს, შედარებით ანალიზის მეთოდს. ვფიქრობთ, კვლევის ამ მეთოდებით შესაძ-

ლებელი იქნება, გამოვლინდეს ის სირთულეები, რაც თავს იჩენს ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ინგლისურად თარგმანის პროცესში და, ამავდროულად, გამოიკვეთოს ის საშუალებებიც, რასაც მთარგმნელი იყენებს მსგავსი პრობლემების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: *„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, ქართული ჰაგიოგრაფიის თარგმანები, დევიდ ლენგი*

Tinatin Beruashvili

Master of Philology
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Tbilisi, Georgia
t.beruashvili@ug.edu.ge

Translation of "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" by David Marshall Lang

"The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" recounts the martyrdom of a 6th-century Christian saint. Georgian literature has preserved several versions of the work: hymnic, metaphrastic, and synaxarion. The text is significant for many reasons: it reflects the political situation of Kartli in the second half of the 6th century, Christian preaching, legal practices, and more.

"The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" has been translated into English, Russian, and German at different times. The first translation of the work was done by M. Sabinin, who translated it into Russian in 1872. This translation was included in M. Sabinin's 1882 book Полное жизнеописание святых грузинской церкви under the title «Страдание святого мученика Евстафия Мцхетского». In 1901, Ivane Javakhishvili translated the work into German and published it in Berlin under the title Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha.

As for the English translation, in 1956 David Marshall Lang published a book titled Lives and Legends of the Georgian Saints, in which, along with translations of the lives of other Georgian saints, the Martyrdom of Eustathius of Mtskheta was also included under the title The Passion of St. Eustace the Cobbler. This interpretation of the title is not found in the Russian and German translations. When discussing The Martyrdom of Eustathius of Mtskheta, Lang notes that it is one of the most important works of original Georgian hagiography, providing extensive material on the political relations between Sasanian Iran and Christian Kartli. Additionally, attention is drawn to the perspectives of Archdeacon Samuel, the final words of

Eustathius, Christological issues, and so on. David Marshall Lang's translation is based on the text established by S. Qubaneshvili and I. Imnaishvili (Lang, 1976, 95). The translation is complete, with no sections omitted from the work.

Our presentation aims to compare the Georgian text of "The Martyrdom of Eustathius" of Mtskheta with its English translation. In our work, we will use methods of description, typological research, discourse analysis, and comparative analysis. We believe that with these research methods, it will be possible to identify the challenges that arise in translating monuments of Old Georgian literature into English and highlight the strategies translators use in dealing with such issues.

Keywords: *"The Martyrdom of Eustathius of Mtskheta", Georgian hagiography in translations, David Marshal Lang*

ლიანა ბითაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-0863-7965
liana.bitadze@tsu.ge, lia.bitadze@mail.ru

დავით ჭითანავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-2610-2094
davit.chitanava@tsu.ge

შორენა ლალიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0001-8229-7236
shorena.laliashvili@tsu.ge

რამაზ შენგელია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-3985-8536
r.shengelia@tsmu.edu

გვარ-სახელების პოლიმორფიზმი და მოსახლეობის მორფოლოგიური და გენეტიკური შემადგენლობა

თანამედროვე ანთროპოლოგიურ კვლევებში უფრო ხშირად მიმართავენ გვარსახელების გავრცელების არეალის ანალიზს, რადგან პოპულაციების ისტორიულ და გენეტიკურ მსგავსებას შორის გარკვეული პარალელები არსებობს. ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბების რეკონსტრუქცია არაერთ წყაროს (არქეოლოგიური, ანთრო-პოლოგიური, ეთნოლოგიური, ლინგვისტური, ისტორიული და სხვა) ემყარება. მათ რიგს განეკუთვნება თანამედროვე გვარსახელები, რადგან ის ინდიკატორია იმ სპეციფიკური ანთროპოლოგიური ნიშნებისა, რომლის მატარებელნი ეთნოსის

შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, ქმნიან მის ისტორიას, უზრუნველყოფენ გენეტიკურ პოლიმორფიზმს, გადაეცემიან თაობებს და გენეტიკურ მარკერად ყალიბდებიან. გვარსახელი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს გენეტიკური და დემოგრაფიული მაჩვენებლების ცვალებადობის შესასწავლად, რადგან მათ ახასიათებთ რაოდენობის ცვალებადობა დროში, ასევე გვარის მატარებელთა რიცხოვნობის შემცირება ან გაზრდა, რაც პოპულაციებში გენეტიკური შემადგენლობის შეცვლის თაობაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა და გვაფიქრებინებს, სხვადასხვა გვარის განსხვავებულ წვლილზე ეთნოსის გენეტიკური მრავალფეროვნების (პოლიმორფიზმის) შენარჩუნებაში.

გვარსახელების და ანთროპოლოგიის სხვადასხვა დარგის მონაცემების საფუძველზე განხილული ოჩამჩირის, გუდაუთის და გაგრის აბხაზების მორფოლოგიური იერი და გავრცელებული გვარსახელების ანალიზით (რომლის დაახლოებით 80% ქართულ გვარსახელებად განიხილება და გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში) აიხსნა ანთროპოლოგიური სისტემებით მიღებული ძალიან მაღალი მორფოლოგიური მსგავსება აფხაზებსა და ქართველებს შორის.

ეს ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვარსახელებს ანთროპოლოგიურ კვლევებში. გვარსახელი Y-ქრომოსომის დნმ მარკერების მსგავსად, თაობებს მამის ხაზით გადაეცემა და უტოლდება ერთ კოდომინანტურ გენეტიკურ სისტემით მიღებულ ინფორმაციას. ამდენად, გვარსახელი, ერთი მხრივ, არის სოციალური წარმონაქმნი, მეორე მხრივ, გენეტიკური მარკერის ანალოგი. ის, გენების მსგავსად (უფრო მართებულია ითქვას გენებთან ერთად), გადაადგილდება სივრცეში, დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებებს (მაგ. წარმოქმნის ახალ გვარსახელებს და ა. შ). ის გენებისაგან განსხვავებით, არ განიცდის მუტაციას. რჩება იგივე გენეტიკის მატარებელი, მხოლოდ ზრდის გვარსახელის სპექტრს (რაოდენობას). ასევე გვაწვდის ინფორმაციას ქორწინებითი კავშირების (ქორწინებითი მიგრაცია) შესახებ, იძლევა ქორწინებითი უპირატესობების შესწავლის შესაძლებლობას, განსაზღვრავს მოსახლეობის გენეტიკურ და მორფოლოგიურ პოლიმორფიზმს, ავლენს შესაძლო ინბრიდინგს. ითვლება, რომ გვარსახელის მატარებელთა რაოდენობა პოპულაციებში ექვემდებარება გენეტიკურ დრეიფს. გვარსახელების გენეალოგიური კვლევები, რომელშიც გვარი თავისი ქორწინებათა სისტემითა და გენოფონდით გენეტიკური მარკერად განიხილება, დიდ ინფორმაციას იძლევა ეთნოგენეზის შემადგენელი ყველა კომპონენტის შესახებ. იგი ასევე დიდ დახმარებას უწევს დნმ-მარკერების კვლევების ინტერპრეტაციას: Y-ქრომოსომის ცალკეული ჰაპლოჯგუფის სიხშირის, პირვანდელი არეალის და გავრცელების მიმართულების, გვართაშორის ნათესაური კავშირების დადგენის თვალსაზრისით, ასეთი კვლებები აქტუალური და პერსპექტიულია.

საკვანძო სიტყვები: *მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი, გვარი, დნმ-მარკერები, ქორწინებითი მიგრაცია.*

Liana Bitadze
Doctor of Historical Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of History and Ethnology
Head of the Anthropological Research Laboratory
Chief Scientific Employee
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-0863-7965
liana.bitadze@tsu.ge, lia.bitadze@mail.ru

Davit Chitanava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of History and Ethnology
Senior Researcher of Anthropological Research Laboratory
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-2610-2094
davit.chitanava@tsu.ge

Shorena Laliashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of History and Ethnology
Scientific Employee of the Anthropological Research Laboratory
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0001-8229-7236
shorena.laliashvili@tsu.ge

Ramaz Shengelia
Tbilisi State Medical University
Head of the History of Medicine and Bioethics Department
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-3985-8536
r.shengelia@tsmu.edu

Polymorphism of Surnames and Morphological and Genetic Composition of the Population

The analysis of the distribution area of surnames is increasingly used in modern anthropological research, as there are certain parallels between historical and genetic similarities of populations. The reconstruction of the formation of an ethnic group is based on various (archaeological, anthropological, ethnological, linguistic, historical, etc.) sources. Modern surnames belong to this series, as they are indicators of those specific

anthropological characteristics, bearers of which are an integral part of an ethnos and create its history; they provide genetic polymorphism, are transmitted from generation to generation and are formed as genetic markers. The surname is one of the most significant tools for studying the variability of genetic and demographic indicators, as they are characterized by the variability in quantity over time, as well as a decrease or increase in the number of surname carriers, which makes it possible to judge changes in the genetic composition of populations and the different contributions of different surnames in the preservation of genetic diversity (polymorphism) of an ethnos.

The very high morphological similarity between Abkhazians and Georgians, obtained on the basis of anthropological systems, was explained by the analysis of the morphological appearance and common surnames (about 80 % of which are considered Georgian and common in various regions of Georgia) of Abkhazians from Ochamchire, Gudauta and Gagra, which were studied on the basis of data from various branches of anthropology. This is a clear illustration of the importance attached to surnames in anthropological research. The surname, like the DNA markers of the Y chromosome, is passed down from generation to generation along the paternal line and is equal to the information received by one codominant genetic system. Thus, the surname is, on the one hand, a social formation, and on the other, an analogue of a genetic marker. It, like genes (or, more correctly, together with genes), shifts in space, changes in time (for example, it gives rise to new surnames, etc.). In contrast to genes, it is not subject to mutation. It remains the carrier of the same genetics, only increasing the spectrum (quantity) of the surname. It also gives us information about marital relations (marriage migration), allows us to study marital preferences, determine genetic and morphological polymorphism of the population, and identify possible inbreeding. It is believed that the number of surname carriers in a population is subject to genetic drift. Genealogical studies of surnames, in which the surname with its system of marriages and gene pool is considered a genetic marker, provide us with valuable information on each component of ethnogenesis. They also greatly help to interpret the results of DNA marker studies in terms of identifying the frequency, original area and direction of distribution of individual Y-chromosome haplogroups, as well as establishing family ties between different surnames. Such studies are relevant and promising.

Keywords: *Morphological and genetic polymorphism, surnames, DNA markers, marriage migration.*

ლიანა ბითაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-0863-7965
liana.bitadze@tsu.ge, lia.bitadze@mail.ru

ანახიტ ხუდოვერდიანი
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სომხეთის რესპუბლიკა
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი
ერევანი, სომხეთი
https://orcid.org/0000-0002-1458-783X
akhudaverdyan@mail.ru

შორენა ლალიაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
მკვლევარი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0001-8229-7236
shorena.laliashvili@tsu.ge

მარინე ჭკადუა
დამოუკიდებელი მკვლევარი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-2426-4006
makachkadua06@gmail.com

პიერა ალეგრა რასია
დამოუკიდებელი მკვლევარი
ვენეცია, იტალია
https://orcid.org/0000-0003-4538-4290
allegra.rasia@unive.it

ელენა როვა
კა' ფოსკარის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ვენეცია, იტალია
https://orcid.org/0000-0003-3053-1198
erova@unive.it; archeologia@unive.it

ფრანჩესკა ბერტოლდი
ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტი
მიწვეული პროფესორი
ვენეცია, იტალია
https://orcid.org/0000-0002-5034-8844
francescabertoldi@unive.it;
francescabertoldi@hotmail.com

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის პალეოდემოგრაფია შედარებით ასპექტში

ნაშრომში პირველადაა განხილული, სამხრეთ კავკასიის გვიანი ბრინჯაოს-ადრე რკინის ხანის მოსახლეობის დემოგრაფიული პროფილი. კვლევაში ჩართულია სამ-სამი პოპულაცია საქართველოდან და სომხეთიდან. კერძოდ, მცირე ამონარიდი საქართველოში გათხრილი დოღლაურის, საფარ-ხარაბას, წეროვანის და სომხეთში – ბარცრიალის, ბოვერისა და ბაგერი ჭალის სამაროვნებიდან. დოღლაურის და წეროვანის სამაროვანი მდებარეობს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, შესაბამისად თანამედროვე ქარელისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, ხოლო საფარ-ხარაბა, ქვემო ქართლის წალკის მუნიციპალიტეტში. საქართველოს სამაროვნებისგან განსხვავებით, ბარცრიალის, ბოვერისა და ბაგერი ჭალის სამაროვნები, სომხეთის ერთი ადგილობრივი მხარის – ლორის 3 ნეკროპოლისიდანაა.

ასეთი შორეული ეპოქის მასალის შედარებითი ანალიზი ჩვენთვის საინტერესოა იმის გამო, რომ საქართველოსა და სომხეთის თანამედროვე სახელმწიფო საზღვარი

სამხრეთით ლორის მხარეზე გადის და რადგან პალეოდემოგრაფიული კვლევები მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა უძველესი მოსახლეობის შესახებ, როგორიცაა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, გარდაცვალების საშუალო ასაკი, ანუ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სქესთა შეფარდება, გარდაცვლილთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლვობა დაბადებისას. ასევე შესაძლებელია შევაფასოთ პოპულაციის ყველა ასაკობრივი კატეგორიის მოკვდაობის გარდა, გადარჩენის ალბათობა, თაობის ხანგრძლივობა, ოჯახის საშუალო სიდიდე, ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი და ა.შ. ამ პარამეტრებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ უძველეს დროში, თუ როგორი იყო სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის დემოგრაფიული პროფილი, სოციო-კულტურული და ბიოლოგიური ადაპტაცია.

მოვახდინეთ, დოღლაურის, საფარ-ხარაბას, წეროვანის სამაროვნებზე დაკრძალული მოსახლების დემოგრაფიული მახასიათებლების შედარება, ასევე ბარცრიალის, ბოვერისა და ბაგერი ჭალის სამაროვნებზე დაკრძალული მოსახლეობის ურთიერთეთ შედარება და ბოლოს, დავადგინეთ, სამხრეთ კავკასიის გვიანი ბრინჯაოს – ადრე რკინის ხანის მოსახლეობის დემოგრაფიული პროფილი. ჩვენი კვლევით გაირკვა, რომ რიგი პარამეტრებით ძალიან დიდი განსხვავება აღინიშნება: გარდაცვალების საშუალო ასაკი, როგორც ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით, ასევე მის გრეშე; მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბადებისას; ოჯახის სიდიდე; პოპულაციაში ინდივიდთა პროცენტი 15 წელს ზემოთ და 50+ ასაკში მყოფი ინდივიდების პროცენტი. განსხვავებულია ბავშვთა მოკვდაობის პროცენტი. უფრო ვიწრო ფარგლებში ცვალებადობს თაობების ხანგრძლივობა (25-28 წელი). გარდაცვალების ალბათობა ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო გადარჩენის ალბათობა მცირდება. აღნიშნული მოკვდაობის და გადარჩენის მრუდეები ერთი ტიპისაა, ხოლო ამ შემთხვევაშიც ყველა პოპულაციაში ეს პროცესები სხვადასხვა სიჩქარით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლორის მოსახლეობა, რომლებიც სამ სხვადასხვა სამაროვანზე იკრძალებოდნენ რიგი დემოგრაფიული მახასიათებლებით მსგავსი არიან ერთმანეთთან, ასევე დოღლაურის, საფარ-ხარაბას და წეროვნის მოახლეობა, თუმცა წეროვანის და ბარცალის მოსახლეობა უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთთან უფრო ახლო მასავსებას ავლენენ. საინტერესო ფაქტის ახსნა იქნება შესაძლებელი არქეოლოგიური კონტექსტის და გენეტიკური მონაცემების შუქზე, რაც მომავალი კვლევის ამოცანას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *პალეოანთროპოლოგია, პალეოდემოგრაფია, გვიან ბრინჯაო, ადრე რკინა, სამხრეთ კავკასია.*

Liana Bitadze

Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Head of the Anthropological Research Laboratory, Chief Scientific Employee
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-0863-7965
liana.bitadze@tsu.ge
lia.bitadze@mail.ru

Anahit Khudaverdyan

Institute of Archaeology and Ethnography, National Academy of Science
Republic of Armenia
The Group of Archaeology, Senior Researcher
Erevan, Armenia
https://orcid.org/0000-0002-1458-783X
akhudaverdyan@mail.ru

Marine Chkdua

National Museum of Georgia
Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-2426-4006
makachkadua06@gmail.com

Piera Allegra Rasia

Researcher
Venezia, Italy
https://orcid.org/0000-0003-4538-4290
allegra.rasia@unive.it

Elena Rova

Università Ca' Foscari
Associate Professor
Venezia, Italy
https://orcid.org/0000-0003-3053-1198
erova@unive.it; archeologia@unive.it

Shorena Laliashvili

Georgian National Museum
Scientific Employee of the Laboratory of Anthropological Research
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0001-8229-7236
shorena.laliashvili@tsu.ge

Francesca Bertoldi

Università Ca' Foscari
Contract Professor
Venezia, Italy
https://orcid.org/0000-0002-5034-8844
francescabertoldi@unive.it;
francescabertoldi@hotmail.com

Paleodemography of the Late Bronze-Early Iron Age Populations of the Southern Caucasus in a Comparative Study

This paper is the first to examine the demographic profile has the aim of examining demographic profiles and trends in the populations of South Caucasus in the Late Bronze-Early Iron Ages.

Here are represented by populations from the burial grounds of Doglauri (n=32), Safar-Kharaba (n=39), Tserovani (n=44) from Georgia and Bardzryala (n=44), Bover (n=55) and Bageri Chala (n=32)) from Armenia. The cemeteries of Doglauri and Tserovani are located on the territory of Shida (Inner) Kartli in the Karelian and Mtskheta

municipalities, respectively, and sSafar-Kharaba in the Tsalka municipality of Kvemo (Lower) Kartli. Unlike the Georgian cemeteries Bardzryal, Bover and Bageri, three Armenian necropolises are located in the Lori region of Armenia.

The comparison of this material from such a distant period is extremely interesting for us because in antiquity the sites belonged to the same territory with no modern geographical borders to separate the two countries. Paleodemographical studies provide important information about ancient populations, such as the sex and age structure of the population, mean age at death, life expectancy, sex ratio, life expectancy at birth. In addition to the mortality of all age groups of the population, the probability of survival, generation length, average family size, and infant mortality, can also be estimated. The demographic profile of the populations and their socio-cultural adaptation in the South Caucasus in antiquity can be judged estimated from these parameters.

In this study, we compared the demographic characteristics of the inhabitants buried in the cemeteries of Doglauri, Safar-Kharaba, Tserovani, as well as in the cemeteries of Bardzryal, Boveri and Bageri Chala, and finally, we determined the demographic profile of the Late Bronze-Early Iron populations of the South Caucasus. research has shown that there is a very large variation in some parameters: in the distribution of mean age at death, both considering and not considering child mortality, in life expectancy at birth, in mean family size, in the percentage of individuals aged 15 years and older, as well as in the percentage of individuals over 50 years of age; in the percentage of child mortality and, within narrower limits (25-28 years), in the variation in generation length. There is a general trend: the probability of death increases with age, and the probability of survival, on the contrary, decreases The survival and mortality curves mentioned are of the same type, but these processes proceed at different rates in all populations.

It is also worth noting that the Lori populations buried in the three different cemeteries are similar in several demographic characteristics, as are the Doglauri, Safar-Kharaba and Tserovni populations, although the Tserovani and Bardzryal populations are the closest to each other. This interesting fact could be explained in the light of archaeological context and genetic data, which is a task for future research.

Keywords: *Paleoanthropology, Paleodemography, Late Bronze-Early Iron, South Caucasus.*

ნანა ბურჭულაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მაცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
ORCID: https://orcid.org/0009-0002-3689-1397
Nanaburchuladze23@gmail.com

ასურელ მამათა გამოსახულებები ანანურის კედლის მხატვრობაში

ასურელ მამათა გამოსახულებები VII საუკუნიდან ჩნდება ქართულ ხელოვნებაში. მათგან უადრესია მათი წინამძღოლის, იოანე ზედაზნელის გამოსახულება, რომელიც ზედაზნის ეკლესიის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი. მას ქრონოლოგიურად მოსდევს დავით გარეჯელის ციკლის ამსახველი X და XI საუკუნეების ფრესკები გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის სადიაკვნესა და დარბაზში, სადაც წმინდანის უდაბნოში დამკვიდრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებია ასახული მის მიერ აღსრულებული სასწაულების ჩათვლით. წმ. მამის რეპრეზენტაციული გამოსახულებაა მოცემული ამავე მონასტრის სატრაპეზოშიც (XI ს). წმ. შიო მღვიმელის რელიეფური გამოსახულება ჩნდება შიომღვიმის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის XI საუკუნის კანკელის ფილაზე. XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დასაწყისში ასურელი მამები იხატებიან ვარძიის, ყინწვისის, ახტალის ტაძრების ინტერიერებში წმ. შიო და წმ. დავითია ნახატი სხვა ქართველ წმინდანებთან ერთად XIV საუკუნის მრავალკარედ ხატზე, რომელიც ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში და ა. შ.

ზემოხსენებულ ძეგლებში ღირსი მამები ან ცალკე, ან მათი გუნდის კიდევ ერთ, ან ორ წევრთან ერთად არიან გამოსახული. რაც შეეხება მათ ერთად ჩვენებას – ყველაზე ადრეული ასეთი გამოსახულება გვაქვს ანანურის ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობაში. იქ, წმ. მამების ¾ სიმაღლით მოცემული ფიგურები რვაწახნაგა ბურჯის აღმოსავლეთ მონაკვეთის 4 წახნაგზე 3-3 რიგადაა განაწილებული. ყველა ერთნაირადაა შემოსილი და ყველას ახლავს საიდენტიფიკაციო წარწერები. საყურადღებოა, რომ მათი პორტრეტები ცალცალკეა მოჩარჩოებული და ისე გამოიყურებიან როგორც ერთმანეთის გვერდზე დაკიდებული ხატები.

ანანურის ტაძარში სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში და ჩრდილოეთ ბურჯზეც ასევე ხატებივით არის ნახატი „დღე განკითხვისა“ და წმ. მეომრების გამოსახულებები. ინტერიერის ნაწილობრივი მოხატულობის მსგავსი მაგალითი გვხვდება ერთაწმინდის ტაძარშიც, რომელიც თარიღდება XVII საუკუნის შუა წლებით და იერუსალიმიდან ჩამოყვანილი მხატვრის მიერაა შესრულებული. ეს გარემოება ირიბი საბუთია ანანურის მხატვრობის თარიღის განსაზღვრისთვის. ამგვარდათარიღებას ამყარებს ანანურის მხატვრობის შედარება გარეჯის ლავრის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის კანკელის ფრაგმენტებზე შემორჩენილ მხატვრობასთან „ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა“ და „ქრისტეშობის“ სცენებით.

ანანურის წმ. მამათა პორტრეტების უახლოესი სტილურ-იკონოგრაფიული პარალელია საქართველოს საპატრიარქოში დაცული, ასურელ მამათა სულიერი წინამძღოლის, წმ. სვიმეონ უმცროსის (საკვირველმოქმედის) ხატი. იგი იმდენად ჰგავს ანანურის წმ. მამათა გამოსახულებებს, რომ შესაძლოა ისინი ერთი ოსტატის მიერაც იყოს დახატული.

ანანურის წმ. მამათა პორტრეტებთან სტილურად ახლოსაა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციის XVII საუკუნის რამდენიმე ფერწერული ხატიც: საუფლო დღესასწაულები შიომღვიმიდან, „წმ. ესტატე პლაკიდა“ ყარაბულახიდან და „გაბრიელ მთავარანგელოზი“ მჭადიჯვრიდან, რომლებშიც სრულიად აშკარაა აღმოსავლეთ ქრისტიანული (სირიულ-პალესტინური) ფერწერისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებები.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ანანურის მოხატულობაც ტაძრის აგებისთანავე, XVII ს-ში უნდა იყოს შესრულებული. მისი თავისებურებების მიზეზის ასახსნელად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ XVII ს-ის 60-იან წლებში საქართველოში ორჯერ იმოგზაურა და იცხოვრა კიდეც ანტიოქიის მელქიტმა პატრიარქმა მაკარიოს III-მ, რომლის ამალაში შედიოდნენ ხატმწერებიც (მათ შორის იყო მისი ვაჟიც, არქიდიაკონი პავლე ალეპოელი). ცხადია ამ ფაქტს გავლენა უნდა მოეხდინა ქართულ საეკლესიო მხატვრობაზე და ამიტომაც, XVII საუკუნის მონუმენტურ და დაზგურ ფერწერაში ჩნდება მელქიტური მხატვრობის გავლენით შექმნილი ნაწარმოებები, რომელთა ჯგუფს ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო 12 ასურელი მამის პორტრეტები ანანურის ტაძარში.

აქვე დავსძენთ, რომ 12 ასურელი მამა ერთადაა გამოსახული ხელოვნების მუზეუმში დაცულ XVIII საუკუნის მცირე ზომის ფერწერულ ხატზეც შიომღვიმიდან, რომელიც მნიშვნელოვნად სხვაობს იმ, მელქიტური მიმართულების ნამუშევრებისგან, რომელთაც მიეკუთვნება ანანურის ფრესკული „ხატები“.

საკვანძო სიტყვები: *შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნება, ეროვნული წმინდანები, ასურელი მამები, ანანურის კედლის მხატვრობა*

Nana Burchuladze

PhD of Art Studies
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Fellow
Tbilisi, Georgia
ORCID: https://orcid.org/0009-0002-3689-1397
Nanaburchuladze23@gmail.com

Depictions of the Assyrian Fathers in the Wall Paintings of Ananuri

Images of the Holy Assyrian fathers from the 7th century to the late Middle Ages can be found in almost all branches of Georgian ecclesiastic art – in stone reliefs, murals, icon painting, and manuscript illumination. In most cases, they are represented either individually or together with one or several members of their brotherhood.

The joint image of their team can be found only in the 17th century – in wall paintings of the Ananuri church of the Dormition of the Virgin. There are ¾ height figures of all Assyrian fathers distributed in three rows on the four sides of the eastern section of one octagonal pillar under the dome in the northern part of the building. They are dressed in the same way there and all of them have identification inscriptions in Georgian "Mkhedruli." It is noteworthy that their portraits are framed separately and look like icons hanging next to each other.

There are also icon-like images of "Last judgment" and of St warriors in the south and north walls of the building and the second pillar, which is quite rare in Georgian monumental paintings. An example of this kind of partial painting of the interior can also be found in Ertatsminda church, which dates back to the middle of the 17th century and was made by an artist brought from Jerusalem.

This circumstance is indirect evidence for determining the date of Ananuri's painting. The same can be said about the 17th-century painted icons from the collections of the Georgian National Museum and the Patriarchate of Georgia, which are closest parallels to the images we are interested in.

According to the abovementioned, the painting of Ananuri must have been done immediately after the construction of the temple, in the second half of the 17th century. The fact that in the sixties of the century, the Melkite Patriarch Makarios III

of Antioch traveled and even lived in Georgia twice, whose entourage included icon painters is important in explaining the reason for its peculiarities.

This fact must have influenced Georgian ecclesiastic art, and therefore, in the monumental and easel paintings of the 17th century, there are works created under the influence of Melkite's paintings, the group of which includes the portraits of Asyrian fathers in the Ananuri.

Keywords: *Medieval Christian Art of Georgia, National Saints, Assyrian Fathers, Wall Paintings of Ananuri*

მზია ბუსკივაძე

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-9094-6291
Mzisa.buskivadze@tsu.ge

„ახალი დროის“ „ახალი ადამიანები“ თურქი ავტორების აჰმედ ჰამდი თანფინარისა და ოღუზ ათაის რომანებში („სიმშვიდე“ და „ხელმოცარულები“)

ისტორიული გარემო, სოციალურ-კულტურული არეალი დიდწილად განაპირობებს ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. თურქული ლიტერატურის განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ისტორიულ და პლიტიკურ არჩევანთან. ერთი მხრივ შიდა ლიტერატურული პროცესები, მეორე მხრივ გარე ლიტერატურული ფაქტორები თურქული ლიტერატურის ამბივალენტურ ხასიათს განაპირობებს. საზოგადეობაში აკუმულირებული ნორმები, თავის მხრივ ამავე საზოგადოების ქცევის წესებს განსაზღვარს. კულტურული ნორმები, წეს-ჩვეულებები, რელიგიური შეხედულებები, ტრადიციები უპირველეს ყოვლისა საზოგადოების სააზროვნო სისტემის განმაპირობებელია. ლიტერატურა მხატვრული ტექსტის დონეზე აღნიშნულ საკითხებს სხვადასხვა კუთხით და ინტენსივობოთ განიხილავს და აანალიზებს. მე-20 საუკუნემ კაცობრიობას პროგრესიც მოუტნა და ორი მსოფლიო ომიც. რამაც თავის მხრივ კაცობრიობა ყოფასა და ყოფის აბსურდულობაზე დააფიქრა. თურული საზოგადეობისათვის მე-20 საუკუნე მოდერნიზაციისა და ევროპეოზაციის უწყვეტი პროცესით აღინიშნება. აღნიშნული პროცესი სათავეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს. პოლიტიკური და ისტორიული აუცილებლობით განპირობებული პროევროპული კურსი თურქული საზოგადოების დუალისტური განწყობის საფუძველთა საფუძველია. მე-20 საუკუნეში თურქულ ლიტერატურაში ჩნდება ინტელექტულთა კლასი, რომელიც ცდილობს წარსულის საუკეთესო გამოცდილება საზოგადოების მორალური განვითარების საზომად გამოიყენოს. ევროპული ღირებულებების ზედაპირული გადმოტანა საზოგადეობის ჯანსაღ განვითარებას დიდწილად აფერხებს. აჰმედ ჰამდი თანფინარი რომანში “სიმშვიდე” თურქი ინტელექტუალების სახეს გვიხატავს, რომელთაც შინაგანი ჰარმონია დარღვეულია აქვთ. აღნიშნული რღვევის პროცესი ახლისა და ძველის, წარსულისა და აწყმოსა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუდმივი კონფლიქტის შედეგია. საზოგადოების „ზღურბლისმიერი“ მდგომარეობა არჩევანის გაკეთებას ძალიან ართულებს. აჰმედ ჰამდი თანფინარის გმირები დროსთან ჰარმონიულ ურთიერთობაში ხედავენ გამოსავლას. ახალი ეპოქა, ახალი გამოწვევები, საზოგადოებისგან ფეხის აწყობს მოითხოვს. მწერლი თვლის, რომ “ახალი ადამიანი” თავად უნდა ბატონობდეს დროზე. წარმატებით აჯერებდეს ეროვნულ და ევროპულ ღირებულებს. ოღუზ ათაი კი ბურჟუაზიული კლასის

ფსევდოღირებულბების წინააღმდეგია. ფულის პრიმატზე აღმოცენებული საზოგადოება მორალური კუთხით განიცდის რღვევას. ოღუზ ათაის რომანის „ხელმოცარულები“ გმირი, სელიმ იშიქი, ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელია, რომელიც ამ კლასის ღირებულებით სისტემას ვერ ეგუება და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. თვითმკვლელობა ერთგვარი მეთოდია, რომელიც მისი მეგობრების, განსაკუთრებით თურგუთ ოზბენის, თვითგამორკვევის მიზეზი ხდება. აჰმედ ჰამდი თანფინარი და ოღუზ ათაი, ახალი ეპოქის „ახალი ადამიანების“ შინაგან და გარესამყაროსთან კონფლიქტს პროტაგონისტების თვითრეფლექსიის მეშვეობით გვაჩვენებენ. მწერლები ინდივიდზე კონცენტრირდებიან და მათ სულიერ კრიზისს ეპოქის ზოგად კრიზისად წარმოადგენენ.

საკვანძო სიტყვები: *ახალი დრო, ახალი ადამიანი, თურქული ლიტერატურა, რომანები „სიმშვიდე“ და „ხელმოცარულები“, აჰმედ ჰამდი თანფინარი, ოღუზ ათაი.*

Mzisa Buskivadze

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-9094-6291
Mzisa.buskivadze@tsu.ge

“New People” of the “New Time” in the Novels by Ahmet Hamdi Tanpinar and Oguz Atay (“A Mind at Peace” and “The Disconnected”)

The historical environment and sociocultural situation greatly influence the formation and development of the literature. The development of Turkish literature is directly related to the country's historical and political choices. Internal literary processes on one hand and external literary factors – on the other result ambivalent nature of Turkish literature. Norms accumulated in society, in turn, determine the rules of behavior of the same society. Cultural norms, customs and habits, religious beliefs, and traditions, are primary determinants of the society’s thinking system. The literature considers and analyses the mentioned issues at the level of fictional text, in different respects and with different intensities. 20th century has brought to mankind progress, as well as two wars that, in turn, made mankind to think about being an absurdity of being. For Turkish society, 20th century was distinguished by the uninterrupted process of modernization and Europeanization. The mentioned process originated from the second half of the 19th century.

Pro-European orientation conditioned by political and historical necessity was the main basis of the dualist attitude of Turkish society. In the 20th century, a class of

intellectuals emerged in Turkish literature, they attempted to use the best experience of the past as the measure of the society's moral development. Superficial adoption of European values mostly delays the healthy development of society. Ahmet Hamdi Tanpinar, in his novel “A Mind at Peace”, describes the Turkish intellectuals whose internal harmony was disturbed. The process of the mentioned disturbance results from eternal conflict between the new and old, past and present, east and west. The society’s position at the“threshold” greatly complicates the choice. Characters of Ahmet Hamdi Tanpinar see the solution in harmonic relation with time. New epoch, new challenges require keeping pace. The writer regards that a“new individual” should dominate over time, and successfully integrate the national and European values.

And Ogyz Atay was against the pseudo-values of the bourgeois class. Society fostered on the primate of money degrades in moral respect. The character of Oguz Atay’s novel “The Disconnected”, Selim Isik is a representative of the bourgeois class and he cannot accept the system of values of that class, ending up with suicide. Suicide is some kind of method that became the cause of self-determination for his friends, especially for Turgut Ozben. Ahmet Hamdi Tanpinar and Oguz Atay demonstrate, through self-reflection of the protagonists of the conflict between the internal and external worlds of the “new individuals” of the new time. The writers concentrate on the individuals and present their mental crisis as the general crisis of the epoch.

Keywords: *New People, New individual, Turkish literature, novels “A Mind at Peace” and “The Disconnected”, Ahmet Hamdi Tanpinar, Oguz Atay.*

ლევან გელაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
levancinema6@gmail.com

ქართული ავანგარდიზმის კინოასპექტები

2024 წელს ჟურნალ H2SO4-ის გამოცემიდან ასი წელი შესრულდა და ქართველი ფუტურისტების შემოქმედება, რომელიც თავიდანვე გამოირჩეოდა ინოვაციური და ექსპერიმენტული გამოცდილებით, აქტუალური გახდა. ჩვენ შევეცადეთ, მოხსენების ფარგლებში ყურადღება გაგვემახვილებინა ქართველი ფუტურისტების შემოქმედების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე, რომლებიც საყურადღებოა კინონარატოლოგიური თვალსაზრისით. კერძოდ, შევისწავლეთ მათი შემოქმედება ცეცხლის მითოლოგემის, კინომონტაჟისა და კინოს გამომსახველობითი ხერხების ლიტერატურაში გადატანის კუთხით. ამასთან ერთად, ბოლშევიკი პოეტების ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე, შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა ზოგადად XX საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურულ პროცესები და მათი ავანგარდისტული ბუნება.

საკვანძო სიტყვები: *ავანგარდიზმი, ქართული ავანგარდიზმი, ჟურნალი H2SO4, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა*

Levan Gelashvili

PhD in Philology
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Research Fellow
Tbilisi, Georgia
levancinema6@gmail.com

Cinematic Aspects of Georgian Avant-garde

This year marks the centenary of the journal H2SO4, making the work of Georgian futurists, renowned for their innovative and experimental approach, even more relevant today. This paper aims to highlight several significant aspects of Georgian futurist works that are particularly interesting from a film studies perspective. Specifically, we examine their work regarding the myth of fire, film montage, and the transfer of cinematic techniques into literature. Furthermore, using the example of the literary texts of Bolshevik poets, we attempt to analyze the literary processes of the 1920s in general and their avant-garde nature.

Keywords: *Georgian Avant-garde, the journal H2SO4, 20th-century Georgian Literature.*

ნანა გელაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-2293-2637
nana.gelashvili@tsu.ge

XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის მირ თემურ მარაშის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის

საქართველოსა და ირანის ისტორიული ურთიერთობების ამსახველი ცნობები სხვადასხვა ენაზე არსებულ წერილობით წყაროშია დაცული. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპარსული საისტორიო თხზულებები. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ორ ქვეყანას შორის საუკუნეთა მანძილზე არსებული მჭიდრო ურთიერთობებით, რომელიც უმეტეს წილად მტრულ ხასიათს ატარებდა. თუმცა, მათ შორის იყო მშვიდობიანი დიპლომატიური, კულტურული და კომპრომისული ურთიერთობების პერიოდებიც. როგორც ცნობილია, XVI-XVII საუკუნეებში საქართველო პერმანენტულ რეჟიმში ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ომების ერთ-ერთ მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა, რაც სამეფოებად დანაწევრებული ქვეყნის მდგომარეობას უაღრესად ამძიმებდა, ეკონომიკურ და კულტურულ დეგრადაციას იწვევდა. შესაბამისად, უკანა პლანზე იყო გადაწეული კულტურული და სულიერი ფასეულობებიც. საქართველოში არსებული კრიზისული ვითარებისგან განსხვავებით, სეფიანთა ირანი იმხანად მძლავრ იმპერიას წარმოადგენდა, სხვადასხვა დარგების წარმატებით განვითარებასთან ერთად, აყვავების ზენიტში იყო სპარსული საისტორიო მწერლობაც. ამიტომაც იყო, რომ მოგვიანო პერიოდის ქართველი მემატიანეები XVI და XVII საუკუნის I ნახევრის საქართველო-ირანის ურთიერთობათა ამსახველი მოვლენების გადმოცემისას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სპარსული წერილობითი წყაროებით სარგებლობდნენ, რომელთა ავტორები თავიანთ ნაშრომებში აღწერილი ამბების თანამედროვენი ან თანამონაწილენი იყვნენ.

სპარსულ წერილობით წყაროთა მოძიებისა და კვლევის აქტუალურობიდან გამომდინარე, მათი უმეტესობა კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა გარკვეული ნაწილი კვლავაც შესწავლას და სათანადოო კრიტიკული ანალიზის შედეგად, სამეცნიეროო მიმოქცევაში შემოტანას საჭიროებს. მათგან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს XVII საუკუნის ირანელი მემატიანის მირ თემურ მარაშის ნაშრომი „მაზანდარანის მარაშის საგვარეულოს ისტორია“, რომელიც სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველ მდიდარ ფაქტობრივ მასალასთან ერთად, საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველი დიდებულების შესახებ. ამჯერად ჩვენი ყურადღება ფოკუსირებულია ხსენებულ ნაშრომში დაცულ ერთ ცნობაზე, რომელიც ეხება იმ მოვლენებს, რომლებიც განვითარდა ირანში შაჰ აბას I-ის გარდაცვალების დროს. კონკრეტულად, საკითხი ეხება როსტომის (იგივე ხოსრო-მირზა ბაგრატიონის) პოზიციას და მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შაჰ აბასის შვილიშვილის – სამ-მირზას გამეფებასთან დაკავშირებით. ინფორმაცია საყუ-

რადღებო და საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შესახებ ავტორი გვაწვდის სრულიად განსხვავებულად ცნობებს, რომლის მსგავსი სხვა წყაროებში არ ფიქსირდება. კერძოდ, ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ და რატომ ეწინააღმდეგებოდა ხოსრო-მირზა სამ-მირზას გამეფებას. თუმცა, საბოლოოდ სწორედ მისი დასტურით მოხდა ხსენებული უფლისწულის სეფიანთა სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ასვლა შაჰ სეფი I-ის სახელით.

მირ თემურ მარაშის ნაშრომში დაცული ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია შეჯერებულია პარალელური ცნობების შემცველ სხვადასხვა ენაზე არსებულ წერილობით წყაროებთან. მათი კრიტიკული ანალიზის და ასევე კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოვლენების ლოგიკურად განვითარების გათვალისწინების საფუძველზე, ნაშრომში გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ირანი, საქართველო, ხოსრო-მირზა, შაჰ აბას I, სამ-მირზა.*

Nana Gelashvili

PhD in Historical Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-2293-2637
Nana.gelashvili@tsu.ge

For the Interpretation of One Piece of Information from the 17th century Iranian Historian – Mir Temur Marashi

Information about the historical relations between Georgia and Iran is preserved in written sources in different languages. Persian historical writings are especially important. This is primarily due to the close historical relations between the two countries, which were mostly hostile. However, there were also periods of peaceful diplomatic, cultural and compromise relations between them. This is primarily due to the centuries-old historical relations between the two countries, which were mostly hostile. However, there were also periods of peaceful diplomatic, cultural and compromise relations between them. As is known, in the XVI-XVII centuries, Georgia was one of the main arenas of ongoing wars between Iran and the Ottoman Empire, which greatly aggravated the situation of the country divided into kingdoms, and caused economic and cultural degradation. Accordingly, cultural and spiritual values were pushed to the background. In contrast to the crisis in Georgia, Safavid Iran was a powerful empire at that time, along with the successful development of various fields, Persian historical writing was also at the zenith of prosperity. Therefore, the Georgian chroniclers of the later period, when narrating the events of

relations between Georgia and Iran in the 16th and the first half of the 17th centuries, primarily used exactly Persian written sources, whose authors were contemporaries or participants of the events described in their works.

Due to the actuality of searching and researching Persian written sources, most of them are well-known in Georgian historiography. However, a certain part still needs to be studied and brought into scientific circulation as a result of proper critical analysis. Among them, deserves special attention the work of Mir Temur Marashi, an Iranian chronicler of the 17th century, "The History of the Mazandaran Marashi family", which, along with rich factual material depicting the political, socio-economic and cultural spheres of the Safavid state, contains interesting information about Georgia and Georgian nobles living in Iran. This time, our attention is focused on one account preserved in the mentioned work, which relates to the events that developed in Iran at the time of the death of Shah Abbas I. Specifically, the issue refers to the position of Rostom (the same Khosro-Mirza Bagrationi) and the measures implemented by him regarding the enthronement of the grandson of Shah Abbas - Sam-Mirza. The information is noteworthy and interesting from the point of view that the author provides completely different information about this important historical event, the like of which is not recorded in other sources. In particular, the work describes in detail how and why Khosro-Mirza opposed the enthronement of Sam-Mirza. However, in the end, it was with his confirmation that the above-mentioned prince ascended the throne of the Safavid state in the name of Shah Safi I. The information of our interest preserved in Mir Temur Marashi's work is compared with written sources in different languages containing parallel references. Based on their critical analysis and also taking into account the logical development of events in a specific historical situation, relevant conclusions are drawn in the paper.

Keywords: *Iran, Georgia, Khosro-Mirza, Shah Abbas I, Sam-Mirza.*

მარიამ გველესიანი

საქართველოს უნივერსიტეტი
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0007-2448-6243
mar.gvelesiani@ug.edu.ge

სახელისუფლო ძალაუფლების ამსახველი სასანური მოტივების იკონოგრაფიული ძიებანი ქართულ ხელოვნებაში

საქართველოს, მასთან ისტორიულად დაკავშირებულ ქვეყნებს შორის, ირანთან ჰქონდა ყველაზე გრძელვადიანი და უწყვეტი ურთიერთობა, რასაც სათავე დაედო აქემენიანთა მმართველობის ხანიდან და გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. ამას მოწმობს როგორც ისტორიული წყაროები, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლები. აქემენიანთა ეპოქაში, სასანიანთა გამეფებამდე ანუ ძვ. წ. VI საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე საქართველოს ურთიერთობას ირანთან მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

გვიანანტიკურ ხანაში სასანელთა იმპერიას უპირისპირდება რომის იმპერია, რომლის აღმოსავლეთისაკენ თანდათანობითი ექსპანსიის პროცესმა კულმინაციას ახ.წ. III ს-ის ბოლოს მიაღწია. ახ. წ. III საუკუნეში სასანიანთა იმპერიის დაარსებიდან ოთხასი წლის მანძილზე ქართლის სამეფო ირანის პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ ექცევა, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა IV საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა რომაელთა გავლენები შესუსტდა, რასაც შედეგად მოჰყვა ქართლზე ირანელთა გაბატონება. შესაბამისად, ქართლის სამეფო ირანის პოლიტიკური ინტერესების სფეროში იყო ქვეყნის ოფიციალურად გაქრისტიანების შემდგომაც.

სასანური ირანის დაპყრობითმა პოლიტიკამ განაპირობა ქართლის კულტურული ექსპანსიაც, და ამიტომაცაა, რომ ქართლის დაუმორჩილებლობა დამპყრობთა მიმართ, უპირველესად ახალი, ქრისტიანული რელიგიის მიმდევრობითა და სასანელთა ზოროასტრული (მაზდეანური) რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით წარიმართა. როგორც იმჟამინდელი ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ასევე სახვითი ხელოვნების მრავალდარგოვანი ნიმუშები ცხადჰყოფს იმ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებს, რასაც ადგილი ჰქონდა იმ დროს ქართლში: ესაა რელიგიური დუალიზმი, გამოხატული ცეცხლთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანული რელიგიის თანაარსებობის სახით. ამას, უპირველესად საკუთრივ ქართლის მმართველი დინასტიის პოლიტიკა განაპირობებდა – ის სასანური, მაზდეანური წარმომავლობისა იყო, თუმცა იმავდროულად მიმღები ახალი, ქრისტიანული სარწმუნოებისა.

იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ნიშნებმა თავი იჩინა ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებში, რომელთა უმრავლესობა ან ადგილობრივ, ან სასანელ მმართველებსა თუ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირთ, ან მათ

დიპლომატიურ სასაჩუქრე ნივთებს წარმოგვიდგენს. მათ იკონოგრაფიაში თვალსაჩინოა სასანური ელემენტების ჩართვა და მათი სინთეზი ქრისტიანულ მოტივებთან.

მოხსენებაში მომიხილულია გვიანანტიკური და ადრექრისტიანული ხანის სახვითი ხელოვნების ზოგიერთი ის ნიმუში, რომელთა იკონოგრაფიაში გამოვლენილმა სასანურმა ელემენტებმა გამოძახილი ჰპოვა ქართულ წერილობით წყაროშიც (სასანური ბულა ლომის მუზარადიანი მმართველის გამოსახულებით უფლისციხიდან/ვახტანგ გორგასლის გარეგნული იერ-სახის აღწერილობა), განხილულია ამ იკონოგრაფიის ელინისტური საწყისები; გაანალიზებულია ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ფართოდ დამკვიდრებული "აყვავებული ჯვრის" დეტალის – სასანური "გაშლილი ფრთების" (ნუმიზმატიკურ მასალაში წარმოდგენილ სასანელ მეფეთა ფრთოსანი გვირგვინი) შინაარსობრივ-სემანტიკური მხარე; მოხმობილია მისი ქრისტიანულ ხელოვნებაში ტრანსფორმაციის ფორმები როგორც ქართულ, ასევე სასანელთა იმპერიის კონტროლქვეშ მოქცეული სხვა ქვეყნების ნიმუშთა მაგალითზე, და სხვ.

ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ დროს ედება სათავე ქრისტიანული სიმბოლიკის თუ ატრიბუტიკის დამკვიდრებას, რაც საქართველოს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას, წარმოგვიჩენს ახალი რელიგიის სახვითობის იმ უადრესი პლასტების მატარებლად, რომლის მსაზღვრელადაც, ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკური თუ რელიგიური იდენტობა გვევლინება.

საკვანძო სიტყვები: *ქართლის სამეფო, სასანური ირანი, ინსიგნია, ღვთაება ვერეთრაგნა, ნუმიზმატიკა, იკონოგრაფია, „აყვავებული ჯვარი".*

Mariam Gvelesiani

PhD in Cultural History
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0007-2448-6243
mar.gvelesiani@ug.edu.ge

Iconographic Research of Sasanian Motifs of Supreme Authority in Georgian Art

Among the countries historically connected with it, Georgia had the longest and most continuous relationship with Iran, which started from the Achaemenid period (6th century BCE) and lasted until the beginning of the nineteenth century. Both historical sources and monuments of material culture evidence this. From the Achaemenid era, before the Sasanians 'reign in the 3rd century CE, Iran and Georgia had peaceful relations.

In Late Antiquity, the Sassanid Empire faced off against the Roman Empire, whose gradual expansion to the east culminated by the end of the 3rd century. For four hundred years after the establishment of the Sasanian Empire, the Kingdom of Kartli (eastern Georgia) was under the political influence of Iran, which especially strengthened from the sixties of the 4th century CE, when the influence of the Romans weakened, which resulted in the dominance of the Iranians in Kartli. Therefore, the Kingdom of Kartli remained in the sphere of political interests of Iran even after the official Christianization of the country.

The conquering policy of Sasanian Iran led to the cultural expansion of Kartli, and that is why Kartli's disobedience to the conquerors was primarily expressed by following the new Christian faith and fighting against the Zoroastrian (Mazdean) religion of the Sasanians. Both the monuments of the current ancient Georgian literature and the various fields of visual art reveal the political, social, and cultural processes that took place in Kartli at that time: this is religious dualism, expressed in the form of the coexistence of fire worship and the Christian religion. This was primarily due to the politics of the ruling dynasty of Kartli – it was of Sasanian, Mazdean origin, but at the same time follower of the new, Christian faith.

Georgian works of fine art exhibit evidence of the political situation of the time, with most depicting either local or Sassanian rulers or high social status individuals or diplomatic gifts. In their iconography, Sasanian elements are incorporated with Christian motifs.

The report deals with some of the fine art samples of the late Antiquity and Early Christian era, whose iconography bears the Sasanian elements echoed thereafter in Georgian textual sources (Sasanian bulla depicting the lion-helmeted ruler from Uplistsikhe/description of the appearance of the Early Christian Georgian king Vakhtang Gorgasli), the Hellenistic origins of this iconography are discussed; The semantic aspect of the Christian "flowering cross" detail coming from the Sasanian "spread wings" (the winged crown of the Sasanian kings presented in the numismatic material) – is analyzed; The forms of its transformation in Christian art are surveyed on the example of Georgian and other countries under the control of the Sasanian Empire, etc.

This period is particularly significant because, during this time, Christian symbols and attributes were established, making Georgia, one of the oldest Christian countries, representative of the early stages of the visualizing of a new religion based on the country's political or religious identity.

Keywords: *The kingdom of Kartli, Sasanian Iran, insignia, the divinity Verethragna, numismatics, iconography, the "Flourished Cross".*

ქეთევან გონგაძე

დოქტორანტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0009-1137-0764
ketigongadze@yahoo.com

პალეოლოგოსური მხატვრულ-იკონოგრაფიული მოტივები ლატალის მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიაში

ზემო სვანეთის ეკლესიების მოხატულობებით შემკობა დაახლოებით IX-X საუკუნეებიდან იწყება და XVII საუკუნის ჩათვლით გრძელდება. ეს ნიმუშები გამოირჩევა სრულიად თვითმყოფადი და განსაკუთრებული მხატვრული სტილით, საღვთისმეტყველო თემატიკისა და იკონოგრაფიული პროგრამის თავისებური გააზრებით და გადმოცემით. ზემო სვანეთშიც, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, პალეოლოგოსური პერიოდის მხატვრულ-იდეური ტენდენციები საინტერესოდ არის წარმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ხანის მოხატულობის სქემა და იკონოგრაფიული თემატიკა მომდევნო ეპოქაშიც გადაინაცვლებს, რაც მკაფიოდ აისახა ლატალის მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიაში.

მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიის ინტერიერი, სავარაუდოდ XVI ს-ში უნდა იყოს მოხატული, რომლის იკონოგრაფიული სქემები, ძირითადად, სწორედ XIII-XIV საუკუნეებში გავრცელებულ პალეოლოგოსთა ხანის ხელოვნებას ეფუძნება: მრავალფიგურიანობა, ველუმით გაერთიანებული არქიტექტურული ფონები, პეიზაჟური ელემენტების თავისებური წარმოჩენა, კამარაში „ძველი დღეთას“ გამოჩენა, ასევე, XIV ს-დან შემოდის ქართულ ხელოვნებაში. მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესია, ადგილობრივ მხატვრულ სკოლას, ცალკეული სიუჟეტის განსაკუთრებული ლაკონიური გახსნით, მარტივი აგებით ენათესავება. აღნიშნული ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა ისეა შედგენილი, რომ წინ წამოსწევს დეკორის ღრმა თეოლოგიურ საზრისს. ამ მოხატულობაში საუფლო ციკლის მომცველ სცენათა იკონოგრაფია, მათი კომპოზიციური სტრუქტურა, შესამჩნევად გართულებულია. ერთიანობაში, აქ თვალნათლივ ჩანს ნიჭიერი მხატვრების შემოქმედება, რაც გამოვლინდა ჩამოყალიბებული და კარგად გააზრებული იკონოგრაფიული სქემისა და პროგრამის შექმნაში. საფიქრებელია, რომ მოხატულობის პროგრამა ერთი ოსტატის, შესაძლოა სასულიერო პირის მიერ იყოს შედგენილი, რომელიც ასევე მხატვრული პროცესის წარმმართველია. ჩვენი ვარაუდით მასთან ერთად მუშაობდა კიდევ ორი ოსტატი, რომელთაც მოხატულობის გარკვეული ნაწილები შეასრულეს. მთავარმა მხატვარმა ერთიანობაში გაისიგრძეგანა მთელი მოხატულობა და ცდილობს სტილისტურადაც ერთიანი ორგანიზმი შექმნას.

მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიის მხატვრობა უფრო მეტად უახლოვდება შუა საუკუნეების ხელოვნებაში „რეგიონალურ/პროვინციულ“ სტილს, რომელშიც შეინიშნება ნაკლებად დახვეწილი და გაწაფული წერის მანერა. ეს მიმართულება ადგილობრივი მხატვრული სკოლების საფუძველზეა შექმნილი, სადაც იქვე ან რომელიმე კულტურულ ცენტრში განსწავლული მხატვრები მუშაობდნენ. ისინი ცდილობ-

დნენ გაემეორებინათ ის იკონოგრაფიული თუ სტილური პრინციპები, რაც მაღალ-პროფესიულ მხატვრულ სკოლებში იყო შემუშავებული, თუმცა შედარებით მწირი ოსტატობის გამო შესაბამის მხატვრულ დონეს ვერ აღწევდნენ.

ზემო სვანეთის მოხატულობები, როგორც აღვნიშნეთ, გამოირჩევა მხატვრული სტილის მრავალფეროვნებით, განსხვავებული ხედვით, სადაც ერთსა და იმავე ნიმუშში გამოვლენილია ძველი და თანადროული მხატვრული მიდგომები. ხშირად გვხვდება ადრექრისტიანული პერიოდის კომპოზიციათა აგების პრინციპები და იკონოგრაფიული მოტივები. ზოგადად, არქაული ნიუანსები ზემო სვანეთის მხატვრობის გარკვეულ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მუდმივად ხდება „ძველსა“ და „ახალს“ შორის აქტიური ურთიერთქმედება, რამაც განაპირობა სვანეთის მოხატულობათა გამოკვეთილად ინდივიდუალური ხასიათი. აქ გათვალისწინებულია თანადროულ მართლმადიდებლურ სამყაროში არსებული მხატვრული ხედვა და მიმართულებები, თუმცა, როგორც ქართული და განსაკუთრებით ზემო სვანეთის ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი, ეს ტენდენციები თავისებურად არის აღქმული, საკუთარ ტრადიციულ მხატვრულ აზროვნებასთან და გემოვნებასთან მორგებული და გათავისებული.

საკვანძო სიტყვები: *კედლის მხატვრობა, პალეოლოგოსური ხელოვნება, ზემო სვანეთი, ლატალი, მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესია.*

Ketevan Gongadze

PhD Student
Ilia State University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-1137-0764
ketigongadze@yahoo.com

Palaeologan Artistic-Iconographic Motifs of the Matskshkvarishi Archangels Church in Latali

The decoration of the churches of Upper Svaneti with paintings starts from the 9th to 10th centuries and continues until the 17th century. These murals are distinguished by a completely independent and special artistic style, a peculiar understanding and presentation of theological themes and an iconographic program. In Upper Svaneti, like other regions of Georgia, the artistic and ideological trends of the Palaeologan period are interestingly presented. It is worth noting that the painting scheme and iconographic themes of this epoch were transferred to the following periods as well, which is reflected in the Matskvarishi Archangels Church in Latali.

The murals of the Matskhvarishi Archangels Church must have been executed in the 16th century, the iconographic schemes of which are mainly based on the art of the Palaeologan era spread in the 13th and 14th centuries. The Matskhvarishi Archangels

Church is related to the local art school, with a special laconic opening of a separate story and a simple construction. The iconographic program of the mentioned church is designed in such a way that it brings forward the deep theological standpoint in the décor. In General, the creativity of talented artists is clearly visible here, which was manifested in the creation of a well-formed and well-thought-out iconographic scheme and program. It is conceivable that the painting program was drawn up by one master, perhaps a clergyman, who is also the leader of the artistic process. According to our assumption, two other masters worked with him and completed certain parts of the painting.

The painting of the Matskhvarishi Archangels Church is closer to the "regional/provincial" style of medieval art, in which a less sophisticated writing style is observed. This direction was created based on local art schools, where artists studied nearby or in another cultural center. They tried to repeat the iconographic or stylistic principles that were developed in highly professional art schools, but due to their relatively poor skill, they could not reach the corresponding artistic level.

The paintings of Upper Svaneti, as we mentioned, are distinguished by a variety of artistic styles, a different vision, where ancient and contemporary artistic approaches are revealed at the same time. Here, the artistic vision and trends are perceived in their own way, adapted to their traditional artistic thinking, and appropriated.

Keywords: *Mural Paintings, Palaeologan Art, Upper Svaneti, Latali, Matskhvarishi Archangels church*

დეა გუნია

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მოწვეული ლექტორი)
ააიპ. „დრო და მემკვიდრეობა“ (თავმჯდომარე)
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0006-4252-0911
deagunia@yahoo.com; dea.gunia@tsc.edu.ge

კუმურდოს კათედრალის მიმდინარე რესტავრაციის საკითხისათვის

964 წლით დათარიღებული კუმურდოს კათედრალი საქართველოს ხუროთ-მოძღვრების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალი ასპექტით საეტაპო ძეგლია. კუმურდოს მონოგრაფიული კვლევისას საშუალება მქონდა ყოველივე ერთიანად შემესწავლა და მაქსიმალურად ნათლად წარმომეჩინა მისი ფასეულობა *[კუმურდოს კათედრალი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ. 2019 წ.]* მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კუმურდოს კათედრალი საჭიროებდა აუცილებელ სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს. ამის შესახებ 2011 წელს გამოცემულ სტატიაშიც ვსაუბრობდი *[ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობის პრობლემები (კუმურდოს კათედრალის რეაბილიტაცია), სოციალურ მეცნიერებათა კავკასიური ჟურნალი, ტომი IV, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, 2011].*

ამჟამად კუმურდოს კათედრალზე მიმდინარეობს, 2015 წლიდან დაწყებული, მასშტაბური პროექტი, რაც ძირითადად გულისხმობს ტაძრის სამხრეთი კარიბჭის რესტავრაციას, მორღვეული დასავლეთი მკლავის და ჩამოქცეული გუმბათის რეკონსტრუქციას. აღნიშნული პროექტის ავტორი ქალბატონი თამარ ნემსაძეა, რომელიც ჯერ კიდევ 1970-80-იან წლებში მუშაობდა კუმურდოს საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გამოქვეყნებული ინფორმაციით (03. 06. 2024), ამჟამად მიმდინარეობს მეექვსე ეტაპი, რაც ახლად აგებული დასავლეთი მკლავის და სტოას ლორფინებით გადახურვას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაოები საკმაოდ შეფერხებით დაიწყო და ახლა ძალიან მნიშვნელოვანია დროულად და წარმატებით განხორციელდეს. სამწუხაროდ, გაჭიანურებული სამუშაოების გამო, მთელი გასული წელი კუმურდოს კათედრალისთვის იყო ძალიან მძიმე, რამდენადაც შიდა სივრცეში კედლები იჟღინთებოდა ბუნებრივი ნალექით. ახალმა კონსტრუქციებმა დაახშო შიდა სივრცე და ის სწრაფი გამოშრობის პირობები, რაც ათეულობით წლის განმავლობაში არსებობდა, შეიცვალა. ინტერიერის კედლებზე, გარკვეულ ნაწილებში, გაჩნდა სოკოვანი ნადები. ამასთანავე საყურადღებოა, რომ სამხრეთით სტოას რეაბილიტაციის პროცესში, 2019 წლიდან დამცავი კარნიზის მოხსნის შემდეგ, მეთერთმეტე საუკუნის უმნიშვნელოვანესი საქტიტორო წარწერა, რომელიც იხსენიებს მარიამ დედოფალსა და ზოსიმე კუმურდოელს, ფაქტობრივად, ზედ ამოსულმა ბალახმა დაფარა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ მდგომარეობის გამოსწორება და სამუშაოების ისე წარმართვა, რომ ისტორიული წარწერის დაცულობა სრულად იყოს უზრუნველყოფილი.

ამას გარდა, წინ არის ყველაზე კრიტიკული ფაზა – საქმე ეხება გუმბათის აღმართვის საკითხს. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სამუშაოების ტექნიკურ გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რაც სპეციალისტთა შორის კონსენსუსს მოითხოვს. ვერანაირი რეკონსტრუქცია ვერ იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პირვანდელი არქიტექტურული კონსტრუქციის და რელიეფური მქანდაკებლობის სრული დაცვა. შერჩეული მეთოდოლოგია კი, ვეჭვობ, ვერ უზრუნველყოფს ამის გარანტიას. არსებული წყობის გაბურღვა და მათზე ანკერების დამონტაჟება, რაზეც რკინა-ბეტონის მონოლითური კამარებისა და გუმბათის აღმართვა იგეგმება უაღრესად სარისკოა. აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიური კვლევის ჩატარება და საერთაშორისო სპეციალისტების ჩართულობა.

მოხსენებაში განხილული იქნება ასევე ტაძარზე ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაო. განსაკუთრებით, კარიბჭის მშენებლობა, რომელიც მოიცავს რელიეფური ქანდაკების საკითხსაც – რაც ფრიად საყურადღებოა, რამდენადაც კუმურდოს კათედრალი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რელიეფური მქანდაკებლობის განვითარების ისტორიისთვის.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მიმდინარე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისას, 10 წლის განმავლობაში, მხოლოდ ახალი კონსტრუქციები შეიქმნა. ხოლო ყველა ის პრობლემა რაც ტაძრის ძირითად არქიტექტურულ სხეულს გააჩნდა ისევ ისე ხელუხლებელია (იგულისხმება გადახურვის დაზიანებული ადგილები).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ კუმურდოს კათედრალი საჭიროებს ძალიან დიდ ყურადღებას. მისი რეაბილიტაციის საკითხი ეროვნული მნიშვნელობისაა და ამიტომ სპეციალისტთა ჩართულობა უაღრესად საჭიროა. პრობლემების გამოვლენა მხოლოდ პოზიტიურად უნდა იყოს აღქმული, რათა დროულად მოხდეს მათი აღმოფხვრა.

საკვანძო სიტყვები: *შუა საუკუნეები; კუმურდო; არქიტექტურა; რესტავრაცია; რეკონსტრუქცია.*

Dea Gunia

PhD of Art History
Tbilisi State Conservatoire (Invited lecturer)
NGO "Time and Heritage" (Chairwoman)
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0006-4252-0911
deagunia@yahoo.com; dea.gunia@tsc.edu.ge

Regarding the Ongoing Restoration of the Kumurdo Cathedral

The Kumurdo Cathedral dates back to 964 and is a significant monument of Georgian architecture. During the monographic research on Kumurdo, I had an opportunity to examine its various aspects thoroughly and to present its value as clearly as possible *[Kumurdo Cathedral, National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia, Tbilisi. 2019].* It has to be mentioned that the Kumurdo Cathedral needed urgent rehabilitation and restoration work. I addressed this issue in an article published in 2011 *[Problems of Javakheti Region Cultural Heritage (Rehabilitation of Kumurdo Cathedral), Caucasus Journal of Social Sciences, Volume IV, Issue 1, The University of Georgia, Tbilisi, 2011].*

The Kumurdo Cathedral has been undergoing a significant restoration project since 2015. The project focuses on restoring the southern porch of the cathedral, reconstructing the western arm, and rebuilding the collapsed dome. Ms. Tamar Nemsadze, who previously worked on the conservation and rehabilitation of Kumurdo in the 1970s-80s, is the author of this project.

As of the latest update from the National Agency for the Protection of Cultural Heritage (03.06.2024), the sixth stage of the project is currently in progress. This stage involves roofing the newly constructed western arm and stoa.

It should be noted that these works started with a lot of delay and now it is very important to carry them out on time and successfully. Unfortunately, due to the protracted works, the whole last year was very difficult for the Cathedral of Kumurdo, as the walls in the interior were constantly soaked by natural precipitation. The newly constructed structures suffocated the interior space and the rapidly drying conditions that had existed for decades were reversed. Fungal plaques appeared on the interior walls in certain parts.

In addition, it is worth noting that during the rehabilitation of the stoa in the south, after the removal of the protective cornice in 2019, one of the most important lapidary inscriptions of the eleventh century, which mentions Queen Mariam and Zosime of Kumurdo, is veiled with grass. It is crucial to rectify this situation and ensure that the historical inscription is fully preserved during the works.

Additionally, the most critical phase is ahead – it concerns the issue of erecting the dome. There is a difference of opinion regarding the technical solution of the works, which requires a consensus among specialists. No reconstruction can be more important than the complete preservation of the original architectural structure and relief sculpture. The selected methodology, I suspect, cannot guarantee this. Drilling existing piles and installing anchors on them, on which reinforced concrete monolithic vaults and the dome are planned to be erected, is extremely risky. It is necessary to conduct modern technological research and involve international specialists.

The present report will discuss all the important reconstruction works carried out on the temple. Specifically, it will address the construction of the portico and its relief sculptures.

Unfortunately, it must be noted that during the 10 years of rehabilitation and restoration works, only new constructions were created. The main architectural body of the temple, including the damaged areas of the roof, still requires attention.

It's important to highlight the need for attention to Kumurdo Cathedral. Since the rehabilitation of the cathedral is a matter of national importance, the involvement of specialists is crucial. Identifying problems should be viewed as a positive step towards addressing them promptly.

Keywords: *Middle Ages; Kumurdo Cathedral; Architecture; Restoration; Reconstruction.*

მანუჩარ გუნცაძე

კავკასიის უნივერსიტეტი
მოწვეული ლექტორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-2954-8221
mguntsadze@cu.edu.ge

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დროშის საკითხისათვის

საქართველოს ახალი ისტორიის მოკლე, მაგრამ საინტერესო პერიოდია ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის ხანა. აღნიშნული პერიოდის სიღრმისეული კვლევა ბოლო წლებია დაიწყო და საინტერესო ნაშრომებიც მიეძღვნა. მიუხედავად ამისა, ისტორიული ასპექტების ფაქტობრივი შევსება კვლავ საჭიროა. აღნიშნულმა სახელმწიფომ ერთ თვეზე ოდნავ მეტ ხანს იარსება და შეძლო სამი, განსვავებული მახასიათებლების სახელმწიფოების ერთ პოლიტიკურ სისტემაში მოქცევა. ამიტომ, საინტერესოა რა ვიზუალური მახასიათებლები აერთიანებდა ასეთ სახელმწიფოს.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს ვიზუალურ მახასიათებლებზე, ერთ-ერთი პირველი რაც თვალწინ შეიძლება დაგვიდგეს, ესაა დროშა, რომელიც ცხადია იდეური ერთობის მატარებელიც უნდა იყოს.

ამიერკავკასიის ფედერაციის დროშის შესახებ, ინფორმაცია არც თუ ისე ბევრია და ძალიან ხშირად მისი გამოსახულება მიდის ვიკიპედიაში არსებულ ვიზუალზე: ყვითელი, შავი და წითელი ჰორიზონტალური ხაზების ერთობაზე.

ვიზუალი საინტერესოა და მას შინაარსობრივ ახსნასაც მიაწერენ, თუმცა საინტერესოა საიდან მოდის ეს ვიზუალი და რამდენად შეიძლება სანდო იყოს.

მოხსენების მიზანია, განვიხილო იმ წყაროთა ერთობა, რომლებიც აღნიშნულ დროშასთან დაკავშირებით გაგვაჩნია და გავუყვეთ კვლევის ხაზს რამდენიმე ასპექტით:

1. დროშის ვიზუალის იდეა;
2. დროშის შესახებ წყაროთა ე. წ. დროის ხაზის აგება;
3. წყაროთა სანდოობა;
4. განხილვა, რამდენად შეიძლება, რომ აღნიშნული დროშა, მართლაც, ყოფილიყო ამიერკავკასიის ფედერაციის რეალური სიმბოლო.

საკვანძო სიტყვები: *ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, სახელმწიფოს ვიზუალური მახასიათებლები, დროშის სიმბოლიკა, ისტორიული წყაროები.*

Manuchar Guntsadze

Caucasus University
Invited Lecturer
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-2954-8221
mguntsadze@cu.edu.ge

For the issue of the flag of the Transcaucasian Democratic Federative Republic

A short but interesting period of the new history of Georgia is the era of the existence of the Transcaucasian Democratic Federal Republic. In-depth research of the mentioned period has been started in recent years and interesting works have been devoted to it. Nevertheless, actual filling in of historical aspects is still needed.

The said state has existed for a little more than a month and managed to bring three states with distinct characteristics into one political system. Therefore, it is interesting what visual characteristics united such a state.

When we talk about the visual characteristics of the state, one of the first things that may come to mind is the flag, which should be the carrier of ideological unity.

There is not much information about the flag of the Transcaucasian Federation, and very often its image goes to the visual on Wikipedia: a unity of yellow, black and red horizontal lines.

The visual is interesting, and it is attributed to the content explanation, but it is interesting where this visual comes from and how reliable it can be.

The purpose of the report is to discuss the unity of the sources that we have regarding the mentioned flag and to follow the line of research in several aspects:

1. The visual idea of the flag;

2. The so-called sources about the flag construction of a timeline;

3. Reliability of sources;

4. Consideration of the extent to which the mentioned flag could be a real symbol of the Transcaucasian Federation.

Keywords: *Transcaucasian democratic federal republic; visual characteristics; flag symbolism; historical sources.*

ნინო დავითაია

საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-0635-3373
Nino_Davitaya@yahoo.com ; n.davitaia@ug.edu.ge

რუსუდან რუხაძე

საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-0938-4562
ruso.rukhadze@gmail.com

საპენსიო რეფორმა საქართველოში – შედეგები და გამოწვევები

საპენსიო პოლიტიკა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რომლის გარეშეც მსოფლიოში მიმდინარე მოსახლეობის დაბერების პროცესის გათვალისწინებით წარმოუდგენელი ხდება ეფექტური სოციალური პოლიტიკის წარმოება. ამ მხრივ გამონაკლისს, ბუნებრივია, არც საქართველო წარმოადგენს, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამოდენიმე წელიწადში დაიწყო მსჯელობა პენსიების გაცემასა და შემდგომ ზრდაზე. 2019 წლიდან საქართველო შეუერთდა ე. წ. დაგროვებით საპენსიო სქემას, რომელში მონაწილეობაც სავალდებულოა 40 წლამდე ასაკის ნებისმიერი დასაქმებული ადამიანისათვის.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმის ანალიზი, პროცესზე დაკვირვება და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, აგრეთვე მიმდინარე პერიოდში საპენსიო სქემაში შეტანილი ცვლილებების პრობლემატურობის წარმოჩენა და მისი გავლენა ფინანსურ სტაბილურობასა და სქემის მონაწილეებზე;

ნაშრომში გაანალიზებული იქნება სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება საპენსიო სქემებთან მიმართებაში, კერძოდ ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და აშშ-ში, სადაც დიდი ცვლილებები მოხდა 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის გამო, აგრეთვე პოსტ სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებაც.

საქართველოს საპენსიო სააგენტომ შეიმუშავა რისკის მართვის დებულება, ასევე განსაზღვრა საინვესტიციო პრიორიტეტები, თუმცა, სადღეისოდ საპენსიო დანაზოგების ძირითადი ნაწილი საბანკო დეპოზიტებზეა განთავსებული. ბუნებრივია, რომ საპენსიო სქემის ეფექტურად მუშაობისათვის აუცილებელია შესაბამისობაში იყოს ფონდის მიერ გაცხადებული პოლიტიკა და რეალური ქმედებები. ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საპენსიო სააგენტოს ამ ეტაპზე არ გააჩნია არანაირი კაპიტალის მოთხოვნა, რაც აჩენს დამატებით რისკებს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისათვის.

მიმდინარე ეტაპზე შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საპენსიო სააგენტოს რისკის მართვის კონცეფცია, რომელიც მოიცავს საოპერაციო, შესაბამისობისა და

რეპუტაციული რისკების მართვას. დებულების თანახმად რისკის მართვის პროცესში გასათვალისწინებელია საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო, საოპერაციო რისკების ე. წ. „აპეტიტის“ ოდენობა, ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა, ადამიანურის რისკებისა და ამ რისკების სწავლებით აღმოფხვრის შესაძლებლობები, ბიზნესის უწყვეტობის ჩარჩო და თაღლითობისა და ფულის გათეთრების შესაძლებლობების გამოვლენა.

ახლახანს გაცხადდა ახალი ცვლილება საპენსიო სააგენტოს საქმიანობაში, კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით საპენსიო სააგენტოში მოქმედი სააგენტოს საინვესტიციო საბჭო უქმდება, რომელსაც ჩაანაცვლებს 9-დან 15 წევრამდე მონაწილეებისაგან დაკომპლექტებული საპენსიო ფონდის საბჭო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება როგორც ფონდის მენეჯმენტზე ასევე საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. ახალი საბჭოს დაკომპლექტებაში რადიკალურად არის შემცირებული პარლამენტის მონაწილეობა და ის ფაქტიურად გადადის მთავრობის მხარეს, მმართველობით საბჭოს კი პრემიერ მინისტრი დაამტკიცებს.

არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და მიმდიანრე მოვლენების გათვალისწინებით ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა ძალიან უარყოფითად აისახოს საპენსიო ფონდის სტაბილურობაზე, რადგან ეს ზრდის არასანდო რეპუტაციის რისკს, რაც დამატებითი რისკია უკვე არსებული რისკის – კაპიტალის მოთხოვნების არარსებობასთან ერთად.

არსებული რეალობის გათვალისწინებით ნაშრომში შეფასდება საპენსიო ფონდის წინაშე არსებული ყველა მთავარი გამოწვევა და შედგება რეკომენდაციები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

საკვანძო სიტყვები: *საპენსიო სქემა, რისკის მართვა, ინვესტირების პოლიტიკა, შესაბამისობა*

Nino Davitaia

The University of Georgia
Associated Professor
Tbilisi, Georgia
ORCID: https://orcid.org/0009-0004-0635-3373
Nino_Davitaya@yahoo.com;
n.davitaia@ug.edu.ge

Rusudan Rukhadze

The University of Georgia
Associated Professor
Tbilisi, Georgia
ORCID: https://orcid.org/0009-0004-0938-4562
ruso.rukhadze@gmail.com

Pension Reform in Georgia – Main Results and Challenges

Pension policy is a very important part of any country's social welfare, without a strong and determinant pension plan, it is very difficult to manage a nation's aging process and hence adopt proper social policy. After the Declaration of Independence, Georgian economists and social welfare representatives started to think in that direction. Georgia introduced the aggregate pension plan in 2019, which is obligatory for any employee under 40 years.

Due to the importance of the mentioned issue, the main point of the presented research is to analyze the pension plan in Georgia and evaluate its weaknesses and strengths, deep analysis of current changes in the pension plan will be discussed and an evaluation of its influence on the financial stability and pension plan participants will be presented.

The proposed article will analyze the pension plans for different countries, like South America and the United States, where plan was influenced by the financial crises of 2007-2009, as well as plans for post-soviet countries.

Pension Fund in Georgia adopted the risk management decree which includes investment priorities, however, nowadays mostly all raised funds are deposited in commercial banks. For effective policy making is it absolutely necessary that declared policy and real actions to be in full accordance; we must also point out that at this moment pension funds never had any capital adequacy requirements, hence this may add additional risks to the investment actions.

Recently we have analyzed risk management concept, which has operational, accordance and reputational risk treatments. According to the decree one needs to consider risk management framework, so-called risk appetite and informational security issues, as well as risks associated with human capital and its elimination through pieces of training, business continues framework and fraud and money laundering risk assessments.

Recently parliament of Georgia declared very big changes in pension fund activities, namely, according to proposed changes in law, investment committed will be eliminated and all decisions will be made by the fund committee, which will be responsible for fund management and investment decisions. This committee will have members from 9 up to 15 and will be formed by the government, participation in parliament will be minimized and the head of committed will be assigned by the premier minister.

Taking into consideration the current political instability and processes, this decision may harm the pension fund's reputation, which is an additional risk.

The paper will analyze current ongoing issues with pension funds and provide recommendations for financial soundness and accordance with best international practice.

Keywords: *Economics, Business, Law, Pension Reform.*

ლალი დათაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU)
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0007-4482-3411
lalidatashvili@yahoo.com

სამყაროს სხვაგვარი ბრუნვა
(ელიფ შაფაქი – სიყვარულის ორმოცი წესი)

ჩვენს წერილში „სამყაროს სხვაგვარი ბრუნვა“ გაანალიზებულია თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, თურქი მწერალი ქალის, ელიფ შაფაქის რომანი „სიყვარულის ორმოცი წესი“. ეს რომანი ჩვენ მიერ შესწავლილია როგორც იდეური, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით, განხილულია, ნაწარმოების არქიტექტონიკა რამდენად შეესაბამება მწერლისეულ სათქმელს.

ჩვენი ინტერესი ამ რომანის მიმართ გამოწვეულია ელიფ შაფაქის წერის მანერისა და სამყაროს ხედვის მრავალფეროვნებით. აქ ერთმანეთს ხვდება აღმოსავლეთი და დასავლეთი, ისტორიული და თანამედროვე, მუდმივი და ცვალებადი, გამაბედნიერებელი და მტკივნეული, სიყვარული და სიძულვილი, სიცოცხლე და სიკვდილი... ამ ყოველივეს აერთიანებს ერთი დიდი ჭეშმარიტება: სიყვარული უძლეველია, მან არ იცის დრო, ადგილი, ასაკი და წინ ვერავინ აღუდგება.

წერილში განხილულია, თუ როგორ ეჯაჭვება ნაწარმოებში ორი ქრონოტოპი: 21-ე და მე-13 საუკუნეები და რა როლს ასრულებს რომანში ჩართული მეორე რომანი – აზიზ ზაჰარას „საამო მკრეხელობა“.

ჩვენი დაკვირვებით, ელიფ შაფაქის მიერ შექმნილი სიყვარულის ორმოცი წესი მარადიულია ნებისმიერი ქრონოტოპისთვის. ესენი არა მხოლოდ სიყვარულის, არამედ – ცხოვრების, კაცთმოყვარეობის, სხვებთან და, რაც მთავარია, უფალთან, ურთიერთობის, „სიყვარულის რელიგიის“ წესებია.

მწერლის გამარჯვებად მიგვაჩნია, რომ ყველაფერს ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობის წესით იწყებს, შემდეგ კი ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ იქამდე, რომ სიყვარული ცხოვრების უმთავრესი საყრდენი, სამყაროს საფუძველია. სწორედ ამ აზრის შემცველი მეორმოცე წესით დიდოსტატურად კრავს და ასრულებს რომანს.

განვიხილავთ, თუ როგორ წარმოაჩენს ავტორი ადამიანს, როგორც მიკროკოსმოსს, წერტილს, რომელიც სამყაროს იტევს, და თუ რა მიზნით დაყო რომანი ხუთ ნაწილად: მიწა, წყალი, ქარი, ცეცხლი, სიცარიელე. სამყაროს შემადგენელ ოთხ ელემენტს, ოღონდ ჰაერის ნაცვლად ქარია, რა მიზნით დაუმატა სიცარიელე.

ვასკვნით, რომ „მიწა“ უსიყვარულო, მდგრად მდგომარეობას შეესაბამება; „წყალი“ სიყვარულის დასაწყისია, ამოუცნობი სტადია; ქარი – სიყვარულის ეტაპი, ღიაობა სიყვარულისთვის, გამოწვევის მიღება; ცეცხლი – სიყვარულით დაწვა, რასაც სატრფოსთვის საკუთარი თავის უარყოფა, თავგანწირვა, (“ნგრევა და განადგურება”, სულიერი ახალშობა) მოჰყვება და ბოლო, სიცარიელე – სატრფოს დაკარგვით გამოწვეული მარტოსულობის განცდა.

მწერალი ოსტატურად გვარწმუნებს, რომ ეს ხუთი ელემენტია სიყვარულის საფუძველი. ამიტომ აზიზი, შამსითა და რუმით მოხიბლული, მათი მიმბაძველი, წერს „საამო მკრეხელობას“. ეს რომანი დიდ გავლენას ახდენს ელაზე. წინაპართა ზემოქმედებით იცვლიან ისინი ცხოვრების წესს. მკითხველის თვალწინ აზიზი შამსად გარდაისახება, ელა – რუმად. აზიზი, თებრიზის მსგავსად, კონიაში მიდის ბოლომდე “დასახარჯად” და სასიკვდილოდ. თითქოს მეორდება ისტორია. ჩვენც, როგორც უთვალავ კაცთაგანს, გვჯერა ელიფ შაფაქის დასკვნის: „უსიყვარულო სიცოცხლე სიცოცხლე არ არის“, სიყვარულის ძალით, ...„სამყარო სხვაგვარად იწყებს ბრუნვას“.

საკვანძო სიტყვები: *შაფაქი; სიყვარული; წესი; ელემენტი; გაანალიზება.*

Lali Datashvili

PhD in Philology
Georgian-American University (GAU)
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0007-4482-3411
lalidatashvili@yahoo.com

The Different Rotations of the World (Elif Shafak – The Forty Rules of Love)

In our article "The Different Rotation of the World" we analyze “The Forty Rules of Love” by Elif Shafak, a significant figure in contemporary world literature and a Turkish female writer. This analysis explores the novel from both ideological and structural perspectives, focusing on how well the architectonics of the work align with the author’s intended message.

Our interest in this novel stems from Shafak’s distinctive writing style and worldview, where East meets West, the historical intertwines with the contemporary, and joy merges with pain. In this novel, contrasts like life and death, love and hatred are woven together under a single truth: love is invincible, transcending time, place, and age.

The article examines how two chronotypes — the 13th and 21st centuries — intersect in the novel, particularly through the embedded novel *Sweet Blasphemy* by the character Aziz Zahara. According to our analysis, the “Forty Rules of Love” created by Shafak are eternal, extending beyond romantic love to encompass life,

compassion, relationships, and one's connection with the divine, reflecting the "religion of love."

We consider it Shafak's triumph that everything begins with the individual's journey of self-discovery, gradually leading us to the realization that love is the central pillar of life and the foundation of the universe. It is with the fortieth rule, embodying this very idea, that she masterfully ties and concludes the novel.

We also analyze how Shafak presents the individual as a microcosm—an embodiment of the universe—and why the novel is divided into five elements: earth, water, wind, fire, and void. Each element corresponds to different phases of love: earth represents stability without love, water marks the beginning of love, wind signifies openness and challenges, fire embodies the consuming nature of love, and void reflects the loneliness after losing the beloved.

The author convinces us that these five elements form the foundation of love. This is why Aziz, captivated by Shams and Rumi, becomes their follower and writes *Sweet Blasphemy*. The novel deeply influences Ella. Under the impact of their predecessors, both characters change their way of life. Before the reader's eyes, Aziz transforms into Shams, and Ella into Rumi. Like Shams in Tabriz, Aziz heads to Konya, fully ready to "give everything" and meet his death. It seems that history is repeating itself. In the end, Shafak's message resonates: "Life without love is not life," and through love, "the world begins to rotate differently."

Keywords: *Shafak; love; rule; element; analysis; The Forty Rules of Love.*

ქეთევან დათუკიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0009-2104-556X
ketevan.datukishvili@tsu.ge

ნანა ლოლაძე

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-1817-9963
nanaloladze@yahoo.com

მერაბ ზაკალაშვილი

ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი
პროგრამისტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0006-0757-6856

ქართული ენის ლინგვისტური მოდელი სიტყვაფორმათა სინთეზისა და ანალიზისთვის

ბუნებრივ ენათა დამუშავების უზრუნველსაყოფად შექმნილია სპეციალური ინსტრუმენტები (კომპიუტერული პროგრამები). აგლუტინაციური ენებისათვის, მათ შორის ქართულისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორფოლოგიური დონის ავტომატური დამუშავება, რისთვისაც სხვადასხვა სახის მიდგომები არსებობს. ძირითადად იყენებენ სტანდარტულ მეთოდებს, უპირატესად – სასრული პოზიციის ავტომატებს, რომლებიც აპრობირებულია მრავალი ენის მორფოლოგიური ანალიზისას. აღსანიშნავია, რომ ინდოევროპული ენებისათვის შექმნილი სტანდარტული პროგრამებით ვერ ხერხდება ქართული ენის ავტომატური ანალიზისა და სინთეზის სირთულეების სრულად დაძლევა, ამიტომ საჭირო ხდება მათი მოდიფიკაცია, რაც პრობლემას ბოლომდე მაინც ვერ აგვარებს.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფმა განსხვავებული მეთოდი აირჩია, კერძოდ, ჯერ შევქმენით ქართული ენის მოდელი, შემდეგ კი მის საფუძველზე მომზადდა პროგრამული ინსტრუმენტი (მორფოლოგიური პროცესორი), რომლითაც ხორციელდება თანამედროვე ქართული ენის სიტყვაფორმათა სინთეზი და ანალიზი.

ჩვენს ლინგვისტურ მოდელში ენა არ არის აღწერილი რომელიმე კონკრეტული გრამატიკული თეორიის მიხედვით, არამედ ენობრივი მონაცემები წარმოდგე-

ნილია ფორმალიზებული სახით. მასში სრულად არის ასახული ენის მორფოლოგიური სისტემა. ფორმალური წესების საშუალებით აღიწერა ქართული ენის ფლექსიური და დერივაციული შესაძლებლობანი, ფონოლოგიური პროცესები, მორფოსინტაქსური თავისებურებები. კერძოდ, წარმოდგენილია სახელური და ზმნური მორფემათა რანგობრივი ცხრილები, სახელური და ზმნური მატრიცები, ფუძის ფონეტიკურ მახასიათებელთა სიები და ა. შ. მოდელი განთავსებულია მონაცემთა ბაზაში, ძირების ლექსიკონთან ერთად. ამ უკანასკნელში წარმოდგენილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალა, აგრეთვე სხვა წყაროებიდან დამატებული ინფორმაცია.

ქართული ენის ლინგვისტური მოდელის მიხედვით შევქმენით პროგრამული ინსტრუმენტი – მორფოლოგიური პროცესორი, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: პროგრამა-რედაქტორი, სინთეზის პროგრამა (მორფოლოგიური სინთეზატორი) და ანალიზის პროგრამა (მორფოლოგიური ანალიზატორი).

პროგრამა-რედაქტორი უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის მართვას. მისი საშუალებით შესაძლებელია მასალის შეყვანა და რედაქტირება როგორც მოდელში, ისე ძირების ლექსიკონში. მონაცემთა ბაზის ინფორმაციისა და ფორმალური წესების მიხედვით კონკრეტული ფუძიდან სინთეზატორით ხდება შესაბამისი სიტყვაფორმების სინთეზი (გენერირება). ანალიზატორი ახორციელებს საპირისპირო პროცესს: სიტყვაფორმათა ანალიზს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ მორფოლოგიურ პროცესორს, კერძოდ, ძირების პროგრამა-რედაქტორს, ავხსნით სიტყვაფორმათა სინთეზის მექანიზმს; საილუსტრაციოდ განვიხილავთ კონკრეტულ ძირებს, აგრეთვე მათგან დერივაციითა და კომპოზიციით მიღებულ ფუძეებს; ვიმსჯელებთ თითოეული ფუძიდან გენერირებული სახელური და ზმნური სიტყვაფორმების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ლინგვისტური მოდელი, მორფოლოგიური პროცესორი, სიტყვაფორმათა სინთეზისა და ანალიზისთვის, მორფოლოგიური სინთეზატორი*

Ketevan Datukishvili
PhD in Philology
The University of Georgia
Associate Professor
Linguistic Technologies Group
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-2104-556X
ketevan.datukishvili@tsu.ge

Nino Loladze
PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Linguistic Technologies Group
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-1817-9963
nanaloladze@yahoo.com

Merab Zakalashvili
Linguistic Technologies Group
IT Specialist
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0006-0757-6856

The Linguistic Model of the Georgian Language for the Synthesis and Analysis of Word Forms

Special tools (computer programs) have been created with the aim of Natural Language Processing. For agglutinative languages, including Georgian, of special importance is the automatic processing of the morphological level. This is achieved by different methods. The most widely used standard methods embrace, above all, Finite-State Automata. They have been successfully applied for the morphological analysis of numerous languages. It should be noted, however, that the standard programs created for Indo-European languages cannot be applied for the automatic analysis and synthesis of the Georgian language; hence, they should be modified. Yet, despite the modification, the problem is not settled completely.

In order to overcome the above-mentioned problem, the team of linguistic technologies has chosen a different method, namely, first we created the model of the Georgian language and, later, based on this model, we prepared a program tool (morphological processor), which enables synthesis and analysis of contemporary Georgian word forms.

In our linguistic model, the language is not described based on a concrete grammatical theory. Instead, the language data are represented in a formalized way. The morphological system of the language is reflected completely. Based on the formal rules, we have described the inflectional and derivational capacity of the Georgian language, as well as phonological processes and morphosyntactic peculiarities. In particular, we have provided the lists of ranges of nominal and verbal morphemes, nominal and verbal matrixes, the lists of phonetical peculiarities of stems and so on. The model is uploaded to the database, alongside with the Dictionary of Roots. This dictionary is comprised of the data from the Explanatory Dictionary of the Georgian Language as well as information provided from other sources.

Based on the linguistic model of the Georgian language, we have created a software – a morphological processor consisting of three parts: the editor-program, the program for synthesis (morphological synthesizer) and the program for analysis (morphological analyzer).

The editor-program enables to manage the database, introduce and edit the data provided in the model and in the Dictionary of Roots. By means of the information provided in the database, based on the formal rules, the synthesizer generates word forms from a concrete stem. The analyzer does the opposite: it enables carry out the analysis of word forms.

The paper presents the morphological processor, namely, the editor-program, and explains the mechanism of synthesis of word forms. The analyzed examples embrace concrete roots as well as stems obtained from these roots by means of derivation and composition. The analysis includes the nominal and verbal word forms generated from each stem.

Keywords: *linguistic model, morphological processor, morphological synthesizer, Synthesis and Analysis of Word Forms.*

ნინო დათუნაშვილი

ეთნოლოგიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების
მთავარი კურატორი
თბილისი, საქართველო
nino.museum@gmail.com

მამუკა ქაფიანიძე

ისტორიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ისტორიისა და ეთნოლოგიური კოლექციების
მთავარი კურატორი
თბილისი, საქართველო
mamukaqapianidze@yahoo.com

ქართველ მეფეთა კოსტიუმი (ისტორია, ტიპოლოგია)

შუა საუკუნეების ქართული კოსტიუმის ისტორიაში მეფეთა შესამოსელი დიდი ხანია რაც მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია, თუმცა ერთიან ისტორიულ ჭრილში სამეფო კოსტიუმის ტიპები და მათი შემადგენელი ცალკეული ელემენტების ტიპოლოგია დღემდე არ მომხდარა. ჩვენს მიზანს, სამეფო კოსტიუმის სწორედ ამ კუთხით შესწავლა წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის კვლევა წერილობითი წყაროების, სახვითი ხელოვნებისა და ნუმიზმატიკური ნიმუშების საშუალებით არის შესაძლებელი. ნივთიერმა მასალამ კი, მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ II-ის (1700-1762) სამოსის (ახალუხი, კაბა, წინდები, ჩახსაკრავი), მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) ხალათისა და სარტყელისა და ალექსანდრე ბატონიშვილის (1770-1844) ხალათის სახით მოაღწია ჩვენამდე.

ქართველ მეფეთა ყველაზე ადრეული გამოსახულებები ტაო-კლარჯეთის ტაძრების საფასადო რელიეფებზე შემოგვრჩა. პირველი თვალსაჩინო ნიმუში ოპიზის მონასტრის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის IX ს-ის აშოტ I კურაპალატის გამოსახულებაა. ყველაზე მრავლად მეფეთა პორტრეტები მონუმენტურ მხატვრობაში გვხვდება. ადრეული გამოსახულებები ატენის სიონის ტაძრის დასავლეთი მკლავის ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი. XV ს-დან სამეფო პორტრეტები ჭედურ ხატებზეც ჩნდება. ცალკეული ნიმუშები გვხვდება ხელნაწერთა დასურათებაში, მონეტებზე და დაზგურ მხატვრობაში.

ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროებისა და ვიზუალური მასალის საფუძველზე, საკვლევი პერიოდის მანძილზე სამეფო კოსტიუმის ხუთი ტიპი იკვეთება: 1) ქართული კოსტიუმი; 2) ბიზანტიური კოსტიუმი; 3) აღმოსავლური კოსტიუმი; 4) მეომართა კოსტიუმი და 5) ათონური კოსტიუმი. პირველი, მეორე და მესამე ტიპის კოსტიუმი თავის მხრივ, კომპლექტის შემადგენლობისა თუ სამოსის ცალკეული ელემენტების თარგის მიხედვით გარკვეულ ქვეტიპებად ნაწევრდება.

პირველი ტიპის კოსტიუმის IX–XIII სს-ში გვხვდება. მისი მთავარი სახასიათო ელემენტი კაბაა, რომელიც თავის მხრივ, სამ ტიპად იყოფა. ერთმანეთისგან ძირითადად საყელოსა და კაბის კალთის ფორმით განსხვავდებიან.

სამეფო სამოსის მეორე – ბიზანტიური ტიპის კოსტიუმი შემადგენელი ელემენტების მიხედვით ორ კომპლექტად იყოდა: I. ფესვედის, ბისონის, მოსასხამის, მოგვების, სამეფო ინსიგნიების – გვირგვინისა და სკიპტრისაგან შემდგარი და II. ფესვედის, ბისონის, მანიაკის, ლორონის, მოსასხამის, თავსაბურავის, ფეხსამოსისა (მოგვები, ქუსლიანი ფეხსაცმელი) და სამეფო ინსიგნიების – გვირგვინის, სკიპტრისა და სფეროსგან შემდგარი. ბიზანტიური კოსტიუმის პირველი კომპლექტი X ს-შია გავრცელებული და თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა. ბიზანტიური კოსტიუმის მეორე კომპლექტი, სხვადასხვა ვარიაციებით უწყვეტად გვხვდება X–XVIII სს-ის განმავლობაში, როგორც ქართველ მეფეთა, ასევე გვიან შუა საუკუნეებში ამა თუ იმ მხარის მმართველი დიდებულების გამოსახულებებზეც. ქართველი მეფეები ტრადიციულად მანიაკით, ლოროთი, სამკლავეებით გამშვენებული ბისონით არიან წარმოდგენილნი, თავს გვირგვინი უმშვენებთ. ბისონის შიგნით ფესვედს მოიხმარდნენ. მოსასხამი და ქუსლიანი ფეხსაცმელი, ძირითადად XVI ს-დან ჩნდება. კოსტიუმის შემადგენელი თითოეული ელემენტი თარგისა თუ შემკულობის მიხედვით ცალკეულ ჯგუფებად ნაწევრდება. სამეფო ინსიგნიათაგან გვირგვინი თითქმის ყველა სამეფო პორტრეტზე გვხვდება და მეფედ კურთხევის რიტუალის ყველა აღწერილობაში სახელდება. სკიპტრა X ს-დან გვხვდება, სფერო XII ს-დან. მათ შორის სკიპტრის გამოსახულება სჭარბობს.

სამეფო კოსტიუმის მესამე ტიპი აღმოსავლური კოსტიუმი შედგება ფესვედის, კაბის, ცრუსახელოიანი მოსასხამის, თავსაბურავისა (ჩალმა, გვირგვინი) და ფეხსამოსისაგან (წინდები, მოგვები, ფეხსაცმელი, ქოშები). მისი პირველი ნიმუშები X ს-ში ჩნდება, ტბეთისა და კუმურდოს ტაძართა რელიეფებზე და შემდგომ ძირითადად XVII ს-თვის არის დამახასიათებელი.

მეოთხე ტიპის კოსტიუმს მეომართა კოსტიუმი ვუწოდეთ, 1174 წელს მოჭრილი გიორგი III-ის სპილენძის მონეტის მიხედვით, სადაც მეფე აბჯრით არის წარმოდგენილი, ხოლო მეხუთე ტიპის კოსტიუმს კი გრემში, XVI ს-ის ლევან კახთა მეფის გამოსახულების მიხედვით – ათონური კოსტიუმი.

საკვანძო სიტყვები: *ქართული კოსტიუმი, სამეფო კოსტიუმები, ბიზანტიური კოსტიუმი, შუა საუკუნეების ქართული კოსტიუმი*

Nino Datunashvili

PhD in Ethnology
Georgian National Museum
Chief Curator of Medieval
Archaeological Collection
Tbilisi, Georgia
nino.museum@gmail.com

Mamuka Kapianidze

PhD in History
Georgian National Museum
Chief Curator of History and Ethnological Collections
Tbilisi, Georgia
mamukaqapianidze@yahoo.com

Costume of Georgian Kings (History, Typology)

In the history of Georgian costumes of the Middle Ages, the clothes of the kings have long been the subject of special interest to scientists. However, the types of royal costumes and the typology of their component individual elements, in the historical sense, have not been carried out until now. Our goal was to study the royal Georgian costume from this side. The research of the mentioned issue is possible through means of written sources, fine art and numismatic specimens. Material stuff reached us only in the form of the garment (*akhalukhi*, dress, socks, *chakhsakravi*) of Teimuraz II (1700-1762) King of Kartl-Kakheti and the *khalati* and belt of King Erekle II (1720-1798) and *khalati* of Aleksander Batonishvili (1770-1844).

The earliest images of Georgian kings survived on the facade reliefs of Tao-Klarjeti temples. The first distinguished sample is the image of Ashot I Curopalat on the 9th-century church of St. John the Baptist of the Opiza Monastery. Portraits of Kings are the most common in monumental painting. Early depictions are represented in the lower register of the west wing of the Sioni Temple of Ateni. From the 15th century, royal portraits also appear on hammer-worked icons. Individual patterns are found in manuscript illustrations, on coins and in easel paintings.

Based on written sources and visual material at our disposal, 5 types of royal garments can be distinguished during our study period: 1) Georgian costumes; 2) Byzantine costumes; 3) Oriental costumes; 4) Warrior costumes; 5) Athonc costumes. The first,

second and third clothes are divided into certain subtypes according to the composition of the set or the design of individual elements of the outfit.

The first type of garment is found in the 9th-13th centuries. Its main characteristic element is a dress, which, in turn, is divided into three types. They mainly differ from each other in the shape of the collar and the skirt of the dresses. The garment of the second type of royal clothes – the Byzantine type costume – is divided into two sets according to the component elements: I. Consisting of a long shirt for wearing inside, surplice, pelerine, thigh-high boot, royal insignia – a crown and a scepter;

II. Garments consisting of a long shirt for wearing inside, surplice, neck chain, loron, pelerine, headwear, footwear (thigh-high boots, heeled shoes) and the royal insignia – a crown, a sceptre and a sphere. The first set of Byzantine costumes was common in the 10th century and in turn, is divided into two groups. The second set of Byzantine costumes with different variations can be found continuously during the 10th-18th centuries on the images of Georgian Kings, as well as on images of the ruling nobles of this or that region of Georgian in the late centuries. The King of Georgia is traditionally, represented with neck chains, loron, armlets, surplices and crowns. They wore long shirts for wearing inside surplices. Cloaks and high heel shoes appeared, mainly, from the 16th century. Each component element of the costume is divided into separate groups according to patterns and decorated groups according to patterns and decorations. Among the royal insignia, the crown appears on almost all royal portraits and it is mentioned in all descriptions of the coronation rituals. A scepter is found from the 10th century and a sphere from the 12th century. Among them, the image of the scepter prevails.

The third type of royal costume – the oriental garment – consists of a a long shirt for wearing inside, a dress, a cloak with false sleeves, headwear (a turban, a crown) and footwear (socks, shoes, slippers). The first samples appear in the 10th century on the reliefs of Tbeti and Kumurdo temples and then, mainly, this type of costume is characteristic of the 17th century.

We called the fourth type of costume warriors' garments. Georgian King Giorgi III (1154-1184) is represented with an armor on the copper coin minted in 1174 year. The fifth type of costume – Athonic garment – is seen in Gremi on the image of Levan – the 16th-century King of Kakheti.

Keywords: *Georgian costumes, costume warriors' garments, royal costumes.*

ფარშიდ დელშადი

კავკასიოლოგიისა და სლავისტიკის დოქტორი
ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების დოქტორი
ირანული და სემინტური ფილოლოგიის მაგისტრი
შუა აღმოსავლეთის ინსტიტუტი
პროფესორი
ლოს-ანჯელესი, აშშ
farshiddelshad@gmail.com

ირანული გეორგიკა

ფერეიდანში მცხოვრებმა ქართველებმა (სპარსულად: Farīdan | فریدن) უნიკალურად შეინარჩუნეს თავიანთი ენა და ტრადიციები 400 წლის განმავლობაში, განსხვავებით სხვა პროვინციებში მცხოვრები ქართველებისგან, რომლებმაც ადგილობრივ ტომებთან ასიმილაცია განიცადეს. ამ კულტურული მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორებია მათი კომპაქტური სოფლის ტიპის დასახლება, მკაცრი ეთნიკური ენდოგამია და ფერეიდანის მთებში იზოლაცია.

მიუხედავად იმისა, რომ XVII და XVIII საუკუნეებში ფერეიდანში არ ჩასულან ქართველი, რუსი ან ევროპელი მოგზაურები, 1840 წელს ჰენრი ლეიარდმა აღწერა იქ მცხოვრები ქართველები. გარდა ამისა, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიულ წყაროებში, მათ შორის იოანე ხელაშვილის „ლოცვებში“, მოხსენიებულია ფერეიდნის მნიშვნელოვანი ქართული კოლონია.

შაჰ აბას I-მა ქართველი ქრისტიანები, მუსლიმები და ებრაელები ირანში გადაასახლა, რათა ხელი შეეწყო ეკონომიკური განვითარებისთვის, სამხედრო ძალის გაზრდისა და მოსახლეობის ზრდისთვის ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა ისპაჰანი და მაზანდარანი. ეს სტრატეგიული გადასახლება მიზნად ისახავდა საქართველოს დასუსტებას და, ამავე დროს, სპარსეთის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის გაძლიერებას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, ფერეიდნის ქართველთა უნიკალური ისტორიული და კულტურული მარშრუტის გამოკვლევას ირანული და ქართული ისტორიის უფრო ფართო კონტექსტში, ყურადღების გამახვილებით XVII საუკუნეში სეფიანთა იმპერიის დროს მათ გადასახლებაზე.

საკვანძო სიტყვები: *ფერეიდნელი ქართველები, ქართველები ირანში, ჰენრი ლეიარდი, ირანი და საქართველო XVII საუკუნეში.*

Farshid Delshad

PhD in Caucasian and Slavic Studies
PhD in Historical Comparative Linguistics
Master of Arts in Iranian and Semitic Philology
Masters in German as a Foreign and Second Language Acquisition
Middle East Institute, Professor
Los Angeles, USA
farshiddelshad@gmail.com

Irano-Georgica

The Georgians in Faridan (Persian: Farīdan | فریدن) have uniquely preserved their language and customs for 400 years, in contrast to those in other provinces who assimilated with local tribes. Factors contributing to this cultural retention include their compact rural settlement, strict ethnic endogamy, and isolation in the Faridan mountains.

Despite the absence of Georgian, Russian, or European travelers in the 17th and 18th centuries, the presence of Georgians in Faridan was documented in 1840 by Henry Layard. Additionally, historical records from Georgia in the 18th century, such as Ioane Khelashvili's prayers, acknowledge the significant Georgian colony in Faridan.

Shah Abbas I relocated Georgian Christians, Muslims, and Jews to Iran to support economic development, military strength, and population growth in cities such as Isfahan and Mazandaran. This strategic relocation aimed to weaken Georgia while enhancing Persia's agriculture and handicrafts.

This study aims to illuminate the unique historical and cultural trajectory of the Faridani Georgians within the broader context of Iranian and Georgian history, focusing on their relocation during the 17th century under the Safavid Empire.

Keywords: *Georgians in Faridan, Georgians in Iran, Georgia and Iran in 17th-18th centuries, Henry Layard.*

მარიამ დიდებულიძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნებისა და
ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0000-2866-4982
maridideburi@yahoo.com

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სათავეებთან

მე-20 საუკუნის დასაწყისი ქართული კულტურისა და მეცნიერების არნახული აღმავლობის ხანაა. საკმარისია გადავხედოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის სამწლიან ისტორიას, რათა დავრწმუნდეთ, რა დიდი შემოქმედებითი პოტენციალი და შესაძლებლობები იყო დაუნჯებული ქვეყანაში. ქართული თანამედროვე მეცნიერება სწორედ ამ პერიოდში იწყებს სწრაფ და უაღრესად ეფექტურ განვითარებას, თითქმის ყველა დარგში, რაც თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებით დადასტურდა. საქართველო მთელი კავკასიის ცენტრი იყო, კულტურულიც და მეცნიერულიც.

ყოველივე ამის სათავეში დიდი ქართველი მეცნიერები იდგნენ, რომლებიც უტყუარი ალღოთი გრძნობდნენ ეპოქის სულისკვეთებას და ზუსტად პასუხობდნენ მის მოთხოვნებს. ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ მათ თვით შექმნეს ეს ეპოქა. მათი მოღვაწეობა ეპოქისა და ინდივუდუალობების სინერგიის ნიმუშია და ეს ენერგია დღესაც აქტუალურია.

მათ შორის იყო გიორგი ჩუბინაშვილიც (1885-1973), მეცნიერთა სახელოვანი ოჯახის შთამომავალი, რომელმაც თავისი თანამოაზრეთა მსგავსად, ევროპაში მიიღო განათლება და სამეცნიერო მოღვაწეობაც იქვე დაიწყო, ხოლო როცა საქართველოს დასჭირდა, უნივერსიტეტის დამფუძნებელთა რიგში ჩადგა და ქართული ხელოვნების ისტორიის ურთულეს საქმეს წაუძღვა.

გიორგი ჩუბინაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩინებული მაგალითია იმისა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეპოქა და ადამიანი. ეს ურთიერთობა რთული და წინააღმდეგობრივია და უამრავ ხილულ თუ უხილავ მოტივაციას და ქმედებას მოიცავს.

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგი ჩუბინაშვილმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხელოვნების ისტორიის მეცნიერულ კვლევას, შესაბამისი მეთოდიც შეიმუშავა, რომელიც იმდენად უნივერსალური და მოქნილი აღმოჩნდა, რომ დღესაც ქმედითი და აქტუალურია.

წარმოდგენილი მოხსენების მიზანია, ჩუბინაშვილისული კვლევითი მეთოდის დახასიათება სწორედ ეპოქის მოთხოვნებებთან მიმართებაში ფართო ისტორიულ-გეოგრაფიულ კონტექსტში დაიმის ჩვენება, თუ როგორ შექმნა ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა მთელი ეპოქა ამიერკავკასიის ხელოვნების კვლევის ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: *ეპოქა, პიროვნება, ხელოვნებათმცოდნეობა, მეთოდი, ამიერ-კავკასია*

Mariam Didebulidze

PhD of Art Studies
Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History
and Heritage Preservation
Leading Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0000-2866-4982
maridideburi@yahoo.com

At the Origins of Georgian Art History

The beginning of the twentieth century was marked with a strong uprise of the modern Georgian science and culture. If we review the three-year history of the Independent Georgian State (11918-1921) we may see what a huge creative energy and possibilities were concealed in this country. This was a brilliant period for all branches of science and humanities, resulting in foundation of the Tbilisi University.

The leaders of this development, the outstanding Georgian scholars, followed the challenges of their epoch, and at the same time, they created an epoch. This synergy between the epochal demands and the individual activities resulted in the creation of such a strong base for modern Georgian science and humanities, that the energy of their activities is still operative and valid even nowadays.

Giorgi Chubinashvili (1885-1973) was one of them, one of the founders of the Tbilisi University and one who gave start to the art historian research of Georgian art. Like his colleagues, he studied in European Universities and started his academic research work there. In due time he returned to Georgia to support the development of modern Georgian science, Georgian art history in particular

The life and activities of G. Chubinashvili present a good example of the interaction of the epoch and the person. These relations are complicated and contradictive and contain many visible and invisible motivations and activities.

Despite many obstacles, G. Chubinashvili created a profound basis for the academic study of Georgian Art History. Based on the achievements in the European humanities, he worked out a research method for investigating a work of art which implies a thorough overall study of artistic phenomena, immanent as well as external (cultural, historical, religious, social, etc.) factors and assessment of their interaction. This method proved to be very efficient and still is at work in this field.

The main objective of this paper is to show how the abovementioned method interacted with epochal problems and current issues of Georgian humanities and how one particular person created a whole epoch in the Transcaucasian art-historian studies.

Keywords: *Epoch, person, art history, method, Transcaucasus.*

ქეთევან დიღმელაშვილი

ისტორიის დოქტორი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო (სპეციალისტი)
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0000-3329-9676
Ketisha80@gmail.com

აღნას მოსახსენიებელი კრამიტები ბებრისციხისა და სამთავისის ტაძრიდან როგორც ისტორიული წყარო

მოხსენება ეხება 2007 წ. ბებრისციხეზე და 2012 წ. სამთავისის ტაძარში აღმოჩენილ ბრტყელ კრამიტებს, რომლებიც ერთი ყალიბითაა დამზადებული და რომლებზეც რელიეფურად დატანილია სავედრებელი წარწერა: „ქრისტე შეიწყალე აღნა". ისტორიულ საბუთებში ამ სახელის მქონე თავად-აზნაურებიდან, რომელთაც შეწევდათ უნარი და შესაძლებლობა გარკვეული სამუშაოების სანაცვლოდ უფლისთვის სული შეევედრებინათ, მხოლოდ ორი პიროვნებაა ცნობილი: ერთი კახელი აზნაური აღნია ხერხეულიძეა XV ს. მეორე ნახევარში, ხოლო მეორე აღნია ზედგინიძე, XVI ს. პირველ ნახევარში, თაყა ამილახვრის ძმა. ვინაიდან კრამიტები სწორედ საამილახვროს ტერიტორიაზე მდებარე პუნქტებში აღმოჩნა და ამავე დროს, იმავე ისტორიული საბუთებით, აღნია ძმასთან ერთად სამთავისისა და შიომღვიმის ტაძრებისთვის ქონების შემწირველად გვევლინება, ვფიქრობთ, სამთავისსა და ბებრისციხეში აღმოჩენილ კრამიტებზე სწორედ აღნია ზედგინიძე უნდა იხსენიებოდეს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ აღნია და თაყა ზედგინიძეების დედა – გაიანე, სამთავისის საამშენებლო წარწერის მიხედვით, ტაძრის ხელახლა მაშენებელი გახლდათ.

კრამიტებზე მოხსენიებული აღნას გაიგივება აღნია ზედგინიძესთან დამატებით აზუსტებს საქართველოს ისტორიის კიდევ რამდენიმე უცნობ დეტალს. კერძოდ: ირკვევა, რომ სამთავისის განახლების პროცესში ამირინდო ზედგინიძის მთელი ოჯახი ყოფილა ჩართული. სამთავისის რეაბილიტაციის პარალელურად ზედგინიძეებს გარკვეული სარემონტო სამუშაოები უწარმოებიათ ბებრისციხეზეც (კონკრეტულად კი ეს აღნიას უნდა უკავშირდებოდეს). ამასთან, ცხადია ბებრისციხეზე კრამიტით კოშკებს ვერ დახურავდნენ, გამოდის, კრამიტით ეკლესია უნდა ყოფილიყო დახურული. დღეის მდგომარეობით, ეკლესიის კვალი ბებრისციხეზე არ იკითხება, თუმცა, ციხეზე აღმოჩენილი წარწერიანი კრამიტები, კირქვის პატარა ფილა ჯვრის გამოსახულებით და ასევე გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ცისფრად მოჭიქული ღარიანი კრამიტი მეტყველებს, რომ ციხეში კარის სამლოცველო უნდა მდგარიყო. როგორც ჩანს, სწორედ მისი, სულ მცირე, სახურავის განახლება მომხდარა აღნია ზედგინიძის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბებრისციხე XVI ს. დასაწყისში მოქმედი ციხეა.

საკვანძო სიტყვები: *ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, სამთავისი, აღნას მოსახსენებლები.*

Ketevan Digmelashvili

PhD in History
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia (Specialist)
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0000-3329-9676
Ketisha80@gmail.com

The Tiles with the Inscriptions of Aghna from Bebristsikhe Castle and the Samtavisi Cathedral as a Historical Source

The research refers to the flat tiles discovered in 2007 at Bebristsikhe castle and in 2012 at the Samtavisi Cathedral, which was made with one mold and the pleading inscription: "Christ have mercy on Aghna" is engraved in relief. Among the nobles with this name in historical documents, who had the ability and opportunity to beg the Lord for their souls in exchange for certain works, only two people are known: one is the Kakhetian nobleman Aghnia Kherkheulidze in the second half of the 15th century, and the other Aghnia Zedginidze, the brother of Taka Amilakhvari, in the first half of the 16th century. Since the tiles were found on the locations in the territory of Saamilakhvro, and at the same time, according to the same historical documents, Aghnia appears as a donor of property to the Samtavisi and Shiomghvime together with his brother, we think that Aghnia Zedginidze is the one who should be mentioned on the tiles found in Samtavisi and Bebristsikhe. This is also supported by the fact that Gayane, the mother of Aghnia and Taka Zedginidze, was the rebuilder of the Cathedral, according to the construction inscription of Samtavisi.

The identification of Aghna mentioned on the tiles with Aghnia Zedginidze clarifies some unknown details of Georgian history. In particular: it turns out that the entire family of Amirindo Zedginidze was involved in the renovation of Samtavisi Cathedral. In parallel with the rehabilitation of Samtavisi, the Zedginidzes have also carried out some repair works in Bebristsikhe (specifically, this should be related to Aghnia). In addition, the towers on Bebristsikhe could not be covered with tiles, it appears that there should have been a church that was covered with tiles. As of today, there are no traces of the church at Bebristsikhe, however, the inscription tiles found in the castle, a small limestone slab with the image of a cross, and also a blue-glazed grooved tile typical of the late Middle Ages indicate that the castle must have had a door chapel. It seems that Aghnia Zedginidze has renovated its roof at least. This means that Bebristsikhe was a functioning fortress at the beginning of the 16th century.

Keywords: *History, source studies, ethnology, anthropology, Samtavisi Cathedral, inscriptions of Aghna.*

შალვა დუნდუა

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-0939-6761
Sha.dundua@ug.edu.ge

მშობელთა ჩართულობის ჰუვერ-დემპსისა და სენდლერის მოდელი და მისი გავლენა სკოლის განვითარებაზე

მშობლთა ჩართულობა გადამწყვეტი ფაქტორია ბავშვის აკადემიური წარმატებისთვის სასკოლო განათლების პროცესში და მის მიღმა არსებული მექანიზმების გაგებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მოსწავლეთა საერთო საგანმანათლებლო შედეგები. ჰუვერ-დემპსისა და სენდლერის მშობელთა ჩართულობის მოდელი იძლევა საკმაოდ ფართო ჩარჩოს იმ ფაქტორების შესასწავლად, რომლებიც ხელს უწყობს და აძლიერებს მშობლების მონაწილეობას ბავშვთა განათლების პროცესში. ეს სტატია იკვლევს იმას, თუ როგორ შეუძლია ამ მოდელს დადებითი გავლენა მოახდინოს სკოლის გაუმჯობესების პროცესზე და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა წარმატებულ აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას.

ჰუვერ-დემპსისა და სენდლერის მოდელი არსებითად წარმოადგენს სამ ძირითად კონსტრუქტს: მშობლების პიროვნულ მოტივაციასა და რწმენას, მშობლის თვითეფექტურობის განცდასა და სკოლა-ოჯახის კონტექსტუალურ ელემენტებს. იგი ხაზს უსვამს მშობლის როლის ჩამოყალიბების მნიშვნელობას, მის შეხედულებებს განათლებაზე და თვითეფექტიანობაზე, ასევე პირადი და ოჯახური რესურსებისა და სოციალური და კულტურული კავშირების გავლენას სწავლისა და აღზრდის პროცესზე. სტატიაში ასევე განხილულია მშობელთა ჩართულობის ბარიერები, მათ შორის პირადი, კონტექსტური და სისტემური ფაქტორები.

იმ შემთხვევათა შესწავლამ, რომლებმაც ამ მოდელზე დაფუძნებული პროგრამა განახორციელეს საშუალო სკოლის ბაზაზე, აჩვენა მისი პრაქტიკული გამოყენების ეფექტურობა მშობლებთა ჩართულობის გაზრდისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სტატიაში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ხაზს უსვამს სკოლის მშობლებთან რეგულარული კომუნიკაციის აუცილებლობას და სთავაზობს სკოლებს სემინარების ორგანიზებას მშობლების თვითეფექტიანობისა და პედაგოგიური უნარების ასამაღლებლად რათა უზრუნველყოს ყველა მშობლის ჩართულობა ბავშვთა განათლების პროცესში.

ჰუვერ-დემპსისა და სენდლერის მოდელზე დაყრდნობით, სკოლის ადმინისტრაციას, სასკოლო პოლიტიკის შემქმნელებსა და განმხორციელებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ ეფექტური სტრატეგიები მშობლების ჩართულობის გასაძლიერებლად, რითაც საგრძნობლად გაზრდიან სკოლისა და ოჯახის პოზიტიურ გავლენას მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: *მშობლების ჩართულობა, სკოლის განვითარება, მშობლისა და სკოლის თანამშრომლობის მოდელი, თვითეფექტიანობა, მშობელთა მოტივაცია.*

Shalva Dundua

PhD in Educational Sciences
The University of Georgia
Head of the Department of Education
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-0939-6761
Sha.dundua@ug.edu.ge

Hoover-Dempsey and Sandler Model of Parental Involvement and its Implications for School Improvement

Parental involvement is a crucial factor in a child's academic success, and understanding the mechanisms behind this engagement can significantly enhance educational outcomes. Hoover-Dempsey and Sandler's Model of Parental Involvement provides a comprehensive framework for examining the factors that motivate and sustain parents' participation in their children's education. This article explores how this model can positively influence school improvement processes and ultimately benefit student performance.

The model identifies three main constructs: parents' personal motivations and beliefs, self-efficacy, and contextual elements. It highlights the importance of parental role construction, views on education, and self-efficacy, as well as the impact of personal and family resources and social and cultural ties. Barriers to involvement, including personal, contextual, and systemic factors, are also discussed.

A case study of a middle school that implemented a program based on this model demonstrates its practical application and effectiveness in increasing parental involvement and improving student outcomes. The findings emphasize the need for schools to maintain regular communication with parents, offer workshops to boost parental confidence and skills and adopt inclusive practices to ensure all parents can contribute to their children's education.

By understanding and applying Hoover-Dempsey and Sandler's model, schools and policymakers can develop strategies to enhance parental involvement, thereby improving school performance and student achievement.

Keywords: *Parental involvement, school development, model of parent-school collaboration, self-efficacy, parental motivation.*

ომიკო ეჯიბია

ისტორიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-0277-2044
omiko.edjibia@tsu.ge

სიტყვების „ტერორიზმი და ტერორისტის“ არასწორი მიმართებებისა და გამოყენების შესახებ თანამედროვე მსოფლიოში – მიზეზები და მიზნები (მაგალითები მსოფლიოდან და საქართველოდან)

21-ე საუკუნეში ტერორიზმი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. ტექნოლოგიების განვითარებამ და გლობალიზაციის პროცესებმა, დამატებით წარმოშვეს რადიკალიზაციის ისეთი ფორმები როგორებიცაა კიბერ-ტერორიზმი და ნარკო-ტერორიზმი. თუმცაღა, პოლიტიკურ, ინდივიდუალურ და ფანატიკურ ტერორისტულ ორგანიზაციებსა და აქტებს დღემდე წამყვანი ადგილი უკავიათ დანაშაულის ამ სფეროში.

ტერორიზმი და ტერორისტული ორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, 2013 წელს მსოფლიო ასპარეზზე, „ტერორისტული სახელმწიფოს“ ISIL (ISIS)-ს გამოჩენის შედეგად. მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციის კონტროლი დამყარდა სირიისა და ერაყის ტერიტორიების ნაწილზე, მისმა ლიდერმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ სახელმწიფოს შექმნის შესახებ გამოაცხადა (ISIL), რაც უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში კი სიტყვები „ტერორიზმი და ტერორისტი“ პოლიტიკოსებისა თუ მედია სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული და ყველაზე ხშირად ნახსენები ტერმინი იყო. შესაბამისად საკითხის შესწავლა მეტად აქტუალურია როგორც საქართველოს ისე გლობალურ კონტექსტში.

მე-18 საუკუნიდან მოყოლებული ტერმინებმა „ტერორიზმი და ტერორისტი“ რამდენჯერმე შეიცვალა თუ განაახლა თავისი მნიშვნელობა. მაგ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში „ტერორისტი“ ასოცირდებოდა პარტიზანთან, ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ სუბიექტებთან, ხოლო „ტერორიზმი“ კი სახელმწიფო ტერორისა და ძალმომრეობის სინონიმი იყო. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მაგ. აშშ-ში, *ვაშინგტონ პოსტსა* და *ჩიკაგო ტრიბუნში* ვხვდებით სტატიების სათაურებს, რომელთა მიხედვითაც „ტერორისტი და ტერორიზმი“ განგსტერებთან და ქუჩის ბანდებთან იყო ასოცირებული. თანამედროვე მნიშვნელობით სიტყვების „ტერორისტი და ტერორიზმი“ დამკვიდრება კი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება და ძირითადად, პოლიტიკურ შინაარსის მატარებელია (გარდა კერძო, სუბიექტური შემთხვევებისა).

2001 წლიდან მოყოლებული ტერორისტული აქტები უმწვავეს გამოწვევად დადგა ცივილიზებული მსოფლიოსთვის. გაიზარდა ტერორისტების მოქმედების სივრცე, მოქმედებათა სფეროები, მეთოდები თუ ტერორისტთა ოდენობა. პარალელურად, არა-ერთი ფაქტი თუ მოვლენა, მსოფლიოს გარშემო, დასახელებულ იქნა

ტერორისტულ აქტად საჯარო თუ მედია სივრცეში, რომლებსაც ასეთი კვალიფიკაცია ან თავიდანვე არ ჰქონდა ან შემდგომში არ მიუღია (მაგ. მუამარ კადაფის საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები 2011 წელს; პრეზიდენტ პოროშენკოს საინაუგურაციო სიტყვა 2014 წელს; 2020 წელს ზუგდიდში, საქართველოს ბანკზე თავდასხმა და სხვ.).

ნაშრომის მიზანია, თანამედროვე პერიოდში მომხდარ მოვლენებსა და მათ შეფასებებზე დაყრდნობით, წარმოაჩინოს სიტყვების „ტერორიზმი და ტერორისტის“ არასწორი მიმართებებისა და გამოყენების შემთხვევები. ფაქტობრივი, იურიდიულ-სამართლებრივი თუ პოლიტიკური არგუმენტაცია ამ სიტყვების გამოყენების მცდარობისა კონკრეტულ მოვლენებთან მიმართებაში. ასევე, ახსნა დაშვებული შეცდომების მიზეზების და მიზნების კერძო მაგალითების (ქეისების) მიხედვით. დამატებით, სიტყვების „ტერორიზმი და ტერორისტის“ ფართო და ვიწრო მნიშვნელობებით გამოყენების სავარაუდო მიზნები.

საკვანძო სიტყვები: *ტერორიზმის; ტერორისტის; ტერორიზმი და თანამედროვე მსოფლიო; ბრალდება: ტერორიზმი და ტერორისტი.*

Omiko Ejibia

PhD of History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-0277-2044
Omiko.edjibia@tsu.ge

About the incorrect relations and usage of the words "terrorism and terrorist" in the modern world – reasons and goals (examples from the World and Georgia)

In the 21st century, terrorism remains the world's most important challenge. The development of technologies and the processes of globalization have additionally given rise to such forms of radicalization as cyber-terrorism and narco-terrorism. However, political, individual, and fanatical terrorist organizations and acts still occupy a leading place in this area of crime.

Terrorism and terrorist organizations came under special attention in 2013 as a result of the appearance of the "Terrorist State" ISIL (ISIS) on the world stage. After the control of this organization was established over part of the territories of Syria and Iraq, its leader Abu Bakr al-Baghdadi announced the creation of a state (ISIL), which was an unprecedented event. In the second decade of the 21st century, the words "terrorism" and "terrorist" were one of the most frequently used and most commonly

mentioned terms by politicians and the media. Therefore, the study of the issue is very relevant in the Georgian and global contexts.

Since the 18th century, the terms "terrorism and terrorist" have changed or renewed their meaning several times. E. g. During the Great French Revolution, "terrorist" was associated with partisans, subjects fighting against the government, while "terrorism" was synonymous with state terror and violence. In the 20s of the 20th century, for instance, in the USA, in *the Washington Post* and *Chicago Tribune*, we find article titles according to which "terrorist and terrorism" were associated with gangsters and street gangs. The establishment of the words "terrorist and terrorism" in the modern sense started in the 70s of the 20th century and mainly carries political content (except for private, subjective cases).

Since 2001, terrorist acts have become the most serious challenge for the civilized world. The space of activities of terrorists, the fields of activities, methods and the number of terrorists have increased. At the same time, several facts and events around the world have been labeled as terrorist acts in the public or media space, which either did not have such qualifications from the beginning or did not receive them later (e.g. Muammar Gaddafi's public speeches and interviews in 2011; President Poroshenko's inaugural speech in 2014; in 2020, the attack on the Bank of Georgia in Zugdidi, etc.).

The paper aims to present the cases of incorrect relations and usage of the words "terrorism and terrorist" based on the events that happened in the modern period and their evaluations. Factual, juridical or political argumentation of the fallacy of using these words concerning specific events. Also, an explanation of the reasons for the mistakes made and the goals according to examples and cases. In addition, the intended purposes of using the words "terrorism and terrorist" with broad and narrow meanings.

Keywords: *Terrorism; Terrorist; Terrorism and the modern world; Accusation: terrorism and terrorist*

დავით ზედელაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი
Gnomon Wise
მკვლევარი, ლექტორი
https://orcid.org/0009-0006-6450-4912
d.zedelashvili@ug.edu.ge

მოდერნული კონსტიტუციური ერი-სახელმწიფოს საჭიროება საქართველოსთვის და მისი სოციალური საფუძვლები ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ ტექსტებში (1918-1921)

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება ერთგვარ პოლიტიკურ პარადოქსს ეყრდნობა. იმ პერიოდში, დომინანტურმა და დამფუძნებელი ძალაუფლების მქონე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, გადამწყვეტი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში, მოდერნული კონსტიტუციური ერი-სახელმწიფოს ფორმით.

თავის მხრივ, პოლიტიკური ორგანიზაციის ეს ფორმა, არსებით წინააღმდეგობაში იყო ამ პარტიის მარქსისტულ იდეოლოგიასთან. რესპუბლიკის დამფუძნებლები, მათ შორის, უპირველესად მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, აცნობიერებდნენ ამ შინაგან წინააღმდეგობას. ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ ტექსტებში დამფუძნებელი პერიოდიდან, ვპოულობთ ამ წინააღმდეგობის ორიგინალურ გადაწყვეტას. ჟორდანიას ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დღემდე რელევანტურობას არ კარგავს იმდენად, რამდენადაც წარმოაჩენს საქართველოში მოდერნული სახელმწიფოს შენების გზაზე არსებულ მთავარ წინაღობას – ინდუსტრიული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურისა და მოდერნიზაციის ხარისხის არარსებობას.

საკვანძო სიტყვები: *მოდერნული კონსტიტუციური ერი-სახელმწიფო, ნოე ჟორდანია, ნოე ჟორდანიას პოლიტიკური ტექსტები*

David Zedelashvili

The University of Georgia
Gnomon Wise
Researcher, Invited Lecturer
Tbilisi, Georgia
ORCID: https://orcid.org/-0009-0006-6450-4912
d.zedelashvili@ug.edu.ge

The need for a modern constitutional nation-state for Georgia and its social foundations in the political texts of Noe Jordania (1918-1921)

The establishment of the First Democratic Republic of Georgia is based on a kind of political paradox. At that time, the Social Democratic Party, which held dominant and founding power, played a decisive role in creating the Democratic Republic of Georgia in the form of a modern constitutional nation-state.

However, this form of political organization was fundamentally at odds with the Marxist ideology of the party. The founders of the republic, including primarily the head of government Noe Zhordania, were aware of this internal contradiction. In Zhordania's political texts from the founding period, we find an original resolution to this contradiction. Zhordania's analysis is particularly important and remains relevant today, as it highlights the main obstacle to building a modern state in Georgia – the absence of the social structure and level of modernization characteristic of industrial societies.

Keywords: *The modern constitutional nation-state, Noe Zhordania, Noe Zhordania's political texts.*

მანანა თანდაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ფრანკფურტის უნივერსიტეტი
კავკასიურ ენათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი
მაინის ფრანკფურტი, გერმანია
https://orcid.org/0009-0005-7812-9124
tandaschwili@em.uni-frankfurt.de

ქართული ენა მეცნიერების ახალი პარადიგმის კონტექსტში (ენათა ახალი კლასიფიკაცია და ქართული ენის თანამედროვე სტატუსი)

XXI საუკუნემ, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პარალელურად, არსებითი ცვლილებები მოიტანა სამეცნიერო სფეროში. თუ ენათა კლასიფიკაციის ტრადიციული პარადიგმა მოიცავდა გენეტიკურ, ტიპოლოგიურ და რელაციურ კლასიფიკაციას, დღეს კლასიფიკაციის ახალი პარადიგმა შეიქმნა, რომელშიც ენათა დაჯგუფება ახალი პარამეტრების მიხედვით ხორციელდება: 1) **ენის იურიდიული სტატუსი** 2) **ენის სიცოცხლისუნარიანობა და გამოყენების სფეროები** და 3) **ციფრულ ეპოქაში ენათა ფუნქციონირების ხარისხი.** ამ უკანასკნელის მიხედვით დღეისათვის ენებს აჯგუფებენ უხვრესურსიან ენებად (HRL) და მწირრესურსიან (LRL) ენებად. შესაბამისად, ენათა ტრადიციული ატლასი, შეცვალა ენათა ატლასმა, რომელიც მსოფლიოს ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობასა და ამ ენებზე ენის ბუნებრივი დამუშავებისათვის კმარი ციფრული რესურსების პროცენტულ შეფარდებას წარმოგვიდგეს.

თეორიული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, „ტერმინი LRL გამოიყენება ისეთ ენებთან მიმართებით, რომელთა **მონაცემების დამუშავება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით** შეუძლებელია **მონაცემთა სიმცირის გამო**“ (Cieri et al 2016:4543-44; Magueresse et al., 2020:1). ხელოვნური ინტელექტის სფეროს წარმომადგენლები მწირრესურსიან ენებად მიიჩნევენ ისეთ ენებს, რომლებსაც შეზღუდული რაოდენობის ენობრივი მონაცემები და რესურსები აქვთ NLP (ბუნებრივი ენების დამუშავების) ამოცანების შესასრულებლად. ნაკლები რესურსები, NLP-ის კონტექსტში, ნიშნავს ისეთი ანოტირებული ტექსტების, ენის ბაზების ან სხვა ლინგვისტური რესურსების (მაგ., ლექსიკონების) ნაკლებობას, რომლებიც საჭიროა **ხელოვნური ინტელექტის დასატრენინგებლად**, რათა შევქმნათ და განვავითაროთ ენის ეფექტური მოდელები.

ქართული ენა მწირრესურსიან ენად არის მოხსენიებული საერთაშორისო სამეცნიერო წრეში (Nancy et al., 2017). თუმცა, აქ წარმოდგენილი განმარტებებიდან გამომდინარე, ტერმინის **„მწირრესურსიანი ენა“** ქართულთან მიმართებით გამოყენება არაადეკვატურად მიგვაჩნია, როგორც შინაარსობრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, ვინაიდან დღეისათვის საკმაოდ გაგვაჩნია ქართული ენისათვის როგორც **დიდ მონაცემთა ბაზები** (თანდაშვილი, ყამარაული 2021:87-100), ისე ენის ტექნოლოგიები (ავტომატური მასწორებელის სისტემები, მეტყველების ტექსტად და ტექსტის მეტყველებად გარდაქმნის პროგრამული საშუალებები, ქართული ენის ანალიზისა და სინთეზის პროგრამები და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ

უნდა გადაიხედოს ენათა ახალი კლასიფიკაციის მეოთხე პარამეტრი, კერძოდ, ორდონიანი სისტემის (HRL vs. LRL) მაგივრად შემუშავდეს მრავალდონიანი სისტემა **ციფრულ ეპოქაში ენათა ფუნქციონირების ადეკვატურად ასახვის** მიზნით.

მოხსენების მიზანია ქართული ენის სტატუსის ადეკვატურობის კრიტიკული განხილვა მეცნიერების ახალი პარადიგმის კონტექსტში და კლასიფიკაციის ექვსსაფეხურიანი სისტემის შეთავაზება. კერძოდ, დიქოტომია HRL *vs.* LRL უნდა განივრცოს რამდენიმე შუალედური დონით:

1. **უხვრესურსიანი ენები** ანუ ენები, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი რესურსები ხელოვნური ინტელექტის დასატრენინგებლად;
2. **კმარრესურსიანი ენები** ანუ ენები, რომელთა ციფრული რესურსები, სავარაუდოდ, არ არის საკმარისი ხელოვნური ინტელექტის დასატრენინგებლად, მაგრამ საკმარისია არაამბიციური ამოცანების გადასაჭრელად;
3. **ნაკლებრესურსიანი / არასაკმარისი რესურსების მქონე ენები** ანუ ენები, რომელთა ციფრული რესურსები არ არის საკმარისი სხვადასხვა ამოცანების კომპიუტერული დამუშავებისთვის;
4. **მწირრესურსიანი ენები**, ანუ ენები, რომლებიც მცირე რაოდენობის არასტუქტურირებული ციფრული რესურსებით არიან წარმოდგენილი;
5. **გაუციფრებელი** ენები ანუ ენები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან წარმოდგენილი ციფრული რესურსებით, მაგრამ შესაძლებელია ამ ენებისათვის რესურსების შექმნა;
6. **ურესურსო ენები** ანუ ენები, რომლებიც ვერასოდეს იქნებიან წარმოდგენილი ციფრული რესურსებით სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგ., ეს ენები კრიტიკულად საფრთხეში მყოფ ან გამქრალ ენებად ითვლებიან, ამ ენაზე მეტყველი სოციუმის რაოდენობა იმდენად მცირე, რომ შეუძლებელია მოცემული ენისათვის რაოდენობრივად სიგნიფიკანტური ციფრული რესურსების შექმნა და ა. შ.).

საკვანძო სიტყვები: *დიგიტალური ქართველოლოგია, ქართული ენა, მწირრესურსიანი ენები.*

Manana Tandaschwili

Frankfurt University
Head of the Department for Caucasian Languages
Frankfurt a/M, Germany
https://orcid.org/0009-0005-7812-9124
tandaschwili@em.uni-frankfurt.de

Georgian Language in the Context of the New Paradigm of Science (New Classification of Languages and Modern Status of the Georgian Language)

The 21st century has brought significant changes to various fields of science, largely due to the rapid development of information technologies. The philosophy of science has evolved, introducing new challenges for languages. While the traditional classification paradigm included genetic, typological, and relational classifications, a new paradigm has emerged. This new paradigm categorizes languages according to different parameters: 1) the legal status of the language, 2) the viability of the language and its areas of use, and 3) the degree of operation of languages in the digital age. According to this new classification, languages are now categorized into high-resource languages (HRL) and low-resource languages (LRL). Consequently, the traditional Language Atlas, which reflects the genealogical classification or distribution area of languages, has been replaced by a new Language Atlas that shows the percentage of digital resources available for natural language processing (NLP) about the number of languages spoken worldwide.

In both Georgian and international scientific literature and portals (Nancy et al., 2017), the Georgian language is considered a Low Resource Language (LRL). This presentation aims to examine the appropriateness of this classification for the Georgian language in the context of the new scientific paradigm.

According to theoretical scientific literature, LRLs can be understood as few studied, resource-scarce, less computerized, less privileged, and less commonly taught (Cieri et al., 2016:4543-44; Magueresse et al., 2020:1). Artificial intelligence experts define LRLs as languages with a limited amount of linguistic data and resources for natural language processing (NLP) tasks. In the context of NLP and machine learning, having "low resources" typically means a lack of annotated texts, linguistic databases, or other resources necessary to train and develop effective language models. Reasons a language might be considered low resource include having minimal digital

presence, lacking annotated datasets, being underrepresented in academic research, or having insufficient computational resources.

Based on the definitions provided and the fact that there are both large databases and advanced language technologies available for Georgian (Tandashvili & Kamarauli, 2021:87 ff), I argue that the term "Low Resource Language" is not adequately applicable to Georgian, both in terms of content and context.

In my opinion, the third parameter of the new language classification (the degree of operation of languages in the digital age) should be revised. Specifically, a multi-level system should be developed instead of the current binary classification (HRL vs. LRL) to better reflect the functionality of languages today. I propose the following intermediate levels:

1. **HRL (High Resource Language)**: Languages with sufficient resources to train artificial intelligence;
2. **SRL (Sufficient Resource Language)**: Languages whose digital resources are not necessarily adequate for training artificial intelligence but are sufficient for functioning in the digital era;
3. **URL (Underresource Language)**: Languages with digital resources insufficient for machine processing of various tasks;
4. **LRL (Low Resource Language)**: Languages represented by a small number of unstructured or random digital resources;
5. **UDR (Undigitized Language)**: Languages not yet represented by digital resources but for which it is possible to create such resources (big data);
6. **NRL (Nonresourced Language)**: Languages that, for various reasons, will likely never be represented by digital resources (e.g., endangered languages or languages spoken by such a small number of people that creating significant digital resources is infeasible).

Keywords: *Digital Kartvelology, Georgian Language, Low Resource Languages.*

თეონა თავდიშვილი

დოქტორანტი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-7899-7440
teonatavdishvili@gmail.com

სიტყვიერი (Word of Mouth) და ინფლუენსერების მარკეტინგი ქართულ კომპანიებში

სიტყვიერი მარკეტინგი ერთ-ერთი უძველესი და ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიაა, რომელსაც ორგანიზაციები მიმართავენ მომხმარებლების მოზიდვისა და მათი ლოიალურობის გაზრდის მიზნით. WOMM ეფუძნება ფენომენს, როდესაც კმაყოფილი მომხმარებელი საკუთარ გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს, რაც ქმნის ინტერესსა და ნდობას ახალ მომხმარებლებში.

ქართულ კომპანიებში მარკეტინგული სტრატეგიები ხშირად ეყრდნობა ტრადიციულ მეთოდებს, როგორიცაა სატელევიზიო რეკლამა, ბეჭდური მასალები და ინტერნეტრეკლამა, თუმცა სიტყვიერი მარკეტინგის პოტენციალი ხშირად უგულებელყოფილია მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის მომხმარებელთა ნდობასა და ლოიალურობას, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება კომპანიის წარმატებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ბოლო წლებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ინფლუენსერების მარკეტინგმა, რომელიც წარმოადგენს სიტყვიერი მარკეტინგის ერთ-ერთ ფორმას. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გავლენიან/ცნობილ ადამიანებთან თანამშრომლობას, რომელთა მიერ გაზიარებული ინფორმაცია/მასალა და რეკომენდაციები დიდ გავლენას ახდენს მათი გამომწერების ქცევაზე. ინფლუენსერები ხშირად ითვლებიან ექსპერტებად ან ლიდერებად კონკრეტულ სეგმენტში, რის გამოც მათი რეკომენდაციების მიმართ მომხმარებლების ნდობა მაღალია. ეს იძლევა შესაძლებლობას, კომპანიებმა უფრო სწრაფად და ეფექტურად მიაღწიონ ფართო აუდიტორიას და შეიქმნან პოზიტიური იმიჯი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინფლუენსერების მარკეტინგის გავლენის შედეგების შესწავლა ორ ქართულ კომპანიაში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა დაკვირვება და ექსპერიმენტი ორ ქართულ კომპანიაში, რომლებიც მიმართავენ სიტყვიერ მარკეტინგს.

კვლევის პროცესში ჩატარდა ექსპერიმენტი 2024 წლის მარტის თვეში დაფუძნებულ კომპანია „ნადიმში“. საკვლევ აუდიტორიას წარმოადგენდნენ „ნადიმის“ მომხმარებლები. ესპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა განსაზღვრული სარეკლამო არხების საშუალებით ხმაურის გამოწვევა, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს ელაპარაკა პროდუქტის შესახებ.

დაკვირვება განხორციელდა ტანსაცმლის ინდუსტრიაში ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშის – დრესარიუმის – მარკეტინგულ აქტივობებზე და სარეკლამო არხებზე მათი ეფექტურობის შეფასების მიზნით. კვლევის ფარგლებში გაკეთდა კომპანიის მარკეტინგული გეგმისა და წლიური ბიუჯეტის ანალიზი. კომპანიის სამიზნე

სეგმენტების მიხედვით შეფასდა გამოყენებული სარეკლამო არხებისა და აქტივობების ეფექტურობა – სოციალური მედია, ინფლუენსერები, იუთუბი, ბანერები, sms მარკეტინგი, ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: *სიტყვიერი მარკეტინგი, ინფლუენსერების მარკეტინგი, ლოიალობა, ექსპერიმენტი, რეკლამა, ინფლუენსერი.*

Teona Tavdishvili

PhD Student
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-7899-7440
teonatavdishvili@gmail.com

Word of Mouth and Influencer Marketing in Georgian Companies

Word-of-mouth marketing (WOMM) is one of the oldest and most effective marketing strategies that organizations use to attract customers and increase their loyalty. WOMM is based on the phenomenon where satisfied customers share their experiences and impressions with others, creating interest and trust among new customers.

In Georgian companies, marketing strategies often rely on traditional methods such as television ads, print materials, and internet advertising. However, the potential of word-of-mouth marketing is frequently overlooked, even though using this strategy significantly enhances customer trust and loyalty, which ultimately positively impacts a company's success and financial performance.

In recent years, influencer marketing, a form of word-of-mouth marketing, has gained particular popularity. This strategy involves collaborating with influential or well-known individuals whose shared content and recommendations significantly affect the behavior of their followers. Influencers are often considered experts or leaders in a specific segment, which leads to a high level of trust in their recommendations. This allows companies to reach a broad audience more quickly and effectively while building a positive image.

The research aimed to study the impact of influencer marketing in two Georgian companies. As part of the research, observation and experimentation were conducted in two Georgian companies that use word-of-mouth marketing.

The experiment was carried out with the company "Nadimshi," founded in March 2024. The target audience consisted of "Nadimshi" customers. The goal of the experiment was to create buzz through specific advertising channels so that as many people as possible would talk about the product.

Observation focused on the marketing activities and advertising channels of one of the largest players in the clothing industry, Dressarium, to assess their effectiveness. As part of the research, an analysis of the company's marketing plan and annual budget was conducted. The effectiveness of the advertising channels and activities used – such as social media, influencers, YouTube, banners, SMS marketing, and events – was evaluated according to the company's target segments.

Keywords: *word-of-mouth marketing, influencer marketing, loyalty, experiment, advertising, influencer.*

თეა თვალავაძე

ფილოლოგიის დოქტორი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
დირექტორის პირველი მოადგილე
თბილისი, საქართველო

https://orcid.org/0000-0003-3742-6825
teatvalavadze@gmail.com

გალაკტიონ ტაბიძის წიგნებზე მინაწერების ტექსტოლოგიური კვლევები

მწერალთა ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელნაწერ წყაროებს, რომლებიც არქივებში, მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში ინახება. ტექსტოლოგიის ძირითადი საგანი წერილობითი ტექსტი და მასთან დაკავშირებული საკითხებია, კვლევები კი წარიმართება წყაროების აღწერის, მათი ურთიერთშესაბამისობის გარკვევის, შექმნის დროის, მოტივისა და შემოქმედებითი ისტორიის დადგენის მიმართულებით. არქივებში დაცული ნაწარმოებები, ჩანაწერები, მიმოწერა, მოგონებები, დღიურები, წიგნებსა და ფოტოებზე მინაწერები მრავალ მოვლენას ჰფენს ნათელს და მწერლის შემოქმედების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურის მუზეუმში არსებულ არქივთა შორის მოცულობითა და მრავალფეროვნებით გალაკტიონ ტაბიძის არქივი გამოირჩევა. 2005-2008 წლებში მუზეუმმა გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეული, სადაც თავმოყრილია ლექსები და პოემები, პროზაული ტექსტები, ლიტერატურული ესკიზები, დღიურები, ცალკეული ჩანაწერები, პირადი თუ ოფიციალური მიმოწერა, ჩანახატები და ფოტოები. 2012 წელს მუზეუმსა და სხვა არქივებში დაცული ავტოგრაფების, ნაბეჭდი წყაროებისა და არტეფაქტების გამოყენებით შეიქმნა გალაკტიონ ტაბიძის ვებგვერდი. ვებგვერდზე მუშაობამ ცხადყო, რომ პოეტის არქივში არსებობს დღემდე გამოუქვეყნებელი ტექსტები.

გალაკტიონ ტაბიძის ოცდახუთტომეულის მერვე ტომში შევიდა და ვებგვერდზეც განთავსდა პოეტის ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებში ჩაწერილი ლექსებისა და მათი ვარიანტების ნაწილი, მაგრამ აქამდე უცნობია ამავე გამოცემებში არსებული ჩანაწერები თუ ტექსტებზე მინაწერები მწერლის თანადროულ ლიტერატურულ პროცესებსა და ზოგადად ხელოვნებაზე. აქვე ვხვდებით პოეტის თარგმანებს, სხვა ავტორების ლექსების შინაარსითა თუ პერსონაჟებით გამოწვეულ მოგონებებს, შენიშვნებს მწერლის თხზულებებზე; საყურადღებოა ბიბლიოგრაფიული ხასიათის მინაწერები იმის შესახებ, თუ სად და როდის გამოქვეყნდა პოეტის ნაწარმოებები, რომელ წელს, რომელ ლიტერატურულ საღამოზე და ვის მიერ იქნა წაკითხული ესა თუ ის ლექსი. ამ მცირე მინიშნებებითა თუ ვრცელი ჩანაწერებით ვეცნობით პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიას, ნაწარმოებების შექმნის პროცესს, წერის მანერასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად შესწავლილი და მრავალგზის გამოცემული ავტორის წიგნებზე მინაწერების უმრავლესობა გამოუქვეყნებელი და, შესაბამისად, გამოუკვლეველია. ოცდახუთტომეულში არ დაბეჭდილა ლიტერა-

ტურის მუზეუმში დაცული პოეტის პირადი ბიბლიოთეკის 140 წიგნში არსებული ჩანაწერები და შენიშვნები. მკვლევართათვის კიდევ უფრო ხელმიუწვდომელია გალაკტიონ ტაბიძის ჭყვიშის სახლ-მუზეუმში დაცული 60 გამოცემის მინაწერები. ეს წყაროები უაღრესად მნიშვნელოვანია მწერლის ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად და არსებული ინფორმაციების დასაზუსტებლად.

კვლევისთვის გამოყენებული იქნება უახლესი ციფრული ტექნოლოგიები, ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი მიდგომები, რთულად ამოსაკითხი ადგილების დასადგენად, ჩანაწერების დასათარიღებლად და პირთა იდენტიფიცირებისთვის კი – ეტაპობრივ-შრეობითი, კორპუსული და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდები.

უცნობი ხელნაწერი წყაროების მიკვლევა და ხელმისაწვდომობა არქივთმცოდნეობისა და ტექსტოლოგიური მეცნიერებისთვის მეტად აქტუალური საკითხია. ამ ტექსტების გამოქვეყნება შემდგომი კვლევების საყრდენია ატრიბუციის, დათარიღების, პირთა იდენტიფიცირების, ავთენტური ტექსტის დადგენის თვალსაზრისით და საშუალებას იძლევა, სათანადოდ იქნეს გააზრებული მწერლის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების მნიშვნელობა როგორც თანადროულ, ისე მომდევნო პერიოდის ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: *ხელნაწერები, წიგნებზე მინაწერები, გალაკტიონ ტაბიძე, ტექსტოლოგია.*

Tea Tvalavadze

PhD in Philology
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
First Deputy Director
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-3742-6825
teatvalavadze@gmail.com

Textological Research of Galaktion Tabidze's Notes on Books

Manuscripts kept in archives, museums and private collections are of particular importance for the study and publication of writers' biographies and literary heritages. The main subject of textology is the written text and related issues, while researches are conducted to describe the sources, to clarify their interdependence, to identify the time, motive and creative history of the creation. Works preserved in the archives, as well as records, correspondence, memoirs, diaries, inscriptions on books and photographs, shed light on many events and allow to obtain a new understanding of the writer's work.

Galaktion Tabidze's archive is distinguished among the archives in the Museum of Literature in terms of volume and variety. In 2005-2008, the museum published Galaktion Tabidze's archival twenty-five volumes, which contain poems, diaries, personal or official correspondence, photos. In 2012, Galaktion Tabidze's website was created using autographs and artifacts preserved in the museum and other archives. Working on the website revealed that there are still unpublished texts in the poet's archives.

A part of the poems and their variants in the books kept in the Galaktion Tabidze's library have been included in the eighth volume and posted on the website. However, the records regarding the writer's contemporary literary processes and art in general are still unknown. Here we encounter the translations of the poet, the memories evoked by the content of the poems or characters of other authors, the remarks on the works of this or that writer; Noteworthy are the bibliographic notes on where and when the works of the poet were published. With these small hints or extensive notes, we learn about the poet's creative laboratory, the process of creating works, the manner of writing, and other important aspects.

Most of the inscriptions in the books of one of the most studied and published authors in Georgia are unpublished and, consequently, unexplored. The twenty-five volumes do not contain the records and notes made in 140 books of the poet's personal library preserved in the Museum. The transcripts of 60 editions preserved in the Galaktion Tabidze's Chkhvishi House-Museum are even more inaccessible to researchers. These sources are extremely important for studying the writer's biography and literary heritage and for refining existing information.

The research will use the latest digital technologies, textual and source study approaches, step-by-step, corpus and historical-comparative research methods to identify difficult-to-read places, date records and identify individuals.

Keywords: *Manuscripts, Notes on books, Textual studies, Galaktion Tabidze.*

თეა თვალავაძე

გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა დათარიღება გრაფემათა ბმების მიხედვით

უთარიღო ტექსტები მოწყვეტილია ისტორიულ და ბიოგრაფიულ კონტექსტს, რითაც საგრძნობლად კნინდება მათი კულტურული ღირებულება. ზოგ შემთხვევაში, თარიღს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ არსებითად ცვლის ავტორისეულ სათქმელს.

ნებისმიერი სახის მხატვრული თუ დოკუმენტური ტექსტის დასათარიღებლად ფართოდ ვიყენებთ მისი შინაარსის ინფორმაციულ ანალიზსა და ისტორიულ-შედარებით კვლევას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შინაარსი ამგვარი კვლევისთვის საკმარის საფუძველს არ იძლევა და ერთადერთი გამოსავალი რჩება ხელნაწერი წყაროს შექმნის დროის განსაზღვრა გრაფემათა და მათი ბმების საერთო თუ სპეციფიკური ნიშან-თვისებების ანალიზით. ხელწერის სტილიზება აიოლებს ავტორის იდენტიფიცირებას, ხელწერის მიხედვით ავტოგრაფის დათარიღება კი, ბევრად უფრო რთული, მაგრამ მაინც ისაღწევი ამოცანაა. უკანასკნელ ათწლეულებში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, ხელნაწერის დათარიღების კვლევებში გამოყენებული ყოფილიყო პროგრამირებისა და ხელოვნური ინტელექტის მიდგომები.

ქართული ციფრული ჰუმანიტარია ახლა იდგამს ფეხს და ხელნაწერთა ავტომატური ანუ გრაფემატული დათარიღების მეთოდი საქართველოში დღემდე არავის გამოუყენებია. მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით.

იმისათვის, რომ შესწავლილი იქნას რომელიმე ავტორის ხელწერის მახასიათებლები მოღვაწეობის წლების მიხედვით და შემდეგ თითოეული წლის მონაცემებთან შედარებით განისაზღვროს უთარიღო ხელნაწერის შექმნის დრო, საჭიროა ამ ავტორის მდიდარი არქივი და ავტორის მიერვე დათარიღებული თითოეული წლის მასალა.

ამ მიზნით ავირჩიეთ გალაკტიონ ტაბიძის არქივი როგორც პოეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისე მოცულობის მიხედვით, არქივში არსებული ავტოგრაფების 55-წლიანი ინტერვალისა და თარიღიანი თუ უთარიღო ხელნაწერების დიდი რაოდენობის გამო. კვლევები ტარდება ლიტერატურის მუზეუმსა და კერძო კოლექციაში დაცული გალაკტიონ ტაბიძის ავტოგრაფების მიხედვით. კვლევის მიზანია დათარიღებული ხელნაწერების გრაფემებისა და გრაფემათა წყვილების მოხაზულობის შედარება-შეჯერებით, დავადგინოთ ის სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც კონკრეტულად რომელიმე წელს ვლინდება. ამ შემთხვევაში გამოვყავით თარიღიანი ხელნაწერების ასოთა ბმები, კონკრეტულად „უ“ გრაფემის სხვა ასოებთან დაწყვილებები და დავაჯგუფეთ საერთო თუ სპეციფიკური ნიშნების მიხედვით.

მომდევნო ეტაპზე მოხდა თითოეული გრაფემის ელემენტების კოდირება, სხვადასხვა წლის გრაფემათა მოხაზულობების აღწერა და მათთან ბმების მიხედვით ხელნაწერების მსგავსი აღწერილობის შედარება მათთან „უახლოესი მეზობლის“ იდენტიფიცირების მიზნით.

ჩატარებული გრაფემატული კვლევების მიხედვით, შედეგები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სამომავლოდ. ამით საფუძველი ეყრება კვლევის ახალ მიმართულებას, ქართული ხელნაწერების დასათარიღებლად თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე დამყარებული მეთოდოლოგიის შემუშავებას, ხელნაწერების ბაზაზე ასო-ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობების ვარიანტული ბაზების შექმნასა და უთარიღო ხელნაწერების მექანიკურ დათარიღებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიისა და კულტურის შესასწავლად და ავთენტურ ისტორიულ თუ ბიოგრაფიულ კონტექსტთან მათ დასაკავშირებლად. ჩვენი საკვლევი ავტორის – გალაკტიონ ტაბიძის შემთხვევაში, დათარიღდება არაერთი ტექსტი და მოხდება მათი სწორი ინტერპრეტაცია.

საკვანძო სიტყვები: *ხელნაწერები, გრაფემათა ბმები, დათარიღება, ციფრული ჰუმანიტარია*

Tea Tvalavadze

Dating Galaktion Tabidze's Manuscripts Based on Graphematic Links

When an undated text is disconnected from its historical and biographical context, its cultural significance is substantially reduced. In some instances, the date is so critical that it fundamentally alters the interpretation of the author's message.

We typically employ informative content analysis and historical-comparative research to accurately date artistic or documentary texts. However, there are cases where the content alone does not provide a sufficient basis for such research. In these instances, the only viable solution is to determine the creation date of the manuscript by analyzing the common and specific characteristics of graphemes and their links. The stylization of handwriting facilitates the author's identification, making the dating of autographs based on handwriting a challenging but feasible task. Recent advancements in computer technology have enabled the application of programming and artificial intelligence techniques in manuscript dating studies.

The field of Georgian digital humanities is currently in its formative stages, and the method of graphematic dating of manuscripts has yet to be utilized within Georgia. Numerous successful projects employing this technique have already been implemented in various countries around the world.

To study the characteristics of an author's handwriting over the years and subsequently determine the creation time of undated manuscripts through comparison with yearly data, it is essential to have access to a comprehensive archive of the author's work.

We selected the archive of Galaktion Tabidze, considering both the poet's significance and the extensive volume of material spanning a 55-year interval, including a substantial number of both dated and undated manuscripts. The study aims to identify specific indicators that emerge in any particular year by systematically comparing the outlines of graphemes and pairs of graphemes in dated manuscripts. Specifically, we examined the letter links in the dated manuscripts, focusing on the pairings of the ["u"] grapheme with other letters, and categorized them based on common or distinctive features.

Based on the findings of our graphematic studies, the results are sufficiently compelling to warrant future exploration and application. This marks the inception of a novel research avenue focused on developing a methodology utilizing contemporary digital technologies for dating Georgian manuscripts. This approach involves establishing manifold databases comprising graphic outlines of letters and symbols extracted from manuscripts, as well as employing automated methods to date previously undated manuscripts.

Keywords: *Manuscripts, Graphematic Links, Dating, Digital Humanities.*

შოთა თვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი
ისტორიულ არქეოლოგიური მუზეუმის ფონდის მცველი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის
უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0007-0650-1307
Shota.ug.tvaladze@gmail.com

ქართლის/ქართველთა ცხოვრების მცხეთური რედაქციის აღწერილობა

ქართველთა ცხოვრების მცხეთურ რედაქციას, განეკუთვნება შემდეგი ნუსხები: მარიამისეული, მაჩაბლისეულის ძველი ნაწილი და მგალობლისძის მიერ გადაწერილი, იგივე 1697 წლის ნუსხა.

1. მარიამისეული ნუსხა: ნუსხის ადგილსამყოფელი: ამჟამად ნუსხა ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სააღრიცხვო ნომრით №S-30.

ნუსხის სახელწოდება: სახელი მარიამისეული ქართლის მეფის, როსტომის (1633-1657) მეუღლის, დედოფალ მარიამ დადიანის სახელიდან მომდინარეობს. დიდხანს ითვლებოდა, რომ № S–30 ხელნაწერი უშუალოდ მარიამ დადიანის ბრძანებით გადაწერილი ნუსხაა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩვენამდე მოღწეული ნუსხა, სინამდვილეში, მარიამის ბრძანებით შექმნილი ხელნაწერის პალეოგრაფიული სიზუსტით შესრულებულ ასლს წარმოადგენს, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისში საგანგებოდ დამზადდა ვახტანგ VI-ისათვის (ქურციკიძე, 1993, გვ. 101-122). მიუხედავად ამისა, ნუსხას სახელი მარიამისეული კვლავაც დარჩა.

ისტორია: მარიამისეული ნუსხა (ნუსხის პირი) 1884 წ-ს აღმოაჩინა დიმიტრი ბაქრაძემ და გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკას, საიდანაც ის მოხვდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და აქედან კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ხელნაწრთა ეროვნული ცენტრი).

2.მგალობლისძის ნუსხა: ნუსხის ადგილსამყოფელი: ნუსხა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სააღრიცხვო ნომრით – №Q-1219

ნუსხის სახელწოდება: გადაწერილია 1697 წ. იოსებ მგალობლის-ძის მიერ. დათარიღების საფუძველია დამკვეთის ანდერძ-მინაწერის ცნობა. მას ისტორიოგრაფიაში სახელი არ დაუმკვიდრდა და გადაწერის თარიღის მიხედვით უბრალოდ 1697 წ-ის ნუსხად იხსენიებენ. ვინაიდან ა. კლიმიაშვილი იყო მისი აღმომჩენი, შესაძლებელია მისთვის კლიმიაშვილისეულ ნუსხაც გვეწოდებინა. ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამ ხელნაწერს ასე უწოდებს კიდეც. თუმცა ამჟამად ვფიქრობ, რომ, ვინაიდან ნუსხა გადაწერილია მგალობლის-ძის მიერ, უპრიანია მას მისი შემქმნელის და გადამწერის სახელი დაუმკვიდრდეს.

ნუსხის ისტორია: ნუსხა 1959 წ. აღმოაჩინა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა აკაკი კლიმიაშვილმა ხარაგაულის რაიონის სოფ. პატარა ხონში ოლღა მაჭავარიანის ოჯახში.

2. მაჩაბლისეული ნუსხა: ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სააღრიცხვო № H 2135.

ნუსხის სახელწოდება: მისი გადამწერის, გიორგი მაჩაბლის გვარიდან მოდის. ნუსხა დამზადდა მოსკოვში 1736 წ. გიორგი მაჩაბლის მიერ. 1923 წლამდე ინახებოდა ლენინ-

გრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (ქხა 1949, H კოლექცია, ტ. V, გვ. 98) დათარიღების საფუძველია გიორგი მაჩაბლის ანდერძ–მინაწერი.

ნუსხის ისტორია: ნუსხა ჰიბრიდულია, ანუ შერეული და შედგება ძველი და ახალი ნაწილებისაგან. ძველი ნაწილი, როგორც თვითონ გიორგი მაჩაბელი იუწყება, გადმოწერილია მეფე არჩილის (I გამეფება 1662 – გარდ. 1711 წ. მოსკოვში) ნაკლული დედნიდან, რომელსაც დასაწყისი, წარმართობის ხანის ისტორია – აკლდა და იწყებოდა სიტყვებით: „შემოსვლა სპარსთა და მეფობა მირიანისი“; გარდა ამისა, ტექსტს აკლდა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების – ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის დასაწყისი ნაწილი, პირველი ფრაზის შემდეგ: „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა სძლე ყოველთა ენა უტყვ მეტყველ ჰყავ“ სიტყვებამდე „პირველად წყალობისა მიმფენელმან იმიერთა და ამიერთა“. ტექსტი სრულდებოდა ჟამთააღმწერლის თხზულებით.

საკვანძო სიტყვები: *ქართლის ქართველთა ცხოვრება, მცხეთური რედაქცია, მარიამისეული ნუსხა, კლიმიაშვილისეული ნუსხა, მაჩაბლისეული ნუსხა.*

Shota Tvaladze

The University of Georgia
Custodian of the Historical Archaeological Museum Fund
Tamaz Beradze Center for Georgian Studies
Junior Research Associate
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0007-0650-1307
Shota.ug.tvaladze@gmail.com

Description of the Mtskheta Version of *The Life of Kartli/Georgians*

The Mtskheta version of the 'Life of the Georgians' includes the following manuscripts: Mariami's manuscript, the old part of Machabeli's manuscript, and the manuscript copied by Mgaloblishvili, also known as the 1697 manuscript.

1. Mariami's Manuscript: Location of the manuscript: The manuscript is currently kept at the National Centre of Manuscripts, inventory number №S-30.

Name of the manuscript: The name "Mariami's Manuscript" originates from Queen Mariam Dadiani, the wife of Rostom, King of Kartli (1633-1657). For a long time, it was believed that the manuscript № S-30 was directly copied by the order of Mariam Dadiani. However, later it was revealed that the surviving manuscript is a precise paleographic copy of the original, created under Mariam's order. This copy was specially made at the beginning of the 18th century for King Vakhtang VI (Khurtsikidze, 1993, pp. 101-122). Despite this, the manuscript is still referred to as "Mariami's Manuscript."

History: the manuscript (copy) was discovered in 1884 by Dimitri Bakradze and was handed over to the Library of the Society for the Spread of Literacy among Georgians. From there, it was transferred to the Manuscripts Department of the State Museum of Georgia and later to the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts (now the National Centre of Manuscripts).

2. Mgaloblishvili's Manuscript: Location of the manuscript: The manuscript is kept at the National Centre of Manuscripts, inventory number №Q-1219.

Name of the manuscript: It was copied in 1697 by Ioseb Mgaloblishvili. The dating is based on the information from the patron's will inscription. The manuscript has not established a specific name in historiography and is simply referred to as the '1697 manuscript' based on its copying date. Since A. Klimiashvili discovered it, it could also be called "Klimiashvili's Manuscript." Some historians indeed refer to it this way. However, I believe it is more appropriate for the manuscript to be named after its creator and copyist, Mgaloblishvili.

History: The manuscript was discovered in 1959 by Akaki Klimiashvili, a researcher at the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts, in the village of Patara Khoni, Kharagauli District, at the home of Olga Machavariani.

3. Machabeli's Manuscript: Location of the manuscript: It is kept at the National Centre of Manuscripts, inventory number №H 2135.

Name of the manuscript: The name derives from the copyist, Giorgi Machabeli. The manuscript was created in Moscow in 1736 by Giorgi Machabeli. Until 1923, it was kept at the Public Library in Leningrad (KHHA 1949, H Collection, Vol. V, p. 98). The dating is based on Giorgi Machabeli's will inscription.

History: The manuscript is hybrid, i. e., mixed, and consists of both old and new parts. The old part, as Giorgi Machabeli himself reports, was copied from an incomplete manuscript belonging to King Archil (first reign in 1662 – died in 1711 in Moscow), which lacked the beginning, the history of the pagan era, and started with the words: 'The arrival of the Persians and the reign of Mirian.' Additionally, the text lacked the beginning of the work by Tamar's first historian, 'The History and Praise of Sharavanded.' It begins with the phrase: 'Who has subdued the rhetors of the Moabites of the water and made mute the eloquent speakers of all tongues,' and the text is missing the part until the words: 'First, He who spreads grace upon both them and us.' The text ends with the work of the chronicler."

Keywords: *The Life of Kartli/Georgians, Mtskheta version of the 'Life of the Georgians', Mariami's Manuscript, Klimiashvili's Manuscript, Machabeli's Manuscript***.**

ქეთევან კაკიტელაშვილი

ისტორიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-0923-2775
ketevan.kakitelashvili@tsu.ge

გასაბჭოება და ებრაული იდენტობის მოდელის ცვლილება საქართველოში 1920-იან წლებში[1]

ნაშრომში გააანალიზებულია ქართველ ებრაელთა იდენტობის დომინანტური მოდელის ცვლილება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. 1870-1910-იან წლებში ქართველ ებრაელთა იდენტობის რამდენიმე კონცეფცია თანაარსებობდა. თითოეული მათგანი იდენტობის გარკვეულ კონცეფციას გამოხატავდა და იდენტობის რელიგიურ, ეთნიკურ და ეროვნულ ასპექტს ან მათ კომბინაციას მოიაზრებდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, იდენტობის კონსტრუირების შუა საუკუნეობრივი მოდელის კვალდაკვალ, ებრაული იდენტობა რელიგიით განისაზღვრებოდა. *ურია* აღნიშნავდა იუდაიზმის აღმსარებელს. თუმცა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესმა განაპირობა იდენტობის ეთნიკური და ეროვნული ასპექტების აქტუალიზება. ამ კონტექსტში ტერმინი *ურია* და მისი ეკვივალენტი *ებრაელი* აღნიშნავდა ეთნო-რელიგიური ჯგუფის წევრს.

1870-იან წლებიდან ამ ტერმინების პარალელურად გაჩნდა ტერმინი *ქართველი ებრაელი*. ის აღნიშნავდა ებრაელთა სპეციფიკურ ჯგუფს, რომელმაც საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების შედეგად განიცადა აკულტურაცია, შეითვისა ქართული კულტურის ელემენტები, ანუ კულტურულად „გაქართველდა.“ *ქართველი ებრაელი, ქართველი ფრანგი* და *ქართველი მაჰმადიანი* იდენტობის ანალოგიურ კონსტრუქციებს წარმოადგენდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მკვიდრდება ტერმინი *ისრაელობა* და *ქართველი ისრაელი*. *ისრაელობა*, როგორც იუდაიზმის სინონიმი, *კათოლიკობა, გრიგორიანობა* და *მაჰმადიანობა* დასახელებულია როგორც რელიგიები, რომელთაც აღიარებდნენ ქართველები გარდა ქრისტიანული მართლმადიდებლობისა. შესაბამისად, *ქართველი ისრაელი* აღნიშნავდა ქართველი ერის იმ ნაწილის, რომელიც იუდაიზმის მიმდევარი იყო.

1910-იან წლებში ქართველ ებრაელ ინტელექტუალთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა განავითარა *ქართველი ისრაელის* კონცეფცია. მათ უარი თქვეს ტერმინ *ებრაელზე*, როგორც ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინზე. ისინი თვლიდნენ, რომ კულტურულად და, შესაბამისად, ეროვნულად ქართველი ებრაელების, ანუ მოსეს რჯულის

[1] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის "ებრაული იდენტობა საქართველოში: საბჭოთა ტრანსფორმაცია (1921-1941)" (FR 23-8490) ფარგლებში.

მიმდევარი ქართველების აღსანიშნავად მართებული იყო ტერმინის *ქართველი ისრაელი* გამოყენება.

1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში „ქრისტიანობა, მაჰმადიანობა და ისრაელობა“ მიჩნეული იყო იმ რელიგიებად, რომელსაც აღიარებდა „ქართველთა ეროვნება.“ *ქართველი ისრაელი,* როგორც ტერმინი დამკვიდრდა საკანონმდებლო ტერმინოლოგიაში. *ქართველ ისრაელებს,* როგორც რელიგიურ და არა ეროვნულ უმცირესობას, მიენიჭათ საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლის ყოლის უფლება. „სხვა ებრაელებს“ – აშკენაზებს, იგივე უფლება მიენიჭათ როგორც ქართველი ისრაელებისაგან განცალკევებულ, ეროვნულ უმცირესობას. ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში, ქართველი ებრაელების იდენტობის დომინანტური მოდელი რელიგიის საფუძველზე განისაზღვრა. თუმცა 1910-იან წლებში ჩამოყალიბდა ასიმილაციონისტების საპირისპირო კონცეფციაც, რომელიც ებრაული იდენტობის ეროვნულ ასპექტზე ამახვილებდა ყურადღებას. ეს კონცეფცია, რომლის მთავარი სულისჩამდგმელი რაბინი დავით ბააზოვი (1883-1947) იყო, მსოფლიო ებრაელობას ეროვნულ ერთობად განიხილავდა და ქართველ ებრაელებს მის შემადგენელი ნაწილად მიიჩნევდა. იგი უპირატესობას ანიჭებდა ტერმინს *საქართველოს ებრაელები* და ამით ხაზს უსვამდა ებრაული იდენტობის ეროვნულ და არა რელიგიურ ასპექტს. ამ კონცეფციის მომხრეთა ხმა შედარებით პერიფერიული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართველი ისრაელის კონცეფციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკასთან ერთად დაკარგა ლეგიტიმაცია. ამის საპირისპიროდ, კორენიზაციის საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის კონტექსტში, პოზიციის გამყარება სცადა დავით ბააზოვის ებრაული ეროვნული იდეის მომხრეთა ჯგუფმა. 1920-იან წლებში მათ დააარსეს კულტურული ორგანიზაცია „თარბუთი,“ ებრაული 102-ე შრომის სკოლა, თეატრალური დასი, ასევე გამოსცეს ქართულენოვანი ებრაული გაზეთის „მაკაველი“ რამდენიმე ნომერი. მათი მუშაობა მიზნად ისახავდა ებრაული ეროვნული იდენტობის გაძლიერებას ივრითის, ებრაელი ერის ისტორიისა და ტრადიციის სწავლების გზით. 1920-1930-იან წლებში განხორციელებულმა ამ და სხვა აქტივობებმა, სხვა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართველ ებრაელთა იდენტობის ეროვნული განზომილების გამყარება საბჭოთა კავშირში.

საკვანძო სიტყვები: *ქართველი ებრაელები, ერიენული იდენტობა, დავით ბააზოვი, საბჭოთა კავშირი.*

Ketevan Kakitelashvili

PhD in History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-0923-2775
ketevan.kakitelashvili@tsu.ge

Sovietization and the Shift in the Jewish Identity Model in Georgia in the 1920s[2]

The paper analyzes the shift in the dominant identity model of Georgian Jews after Sovietization. During the 1870s-1910s, several concepts of Georgian Jewish identity coexisted. Following the medieval model of identity construction, Jewishness was predominantly defined by religion. The term *Uria* referred to a practitioner of Judaism. However, the social and economic modernization of the Russian Empire brought about the actualization of ethnic and national aspects of identity. In this context, *Uria* along with its equivalent *Jew*, came to denote a member of an ethno-religious group.

From the 1870s, the term *Georgian Jew* emerged alongside *Uria* and *Jew* to denote a specific group that underwent acculturation through centuries of living in Georgia, absorbing elements of Georgian culture and becoming culturally "Georgianized." *Georgian Jew*, *Georgian French*, and *Georgian Muslim* represented similar identity constructs.

From the beginning of the 20th century, the terms *Israeloba* and *Georgian Israelite* were established. *Israeloba*, synonymous with Judaism, along with Catholicism and Islam were recognized as religions that Georgians professed, apart from Christian Orthodoxy. Accordingly, *Georgian Israelites* denoted the part of the Georgian nation that professed Judaism.

In the 1910s, a small group of Georgian Jewish intellectuals developed a concept of *Georgian Israelites*. They believed that Georgian Jews belonged to the Georgian nation since Georgians and Jews shared culture, language and lifestyle for centuries.

[2] The paper was carried out in the framework of the project "Jewish Identity in Georgia: Soviet Transformation (1921-1941)" (FR 23-8490) supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

They preferred to term Georgian-speaking Jews as *Georgian Israelites* and not the *Georgian Jews* as the later described nationality.

In 1918, when the Democratic Republic of Georgia was declared, "Christianity, Islam, and Israeloba/Judaism" were recognized as religions of the "Georgian nationality." The term *Georgian Israelite* became established in legislative terminology. Georgian Israelites were granted the status of a religious minority. They were given representation in the legislature, distinct from "other Jews" such as Ashkenazim, who were recognized as a separate from Georgian Israelites' national minority.

Thus, within the framework of the Democratic Republic of Georgia, the dominant identity model of Georgian Jews was defined based on religion. However, in the 1910s, the opposite concept of Jewish identity was formed, which focused on the national aspect of Georgian Jewish identity.

This model elaborated by Rabbi Davit Baazov (1883-1947), viewed world Jewry as a national entity and considered Georgian Jews as its constituent part. Baazov preferred the term *Jews of Georgia*, thus emphasizing the national rather than the religious aspect of Jewish identity. The voice of supporters of this concept was relatively peripheral during the period of the Democratic Republic of Georgia.

From 1921, after the Sovietization of Georgia, the concept of *Georgian Israelite* lost its legitimacy along with the Democratic Republic of Georgia. At the same time, in the context of the Soviet national policy of Korenization, the group of supporters of the Jewish national idea tried to strengthen its position. In the 1920s, they founded the cultural organization "Tarbuti", the 102nd Jewish Labor School, a theater troupe, and also published several issues of the Georgian-language Hebrew newspaper "Makaveeli".

Their work aimed to strengthen the Jewish national identity through the teaching of Hebrew, history and Jewish tradition. These and other activities carried out in the 1920s and 1930s, together with other political, social, and economic factors, significantly determined the strengthening of the national dimension of Georgian Jewish identity in the Soviet period.

Keywords: *Georgian Jews, National Identity, David Baazov, Soviet Union.*

ირაკლი კალანდია

MTS Company – სასწავლო ცენტრი
დირექტორი
თბილისი, საქართველო
ikalandia55@gmail.com

ლეგენდარული გულბაათ ჭავჭავაძე – პოეტების და მხატვრების მუზა

გულბაათ ჭავჭავაძის სახე ლადო ასათიანმა უკვდავყო თავისი პოეტური სტრიქონებით. ლექსმა გულბაათის სახელი თაობებს შემოუნახა. პოეტმა თავისებურად გამოძერწა მისი სახე. ლექსში ის ადგილი, სადაც ქვევრების მსმელი კახელი თავადი ჭინჭილამ წააქცია, ეს იყო პოეტისეული ინტერპრეტაცია ქართული გამოთქმისა „ზღვა კოვზით დაილევა“, რაც ლექსს უდავოდ ძალიან მოუხდა. ის სმის უზომო უნარით გამოირჩეოდა და მაინც არავის არასდროს უნახავს მთვრალი.

მიხეილ ლერმონტოვის პოემაში „დემონი“, მხატვრული ნაწარმოების გმირის, გუდალის პროტოტიპი გულბაათ ჭავჭავაძეა, გუდალის მამული და სახლი ქართველი თავადის სახლ-კარია, სინოდალი კი წინანდალია. ასე მიიჩნევდნენ ლერმონტოვის თანამედროვენი, ნიჟეგოროდელ დრაგუნთა პოლკის ძველი გვარდიელები, პოეტიც ამავე პოლკში მსახურობდა; ამასვე ასაბუთებს რუსი ისტორიკოსი, ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების, აგრეთვე, რუსეთსა და კავკასიის ხალხებს შორის კულტურულ და ლიტერატურულ კავშირთა ცნობილი მკვლევარი ანდრეი პოპოვი თავის წიგნში – „ლერმონტოვი კავკასიაში“. ირაკლი ანდრონიკოვი თავის წიგნში – „ლერმონტოვი, კვლევები და დასკვნები“ – ვრცლად მიმოიხილავს ლერმონტოვის წერილებს, კერძოდ, პოეტი თავის მეგობარს, სვიატოსლავ რაევსკის წერს, რომ საქართველოში ბევრ კარგ ადამიანს შეხვდა და მათ შორის გამოყოფს იასონ და სპირიდონ ჭავჭავაძეებს, აგრეთვე, მათ უფროს ძმას, სტუმართმოყვარეობით ცნობილ გულბაათ ჭავჭავაძეს, რომელიც ძველ ყაიდაზე ცხოვრობდა წინანადალში. პირველად ლერმონტოვმა გულბაათი ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში ნახა. ლექსის კითხვის დროს მსმენელებს გადახედა და მისი ყურადღება მიიქცია გულბაათის ცოცხალმა, მეტყველმა სახემ და მოხდენილმა აღნაგობამ, თითქოს ძველი სურათიდან იყო გადმოსული. მისი მედიდური და იდუმალი მზერა, სახასიათო გარეგნობა მხატვრის ტილოზე გადატანას ითხოვსო, – ასე აღწერს თავისი მეგობრის, სვიატოსლავ რაევსკისადმი მიწერილ წერილში ლერმონტოვი გულბაათს.

ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკი კახეთში, სოფელ ყარაღაჯში იდგა სადაც მიხეილ ლერმონტოვიც მსახურობდა. პოლკის ოფიცრებს წინანდალთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ და ამიტომ ისინი მუდამ გულბაათის სასურველი სტუმრები იყვნენ. პოლკის ოფიცრები გულბაათის უმცროს ძმებთან, იასონსა და სპირიდონთან ერთად, რომლებიც ამავე პოლკში მსახურობდნენ, ხშირად სტუმრობდნენ გულბაათის წინანდლის სახლს. მხოლოდ დროსტარება როდი იყო მათი სტუმრობის მიზეზი, მათ ქართველი თავადის სამეურნეო საქმიანობა და ყოფა-ცხოვრებაც აინტერესებდათ.

ცნობილმა რუსმა ფერმწერმა გრიგოლ გაგარინმა ტილოზე გადაიტანა პოლკის ოფიცერთა სტუმრობა ქართველ თავადთან წინანდლის სახლში.

ცნობილმა ფერმწერმა, ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გიგო გაბაშვილმაც თავისებური წარმოდგენით დახატა გულბაათის პორტრეტი. ნატურიდან, ცხადია, ვერ დახატავდა, ვინაიდან გიგო გაბაშვილი არ იყო გულბაათის თანამედროვე.

გულბაათის სახლში სტუმრობა ყველასთვის დიდი პატივი იყო. ალ. ჭავჭავაძის სასახლის სტუმრები ევროპული გარემოდან გულბაათსაც სტუმრობდნენ და კარგად ხედავდნენ, რაოდენ ორგანულად იყო შერწყმული ევროპული ღირებულებები ქართულ ხასიათთან. გულბაათის სახლში უფრო აღმოსავლეთის გავლენა იგრძნობოდა – აქ სტუმრებს დაბალი ტახტები, სპარსული ხალიჩებით მორთული ოთახები და ქართული ტრადიციული სუფრა ხვდებოდა.

გულბაათი ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლის სალონურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა. ნინო ჭავჭავაძის მიერ დადგმულ ოჯახურ სპექტაკლში, გრიბოედოვის პიესაში „ვაი ჭკუისაგან“, ფამუსოვის როლი ათამაშეს გულბაათს. ეს იყო გრიბოედოვის პიესის პირველი დადგმა. „ვაი ჭკუისაგან“ გრიბოედოვმა 1824 წელს დაწერა და მისი გამოქვეყნება და დადგმა ცენზურამ აკრძალა. მხოლოდ გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ დაიწყეს მისი დადგმა რუსეთის თეატრებში.

საკვანძო სიტყვები: *გულბაათ ჭავჭავაძე, ლადო ასათიანი, მიხეილ ლერმონტოვი, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ გაგარინი.*

დალი კანდელაკი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი
https://orcid.org/0000-0001-7764-5059
dali.kandelaki@tsu.ge

ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული წიგნი: XIX საუკუნის კავკასიური ომის ისტორიები

რომანი-პამფლეტი „ხრიკები კავკასიაში“ («**Проделки на Кавказе**») რუსეთში 1844 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი იყო ეკატერინა ლაჩინოვა, კავკასიის ცალკეული კორპუსის გენერლის ნიკოლაი ლაჩინოვის მეუღლე. ავტორმა ფსევდონიმად ე. ხამარ-დაბანოვი აირჩია (ციმბირში მთების ხამარ-დაბანის სახელწოდების მიხედვით). ნაწარმოები საზოგადოებას XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე კავკასიური ომის კულესებში არსებულ ისტორიებს აცნობდა. გამოცემისთანავე წიგნის თითქმის მთლიანი ტირაჟი გაანადგურეს. იმპერატორმა ნიკოლაი I-მა წიგნის შესახებ თქვა: „ჩვენ არაფერი ვიცით კავკასიაზე, ეს ქალბატონი კი ჩვენ თვალს გვიხელს“. განრისხებული, თუმცა ობიექტური იყო რომანის შეფასებისას სამხედრო მინისტრი ა. ჩერნიშევიც: „ეს წიგნი მით უფრო მავნეა, რადგან მასში ყველა სტრიქონი მართალია!“ რამ გამოიწვია ხელისუფლების ასეთი აღშფოთება? ფაქტობრივად, გამოვლინდა საიმპერატორო ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, თანამდებობის პირთა თვითნებობა და კორუფცია, გენერლების და ოფიცრების მედიდურობა. ავტორმა სიმართლე თქვა კავკასიის ომზე, რომელის დეტალები საგულდაგულოდ იყო დამალული რუსი მაღალჩინოსნების მიერ. წიგნში ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოდგენილი იყო მათი ჭეშმარიტი სახე. რუსულ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციების მიუხედავად რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვები: რისთვის იბრძოდა რუსეთის ჯარი, რა ამოძრავებდათ კავკასიელთა წინააღმდეგ ომში? რატომ გრძელდებოდა ომი უსასრულოდ, თუ რუსები ყოველ ჯერზე წარმატებულები იყვნენ და ზოგიერთ კავკასიელ ხალხს იმორჩილებდნენ კიდეც? როგორ ივსება მთიელ მებრძოლთა შემადგენლობა, თუ ისინი ასობით იღუპებიან ყოველ შეტაკებაში? წიგნი ნათელს ჰფენდა ამ საიდუმლოებებს, იმას რომ კავკასიაში არ არსებობდა ხელისუფლების მოქმედების ერთიანობა. თითოეულ უფროსს თავისი პოლიტიკა ჰქონდა და საკუთარ ომს აწარმოებდა. რომანში ასახული სიმართლე არასასურველი იყო სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, რომელთაც ნაწარმოების პერსონაჟებში საკუთარი თავი ამოიცნეს. რომან-პამფლეტში ასახული მოვლენები და პიროვნებები არ იყო გამოგონილი, არამედ ცხოვრებიდან იყო აღებული. ე. ლაჩინოვა ნაწარმოებში ყოველთვის არ ცვლიდა მოქმედი პირების სახელებს. რომანში ის გმობს ასეთ უაზრო ომს. წიგნი 1846 წელს გამოქვეყნდა ლაიპციგში, გერმანულ ენაზე სათაურით – „მოსკოველები და ჩერქეზები“. ევროპელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციები ამ უსამართლო და დაპყრობითი ომის შესახებ. რუსულ ენაზე წიგნი მეორედ გამოიცა საბჭოთა ეპოქაში 1986 წელს და დღესდღეობით ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *ეკატერინა ლაჩინოვა, ე. ხამარ-დაბანოვ, საქართველო, კავკასიური ომი, XIX საუკუნე.*

Dali Kandelaki

Habilit. Dr. of History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor; Head of the Department of Russian History
https://orcid.org/0000-0001-7764-5059
dali.kandelaki@tsu.ge

Ekaterina Lachinova's Forbidden Book: Stories of the Caucasian War of the 19th Century

The novel pamphlet “Escapades in the Caucasus” was published in Russia at the beginning of 1844. The author, Ekaterina Lachinova, was the wife of Nikolai Lachinov, the general of the Caucasus Separate Corps. The author chose the pseudonym E. Khamar-Dabanov (inspired by the Khamar-Daban mountains in Siberia). The work revealed the behind-the-scenes stories of the Caucasian War in the late 30s and early 40s of the 19th century to the general public. Immediately after publication, almost the entire edition of the book was destroyed. Emperor Nicholai I remarked about the book: “We know nothing about the Caucasus, and this lady opens our eyes”. The military minister, A. Chernishev, despite his objective evaluation, expressed his anger: "This book is all the more harmful because every line in it is true!" What provoked such government outrage? The novel exposed the incompetence of the imperial administration, the arbitrariness and corruption of officials, and the mediocrity of generals and officers. The Author revealed the unvarnished truth about the Caucasian War, details of which were meticulously hidden by Russian high officials. The book portrayed the unembellished reality, raising unanswered questions within Russian society: What was the Russian army truly fighting for? What motivated them in their conflict with the Caucasians? Why did the war drag on endlessly if the Russians claimed repeated victories and even subjugated some Caucasian peoples? How were the ranks of the mountaineers replenished despite heavy casualties in every skirmish? The book illuminated these mysteries, highlighting the lack of unity in government actions in the Caucasus. Each chief pursued his own policy and conducted his own war. The military leadership found this truth undesirable as they recognized themselves in the characters of the work. The events and personalities depicted in the Novel-Pamphlet were based on real-life examples. Lachinova did not always change the names of the individuals involved. She condemned the senselessness of the war in her novel. The book was published in Leipzig in 1846, in German under the title – "Muscovites and Circassians". Making information about this unjust and aggressive war accessible to European readers. In Russian, the book saw its second publication during the Soviet era in 1986 and is now considered a bibliographic rarity.

Keywords: *Ekaterina Lachinova, E. Khamar-Dabanov, Georgia, Caucasian War, XIX century.*

ბექა კაციტაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწვეული ლექტორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0007-0191-6108
beka.katsitadze.1@iliauni.edu.ge

XXI საუკუნის საქართველოს მოსახლეობის ღირებულებები და არჩევანი კრიტიკული პოპულარული გეოპოლიტიკური თეორიის კონტექსტში

ტერმინი „გეოპოლიტიკა“ („გეო“ – მიწა, „პოლიტიკა“ – სახელმწიფო საქმე) გამოიგონა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ კიელენმა (ქართულ თარგმანში ხშირად მოიხსენიება, როგორც რუდოლფ ჩელენი) 1899 წელს. ამ ცნებით სივრცე დაუკავშირდა სახელმწიფოს, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ გეოგრაფიული ფაქტორები გარკვეულ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ პროცესებზე. გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერებათაშორისი დისციპლინა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა, რითაც გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიების აღმავლობა დაიწყო და სამეცნიერო ასპარეზზე ფრიდრიხ რატცელი, რუდოლფ ჩელენი, ალფრედ მეჰენი, ჰელფორდ მაკინდერი და ნიკოლას სპიქმენი გამოვიდნენ. გერმანული ორგანიციზმისა და ანგლო-ამერიკული გეოსტრატეგიული სკოლების გარდა, გეოპოლიტიკაში ფეხი მოიკიდა ფრანგულმა და რუსულმა სკოლებმა. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის არსებობის განმავლობაში, მრავალი გეოპოლიტიკური ეპოქა შეიცვალა და ძირითადი სკოლების ფარგლებში მრავალი თეორია განვითარდა, თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისიდან წარმოიშვა ამერიკული კრიტიკული გეოპოლიტიკა, რომელიც ტრადიციულ გეოპოლიტიკას ზედაპირულობაში, ბუნებრივ-გეოგრაფიული ცვლადების აბსოლუტურ დომინირებაში და სივრცის სოციალური წარმოშობის/შინაარსის ნაკლებობაში ადანაშაულებდა. დღესდღეობით, თანამედროვე კრიტიკული გეოპოლიტიკა ოთხ ძირითად მიმართულებად არის დაყოფილი, რომელთა შორისაა ფორმალური, პრაქტიკული, პოპულარული და სტრუქტურული გეოპოლიტიკები. აქედან, პოპულარული კრიტიკული გეოპოლიტიკური თეორია იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შეისწავლის მასობრივი კულტურის, ანუ ე.წ. პოპკულტურის (მასმედია, ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, კინო, სხვ.) პროდუქციას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში. XXI საუკუნის ორი ათეული წლის განმავლობაში პოპკულტურის ტენდენციები, ძირითადად, დასავლური ქვეყნების უპირატესობის თანხლებით წარიმართება, რაც მნიშვნელოვან კვალს ტოვებს მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაზე. მაგალითისთვის გამოდგება ამერიკული გასართობი გადაცემების დუბლირება (ღამის-შოუ, შუა ქალაქში, ვოისი, ნიჭიერი, სხვ.), ამერიკული მუსიკალური ჟანრების (პოპი, როკი და განსაკუთრებით, ჰიპ-ჰოპი) ხელშესახები აღმასვლა, ამერიკული ფილმების პერმანენტული თარგმნა და კინოთეატრებში ჩვენება, დასავლური სტილის ჩაცმულობა (დასავლური მოდის გათვა-

ლისწინება და კომპანიების მზარდი მაჩვენებელი), ამერიკული სოციალური ქსელების ტერმინოლოგიით საუბარი (ფეისბუქი, ინსტაგრამი, იქსი, სხვ.) და ა.შ. შესაბამისად, პოპკულტურის დასავლური ტენდენციები განაპირობებს მოქალაქეებში პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციის გაძლიერებასაც, რისი მაჩვენებელიცაა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მისწრაფება „ევროკავშირსა“ და „ნატოში“ გაწევრიანებისკენ. მართალია, 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, კლასიკურ (ტრადიციულ) გეოპოლიტიკურ თეორიებს თითქოს შედარებით მეტი ამხსნელობითი ძალა აქვს, მაგრამ სწორედ კრიტიკული პოპულარული გეოპოლიტიკა არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მოსახლეობის პროდასავლურ არჩევანს განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, ღირებულებები, არჩევანი, ტრადიციული გეოპოლიტიკა, კრიტიკული გეოპოლიტიკა.*

Beka Katsitadze

Ilia State University
Invited Lecturer, MA
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0007-0191-6108
beka.katsitadze.1@iliauni.edu.ge

The Values And Choice of the Georgian Population in the Context of Critical Popular Geopolitical Theory

The term ‘’Geopolitics“ (’’Geo“ – land, ’’Politics“ – state affairs) was coined by Rudolf Kjellén in 1899. Hence, a space became connected to the state, which referred to the fact that geographical factors had a kind of influence on political processes. Geopolitics as an inter-discipline field emerged on the edge of the XIX-XX centuries and the classical geopolitical theories started to rise: Friedrich Ratzel, Rudolf Kjellén, Alfred Mahan, Halford Mackinder and Nicholas Spykman got on a scientific stage. Besides German organicism and Anglo-American geostrategic schools, French and Russian schools surfaced in geopolitics. During more than a century, multiple geopolitical epochs transformed and different theories developed within the main schools, nevertheless American critical geopolitics stemmed from the beginning of the 1990s, which blamed traditional geopolitics for superficiality, an absolute dominance of natural-geographical variables and a lack of social content of space. Today, contemporary critical geopolitics is divided into four main branches: formal, practical, popular and structural geopolitics. Popular critical geopolitics is significant between them because it explores mass culture, i.e. so-called pop-culture’s (media,

literature, arts, music, cinematography, etc.) production, which is closely linked to the formation of public opinion both at the international and national levels. The trends of pop-culture have been mainly prevailing by the efforts of Western countries for the last decades, which seriously traces the consciousness of the Georgian population too. A duplication of American entertaining TV programs (Late-night Show, In the city-center, Voice, Talented, etc.), a tangible rise of American musical genres (pop, rock and specifically, hip-hop), permanent translation of American films at local cinemas, the Western-style fashion tendencies, a slang partially derived from USA-based social media platforms (Facebook, Instagram, X, etc.) serve as the best examples of this situation. Consequently, the Western pop-culture boosts pro-Western political orientation between the Georgian citizens, whose indication is their aspiration towards the membership of the EU and NATO. It seems that classical (traditional) geopolitical theories have more explanative power in the context of the Russo-Ukrainian War, but exactly critical popular geopolitics is such momentum that determines pro-Western choices and values of Georgian, Ukrainian and Moldavian nations.

Keywords: *Georgia, Values, Choice, Traditional Geopolitics, Critical Geopolitics.*

ნინო კვირიკაძე

ფილოლოგიის დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გერმანული ფილოლოგიის მიწვეული სპეციალისტი
ქუთაისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0008-3494-9384
ninokvirikadze@yahoo.com

თომას მანის მოთხრობის სათაურის „სასაფლაოს გზა“ სათაურის სემანტიკისათვის

კვლევის საგანს წარმოადგენს თომას მანის ერთ-ერთი მოთხრობის “სასაფლაოს გზა” სათაური, რომელსაც ვიხილავთ ტექსტის მთლიანი ანალიზის ჭრილში. როგორც ცნობილია, სათაური ზოგადად არსებით როლს თამაშობს ნებისმიერი ტექსტის ინტეგრირებული მთლიანობის შექმნასა და აღქმაში. მეცნიერები (ყარალაშვილი, Лукин, Тураева, Гальперин, Mendelssohn, Wenzel, Koopmann, Heftrich, Nieschmidt და სხვ.) მიუთითებენ ლიტერატურულ ნაწარმოებებში სათაურის მნიშვნელობაზე. ითვლება, რომ ნაწარმოების სათაური შეკუმშული ფორმით მის ძირითად იდეას შეიცავს და წარმოადგენს გასაღებს მისი გაგებისათვის, მაგრამ ასეთი გასაღების როლს სათაური მხოლოდ მისი მთლიანი სემანტიზაციის შემთხვევაში ასრულებს. სათაური, ერთმნიშვნელოვანია ის თუ მრავალმნიშვნელოვანი, შეიძლება სრულყოფილად გავიგოთ მხოლოდ მაშინ, თუ ტექსტს აღვიქვამთ როგორც სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთიანობას, რომელიც გამოირჩევა მთლიანობითა და შეკრულობით. ცნობილია, რომ სათაური, როგორც ტექსტური ნიშანი, ტექსტის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და ფიქსირებულ მდგომარეობაში იმყოფება. მას უკავია ძლიერი პოზიცია, ის უპირისპირდება ტექსტის კორპუსს და მკითხველის ყურადღებას იპყრობს. სათაურის აღქმისას (ტექსტის წაკითხვამდე) ის ინდექსალური ნიშანია, რომელიც ტექსტის კითხვისას პირობით ნიშნად გარდაიქმნება, ხოლო ტექსტის წაკითხვისა და ათვისების შემდეგ მოტივირებულ პირობით ნიშანს უახლოვდება (Лукин, Wenzel).

სწორედ სათაურის მნიშვნელობამ ლიტერატურული ნაწარმოების გაგებისათვის გამოიწვია ჩვენი ინტერესი მოცემული საკითხისადმი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ თომას მანის ხსენებული მოთხრობის სათაური პირველად განიხილება ნაწარმოების მთლიანი ანალიზის ჭრილში, მრავალგანზომილებიანი სტრუქტურის თვალსაზრისით, სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდის მეშვეობით – ავტორისეული ტექსტის მთელ სივრცობრივ არეალში. კვლევის საფუძველს წარმოადგენს ვ.ვინოგრადოვის მიერ წამოყენებული და შემდგომში სტრუქტურალისტების (V. Toporov, B. Uspenski, T. Tsivyan) მიერ დამუშავებული სიტყვათა რიგის თეორია.

ჩვენი მიზანია, თვალი გავადევნოთ განსახილველი მოთხრობის სათაურის, როგორც დეტალის, მოძრაობას მთელ ტექსტობრივ სივრცეში სიტყვათა რიგების კონტექსტში, გამოვავლინოთ მისი სემანტიკა ცალკეულ ფრაგმენტებში ნაწარმოების შინაარსთან კავშირში და დავაფიქსიროთ მისი ლაიტმოტივურობა.

ტექსტის, როგორც მხატვრული მთლიანობის, განხილვისას სათაურ-დეტალს წარმოვაჩენთ მოძრავი მიკროელემენტის სახით: ე.ი. ის, რასაც ჩვენ ვიკვლევთ, არის დეტალი და ამავე დროს ნაწარმოების დინამიკური სტრუქტურის მოძრავი რგოლი, რომელსაც შეუძლია გადაინაცვლოს ერთი სიტყვათა რიგიდან მეორეში და წარმოქმნას „მიზრდილი აზრი“ («приращенный смысл» – В. Виноградов), რაც უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა დეტალის ახლებური აღქმისა და მისი პოლიფუნქციური მნიშვნელობის, მისი ლაიტმოტივუროობის წარმოჩენისათვის.

ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ სათაური-დეტალი გასდევს ტექსტს მთელ ვერტიკალზე თავიდან ბოლომდე და, სხვადასხვა სიტყვათა რიგებში მოძრაობისას, იშლება, თავის მხრივ, ცალკეულ სემიოტიკურ ნიშნებად („შარაგზა“, „საცალფეხო ბილიკი“, „თხრილი“, „ქუჩა“, „გზა“, „ნიადაგი“ და ა. შ.), ივსება დამატებითი სემანტიკური პლანებით და ნაწარმოების ბოლოს კვლავ ერთიანდება საწყის სემიოტიკურ ნიშანში: „სასაფლაოს გზა“. ის წარმოგვიდგება როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის ანტითეზა.

თომას მანის ხსენებული მოთხრობა, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია განვიხილოთ სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის თვალსაზრისით, რომელიც არ უარყოფს ტრადიციული ანალიზის მეთოდს და ფრაგმენტულ-სემანტიკური პლანის სიღრმისეულ დონეზე ავლენს სულ ახალ და ახალ მნიშვნელობას, რითაც ამტკიცებს ტრადიციული პლანის კანონზომიერებას.

საკვანძო სიტყვები: *თომას მანი, „სასაფლაოს გზა“, სათაური, სიცოცხლისა და სიკვდილის ანტითეზა, სიტყვათა რიგი, ლაიტმოტივური გააზრება.*

Nino Kvirikadze

PhD in Philology
Akaki Tsereteli State University
Visiting Lecturer
Kutaisi, Georgia
https://orcid.org/0009-0008-3494-9384
ninokvirikadze@yahoo.com

On the Semantics of the Title of Thomas Mann's Story 'The Path to the Cemetery'

The study focuses on the title of Thomas Mann's short story, "The Path to the Cemetery," examining it through a comprehensive analysis of the text. As is known, the title generally plays a substantial role in creating and perceiving the integrated unity of any text. Scientists (Karalashvili, Lukin, Turaeva, Galperin, Mendelssohn,

Wenzel, Koopmann, Heftrich, Nieschmidt, etc.) point to the importance of a title in a literary work. The importance of a title for comprehending a literary work has revived my interest in the issue.

The basis for the study is the theory of 'word/verbal series' put forward by V. Vinogradov and later developed by structuralists (V. Toporov, B. Uspenski, T. Tsivyan).

I aim to trace the title as the movement of detail in the entire textual space of the story in the context of word/verbal series, to reveal its semantics in individual fragments in connection with the content of the work and to state its leitmotivity.

When discussing a text as artistic integrity, the title-detail is presented in the form of a moving microelement: i.e. the object of our study is the detail and at the same time a moving part of the dynamic structure of the story, which can move from one series of words into the other and create 'an increment meaning' («приращенный смысл» – Виноградов), that gives broader opportunities to perceive details in a new way and to show its polyfunctional meaning and leitmotivity.

The title detail is noticeable along the entire vertical line of the text from the beginning to the end and when moving from one verbal series to another it decomposes into individual semiotic signs ('highway', 'path', ditch', 'street', 'road', 'ground', etc.), is filled with the additional semantic plane and at the end of the work unifies again in one semiotic sign: 'The Path to the Cemetery' as the Antithesis of Life and Death.

In my view, the named story by Thomas Mann can be discussed in terms of structural and semantic analysis, which does not deny the method of traditional analysis and reveals more and more new meanings at a deeper level of fragmentary-semantic plane proving the regularity of the traditional plane.

Keywords: *Thomas Mann, 'The Path to the Cemetery', title, the antithesis of life and death, word/verbal series, leitmotivic interpretation.*

ცირა კილანავა

ფილოლოგიის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0001-9752-9661
tsira.kilanava@iliauni.edu.ge

კავკასიის ლიტერატურული განსახოვნების მოდელები: მე-19 საუკუნის ქართული და რუსული პერსპექტივები

საკონფერენციო მოხსენებად წარმოდგენილი იქნება ახალი კვლევა, რომელიც აანალიზებს კავკასიის კულტურული აღქმისა და ლიტერატურული რეპრეზენტაციის მოდელებს მე-19 საუკუნის ქართული და რუსული მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით. კვლევა ეყრდნობა და აგრძელებს 2013 წელს წარმატებით დაცული სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში განხილული ერთერთი საკითხის ანალიზს და მოიცავს როგორც ახალ/დამატებით ქართულ ტექსტებს, ისე – რუსულ პერსპექტივასაც, რომელიც დისერტაციაში არ მქონდა შესწავლილი.

დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობით/კულტუროლოგიურ კვლევებში (სიუზან ლეიტონი, ჰარშა რამი...) კავკასიის ლიტერატურული რეფლექსია გამოკვლეულია რუსული ლიტერატურის საფუძველზე, თუმცა, საკუთრივ ქართული ნაწარმოებების მონაცემები, სამწუხაროდ, სათანადოდ (ან თითქმის) არაა გათვალისწინებული; თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამონაკლისს წარმოადგენს ირმა რატიანის სტატია – „კავკასიისა და კავკასიელის ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში“. იდეოლოგიზებულ საბჭოთა სამეცნიერო დისკურსში ქართულ-რუსული პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ლიტერატურული განსახოვნება კი მხოლოდ ცალმხრივად – დადებითი თვალსაზრისით – იყო წარმოდგენილი.

საკონფერენციო მოხსენებად გათვალისწინებული კვლევა ფოკუსირებულია საკუთრივ მე-19 საუკუნის ტექსტობრივ მონაცემებზე, რადგან ესაა გადამწყვეტი ეპოქა საქართველოსა და მთელი კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ის, მსოფლმხედველობრივი და სახეობრივი თვალსაზრისით, განსხვავებულადაა რეფლექსირებული ქართულ და რუსულ ლიტერატურებში. ქართული პერსპექტივით, კავკასიის რეგიონი და საკუთრივ კავკასიონის მთათა სისტემა რეპრეზენტირებულია გეოგრაფიული, მითოლოგიური, პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური სემანტიკური კონტექსტებით (ავტორები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი); შესაბამისად, იკვეთება მულტიპერსპექტიული კულტურული წარმოდგენები ნაციონალურ და რეგიონულ დონეებზე; რუსულ ლიტერატურაში გამორჩეულია მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედება, რომლის პოეტური მემკვიდრეობის ცალკე ციკლს (პირადი გამოცდილების საფუძველზე) ქმნის კავკასიის თემატიკა. კონკრეტული სივრცის და მისი რეპრეზენტირების ლიტერატურული მოდელების შედარებითი ანალიზის მიზანია

იმის დადგენა, თუ როგორი წარმოდგენები არსებობს და ცირკულირებს კავკასიის რეგიონის შესახებ მე-19 საუკუნის ადგილობრივი (ამ შემთხვევაში, ქართული) და კოლონიზატორის (რუსეთის იმპერიის) კულტურებში; დასტურდება თუ არა საერთო მახასიათებლები კავკასიის ლიტერატურულ მოდელებს შორის.

დასახელებული კომპლექსური საკითხის საანალიზოდ გამოყენებულია ნაციონალური იმაგოლოგიისა და სივრცის კვლევების თეორიები, ხოლო მეთოდად – ონლაინინსტრუმენტის გამოყენებით ტექსტურ მონაცემთა ანალიზი და კომპარატივისტული მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: *კავკასია, მე-19 საუკუნე, ქართული ლიტერატურა, სივრცის მოდელები, რუსული ლიტერატურა.*

Tsira Kilanava

PhD in Philology
Ilia State University
Assistant professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0001-9752-9661
tsira.kilanava@iliauni.edu.ge

Models of Literary Representation of the Caucasus: Georgian and Russian Perspectives of the 19th Century

A forthcoming conference theses will analyze models of cultural perception and literary representation of the Caucasus as depicted in Georgian and Russian artistic works of the 19th century. This research builds upon an issue explored in a doctoral dissertation successfully defended in 2013, incorporating additional Georgian texts and a Russian perspective not previously examined.

In Western literary and cultural studies (e.g., Susan Layton, Harsha Ram), the literary reflection of the Caucasus has been predominantly analyzed through Russian literature. Unfortunately, Georgian literary works have received insufficient attention, with Irma Ratiani's article, "Literary Reflections of the Caucasus and the Caucasian in Georgian Writing," being a notable exception. In the ideologically driven Soviet scholarly discourse, the literary depiction of Georgian-Russian political and cultural relations was presented unilaterally, emphasizing a positive perspective.

This research, presented as a conference thesis, focuses on textual data from the 19th century, a pivotal era in the political life of Georgia and the entire Caucasus. This period is depicted differently in Georgian and Russian literature, each reflecting distinct worldviews and perspectives. From the Georgian viewpoint, the Caucasus region, and specifically the Caucasus mountain system, is represented through geographical, mythological, political, military, and social contexts, as seen in the works of authors such as Al. Chavchavadze, Gr. Orbeliani, R. Eristavi, I. Gogebashvili,

I. Chavchavadze, A. Tsereteli, Vazha-Pshavela, and Al. Kazbegi. These texts present multi-perspective cultural representations intersecting at national and regional levels. In contrast, Russian literature, exemplified by Mikhail Lermontov's works, often created from personal experience, highlights the Caucasus as a central theme.

The aim of the comparative analysis of this specific space and its literary representations is to elucidate the circulating ideas about the Caucasus region within the local (Georgian) and colonizer (Russian Empire) cultures of the 19th century. Specifically, the study seeks to identify common characteristics among the literary models of the Caucasus.

To analyze the named complex issue, the theories of national imageology and spatial studies are used, and the method is textual data analysis using an online tool and a comparativist approach**.**

Keywords: *Caucasus, XIX Century, Georgian Literature, Space Models, Russian Literature.*

მარიამ კორინთელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
ბათუმი, საქართველო
https://orcid.org/0009-0000-7895-518X
mariam_korinteli@yahoo.com

კავკასია და ჩეჩნეთის პირველი ომი ნინო ხარატიშვილის რომანში „კატა და გენერალი“

გერმანულენოვანი ქართველი მწერალი, ნინო ხარატიშვილი, თავის დიდტანიან რომანებში მუდამ ეხება საქართველოს ისტორიის მწვავე, პრობლემურ და აქტუალურ საკითხებს. რომანში „მერვე სიცოცხლე“ ხარატიშვილმა წარმოადგინა საბჭოთა ოკუპაციისა და 30-იანი წლების რეპრესიების შედეგები და თაობათაშორისი ტრავმა; „უკმარი სინათლე“ 90-იანი წლების ქართულ კონფლიქტებსა და მის გავლენას ეხება ინდივიდების ცხოვრებაზე; მისი 2018 წლის რომანი, „კატა და გენერალი“ კი სცდება ლოკალურ პრობლემებს და კავკასიის ცხელ წერტილში – ჩეჩნეთში ინაცვლებს.

რომანის მოქმედების ძირითადი ნაწილი გერმანიაში ხდება, მაგრამ, გმირების მოტივაციას სწორედ ჩეჩნეთის პირველი ომი განაპირობებს, რადგან რომანის პროტაგონისტებიცა და ანტაგონისტებიც, პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ ამ კონფლიქტით არიან დაკავშირებულნი, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ამ წერტილს მათ დროცა და მანძილიც აშორებთ.

ნინო ხარატიშვილს ამ რომანის შექმნა ანა პოლიტკოვსკაიას წიგნმა შთააგონა, რომელიც ჩეჩნეთში მომხდარ რეალურ ამბავზეა დაფუძნებული და მისი მთავარი გმირები ჩეჩენი გოგონა და რუსი პოლკოვნიკი არიან. „კატა და გენერალში“ მწერალმა იგივე მხატვრულად გადაათამაშა და ისტორია შურისძიებისა და გადარჩენის, დანაშაულისა და მონანიების, სიძულვილისა და სინდისის გამოღვიძების ამბად აქცია. სახელმწიფოთა კონფლიქტების პრიზმაში გამოტარებული შინაგანი კონფლიქტები, კავკასიის რთული საკითხი, ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობები და ომის საშინელი შედეგების გადააზრების მცდელობები რომანს დაუვიწყარ, დინამიკურ გამოცდილებად აქცევს, განსაკუთრებით 90-იანი წლების რუსეთის მიერ პროვოცირებული კონფლიქტების ანატომიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ისტორიას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ პოლიტკოვსკაიას წიგნით შთაგონებულმა მწერალმა ჩეჩნეთში იმოგზაურა და პირველწყაროებისგან მოისმინა ომის ამბები.

საკვანძო სიტყვები: *ნინო ხარატიშვილი, „კატა და გენერალი“, ჩეჩნეთის ომი.*

Mariam Korinteli

Shota Rustaveli Batumi State University
Assistant Professor
Batumi, Georgia
https://orcid.org/0009-0000-7895-518X
mariam_korinteli@yahoo.com

The Caucasus and the First Chechen War in Nino Kharatishvili's novel *'The Cat and the General'*

The German-speaking Georgian writer, Nino Kharatishvili, consistently addresses Georgia's acute, problematic, and relevant historical issues in her long-form novels. In The Eighth Life, Kharatishvili presents the consequences of the Soviet occupation, the repressions of the 1930s, and intergenerational trauma. Inadequate Light touches on the conflicts in Georgia during the 1990s and their impact on individual lives. Her 2018 novel, The Cat and the General, however, moves beyond local issues and shifts to the Caucasus' hotspot — Chechnya.

The main action of the novel takes place in Germany, but the motivation of the characters is shaped by the First Chechen War, as both the protagonists and antagonists, directly or indirectly, are connected to this conflict, despite being separated by time and distance from the actual event.

Nino Kharatishvili was inspired to write this novel by Anna Politkovskaya's book, which is based on real events in Chechnya and whose main characters are a Chechen girl and a Russian colonel. In The Cat and the General, Kharatishvili reimagines the story artistically, turning it into a tale of revenge and survival, guilt and repentance, hatred and the awakening of conscience. The inner conflicts filtered through the prism of state conflicts, the complex issues of the Caucasus, Chechen-Russian relations, and the attempts to rethink the horrific consequences of war, make the novel an unforgettable, dynamic experience, especially for readers interested in the anatomy of the conflicts provoked by Russia in the 1990s.

The novel is further intensified by the fact that the writer, inspired by Politkovskaya's book, traveled to Chechnya and heard first-hand accounts of the war.

Keywords: Nino *Kharatishvili, first Chechen War, 'The Cat and the General'.*

დათო კუჭაშვილი

დოქტორანტი
საქართველოს უნივერსიტეტი
https://orcid.org/0009-0001-5459-5789
kuchashvilidato@gmail.com

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორი საქართველოში

საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, რომელსაც მეღვინეობის 8000 წლიანი ისტორია აქვს და სადაც ვაზის 518-ზე მეტი ჯიშია გავრცელებული. მეღვინეობა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის. საქართველოში ალკოჰოლური სასმელების წარმოება ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და შემოსავლიანი დარგია და საკმაოდ კარგად ვითარდება, რაზეც მიანიშნებს ადგილობრივ ბაზარზე ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნის ზრდა და ქართული ღვინისა და სპირტიანი სასმელების პოპულარობა საერთაშორისო ბაზრებზე.

წლების განმავლობაში აღნიშნული სექტორი ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით, რომლის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი გახლდათ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზრებზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად მიწოდების ზრდა. თუმცა აღნიშნული დადებითი დინამიკა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან გაუთვალისწინებელმა მოვლენამ, როგორიც იყო კორონა ვირუსი, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. აღნიშნულმა მოვლენამ სავალალო შედეგები მოუტანა საქართველოს ეკონომიკას, კერძოდ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გახდა უარყოფითი და შეადგინა -5%, რაც იყო მანიშნებელი რთული ეკონომიკური კრიზისის დასაწყისისა. პანდემიის პერიოდში მოხდა წარმოების და საზოგადოების აქტივობის შემცირება, რამაც განაპირობა რეცესიული პროცესების დაწყება საქართველოში, რაც, თავის მხრივ, აისახა ალკოჰოლური სასმელების დარგზეც. იმის გათვალისინებით, რომ ალკოჰოლური სასმელი არ არის პირველადი მოხმარების პროდუქტი და ამავდროულად საზოგადოების შემოსავლებმა იკლო, აუცილებელი გახდა ფინანსური რესურსების დაზოგვა, ასეთმა ქცევამ განაპირობა ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნის შემცირება. ეს თავის მხრივ აისახა ამ დარგში მოღვაწე კომპანიების შემოსავლებზე. ამან გამოიწვია ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნის შემცირება და ამ დარგში მოღვაწე კომპანიების შემოსავლების კლება. თავის მხრივ კომპანიების შემოსავლების კლებამ და მოთხოვნის შემცირებამ ბაზარზე გამოიწვია კონკურენციის ზრდა. აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პანდემიის პერიოდში მოთხოვნამ ქართულ ალკოჰოლურ სასმელებზე, გარდა ადგილობრივი ბაზრისა, იკლო საერთაშორისო ბაზრებზეც, რამაც განაპირობა ექსპორტის შემცირება და ამ დარგში მოღვაწე კომპანიების შემოსავლების კლება.

რაც შეეხება ალკოჰოლურ დარგში მოღვაწე კომპანიებს, თითოეული მათგანი განსხვავდება ალკოჰოლის დამზადების ტექნოლოგიით, რეცეპტით, გემოთი, პროდუქციის მრავალფეროვნებით, ხარისხით, შეფუთვით და ა. შ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სპირტიანი სასმელების ბაზარზე შედარებით მცირე რაოდენობის ქართული კომპანიაა წარმოდგენილი. ალკოჰოლურ ბაზარზე, კომპანიების უმეტესობას, გააქვს თავისი პროდუქცია საერთაშორისო ბაზრებზე და მათი გაყიდვების თითქმის 70%

მოდის საერთაშორისო ბაზრებზე. ქართულ კომპანიებს პროდუქციის დიდი წილი გააქვთ რუსულ ბაზარზე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მათთვის დიდ გამოწვევას. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ქართული პროდუქციის დიდი წილი გადის რუსეთში, არის ბაზრის დიდი მოცულობა და გეოგრაფიული სიახლოვე, რაც ხელს უწყობს ფინანსური რესურსების დაზოგვას. მაგრამ მიუხედავად ბაზრის დიდი მოცულობისა, რუსული ბაზარი დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან.

სტატიაში გამოკვლეული იქნება ის გლობალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აღნიშნული სექტორის განვითარებაზე და კომპანიების მიერ დასახულ მიზნების და ამოცანების მიღწევაზე. ასეთებია:

1. რუსეთ-უკრაინის ომი;
2. პანდემია;
3. ღვინისა და ყურძნის ხარისხის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებები;
4. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: *ღვინო; ალკოჰოლური სასმელების ბაზარი; რუსეთ-უკრაინის ომი; კოვიდ-19.*

Dato Kutchashvili

PhD Student
The University of Georgia
https://orcid.org/0009-0001-5459-5789
kuchashvilidato@gmail.com

Wine and Alcoholic Beverages Sector in Georgia

Georgia is the homeland of wine. It has 8000 years of unbroken tradition of winemaking. Over 500 varieties of indigenous grapes have been domesticated and spread in Georgia. Winemaking and production of alcoholic beverages are strategically important for the economy of the country. Production of alcoholic drinks in Georgia is one of the fastest growing and profitable industries which is indicated by the increase in demand for alcoholic beverages in the local market and the popularity of Georgian wine and spirits in international markets.

Over the years the mentioned sector was characterized by a growth trend the main factor of which was the increase in supply along with the increase in demand in both international and local markets. However, this favourable dynamic did not last long as an unforeseen circumstance like the Corona Virus completely upended everything. It brought disastrous results to the economy of Georgia, in particular, the gross domestic product of the country became negative and amounted to 5% which was an indication of the beginning of an economic crisis.

The pandemic led to a decrease in public participation and output which triggered Georgia's recessionary processes and affected the state's alcoholic beverage system. Considering that alcohol is not a product of primary consumption and at the same time the incomes of the society decreased, it became necessary to save financial resources. Such behavior led to a decrease in the demand for alcoholic beverages. This in turn reflected in the earnings of businesses involved in this industry.

Conversely, a decline in the companies' earnings and a decline in market demand resulted in heightened competition. It's also important to note that, in addition to the domestic market, the demand for Georgian alcoholic beverages declined abroad during the pandemic, which had a negative impact on exports and the earnings of businesses in this industry.

Regarding the businesses involved in the alcohol sector, they vary in terms of technology used in alcohol production, recipes, tastes, product diversity, quality, packaging, etc. It should be mentioned that there are not many Georgian businesses operating in the spirits industry. Within the alcohol industry, the majority of businesses export their goods to foreign markets, accounting for over 70% of their total sales. Georgian companies sell a significant portion of their products in Russia which in turn represents a big challenge for them. Due in part to the enormous market and proximity to Russia, which helps with cost savings, a significant portion of Georgian items are exported to that country. However, the Russian market is associated with certain risks despite its considerable market share.

This article will look at the international variables that affect the growth of the mentioned industry as well as the companies' ability to meet their targets. These include the following: 1) the conflict between Russia and Ukraine;

2) the epidemic;

3) the government's recent efforts to raise the quality of wine and grapes;

4) the extent of reliance on post-Soviet nations.

Keywords: *Wine; alcoholic beverages market; Russia-Ukraine war; COVID-19.*

ლალი ლაზარაშვილი

სამართლის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0007-2753-7616
l.lazarashvili@ug.edu.ge

საკორპორაციო სამართლის განვითარება საქართველოში – წარსული, აწმყო, მომავლის პერსპექტივები

მოხსენება ეძღვნება თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლის განვითარების გზის ანალიზს მომავლის პერსპექტივების ჭრილში.

საკორპორაციო სამართალი თანამედროვე ქართული სამართლის ახალი დარგია, მას 30-წლიანი ისტორია აქვს მხოლოდ. იგი შეისწავლის მეწარმეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მოწყობის სამართალს. საკორპორაციო სამართლის წარმოშობა უკავშირდება 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სამეწარმეო ურთიერთობების განვითარების საქმეში და 2021 წლის 2 აგვისტოს ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებამდე სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სამართლებრივი მოწყობის ძირითადი ნორმატიულ ბაზა იყო.

თავდაპირველად ქართული საკორპორაციო სამართლის მოდელი შეესატყვისებოდა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის საერთო სივრცის ტენდენციას, განსაკუთრებით, გერმანული საკორპორაციო სამართლის მოდელს. კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ გააგრძელა და განავითარა ის საუკეთესო ტრადიციები, რაც დასავლეთ ევროპის სავაჭრო კოდექსებმა შესძინეს სამართლის მეცნიერებას. შემდგომ, 1994 წლის კანონში განხორციელებული არაერთი ცვლილების შედეგად კანონი გარკვეულწილად დაშორდა კონტინენტური ევროპის მოდელს და საბოლოოდ, ქვეყანამ მიიღო კანონი ხარვეზებით და არასრულყოფილი სამართლებრივი მოწესრიგებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული საკორპორაციო სამართლის მეცნიერებაში გამოითქმებოდა არაერთი საფუძვლიანი მოსაზრება საქართველოში საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციის აუცილებლობის შესახებ.

არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ასევე, „ევროპასთან ასოცირების შეთანხმების“ შესასრულებლად, საკორპორაციო სამართლის ევროპული დირექტივების იმპლემენტაციის მიზნით, განხორციელდა ახალი კოდიფიკაცია და 2021 წლის 2 აგვისტოს მიღებულ იქნა ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც დღეს მოქმედებს საქართველოში.

როგორია ახალი კანონის ეფექტურობა? რამდენად პასუხობს თანამედროვე ბიზნესის გამოწვევებს? საკორპორაციო სამართლის განვითარების რა პერსპექტივები შეიძლება გავიაზროთ წარსულისა და აწმყოს გადასახედიდან? აღნიშნული და სხვა რელევანტური საკითხები ასევე იქნება მოხსენების კვლევის საგანი.

საკვანძო სიტყვები: *საკორპორაციო სამართალი; კანონი „მეწარმეთა შესახებ“.*

Lali Lazarashvili

Doctor of Law
The University of Georgia
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0007-2753-7616
l.lazarashvili@ug.edu.ge

Development of Corporate Law in Georgia – Past, Present, Future Perspectives

The report is dedicated to analyzing the path of development of modern Georgian corporate law in terms of future perspectives. Corporate law is a relatively young field in contemporary Georgian law, with only a 30-year history. It studies the law governing the organizational and legal forms of entrepreneurs. The emergence of corporate law is associated with the adoption of the Law of Georgia on "Entrepreneurs" on October 28, 1994, which significantly contributed to the development of Georgian entrepreneurial relations and served as the primary normative framework for the legal organization of entities engaged in entrepreneurial activities until the adoption of the new "Entrepreneurs" law on August 2, 2021.

Initially, the model of Georgian corporate law corresponded to the trends of the general space of the continental European legal family, particularly the model of German corporate law. The "Law on Entrepreneurs" continued and developed the best traditions that Western European commercial codes contributed to legal science. Subsequently, as a result of numerous amendments made to the 1994 law, it somewhat diverged from the continental European model, and ultimately, the country adopted a law with flaws and imperfect legal regulation. In light of this, various well-founded opinions were expressed in the field of Georgian corporate law science regarding the necessity for codification of corporate law in Georgia.

In order to eliminate existing deficiencies, as well as to fulfill the "Association Agreement with Europe" and implement European directives on corporate law, a new codification was carried out, and a new law on "Entrepreneurs" was adopted on August 2, 2021, which is currently in force in Georgia.

What is the effectiveness of the new law? How well does it respond to the challenges of modern business? What perspectives for the development of corporate law can we conceive from the standpoint of the past and present? These and other relevant issues will also be the subject of the report's research.

Keywords: *Corporate Law; The Law of Georgia on Entrepreneurs.*

თამრიკო ლეკიაშვილი

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი (ასოცირებული პროფესორი)
თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-6249-8721
t.lekiashvili@ug.edu.ge

ქალთა საკითხი დიმიტრი ჯანაშვილის პუბლიცისტიკაში

დიმიტრი ჯანაშვილი იყო მასწავლებელი და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს ისტორიული წარსულის შესანიშნავი მკვლევარი, ნიჭიერი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის უამრავი ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილი და ნარკვევი, კრიტიკული სტატია და მეცნიერული გამოკვლევა; სახელმძღვანელო წიგნი და რეცენზია, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში.

სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ დიმიტრი ჯანაშვილის ისტორიული სურათები – „ქართველი ქალები“, რომელთაც ილია ჭავჭავაძე პერიოდულად აქვეყნებდა ჟურნალ „ივერიაში“ (1882 წლის №6-12). ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა 1914 წელს. დიმიტრი ჯანაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც შეეცადა ქართველი ქალების როლი და ადგილი გამოეკვეთა საქართველოს ისტორიაში. მან შეისწავლა „ქართველთა ცხოვრება“, სიგელ-გუჯრები, ქართული ზეპირსიტყვიერება და მემატიანეთა მიერ აღწერილი ამბები. ამოკრიბა და ხალხს გააცნო ჩვენი შესანიშნავი წინაპარი ქალების ბრძოლა და ვაჟკაცობა, კულტურული და ლიტერატურული საქმიანობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ნაშრომში ქალებზე თხრობა იწყება კოლხეთის მეფის ასული მედეადან და სრულდება XIX საუკუნის დასაწყისით.

ისტორიულად, ქალები ხშირად იყვნენ მარგინალიზებული ან გამოტოვებული ისტორიული ჩანაწერებიდან, რაც ხშირ შემთხვევაში მათ წვლილს შეუმჩნეველს ხდიდა. დიმიტრი ჯანაშვილმა მისი ნაშრომით შეაჯამა ქალის როლი ქართველი ერის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში და აღნიშნა, რომ ქართველმა ქალებმა მნიშველოვანი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: *დიმიტრი ჯანაშვილი, ქალთა საკითხი, „ქართველი ქალები“.*

Tamriko Lekiashvili

PhD in History
The University of Georgia (Associate Professor)
T. Beradze Institute of Georgian Studies (Senior Research Fellow)
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-6249-8721
t.lekiashvili@ug.edu.ge

The Women's Issue in Dimitri Janashvili's Journalism

Dimitri Janashvili, a prominent teacher and statesman, played a vital role in Georgia's historical narrative. His extensive research — encompassing historical and ethnographic letters, essays, critical articles, and scientific studies — has significantly enhanced our understanding of Georgian history. Janashvili's contributions, including manuals and reviews, were regularly published in both Georgian and Russian periodicals, ensuring that his findings reached a broad audience.

The purpose of the article is to present Dimitri Janashvili's historical picture – "Georgian Women," which Ilia Chavchavadze periodically published in "Iveria" magazine (1882 No. 6-12). The work was published as a separate book in 1914. Dimitri Janashvili was one of the first Georgian scientists to try to outline the role and place of Georgian women in the history of Georgia. He studied "Life of Georgians," deeds, Georgian word of mouth, and stories described by chroniclers. He gathered and introduced to the people the struggle and bravery of our incredible ancestral women, cultural and literary activities, and state and public activities. In the work, the story about women begins with Medea, the daughter of the king of Kolkheti, and ends with the beginning of the 19th century. Historically, women have often been marginalized or omitted from historical records that have frequently overlooked their contributions. Dimitri Janashvili, with his work, summarized the role of a woman in the development and formation of the Georgian nation and noted that Georgian women played an essential role in the history of Georgia.

Keywords: *"Georgian Women", The Women's Issue, national consciousness, Dimitri Janashvili.*

გივი ლემონჯავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
givi_lemonjava@yahoo.com

ბიზნესის შეფასების მოდელირება

ბიზნესის შეფასება არის პროცესი, რომლის შედეგია ბიზნესის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა. შეფასების პროცესი მოიცავს ბიზნესის ყველა ასპექტს, რომელებიც მნიშვნელოვანია მისი ღირებულების დასადგენად. ბიზნესის შეფასებითი ღირებულება განსაზღვრავს შესაფასებელი ბიზნესის, ინვესტიციის ან რომელიმე აქტივის მიმდინარე ღირებულებას, რაც სრულდება ობიექტური საზომების გამოყენებით. შეფასება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია გამოავლინოს არასწორად შეფასებული კომპანიის აქციები ან განსაზღვროს რომელ საინვესტიციო პროექტებში უნდა განახორციელოს ინვესტიცია. შეფასების განხორციელების ძირითადი მიზანი შეიძლება იყოს: ბიზნესების ყიდვა ან გაყიდვა; სტრატეგიული დაგეგმვა; კაპიტალის დაფინანსება; და ინვესტირება ფასიან ქაღალდებში.

კომპანიის, როგორც მიმდინარე საქმიანობის შეფასებისას, არსებობს სამი ძირითადი შეფასების ტექნიკა, რომელებიც ფართოდ გამოიყენება შეფასების პრაქტიკაში. ესენია: (1) DCF ანალიზი, (2) კომპანიების შედარებითი ანალიზი და (3) პრეცედენტული ტრანზაქციები. საბაზრო მიდგომა (საჯარო კომპანიის შესადარებელი ან პრეცედენტული ტრანზაქციები), შემოსავლის მიდგომა (ფასდაკლების გარეშე ფულადი ნაკადები (DFCF) ან ნარჩენი შემოსავალი) და აქტივების მიდგომა (ჩანაცვლების ღირებულება ან აღდგენითი ღირებულება). ესენი არის შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საინვესტიციო ბანკის საქმიანობაში, კაპიტალთან დაკავშირებულ კვლევებში, კერძო კაპიტალში, კორპორატიული საქმიანობის განვითარებაში, შერწყმა – შესყიდვებიში (M&A) საქმეებში, ლევერაჯირებულ შესყიდვებში (LBO) და ფინანსების თითქმის ყველა სფეროში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია DCF მოდელებისა და მოდელში ჩართული პარამეტრების ანალიზი და შეფასებები, რომელებიც განსაზღვრავენ მოდელების შეფასების სიზუსტეს. ასეთ პარამეტრებია: ფულადი ნაკადები (CF), დისკონტის განაკვეთი (r) და შეფასების პერიოდების ხანგრძლიობა (n). ნაშრომში განხილულია ამ მოდელის გამოყენების სამი გზა: 1) დივიდენდების დისკონტირების მოდელი (DDM); 2) კაპიტალის თავისუფალი ფულადი ნაკადების (FCFE) დისკონტის მოდელი; და 3) ფირმის თავისუფალი ფულადი ნაკადები (FCFF) დისკონტის მოდელი. მათი საშუალებით ფასდება კომპანიის შინაგან ღირებულება, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის მიერ ფულადი სახსრებიუნარების გამოიმუშავოს უნარზე. ამ მოდელების მიხედვით, კომპანიის ღირებულება მისი სამომავლო ფულადი ნაკადების, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) და ზრდის ტემპი (g) ფუნქციაა.

აქ, ფირმის ნებისმიერი საოპერაციო აქტივის/ინვესტიციის ღირებულებად ითვლება მათთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ნაკადის

ამჟამინდელ ღირებულება. ამგვარი სარგებლის ნაკადების სანდოობა განსხვავდება აქტივიდან აქტივამდე და ბიზნეს ერთეულიდან ბიზნეს ერთეულამდე. რისკი, რომელიც თან ახლავს სარგებლის ამ ნაკადებს, ფასდება და იზომება როგორც „კაპიტალის ღირებულება“. ნაშრომში, ბიზნესის მიერ შექმნილი ფულადი ნაკადები ფასდება ორი მეთოდი: ერთი, – არალევერეჯირებული ფულადი ნაკადები და მეორე, – ლევერეჯირებული ფულადი ნაკადები. პირველი უგულებელყოფს კაპიტალის სტრუქტურას და კომპანიებს შესადარებელს ხდის; მეორე ითვლის იმ ფულს, რომელიც აქციონერებს რჩებათ მას შემდეგ, რაც ყველა კაპიტალთან კავშირის არ მქონე მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ანალიტიკოს/შემფასებელის განკარგულებაშია ფირმის/აქტივის ან მისი კაპიტალის შეფასებას სამი განსხვავებული მიდგომა: 1) შეფასება დისკონტირებული ფულადი ნაკადებით, 2) ფარდობითი შეფასება და 3) შეფასების ოფციონის მოდელები. თითოეული ამ მიდგომის ფარგლებში გვაქვს სხვადასხვა მოდელები. აქედან არჩევანი ძირითადად განპირობებული უნდა იყოს შესაფასებელი ფირმა/აქტივის მახასიათებლებით. მოდელში გასათვალისწინებელი ფაქტორები – შესაფასებელი ობიექტის შემოსავლების დონე, მისი ზრდის პოტენციალი, შემოსავლის ზრდის წყაროები, მისი ლევერაჯის სტაბილურობა და დივიდენდების პოლიტიკა. შეფასების მოდელის შესაბამისობა შესაფასებლ აქტივთან ან ფირმასთან არის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი შედეგი დიდწილად იქნება დამოკიდებული როგორც ამაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად სწორია მოდელში შემავალი მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესის შეფასება, DCF ანალიზი, თავისუფალი ფულის დისკონტის მოდელი(DFCF), დივიდენდების დისკონტის მოდელი(DDM), თავისუფალი ფული კაპიტალთან მიმართებით (FCFE), ფირმის თავისუფალი ფული(FCFF), კაპიტალის ღირებულება, და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება(WACC).*

Givi Lemonjava

PhD in Economics
The University of Georgia
Associated Professor
Tbilisi, Georgia
givi_lemonjava@yahoo.com

Business Valuation Modeling

A business valuation is the process of determining the economic value of a business. During the valuation process, all parties of a business are considered to determine its worth. The business valuation process determines the current value of a business, investment or an asset, using objective measures, and evaluating all aspects of the business. Valuation is an important exercise since it can help identify mispriced securities or determine what projects a company should invest. Some of the main reasons for performing a valuation are: buying or selling a business; strategic planning; Capital financing; and Securities investing.

When valuing a company as a going concern, there are three main valuation techniques used by industry practitioners: (1) DCF analysis, (2) comparable company analysis, and (3) precedent transactions. Market approach(public company comparables or precedent transactions), income approach(discounted free cash flow (DFCF) or residual income[3]) and assets approach(replacement cost or cost to build) - these are the most common methods of valuation used in investment banking, equity research, private equity, corporate development, mergers & acquisitions (M&A), leveraged buyouts (LBO), and most areas of finance.

This paper presents an overview of DCF models and the parameters included in it, which determine the accuracy of the assessment of the models. There are: the cash flow (CF), discount rate (r), and the number of periods (n) within the valuation timeframe. There are discussed three ways to use this model: 1) dividends discount model (DDM); 2) free cash flow to equity (FCFE[4]) discount model; and 3) free cash flow to the firm (FCFF[5]). It estimates a company's intrinsic value which is based on a company's ability to generate cash flow. According to this model, the value of

[3] Economic value added.
[4] FCFE = cash flows after taxes, reinvestment needs and debt cash flows - levered free cash flow.
[5] FCFF = cash follows before debt but after reinvestment needs and taxes - unlevered free cash flow.

company is function of its future cash flow, weighted average cost of capital(WACC) and growth rate (g).

The value of firm's any operating asset/investment is equal to the present value of its expected future economic benefit stream. The reliability of these benefit streams is different from asset to asset and from entity to entity. The risk accompanies benefit streams is assessed and measured as a "cost of capital". We have used two methods to calculate the cash flows generated by business: one – unlevered cash flow and second – levered cash flow. The first ignores capital structure and makes companies comparable; the second calculates the money that is left to shareholders after all non-equity related claims have been removed.

The analyst/appraiser faced with the task of valuing a firm/asset or its equity has three different approaches: 1) discounted cash flow valuation, 2) relative valuation, and 3) option pricing models. Within each of these approaches, there are different models. This choice must be driven largely by the characteristics of the firm/asset being valued—the level of its earnings, its growth potential, the sources of earnings growth, the stability of its leverage, and its dividend policy. Matching the valuation model to the asset or firm being valued is as important part of valuation and its output will largely depend both on this and on how correct is the input data.

Keywords: *business valuation, DCF analysis, discounted free cash flow (DFCF), dividend discount model (DDM), free cash to equity (FCFE), free cash to firm (FCFF), cost of capital, and weighted average cost of capital (WACC).*

კოტე ლომიძე

ფილოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-1754-8577
lomidze.kote1@gmai.com

სოციალური დეიქსისის ერთი ნიმუში „ვეფხისტყაოსანში“

მოხსენება შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ფიცილის ერთ თავისებურებას. რუსთველის პოემაში ფიცი და ფიცილის ფორმულები მრავალფეროვანია. ვიკტორ ნოზაძე წიგნში „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“ საგანგებო თავს უძღვნის ამ საკითხს. ასევე, ერთი თავი ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ ფიცილის ფორმულებს შუქია აფრიდონიძის წიგნში „მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“. საკითხი, რომელსაც განვიხილავ, დასახელებულ ნაშრომებში არაა შენიშნული.

ვ. ნოზაძემ *„ვეფხისტყაოსნის* საზოგადოებათმეტყველებაში“ გამოყო დაფიცების ოცამდე სხვადასხვა საშუალება: ფიცი ღმერთზე, ცაზე, მზეზე, რჯულზე, ფიცი თავზე... ჩემი ყურადღება მიიპყრო სწორედ ამ უკანასკნელმა — საკუთარი თავის დაფიცებამ, კერძოდ, ფიცილის ფორმულამ თავმან ჩემმან. პოემაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ფიცილის ეს ფორმულა იერარქიულია, სოციალურ როლსა და სტატუსზე მიუთითებს. ამგვარ ფიცს წარმოთქვამს სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე მყოფი ადამიანი ანუ მეფე. ე. ი. მეფე იფიცებს საკუთარ თავს ან კიდევ პერსონაჟები იფიცებენ მეფეს. მოვიყვან ორივე ტიპის მაგალითებს.

მეფე იფიცებს საკუთარ თავს:
„აწ, თავმან ჩემმან, მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა“ (ფარსადანი დავარზე).
„თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი“ (როსტევანი ვაზირს).

პერსონაჟი იფიცებს მეფეს:
„თავმან მისმან, ფიცით გეტყვი შენ, ვაზირსა, ოსტასრასა“ (ავთანდილი ვაზირს).
„თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს“ (ვაზირი ავთანდილს).

რატომ იფიცებს მეფე საკუთარ თავს? ამგვარი ფიცი წარმოაჩენს მეფის ცენტრალურ როლს პოემის სოციალურ იერარქიაში. როდესაც მეფე საკუთარ თავს იფიცებს, ამით ხაზი ესმება მის უზენაეს ავტორიტეტს, სოციალურ კიბეზე არ არსებობს ხელმწიფეზე მაღლა მდგომი, რომელსაც იგი დაიფიცებდა, ხოლო, როდესაც სხვა პერსონაჟები იფიცებენ მეფეს, ეს მიუთითებს, რომ ისინი აღიარებენ მის ძალაუფლებასა და ლეგიტიმაციას.

რაც შეეხება ამგვარი ფიცის წარმომავლობის საკითხს. ჩემი აზრით, ამ იერარქიულ ფიცს უნდა ჰქონდეს ბიბლიური ფესვები. ბიბლიაში, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში, ღმერთი იფიცებს საკუთარ თავს: „რამეთუ ფუცა უფალმან ძალთამან მკლავისა მიმართ თჳსისა“ (იერ. 51, 14). ამგვარი ფიცის მოტივაცია კარგად ჩანს პავ-

ლეს ებისტოლეში ებრაელთა მიმართ: „რამეთუ აბრაჰამს აღუთქუა ღმერთმან, ვინაჲთგან არავინ იყო უფროჲსი, რომელსამცა ფუცა, ფუცა თავისა თჳსისა“ (ებრ. 6, 13).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, სიტყვები, რომლებიც ბიბლიაში ღმერთს მიემართებოდა, რუსთველის პოემაში მეფეს დაუკავშირდა (საზოგადოდ აღნიშნული პრინციპი განუხრელადაა გატარებული არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“, არამედ თითქმის მთელ ძველ ქართულ ლიტერატურაში). რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ამ ერთგვარ სემანტიკურ გადაწევას? ჩემი აზრით, ეს არის მეფის საკრალიზაცია. მეფის რჩეულობის თვალსაზრისი ზოგადად გავრცელებულია ანტიკურსა თუ მოგვიანო ხანის აზროვნებაში (გავიხსენოთ ბიბლიური საული), რუსთველის პოემაშიც ღმერთია ხელისუფლების წყარო („მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“). ე. ი. მეფე იფიცებს ისე, როგორც ღმერთი, იმიტომ რომ იგი ღვთის ნაცვალია მიწაზე.

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა მიერ მეფის დაფიცება თუ მეფის მიერ საკუთარი თვის დაფიცება არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება ენა სოციალური ურთიერთობებისა თუ ძალაუფლების იერარქიის გადმოსაცემად.

საკვანძო სიტყვები: *ფიცილი, „ვეფხისტყაოსანი“, სოციალური დეიქსისი.*

Kote Lomidze

PhD Student
Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-1754-8577
lomidze.kote1@gmai.com

One Example of Social Deixis in "The Man in the Panther's Skin"

The report concerns a particular feature of the oath in "The Knight in the Panther's Skin." In Rustaveli's poem, oaths and oath formulas are diverse. Viktor Nozadze dedicates a special chapter to this issue in his book "The Social Linguistics of The Knight in the Panther's Skin." Additionally, a chapter is devoted to the formulas of the oath in Shuka Apridonidze's book "Forms of Address in Modern Georgian: Structure and Function." The issue I will discuss is not noted in the abovementioned works.

V. Nozadze has identified over twenty different means of swearing in "The Social Linguistics of The Knight in the Panther's Skin": oaths on God, the sky, the sun, religion, and an oath on one's head... I was particularly drawn to the latter — the swearing on oneself, specifically the formula of the oath on my head. Observation of the poem shows that this formula of the oath is hierarchical and indicates social roles

and status. Such an oath is uttered by a person at the highest rung of the social ladder, namely the king. In other words, the king swears on himself, or characters swear on the king. In the report, I will provide examples of both types and discuss why the king swears on himself. Such an oath highlights the king's central role in the social hierarchy of the poem. When the king swears on himself, it emphasizes his supreme authority; there is no one above the ruler on the social ladder to whom he would swear, and when other characters swear on the king, it indicates that they acknowledge his power and legitimacy.

As for the origin of such an oath, in my opinion, this hierarchical oath must have biblical roots. In the Bible, both in the Old and New Testaments, God swears on Himself: "For the Lord of hosts hath sworn by Himself" (Jeremiah 51:14). The motivation for such an oath is seen in Paul's epistle to the Hebrews: "For when God made a promise to Abraham because He could swear by no greater, He sware by Himself" (Hebrews 6:13).

As we have seen from the examples provided, the words addressed to God in the Bible are associated with the king in Rustaveli's poem (this principle is consistently upheld not only in "The Knight in the Panther's Skin" but in almost all ancient Georgian literature). What qualification can be given to this kind of semantic shift? In my opinion, it is the sacralization of the king. The idea of the king's chosen status is generally prevalent in both ancient and later thought (let's recall biblical Saul); in Rustaveli's poem, God is the source of power ("for all power is from Him"). Thus, the king swears as God does, because he is God's vicegerent on earth.

Therefore, the swearing of the king by the characters or the king swearing on himself in "The Man in the Panther's Skin" is a good example of how language is used to convey social relationships and the hierarchy of power.

Keywords: *Social Deixis, The Man in the Panther's Skin, oath.*

ერმინე მაღრაძე

გეოლოგიის მეცნიერნიერებათა დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
გორი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-1471-9553
e.magradze53@gmail.com

ძვ. წ. VIII–VII საუკუნეების მდინარე ყვირილას ზემო წელის ბრინჯაოს მეტალურგიის შესახებ

მოხსენებაში, „ძვ. წ. VIII–VII საუკუნეების მდინარე ყვირილას ზემო წელის ბრინჯაოს მეტალურგიის შესახებ“, განხილულია 1968 წელს საჩხერის რაიონის სოფ. საირხეში, სახოველის მეტალურგიულ კერაში, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს მისაღები ხელსაწყოების – ტიგელების მუშაობის პრინციპის მეცნიერული კვლევის პროცესი. ეს არტეფაქტები თავისი ორიგინალური ფორმით მუდამ იქცევდა ყურადღებას, მაგრამ მეცნიერებისთვის გამოცანად რჩებოდა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბრინჯაოს სადნობი ტიგელების და მათი საშუალებით ჩამოსხმული სხვადასხვა დანიშნულების ბრინჯაოს ნივთების სიუხვისა, თვით ლითონის გასადნობად საჭირო მაღალი ტემპერატურის მწარმოებელი ქურა, რომელშიც ეს ტიგელები უნდა მოეთავსებინათ, არქეოლოგიური გათხრებით ვერ იქნა მიკვლეული. ჩვენს მიერ წარმოებული მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ, მყარი მეცნიერული არგუმენტებით დადგინდა, რომ საირხელი მეტალურგები ფლობდნენ ბრინჯაოს წარმოების მეტად ორიგინალურ მეთოდს. მათ შექმნეს ისეთი ტიპის ტიგელები რომლებიც არ საჭიროებდნენ მაღალი ტემპერატურის წარმომქმნელ დიდ ქურას, არამედ თვით ამ ტიგელებით იყო შესაძლებელი სპილენძის გადნობა და ლეგირება ბრინჯაოს მისაღებად, რაც ურთულეს და ძვირადღირებულ მეტალურგიულ ციკლს ძალზე მარტივს და იაფს ხდიდა.

მოხსენებასთან ერთად წარმოდგენილი იქნება 4-წუთიანი დოკუმენტური ფილმი ჩატარებული სამეცნიერო ექსპერიმენტების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ძვ. წ. VIII–VII საუკუნეები, არქეოლოგია, მეტალურგია, ტიგელები, ბრინჯაო.*

Ermine Magradze

PhD in Geology
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-1471-9553
e.magradze53@gmail.com

Bronze Metallurgy in the Upper Basin of the Qvirila River in the 8th-7th centuries BC

The presentation "Bronze Metallurgy in the Upper Basin of the Qvirila River in the 8th-7th Centuries BC" discusses the scientific research process on the working principles of crucibles used for bronze production, which were discovered in the Sakhoveli metallurgical site in the village of Sairkhe, Sachkhere district, by archaeologists in 1968. These artifacts, with their unique form, have always attracted attention, but a mystery remained for scientists: despite the abundance of crucibles for bronze smelting and various bronze items cast using them, no furnace capable of producing the high temperatures required for melting metal — where these crucibles should have been placed — was found during archaeological excavations.

Through numerous experiments conducted by us, solid scientific evidence has established that the metallurgists of Sairkhe possessed a highly original method for bronze production. They developed a type of crucible that did not require a large furnace capable of generating high temperatures. Instead, these crucibles themselves were capable of melting copper and alloying it with tin to produce bronze, making what is typically a complex and expensive metallurgical process much simpler and cheaper.

Along with the presentation, a 4-minute documentary film on the scientific experiments conducted will be shown.

Keywords: *8th-7th centuries BC, archaeology, metallurgy, crucibles, bronze.*

ტრისტან მაჭარაშვილი

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-005-4367-8384
t.macharashvili@edu.ge

შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება (კვება)

ნებისმიერი ხალხის ცხოვრებაში კვებას და საკვები კულტურების მოპოვებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. შესაბამისად XI-XV საუკუნეების ქართული საზოგადოების ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა უშუალოდ კვებასთან და საკვების მოპოვებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რაც რელიგიასთან ერთად, განსაზღვრავდა კიდეც საზოგადოებრივი ცხოვრების წესს.

საკვების მიღებას ქართულ წყაროებში ეწოდება „ჭამა“, „პურობა“, „პურის ჭამა“, „პურად დაჯდომა“ („დაჯდის პურად“), „ტრაპეზი“, „სეროობა“, “გოჭკომური”, ”ხადილი“ და სხვა .

მისაღებია გ. ჩიტაიას მოსაზრება, რომ საქართველოში ჭამდნენ დღეში 2-3-ჯერ და ამდენჯერვე ამზადებდნენ კერძს.

ერთმანეთისაგან განირჩეოდა ყოველდღიური პურობა და ნადიმი. ნადიმი (ლხინი) იმართებოდა დღესასწაულების, ომში გამარჯვების, ქორწილის, უფლისწულის დაბადების, საპატიო სტუმრების მიღების და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენის დროს.

ზოგჯერ ნადიმი ზღვარგადასულ სახესაც იღებდა, ვახუშტი აღნიშნავს, რომ სანამ კათალიკოსი და ეპისკოპოსები ნადიმზე იყვნენ მხოლოდ გალობა ისმოდა, მათი წასვლის შემდეგ კი „მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი“, ზღვარგადასული ლხინი რუსთაველთანაც გვხვდება: „შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა, ... არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალისა“.

მიუხედავად იმისა, რომ გადამეტებული თრობა შუა საუკუნეებში მიუღებლად ითვლებოდა, ნადიმზე ღვინის დაძალება, როგორც ჩანს მაინც მიღებული მოვლენა იყო, რასაც რუსთაველიც ადასტურებს: მეფის ბრძანებით სუფრიდან მთვრალებსაც კი არ უშვებდნენ და ალბათ ღვინოსაც აძალებდნენ.

XIV საუკუნეში არსებობდა სამეფო კარზე სუფრასთან მოხელეთა განთავსების მკაცრად განსაზღვრული წესები: უფროს უმცროსობის გათვალისწინებით მოხელეები გარკვეული რიგითობის მიხედვით იკავებდნენ მათთვის განკუთვნილ დასაჯდომ თუ დასადგომ ადგილს.

სამეფო კარზე ნადიმი დღეღამის ნებისმიერ დროს შეიძლება გამართულიყო. წინასწარ არც მისი ხანგრძლივობა იყო განსაზღვრული, რადგან ზოგჯერ პურობა გვიანობამდე გრძელდებოდა.

სამეფო ნადიმს მოხელეთა მთელი შტატი ემსახურებოდა, ესენი არიან: მანდატურთუხუცესი, მანდატურები, მსახურთუხუცესი, განმგეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მემაშხლეები, მუქიფები, მეჯამეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი, მეხილეები, პირის მწდე, ამირეჯიბი, ეჯიბი, ჭაშნაგირი და სხვა.

სამეფო სუფრის ანალოგიური უნდა ყოფილიყო ცალკეული დიდებულების ლხინი, რა თქმა უნდა მისი მასშტაბები შედარებით მცირე იქნებოდა. სუფრის მიმდინარეობის წესში და საკვებ მენიუში კი დიდი სხვაობა არ უნდა ყოფილიყო.

ზოგადად გლეხის სუფრა გაცილებით მოკრძალებული იყო, თუმცა დღესასწაულებზე საკმაოდ უხვ სუფრას შლიდნენ.

ლხინის წინ ყოველთვის იცავდნენ ჰიგიენას, პუროობის შემდეგ, როგორც წესი, ხდებოდა დარბაზის დასუფთავება.

ნადიმისა და ზოგადად საკვების მიღების წინ აუცილებელი იყო ლოცვა, ამ დროს საზრდელის მიღების წინ წასაკითხი ლოცვები ითქმებოდა.

საკვანძო სიტყვები: *კვება, ნადიმი, პუროობა, ჭამა, ლხინი, დარბაზი, ჰიგიენა.*

Tristan Macharashvili

PhD in History
The University of Georgia
Associate Professor
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Senior Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-005-4367-8384
t.macharashvili@edu.ge

The Daily Life of Medieval Georgian Society (Nutrition)

In the life of any people, nutrition and the acquisition of food cultures hold an extremely important place. Accordingly, in the life of Georgian society from the 11th to the 15th centuries, activities directly related to food and its acquisition occupied a significant position, which, along with religion, defined the patterns of social life.

In Georgian sources, the act of eating is referred to as “eating,” “bread-eating,” “eating bread,” “sitting down to food,” “table,” “feasting,” “gathering,” “sustenance,” “lavish meals,” and others. G. Chitaia's opinion is that in Georgia, people eat 2-3 times a day, and prepared food that many times is acceptable.

Daily meals were distinguished from feasts. Feasts (celebrations) were held during holidays, victories in war, weddings, the birth of princes, the reception of honored guests, and other significant events. Sometimes feasts would take on an extravagant character; Vakhushti notes that while the Catholicos and bishops were present at the feast, only singing was heard, and after their departure, the "symphony of minstrels, singers, and all kinds of performers" could be heard. The extravagant revelry is also found in Rustaveli's works: "There was a drinking and bread-eating, similar to their power... The king ordered that no one drunk should be released."

Although excessive drinking was considered unacceptable in the Middle Ages, it seems that urging people to drink wine at feasts was an accepted practice, as Rustaveli confirms: by the king's order, even drunkards were not allowed to leave the table, and probably they were urged to drink wine.

In the 14th century, there were strictly defined rules for the arrangement of officials at the royal court's table: considering seniority, officials occupied their designated seating or standing places in a specific order. At the royal court, feasts could be held at any time of the day or night. The duration of the feast was not predetermined, as sometimes the meals lasted late into the evening.

The royal feast was attended by an entire array of officials, including the *mandaturtukhutsesi*, *mandaturis*, chief servant, chief administrator, chief winemaker, chief falconer, stewards, cooks, chief cupbearers, chief waiters, waiters, the person in charge of the table, *amirajibi, ejibi*, *chasnaghiri*, and others.

A similar feast should have been held by individual nobles, although its scale would, of course, be relatively smaller. There should not have been much difference in the course of the feast and the food menu.

In general, the peasant's table was much more modest; however, they spread a fairly abundant feast during holidays. Hygiene was always observed before the feast, and usually, the hall would be cleaned after the meals.

Before feasting and generally before meals, it was essential to pray; at that time, prayers to be recited before receiving food were said.

Keywords: *Nutrition, Feast; Bread-making; Eating; Festivity, Hygiene.*

მარინე მახათაძე

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-1922-4971
marine.makhatadze540@hum.tsu.edu.ge

მანანა რუსიეშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0001-8598-7323
manana.ruseishvili@tsu.ge

ეკოლექსიკოგრაფია როგორც ახალი პარადიგმა გარემოსთან დაკავშირებული ტერმინების ასახვისათვის ქართულ-ინგლისურ თემატურ ლექსიკონში

დღეისათვის ენასა და ეკოლოგიას შორის არსებული მჭიდრო კავშირის შესახებ მრავალგვარი ინტერპრეტაცია არსებობს. ბევრი ლინგვისტი „ეკოლოგიას“ მეტაფორულად „ენობრივი კონტექსტისა“ და „ენობრივი გარემოს“ აღსანიშნავად იყენებს, რათა აღწეროს ენობრივ უმცირესობებთან დაკავშირებული სოციოლინგვისტური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური ან პოლიტიკური საკითხები. მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ეკოლინგვისტიკის კონკრეტულ განმარტებებსა და კატეგორიებს (ფილი & მიულჰაუზლერი, 2001; ცუნოდა, 2005).

ეკოლექსიკოგრაფია ლექსიკოგრაფიისა და ეკოლინგისტიკიდან იღებს სათავეს. აღნიშნული კონცეპტი პირველად სარმენტომ (2000) შემოგვთავაზა, რომელიც თავის ნაშრომში ხაზს უსვამს ლექსიკონების, როგორც ენობრივი მრავალფეროვნების, სოციალურ-კულტურული ჰარმონიისა და გარემოს მდგრადობის ხელშემწყობი ინსტრუმენტის მნიშვნელობას. კულტურულ სივრცეში გაჩნდა მისწრაფება გარემოსთან დაკავშირებული ლექსიკის და სემანტიკის მაქსიმალური ვერბალიზაციისა. ეკოლექსიკოგრაფია როგორც ახალი პარადიგმა ეხება არა მხოლოდ ეკოლოგიური ლექსიკონების შექმნას, არამედ ზოგადი, სპეციალიზებული თუ თემატური ლექსიკონების წარმოებას, რომლებიც ფოკუსირებულია გარემოსდაცვით ტერმინოლოგიაზე. ვინაიდან სამეცნიერო ტექსტებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები ხშირად ხდება ენის ძირითადი ლექსიკის ნაწილი, ეს ერთეულები უნდა აისახოს ზოგადი ტიპის ლექსიკონებშიც. ეკოლოგიური ლექსიკური ერთეულების განმარტებებისას ლექსიკოგრაფებს შეუძლიათ ირიბად ან აშკარად აამაღლონ მომხმარებლების გარემოსდაცვითი ცნობიერება.

ჩვენი კვლევის მიზნებია: ა) გამოვიყენოთ ეკოლექსიკოგრაფიული მეთოდოლოგია და შემოგთავაზოთ ქართულ-ინგლისურ თემატურ ლექსიკონში გარემოსთან დაკავშირებული ლექსიკის ისეთი მიკროსტრუქტურა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ყოვლისმომცველ ეკოლოგიურ გამოწვევებს, მაგალითად, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა; ბ) გარემოსა და ეკოლოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული ქართული ტერმინების დოკუმენტირება, რომელიც ხელ შეუწყობს ლინგვისტური მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

მასალის მაკროსტრუქტურის შერჩევისას კვლევის ემპირიული მონაცემები ეყრდნობა ბ.ფოჩხუას „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონსა“ და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონს. სიტყვების სია დაყოფილია რამდენიმე კონცეპტუალურ კატეგორიად, როგორიცაა არაორგანული გარემო, მცენარეები და ცხოველები. იმის გამო, რომ ეკოლოგია, როგორც დარგი, მზარდად ვითარდება, ჩვენს კვლევაში გარემოსთან დაკავშირებული ლექსიკა ამოკრებილია ბიომრავალფეროვნების შესახებ არსებული საქართველოს მთავრობის დადგენილებებიდან. ეკოლექსიკოგრაფიული მიზნებისათვის, შეგროვებული მასალის ნაწილი შემოწმდა საქართველოს წითელ ნუსხაში (მაგ.: ბრუცა, ქურციკი, ნიამორი, უთხოვარი...).

კვლევის ღირებულება განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ შერჩეული ლექსიკა არსებულ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონებში არ ითვალისწინებს ეკოლექსიკოგრაფიულ მიდგომებს, ხოლო ჩვენს კვლევაში წარმოდგენილი გარემოსთან დაკავშირებული სიტყვასტატიების ამგვარი პარადიგმით ასახვა პირველი მცდელობა იქნება. ეკოლექსიკოგრაფიის კვლევა, განსაკუთრებით ქართული გარემოსდაცვითი ლექსიკის კონტექსტში, ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. თუმცა, აუცილებელია ამ მიდგომის შემდგომი შესწავლისთვის საფუძვლის ჩაყრა და ლექსიკონის შედგენისა და გამოყენების შემეცნებითი და სოციალურ-კულტურული პროცესების ახალი პერსპექტივიდან დანახვა.

საკვანძო სიტყვები: *ეკოლექსიკოგრაფია, თემატური ლექსიკონი, მეტალექსიკოგრაფია, ეკოსისტემა, ეკოლინგვისტიკა, სოციო-კულტურა, ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი.*

Marine Makhatadze

PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-1922-4971
marine.makhatadze540@hum.tsu.edu.ge

Manana Rusieshvili

Doctor of Philological Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0001-8598-7323
manana.ruseishvili@tsu.ge

Ecolexicography as a New Paradigm for Representing Environmental Terms in Georgian-English Thematic Dictionary

Today's interpretations of how language and ecology are intertwined range widely. Many linguists use 'ecology' metaphorically as a reference to 'linguistic context' or 'language environment' to describe minority-language-related issues embedded in sociolinguistic, educational, economic, or political settings. Others have specific definitions and subcategories (Fill & Mühlhäusler, 2001; Tsunoda, 2005).

Originating from lexicography and ecolinguistics, ecolexicography was first proposed by Sarmento (2000) who stresses the importance of dictionaries as a tool for promoting linguistic diversity, socio-cultural harmony, and environmental sustainability. Ecolexicography deals not only with the production of ecological dictionaries, but also with the production of general, specialised or thematic dictionaries focusing on environmental terminology. Since lexical units used in scientific texts very often become part of the main vocabulary of a language, these units should be introduced into general dictionaries as well. In writing definitions of ecological terms and topics, lexicographers can implicitly or explicitly reinforce the users' environmental protection awareness.

The aims of our research are: a) to use ecolexicographic methodology and propose a microstructure of the entries so that they are committed to ecosystem protection and help address overarching ecological challenges like biodiversity loss; b) to document Georgian terms related to the environment and ecological practices, which can help preserve the linguistic heritage.

The empirical data of the research while selecting the microstructure of the material is based on the dictionaries: "Ideographical Dictionary of the Georgian Language" by B. Pochkhua and The Explanatory Dictionary of the Georgian Language. The wordlist has been categorized into several conceptual domains, like inorganic environments, plants, and animals. As ecology is an evolving field, environment-related lexis has also been retrieved from legal documents, such as the resolutions about biodiversity of the Government of Georgia. For ecolexicographic purposes, some of the collected headwords were checked in the Red list of Georgia, whether they are vulnerable or endangered species (e.g., ბრუცა, ქურციკი, ნიამორი, უთხოვარი).

The significance of this research is based on the fact that for many of the selected environmental terms do not include ecolexicographic approaches in Georgian-English dictionaries. Research on ecolexicography, particularly in the context of Georgian environmental lexis, is still in its infancy. However, it is essential to establish a foundation for further exploration of this approach and reconsider the cognitive and socio-cultural processes of dictionary compilation and use from a fresh perspective.

Keywords: *ecolexicography, thematic dictionary, socio-culture, environment, ecosystem, metalexicography*.

ივანე მენთეშაშვილი

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
imenteshashvili@gmail.com

თომას კარლაილი და მისეული მეფე-გმირი

თომას კარლაილი და ისტორიის მისეული ხედვა კვალავ ფასეულია საისტორიო მწერლობისათვის. სამწუხაროდ, მისეული გმირების (დიდი ადამიანებნის) თეორია ათწლეულების მანძილზე გარკვეულწილად არასწორად იყო აღქმული.

ისტორიის თავის ფილოსოფიურ ხედვაში კარლაილმა შექმნა გმირის რამდენიმე ტიპი. უკანაკნელი, უმაღლესი მისი აზრით სამეფო ხელისუფლებაა და მისით შემოსილი გმირიც გმირობის მწევრვალზე დგას.

კარლაილის თეორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერეო ის დებულებაა, რომ ამგვარი გმირებს სწორედ მეფეთა დამამხობი, თანასწორობის მქადაგებელი რევოლუციები შობენ.

კარლაილი მიუთითებს, რომ ინგლისის სამოქალაქო ომის ისტორიოგრაფიამ ანტიაბოლუტისტური ოპოზიციის ყველა ლიდერი გაამართლა ოლივერ კრომველის გარდა და ასეთ მიდგომას მიკერძოებულად მიიჩნევს.

სტატია ეწინააღმდეგება და ადასტურებს კრომველისა და ნაპოლეონის მიმართ არსებულ მიდგომისა და შეფასების უსაფუძვლობას მათი ჯორჯ ვაშინგტონთან შედარების საფუძველზე. ნაშრომში არნიშნულია, რომ საისტორიო მეცნიერება კრომველს აკრიტიკებს სწორედ დიქტატურის დამყარების და არა მეფის სიკვდილით დასჯაში აქტიური მონაწილეობის გამო.

ავტორი ხაზს უსვამს კრომველის კანონზომიერ აღზევებას. მან გაიარა სულიერი და საზოგადოებრივი ზრდა ჩვეულებრივი ჯენტლმენიდან დიდ პოლიტიკოსამდე.

კრომველის დიქტატურა არ არის მისი ძალაუფლებაზე დახარბების შედეგი. იგი განპირობა პოსტ-რევოლუციურ ინგლისში საზოგადოების უუნარობამ დაემყარებინა სტაბილურობა.

ოლივერ კრომველს და საერთოდ, მეფე-გმირს არ სჭირდება გამართლება. ისტორია ადასტურებს, რომ რევოლუციების ქაოსს („სანკულოტობას“ – თ. კარლაილი), მოსდევს იმავე რევოლუციების მიერ ამ ქაოსის დამამშვიდებელი მეფე-გმირების შობა, რაც რევოლუციების შემდგომი დიქტატურის კანონზომიერების დასტურია.

საკვანძო სიტყვები: *გმირები, თაყვანისცემა, რევოლუცია, სანკიულოტობა, ტერორი, მეფე, დიქტატურა, რესპუბლიკა,პარლამენტი, პურიტანები.*

Ivane Menteshashvili

PhD in History
The University of Georgia
Associate Professor
Tbilisi, Georgia
imenteshashvili@gmail.com

Thomas Carlyle and His Hero-King

Thomas Carlyle and his vision of history are still very valuable for historical writings. Regrettably, in decades, his theory of great men or as he named them – heroes actually to a certain extent was misunderstood.

In his philosophic approach to history, Carlyle creates several types of heroes. The last, the highest among them is what he calls Kingship reckoned the most important of Great Men.

In Carlyle's theory, the most interesting is that very provision, which points out that these heroes arose in revolutionary times, amidst the chaos and egalitarian ideas.

Carlyle indicates that historical writings on the Civil War acquit the main leaders of anti-absolutist opposition of 17th century England and their acts, except for Oliver Cromwell. This he says, is a biased approach.

The research opposes and proves the groundless sense of the well-known approach and evaluation of Cromwell and Napoleon based on comparison between them and George Washington. The article stresses that historical writings criticize Cromwell much more for his Protectorate rather than his active role in the king's beheading.

The author highlights that Cromwell was not an upstart. He got through the gradual process of spiritual and personal rising from the ordinary gentleman to top grade politician.

Cromwell's dictatorship is a result not of his greed for power but was determined by the absence of the ability of the society to set up stability in post-revolutionary England.

Oliver Cromwell and hero-kings at all do not need vindication. History proves that revolutionary chaos at the same time creates so-called hero-kings, who tranquilize this upheaval ("sanculottism" – Thomas Carlyle). This proves that post-revolutionary dictatorship is a regular phenomenon.

Keywords: *Heroes, worship, revolution, sans-culottism, terror, king, dictatorship, republic, parliament, Puritans*

დავით მერკვილაძე

ისტორიის დოქტორი
დამოუკიდებელი მკვლევარი
თბილისი, საქართველო
datomerkvila@yahoo.com

ტყვეებით ვაჭრობის ადგილები XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში უცხოელ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით

XVII საუკუნეში ტყვეთა სყიდვა ძალიან გავრცელებული იყო მთელს კავკასიაში. მის შესახებ მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ამ ხანაში საქართველოში მოღვაწე თუ დროებით სამოგზაუროდ მყოფი სხვადასხვა უცხოელი ავტორები: პიეტრო ავიტაბილე, ჯუზეპე (ჯოზეფო) ჯუდიჩე, კრისტოფორო კასტელი, არკანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე მარია ძამპი, ოსმალო ისტორიკოსი ევლია ჩელები, ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენი, ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქი მაკარი.

ტყვეებით ვაჭრობამ განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი დასავლეთ საქართველოში და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურესი სიღატაკის, ადგილობრივი წარმოების არნახული დაქვეითებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის დიდი სიმცირის გამო შავი ზღვის ნავსადგურებში ოსმალეთიდან შემოზიდული საქონლის შეძენა უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელი იყო მათი ტყვე ადამიანებზე გაცვლის გზით.

დასავლეთ საქართველოს ნავსადგურებში ოსმალეთიდან წამოსული და სხვადასხვა საქონლით დატვირთული სავაჭრო გემები შემოდიოდნენ წელიწადის გარკვეულ დროს. ამ დროს ნავსადგურში იმართებოდა გაცხოველებული ვაჭრობა ტყვე ადამიანებით. ამ გემებით გაყიდული ტყვეები ადამიანებით მოვაჭრეებს გაჰყავდათ ძირითადად სტამბოლის ტყვეთა ბაზრობაზე, სადაც შემდგომ მათ ბევრად ძვირად ჰყიდდნენ. თუმცა დიდი ხომალდების გარდა, ოსმალეთის მოსაზღვრე მხარეებიდან დასავლეთ საქართველოს ნავსადგურებში ვაჭრები გაცილებით მეტი სიხშირით შემოდიოდნენ მომცრო მცურავი საშუალებებით და ტყვეებით დატვირთულები ბრუნდებოდნენ უკან ოსმალეთში.

მსგავსი ვითარება იკვეთება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც. აქაც ტყვეებით მასობრივი ვაჭრობა იმართებოდა სწორედ ნავმისადგომების მიმდებარედ, საიდანაც ნაყიდ ადამიანებს ასევე ზღვით ეზიდებოდნენ ოსმალეთისაკენ.

ლამბერტის ცნობით, უცხოელ ავტორებთან საქართველოს საზღვაო ნავსადგურებიდან, სადავ ადამიანებით ვაჭრობდნენ და საიდანაც გაყიდული ადამიანებით დატვირთული ხომალდები ოსმალეთისაკენ მიემართებოდნენ, ყველაზე მეტად ვხვდებით გურიაში მოაზრებული ქობულეთის მოხსენიებას (კასტელი, ლამბერტი, მაკარი ანტიოქიელი). ტყვეებით ვაჭრობის ადგილად დასახელებულია ასევე „დიდი მდინარის ნაპირი, შავ ზღვაში რომ ჩადის“ (მაკარი ანტიოქიელი). ეს „დიდი მდინარე“ იყოს შეიძლება იყოს რიონი ან ენგური. პირველ შემთხვევაში ადამიანებით ვაჭრობა უნდა გამართულიყო ფოთის ნავსადგურში, მეორე შემთხვევაში – ანაკლიაში. ამ თვალსაზრისით ვხვდებით ისგაურის მოხსენიებასაც (შარდენი). ამას გარდა, ევლია ჩელების

ცნობით, ტყვე ადამიანების შესასყიდათ ლაზეთიდან მდ. ჭოროხს აღმა ნავებით მოუყვებოდნენ სამეგრელოსაკენ და აქედან სხვადასხვა საქონელში გაცვლილი ადამიანებით ბრუნდებოდნენ უკან შემდგომ მათ სარფიანად გასაყიდად. ამ შემთხვევაში გარკვეული უზუსტობა იკითხება. ჭოროხის მდებარეობისა და მისი დინების მიმართულების გათვალისწინებით, ოსმალეთიდან სამეგრელოში მოხვედრა შეუძლებელი იყო (მით უფრო, როცა მდინარე ოსმალეთის საზღვრების სიღრმიდან მოედინება). დიდი ალბათობით აქ მდ. რიონი უნდა იგულისხმებოდეს. ასეთ შემთხვევაში, ადამიანებით ვაჭრობა უფრო მცირე მასშტაბით ამ მდინარის გასწვრივაც მოიაზრება. თავის მხრივ, შარდენი ასახელებს ზღვის პირას მდებარე ისგაურს. ამ ადგილას იგი აღწერს დიდ მოედანს, რომელსაც „სამეგრელოს დიდ ბაზარს“ უწოდებს და სადაც „ბორკილებიანი ტყვეები“ და საბაჟოს ზედამხედველები ნახა. მიჩნეულია, რომ ისგაური იგივე სკურჩაა.

ზემოაღნიშნული უცხოელი ავტორების ცნობები უთუოდ შეუცვლელ ისტორიულ წყაროებს წარმოადგენს აღნიშნული თემის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: *ტყვეებით ვაჭრობა, დასავლეთ საქართველო, XVIII საუკუნე, შავი ზღვა, ოსმალეთი, ქობულეთი.*

Davit Merkviladze

PhD in History
Independent Researcher
Tbilisi, Georgia
datomerkvila@yahoo.com

Places of Slave Trade in 17th Century Western Georgia Based on Foreign Authors' Accounts

In the 17th century, the slave trade was widespread throughout the Caucasus. Valuable information about this practice comes from various foreign authors who either lived in or traveled through Georgia during this time, including Pietro Avitabile, Giuseppe (Giuseppo) Giudice, Cristoforo Castelli, Arcangelo Lamberti, Giuseppe Maria Zampi, Ottoman historian Evliya Çelebi, French merchant Jean Chardin, and the Orthodox Patriarch of Antioch, Macarius.

Slave trading became particularly entrenched in Western Georgia for several reasons. Due to the extreme poverty of the local population, the drastic decline in local production, and the severe scarcity of currency in circulation, most goods brought in from Ottoman ports on the Black Sea could only be acquired by exchanging them for

enslaved individuals. At specific times of the year, trading ships from the Ottoman Empire carrying various goods arrived at the ports of Western Georgia, where a brisk trade in slaves took place. The slaves sold here were mostly taken to Istanbul's slave markets, where they were sold at significantly higher prices.

Apart from large ships, merchants from Ottoman border regions frequently arrived at the ports of Western Georgia with smaller vessels and returned to the Ottoman Empire loaded with enslaved people.

A similar situation occurred in the Northwestern Caucasus, where mass slave trading also took place near ports, from which the purchased individuals were transported by sea to the Ottoman Empire.

According to Lamberti and other foreign authors, the port most frequently mentioned for the slave trade in Georgia is Kobuleti in Guria (referenced by Castelli, Lamberti, and Macarius of Antioch). Additionally, a "great river flowing into the Black Sea" is mentioned as a location for the slave trade (Macarius of Antioch). This "great river" could be the Rioni or Enguri rivers. If it refers to the Rioni, the slave trade would have taken place at the port of Poti; if it is the Enguri, the trade occurred in Anaklia. Chardin also mentions the trading location of Isgauri. According to Evliya Çelebi, merchants from Lazeti sailed up the Chorokhi River to Samegrelo, where they exchanged slaves for goods and returned to the Ottoman Empire to sell them for a profit. However, this account contains inaccuracies, as it would have been impossible to reach Samegrelo from the Ottoman Empire via the Chorokhi River due to its location and flow direction. It is more likely that the Rioni River was meant in this case, indicating that smaller-scale slave trading occurred along its course. Chardin mentions Isgauri, a coastal town, where he describes a large square known as the "Great Market of Samegrelo," where he saw "chained slaves" and customs officers. Isgauri is believed to be the same as Skurcha.

The information provided by these foreign authors is an invaluable historical source for studying this topic.

Keywords: *Slave Trade, 17th Century Western Georgia, foreign authors on Western Georgia, the Black Sea, Kobuleti.*

ირინე მოდებაძე

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0001-5432-0243
irinamodeb@gmail.com

თამარ ციციშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0008-8872-1916
t.tsitsishvili@yahoo.com

ალექსანდრე ხახანაშვილი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე

ქართული მწერლობის ისტორიის პერიოდებად დაყოფა (პერიოდიზაცია) მისი სისტემატიზაციისა და ამავდროულად შეფასებების ძირითადი კრიტერიუმების დადგენაც გახლავთ. ქართველ კრიტიკოს-მოაზროვნეთა მიერ ეროვნული მწერლობის განვითარების შეფასების ისტორია, არა მხოლოდ ქართული თეორიულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, არამედ ახალი დროის ლიტერატურული პროცესის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლის მხრივაც ძალზედ საყურადღებოა. საქართველოში XIX საუკუნის მიწურულს შეიქმნა არაერთი შემაჯამებელი ხასიათის შრომა, რომელშიც კრიტიკოსებმა ქართული ლიტერატურული პროცესის დახასიათება ქართული მწერლობის განვითარების ფართო კონტექსტში სცადეს. ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის დადგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ალექსანდრე ხახანაშვილს. ალექსანდრე ხახანაშვილის „ნარკვევების“ გამოცემით დაიწყო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. მისი თხზულებები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ მეცნიერს დიდი ღვაწლი აქვს გაწეული ძველი ქართული ლიტერატურის – მოძიების, დადგენის, აღნუსხვის, აღწერის, დამუშავების, პუბლიკაციისა და ქართული მწერლობის და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. როგორც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშია მიჩნეული, მეცნიერის ნაშრომები ერთერთი პირველი ცდაა ჩვენი მწერლობის შემაჯამებელი ერთიანი სურათის გადმოსაცემად. კორნელი კეკელიძე თვლიდა, რომ ხახანაშვილის ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსი საკმაოდ ღირებული შრომა იყო, რადგან ამ თხზულებით ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას, არამარტო ქართველები, თავდაპირველად კარგა ხნის განმავლობაში

ის აკმაყოფილებდა ჩვენი სკოლის პირველ მოთხოვნებსაც, ვინაიდან სახელმძღვანელოდ იქნა გადაკეთებული. და მართლაც, ალ. ხახანაშვილს, კიტა აბაშიძესთან ერთად, ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავთ. მეცნიერი თავად აღიარებდა, რომ განსახილველ ტექსტებს უდგებოდა, ხან მრავალმხრივი ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ხან კი მარტო შინაარსის გადმოცემითა და გარეგნული აღწერით. საგულისხმოა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ჟანრობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ თავისებურებებს მეცნიერი მსოფლიო ლიტერატურის ზოგად კონტექსტში მოიაზრებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მკვლევარის მიერ ძველი ქართული ლიტერატურის გააზრება-დახასიათება იმსახურებს, რომელიც არა მხოლოდ იმდროინდელი მეცნიერული მიღწევებისა და აზროვნების სპეციფიკის მაჩვენებელია, არამედ ქართული ლიტერატურული თეორიის ზოგადევროპულ კონტექსტში განვითარების დასტურიცაა. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გასული საუკუნეების მეცნიერული მონაპოვრების თანამედროვე მეთოდოლოგიებით შესწავლა ნათელს მოფენს, არა მხოლოდ ალ. ხახანაშვილის მეცნიერულ ღვაწლს, არამედ მნიშვნელოვანია ქართული კრიტიკული აზროვნების ისტორიის შესწავლისათვისაც. ჩვენს მიერ ჩატარებულმა ალ. ხახანაშვილის შეხედულებათა ანალიზმა ცხადყო – ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ერთიანი სახით გააზრებისას მეცნიერი საფუძვლად კულტურულ-ისტორიული სკოლის ძირითად პრინციპებს იღებს და ამავდროულად მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპსაც ითვალისწინებს.

საკვანძო სიტყვები: *ალექსანდრე ხახანაშვილი, ძველი ქართული ლიტერატურა, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარები.*

Irine Modebadze

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Senior Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org//0000-0001-5432-0243
irinamodeb@gmail.com

Tamar Tsitsishvili

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Senior Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0008-8872-1916
t.tsitsishvili@yahoo.com

Aleksandre Khakhanashvili on the History of Ancient Georgian Literature

Dividing the history of national writing into periods (periodization) is to establish the main criteria for its systematization and at the same time evaluations. The history of assessment of the development of national writing by Georgian critics is not only important from the point of view of the history of Georgian theoretical-critical thinking, but also very noteworthy in terms of studying the main tendencies of the development of the literary process of the new time. At the end of the 19th century, a number of summary works were created in Georgia, in which critics tried to characterize the Georgian literary process in the wider context of the development of Georgian writing. Aleksandre Khakhanashvili made a great contribution in determining the periodization of Georgian literature. An important stage in the development of Georgian literary studies began with the publication of "Essays" by Aleksandre Khakhanashvili. His works were published in Georgian, Russian and European languages. It should be noted that the scientist has made a great contribution to the search, identification, recording, description, processing, publication and popularization of Georgian writing and culture of ancient Georgian literature. As it is believed in Georgian literary studies, the scholar's works are one of

the first attempts to convey a unified picture of our writing. Korneli Kekelidze believed that Khakhanashvili's systematic course on the history of Georgian literature was quite a valuable work, because not only Georgians were introduced to Georgian literature through these works, but for a long time it also met the first requirements of our school, since it was converted into a textbook. And indeed Al. Khakhanashvili together with Kita Abashidze, were given the most honorable place in the study of the historical point of view of the works of Georgian writers. The scientist himself admitted that he approached the texts in question, sometimes from a multifaceted historical-literary point of view, and sometimes only by conveying the content and external description. It is significant thatsit the scholar understands the genre and artistic-aesthetic characteristics of ancient Georgian literature in the general context of world literature. The scholar's understanding and characterization of ancient literature deserves special attention, which is not only an indicator of the achievements of that time and the specificity of the author's thinking, but also a proof of the development of Georgian literary theory in the general European context. The study of our cultural heritage with the modern methodologies of the finds of previous centuries, already forgotten, sheds light, not only on Al. Khakhanashvili's scientific achievements, but also important for studying the history of Georgian critical thought conducted by us. The analysis of Khakhanashvili's views made it clear – when understanding the history of ancient Georgian writing in a unified way, the scientist takes the basic principles of the cultural-historical school as a basis and at the same time considers the artistic-aesthetic principle.

Keywords: *Aleksandre Khakhanasvhili, ancient Georgian literature, Researchers of the ancient Georgian literature.*

ნანა მრევლიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0008-9099-2387
nan.mrevlishvili@ug.edu.ge; nana.mrevlishvili@gmail.com

„შუშანიკის წამების“ ქართული ვრცელი რედაქციის საკითხისათვის

პირველი სრული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლი, „შუშანიკის წამება“ რამდენიმე ქართული და სომხური რედაქციითაა მოღწეული – ქართული ვრცელი და მოკლე, სომხური ვრცელი და მოკლე და სვინაქსარული რედაქციები; აგრეთვე – მეტაფრასული რედაქციები თხზულებისა – ანტონ კათალიკოსისა და იოანე ბატონიშვილის მიერ გადამუშავებული ვერსიები.

იაკობ ხუცესის მარტიროლოგიური ნაწარმოები XIX საუკუნის 80-იანი (1882 წ.) წლებიდან არის ცნობილი, მარტვილობის სომხური რედაქციები კი მოგვიანებით (1953წ.) აღმოჩნდა.

ამჯერად ვისაუბრებთ ქართული ვრცელი რედაქციის შესახებ, რომელიც თერთმეტი ხელნაწერითაა მოღწეული. მათგან უძველესია A 95. დანარჩენი ხელნაწერები გვიანდელია და XVIII-XIX ს.-ით თარიღდება. ყველა ეს ხელნაწერი, გარდა M 21 ხელნაწერისა, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – A 130, 1713 წ.; A 170, 1733 წ.; A 176, 1743 წ.; H 2077, 1736 წ.; H 1672, 1740 წ.; S 3637, 1838 წ.; H 1370, 1871 წ.; H 2121, 1748 წ.; Q 300, 1800 წ.; M 21, 1842 წლის ხელნაწერი კი დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.

მკვლევართა აზრით, როგორც უძველეს, ისე გვიანდელ ხელნაწერებში მოთავსებული ტექსტები ერთი რედაქციისაა (ი. აბულაძე, ნ. ჯანაშია, ე. ჭელიძე...), რადგან მხოლოდ მცირეოდენ ტექსტოლოგიურ სხვაობებს გვიჩვენებენ, რაც რედაქციებზე მსჯელობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს. განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა 1980 წელს. ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მეცნიერები – ე. გიუნაშვილი და ზ. სარჯველაძე – შენიშნავდნენ, რომ პარხლის მრავალთავში დაცული „შუშანიკის წამება“ რედაქციულად განსხვავდება დანარჩენ ათ ხელნაწერში დაცული ტექსტებისაგან (გიუნაშვილი, სარჯველაძე, 1980, გვ. 131). მკვლევართა შენიშვნით, ა (პარხლის) და ბ (ყველა დანარჩენ) რედაქციათა ურთიერთშედარების შედეგად 411 კითხვა-სხვაობა გამოვლინდა. სამწუხაროდ, მათ კვლევის დეტალური შედეგები აღარ უჩვენებიათ. მკვლევართაგან სხვაც აღარავინ შეხებია ამ საკითხს.

იაკობ ხუცესისეულ ტექსტებს შორის რედაქციულ სხვაობაზე დასკვნების გამოსატანად a (პარხლის) რედაქციის ტექსტი დეტალურად შევუდარეთ ხელნაწერებში დაცულ b (დანარჩენი ხელნაწერები) რედაქციის ტექსტს. a და b რედაქ-

ციებს შორის არსებული სხვაობები შემდეგი სახისაა: 1. ანთროპონიმების გადმოცემის თავისებურება; 2. წინადადების მეტობა; 3. სიტყვის კლება; 4. სიტყვის მეტობა; 5. სიტყვათა შენაცვლება; 6. სიტყვათა მიმდევრობა; 7. ფონემათა მეტობა; 8. ფონემათა ნაკლებობა; 9. ფონემათა მონაცვლეობა; 10. კავშირთა მონაცვლეობა; 11. სტლისტური სხვაობა (ტექსტებიდან მოხმობილი გვაქვს მხოლოდ იმგვარი შემთხვევები, როდესაც a რედაქცია განსხვავებულ წაკითხვას გვიჩვენებს დანარჩენ ათ ხელნაწერთან შედარებით, თუმცა, მრავლად გვხვდება ისეთი სხვაობებიც, რომლებიც თავს იჩენს a რედაქციასა და b რედაქციის რამდენიმე ხელნაწერს შორის).

მასალის დეტალურად გაანალიზებამ ცხადყო, რომ პარხლის მრავალთავში დაცულ ტექსტსა და სხვა ხელნაწერებში დაცულ ტექსტებს შორის არის იმგვარი სხვაობები, რომლებიც რედაქციებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. ორივე რედაქციის არქეტიპი, რასაკვირველია, ერთია – ეს არის იაკობ ცურტაველის ხელიდან გამოსული თხზულება V საუკუნისა, თუმცა დღემდე მოღწეული არცერთი ტექსტი არც ენობრივად (და – დიდი ალბათობით, არც სტილისტურად) არ გვიჩვენებს V საუკუნის ვითარებას. ანუ ტექსტები საფუძვლიანადაა რედაქტირებული მოგვიანო პერიოდის ენობრივი ნორმებისა და გაზრდილი ლიტერატურული გემოვნების შესაბამისად. ამ არქეტიპის (პირობითად ვუწოდოთ მას $Ω_1$ რედაქცია) შემდეგ უნდა ყოფილიყო შუალედური რედაქცია (პირობითად – $Ω_2$), რადგან, დადასტურებული სხვაობების მიუხედავად, ორივე რედაქცია როგორც ენობრივი, ისე – სტილური თვალსაზრისით, მსგავსია ერთმანეთისა, რომ აღარფერი ვთქვათ სტრუქტურულ–ტექსტუალურ რაგვაროაბაზე, რომლის მიხედვითაც ეს ტექსტები, პრაქტიკულად, იდენტურია. ეს შუალედური, $Ω_2$ რედაქცია უნდა დასდებოდა საფუძვლად a და b რედაქციებს, თუმცა, რთული სათქმელია კონკრეტულად როდის მოხდა ამ რედაქციათა ფორმირება.

საკვანძო სიტყვები: *„შუშანიკის წამება“, იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამების“ ქართული ვრცელი რედაქცია.*

Nana Mrevlishvili

Doctor of Philological Sciences
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia

For the Issue of the Extensive Georgian Edition of "The Martyrdom of Shushanik"

The first complete original hagiographical monument, "The Martyrdom of Shushanik" was created by several Georgian and Armenian redactions – Georgian long and short, Armenian long and short and Svinaksar redactions; See also – Metaphrastical editions of works – revised versions by Anton Katalikos and Ioane Batonishvili.

The martyrological work of Iakob Khutsi is known since the 80s of the 19th century (1882), while the Armenian editions of Martvilov were found later (1953).

This time, we will talk about the extensive Georgian edition, which was completed with eleven manuscripts. The oldest of them is A 95. The rest of the manuscripts are later and date from the XVIII-XIX centuries. All these manuscripts except the M 21 manuscript, are protected by K. in the National Center of Manuscripts named after Kekelidze – A 130, 1713; A 170, 1733; A 176, 1743; H 2077, 1736; H 1672, 1740; S 3637, 1838; H 1370, 1871; H 2121, 1748; Q 300, 1800; M 21, the manuscript of 1842 is preserved in the fund of the Institute of Oriental Manuscripts of the Russian Academy of Sciences.

According to the researchers, the texts included in both the ancient and the later manuscripts belong to the same redaction (I. Abuladze, N. Janashia, E. Chelidze), because they show us only small textological differences, which is not a sufficient basis for discussing the redactions. A different opinion was expressed in 1980. In the article published in "Tsiskari" magazine, scientists – E. Gyunashvili and Z. Sarjveladze – it was noted that the "Torture of Shushanik" preserved in the multi-chapter of Parkhli is editorially different from the texts preserved in the other ten manuscripts (Giuna¬shvili, Sarjveladze, 1980, p. 131).

According to the researchers, as a result of mutual comparison of A (Parkkhli) and B (all other) editions, 411 question-differences were revealed. Unfortunately, they did not show the detailed results of the research. None of the researchers touched this issue.

In order to draw conclusions about the redactional difference between the texts of Yakob Khutsesi, we compared the text of redaction a (Parkhli) in detail with the text of redaction b (the rest of the manuscripts) preserved in the manuscripts. The differences between editions a and b are as follows: 1. The peculiarity of conveying of anthroponyms; 2. Excess of sentence; 3. word decline; 4. Excess of words; 5. Replacement of words; 6. Sequence of words; 7. Excess of phonemes; 8. Lack of phonemes; 9. Alternation of phonemes;

10. Alternation of connections; 11. Stylistic difference (from the texts we have mentioned only those cases where the a edition shows a different reading compared to the other ten manuscripts, however, there are many such differences that appear between the a edition and several manuscripts of the b edition).

A detailed analysis of the material revealed that there are such differences between the text preserved in Parkhli's multichapter and the texts preserved in other manuscripts that allow discussion of redactions. The archetype of both editions is, of course, the same - it is a writing from the hands of Iakob Tsurtaveli of the 5th century, although none of the texts that have been found to date show the situation of the 5th century neither linguistically and – most likely, nor stylistically. That is, the texts are thoroughly edited in accordance with the language norms of the later period and the increased literary taste. After this archetype (let's tentatively call it Q1 edition) there should have been an intermediate edition (tentatively – Q2), because, despite the proven differences, both editions are similar to each other both in terms of language and style. Not to mention the structural-textual quality, according to which these texts are practically identical. This intermediate edition, Q2, should have been based on editions a and b, however, it is difficult to say exactly when these editions were formed.

Keywords: *"The Martyrdom of Shushanik", Iakob Khutsesi, ancient Georgian literature, Extensive Georgian Edition of "The Martyrdom of Shushanik"*

საიდ მულიანი

აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-8652-1006
mulianisaid2@gmail.com

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში

ირანში, ფერეიდანის პროვინციაში XVII საუკუნეში გადასახლებულ ქართველთა მეტყველება ფერეიდნული დიალექტის სახით ჩამოყალიბდა. დედასაქართველოსთან ურთიერთობების ოთხსაუკუნოვანმა წყვეტამ და სპარსული ენისა და კულტურის ძლიერმა გავლენამ ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაზე გარკვეული კვალი დატოვა. მიუხედავად ამისა, მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი ფერეიდნული დიალექტი ირანში ენობრივი კუნძულის სახით დღემდე არსებობს და თვითმყოფადობის შენარჩუნების საოცარ ნიმუშს წარმოადგენს.

ფერეიდნული დიალექტი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. წარმოდგენილი კვლევა ეხება ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელ ლექსიკას და ძირითადად ეყრდნობა ფერეიდანის ქართულ სოფლებში (ჩუღრუთი, მარტყოფი, ვაშლოვანი, ახჩა, თორელი, ნაჯაფაბადი და სხვ.) ჩვენს მიერ ჩაწერილ ახალ დიალექტურ მასალას და აგრეთვე, დღემდე გამოქვეყნებულ ფერეიდნულ ტექსტებს, განმარტებით და დიალექტურ ლექსიკონებს, საკითხთან დაკავშირებული არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

გაანალიზებული მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში საკმაოდ კარგადაა დაცული ნათესაობის აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა. ქართულ სიტყვაფორმათა ნაწილი (სიძე, ზალი, მაზლი, მული, დედამთილი, მამამთილი...) დღესაც აქტიურად გამოიყენება. ნაწილი კი, სპარსული (ან სპარსულის გზით შემოსული არაბული, თურქული) ლექსიკური ერთეულების პარალელურად იხმარება (ძმა / დაშია, და / ბაჯი). ამასთან, ზოგი ქართული სიტყვა (შვილიშვილი, შვილთაშვილი, ბიცოლა...) შესაბამისმა უცხოურმა მასალამ (ნავა, ნათიჯა, ზანამუა) ჩაანაცვლა. ბილინგვურ გარემოში, სადაც სპარსული სახელმწიფო ენაა და ყველა სფეროში ფუნქციონირებს, ქართული ფერეიდნელ ქართველთათვის საშინაო სამეტყველო ენას და თვითიდენტიფიცირების კოდს წარმოადგენს. ქართული ენობრივი არეალის და მისი შესაძლებლობების შეზღუდვა-შევიწროება სამწუხაროდ, ბუნებრივ და შეუქცევად პროცესად იქცა.

საკვანძო სიტყვები: *ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობები; ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი; ქართული დიალექტური ლექსიკა; ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ფერეიდნულში.*

Saeid Muliani

Akaki Tsereteli Kutaisi State University
Kutaisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-8652-1006
mulianisaid2@gmail.com

Vocabulary denoting kinship in the Fereydanian dialect of the Georgian language

The speech of the Georgians who emigrated to Iran in the 17th century in Fereydan province was formed into the Fereydanian dialect. As a result of four centuries of non-contact with their homeland Georgia and the strong influence of the Persian language and culture, the speech of the Georgians living in Fereydan underwent certain changes. Nevertheless, the Fereydanian dialect cut off from its native environment, still exists as a language island in Iran and is a remarkable example of linguistic self-immunization.

The Fereyd dialect attracts attention in many ways. In the presented work, we will discuss vocabulary denoting kinship. The research is mainly based on the new dialectal material we recorded in the Georgian villages of Fereydan in Iran (Chughruti, Martghopi, Vashlovani, Akhcha, Toreli ...), we also processed the published Fereydanian texts, explanatory and dialect dictionaries, scientific literature related to the issue.

According to the analyzed material, it can be said that the Georgian vocabulary denoting kinship is quite well preserved in Fereidanian dialect. Some of the Georgian word forms (siʒe / son-in-law, zali / daughter in law, mazli / brother in law, muli /sister in law, dedamtili / mother-in-law, mamamtili / father-in-law ...) are still actively used today, while some are used in parallel with Persian (or Arabic, Turkish, introduced through Persian) lexical units (brother / dashya, sister / baǰi). In addition, some Georgian words (švilišvili, šviltašvili, bicola ...) were replaced by corresponding foreign words (nava, natija, zanamua). In a bilingual environment, where Persian is the state language and functions in all spheres, and Georgian is the home language code for the Georgians, the process of restricting and harassing the Kartsia language facts is a natural and, unfortunately, irreversible process.

Keywords: *Georgian-Persian language relations, Fereydanian dialect of the Georgian language, vocabulary denoting kinship in Fereydanian dialect.*

ირინა ნოზაძე

ფილოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრის უფროსი სპეციალისტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-0931-756X
Irina.nozadze@tsu.ge

"Obabakoak" – ბერნარდო ატხაგას ფანტასმაგორიული სამყარო

მეოცე საუკუნის ესპანური ლიტერატურის მსგავსად, ბოლო დროის ბასკურმა ლიტერატურამ არჩევანი რომანის ჟანრზე შეაჩერა. შეიძლება ითქვას, რომ გასული სამი ათწლეულის ბასკურ რომანებს თან სდევს პოსტმოდერნისტული წანამძღვარი, რომლის თანახმადაც, უკვე ყველაფერია ნათქვამი, თუმცა საჭიროა თავიდან მოყოლა. ბასკი ლიტერატურათმცოდნე მარი ხოსე ოლასირეგი მიუთითებს, რომ მსგავსი ტიპის ბასკური რომანი ეკლექტიკურია, რამეთუ განიცდის ზეგავლენას, ვხვდებით ინტერტექსტუალობას და მიუხედავად იმისა, რომ გათავისებულია მოდერნისტული მეთოდები, ამავდროულად, წინა პლანზეა წამოწეული ჟანრთა პაროდიული და ირონიული კომბინაციები და ტიპოლოგიათა მრავალფეროვნება.

როგორც ლინგვისტი და კრიტიკოსი დავიდ ლასაგაბასტერი აღნიშნავს, ბოლო წლებში ბასკურმა რომანმა საბოლოოდ გადალახა წინაღობა, რომლის თანახმადაც მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა რეალობას. ეტასთან დაკავშირებული ტექსტების რაოდენობის მატების წყალობით, ბასკურმა რომანმა თანდათან დაარღვია ტეროირიზმისა და მისი ფეტიშისტური და რიტუალური ელემენტების გარშემო არსებული ტაბუები.

სწორედ ამ ფონზე გამოვიდა სამწერლობო ასპარეზზე თანამედროვე ბასკი მწერალი ბერნარდო ატხაგა. მან წიგნების გამოქვეყნება 1970-იან წლებში დაიწყო, როცა ბასკური ლიტერატურა დამოუკიდებელ სოციალურ ინსტიტუციად იქცა. დემოკრატიული ხასიათის კულტურულმა არაორთოდოქსულობამ, რომელიც 1960-იანების სოციო-კულტურულმა ცვლილებებმა წარმოშვა, ბასკური ლიტერატურული სისტემისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო შექმნა. ატხაგა მოხდენილად წარმოგვიდგენს თავის შემოქმედებას სხვადასხვა ფორმის შერწყმით და ამ სამყაროს გასამდიდრებლად, მხატვრული გამოსახვის საშუალებებზე დაყრდნობით, არც ნაწარმოების სტრუქტურის დაშლას ერიდება.

ფანტასმაგორიულმა სამყარომ, რომელშიც მწერალი გაიზარდა, მნიშვნელოვანწილად ასახვა ჰპოვა მის მოთხრობათა კრებულში "Obabakoak". მოთხრობები საინტერესო და უცნაური ფორმითაა წარმოდგენილი და ამასთან, სიმარტოვისა და ფატალურობის იდეური განვითარებით, თემატურად ერთმანეთს უკავშირდება. მსგავსი სტრუქტურით კრებული მეტად ახლოსაა რომანის ჟანრთან. მოთხრობები, პირველ რიგში, იმით უკავშირდება ერთმანეთს, რომ ყველა მათგანში მოქმედება ობაბაში ვითარდება.

როგორც ბერნარდო აჩაგა აღნიშნავს, ნატურალისტური მწერლობა ხშირად შეცდომას უშვებს, გარკვეული თვალთახედვით, პერსონაჟების დეტალური აღწერითა და მათი ქცევისთვის რაღაც ლოგიკური ახსნის მოძებნითა თუ გულისხმიერი დამოკიდებულებით, რაც საკუთრივ პერსონაჟებისთვის ვერ იქნება ბუნებრივი. ფანტასტიკა სხვა არაფერია, თუ არა „სხვათა“ რეალობა, თითოეული პიროვნების რწმენა-წარმოდგენათა ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, მწერალი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იმ სამყაროზე სასაუბროდ, რომელსაც თავად იცნობდა, საჭირო გახლდათ მოქმედების არარეალურ, გამოგონილ ადგილზე გადატანა. ამგვარად დაიბადა ობაბა, სამყარო, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. ობაბამ აჩაგას შესაძლებლობა მისცა, ალტერნატიული ლოგიკის წყალობით წარმოედგინა წარმოსახვითი ცხოვრება, რამეთუ მოვლენები რეალურად არსებული სამყაროს მიღმა ვითარდებოდა.

ბერნარდო აჩაგა მოხდენილად წარმოგვიდგენს თავის შემოქმედებას სხვადასხვა ფორმის შერწყმით და ამ ესთეტიკური სამყაროს გასამდიდრებლად, მხატვრული გამოსახვის საშუალებებზე დაყრდნობით, არც ნაწარმოების სტრუქტურის ტრანსფორმაციაზე ამბობს უარს. მისთვის მწერლობა ახალი იდეურ-ესთეტიკური შესაძლებლობების მუდმივი ძიების პროცესია. ლიტერატურული ჟანრების ჩარჩოებთან თამაში, მათი დაშლა ბერნარდო აჩაგას შემოქმედების ერთგვარი მუდმივაა. ლიტერატურული ჟანრების საზღვრების ერთმანეთში გადაკვეთის ტენდენცია მწერლის ბოლოდროინდელი შემოქმედების მუდმივ მახასიათებლად იქცა. მოხსენებაში განვიხილავთ აჩაგას შემოქმედების ფუნდამენტურ ნაწარმოებს “Obabakoak”, მის ძირითად იდეურ-ესთეტიკურ ასპექტებს და თავად მწერლის როლს თანამედროვე ლიტერატურული გამოწვევების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: *ბერნარდო აჩაგა, ფანტასმაგორია, თანამედროვე ბასკური ლიტერატურა.*

Irina Nozadze

PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Dzidziguri Bascology Center of TSU
Senior Specialist
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-0931-756X
Irina.nozadze@tsu.ge

"Obabakoak" – Phantasmagoric World of Bernardo Atxaga

In recent years Basque literature has chosen the novel as a leading genre (like the Spanish literature of the twentieth century). It can be said that the Basque novels of the past three decades are accompanied by a postmodernist premise, according to which everything has already been said, but it's necessary to tell it again. The Basque literary scholar Mari José Olaziregi points out that this type of Basque novel is eclectic, because it is influenced by intertextuality and although modernist methods are adopted, at the same time, parodic and ironic combinations of genres and a remarkable variety of typologies are at the fore.

It was in this atmosphere that the contemporary Basque writer Bernardo Atxaga appeared on the literary scene. He started publishing books in the 1970s, when Basque literature became an independent social institution. The cultural unconventionality of a democratic nature, which arose from the socio-cultural changes of the 1960s, created a favorable political environment for the Basque literary system.

The phantasmagorical world in which the writer grew up was significantly reflected in his collection of short stories "Obabakoak". The stories are presented in an interesting and strange form and at the same time, they are thematically connected with each other through the ideological development of loneliness and fatality. With a similar structure, the collection is very close to the novel genre. The stories, first of all, are connected to each other by the fact that the action in all of them takes place in Obaba.

As Bernardo Atxaga points out, naturalistic writing often makes the mistake of taking a certain point of view, describing the characters in detail and looking for some logical explanation for their behavior or a sympathetic attitude that can not be natural to the characters themselves. Fantasy is nothing but the reality of "others", a combination of beliefs and representations of each person. Therefore, the writer came to the conclusion that in order to talk about the world he knew, it was necessary to transfer the action to an unreal, fictional place. Thus was born Obaba, the world in which the action takes place.

Bernardo Atxaga gracefully presents his creations by combining different forms and in order to enrich this aesthetic world, he does not hesitate to transform the structure of his work based on the means of artistic representation. For him, writing is a process of constant search for new ideological-aesthetic possibilities. In the report, we will discuss the fundamental novel of Atxaga called "Obabakoak", its main ideological-aesthetic aspects and the role of the writer himself in the light of modern literary challenges.

Keywords: *Bernardo Atxaga, Phantasmagoria, Contemporary Basque Literature.*

გულ მუქერემ ოზთურქი

ფილოლოგიის დოქტორი
რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი
ხელოვნებისა და მეცნიერებათა, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
რიზე, თურქეთი
https://orcid.org/0000-0003-1875-4954
gul.ozturk@erdogan.edu.tr

ქართული ლექსიკოლოგიის მიმოხილვა

ლექსიკოლოგია არის ენის ლექსიკის სისტემური გამოკვლევა და ორგანიზაცია, ლინგვისტიკის სპეციალიზებული სფერო, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ენების ლექსიკონების შედარებით ანალიზს, რაც ხშირად ხორციელდება ლექსიკონების შექმნის მეშვეობით. ეს კვლევის სფერო მიზნად ისახავს ლექსიკის გასაგებად გამოკვლევისა და სხვადასხვა პრაქტიკული მიდგომების გამოყენებას. ლექსიკოლოგია ისწრაფვის გააღრმავოს ჩვენი წარმოდგენა ენაზე მისი სტრუქტურის, გამოყენებისა და ევოლუციის სრული ანალიზის საშუალებით.

ამ კვლევის მიზანია შეისწავლოს ლექსიკონების როლი და მრავალფეროვანი ფუნქციები საზოგადოებაში. ლექსიკონები არ არის მხოლოდ სასწავლო საშუალებები ენის შესასწავლად; ისინი ასევე აუცილებელი კულტურული არტეფაქტებია, რომლებიც ასახავს ენების მემკვიდრეობასა და ისტორიულ ტრანსფორმაციებს. ლექსიკონები როგორც ვრცელი არქივები, ინახავენ და წარმოაჩენენ ენის ფონოლოგიურ, გრამატიკულ და სემანტიკურ ელემენტებს, ამრეკლავენ ენის ცვლილებების დინამიკურ ხასიათსა და მასზე გავლენას საზოგადოებრივ-კულტურული ფაქტორებისგან.

ამ კვლევის მთავარი მიზანია გაანალიზოს ქართული ლექსიკოლოგიის წამყვანი ნაშრომები. ქართველმა ლექსიკოგრაფებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ენის დაფიქსირებასა და შენარჩუნებაში. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს ცნობილი ლექსიკოგრაფიული პროექტების შეფასებას, განსაკუთრებით იმ პროექტებისა, რომლებიც წამოიწყეს მნიშვნელოვანმა ქართველმა მკვლევრებმა, და მათი გავლენის ანალიზს ენობრივი მემკვიდრეობის დაცვასა და ლექსიკოგრაფიული მეთოდოლოგიის განვითარებაზე.

გარდა ამისა, კვლევა განიხილავს ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლებსა და თეორიებს, რომლებიც ამ მიმართულებას წარმართავენ. კვლევა მოიცავს თეორიული ჩარჩოების და მეთოდოლოგიური მიდგომების სრულყოფილ განხილვას, რომლებიც გამოიყენება ქართული ლექსიკონების შედგენაში. აქ შედის ლექსიკური სემანტიკის, სიტყვათქმნადობისა და ისტორიულ-კულტურული კონტექსტის ლექსიკოგრაფიაში ინტეგრირების ფუნდამენტური პრინციპების ანალიზი.

ამ კვლევის მიზანია განახორციელოს სიღრმისეული ანალიზი ლექსიკონების გავლენის შესახებ საზოგადოებრივ განვითარებაზე, განსაკუთრებული აქცენტით ქართული ლექსიკოლოგიის მიმართულებით. კვლევა განიხილავს მნიშვნელოვან ნაშრომებს და ხსნის ქართული ლექსიკოგრაფიის ძირითად პრინციპებს, რათა აჩვენოს

ლექსიკოლოგიის მნიშვნელობა ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ენის კულტურული კონტექსტის გააზრებაში.

საკვანძო სიტყვები: *ლექსიკოლოგია, ლექსიკონი, ლექსიკა, ქართული ლექსიკოლოგია, ლექსიკოლოგიის თეორიები.*

Gul Mukerrem OZTURK

PhD in Philology
Recep Tayyip Erdoğan University
Faculty of Arts and Sciences, Georgian Language and Literature
Rize, Turkey
https://orcid.org/0000-0003-1875-4954
gul.ozturk@erdogan.edu.tr

An Overview of Georgian Lexicology

The methodical examination and organization of a language's vocabulary is the focus of lexicology, a specialized field within linguistics. It also encompasses the comparative analysis of vocabularies across different languages, typically achieved through the creation of dictionaries. This field of study seeks to clarify the vocabulary by utilizing different approaches and real-world implementations. Lexicology aims to deepen our comprehension of language by providing a complete analysis of its structure, usage, and evolution.

This study aims to investigate the importance and diverse functions of dictionaries in society. Dictionaries serve as more than just reference aids for language learners; they are essential cultural artifacts that record the linguistic legacy and societal transformations throughout history. They function as extensive archives that save and depict the phonological, grammatical, and semantic elements of a language, reflecting the dynamic nature of linguistic change and the socio-cultural factors that shape it.

The main goal of this study is to analyze prominent works on Georgian lexicology. Lexicographers from Georgia have made significant contributions to the recording and conservation of the Georgian language. This paper aims to evaluate notable lexicographic undertakings, particularly those begun by important Georgian

researchers, and analyze their effects on the preservation of linguistic legacy and the progress of lexicographic methodology. Through analysis of these works, the study seeks to illuminate the evolution of Georgian lexicography and its significance in preserving Georgia's linguistic and cultural identity.

In addition, the study will outline the fundamental concepts and theories that form the basis of Georgian lexicology. This course will include a comprehensive examination of the theoretical frameworks and methodological approaches used in the development of Georgian dictionaries. This includes an examination of fundamental principles such as lexical semantics, word creation, and the incorporation of historical and cultural context into lexicography practice.

This study aims to conduct a comprehensive analysis of the impact of dictionaries on society's progress, with a particular emphasis on Georgian lexicology. The study looks at important works and explains the basic rules of Georgian lexicography to show how important lexicology is for preserving linguistic variation and helping us understand language in its cultural context.

Key Words: *Lexicology, dictionary, vocabulary, Georgian Lexicology, theories of lexicology.*

ეკა ორაგველიძე

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
https://orcid.org/0009-0002-7831-3202
Oragvelidzeeka97@gmail.com

ნესტან-დარეჯანი, ბეატრიჩე, „ზუბოვკა“ და „სულიკო“ – დაკარგული სატრფოს მხატვრული განსახოვნების პრინციპები

გავრცელებული რელიგიური თუ ფილოსოფიური შეხედულებების თანახმად, მიჯნურობა მოციქულობს კაცსა და ღმერთს შორის. სიყვარული ყველა სათნოების საფუძველია და თავისთავად სათნოებებს ადამიანი აბსოლუტურ სიყვარულამდე მიჰყავს.

ქართულ მწერლობაში სიყვარულის უდიდესი მეხოტბეა შოთა რუსთაველი, რომელიც მიჯნურობას „საქმე საზეოდ“ აცხადებს. ნესტან-დარეჯანის, დაკარგული სატრფოს, ძიება, პოემის იდეური პლანის თანახმად, მოაზრებულია, როგორც დაკარგული სამოთხისაკენ ლტოლვის ალეგორია. ტარიელს, გამოქვაბულში დამკვიდრებულ ვეფხისტყაოსან რაინდს (გამოქვაბული და ცხოველის ტყავით შემოსილობა სამოთხედაკარგული და მისი მაძიებელი გმირის ცნობილი მეტაფორაა), გარდაცვლილიც კი ჰგონია თავისი მიჯნური, თუმცა, ამის მიუხედავად, აგრძელებს ნესტანის ძიებას და, მასთან საიქიოში შეხვედრის იმედით, გარდაცვალებასაც კი მიელტვის. შესაბამისად, სწორედ სატრფოს პოვნით იკვრება პოემის იდეური წრედიც – სიკეთის ბოროტებაზე ძლევა და სამყაროში ღვთაებრივი წესრიგის აღდგენა.

სოლომონის „ქებათა ქების“ გავლენით, ანტიკური კულტურისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალდაკვალ, რენესანსის ხანაში პიროვნების სრულყოფის გზად ადამიანური სიყვარული მოიაზრება. დანტე ალიგიერის ბეატრიჩესადმი ტრფობა სულის ამამაღლებელ სათნოებად არის წარმოჩენილი. ვინაიდან ხორციელი სიყვარული საღვთო მიჯნურობის ამქვეყნიური გამოვლინებაა, შესაბამისად, ქალი ხდება მედიატორი, შუამავალი. „ღვთაებრივი კომედიის“ ძირითადი იდეაც სწორედ გარდაცვლილი სატრფოს ძიების მოტივს ეფუძნება. პოეტისთვის ბეატრიჩესადმი ლტოლვა ხდება სამოთხისაკენ მისასვლელი გზის გამკვალავი.

ადამიანური სიყვარულის ალეგორიულად, საღვთო მიჯნურობად მოაზრების ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერია ბაროკოს ეპოქაში და, შესაბამისად, – XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ალეგორიული თხრობის მიმდევარია ვახტანგ მეექვსე და მისი თეორიულ-ლიტერატურული სკოლა. აღნიშნული ისტორიულ-ლიტერატურული თვალთახედვა თვალსაჩინოდ გამოვლინდა დავით გურამიშვილის შემოქმედებაშიც. „დავითიანში“ სიყვარული წარმოჩენილია, როგორც „ნათლის მიჯნურობა“, ღვთის – აბსოლუტური სიყვარულის შემეცნებისკენ სწრაფვა, რაც აგრეთვე მკაფიოდ აისახება წიგნის ფინალურ ნაწილში ღვთაებრივი ქორწინების იდეალის წარმოჩენით („მხიარული ზაფხული“). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ლექს „ზუბოვკაში“ სწორედ გარდაცვლილი, იმიერებაში გარდასული სატრფოსადმი ლტოლვა ერთ-ერთი ძირითადი წარმართველი მოტივია. პოეტის ლირიკულ

გმირისთვის უსიყვარულოდ ყოფნა ჯოჯოხეთში ყოფნის ტოლფასია (როგორც ტარიელი – გამოქვაბულში, ხოლო დანტე – ჯოჯოხეთში) და თავის „საყვარელს“ (ალეგორიული გაგებით – ღმერთს) სწორედ ამ სატანჯველიდან თავის დახსნას ევედრება.

სატრფოს, როგორც მარადისობასთან დამაკავშირებელი არსების, ძიების მოტივი მკაფიოდ ჩანს XIX საუკუნის ქართულ პოეზიაშიც. მრავალმხრივი ინტერპრეტაციის მიუხედავად, შესაძლებელია ითქვას, რომ გარდაცვლილი საყვარლის ძიების იდეა განაპირობებს აკაკი წერეთლის „სილიკოს“ ლირიკული გმირის პათოსს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სულიკოს ძიების პროცესი მიმდინარეობს ქვევიდან ზევით – მიწიდან ზეცისკენ (ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი). სიმბოლურად, დასახელებული ავტორების მსგავსად, აქ მოაზრებულია ადამიანის ზესწრაფვის იდეა, სიყვარულის გზით სულიერი ამაღლება. ლირკული გმირისა და სულიკოს შეხვედრის მიზეზი სიყვარულია; სატრფოსთან შეხვედრის სიხარული ენით გამოუთქმელია, სასუფევლის ნეტარების მსგავსია; ლექსის ფინალური ნაწილის მიხედვით კი, მიჯნური ხარობს აქამდე დახშული სიცოცხლის კარის გახსნით, რაც სწორედ სიყვარულის გზის სამოთხის დამკვიდრების მეტაფორად მოიაზრება.

საკვანძო სიტყვები: *ნესტან-დარეჯანი, ბეატრიჩე, ზუბოვკა, სულიკო, ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთველი, დაკარგული სატრფო, ძიების მოტივი, ზესწრაფვა.*

Eka Oragvelidze

PhD in Philology
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies (Researcher)
https://orcid.org/0009-0002-7831-3202
Oragvelidzeeka97@gmail.com

Nestan-Darejani, Beatrice, "Zubovka" and "Suliko" – the Principles of Artistic Representation of the Lost Treasure

According to popular religious or philosophical views, love is a medium between man and God. It is the basis of all virtues, and virtues by themselves lead a person to absolute love.

In Georgian literature Shota Rustaveli is the greatest poet of love; he declares affection as a "heavenly affair". According to the ideological plan of the poem, the search for Nestan-Darejani as a lost love is conceived as an allegory of longing for a lost paradise. Tariel, the knight in the panther's skin settled in the cave (the cave and the cloak of animal skin is a well-known metaphor for Paradise Lost and the hero searching for it), sometimes thinks that his beloved might be dead, but no matter

what he still continues to search for Nestan and, hoping to meet her in the afterlife, he even faces death several times. Accordingly, finding his love closes the ideological circle of the poem – the overcoming of good over evil and the restoration of divine order in the world.

Under the influence of Solomon's "Song of Songs ", in the footsteps of ancient culture and Christian worldview, in the Renaissance era, human love is perceived as a way to approach a person's perfection. Dante Alighieri's devotion to Beatrice is presented as an uplifting virtue. Since carnal love is the worldly manifestation of divine love, therefore, a woman becomes a mediator. The main idea of "Divine Comedy" is based on the motive of searching for the dead amour. For the poet, the longing for Beatrice becomes a marker of the path to heaven.

The tradition of thinking of human love as an allegorical, divine affection is particularly strong in the Baroque era and, accordingly, in the Georgian literature of the 18th century. Vakhtang VI and his theoretical-literary school follow the allegorical narration. The aforementioned historical-literary point of view was manifested in the works of Davit Guramishvili. In "Davitiani" love is presented as "the love of light", striving to know the absolute love of God, which is also clearly reflected in the final part of the book by presenting the ideal of divine marriage ("Joyful Summer"). It is also noteworthy that in the poem "Zubovka" one of the main driving motives is the longing for the dead amour. For the poet's lyrical hero, being unloved is equivalent to being in hell (like Tariel – in a cave, and Dante – in hell), and he begs his "beloved" (in an allegorical sense – God) to save him from this torment.

The motive of the search for beloved, as a being connecting with eternity, is clearly visible in the Georgian poetry of the 19th century. Despite the multifaceted interpretation, it is possible to say that the idea of searching for a dead lover determines the pathos of the lyrical hero of Akaki Tsereteli's "Suliko". It is also worth noting that the process of searching for Suliko takes place from the bottom to the top - from the ground to the sky (rose, nightingale, star). Symbolically, like in the case of the above-mentioned authors, the idea of human striving towards God - spiritual ascension through love is the main topic of the poem. The reason for the meeting of the lyrical hero and Suliko is love; just like the bliss of the kingdom, the joy of meeting his beloved is indescribable. According to the final part of the poem, the lover rejoices in opening the door of life that has been closed until now, which is considered as a metaphor for establishing the paradise of the path of love.

Keywords: *Lost love, Motive of searching, Striving towards God, Nestan-Darejan.*

ქეთევან რამიშვილი

სიმონ ჯანაშიას საქართველოს ეროვნული მუზეუმი
(გლიპტიკის ფონდის კურატორი)
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-5510-1153
ketramishvili@yahoo.com

ელენე გიუნაშვილი

ფილოსოფიის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული მკვლევარი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-1271-8354
elene.giunashvili@iliauni.edu.ge

საქართველოს სასანური გლიპტიკა: შესწავლის ისტორია და თანამედროვე კვლევის საკითხები

უძველესი დროიდან საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ კი ირანთან, რომლის უშუალო მეზობლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ისტორიისათვის.

საქართველოში სასანურ ირანთან ურთიერთობის ნიშნები ჩნდება მე-3 ს-ის მიწურულსა და მე-4 საუკუნეში, თუმცა სასანური გლიპტიკის ნაწარმი ქართლში შემოსვლას იწყებს, ძირითადად, მე-4 საუკუნიდან. სასანური გემების უხვი რაოდენობით შემოსვლა მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და გრძელდება მე-6-7 საუკუნეების განმავლობაში, რაც განპირობებული იყო ერთი მხრივ, სასანურ ირანთან ინტენსიური ვაჭრობის დაწყებით, ხოლო მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიაში ირანის პოლიტიკური პოზიციების თანდათანობით გაძლიერებით, რასაც 532 წელს ქართლში მეფობის გაუქმება მოჰყვა.

საქართველოში მოპოვებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი (150-ამდე) სასანური გემა. მათ შორის უმეტესობა არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი, ნაწილი შემთხვევით არის მიკვლეული, ხოლო ზოგიერთი სავარაუდოდ, ადგილობრივი წარმოშობის მინაბაძებია, კერძოდ ბრინჯაოს საბეჭდავები და მინის ჩამონასხამები.

საქართველოს სასანური გემების უმრავლესობა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში.ბევრი მათგანი გამოუცემელია.

საქართველოს სასანური გლიპტიკის ნიმუშების კვლევის საკითხებს თავიანთ შრომებში ეხებოდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები (მ. ლორთქიფანიძე, ა. ზახაროვი, მ. მაქსიმოვა, მ. წოწელია, ა. ბორისოვი, ვ. ლუკონინი, ფ. ჟინიუ, პ. გოლიზნიაკი).

საქართველოში აღმოჩენილი სასანური გლიპტიკის ძეგლები სისტემურად შეისწავლა ცნობილმა ქართველმა გლიპტიკოსმა ქეთევან ილიას ას. რამიშვილმა და თავის

საეტაპო მონოგრაფიაში „სასანური გემები საქართველოში“ (1979) წარმოაჩინა მათი ღრმა კვლევა და თანდართული ძალზე შთამბეჭდავი კატალოგი.

ჩვენს მოხსენებაში განხილული იქნება გამოცემული და გამოუცემელი სასანური გლიპტიკის შემდეგი ძირითადი ნიმუშები: მამაკაცთა პორტრეტები, რომლებიც გამოსახულია ლითონის ფარაკიან საბეჭდავ-ბეჭდებზე, ინტალიოებზე, ქვის საბეჭდავებსა და თიხის ბულებზე. აგრეთვე განვიხილავთ საბეჭდავებს, რომლებზეც გამოსახულია ღვთაებები და ფანტასტიკური არსებები, გმირისა და ცხოველის ბრძოლა, ზოროასტრულ რელიგიასთან დაკავშირებული სიუჟეტები, ცხოველები, ფრინველები, სასანურ და სასანურის გავლენით შექმნილ ქრისტიანულ ბულებზე აღბეჭდილი მონოგრამა-ნეშანები და სხვ.

ჩენი მოსაზრებით, მრავალრიცხოვანი სასანური გლიპტიკური ძეგლების აღმოჩენა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ქართული ქრისტიანული სიუჟეტების ჩამოყალიბებაზე, მნიშვნელოვანი დადასტურებაა სასანური ირანსა და ქართლის სამეფოს შორის მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობისა ადრეულ შუა საუკუნეებში.

საქართველოს მუზეუმებში დაცული სასანური გლიპტიკის ძველი და ახალი კოლექციები მოითხოვს სისტემატიზაციასა და კვლევას თანამედროვე დონეზე და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისთვის მათ ფართოდ წარმოჩენას.

საკვანძო სიტყვები: *სასანური ირანი, ადრე ქრისტიანული საქართველო, ირანული გლიპტიკა.*

Ketevan Ramishvili

Simon Janashia Museum of Georgia,
Head of the Glyptic Fund
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-5510-1153
ketramishvili@yahoo.com

Helen Giunashvili

Ilia State University, Research Associate
PhD in Philosophy
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-1271-8354
elene.giunashvili@iliauni.edu.ge

Sasanian Glyptics of Georgia: Study History and Current Research Issues

Beginning from the remote past, Georgia had established close contacts with Near Eastern states, among them Iran. The direct neighborhood with Iran was of great importance for Georgia's political and cultural history.

These relationships were further strengthened at this time by the Sassanian Empire (224-651 CE), from which strong cultural currents emerged during the formation of Georgia's Christian culture.

Among rich archaeological findings in Georgia, rare examples of Sasanian silverware, seals and coins are distinguished already from the Early Sasanian period.

Most of the valuable Sasanian artifacts found in Georgia are excellent gems. They first started to enter the East Georgian kingdom (Kartli) in the 4th century. Due to

the beginning of intensive trade with Sasanian Iran and the gradual strengthening of Iran's political positions in the South Caucasus, followed by the dissolution of the Kartli kingdom in 532, the widespread use of Sasanian gemstones began in the second half of the 5th century and continued in the 6th to 7th centuries AD.

Numerous Sasanian glyptic monuments discovered in Georgia are presented in various collections of the Georgian National Museum (in the Great Mtskheta Archaeological Museum-Reserve, in the Dzalisa Archaeological Museum-Reserve, in the Simon Janashia Museum of Georgia, in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts and the History Museum of Tbilisi). The majority of these glyptic artifacts are stored in the Glyptic Fund of the S. Janashia Museum, in total there are more than 150 units.

Most of them were discovered during archaeological excavations, some were revealed by chance and some are probably local imitations, namely bronze seals and glass molds. Several seals are still unedited.

Georgian and foreign scholars (M. Lortkipanidze, K. I. Ramishvili, M. Tsotselia, A. Zakharov M. Maksimova, A. Borisov, V. Lukonin, Ph. Gignoux, P. Gołyźniak) have contributed to research on Sasanian glyptic objects discovered in Georgia.

Renowned Georgian archaeologist K. I. Ramishvili conducted a systematic study of the Sasanian glyptic monuments discovered in Georgia. She presented the results of her extensive research in her important work “Sasanian Gems in Georgia” (1979) and included a comprehensive catalog with 120 examples.

Almost all of the forms and themes prevalent in the glyptic of Sasanian Iran can be seen on the glyptic monuments in Georgia.

We will talk about the portraits of males on clay bullae, intaglios, metal shield rings, and stone seals. Seals with images of deities, fantastic creatures, animal and hero wars, Zoroastrian themes, animals, and birds, as well as monograms on Sassanid and Christian bullae with Sassanid influences, are also considered. Both edited and unedited glyptic art samples are presented.

In our opinion, the discovery of numerous Sasanian glyptic monuments, which greatly influenced the emergence of Georgian Christian art subjects, is an important confirmation of the close political, cultural and economic ties between Sasanian Iran and the Kingdom of Kartli in the early Middle Ages.

The modern level of research on both old and new collections of Sassanid glyptics from Georgia inevitably requires their new systematization and study to demonstrate their originality and significance for the scientific world at large.

Keywords: *Sasanian Iran, early Christian Georgia, Iranian glyptics.*

ნესტან რატიანი

ფილოლოგიის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ამერიკულ-ქართული ინიციატივა ლიბერალური განათლებისთვის
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-0851-6867
nestan.ratiani@iliauni.edu.ge

დაღვარკნილი, გალურსული და ჩახარშული გველი (გურამ ოდიშარიას რომანის – „სოხუმში დაბრუნება“ მიხედვით)

გურამ ოდიშარია რომანში „სოხუმში დაბრუნება“ სამ სხვადასხვა კონტექსტში გამოკვეთს გველის ნეგატიურ სახეს.

1. კონკრეტული სიტყვები წარმოთქმისას/წაკითხვისას ადამიანების გონებაში გარკვეულ ხატებს ქმნიან. უმეტესწილად, ეს ხატები სიტყვის შინაარსიდან გამომდინარეობს და მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომაც, ილუსტრატორები ნახატების შექმნისას უნივერსალურ ენას მიმართავენ. საქმე რთულდება, როდესაც გონებაში წარმოქმნილ ხატებს სიტყვის ფონეტიკური მხარე განაპირობებს, რადგან ბგერების წარმოთქმისას გაჩენილი ასოციაციები, შესაძლოა, მერყეობდეს ერთი ადამიანიდან მეორეზე. სიტყვები „იარაღი“, „ომი“, „რევოლუცია“, „კუბო“ ზემოაღწერილ არცერთ ჩარჩოში არ ჯდება, როდესაც გურამ ოდიშარია მათზე ამბობს, გველივით იღვარკნებიანო. ამ შემთხვევაში საქმე სიტყვა „გველის“ ბიბლიურ, რელიგიურ-კულტურულ ბიოგრაფიასთან გვაქვს. სამივე აბრაამული რელიგიის მიმდევართათვის გველი დამნაშავეა სიკვდილის გაჩენაში. ამიტომაც სიკვდილთან დაკავშირებული სიტყვებიც ამ წარწყმედილ არსებას უნდა შედარდეს;

2. გველი ნაწარმოების ერთ-ერთი ეპიზოდის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო „პერსონაჟია“. ის შესრიალდება ეზოში, მაგრამ მის მოკვლას აფხაზი ბებია არავის არ დაანებებს. გველი ბებიის სიტყვებზე „გაილურსება, თითქოს ბებიის სიტყვებს ისმენსო და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძობს გზას, დატოვებს ეზოს“. თუკი მკითხველი აღადგენს ტექსტის გამოტოვებულ, დაუწერელ, ართქმულ სიტყვებს, ის აუცილებლად მიხვდება, რომ გველი შორს არ წავიდოდა და სადღაც ბალახში გაირინდებოდა, უკეთესი დროის – უდანაშაულო ადამიანების დაგესვლის მოლოდინში გაყურსული. უდანაშაულო ადამიანები. თუკი ამ აღდგენილ ნაწილს გავაერთიანებთ სიტყვა „გაილურსება“-თან, რომელიც წააგავს სიტყვა „გარუსება“-ს, აუცილებლად ამოვიცნობთ გველის სახის უკან დაფარულ სიმბოლოს;

3. მწერალი ნაწარმოების თავებს ასათაურებს. ერთ მათგანს „ყვავის საყდარს“ არქმევს და უცნაურ ლეგენდას მოგვითხრობს. ლეგენდის თანახმად, კერძისთვის განკუთვნილ ქვაბში გველი ჩაიხარშა და რომ არა ყვავის თავგანწირვა, ადამიანები სასიკვდილო ულუფას შეეწირებოდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში ჩაწერილ ამ ლეგენდას მეტად უცნაური ამბავი მოსდევს – იმავე დღეს ქალი მეტროს მატარებელს ჩაუვარდება და თავს იკლავს. გურამ ოდიშარია ცდილობს, ყვავისა და მგზავრის თვითმკვლელობა ღიად დატოვებულ კითხვაზე პასუხის ძიების შემდეგ მკითხველმა დაუკავშიროს ერთმანეთს.

მოხსენებაში, გველის მხატვრულ სახეზე არსებული სამეცნიერო კვლევებისა და ზემოთ ჩამოთვლილი სამი კონტექსტის გათვალისწინებით, პასუხია გაცემული გურამ ოდიშარიას მიერ შემოთავაზებულ შეკითხვაზე. პასუხმა ნაწარმოებიდან ამოკრეფილი არაერთი სხვა საინტერესო დეტალის წინ წამოწევით, მათი თავმოყრითა და თანმიმდევრული ანალიზით ნათელი უნდა მოჰფინოს მწერლის მიერ არაერთგზის სხვადასხვა საშუალებით რომანში გამოთქმულ პოზიციას გასულ საუკუნეში განვითარებული აფხაზურ-ქართულ-რუსული კომპლექსური ურთიერთობების შესახებ. ამ ურთიერთობების ფესვები არა საუკუნეების წინ აღმოცენებულ აფხაზურ-ქართულ კავშირებშია, არამედ დასაბამს მეცხრამეტე საუკუნიდან, რეგიონში რუსეთის გამოჩენიდან იღებს და კულმინაციას ტრაგიკულ ომში აღწევს. ეს მნიშვნელოვანი საკითხი საკვანძოა როგორც რომანის გასაგებად, ასევე თემატიკით დაინტერესებული ქართველი თუ არაქართველი მკითხველისთვის.

საკვანძო სიტყვები: *გურამ ოდიშარია, „სოხუმში დაბრუნება“, აფხაზურ-ქართული კავშირები.*

Nestan Ratiani

PhD in Philology
Ilia State University
American-Georgian Initiative for Liberal Education
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-0851-6867

The Twisted, Coiled, and Boiled Snake (Based on Guram Odisharia's novel "Return to Sokhumi")

In "Return to Sokhumi," Guram Odisharia highlights the negative image of the snake in three different contexts.

1. When spoken/read, specific words create certain images in people's minds. Mostly, these images stem from the word's meaning and more or less coincide with one another. That's why illustrators use a universal language when creating drawings. The matter becomes more complex when the phonetic aspect of the word determines the images formed in the mind, as associations arising from the pronunciation of sounds may vary from one person to another. The words "weapon," "war," "revolution," "coffin" don't fit into any of the above-described frameworks when Guram Odisharia says they twist like snakes. In this case, we're dealing with the biblical, religious-cultural biography of the word "snake." For followers of all three

Abrahamic religions, the snake is guilty of causing death. Therefore, words associated with death should be compared to this damned creature.

2. The snake is a seemingly insignificant "character" in one of the episodes of the novel. It slithers into the yard, but the Abkhazian grandmother won't let anyone kill it. The snake "coils up" at the grandmother's words, "as if listening to her words, and after a while continues on its way, leaving the yard." If the reader reconstructs the omitted, unwritten, unspoken words of the text, they will surely understand that the snake wouldn't go far and would freeze somewhere in the grass, coiled up waiting for a better time - to ambush innocent people. Innocent people. If we combine this reconstructed part with the word "coils up," which resembles the word "Russification" [in Georgian language: “gailurseba” and “garuseba”], we will surely recognize the symbol hidden behind the image of the snake.

3. The writer titles the chapters of the work. He calls one of them "The Crow's Church" and tells us a strange legend. According to the legend, a snake was boiled in a pot intended for food, and if not for the crow's sacrifice, people would have fallen victim to a deadly portion. This legend, recorded in the nineteenth century, is followed by a very strange story – on the same day, a woman jumps under a metro train and commits suicide. Guram Odisharia tries to make the reader connect the suicide of the crow and the passenger after searching for an answer to an openly left question.

Based on the existing scientific research on the artistic image of the snake and the three contexts listed above, the presentation answers the question proposed by Guram Odisharia. The answer should shed light on the position expressed by the writer multiple times in the novel about the complex Abkhazian-Georgian-Russian relationships that developed in the past century, by bringing forward many other interesting details collected from the work, gathering them, and analyzing them sequentially. The roots of these relationships are not in the Abkhazian-Georgian connections that emerged centuries ago, but rather originate from the nineteenth century, from Russia's appearance in the region, and culminate in the tragic war. This important issue is key both for understanding the novel as well as for Georgian or non-Georgian readers interested in the topic.

Keywords: *Guram Odisharia, Return Sokhumi, Abkhazian-Georgian connect.*

მანანა სანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
დირექტორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0000-4798-9758
msanadze@ug.edu.ge

ანდრო გოგოლაძე

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0009-0543-5608
a.gogoladze@ug.edu.ge

ქართლის ცხოვრების აპოკრიფის „შიშუელმართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათჳს“ გეოგრაფიული სურათი

შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში, მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი და ხალხთა კლასიფიკაციის შემცველი ცნობები სხვადასხვა სახის თხზულებებში გვხვდება. ორიგინალური თხზულებებიდან აღსანიშნავია მარიამისეული *ქართლის ცხოვრება*, სადაც ჩვენი ქვეყნის ისტორიას წინ უძღვის ორი აპოკრიფული თხზულება: „თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა...“. ცნობილი მეცნიერებაში, როგორც „განძთა ქვაბი“ და მეორე – ბასილ დიდის სახელით დაწერილი მცირე მოცულობის ტექსტი: „წმიდისა და ღ~თივ განბრძობილისა დიდისა ბასილისი თხრობა. ევევლოს მიმართ მოძღურისა თუისისა შიშუელმართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათუის აღმოსავლითგან ვიდრე დასავლეთამდე“ (ხელნაწერი S-30).

მსოფლიო ისტორიის წინწამძღვარების ტრადიცია რომ არსებობდა *ქართლის ცხოვრებაში,* ამას მიუთითებს, მოგვიანებით, არჩილისეულ, ჭალაშვილისეულ და მაჩაბლისეულ *ქართლის ცხოვრებაში* დაცული ამ ტიპის შემცველი თხულებების არსებობა. ჩვენი აზრით, ეს ძველი *ქართლის ცხოვრებაში* დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებაა და ეს აპოკრიფები თავიდანვე იქნა შეტანილი ლეონტი მროველის მიერ, როგორც *ქართლის ცხოვრების* შესავალი – მსოფლიო ისტორიისა და გეოგრაფიისა.

ჩვენი მოხსენების მთავარი მიზანია, გავაანალიზოთ მეორე აპოკრიფში („შიშუელ მართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათჳს“) დაცული ინფორმაციები სამყაროს გეოგრაფიული სურათის შესახებ, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა ცოდნას ფლობდნენ შუა საუკუნეების ქართულ ინტელექტუალურ საზოგადოებაში გარემომცველი სამყაროს შესახებ. ამ აპოკრიფის საფუძველი არის IV საუკუნის

უცნობი ავტორის მიერ 350-362 წლებში შედგენილი „Expositio totius mundi et gentium“ (ქვეყნიერების და ხალხთა აღწერა). ბერძნული ორიგინალი დაკარგულია, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია VI საუკუნეში ორმა ლათინურად თარგმნილი ტექსტის გვიანდელმა რედაქციამ. რაც შეეხება მის ქართულ თარგმანს, ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, ქართული ვერსია უნდა შესრულებულიყო IX-XI საუკუნეებში.

ამ აპოკრიფზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ავტორს განზრახული ჰქონდა მოეცა მკითხველთათვის მსოფლიო გეოგრაფიის სურათი სამყაროს უკიდურესი აღმოსავლეთიდან („შიშუელ-მართალთა საცხოვრისიდან“ – სამოთხიდან) უკიდურესი დასავლეთის („ღალიის“ – გალიის) საზღვრებამდე. თხზულება ბუნებრივად იყოფა ოთხ არათანაბარ ნაწილად, მაგრამ თითოეული კონკრეტულ თემას ეხება. პირველი, ეს არის ედემის აღწერა. მეორე, მისი გეოგრაფიული ნაწილი – მანძილების შეჯამება (სივრცის საზომი) ხალხთა და ქვეყნების კატალოგთან ერთად, შორეული აღმოსავლეთიდან ჰერკულესის სვეტებამდე. მესამე ნაწილი ეს არის „შიშუელ-მართალი“ – ხალხის წარმოშობის თეორიის ახსნა. ყველაფერი კი მთავრდება მოკლე ცნობით სამონასტრო ცხოვრების საწყისებზე. ეს არის ქრისტიანული გეოგრაფიის ის უძველესი სურათი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

მოხსენებაში, ამ აპოკრიფში მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების, ადგილების ლოკაციების, ქვეყნებს და პუნქტებს შორის მანძილ-საზომების განმარტებების გარდა, მოცემული გვაქვს შედარებითი ანალიზი, სხვა თხზულებებში დაცულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მასალებთან. ეს ეხება, როგორც ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებს, ასევე ევროპულ და აღმოსავლურ ნარატივებს და კარტოგრაფიულ მემკვიდრეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შემოგვრჩენია შუა საუკუნეების ქართული კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, ეს აპოკრიფი ნათლად მიუთითებს, რომ იმ დროის ქართული ინტელექტუალური საზოგადოების თვალსაწიერი გარემომცველი სამყაროს შესახებ საკმაოდ ფართო იყო.

საკვანძო სიტყვები: *„შიშუელმართალთათვს და ქუეყნისა საზომისათვს“, აპოკრიფული თხზულებები, ქართლის ცხოვრება.*

Manana Sanadze

Doctor of Historical Sciences
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Director
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0000-4798-9758
msanadze@ug.edu.ge

Andro Gogoladze

PhD in History
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Senior Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-0543-5608
a.gogoladze@ug.edu.ge

Apocryphal writings in *Life of Kartli*: *History of Gymnosophists* and Geographical Image of the World

In the Georgian writings from the Middle Ages, the Historical Geographical knowledge and classification of people is found in various literary sources. Among the original literary sources, it is worth mentioning that In the 17th century by the Order of Queen Mariam the *Life of Kartli* was renewed. In this version of *Life of Kartli,* the history of our country proceeded with two apocryphal writings: „Apocryphal writings in *Life of Kartli* – *History of Gymnosophists* and Geographical Image of the World".

In the other copies of Life of Kartli, there existed a tradition of having an opening text about world history. This tradition gives us information on what the Georgian society knew about the geography of the world during the Middle Ages. Due to the evidence, we think that this tradition existed since the beginning of *Life of Kartli* and Leonti Mroveli wrote this apocrypha in the *Life of Kartli* as an introduction. With this Leonti Mroveli added History of the world and Geography as an introduction to the history of his own country.

The basis of this apocrypha is "Expositio totius mundi et gentium" compiled by an unknown author of the 4th century in 350-362. The original Greek writing has been lost as today we only have a Latin translation and according to scientists, the Georgian translation must have been made in the IX-XI centuries. The purpose of the author of this apocrypha was to convey a geographical description of the world from the eastern "Eden" to the western borders of Gaul and Pyrenees.

In This essay, other than historical-geographical toponyms mentioned in this Apocrypha, and definitions of distance measurements between countries and different locations, we also have a comparative analysis of other historical-geographical works. These comparative analyses are connected to European and Eastern writings and cartographical works. Even though we do not have any Georgian cartographical works from the Middle Ages. This Apocrypha points to the fact that Georgian intellectual society had a good knowledge of the world's Geographical image.

Keywords: *Apocryphal writings, Life of Kartli, Geographical Image of the World*.

მარი სიმონიშვილი

ფილოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/:0000-0003-4866-8870
marisimonishvili13@gmal.com

გივი მარგველაშვილის „მუცალი“ – პოსტმოდერნული გააზრებისთვის

გივი მარგველაშვილი ცნობილი გერმანულენოვანი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსია. დაიბადა ბერლინში, ტიტე მარგველაშვილისა და მარიამ ხეჩინაშვილის ოჯახში. „იგი გვევლინება იმ შემთხვევის განსახიერებად, როდესაც შვილის ბედისწერა მამისეულმა ბედისწერამ თუ არჩევანმა განსაზღვრა“ (მარგველაშვილი, 2018, გვ. 213). 1945 წელს მამა-შვილი მოტყუებით წაიყვანეს ბერლინის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. ტიტე მარგველაშვილი მალევე დახვრიტეს, გივის კი ჯერ ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი, მოგვიანებით კი თბილისში ნათესავებთან ჩამოიყვანეს.

გივი მარგველაშვილი წერას 1961 წლიდან იწყებს. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰაიდეგერისა და ჰუსერლის ფილოსოფიამ. ცნობიერების ნაკადის თეორია ავტორს საშუალებას აძლევს, გამადიდებელი შუშით დააკვირდეს ადამიანის ცნობიერებას და ობიექტურად გააანალიზოს იგი. გ. მარგველაშვილის პროზა თავისებურ ქსელურ სისტემას ქმნის სხვა მწერლების შემოქმედებასთან და სრულ შესაბამისობას წარმოადგენს. რაზეც ის წერს, აქტუალურია ყველა დროში და თითქოს წინასწარ განჭვრეტილია.

გივი მარგველაშვილმა ფილოსოფიისა და ლიტერატურის ბრწყინვალე კომბინაცია შექმნა. მის წიგნებში არსებითად სხვა სიუჟეტი ვითარდება, არა ის, რაც ავტორმა ინება, არამედ ის, რაც თავისუფალია ყოველგვარი განპირობებულობებისაგან. მწერალს სძულს დიქტატურის ნებისმიერი ფორმით გამოვლინება, რადგან საკუთარ თავზე იწვნია რეჟიმების მთელი სიმძიმე. მისთვის კონკრეტული სიუჟეტი დიქტატურაა, ამიტომ მისი იდეაა, წიგნის დახურვის შემდეგ პერსონაჟები სხვაგვარად მოიქცნენ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გივი მარგველაშვილის „მუცალის“ განხილვის საფუძველზე წარმოვადგინოთ ის პოსტმოდერნისტული ტენდენციები, რომლებიც აჩენენ ეპოქისა და ხელოვნების ურთიერთზეგავლენის საინტერესო პლასტებს.

გივი მარგველაშვილის „მუცალი“ იძლევა საშუალებას, გადამერს თუ დავესესხებით (ყულიჯანიშვილი, 2006, 312), უფრო ღრმად შევიდეთ წიგნისმიერ რეალობაში, უფრო მივუახლოვდეთ დამალულ ჭეშმარიტებას, რათა კოდები მოვხსნათ იმ ქმნილებას, რომელიც თავისთავში ატარებს ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას.

საკვანძო სიტყვები: *გივი მარგველაშვილი, „მუცალი“, დიქტატურა, პოსტმოდერნიზმი.*

Mari Simonishvili

Master of Philology, PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0003-4866-8870
marisimonishvili@gmail.com

Postmodern Perspectives on Givi Margvelashvili's "Mutsali"

Givi Margvelashvili is a famous German-speaking Georgian writer and philosopher. He was born in Berlin, in the family of Tite Margvelashvili and Mariam Khechinashvili. "He appears to us as the embodiment of the case when the fate of the son was determined by the fate or choice of the father (Margvelashvili, 2018, 213)." In 1945, father and son were taken to the Soviet occupation zone of Berlin. Tite Margvelashvili was shot soon after, while Givi was first shot in Sachsenhausen concentration camp, and later brought to Tbilisi with his relatives.

Givi Margvelashvili has been writing since 1961. He was greatly impressed by the philosophy of Heidegger and Husserl. The theory of stream of consciousness allows the author to observe human consciousness through a magnifying glass and objectively analyze it. G. Margvelashvili's prose creates a unique network system with the works of other writers and is in full compliance. What he writes about is relevant at all times and seems to be foreseen.

Givi Margvelashvili created a brilliant combination of philosophy and literature. In his books, an essentially different plot develops, not the one that the author wants, but the one that is free from any conditions. The writer hates the manifestation of dictatorship in any form because he bears all the weight of the regime on himself. For him, a specific plot is a dictatorship, so his idea is that the characters behave differently after the book is closed.

The paper aims to present the postmodernist trends that reveal interesting patches of the mutual influence of the era and art, based on the discussion of Givi Margvelashvili's "Mutsali".

Givi Margvelashvili's "Mutsali" invites us, borrowing from Gadamer (Kulijanishvili, 2006, 312), to delve deeper into the essence of the work and to uncover its hidden truths. This exploration allows us to decode the layers of meaning within the text, revealing the information that is most relevant to our interests.

Keywords: *Givi Margvelashvili, "Mutsali", dictatorship, postmodernism.*

ჰაიატე სოტომე

ფილოლოგიის დოქტორი
ცუკუბას უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
ცუკუბა, იაპონია
https://orcid.org/0009-0009-4534-2032
h.soutome@gmail.com

ფსიქოლოგიური ტრავმა და სტრესული აშლილობა აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“

აკა მორჩილაძის რომანი „მოგზაურობა ყარაბაღში“ პოსტსაბჭოთა პერიოდის კავკასიის რეალობას ასახავს. რომანში პირველი პირით მოთხრობილია პროტაგონისტი გია მიქატაძის ომის განცდა და ფსიქოლოგია. მოხსენების მიზანია, რომანი ტრავმული ლიტერატურის კვლევის კონტექსტში წავიკითხოთ.

რომანის პროტაგონისტი ბავშვობის მეგობარ გიგლიკოსთან ერთად ნარკოტიკების შესაძენად აზერბაიჯანში, განჯაში მიემგზავრება. თუმცა ღამის სიბნელეში გზა აერევა და შემთხვევით ყარაბაღში აღმოჩნდება, სადაც ე. წ. ყარაბაღის ომი მიმდინარეობს. ყარაბაღში ჯერ აზერბაიჯანის ჯარი დაატყვევებს, მერე სომხური ჯარი აზერბაიჯანის ჯარს თავს დაესხმის და გიაც სხვა სომეხ ტყვეებთან ერთად ტყვეობას თავს დააღწევს. გიას ეგონა, რომ გათავისუფლებულია, თუმცა მერე მიხვდა, რომ სინამდვილეში ისევ დატყვებებულია, ოღონდ ამჯერად სომხური ჯარის მიერ. ტყვეობიდან გაქცევა დააპირა, აზერბაიჯანელ ტყვესთან ერთად ყარაბაღიდან გაიქცა და თბილისში დაბრუნება მოახერხა. თუმცა, შინ დაბრუნებული სუსტად გრძნობს თავს და საწოლში წევს, ოჯახსა და მეგობრებთან საუბარი არ უნდა და ხმასაც არ (ვერ) ამოიღებს.

ყარაბაღში „მოგზაურობის“ პროცესში პროტაგონისტი რანდენჯერმე კრიტიკულ ბრძოლას განიცდის. ფსიქიატრიის დარგში ფსიქოლოგიურ ზიანს, რომელიც ვლინდება ისეთი გადაულახავი ფსიქოლოგიური ტრავმული მოვლენის განცდის შემდეგ, როგორიც არის ომი, სექსუალური ძალადობა, ავარია, სტიქია, უწოდებენ მწვავე სტრესულ აშლილობას (ASD: Acute Stress Disorder) და პოსტტრავმულ სტრესული აშლილობას (PTSD: Post-Traumatic Stress Disorder) უწოდებენ. ASD-ისა და PTSD-ის სიმპტომებად ითვლება: მოვლენების მეხსიერების დაბრუნება, მოვლენების დასიზმრება, პოზიტიური გრძნობის უქონლობა, რეალობის აღიქმების ცვლილება, არიდება ობიექტისგან, რომელიც მოვლენებს აგონებს, უძილობა, კონცენტრაციის დაკარგვა და ა. შ. ASD-ის შემთხვევაში ტრავმული მოვლენებიდან ერთ თვეში სიმპტომები მსუბუქდება, ხოლო, თუ ერთ თვეზე მეტად სიმპტომები გრძელდება, მაშინ PTSD-ზე გადადის. ჩვენ არ ვიცით, აქვს თუ არა ერთ თვეზე მეტად სიმპტომები რომანის პროტაგონისტს, თუმცა ყოველ შემთხვევაში ASD-ის ან PTSD-ის ტიპიკური სიმპტომებს აჩვენებს. ყარაბაღში ომის უშუალო განცდა დიდ ზეგავლენას ახდენს პროტაგონისტის ფსიქოლოგიაზე და, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, რომანის ავტორი პოსტ-საბჭოთა არეულ პერიოდში გამოვლენილ ადამიანის ფსიქოლოგიას მოხერხებულად აღწერს. აშშ-ში PTSD-ის სიმპტომებს დიდი

ყურადღება მიიპყრო მაშინ, როცა ვიეტნამის ომში ნაომარ ბევრ ვეტერანებს ზემოხსენებული სიმპტომები გამოევლინა.

ამდენად, ფსიქოლოგიურ ტრავმული ლიტერატურისა და მისი კვლევის კონტექსტში პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურაც დიდ ადგილს იკავებს.

საკვანძო სიტყვები: *აკა მორჩილაძე, „მოგზაურობა ყარაბაღში“, ფსიქოლოგიური ტრავმა, სტრესული აშლილობა, პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა.*

Hayate Sotome

PhD in Philology
University of Tsukuba
Associate Professor
Tsukuba, JAPAN
https://orcid.org/0009-0009-4534-2032
h.soutome@gmail.com

Psychological Trauma and Stress Disorders in Aka Morchiladze's Journey to Karabakh

Aka Morchiladze's novel *Journey to Karabakh* reflects the chaotic reality of the post-Soviet Caucasus. The novel is narrated in the first person and portrays the protagonist Gia Mikadze's experience and psychology during the war. The goal of this presentation is to read the novel within the context of trauma literature studies.

The protagonist embarks on a trip to Ganja, Azerbaijan, with his childhood friend Gigliko to purchase drugs. However, in the darkness of the night, they lose their way and accidentally end up in Karabakh, where the so-called Karabakh war is taking place. In Karabakh, Gia is first captured by the Azerbaijani army, but then the Armenian army attacks, and Gia, along with other Armenian prisoners, is freed from captivity. He thought he had been liberated but soon realized he was still a prisoner, this time of the Armenian army. Gia attempts to escape and, along with an Azerbaijani prisoner, manages to flee Karabakh and return to Tbilisi. However, once back home, he feels weak, lies in bed, and avoids talking to his family and friends, remaining silent (or unable to speak).

During his "journey" to Karabakh, the protagonist experiences several critical battles. In psychiatry, psychological damage resulting from traumatic events such as war, sexual violence, accidents, or natural disasters is referred to as ASD (Acute Stress Disorder) and PTSD (Post-Traumatic Stress Disorder). Symptoms of ASD and PTSD include flashbacks of the event, nightmares, loss of positive feelings, altered

perception of reality, avoidance of objects that trigger memories of the event, insomnia, loss of concentration, and more. In the case of ASD, symptoms generally subside within a month after the traumatic event, while if symptoms persist beyond a month, it develops into PTSD. We do not know whether the protagonist of the novel experiences symptoms for more than a month, but he displays typical symptoms of ASD or PTSD. The direct experience of war in Karabakh has a profound impact on the protagonist's psychology, and in other words, the author skillfully depicts the psychological state of a person in the chaotic post-Soviet period. In the United States, the symptoms of PTSD drew significant attention after many Vietnam War veterans exhibited these symptoms. Therefore, within the context of psychological trauma literature and its study, post-Soviet Georgian literature occupies a significant place.

Keywords: *Aka Morchiladze, Journey to Karabakh, psychological trauma, stress disorder.*

ნათია სურმანიძე

ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
მეცნიერი თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-2116-6571
n.surmanidze@ug.edu.ge

ქეთი ცხადაძე

ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-1051-5168
k.tskhadadze@ug.edu.ge

რევაზ ლაზარიაშვილი

დოქტორანტი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-1810-5633
r.lazariashvili@ug.edu.ge

ტრანსფორმაციული ლიდერობის როლი და გამოწვევები საკვანძო ორგანიზაციულ დისციპლინებში 21-ე საუკუნის სამუშაო გარემოში

მე-20 საუკუნესთან შედარებით, საგრძნობლად შეიცვალა 21-ე საუკუნის შრომითი გარემო. თანამედროვე სამუშაო სივრცისთვის უკვე დამახასიათებელი გახდა გამუდმებული ცვლილება, რომელიც შესაძლებელია ეხებოდეს ტექნოლოგიურ განვითარებას, ქვეყნის გარშემო არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობას, კონკურენტების რაოდენობასა და მათ ყოველდღიურ ნაბიჯებს, ახალი პროდუქტების და მომსახურებების შექმნას ან არსებულის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებას და ასე შემდეგ.

იმისათვის, რომ თავი გაართვან დაუგეგმავი და ხშირად უკონტროლო ცვლილებებისგან გამოწვეულ კომპლექსურ სიტუაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს აუცილებლად ესაჭიროებათ ისეთი თანამშრომლები, რომლებიც მოკლე დროში ეგუებიან რთულ გარემო პირობებს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მოიცავს პრობლემური საკითხის სხვადასხვა მხრიდან შეფასებასა და ანალიზს, სირთულის დამძლევი ეფექტური ალტერნატივების შემუშავებას და დროულ განხორციელებას. როგორც წესი, ბიზნეს სუბიექტებში ხსენებული შეგუების ციკლებში ჩართულნი არიან გუნდები, რომლის წევრებიც ინაწილებენ პასუხისმგებლობებს და ერთობლივი ძალებით ისწრაფვიან ბიზნესის წამატებული სვლის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებისკენ.

იმისათვის, რომ დასაქმებულმა ბიზნესის ყოველდღიურ საქმიანობას სრულფასოვნად გაართვას თავი, პირველ რიგში, მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული დამსაქმებელი კომპანიის ფასეულობები და გრძელვადიანი ხედვა. მეორე მხრივ, თანამშრომელს უნდა გააჩნდეს გაზრდილი თვით მოტივიციის და თავდაჯერებულობის შეგრძნება, რათა კრიტიკულ დროს მოახდინოს საკუთარი სამუშაო გამოცდილებისა და უნარების რეალიზაცია და მაქსიმალურად დაეხმაროს გუნდის წევრებს კომპანიის საერთო მიზნების შესრულების პროცესში.

თანამედროვე მჭიდრო კონკურენტული სამუშაო გარემოს ფარგლებში, სადაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს ცვლილებები, კომპანიებს წარმატების მისაღწევად აუცილებლად ესაჭიროებათ დასაქმებული პირების საქმის შესრულების მიმართ არსებული მოტივაციის გაზრდა და მათი სამუშაო პოტენციალის მაქსიმალური ათვისება. ამ მიზნით მისაღწევად თანამშრომლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული და გათავისებული ის გრძელვადიანი პერსპექტივები და სტრატეგიული ხედვა, რაც ბიზნეს სუბიექტს გააჩნია და ისინი მომავალი სამიზნე წერტილის მიახლოებისთვის ყოველდღიურად უნდა იბრძოდნენ.

კომპანიის სტრატეგიული მიზნებისა და დასაქმებულების კარიერული მისწრაფებების თანხვედრის მიღწევას უზრუნველყოფს ტრანსფორმაციული ლიდერი. გამორჩეული პიროვნული თვისებები, გუნდურობა და სამუშაო გამოცდილება საშუალებას აძლევს ტრანსფორმაციულ ლიდერს შთააგონოს მიმდევრები, რომ საერთო ძალისხმევით მათ შეუძლიათ გაცილების მეტის მიღწევა სამუშაო სივრცეში ვიდრე ეს პერსონალური ინტერესების დაკმაყოფილებაა.

დასაქმებულთა სამუშაო მოტივაციის საგრძნობი ზრდა მიიღწევა ტრანსფორმაციული ლიდერობის ოთხი მთავარი მიმართულების მუდმივი თანამონაცვლეობით. ეს განზომილებებია: იდეალიზებული გავლენა, ინსპირაციული მოტივაცია, ინტელექტუალური სტიმულირება და ინდივიდუალური განხილვა.

ტრანსფორმაციული ლიდერობის უპირატესობები არ შემოიფარგლება მხოლოდ დასაქმებულთა მოტივაციის წახალისებით. ლიდერის ამ ტიპს საგრძნობი დადებითი ზეგავლენა აქვს შემდგომ ორგანიზაციულ დისციპლინებზე: ორგანიზაციულ სწავლებაზე, გუნდის რეფლექსურობაზე, ორგანიზაციულ ცვლილებაზე, სამსახურეობრივი კმაყოფილებასა და გაძლიერებაზე.

ნაშრომის მიზანია ტრანსოფმაციული ლიდერობის როლისა და გამოწვევების შესწავლა და გაანალიზება ორგანიზაციულ დისციპლინებზე: ორგანიზაციული სწავლება, გუნდის რეფლექსურობა, ორგანიზაციული ცვლილება, სამსახურეობრივი კმაყოფილება და გაძლიერება.

ნაშრომი იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდს, ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით, რომლის რესპონდენტებს წარმოადგენენ თანამედროვე ქართულ ბაზარზე მოქმედი დარგის ერთ-ერთი ლიდერი კომპანიები, წარმოების და საცალო ვაჭრობის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსფორმაციული ლიდერობა; ადამიანური კაპიტალი; ორგანიზაციული დინამიკა.*

Natia Surmanidze

PhD in Economics
The University of Georgia
Research Fellow, Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-2116-6571
n.surmanidze@ug.edu.ge

Keti Tskhadadze

PhD in Economics
The University of Georgia
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-1051-5168
k.tskhadadze@ug.edu.ge

Revaz Lazariashvili

PhD Student
The University of Georgia
https://orcid.org/0009-0004-1810-5633
r.lazariashvili@ug.edu.ge

The Role and Challenges of Transformational Leadership in Key Organizational Disciplines in the 21st Century Working Environment

The working environment of the 21st century has changed significantly compared to the 20th century. Constant change has already become characteristic of the modern workspace, which can be related to technological development, political and economic realities around the country, the number of competitors and their daily moves, the creation of new products and services, or the improvement of existing ones, changes in consumer behavior, and so on.

In order to deal with complex situations caused by unplanned and often uncontrollable changes, business representatives need employees who can adapt to challenging environmental conditions in a short time. On the other hand, the latter includes evaluating and analyzing the problematic issue from different sides, developing effective alternatives to overcome the difficulty, and their timely implementation. As a rule, the mentioned adjustment cycles in business entities

involve teams whose members share responsibilities and work together to maintain and improve the successful course of the business.

In order for an employee to fully handle the daily activities of the business, first of all, he should be well aware of the values and long-term vision of the employing company. On the other hand, the employee should have an increased sense of self-motivation and self-confidence to realize his work experience and skills at a critical time and help team members as much as possible in fulfilling the company's common goals.

In today's highly competitive work environment, where changes are constantly taking place, companies need to increase employees' motivation to perform their work and maximize their work potential to succeed. To achieve this goal, employees must have a good understanding and grasp of the business entity's long-term perspectives and strategic vision, and they must strive daily to reach the future target point.

Transformational leadership, a crucial element in the 21st-century working environment, ensures the alignment of the company's strategic goals and the career aspirations of employees. With outstanding personal qualities, teamwork, and work experience, a transformational leader inspires followers that with joint efforts they can achieve more in the workplace than the satisfaction of personal interests.

The constant rotation of the four main directions of transformational leadership significantly increases employees' work motivation. These dimensions are idealized influence, inspirational motivation, intellectual stimulation, and individual consideration.

The benefits of transformational leadership are far-reaching, extending beyond encouraging employee motivation. This type of leader has significant positive effects on various organizational disciplines, fostering organizational learning, team reflexivity, organizational change, job satisfaction, and empowerment.

The primary aim of this paper is to provide a comprehensive study and analysis of the role and challenges of transformational leadership in key organizational disciplines: organizational learning, team reflexivity, organizational change, job satisfaction, and empowerment.

The paper uses qualitative research in the form of an in-depth interview. The respondents are one of the leading companies operating in the modern Georgian market in the production and retail trade sectors.

Keywords: *Transformational leadership; Human Capital; Organizational dynamics.*

სალომე სუხიაშვილი

ფილოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-5402-1442
salomesukhiashvili@gmail.com

ტყუილის როლი და ფუნქცია ქართულ და ჩრდილოკავკასიურ საყოფიერო ზრაპრებში

ზღაპარი ფოლკლორის ის ჟანრია, რომელიც ყველაზე ხშირად იყენებს ჯადოსნურ თუ ფანტასტიკურ ელემენტებს, რათა ადამიანები დააფიქროს სხვადახვა მორალურ საკითხზე. სამივე ტიპის ზღაპარში იქნება ეს ჯადოსნური, ცხოველთა თუ საყოფიერო ყველგან გვხვდება ტყუილის მოტივი, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისი ფუნქცია და დანიშნულება აქვს. ტყუილის როლზე საუბრობდა ვ. პროპი, ვ.მილერი, ჯ.კემბელი და ა.შ. აღსანიშნია ის ფაქტი რომ ქართული საყოფიერო ზღაპრები, მართალია, იკვლია ალ.ღლონტმა, მაგრამ უშუალოდ ტყუილის როლსა და ფუნქციაზე ფუნდამენტური ნაშრომი არ არსებობს. მოხსენების მიზანია, ქართული და ჩრდილოკავკასიური საყოფიერო ზღაპრების შედარება და ამ შედარების დროს ტყუილის როლისა და ფუნქციის განსაზღვრა. რა საერთო და განმასხვავებელი მნიშვნელობა აქვს ტყუილს ამ ხალხთა ფოლკლორში. მსგავსი და განსხვავებული შემთხვევების გამოვლენა. რა შემთხვევაში იყენებენ პერსონაჟები ტყუილს. რა დანიშნულება აქვს ტყუილის თქმას. შერჩება თუ არა მატყუარას ტყუილი?

სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, იკვეთება რომ ტყუილის თქმა: ავითარებს სიუჟეტს, ახასიათებს პერსონაჟს, ქმნის კომიკურ სიტუაციას, მას აქვს მორალური დანიშნულება.

ქართულ საყოფიერო ზრაპრებში ტყუილი გვხვდება როგორც თავის გადარჩენის საშუალება, „ნაცარქექია“. ასევე ქონების მოპოვების საშუალება „ერთი მანეთის შოვნა“, საცოლის მოსაპოვებლად „სამი ტყუილი“ და ა.შ.

ჩრდილოკავკასიურ ზრაპრებში ტყუილი შეიძლება შეგვხვდეს როგორ დასჯის საშუალება, მაგ. „მოლას სასჯელი“, თუმცა ისიც შეიძლება რომ ტყუილის მეშუეობით გმირმა ქონებაც შეიძინოს.

რა თქმა უნდა, ცალკე გამოსაყოფია ქოსატყუილას პერსონაჟი, რომლისთვისაც ტყუილი ბუნების ნაწილია. ჩრდილოკავკასიურ ზღაპრებში ქოსატყუილას მსგავსია ტრიქსტერი.

ნაშრომის დაწერისას გამოყენებული იქნება შემდეგი სამეცნიერო მიდგომები: ლიტერატურის ანალიზი და შესწავლა, შედარება. მსგავსი მეთოდით შესრულებული სამუშაო საშუალებას მოგვცემს სტრუქტურულად დავალაგოთ ტყუილის თმის მოტივები და ტყუილის ეფექტი. დავინახოთ კულტურული სხვაობები და ღირებულება, რომელსაც ტყუილი სძენს ზღაპარს.

საკვანძო სიტყვები: *საყოფიერო ზრაპარი; ქართული ზღაპარი, ჩრდილოკავკასიური ზღაპარი; ტყუილი; ტყუილის როლი; ტყუილის ფუნქცია;*

Salome Sukhiashvili

PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-5402-1442
salomesukhiashvili@gmail.com

The Role and Function of Lying in Georgian and North Caucasian Everyday Fairy Tales

Fairy tales, as a genre of folklore, frequently employ magical or fantastical elements to encourage different perspectives on moral issues. Across all types of fairy tales — whether magical, animal, or real — the motif of lying is pervasive and serves specific functions and purposes. Scholars such as V. Propp, W. Miller, and J. Campbell have discussed the role of lies in fairy tales. While Georgian fairy tales have been studied by Al. Glont, there has been no comprehensive work dedicated solely to the role and function of lying within them.

The objective of this report is to compare Georgian and North Caucasian fairy tales, specifically focusing on the role and function of lying. The study aims to identify the commonalities and distinctions in the portrayal of lies in the folklore of these cultures. It will explore questions such as: In what situations do characters resort to lying? What purposes does lying serve? Is the act of lying a deliberate choice for the liar?

Drawing on the works of various scholars, it becomes evident that lying in fairy tales: advances the plot, defines characters, creates comic situations, and serves moral purposes.

In Georgian proverbs, lying appears as a means of self-preservation, as in the concept of "Natsarkhevi." It also serves as a method for acquiring wealth ("earning one rupee") or securing a bride ("three lies"), among other uses.

In North Caucasian proverbs, lying can be seen as a form of punishment, such as in the "Punishment of Mola," though it can also be a means for characters to gain property through deceit.

There is, of course, the archetype of the liar, for whom lying is intrinsic. In North Caucasian fairy tales, this trickster figure often resembles a decoy.

The following scientific approaches will be employed in writing this paper: literary analysis, comparative study, and structural analysis of the motifs of lying and its effects. This approach will help uncover the cultural differences and the significance that lies add to the narrative structure of fairy tales.

Keywords: *Satisfactory Fable; Georgian Fairy Tale; Northeast Caucasian Fairy Tale; Lie; Role of the Lie; Function of the Lie*

დათო ტაბახმელაშვილი

დოქტორანტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0001-6424-8027
Datod9120@gmail.com

1789 წელს ყარსის ბრძოლაში გარდაცვლილი ბებურიშვილების ვინაობის გარკვევისათვის

ვაჩნაძეთა ფეოდალურ გვარს განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოში ფეოდალურ საგვარეულოთა შორის. ამ გვარის წარმომადგენლები გამორჩეულად ერთგულებდნენ მეფის ხელისუფლებას, რასაც ადასტურებს ვაჩნაძე-ბებურიშვილთა მიმართ სამეფო ხელისუფალთა მიერ გაცემული დოკუმენტები (სასისხლო სიგელები თუ სხვა). სამშობლოსა და მეფის ერთგულებისა და თავდადების ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია 1789 წელს ყარსთან მომხდარი ბრძოლა. ერეკლე მეფის ბრძანებით მისი შვილიშვილი დავით ბაგრატიონი (გიორგი XII-ის ძე) გაემართა ათასი კაცით ყარსის დასალაშქრად. ლაშქრობა წარმატებული აღმოჩნდა, უამრავი ტყვე ჩაიგდეს ხელში, თუმცა, როდესაც უკან გამობრუნდნენ თურქთა ჯარი დაეწიათ და კვლავ ბძოლა გაიმართა. მეორედ გამართულ ბრძოლაში კვლავ ქართველებმა იმარჯვეს, მაგრამ ამ ბრძოლაში თურქთაგან მოიკვლნენ ძმები ბებურიშვილები. ამ ამბავს აღვგიწერს თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალ ისტორიაში“ და ასევე, იგივე ავტორი, უფრო დეტალურად „დავით ბაგრატიონის ისტორიში“ მოგვითხრობს. „არამედ მოიკლნეს ბრძოლასა ამას შინა წინაშე მეფისა ძისა ერთბამად ორნი ძმანი კახელნი, თავადთა ძენი, გვარად ბებურიანნი, რომელნიცა დიდისა სიმხნით ბრძოდეს თურქთა და რაოდენნიმე ძლიერნი თურქთანი მოიკლნეს მათ მიერ, ხოლო თურქნი მრავალნი მოსწყვდნეს და შეიპყრნეს მას დღესა შინა მხედრობამან მეფის ძისამან და სდევნნეს იგინი ფრიად შორს ადგილისა მისგან, სადაცა პირველად ჰყვეს ბრძოლაჲ ვიდრე ჟამადმდე მწუხრისა...“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, „დავით ბაგრატიონის ისტორია“, გვ. 24-25).

ძმები ბებურიშვილების შესახებ სხვა ნარატიული წყარო არ გვაქვს. ცნობილია, რომ ვაჩნაძეების განსახლების არეალი კახეთის საკმაოდ ბევრ სოფელზე ვრცელდებოდა. იოანე ბატონიშვილის თხზულებიდან „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩვენთვის ცნობილი ხდება თუ სად მკვიდრობდნენ (რომელ სოფელში/სოფლებში) ბებურო-ვაჩნაძეები. იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ:

„...ვაჩნაძეები ესენი არიან მამულით სახელებითაც სხვა გვარად წოდებულნი, ესე იგი, ასათის შვილებად და აგათოშვილებად და ონანა შვილებად, ხოლო პირველნი არიან ამათ შორის მოსახლენი: 1) ბებურის შვილები, 2) ყაპას შვილები, 3) გიორგის შვილები, 4) აიდებურის შვილები, 5) თამარის შვილები და ომანის შვილები. ესენი სახლობენ კარდენახს. ხოლო აგათოშვილები – ბაკურციხეს და ონანაშვილები – კოლაგს...“.

იოანე ბატონიშვილის თხზულების ამ მონაკვეთიდან ირკვევა, რომ ბებურიშვილების განსახლების არეალი სოფ. კარდენახია. ასევე აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ სოფ. კარდენახში ვაჩნაძეთა ფეოდალურ გვარს თავისი საგვარეულო სასაფლაო ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თხზულებაში, მე-19 საუკუნეში გადამწერის მიერ ჩამატებულ ტექსტში, საინტერესო ინფორმაციაა დაცული. კერძოდ, ამ სოფელში (კარდენახი) არის წმ. საბას სახელობის მონასტერი, რომლის სასაფლაოც ვაჩნაძეთა გვარს ეკუთვნის. (ვახუშტი, 544, 7).

სწორედ სოფელ კარდენახში არსებული წმ. საბას სახელობის მონასტრის ეზოში, აღმოჩნდა საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელზეც წერია, რომ საფლავი ეკუთვნის გავაზის მოურავ რევაზს, რომელსაც გარდაეცვალა ორი ძე („რ(ო)(მ)(ე)ლსაცა მიმტაცნა მახვლმან სიკუდილისამან და მოკუფხლნა ორნი სასურუხლნი ძენი ჩემნი“) და თვითონაც მათთან ერთად განისვენებს. ლაპიდარული წარწერიდან ცნობილია რევაზ ვაჩნაძის გარდაცვალების თარიღი – იგი 1808 წელს გარდაიცვალა. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ ყარსის ბრძოლაში გარდაცვლილი ძმები ბებურიშვილები და რევაზ ვაჩნაძის საფლავის ქვის წარწერაში ნახსენები „ძენი“ ერთი და იგივე პიროვნებები არიან.

საკვანძო სიტყვები: *ბებურიშვილი-ვაჩნაძე, ძმები ბებურიშვილები, ყარსის ბრძოლა.*

Dato Tabakhmelashvili

PhD Student
Sokhumi State University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0001-6424-8027
Datod9120@gmail.com

To find out the identity of the Beburishvili brothers who died in the battle of Kars in 1789

The Vachnadze feudal family had a special place among the feudal families in Georgia. The representatives of this family were exceptionally loyal to the king's authority, which is confirmed by the documents issued by the royal authorities to the Vachnadze-Beburishvili family (Blood Certificates and others). One of the outstanding examples of loyalty and dedication to the motherland and the King is the battle of Kars in 1789. By the order of King Erekle, his grandson Davit Bagrationi (son of Georgi XII) went to march to Kars with a thousand men. The campaign turned out to be successful; many prisoners were captured; however, when they turned back, the Turkish army caught up with them, and another fight took place. In the second battle, the Georgians won again, but the Turks

killed the Beburishvili brothers. Teimuraz Bagrationi describes this story in "New History," and the same author tells us in more detail in "History of Davit Bagrationi:" "...at the same time, two brothers, the Kakhetians, were killed in a battle fought by the king's son, surnamed Beburishvili. They fought very bravely against the Turks, and they killed some strong Turkish fighters. Many Turks were captured by the king's son and the Turks chased them for a long distance from the place where the first fight was held..." (Teimuraz Bagrationi, "History of David Bagrationi", pp. 24-25).

This is the only narrative source about the Beburishvili brothers. It is known that the settlement area of Vachnadze extended over many villages of Kakheti. From the writings of Ioane Batonishvili – "A Brief Description of the Surnames of the Chiefs and Nobles Living in Georgia" – it becomes known to us where (in which village/ villages) the Beburo-Vachnadzes lived. Ioane Bagrationi notes that:

"... these Vachnadzes are also called by their estate names and other surnames, that is, sons of Asati and sons of Agathoshvili and sons of Onana, and the first among them are the residents: 1) Beburi shvili (sons of Bebur), 2) Kapa shvili (sons of Kapa), 3) Giorgi shvili (sons of Giorgi), 4) Aideburi shvili (sons of Aidebur), 5) Tamara shvili (sons of Tamar) and Omana shvili (sons of Oman). They live in Kardenakhi, Agathoshvili live in – Bakurtsikhe and Onanashvili – live in - Kolag...".

From this part of Ioane Batonishvili's works, it is clear that the settlement area of Beburishvili is the village of Kardenakhi. It is also noteworthy that the Vachnadze feudal clan had its ancestral cemetery in the village of Kardenakhi. In this regard, we find interesting information in the work of Vakhushti Bagrationi "Description of the Kingdom of Georgia." The text, added by a copyist in the 19th century, contains interesting information. In particular, in this village (Kardenakhi), there is a monastery named after Saint Saba, whose cemetery also belongs to the Vachnadze family (Vakhushti, 544, 7).

It was in the courtyard of the monastery, named after Saint Saba, in the village of Kardenakhi that a significant discovery was made. A fragment of a tombstone was found, bearing an inscription that the grave belonged to Mourav Revaz of Gavazi, whose two sons had perished in the Battle of Kars. The inscription also mentioned that Revaz Vachnadze rests with his sons. The date of Revaz Vachnadze's death, 1808, is known from the lapidary inscription. Based on this, it is plausible to conclude that the Beburishvili brothers who died in the Battle of Kars and the "son" mentioned in Revaz Vachnadze's tombstone inscription are the same person.

Keywords: *Beburishvili-Vachnadze, Brathers Beburishvili.*

ნანა ტრაპაიძე

ფილოლოგიის დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი
ბათუმი, საქართველო
https://orcid.org/0009-0006-7079-2754
nana.trapaidze@bsu.edu.ge

ისტორიული პოლიტიკა და ლიტერატურული ნარატივები

ჩვენი კვლევის საგანი საქართველოს ისტორიის უახლესი წარსული და უახლესი და თანამედროვე ქართული ლიტერატურაული ტრადიციაა. უფრო ზოსტად, - ლიტერატურა როგორც ისტორიის წაკითხვის, მისი დეკონსტრუქციის სივრცე. გვსურს დავსვათ კითხვები იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს ლიტერატურის ანგაჟირებას ისტორიით, როგორი ტრადიცია არსებობს ამ თვალსაზრისით და რა არის თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიზანი ამ კონტექსტში დღეს.

შესაბამისად, ისტორიის წერის იმ გამოცდილებასა და ტრადიციას შევეხებით, რომელიც გადმოგვცეა როგორც ისტორია – ცოდნა წარსულზე. დღეს ეს ისტორია ახალ წაკითხვას (რაც ნიშნავს – ხელახალ დაწერას) ითხოვს. რადგან ისტორია ნარატივია, რომელშიც მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ყვება ამბავს, შესაბამისად, ერთია ისტორია, მეორე – ისტორიული ნარატივი. მიუხედავად იმისა, რომ მათ, ვინც ისტორიას აწერინებდა, ის ბერკეტებიც ჰქონდათ ხელთ, რომელიც ფაქტებზეც ზემოქმედებდა, მათი დამახინჯების, გაქრობის, წაშლის გზით, მათი სრული წაშლა შეუძლებელია. შეუძლებელია არა მარტო ფაქტობრივად, არამედ იმიტომ, რომ ცნობიერება ყოველთვის უბრუნდება მოვლენებს, რომლებიც მას ორგანულად შეეხო, მოახდინა მასზე ზემოქმედება. ცნობიერება და რეალობა მიმართებაა, რომელთა შორის კავშირის ყველაზე მკაფიო და საყოველთაო გამოვლენა ისტორიის პოლიტიკური კონკრეტულობაა. ამ კონკრეტულობის უკან არსებობს შრეები, ისტორიის დამახინჯებული ქრონიკები, დაზიანებული ფრაგმენტები, რომლებიც აღდგენასა და ისეთ სწორ კონფიგურაციულ განლაგებას მოითხოვს, რომელშიც რეალობის აღდგენა მის ავთენტურ აზრში მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

ლიტერატურა ისეთი საქმიანობაა, რომელიც ადამიანის პერსონალურ ხვედრში ჭვრეტს დროისა და ისტორიის ძალას, რომლისთვისაც ერთი ადამიანი ერთი სამყაროა და არა სტატისტიკური ერთეული. ლიტერატურის „ჰუმანისტური სინჯი“ ერთი ადამიანის და არა ადამიანთა მასების ბედია, რაც განასხვავებს მას პოლიტიკური ჰუმანიზმისაგან, რომლისთვისაც მასები საშუალებაა, ინდივიდი კი შედეგი, რომელშიც მისი შესაძლებლობები და მიზნები იქნება კრისტალიზებული.

როგორ დაიწყო საქართველოს უახლესი ისტორიის წერა, რა იყო მისი მიზნები და რა როლი შეასრულა ლიტერატურულმა ნარატივებმა ისტორიის ისე ცოდნაში, როგორც ის დღეს ვიცით, რა ცოდნაა ეს? რას ემსახურებოდა? რა მოიტანა? თემის საკითხებია: რა აუცილებლობაში აღმოცენდება მწერლის დაინტერესება წარსულით თუ ისტორიული ხდომილებებით დღეს. სად არის ზღვარი ლიტერატურულ და ისტორიულ ნარატივებს შორის. არის თუ არა ლიტერატურის თანამედროვე ინტენცია

ისტორიული თემები, თუ მას კვლავ კომპენასტორული ფუნქცია აქვს, შეავსოს სახელმწიფოს განზრახული თუ ხარვეზიანი სისტემური დეფექტები, უზრუნველყოს კვლევითი საქმიანობისა და განათლების პოლიტიკის ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული სისტემური კოლაბორაცია. არსებობს თუ არა ასეთი კოლაბორაციული სივრცეები საქართველოში დღეს. არის თუ არა, ამ თვალსაზისით, მწერალი აქტორი.

საკითხის კონტექსტში შევეხებით რამედნიმე საბჭოთა დროისა და თანამედროვე მწერალს. ვფიქრობ, წარმოდგენილი ნაშრომი წვლის შეიტანს ქართული ლიტერატურის სოციოლოგიის კვლევაში, ცხადყოფს ლიტერატურისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართებას და იმ შედეგებს, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების შექმნაში ერთნაირად აქვს როგორც პოლიტიკურ, ისე ესთეტიკურ აზროვნებას.

საკვანძო სიტყვები: *ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურა, ნაციონალიზმი, კოლონიალიზმი, იდენტობა, თანამედროვე ქართული რომანი, განათლების პოლიტიკა, გლობალიზაცია.*

Nana Trapaidze

PhD in Philology
Batumi Shota Rustaveli State University
Professor
Batumi, Georgia
https://orcid.org/0009-0006-7079-2754
nana.trapaidze@bsu.edu.ge

Historical Politics and Literary Narrative

The immortal thought of Aristotle about history and poetry (literature) as narrative systems is well-known: history conveys what happened, while poetry conveys what could have happened.

The subject of our research is the recent past of Georgian history and the latest and contemporary Georgian literary tradition. More specifically, we explore literature as a space for interpreting and deconstructing history. We want to ask questions about what prompts literature engagement with history, what traditions exist in this regard, and what the goals of contemporary Georgian literature are in this context today.

Accordingly, we will touch upon the experiences and traditions of writing history that have been passed down as knowledge of the past. Today, this history demands a new reading (which means rewriting). Since history is a narrative, it is important to consider who is telling the story; thus, history is one thing, and historical narrative is another. Although those who recorded history had levers at their disposal that

influenced the facts—through distortion, erasure, and obliteration—complete eradication is impossible. This impossibility exists not only in a factual sense but also because consciousness always returns to events that have touched and influenced it organically. Consciousness and reality are interrelated, with the political specificity of history being the clearest and most universal expression of that connection. Behind this specificity lie layers of distorted chronicles, damaged fragments of history that require restoration, and a correct configurational arrangement in which the restoration of reality in its authentic sense is more or less possible.

Literature is an activity that contemplates the power of time and history in a person's destiny, where one person is a whole world rather than a statistical unit. The "humanist dimension" of literature is the fate of one individual, not masses of people. This distinguishes it from political humanism, where the masses are a means and the individual is the outcome in which their possibilities and goals are crystallized.

How did the writing of Georgia's recent history begin, what were its goals, and what role did literary narratives play in understanding history as we know it today? What knowledge does this provide? What purposes did it serve? What did it bring? The key questions are: what necessity arises for a writer's interest in the past or historical events today? Where is the boundary between literary and historical narratives? Does contemporary literature's intention relate to historical themes, or does it still serve a compensatory function to fill the systematic defects intended or overlooked by the state, ensuring systemic collaboration based on national interests in research and educational policies? Are there such collaborative spaces in Georgia today? Is the writer, in this sense, an active participant?

In the context of this issue, we will address several Soviet-era and contemporary writers. I believe this presented work will contribute to the study of the sociology of Georgian literature, demonstrating the relationship between literature and politics and the effects both political and aesthetic thought have on the formation of public consciousness.

Keywords: *Literature, Soviet literature, nationalism, colonialism, identity, contemporary Georgian novel, education policy, globalization.*

ლალი ფირცხალავა

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0006-4592-0873
lalipirtskhalava@yahoo.com

დრეიფუსის საქმე და მისი გავლენა მსოფლიო ისტორიაზე

დრეიფუსის საქმე საკმაოდ გახმაურებული სასამართლო პროცესია, რომელიც საფრანგეთში 1894 წლის დეკემბერში დაიწყო და გადაიზარდა ათწლიან სოციალ-პოლიტიკურ დაპირისპირებაში (1896-1906). საქმე ეხებოდა საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერს, ებრაული წარმოშობის კაპიტან ალფრედ დრეიფუსს ელზასიდან, რომელსაც ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, ჯაშუშობის ბრალდებას უყენებდნენ გერმანიის იმპერიის სასარგებლოდ. დრეიფუსს სამხედრო სასამართლომ სახელმწიფო ღალატისთვის სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

დრეიფუსის საქმემ ღრმად შეძრა მთელი ცივილიზებული სამყარო და მის წინააღმდეგ განზრახ ჩადენილი მართლმსაჯულების შეცდომა მთელი საზოგადოებისთვის ლაკმუსის ქაღალდად იქცა. დრეიფუსის საქმემ ორ ბანაკად – „დრეიფუსარებად“ და „ანტიდრეიფუსარებად“ დაყო ფრანგული საზოგადოება. არადა სწორედ საფრანგეთი იყო პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ებრაელებს თანაბარი უფლებები მიანიჭა.

დრეიფუსს საჯაროდ დაუჭირა მხარი ცნობილმა მწერალმა ემილ ზოლამ, რომელმაც 1898 წ-ს 13 იანვარს გაზეთ „ლ'ოროროის“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ღია წერილი სახელწოდებით „მე ბრალს ვდებ“, სადაც მან დრეიფუსი დაიცვა, ხოლო სასამართლო მიკერძოებულობაში დაადანაშაულა. სტატიას ისეთი რეზონანსი მოჰყვა მთელ მსოფლიოში, რომ ზოლას მიერ მითითებული ფაქტების ჩახშობა შეუძლებელი გახდა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოლა და მრავალი სხვა, დრეიფუსის დასაცავად სულაც არ გამოდიოდნენ დრეიფუსისადმი პირადი სიმპათიის, ან თუნდაც უდანაშაულო მსჯავრდებულის, როგორც ებრაელის მიმართ თანაგრძნობის გამო, არამედ უპირველეს ყოვლისა ისინი გამოდიოდნენ სამართლიანობის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე. ზოლამ და სხვა დრეიფუსარებმა მართლმსაჯულებაზე ძალადობის აქტი, საფრანგეთის მიმართ ძალადობის აქტად აღიქვეს.

„დრეიფუსის საქმე“ სამართლებრივი თვალსაზრისით აბსურდის თეატრი იყო, მაგრამ ამავდროულად ის სრულად შეესაბამებოდა პოლიტიკურ ლოგიკას. თავად დრეიფუსი კი უბრალოდ ისტორიის მსხვერპლი იყო, პაიკი სერიოზულ პოლიტიკურ თამაშებში.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები მთელ მსოფლიოში შოკირებული იყვნენ, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყანაში – საფრანგეთში.

ევროპის ყველა ქვეყნის პრესაში დისკუსია დრეიფუსის საქმეზე ინტენსიურად მიმდინარეობდა. ეს მოვლენა უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართულ საზოგადოებაშიც და მას ფართოდ გამოეხმაურა მოვლენის თანმამედროვე, მოწინავე ქართული პრესა, განსაკუთრებით ილიას „ივერია“, რომლის ფურცლებზეც აქტიურად შუქდებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

დრეიფუსის საქმემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ საფრანგეთისა და ევროპის ისტორიაში, არამედ მისი შედეგები მსოფლიო ისტორიაზეც აისახა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი მრავალი გარემოება დღემდე იდუმალებით არის მოცული, თავად საქმე კი კვლავ აქტუალურია.

საკვანძო სიტყვები: *ალფრედ დრეიფუსი; ანტისემიტიზმი; პოლკოვნიკი პიკარი; მაიორი ესტერჰაზი; ემილ ზოლა; თეოდორ ჰერცლი; სიონიზმი; „დრეიფუსარები“ და „ანტიდრეიფუსარები“.*

Lali Pirtskhalaava

Doctor of History
The University of Georgia
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0006-4592-0873
lalipirtskhalava@yahoo.com

The Dreyfus Affair and its Influence on World History

The Dreyfus affair was a high-profile trial that began in France in December 1894 and escalated into a ten-year social-political controversy (1896-1906). The case involved the officer of the French General Staff, Captain Alfred Dreyfus of Alsace, who was of Jewish origin and the one who was accused of espionage for the German Empire based on forged documents. Dreyfus was sentenced to permanent exile for the national benefit.

The Dreyfus affair profoundly shook the entire civilized world and the unjust convictions against him became a litmus paper for the whole society. Even though France was the first European country to grant equal rights to Jews, the Dreyfus case divided the French society into two camps - "Dreyfusards" and "anti-Dreyfusards".

Dreyfus was publicly supported by the famous writer Emile Zola, who on January 13, 1898, published an open letter "I blame" [J'Accuse…!] on the front page of the Paris daily newspaper L'Aurore, where he defended Dreyfus and accused the court of bias.

The article had such a resonance all over the world that it became impossible to suppress the facts indicated by Zola.

However, it should also be noted that Zola and many others did not necessarily come to Dreyfus's defense out of personal sympathy for Dreyfus, or even sympathy for an innocent convict as a Jew, but primarily from the principle of the supremacy of justice. Zola and other Dreyfusards perceived the act of violence against justice as an act of violence against France.

The "Dreyfus affair" was a theater of the absurd from a legal point of view, but at the same time, it fully corresponded to political logic. Dreyfus himself was simply a victim of history, a pawn in serious political games.

Progressive-minded people all over the world were shocked that such a thing could happen in the most advanced country in the world at that time - France.

There was a discussion on the Dreyfus affair going intensively in the media from all European countries. This event did not go unnoticed in Georgian society, and the contemporary, advanced Georgian press, especially Ilia "Iveria", whose pages actively covered all pressing issues, both inside the country and abroad, responded widely to the event.

The Dreyfus affair played an important role not only in the history of France and Europe but its consequences were also reflected in world history. There shouldn't be much surprise that many of his various activities have been shrouded in secrecy until today, while his case remains relevant.

Keywords: *Alfred Dreyfus; antisemitism; Colonel Picquart; Major Esterhazy; Émile Zola; Theodor Herzl; Zionism; the „Dreyfusards“ and the „anti-Dreyfusards“.*

სოფიო ქადაგიშვილი

დოქტორანტი
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს უნივერსიტეტი
მეცნიერ-თანამშრომელი
https://orcid.org/0009-0003-2724-3408
sopio.kadagishvili@tsu.ge

ეთნიკურობის კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ეთნიკურობა სოციალური ჯგუფების ორგანიზების უძველესი ფორმაა, თუმცა მისი, როგორც სოციალური კატეგორიის კვლევა ბოლო ხანებში იწყება და ისტორიის ახალ მიმართულებას უკავშირდება. *ახალი ისტორია* პრემოდერნული ისტორიოგრაფიისგან განსხვავდება იმით, რომ ის ორიენტირებულია არა მხოლოდ პოლიტიკურ ისტორიაზე, არამედ საზოგადოებრივ აღქმაზეც. ისტორიის ეს მიმართულება წარსულს იკვლევს ფართო და მრავალფეროვან კულტურულ ელემენტებზე ფოკუსირებით, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ მოვლენებს მისი ჩამოყალიბების ისტორიულ მომენტში. ეთნიკურობა არ არის სტატიკური ფენომენი. ეს დროისა და კულტურული პირობების შედეგია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეთნიკურობაზე დაკვირვება მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და ესენციალისტურად იყო გაგებული. შესაბამისად, საბჭოთა იდეოლოგიის გავლენით ქართული სამეცნიერო წრე იზიარებდა ერების მარქსისტულ და სტალინურ გაგებას. მკვლევარები ცდილობდნენ ისტორიის მატერიალისტურ ახსნას, თუმცა „საბჭოთა მოქალაქის“ ჩამოყალიბების პროცესში საბჭოთა კულტურული პოლიტიკის მიზანი ეროვნული კულტურებისა და ენების განვითარება გახდა, რამაც ეთნიკურობაზე მეტი ფოკუსირება გამოიწვია. რაც შეეხება ეთნიკურ კუთვნილებას, ეს თავისთავად ნაგულისხმევ ფაქტად მიიჩნიეს, რომელიც განსაკუთრებულ კვლევას არ საჭიროებდა. ეთნიკურობა ძალიან ვიწრო იყო გაგებული, არა როგორც სოციალური ფენომენი, არამედ უბრალოდ წარმომავლობა. ეს ტენდენცია დღესაც არსებობს, მაგრამ ეთნიკურობის ასეთი გაგება არ არის ერთადერთი. თანამედროვე სოციალური თეორიები სწავლობს არა მხოლოდ ეთნიკურობის მახასიათებლებს, არამედ ეთნიკურობის დონეებსაც. ასე გააზრებული ეთნიკურობის ფენომენი სულ სხვა რაკურსით და სიღრმით წარმოაჩენს ქართულ ისტორიულ გამოცდილებას.

მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს ეთნიკურობის საკითხებზე არსებული კვლევების ევოლუციური ხაზი, მიდგომები და ეთნიკური გაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის გაჩენიდან დღემდე.

საკვანძო სიტყვები: *ქართული ისტორიოგრაფია, ეთნიკურობის კვლევა, ეთნიკურობის საკითხები, ახალი ისტორია*

Sophio Kadagishvili

PhD Student
TSU Ivane Javakhishvili Institute of Georgian History and Ethnology
The University of Georgia
Research Fellow
https://orcid.org/0009-0003-2724-3408
sopio.kadagishvili@tsu.ge

Research of Ethnicity in Georgian Historiography

Ethnicity, as a form of social organization, is an ancient phenomenon, however, its research as a social category begins in recent times and relates to the new direction of history. A new history from premodern historiography differs with the fact that it focuses on not only political history but also on public perceptions. This direction of history explores the past by focusing on broad and diverse cultural elements, which allow us to observe events at the historical moment of its formation. Ethnicity is not a static phenomenon. It is the result of time and cultural conditions.

In Soviet historiography, the observation of ethnicity began in the 70ies of the 20th century, and it was essentially understood. In general, the Soviet Union was characterized by an essentialist understanding of groups. Accordingly, the Georgian scholarly circle influenced by Soviet ideology shared the Marxist and Stalinist understanding of nations. Researchers tried to explain history materialistically, however, in the process of building "A Soviet Person" the Soviet cultural policy aimed at developing national cultures, languages that resulted in focusing of ethnicity. As for ethnicity, it was considered a self-evident fact that did not require special research. Ethnicity was understood very narrowly, not as a social phenomenon, but simply as an origin. This trend still exists today but is not the only one.

The aim of the presentation is to show the evolutionary line of researches based on ethnic issues, approaches and understanding of ethnic perceptions in Georgian historiography from the beginning of emergence of Georgian modern historiography till today.

Keywords: *Georgian historiography, ethnicity, ethnic issues in historiography, a new history*

ნინო ქართველიშვილი

დოქტორანტი
საქართველოს უნივერსიტეტი
სს „საქართველოს ბანკი“
პროფესიული განვითარების ქოუჩი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0008-1318-9750
nibukartvelishvili@gmail.com

გენდერული თანასწორობა და ქალები მენეჯერულ პოზიციაზე საქართველოსა და კავკასიაში – წარსული, აწმყო, მომავალი

წარსულში ტრადიციული გენდერული როლები და სოციალური ნორმები ხშირად ზღუდავდა ქალებს დაეკავებინათ მენეჯერული პოზიციები.

დღესდღეობით, საქართველოსა და კავკასიაში მნიშვნელოვანი პროგრესია გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, რაც საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების დამსახურებაა. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი, რათა მიღწეული იყოს სრული თანასწორობა.

კავკასიაში და საქართველოში ქალებს კარიერული წინსვლა და მითუმეტეს მენეჯერული პოზიციის დაკავება ძალიან უჭირდათ, გარკვეული წინაღობების გამო. ეს ბარიერები იყო შემდეგი სახის:

გენდერული სტერეოტიპები: ტრადიციული გენდერული როლები და სტერეოტიპები წარსულში ხშირად ზღუდავდა ქალების კარიერულ შესაძლებ-ლობებს. აღქმა, რომ ქალები პირველ რიგში, უნდა ფოკუსირდნენ ოჯახურ პასუხისმგებ-ლობებზე ქმნიდა ბარიერებს დაეკავებინათ ორგანიზაციებში მაღალი თანამდებო-ბები.

შეზღუდული განათლება და უნარების განვითარება: წარსულში ქალებს მამაკაცებთან შედარებით ჰქონდათ შეზღუდული წვდომა ხარისხიან განათლებაზე. საგანმანათლებლო რესურსების ეს ნაკლებობა კი ხელს უშლიდა მათ, კონკურენცია გაეწიათ მენეჯერულ პოზიციაზე მამაკაცებისთვის.

„შუშის ჭერი“: ქალები ხშირად აწყდებოდნენ „მინის ჭერის“ ფენომენს, სადაც კარიერული წინსვლის უხილავი ბარიერების წინაშე იდგნენ. გენდერული მიკერ-ძოება და დისკრიმინაციული პრაქტიკა სამსახურში დასაქმებასა და დაწინაურებაში ხელს უშლიდა.

სამუშაო და ცხოვრების ბალანსის გამოწვევები: სამუშაო და ოჯახური პასუ-ხისმგებლობების დაბალანსება მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო და არის ზოგადად ქალებისთვის.

გენდერული ანაზღაურების სხვაობა: საქართველოში და კავკასიაში ქალებს ჰქონდათ გენდერული ანაზღაურების სხვაობა, სადაც ისინი მამაკაცებთან შედა-რებით ნაკლებ შემოსავალს იღებდნენ მსგავსი სამუშაოს შესრულებისთვის.

გენდერული თანასწორობისკენ პროგრესი არის კოლექტიური ძალისხმევა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, მთავრობების,

დამსაქმებლების, სამოქალაქო საზოგადოების და ცალკეული პირების ჩართულობას. მხოლოდ ერთობლივი ქმედებებით არის შესაძლებელი შეიქმნას უფრო ინკლუზიური და სამართლიანი საზოგადოება, სადაც ქალებს ექნებათ თანაბარი შესაძლებლობები მენეჯერულ პოზიციაზე წარმატების მისაღწევად.

ამჟამად, წინა წლებთან შედარებით საქართველოსა და კავკასიაში მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულია უფრო მეტი ქალი სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ბიზნესში, პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებებში.

სამომავლოდ მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალებისთვის დამხმარე გარემოს შექმნა მენეჯერულ როლებში, ამისთვის კი საჭიროა მთავრობამ და ორგანიზაციებმა ერთობლივი ძალისხმევით გაატაროონ სხვადასხვა სახის აქტივობები და ღონისძიებები. ეს ყოველივე კი შექმნის სამართლიან გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას მენეჯერულ პოზიციაზე.

საკვანძო სიტყვები: *გენდერული თანასწორობა, ქალები მენეჯერულ პოზიციაზე, გენდერული როლები, გენდერული ანაზღაურება.*

Nino Kartvelishvili

PhD Student
Bank Of Georgia
Professional Development Coach
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0008-1318-9750
nibukartvelishvili@gmail.com

Gender Equality and Women in Managerial Positions

In the past, traditional gender roles and social norms often restricted women from occupying managerial positions.

Nowadays, there is significant progress in terms of gender equality in Georgia and the Caucasus, which is the result of the increase of social awareness. However, a lot of effort is still required to achieve full equality.

In the Caucasus and Georgia, due to some certain reasons it was very difficult for women to be promoted in their careers and moreover to assign to key management positions. These barriers were of the following types:

1. Gender stereotypes: Traditional gender roles and stereotypes have often limited women's career opportunities in the past years. The wide-spread belief that women should primarily focus on family responsibilities created barriers that prevented women from occupying senior positions in organizations.

2. Limited education and skill development: In the past years, unlike men women had limited access to high quality education. This lack of educational resources prevented them from competing with men for managerial positions.

3. "Glass ceiling": Women often countered the "glass ceiling" phenomenon, where they faced invisible barriers of career development. Gender bias and discriminatory practices hindered them from employment and promotion.

4. Work-life balance challenges: Finding the balance between work and family responsibilities was always and still continues to be a significant challenge for women in general.

5. Gender pay gap: Gender pay gap was common in Georgia and the Caucasus. It means that compared to men women earned less for similar work.

Progress towards the gender equality is a collective effort that requires the involvement of various stakeholders, including governments, employers, civil society and individuals. Only through the joint action we can create a more inclusive and fair society where women have equal opportunities to succeed in managerial positions.

Currently, compared to previous years, more women are employed in management positions of various sectors in Georgia and the Caucasus, including business, politics and civil society.

In the future, it is important to ensure gender equality and create a supportive environment for women in managerial roles. In order to achieve this desired end-state it is necessary for the government and organizations to conduct various events and take required measures based on joint efforts. All this will create a fair environment that will support gender equality in managerial positions.

Keywords: *gender equality, women in managerial positions, gender pay gap.*

სალომე ქასაბიშვილი

დოქტორანტი
დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი
მკვლევარი
გორი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-7823-1495
salomea.kasaba@gmail.com

ადამიანი და მემკვიდრეობის დაცვა: შიდა ქართლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მზადყოფნა საგანგებო სიტუაციების დროს

მუზეუმების როლი და ფუნქცია თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებით გაიზარდა, სიძველეთსაცავის გარდა მუზეუმი გახდა საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულება – რომელიც ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მუზეუმი და სხვა კულტურული დაწესებულება, რომელიც ინახავს და უვლის კულტურულ მემკვიდრეობას ვალდებულია, დაიცვას კულტურული ფასეულობა მოსალოდნელი საფრთხეებისაგან. ამ მხრივ ადამიანის ჩართულობა და მისი მზადყოფნა, პრაქტიკაზე დამყარებული ცოდნა კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებებისთვის და რისკებთან საბრძოლველად სასიცოცხლოდ აუცილებელია.

საფრთხეები, რომლებიც არსებობს დღეს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არის არაპროგნოზირებადი. დღევანდელმა მსოფლიო მოვლენებმა დაგვანახა, რომ კულტურული მემკვიდრეობა შესაძლოა, ნებისმიერ დროს, სხვადასხვა კატასტროფის რისკის წინაშე აღმოჩნდეს, ასეთ დროს მნიშვნელოვანია ადამიანის როლი და ცოდნა მის დასაცავად ან მინიმალური ზიანის მისაყენებლად.

საქართველოში თანამედროვე ეპოქაში ერთხელ უკვე ომ გამოვლილი კულტურული მემკვიდრეობა დროულად საჭიროებს უსაფრთხოების სწორ სისტემასა და გრძელვადიანად შენახვა-დაცვის პირობების გაუმჯობესებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება, როგორც კულტურის სექტორში მომუშავე პერსონალისთვის, ისე ადგილობრივი თემისთვის.

მოხსენება ეხება შიდა ქართლის მსხვილი რეგიონალური მუზეუმების - კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ხაშურისა და ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისა და იქ დაცული ექსპონატების მდგომარეობას, შენახვა-დაცვის პირობების, კატასტროფების რისკების დადგენა-შეფასებას და მათ მზადყოფნას საგანგებო სიტუაციების დროს.

აღნიშნულ მუზეუმებს რეგიონში და კონკრეტულად იმ ქალაქებში, სადაც არის განთავსებული განსაკუთრებული კულტურულ-საგანმანათლებლო როლი ენიჭებათ, ისინი ფლობენ კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე მდიდარ კოლექციას და საუბრობენ მხარის, რეგიონის განსაკუთრებულობაზე, რაც წარმატებული ქვეყნის და რეგიონის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების მდგრადობის მანიშნებელია, თუმცა მათი სამუზეუმო ყოფა ყოველმხრივ სავალალო.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება 2022 წლის აპრილ-მაისში ჩემს მიერ განხორციელებული კვლევა – შიდა ქართლის ამ მუზეუმებში საგანგებო სიტუაციების

მზადყოფნის მდგომარეობის დადგენის მიზნით. კვლევა მოიცავს უსაფრთხოების სისტემის დადგენას ანკეტირების საშუალებით, საფრთხეებისა და რისკების ხარისხის კატეგორიების დადგენას რისკების შეფასების ცხრილების გამოყენებით, რომელშიც წარმოდგენილია ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორები. აღნიშნულმა კვლევებმა აჩვენა, რომ შიდა ქართლის რეგიონში არსებულ ყველა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების მიმართ არანაირი სახის მზადყოფნა არ არსებობს და ამასთანავე, უსაფრთხოების სწორი პოლიტიკაც არ წარმოებს. მოყვანილი იქნება თითოეული მუზეუმის კატასტროფების ისტორიები, რაც ერთმნიშვნელოვნად გვაჩვენებს თუ რა მწირი ბერკეტი გააჩნიათ მუზეუმებს რისკებთან საბრძოლველად.

კატასტროფების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ადგილობრივი თემის, კულტურის სექტორში მომუშავე პირთა თუ პასუხისმგებელ პირთა ცნობიერების ამაღლებისა და მისი მნიშვნელობის გაზრდის მაგალითად განხილული იქნება გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 2020-2022 წლებში ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები. ამასთან ერთად, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ჩემს მიერ აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით 2023-2024 წლებში კასპის გიორგი ხორგუაშვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში განხორციელებული ღონისძიებები.

საგანგებო სიტუაციებისა და მათ შორის, საომარი კონფლიქტების დროს მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად არსებითია ადამიანის როლი. მოხსენებაში მოცემული იქნება ის რეკომენდაციები და სამომავლო სამოქმედო გეგმა, რაც აღნიშნულ მუზეუმებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მათი პოპულარიზაციის მიმართულებით შეიძლება გაკეთდეს.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანი და მემკვიდრეობის დაცვა; მუზეუმების როლი და ფუნქცია თანამედროვე სამყაროში; ადამიანის ჩართულობა და პრაქტიკაზე დამყარებული ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ან მინიმალური ზიანის მისაყენებლად.*

Salome Kasabishvili

PhD Student
Didi Liakhvi Valley Museum-Reserve
Researcher
https://orcid.org/0009-0005-7823-1495
salomea.kasaba@gmail.com

Human and Heritage Protection: Preparedness of Local Lore Museums of Shida Kartli During Emergencies

The role and function of museums in the modern world have increased, in addition to the repository of antiquities, the museum has become an educational and research institution – which should be accessible to everyone. The museum and other cultural institutions that preserve and take care of the cultural heritage are obliged to protect the cultural value from the expected threats. In this case, human involvement and readiness, practice-based knowledge to act in crises and fight against risks are vitally necessary.

Threats that exist today to national cultural heritage are unpredictable. Today's world events have shown us that cultural heritage may be at risk of various disasters at any time, at such times human role and knowledge is important to protect it or to cause minimal damage.

In Georgia, in the modern era, the cultural heritage that has already been in the war once needs a proper safety system and long-term preservation conditions. Therefore, it is important to raise awareness in this regard, both for the staff working in the cultural sector and for the local community.

The report refers to the condition of the large regional museums of Shida Kartli - Kaspi Giorgi Khorguashvili Local Lore Museum, Khashuri and Kareli Local Lore Museums and the exhibits kept there, storage conditions, assessment of disaster risks and their preparedness during emergencies.

The mentioned museums in the region and specifically in the cities where they are located are assigned a special cultural and educational role, they possess a rich collection with cultural and historical value and speak of the uniqueness of the country, the region, which is an indication of the sustainability of the cultural and economic life of a successful country and region, although their existence as a museum Miserable in every way.

The report will present the research carried out in April-May 2022 – to determine the state of emergency preparedness in these museums of Shida Kartli. The study includes determining the safety system through questionnaires and determining the quality categories of threats and risks using risk assessment tables, which present the main damaging factors. The mentioned studies have shown that all local lore museums in the Shida Kartli region are not prepared for natural or man-made disasters, and at the same time, they do not have a proper security policy. The stories of disasters of each museum will be presented, which will clearly show us how weak the capabilities museums have to deal with risks.

As an example of the protection of cultural heritage during disasters and raising the awareness of the local community, people working in the cultural sector and responsible persons and increasing its importance, the events held in this direction in 2020-2022 in the historical-ethnographic museum named after Sergi Makalatia of Gori will be considered. Along with this, the report will present the activities implemented in the Giorgi Khorguashvili Museum of Local Lore in Kaspi in 2023-2024, based on my research.

The human role is essential to preserve heritage in emergencies, including wartime conflicts. The report will contain the recommendations and the future action plan, which can be done in the direction of cultural heritage protection and their promotion in the mentioned museums.

Keywords: *Human and heritage protection; The role and function of museums in the modern world; Human involvement and practice-based knowledge to protect cultural heritage or cause minimal damage.*

თამარ ქორიძე

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-6208-0480
t.koridze@ug.edu.ge

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგისა და ზეობის დაზუსტებისათვის (XVII ს-ის 50-იანი წლები)

XVII ს-ის 50-იანი წლებში მოღვაწე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა (მაქსიმე მაჭუტაძე, ნიკოლოზ ირუბაქიძე- ჩოლოყაშვილი, ზაქარია ქვარიანი) ქრონოლოგიური რიგისა და ზეობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ბ. ლომინაძემ, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა XVII-XVIII სს-ის აფხაზეთის კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგი, კათოლიკოს ზაქარია ქვარიანის ზეობა 1657-1660 წლებით განსაზღვრა. ამავე ქრონოლოგიურ რიგში კათოლიკოს ზაქარიას წინამორბედად კათოლიკოსი მაქსიმეა (მაჭუტაძე) დასახელებული (1639-1657). თუმცა, მოგვიანებით გამოცემულ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ბ. ლომინაძემ, მისივე სტატიის („კათალიკოსი“) თანდართულ აფხაზეთის კათოლიკოსთა ქრონოლოგიურ ნუსხაში, კათოლიკოსებს ზაქარიასა და მაქსიმეს შორის ნიკიფორეს სახელის მქონე კათოლიკოსი განათავსა ზეობის წლებით 1657-1657.

აფხაზეთის აღნიშნული კათოლიკოსი ნიკიფორე ცნობილი სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და მწიგნობარი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე იგივე ნიკიფორე ირბახია. საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ის აფხაზეთის კათოლიკოსად არის მოხსენიებული გ. აკოფაშვილის მიერ მისდამი მიძღვნილ მონოგრაფიაში.

ნიკიფორეს კათოლიკოსად ზეობის საწყის და ბოლო წლად ერთიდაიმავე 1657 წლის დასახელება მიანიშნებს, რომ ბ. ლომინაძე მას აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტზე 1657 წლის რაღაც პერიოდში მოიაზრებდა. შესაბამისად, 1657 წლით განისაზღვრა მომდევნო კათოლიკოსის ზაქარიას ზეობის საწყისი წელიც. თუმცა, პირდაპირი ცნობები მისი, ისევე როგორც ნიკიფორეს, კათოლიკოსად დადგენისა და ამ ფაქტის დათარიღის შესახებ არ მოგვებოვება.

ზაქარია ქვარიანისადმი მიძღვნილ უახლეს მონოგრაფიაში (ლ. ტყეშელაშვილი, ქ. 2017), მისი კათალიკოსობა 1656-1660 წლებით არის დათარიღებული. ნაშრომში დასახელებული ზაქარია ქვარიანის კათალიკოსობის წლები და ნიკიფორეს (ირბახის) მოუხსენიებლობა ადასტურებს, რომ ავტორი არ იზიარებს ამ უკანასკნელის აფხაზეთის კათოლიკოსობის ფაქტს.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მოღვაწე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგისა და ზეობის დასადგენად გასათვალისწინებელია ხობის ტაძარში გამოსახული მღვდელმთავრის – ილარიონის

აფხაზეთის კათალიკოსობის საკითხიც, რომელიც, ზოგიერთი მოსაზრებით (თ. ჯოჯუა), საკათალიკოსო ტახტს, სავარაუდოდ, 1657-1658 წლებში ფლობდა.

ჩვენი ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში XVII ს-ის 50-იანი წლებში მოღვაწე აფხაზეთის კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგისა და ზეობის შესახებ არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო), კათოლიკოსი, ქრონოლოგიური რიგი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე, ქართული ისტორიოგრაფია*

Tamar Koridze

PhD in History
The University of Georgia
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-6208-0480
t.koridze@ug.edu.ge

To clarify the chronological order and rule of the Catholicos of Abkhazia (Western Georgia) (1950s of the 17th century)

There are different opinions in Georgian historiography regarding the chronological order and rule of the Catholicos of Abkhazia (Western Georgia) in the 1950s of the 17th century (Maxime Machutadze, Nikolaos Irubakidze-Cholokhashvili, Zakaria Kvariani).

B. Lominadze, who specially studied the chronological order of the Abkhazian Catholics of the XVII-XVIII centuries, defined the rule of the Catholic Zakaria Kvariani as 1657-1660. In the same chronological order, Catholicos Maxime (Machutadze) is named as the predecessor of Catholicos Zakaria (1639-1657). However, in the later published Georgian Soviet Encyclopedia, B. Lominadze, in the chronological list of Catholics of Abkhazia attached to his article ("Cathalikos"), placed a Catholic known as Nikifore between Catholics Zacharias and Maxime with the reign of 1657-1657.

The mentioned Catholicos of Abkhazia, Nikifore, was a well-known ecclesiastical and political figure, diplomat, and scholar, and is the same person as Nikoloz Cholokhashvili-Irubakidze, one of the publishers of the first printed Georgian book.

Based on historical sources, he is referred to as the Catholicos of Abkhazia in the monograph dedicated to him by G. Akopashvili.

The designation of both the beginning and end of Nikifore's tenure as Catholicos as the same year, 1657, suggests that Lominadze considered him to have held the Catholicosal throne of Abkhazia at some time during the year 1657. Accordingly, 1657 was also determined as the starting year of the rule of the next Catholicos Zacharias. However, we do not find direct information about him, like Nikifore, becoming a Catholic as well as the information about this fact and the date.

In the latest monograph dedicated to Zakaria Kvariani (L. Tkeshelashvili, c. 2017), his Catholicism is dated to 1656-1660. The years of Catholicism of Zakaria Kvariani named in the work and the non-mention of Nikifor (Irbakhi) confirm that the author does not accept the fact of the latter's Catholicism in Abkhazia.

In order to determine the chronological order and reign of the Catholics of Abkhazia (West Georgia) working in the period (that's) interesting to us, it is necessary to take into account the issue of Abkhazian Catholicism of Hilarion, the high priest depicted in Khobi Cathedral, who according to some opinions (T. Jojua) was probably occupying the Catholic throne in 1657-1658.

Our study represents an attempt to address the discrepancies in Georgian historiography regarding the chronological order and rule of the Catholicos of Abkhazia in the 1950s of the 17th century.

Keywords: *Abkhazia (Western Georgia), the Catholicos, Chronological order, Nikoloz Cholokhashvili-Irubakidze, Georgian historiography*.

ხათუნა ქოქრაშვილი

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველოში
https://orcid.org/0009-0001-3876-2591
kh.kokrashvili@ug.edu.ge

საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი საქართველოში

მე-19 ს-ის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და კვლევა-ძიებას. ამ პროცესებმა ქართულ საზოგადოებას ახალი ამოცანები და პერსპექტივები დაუსახა. დაიწყო საქართველოში ეკლესია-მონასტრებში არსებული სიწმინდეებისა და უძველესი ხელნაწერების შეკრება-გამოვლენა.

განსაკუთრებული როლი „სიძველეთა“ და „საეკლესიო ნაშთების“ გადარჩენის საქმეში მიუძღვის საეკლესიო სიძველეთა მუზეუმს, იგივე, „საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებულ საეკლესიო განძთსაცავს“. ის 1888 წელს ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით გაიხსნა ტფილისში და 1921 წლამდე იარსება.

საეკლესიო სიძველეთა მუზეუმის მიზანი წესდებით განისაზღვრა და ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე მიმოფანტულ სიძველეთა – ძველი ხელნაწერების, ნაბეჭდი წიგნების, საეკლესიო-სარიტუალო აღჭურვილობის, საეკლესიო სიწმინდეების, ეპიგრაფიკული ძეგლების, სიგელ-გუჯრებისა და სხვათა წარმოჩენას, შეკრებას, შენახვას, კვლევასა და გამოქვეყნებას. მუზეუმს განაგებდა სამეცნიერო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეს საქართველოს ეგზარქოსი ნიშნავდა.

საეკლესიო სიძველეების მუზეუმის სამეცნიერო კომიტეტმა მუშაობა დაიწყო დიმიტრი ბაქრაძის უშუალო თავმჯდომარეობით; სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ არქიმანდრიტი ნიკოლოზი, დეკანოზი გრიგოლ პეტრიაშვილი, არქიმანდრიტი ლეონიდე ოქროპირიძე; ეპისკოპოსები: კირიონ საძაგლიშვილი, დიმიტრი აბაშიძე, ექვთიმე ელიაშვილი, პეტრე კონჭოშვილი, დავით კაჭახიძე, ანტონ გიორგაძე.

შემოსული მასალების დამუშავება და აღრიცხვა ევალებოდა საეკლესიო მუზეუმის გამგეს. დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ ამ თანამდებობას იკავებდა თედო ჟორდანია (1889-1897 წწ.), ხოლო მოგვიანებით მოსე ჯანაშვილი (1897-1918 წწ.) და კორნელი კეკელიძე (1918-1921). სწორედ მათ ეკუთვნით საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობისა და კატალოგის შედგენა. სხვადასხვა პერიოდში საეკლესიო სიძველეთა მუზეუმთან თანამშრომლობდნენ, ცნობილი ქართველი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეები: კალისტრატე ცინცაძე, მარკოზ ტყემალაძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, ილია ფერაძე, ნიკო თვარელიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკოლოზ კალისტოვი და სხვები.

1888–1916 წლებში „საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებული საეკლესიო განძთსაცავი“ სიონის ეკლესიაში იყო განთავსებული, 1916–1918 წლებში კი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918–1921) სიძველეთსაცავი გადაიტანეს ახლად დაფუძნებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მას ეწოდა „სიძველეთა დაცვის მუზეუმი“. მუზეუმის გამგედ დაინიშნა კორნელი კეკელიძე, ხოლო მოადგილედ – მოსე ჯანაშვილი.

1921 წლის 21 მარტს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, „სიძველეთა დაცვის მუზეუმი“ დაიხურა, ხოლო კოლექცია უნივერსიტეტის შენობაში დარჩა. 1930 წელს ცალკე გამოიყო ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერების კოლექცია, რომელიც განთავსდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

საეკლესიო მუზეუმმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა არამარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრების საქმეში, არამედ საისტორიო წყაროთა არქეოგრაფიული დამუშავების საკითხშიც. მისი გრიფით ოცამდე დასახელების ნაშრომი და უნიკალური ღირებულების ხელნაწერი გამოიცა: ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერი (1074 წ.), წმინდა ნინოს დაუჯდომელი, არსენ კათალიკოსის – ცხოვრება წმინდა ნინოსი, იოანე ბოლნელის – ქადაგებანი და ა. შ.

საეკლესიო მუზეუმმა იკისრა ქართველოლოგიური დარგების, მათ შორის საეკლესიო ისტორიის, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის კონსოლიდაციის, საისტორიო წყაროთა მოძიების და ერთიან სისტემაში მოყვანის, კვალიფიციური არქეოგრაფიული დამუშავების ფუნქცია. მისივე საშუალებით უცხოელი მკვლევრები ეცნობოდნენ ჩვენს ისტორიულ განძსა და წარსულს.

ამჟამად, საეკლესიო მუზეუმის სიწმინდეები ხელოვნების მუზეუმში ინახება, ხოლო ხელნაწერებისა და დოკუმენტური წყაროების კოლექცია 1956 წლიდან კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპეციალურ ფონდშია წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ეკლესიის ისტორია; მუზეოლოგია; ტფილისის საეკლესიო მუზეუმი; მუზეუმები საქართველოში.*

Khatuna Kokrashvili

PhD in History
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Senior Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0001-3876-2591
kh.kokrashvili@ug.edu.ge

The Museum of Ecclesiastical Antiquities in Georgia

In the second half of the 19th century, during the rise of the national liberation movement, great importance was placed on the preservation and research of cultural heritage. These processes presented new challenges and perspectives to Georgian society. Efforts began to collect and uncover sacred relics and ancient manuscripts found in churches and monasteries across Georgia.

The Museum of Ecclesiastical Antiquities, also known as the "Ecclesiastical Treasury of the Brotherhood of the Most Holy Virgin Mary in Georgia," played a significant role in preserving "antiquities" and "ecclesiastical relics." It was opened in Tbilisi in 1888 at the initiative of historian Dimitri Bakradze and operated until 1921.

The purpose of the Museum of Ecclesiastical Antiquities was defined by its charter, which aimed at the collection, preservation, study, and publication of antiquities scattered across Georgia, such as ancient manuscripts, printed books, ecclesiastical and liturgical equipment, sacred relics, epigraphic monuments, and charters. The museum was overseen by a scientific committee, whose chairman was appointed by the Exarch of Georgia.

The scientific committee of the Museum of Ecclesiastical Antiquities began its work under the direct leadership of Dimitri Bakradze. Over time, it was chaired by notable figures, including Archimandrite Nicholas, Dean Grigol Petriashvili, Archimandrite Leonide Okropiridze, and bishops such as Kirion Sadzaglishvili, Dimitri Abashidze, Ekvtime Eliashvili, Petre Konchoshvili, David Kachakhidze, and Anton Giorgadze.

The management of incoming materials and their registration was the responsibility of the museum director. After Dimitri Bakradze, this position was held by Tedo Zhordania (1889-1897), later by Mose Janashvili (1897-1918), and Korneli Kekelidze

(1918-1921). They compiled the descriptions and catalogs of the museum's manuscripts. At various times, the museum collaborated with well-known Georgian public and ecclesiastical figures such as Kalistrate Tsintsadze, Markoz Tkemaladze, Polievktos Karbelashvili, Ilia Peradze, Niko Tvarelishvili, Ekvtime Takaishvili, Nikolai Kalistov, and others.

From 1888 to 1916, the "Ecclesiastical Treasury of the Brotherhood of the Most Holy Virgin Mary in Georgia" was located in Sioni Church, and from 1916 to 1918, it was housed in the Tbilisi Classical Gymnasium. During the period of the Democratic Republic of Georgia (1918-1921), the treasury was moved to the newly established Tbilisi State University, where it was renamed the "Museum for the Protection of Antiquities." Korneli Kekelidze was appointed as the museum director, with Mose Janashvili as his deputy.

On March 21, 1921, after Georgia's Sovietization, the "Museum for the Protection of Antiquities" was closed, and the collection remained in the university building. In 1930, the manuscript collection of the former ecclesiastical museum was separated and transferred to the Manuscripts Department of the Georgian State Museum.

The Ecclesiastical Museum made an invaluable contribution not only to enriching the source base of the history of the Georgian Church but also to the archeographic study of historical sources. Under its auspices, nearly 20 works and manuscripts of unique value were published, including the manuscript of the Iviron Monastery of Mount Athos (1074), the Akathist of Saint Nino, the Life of Saint Nino by Catholicos Arsen, and the Sermons of Ioane Bolneli.

The Ecclesiastical Museum played a crucial role in consolidating research in Kartvelology, including ecclesiastical history, organizing historical sources into a unified system, and facilitating their qualified archeographic study. It also provided foreign researchers access to Georgia's historical treasures and past.

Today, the sacred relics of the Ecclesiastical Museum are preserved in the Museum of Art, while the collection of manuscripts and documentary sources has been housed in the special fund of the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts since 1956.

Keywords: *Ecclesiastical History of Georgia; Museology; Ecclesiastical Museum of Tiflis; Museums in Georgia*.

ქეთევან ქუთათელაძე

ისტორიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მკვლევარი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0009-0818-3001
Kutateli@mail.ru

სასაზღვრო დავები

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას განსაზღვრავდა და არეგულირებდა სახელმწიფო საზღვრის დაცულობა, მისი სტატუსი, რამდენად აკონტროლებდა ქვეყნის მეფე, როგორც დამოუკიდებელი ლიდერი თუ დიდ იმპერიებთან დაქვემდებარებული ხელისუფალი. სახელმწიფო საზღავრი იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიული პროცესების შედეგად. სასაზღვრო დავები მიმდინარეობდა რა მარტო მომხდურ მტერთან, არამედ, თვით დიდი იმპერიების ინტერესთა შეჯახება ყოფილა ხოლმე დავის მიზეზი, რომელიც არღვევდა ჩვენს სასაზღვრო სივრცეს და საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. საზღვრის დაცვისთვის აუცილებელი იყო ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლის გარდა, ინფრასქტრუქტურული უზრუნველყოფა. განმარტება და სახელწოდებები „საზღვარ-წესდადება“, „მართებული საზღვარი“, „ნიშნით ზღვარნი“, „სამანი“, მიუთითებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ექცეოდა საზღვრის დაცვას.

ქართულ წყაროებში საზღვარი ორი მნიშვნელობით განიხილება: როგორც მიწა-წყალი, ტერიტორია, სივრცე, არე, ასევე მიჯნა, სასაზღვრო მომიჯნავე მხარე, სასაზღვრო ზონა, სასაზღვრო ხაზი. სახელმწიფო მიწა-წყლის ფარგლების აღსანიშნავად გამოიყენებოდა „საზღუარნი სამეფოსანი“. საზღვრის უკანონო გადაკვეთა საზღვრის დარღვევას ნიშნავდა, რაც სათანადო რეაგირებას მოითხოვდა. სასაზღვრო ზოლის ტერიტორია იმ სახელმწიფოს საკუთრება იყო, რომლზეც გადიოდა გამმიჯნავი ხაზი. საზღვრის პოლიტიკურ კუთვნილებას იმ ქვეყნის სახელწოდება განსაზღვრავდა, რომელიც აკონტროლებდა სასაზღვრო მომიჯნავე ტერიტორიას. ამიტომაც არის, რომ მომიჯნავე სასაზღვრო საერისთავო ქვეყნები „საზღვარი ქართლისად“ იწოდება.

შუა სს-ის მანძილზე მეზობელ სახელმწიფოებთან სასაზღვრო დავების თავიდან აცილების მიზნით ხდებოდა ხოლმე სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება (მოლაპარაკება, დინასტიური ქორწინება, ძღვენის მირთმევა, ხარკის გადახდა), უკიდურეს შემთხვევაში კი სამხედრო შეტაკებები, როდესაც სასაზღვრო დავებს, ზოგჯერ მომიჯნავე სასაზღვრო ტერიტორიის დაუფლება მოჰყვებოდა.

საქართველო, გეო-სტრატეგიული თვალსაზრისით, მიმზიდველი იყო ნების-მიერი იმპერიისთვის, რომელიც ამ მხარეში გაბატონებას ცდილობდა. მათი საბრძოლო მოქმედებები და საზავო შეთანხმებები პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც ზოგჯერ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. საქართველოს სამხრეთით არსებულ იმპერიებს ყოველთვის

აინტერესებდათ ჩრდილოეთის გადმოსასვლელები, საიდანაც მომთაბარეთა თავდასხმის საფრთხე მოდიოდა, მათთვისაც მიმზიდველი იყო მდიდარი სამხრეთის იმპერიებისკენ ლაშქრობა. ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ან მისი დამცროობა პირდაპირ დაკავშირებული იყო იმ სასაზღვრო დავებთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარშემო მიმდინარეობდა და რომელიც განსაზღვრავდა ქართული სახელმწიფოებრიობის ბედს.

სახელმწიფო საზღვრის და სასაზღვრო სივრცის დაცვა უზრუნველყოფდა, როგორც ტერიტორიულ უსაფრთხოებას, ასევე მიგრაციული პროცესების კონტროლს, სხვა ეთნიკური ჯგუფების შემოსვლის საშიშროების აღკვეთას.

საზღვრის დაცვას სასაზღვრო მომიჯნავე ტერიტორიაზე უზრუნველყოფდნენ მონაპირე ერისთავები. საზღვრის უსაფრთხოების მიზნით ინფორმაციებს მსტოვრები აგროვებდნენ. საზღვრის იმ მონაკვეთში, რომელიც კავკასიონის თვალუწვდენელ მთათა სისტემას და ხეობებს მიუყვებოდა, საზღვრის დაცვა ევალებოდა ადგილობრივ მოსახლეობას (შდრ. „მახლობელნი იგი მთიულნი“).

საქართველოს ძლიერების ეპოქაში „ყოველნი სანაპირონი მისისანი უშიშად ჰქონდეს“. აღნიშნულს განაპირობებდა არა მარტო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა, არამედ ბუფერული ზონის შექმნა, საქართველოს გარშემო არსებული პოლიტიკური ერთეულების ყმადნაფიცობით მორჩილება ან მათზე უპირატესობის მოპოვება ან ტერიტორიის უშუალოდ დაკავება. მონაპირე ერისთავებს ქვეყნის სანაპირო სასაზღვრო მხარეების მომთაბარეთა თავდასხმის მოგერიების გარდა, შიშის დანერგვის მიზნით, მეზობელი ქვეყნების რეიდიც ევალებოდათ.

საზღვრისპირა რეგიონების დასაცავად ბრძოლა განსაკუთრებით მძიმეა XVI-XVII სს-ში. 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით, ოსმალეთმა და ყიზილბაშთა ირანმა შუაზე გაიყვეს საქართველო, რამაც ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოებრიობას. სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის მომიჯნავე ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ყიზილბაშთა ირანის მიერ კი ინტენსიურად ხორციელდებოდა მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლების პროცესი სამხრეთ საზღვრის ტერიტორიებზე კონტროლის დაწესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *საზღვარი; ტერიტორია; სახელმწიფო; სასაზღვრო ზონა; საზღვრის დაცვა.*

Ketevan Kutateladze

PhD in History
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Senior Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-0818-3001
Kutateli@mail.ru

Border Dissensions

The independence of the Georgian state and its territorial integrity was determined and regulated by the protection of the state border, its status, and the extent to which the king of the country controlled it, as an independent leader or as a subordinate authority to the great empires. The state border changed as a result of various historical processes. Border dissensions took place not only with the incoming enemy but also the clash of interests of the great empires was sometimes the cause of the collision, which violated the border space and posed a threat to Georgian statehood. In addition to physical-geographic features, infrastructural provision was necessary for border protection. The definition and names "border-arranging", "valid border", "marked border", "Saman" (boundary mark) indicate how much importance was attached to the protection of the border.

In Georgian sources the border is considered in two meanings: land, territory, space, or area, as well as a boundary, adjacent part of the border, border zone, or border line. To mark the boundaries of the state land was used the name "Royal Border". Illegal crossing of the border meant violation of the border, which required an appropriate response. The territory of the border strip was the property of the state on which the dividing line passed. The political affiliation of the border was determined by the name of the country that controlled the adjacent territory. That is why the adjacent bordering regions are called "Kartli border", what means the territory of Kartli.

In the Middle Ages, to avoid border dissensions with neighboring states, various social and political relations were established (negotiations, dynastic marriages, serving gifts, paying tribute), and in extreme cases military clashes, when border dissensions sometimes resulted in the possession of adjacent border territory.

Georgia, from a geo-strategic point of view, was attractive to any empire trying to dominate the area. Their military actions and truce agreements were directly or indirectly related to the historical borders of Georgia, within which sometimes

hostilities took place. The empires in the south of Georgia were always interested in the northern crossings, from where the threat of nomadic attacks came, and it was also attractive for them to march towards the rich southern empires. The maintenance of Georgian statehood or its destruction was directly related to the border dissensions that took place around Georgia and which determined the fate of the country's statehood.

The protection of the state border and border space ensured both territorial security and control of migration processes, preventing the danger of entry of other ethnic groups.

The protection of the border in the adjacent border area was ensured by the eristavas of the border. In order to secure the border, the information was collected by spies. In that part of the border, which was adjacent to the invisible mountain system and valleys of the Caucasus, the protection of the border was entrusted to the local population.

In the era of Georgia's strength, all its borders were protected. This was determined not only by the provision of border protection but also by the creation of a buffer zone, the vassalage obedience of the political entities around Georgia or gaining an advantage over them or occupying the territory directly. In addition to repelling the attacks of the nomads from the border areas of the country the eristavas of the border were also responsible for raiding the neighboring countries in order to instill fear.

The struggle for the protection of the border regions was particularly severe in the 16th and 17th centuries. According to the Treaty of Amasia in 1555, the Ottoman Empire and Kizilbash Iran divided Georgia in half, which harmed Georgian statehood. The adjacent territory of the southwestern border fell under the jurisdiction of the Ottoman Empire, and the process of settlement of nomadic Turkmens was intensively carried out by Kizilbash Iran in order to establish control over the territories of the southern border.

Keywords: *border, territory, state, border zone, border protection.*

ია ღადუა

ფილოლოგიის დოქტორი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
უნიკალურ წიგნთა კოლექციის კურატორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-7434-2519
ghaduaia@gmail.com

გალაკტიონის ფაქსიმილესა და გრაფემატული თავისებურებების გამოყენება ხელნაწერთა დათარიღებისთვის

გრაფემატული კვლევები, რომლებიც ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებას წარმოადგენს, იძლევა საშუალებას, არა ჰიპოთეტურად, არამედ მეცნიერული კვლევების საფუძველზე ვისაუბროთ ტექსტის დათარიღებაზე. დროთა განმავლობაში, წლების მანძილზე, ავტორის ხელწერას უვითარდება სპეციფიკური მახასიათებლები. ამიტომაც ერთი ავტორისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა და სტილი წლების მიხედვით უნდა იყოს შესწავლილი. ასეთი ტიპის კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ დეტალს. ამ დროს განსაკუთრებით ბევრ მასალას იძლევს ფაქსიმილეები, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები ფაქსიმილეს/ფაქსიმილეების შემუშავებაზე საგანგებოდ მუშაობენ. გალაკტიონის ფაქსიმილეები კი მართლაც შესანიშნავი წყაროა და გვაძლევს საშუალებას, თვალი მივადევნოთ თითოეული გრაფემის განვითარებასაც და სტილიზებასაც.

გალაკტიონ ტაბიძის არქივი, რომლის უდიდესი ნაწილი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, გრაფემატული კვლევისთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც თარიღიანი, ისე უთარიღო ტექსტები და ეს მასალა დროის 52-წლიან ინტერვალს მოიცავს. პოეტის არქივში 1905-1959 წლების უამრავი თარიღიანი ხელნაწერია დაცული, ასევე ბევრია უთარიღოც.

რაც შეეხება გალაკტიონის ფაქსიმილეს, პოეტი ამ მხრივაც გამორჩეულია და მისი ხელრთვები საოცრად მრავალფეროვანია. არის პერიოდები, როდესაც ყოველ ლექსს ყოველ გვერდზე დართული აქვს ხელმოწერა; ასევე, ერთ გვერდზე რამდენიმე ხელმოწერაა, რაც გვაჩვენებს, როგორ ამუშავებს პოეტი მათ..

იმისთვის, რომ გამოგკვეკვეთა გალაკტიონის ფაქსიმილეს თავისებურებები, ყველა ხელნაწერი დავამუშავეთ წლების მიხედვით და შევადგინეთ შესაბამისი ბაზა, რომელმაც საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით, როგორ ამუშავებდა პოეტი ხელწერას, რა კომპონენტს ამატებდა ან აკლებდა, როდის გვხვდებოდა სტილიზებული (მაგალითად, დაბოლოება ვიოლინოს გასაღების ფორმით, რომელიც ხშირად გვხვდება). ბაზის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება, როგორიცაა ის ფაქტი, რომ სიმეტრიისა და სტილიზებისთვის იყენებს როგორც ჰორიზონტალურ ხაზებს, ისე ასოების ნაწილებს. 1907-1915 წლებში ამკვეთრებს გ და ტ ასოებს და ფაქსიმილეს დაბოლოებას დართულ ზედა და ქვედა, ჰორიზონტალურ ხაზებს. 1916 წლიდან კი ცვლის დამოკიდებულებას, არ იყენებს პარალელურ ხაზებს და ამკვეთრებს მხოლოდ ასოებს, ძირითადად – გ, ლ-ს ზედა ხაზს, ტ, ნ ასოებსა და ზოგჯერ ო-საც. 1916-1919 წლებში სამიოდე შემთხვევა გვაქვს. ძირითადად კი ამ ტიპის

მუშაობას იწყებს 1922 წლიდან და აგრძელებს ბოლომდე, 1958 წელსაც გვხვდება სტილიზებული ასოები.

ფაქსიმილეს ამ ქრონოლოგიურმა ჩარჩომ და ასევე, კვლევისას გამოკვეთილმა სხვა გრაფემატულმა თავისებურებებმა საშუალება მოგვცა დაგვეთარიღებინა დაუთარიღებელი ხელნაწერები.

საკვანძო სიტყვები: *გალაკტიონოლოგია, გრაფემატული კვლევები, ავტოგრაფი, ფაქსიმილე.*

Ia Ghadua

PhD in Philology
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
Curator of Unicum Books Collection
Tbilisi, Georgian
ORCID: https://orcid.org/0000-0002-7434-2519
ghaduaia@gmail.com

Dating Manuscripts Through Galaktion Facsimiles and Graphematic Analysis

Graphematic studies, a branch of digital humanities, enable the precise scientific rather than hypothetical dating of texts. Over time, an author's handwriting acquires specific characteristics, necessitating a comprehensive study of these evolving features over the years. In such research, every detail is of utmost importance. Facsimiles are particularly valuable, as it is well-documented that writers and public figures invest significant effort in developing their unique facsimiles. Galaktion's facsimiles, in particular, provide an excellent source, allowing researchers to trace both the development and stylization of each grapheme.

Galaktion Tabidze's archive, the majority of which is housed in the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, presents a significant opportunity for graphematic research due to its extensive collection of both dated and undated texts spanning a 52-year period. The archive includes numerous dated manuscripts from 1905 to 1959, alongside a substantial number of undated documents.

As for Galaktion Tabidze's facsimiles, the poet exhibits exceptional diversity in his handwriting, with distinct stylistic variations. There are periods during which every poem on each page is signed, and instances where multiple signatures appear on a

single page. This variability offers valuable insights into how the poet engaged with his written work, reflecting his meticulous attention to detail.

To identify the specific characteristics of Galaktion Tabidze's facsimiles, we systematically analyzed all his manuscripts spanning different years and compiled a comprehensive database. This approach enabled us to track how the poet evolved his handwriting, noting additions, deletions, and stylistic changes such as the frequent use of a treble clef-like ending. Our database analysis revealed several distinctive features, including the utilization of horizontal lines and letter parts for symmetry and stylization. Notably, between 1907 and 1915, Galaktion emphasized the sharpness of letters like 'g' and 't', along with upper and lower horizontal lines, particularly in the stylized endings of his facsimiles. From 1916 onwards, there was a noticeable shift in approach, characterized by a reduction in the use of parallel lines, focusing instead on sharpening specific letters such as 'g', 'l', 't', 'n', and occasionally 'o'. We encounter some three such cases in 1916-1919. This stylistic evolution persisted from 1922 onwards, with stylized letters continuing to appear in his facsimiles until the end of his career in 1958.

The established chronological framework of Galaktion Tabidze's facsimiles, combined with other graphematic features identified during our research, facilitated the dating of previously undated manuscripts.

Keywords: *Graphematic studies, Galaktion, autograph, facsimile.*

მარიამ ყამარაული

ფილოსოფიის დოქტორი
ჰამბურგის უნივერსიტეტი
ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტი
ჰამბურგი, გერმანია
ORCID: https://orcid.org/0009-0006-0404-4424
mariam.kamarauli@uni-hamburg.de

თანამედროვე ქართული ენა და დეტერმინაციული ფრაზის (DP) ჰიპოთეზა

დეტერმინაციული ფრაზა მორფოსინტაქსური დონის ფენომენია და სახელური ფრაზის საგანგებო შემთხვევას წარმოადგენს. სახელური ფრაზისაგან (NP) განსხვავებით, რომელსაც არსებითი სახელი (ანუ სახელური ფრაზის თავი) მართავს, DP- ჰიპოთეზა მიიჩნევს, რომ ფრაზის სტრუქტურული თავი არის დეტერმინატორი. ისეთ წინადადებაში, როგორიცაა "the big tree," სახელური ფრაზა "big tree" გაანალიზებულია, როგორც ფრაზის თავის ანუ დეტერმინატორის (ამ შემთხვევაში არტიკლის) დამატება.

DP-ჰიპოთეზამ ფართო აღიარება მოიპოვა 1987 წელს აბნის სადისერტაციო ნაშრომის „ინგლისური ენის სახელური ფრაზა მის სენტენციალურ ასპექტში“ გამოქვეყნების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ DP-ჰიპოთეზას მომდევნო წლებში არაერთი მეცნიერი შეეხო და გაამყარა იგი მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სემანტიკური არგუმენტებით, დეტერმინაციული ფრაზის საკითხი დღემდე ღიად რჩება იმ ენებისათვის, რომლებსაც არ გააჩნია არტიკლი (ყამარაული 2022:169). DP-ჰიპოთეზის უნივერსალურობის დასადგენად ჯ. ბოშკოვიჩმა სიღრმისეულად შეის-წავლა აღნიშნული საკითხი და შეიმუშავა NP/DP-ს მქონე ენების დადგენის პარამეტრები. ბოშკოვიჩის მიერ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით ერთმანე-თისაგან უნდა განვასხვავოთ უარტიკლო და არტიკლის მქონე ენებს, ვინაიდან არტიკლის არსებობა დაკავშირებულია გარკვეულ ენობრივ თვისებებთან, რომლებიც უნდა გააჩნდეს NP-ენებს (რომლებიც ასევე ცნობილია როგორც უარტიკლო ენები) ისე DP-ენებს (რომლებიც ცნობილი როგორც არტიკლის მქონე ენები).

ჩვენ შევეცადეთ ბოშკოვიჩის მიერ შემუშავებული პარამეტრების ტესტირების საშუალებით დაგვედგინა, ენათა რომელ ტიპს მიეკუთვნება თანამედროვე ქართული. ზოგიერთი პარამეტრი გამოყენებადია თანამედროვე ქართულთან მიმართებით და იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე ქართული NP-ენათა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი პარამეტრია მაგალითად:

- მხოლოდ უარტიკლო ენებში არის შესაძლებელი წინადადების წევრების თავისუფალი წყობა (Bošković 2012: 184).

  a) ბავშვ-ი თამაშ-ობ-ს კალათბურთ-ს
  child-NOM.SG play-TAM-S3SG.PRES basketball-DAT.SG

  b) ბავშვ-ი კალათბურთ-ს თამაშ-ობ-ს

child-NOM.SG basketball-DAT.SG play-TAM-S3SG.PRES

c) კალათბურთ-ს თამაშ-ობ-ს ბავშვ-ი
basketball-DAT.SG play-TAM-S3SG.PRES child-NOM.SG

d) კალათბურთ-ს ბავშვ-ი თამაშ-ობ-ს
basketball-DAT.SG child-NOM.SG play-TAM-S3SG.PRES

e) თამაშ-ობ-ს ბავშვ-ი კალათბურთ-ს
play-TAM-S3SG.PRES child-NOM.SG basketball-DAT.SG

f) თამაშ-ობ-ს კალათბურთ-ს ბავშვ-ი
play-TAM-S3SG.PRES basketball-DAT.SG child-NOM.SG

'The/a child plays basketball'

ბოშკოვიჩის მიერ შემუშავებული პარამეტრებიდან ზოგიერთი პარამეტრის გადამოწმება, როგორიცაა „მხოლოდ არტიკლის მქონე ენებში არის დაშვებული კლიტიკის რედუპლიკაცია“ (Bošković 2012: 187), შეუძლებელია თანამედროვე ქართულში, ვინაიდან მას არ გააჩნია ნაცვალსახელური კლიტიკა.

ზოგი პარამეტრის გამოყენება თანამედროვე ქართულ ენასთან მიმართებით მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ქართულ ენას გააჩნია როგორც NP-ს, ისე DP-ს თვისებები. ასეთია მაგალითად:

- ნეგატიური კონსტიტუენტები უნდა იყოს ფოკუსირებული უარტიკლო ენებში (Bošković 2012: 190)

შდრ.:

g) არ-ც-ერთ-ი
NEG-FOC-one-NOM.SG

h) ვერ-ც-ერთ-ი'not even one'
NEG-FOC-one-NOM.SG

i) ნურ-ც-ერთ-ი
NEG-FOC-one-NOM.SG

მართალია თანამედროვე ქართულს არ გააჩნია უარყოფითი კონსტიტუენტების ფოკუსირების სავალდებულო მარკირება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მათი აღნიშვნა.

ჩემი პრეზენტაციის მიზანი იქნება არა ზოგადად DP-ჰიპოთეზის განხილვა, არამედ NP/DP პარამეტრების შემოწმება თანამედროვე ქართულზე და შედეგების შეფასება.

წინასწარი კვლევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართულ ენას აქვს როგორც NP, ასევე DP სტრუქტურების თვისებები. აღნიშნული გარემოება მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას და საშუალებას იძლევა უკეთ წარმოვაჩინოთ ქართული ენის თავისებურებები თანამედროვე თეორიების ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა:
Bošković, Ž. (2012). On NPs and clauses. In: Discourse and grammar: From sentence types to lexical categories, edited by Günther Grewendorf and Thomas Ede Zimmermann, 179–245. Berlin: de Gruyter.
Kamarauli, M. (2022). The Nominal Domain in Georgian: A Diachronic Analysis. Wiesbaden: Reichert Verlag.

საკვანძო სიტყვები: *თანამედროვე ქართული, სახელური ფრაზა, დეტერმინაციული ფრაზა.*

Mariam Kamarauli

PhD in Philosophy
University of Hamburg
Centre for the Study of Manuscript Cultures (CSMC)
Post-Doc Goethe-Universität Frankfurt am Main
Hamburg, Germany
https://orcid.org/0009-0006-0404-4424
mariam.kamarauli@uni-hamburg.de

The Modern Georgian language and the DP-hypothesis

The DP-hypothesis has gained widespread acceptance ever since Abney's seminal dissertation "The English noun phrase in its sentential aspect" in 1987. The DP-hypothesis, in contrast to NPs that are headed by a noun, suggests that the determiner is the structural head of a phrase like "the big tree," and "big tree" is analyzed as a complement to this head. Supported by several linguists, the DP-hypothesis can be defended by morphological, syntactic and semantic arguments, whereas the question of articleless languages and their ability to possess the DP-structure remains until today (Kamarauli 2022: 169). For this, Ž. Bošković developed his NP/DP parameters that addressed the issue of the DP's universality. These parameters distinguish between languages with and without articles because they relate to certain linguistic properties that NP-languages, also known as languages without articles, and DP-languages, also known as languages with articles, ought to possess.

Some of the parameters apply to Modern Georgian and argue for it to be an NP-language:

- "Only languages without articles may allow scrambling" (Bošković 2012: 184).

j) bavšv-i tamašobs ḳalatburt-s
child-NOM.SG play.S3SG.PRES basketball-DAT.SG

k) bavšv-i ḳalatburt-s tamašobs
child-NOM.SG basketball-DAT.SG play.S3SG.PRES

l) ḳalatburt-s tamašobs bavšv-i
basketball-DAT.SG play.S3SG.PRES child-NOM.SG

m) ḳalatburt-s bavšv-i tamašobs
basketball-DAT.SG child-NOM.SG play.S3SG.PRES

n) tamašobs bavšv-i ḳalatburt-s
play.S3SG.PRES child-NOM.SG basketball-DAT.SG

o) tamašobs ḳalatburt-s bavšv-i
play.S3SG.PRES basketball-DAT.SG child-NOM.SG
'The/a child plays basketball'

Some parameters, such as "Only languages with articles may allow clitic doubling" (Bošković 2012: 187) do not apply to Modern Georgian, as the language does not possess pronominal clitics.

Other parameters argue in favor of both NP and DP qualities being represented in Modern Georgian, such as:

- "Negative constituents must be marked for focus in article-less languages" (Bošković 2012: 190)

p) ar-c-ert-i
NEG-FOC-one-NOM.SG

q) ver-c-ert-i 'not even one'
NEG-FOC-one-NOM.SG

r) nur-c-ert-i
NEG-FOC-one-NOM.SG

Modern Georgian has no obligatory focus marking of negative constituents but can mark them if necessary.

The aim of this presentation will not be to discuss the DP-hypothesis in general but to test the NP/DP parameters on Modern Georgian and to evaluate the results. The results will reveal that the Modern Georgian language has qualities of both NP and

DP-structures and bring more insight to the applicability of modern linguistic theories on the Modern Georgian language.

References

Bošković, Ž. (2012). On NPs and clauses. In: Discourse and grammar: From sentence types to lexical categories, edited by Günther Grewendorf and Thomas Ede Zimmermann, 179-245. Berlin: de Gruyter.

Kamarauli, M. (2022). The Nominal Domain in Georgian: A Diachronic Analysis. Wiesbaden: Reichert Verlag.

Keywords: *Modern Georgian, noun phrase (NP), determiner phrase (DP).*

ამინ ყეზელბაშანი

დამოუკიდებელი მკვლევარი
თეირანი, ირანი
aminghezelbashan@gmail.com

ხუზისტანის ქართველ დიდებულთა ადგილი ირანის ისტორიაში

მიუხედავად იმისა, რომ *ხუზისტანის* (ირანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინცია) ქართველები ნაკლებად არიან ცნობილნი, მათ ირანის ისტორიაში სეფიანთა ეპოქიდან *ფეჰლევიანთა* მმართველობის ჩათვლით, სხვადასხვა სფეროებში მუდმივად ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები, რასაც ადასტურებს თანამედროვე ისტორიოგრაფიული კვლევები. *ხუზისტანის* ქართულ საგვარეულოთა წარმომადგენლები სხვადასხვა პერიოდებში იყვნენ ბეგლარბეგები, *დივანბეგები*, ელჩები ინდოეთსა და ოსმალეთში, სახელმწიფო ხაზინის უფროსები (*მოსტოუფი*), შაჰის გვარდიის სარდლები (*ყულარაღასი*), მეფისნაცვლები (შაჰ თამაზ II ის დროს) და აგრეთვე მრავალი სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო, სასამართლო და სასულიერო თანამდებობების მფლობელები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულ საგვარეულოთა წარმომადგენლები ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგაც ინარჩუნებენ თავიანთ მაღალ პოზიციებს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს *ხუზისტანის* ბარათაშვილთა საგვარეულო, რომლის წარმომადგენლებსაც 120 წლის განმავლობაში 100-მდე უმაღლესი თანამდებობა ეკავათ, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში, ასევე სხვადასხვა რეგიონებშიც, რაც თავისი მასშტაბებით ნებისმიერ მკვლევარს გააოცებს.

ხუზისტანის მცირერიცხოვანი ქართული თემის გამორჩეულობის კიდევ ერთი ნიშანია ის, რომ ისინი ირანის სხვა რეგიონების ქართველებთან შედარებით, გარდა ზოგიერთი საგვარეულოს ჩვეულებრივი რიგითი ქართული წარმოშობისა, ძირითადად გვიანი შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების მაღალი არისტოკრატიული ოჯახების შთამომავლები იყვნენ. ამ ფეოდალურ საგვარეულოებს აქვთ ან ინდივიდუალური ისტორია, ან სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ხანგრძლივი სამსახურის გამოცდილება. ასეთი ცნობილი საგვარეულოებია: ბარათაშვილების, *აბინეზადეგანების*, *მირშექარბაშიანების* და ა.შ., რომელთა წარმომადგენლებიც წყაროებში მოიხსენიებიან, როგორც კარგი სახელის მქონე, ხალხის და სახელმწიფოს მმართველების წინაშე დიდი სამსახურისა და ამაგის გამწევი და უაღრესად ერთგული ადამიანები. სწორედ ამიტომაც ქართულ საგვარეულოთა წარმომადგენლები სეფიანთა ეპოქიდან ირანის სახელმწიფოს უკიდურესი აღმოსავლეთი რეგიონიდან *ყანდაჰარიდან* (დღევანდელი ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი), *ქერმანის*, დასავლეთით *ხუზისტანის*, ქვეყნის ცენტრალური ნაწილის, სამხრეთით ფარსისა და სპარსეთის ყურის რეგიონების ჩათვლით აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე და ეს პროცესი დღესაც გრძელდება თანამედროვე ირანში. როგორც ცნობილია ბარათაშვილთა საგვარეულოს საუკუნეების განმავლობაში დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა თვითონ

საქართველოშიც და ამ გვარის ბევრი წარმომადგენელი გამორჩეული ხელოვანები, პოეტები, სახელმწიფო, საერო, სასულიერო, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართველი ერის ისტორიაში.

ხუზისტანის ქართულ საგვარეულოთა წარმომადგენლებმა ირანის ისტორიაში სახელი გაითქვეს, როგორც მეცნიერებმა, კულტურის მოამაგეებმა, ხელოვანმა კალიგრაფებმა, პოეტებმა, მწერლებმა, მთარგმნელებმა, სხვა მეცნიერთა და ხელოვანთა მფარველებმა, რელიგიური თუ საერო არქიტექტურის აღმშენებლებმა, სამხედრო სარბიელზე დიდი წარმატებების მქონეებმა (ირანსა და ინდოეთს შორის მოგებული შვიდი ომი). ერთ-ერთი საგვარეულოს ქალიშვილის *ხუზისტანის* ერთ-ერთი დიდი არაბული საგვარეულოს წარმომადგენელზე დინასტიურმა ქორწინებამ კი, საფუძველი დაუდო ახალ არაბულ-ქართულ საგვარეულოს, რომლის წარმომადგენლებიც თავიანთ გენეალოგიას ითვლიან მამის ხაზით არაბული და დედის ხაზით ქართული საგვარეულოებიდან.

წარმოდგენილ გამოკვლევაში მოკლედ და შეჯამებულად იქნება მიმოხილული ირანის ისტორიაში ხუზისტანის ქართული წარმოშობის საგვარეულოთა წარმომადგენლების მოღვაწეობა სეფიანთა ეპოქაში და მის შემდგომ, ნაჩვენები იქნება ადგილობრივ გავლენიან ქართველ დიდებულთა ადგილი და როლი ირანის სახელმწიფოს ისტორიის ბოლო 450 წლის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: *ირან-საქართველოს ურთიერთობები, ქართული საგვარეულოები, ხუზისტანი, ბარათაშვილები*

Amin Ghezelbashan

Independent Researcher
Tehran, Iran
aminghezelbashan@gmail.com

The place of the Georgian nobles of Khuzestan in the history of Iran

Although the Georgians of Khuzestan (a province located in the south-west of Iran) are little known, in the history of Iran from the Safavid era to the Pahlavi rule, they have continuously held the highest state positions in various fields, which is confirmed by modern historiographical studies. Representatives of the Georgian clans of Khuzistan in different periods were Beglarbegs, Divanbegs, ambassadors to India and Ottomans, heads of the state treasury (Mostoufi), commanders of the Shah's Guard (Qullaraghasi), crown princes (during Shah Tahmasb II) and also holders many other important political, administrative, military, court and religious positions. It is interesting the fact that the representatives of Georgian nobles from Khuzistan kept their high positions in the administrative structures of the state even

after the Islamic revolution of Iran. Special mention should be made of the Baratashvili clan of Khuzistan, whose representatives held about 100 high positions in 120 years, both in the central government and in various regions, which will surprise any researcher with its scale.

Another sign of the distinctiveness of the small Georgian community of Khuzestan is that, compared to the Georgians of other regions of Iran, apart from the ordinary Georgian origin of some lineages, they were mostly descendants of high aristocratic families of late medieval Georgian society. These lineages have either an individual feudal history or a long history of service in the state government system. Such well-known families are: Baratashvili, Abinezadegan, Mirshekarbashian, etc., whose representatives are mentioned in the sources as having a good name, doing great service and honor to the people and the rulers of the state, and being extremely loyal people. That is why, representatives of Georgian clans from the Safavid era were actively represented at various levels of government from the extreme eastern region of the Iranian state, including Kandahar (today's southwestern region of Afghanistan), Kerman, Khuzestan in the west, the central part of the country, Fars and the Persian Gulf regions in the south, and this process continues in modern Iran. As it is known, the Baratashvili family had a great name and influence in Georgia itself for centuries, and many representatives of this family were distinguished artists, poets, state, secular, religious, military and public figures who left an important mark in the history of the Georgian nation.

The representatives of the Georgian clans of Khuzestan made a name for themselves in the history of Iran as scientists, champions of culture, artistic calligraphers, poets, writers, translators, patrons of other scientists and artists, builders of religious and secular architecture, and those with great military success (seven wars won between Iran and India). The dynastic marriage of the daughter of one of the Georgian clans to the representative of one of the great Arab clans of Khuzistan laid the foundation for a new Arabic-Georgian clan, whose representatives trace their genealogy from the Arab and Georgian lineages of the father's line and the mother's line.

In the presented work, the activity of the representatives of Georgian descent from Khuzestan in the history of Iran will be briefly reviewed in the Safavid era and after it, the place and role of the influential Georgian nobles in the last 450 years of the history of the Iranian state will be shown.

Keywords: *Iranian-Georgian relations, Georgian clans, Khuzistan, Baratashvili.*

ნანა შავთვალაძე

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-1485-275X
n.shavtvaladze@ug.edu.ge

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების B2 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა

ენის შესწავლა და შემდგომ მისი განვითარება საკმაოდ რთული პრიცესია. უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გარემო. ენის, როგორც უცხო ენის შესწავლის ფუნქცია გააქტირუებულია მსოფლიოში, რადგან საჭიროება და სურვილი უდიდესია. შემსწავლელი როდესაც უკვე B2 დონეზე გადადის, ენობრივად უკვე ბევრი საკითხი დაძლეული აქვს. მას შეუძლია შედარებით უფრო მაღალ დონეზე კომუნიკაცია, შეუძლია გაიგოს საუბარი, როდესაც ელაპარაკებიან ნელა და გარკვევით ყოველდღიურ საკითხებზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში მან შეიძლება სთხოვოს მოსაუბრეს, გაუმეოროს ნათქვამი ან განუმარტოს ესა თუ ის სიტყვა. შემსწავლელს შეუძლია სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემაზე. მას შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშეც ჩაერთოს ისეთ საუბარში, რომელიც ყოველდღიურობის თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება და და გამოთქვას საკუთარი აზრი.

თუ უკვე შემსწავლელი ინიშნავს კიდეც საუბრისას ინფორმაციას და თანმიმდევრულად აყალიბებს წერილობით საკუთარ აზრს, მაშინ ის მზადაა დაიწყოს და შეისწავლოს B2 დონე. აღარ ვორჭოფობთ, რომ ოთხი უნარია განმაპირობებელი ენის სრულყოფილად შესასწავლად; ამ ოთხი უნარიდან სწავლებისას წინ ყოველთვის მოდის კომუნიკაციური უნარი – ის მაინც უპირატესია, რადგან ენა ადამიანთა შორის ურთიერთობის დასამყარებლად, სოციალური გარემოს შესაქმნელად უმნიშვნელოვანესია.

ენათა დონეები, როგორც ვიცით, ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR-Common European Framework Reference) მიხედვითაა დადგენილი. საკითხი დგება არის თუ არა ერთი და იგივე მიმართება ამ შესასწავლ დონეზე და თუ არა – რა განსხვავებაა. რათქმა უნდა, უფრო იოლად მიდის საქმე, როცა ლატინური ენიდან შექმნილ ენებზეა საუბარი. კონსტრუქცია ერთი არ არის, მაგრამ მსგავსია. სულ სხვაა სიტუაცია სლავურ ენებსა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთა შემავალ ენებში.

ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით B2 დონე საკმაოდ მნიშვნელოვანი დონეა. ამ დონეზე ადამიანს უჩნდება აზრი, რომ ფლობს ენას, ესმის, კომუნიკაციას ამყარებს, პრობლემას ჭრის, კონტაქტობს, თუმცა ყველაზე კარგად მაინც თავად ხვდება, რომ ენის სრულყოფისთვის და დეტალების გასაგებად მეტი გზა აქვს დარჩენილი.

ამ დონეზე როცა გვყავს სტუდენტები ჩვენს საგანმანათლებლო ცენტრში, ბუნებრივია, ჩვენც, შემდგენლებსა და მომხმარებლებსაც, გვაინტერესებს არსებული გამოცდილება. გასაგებია, რომ სტუდენტმა B2 დონეზე დამტკიცებული დონეების მიხედვით უნდა შეძლოს ბევრი რამ.

B2 ზღვრული განვითარებული დონეა. ამ დონეზე შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია: კომუნიკაციის დამყარება; ბუნებრივი, ძალდაუტანებელი საუბრის წარმართვა; დაწვრილებით გაგება ყველაფერი იმისა, რასაც სალიტერატურო ენით ეუბნებიან, თუნდაც ქუჩის ხმაური უშლიდეს ხელს ან რაიმე სხვა გარემოება. ენის ცოდნის ამ საფეხურზე შემსწავლელს შეუძლია გაუგებრობის გამომწვევი შეცდომების გასწორება, მას უვითარდება არგუმენტირებული დისკუსიისა და საქმიანი საუბრის წარმართვის ჩვევები.

რა თქმა უნდა, ოთხივე უნარი უნდა იყოს შესაბამისად გააქტიურებული. მოსმენისას შემსწავლელმა უნდა შეძლოს ქართული სალიტერტურო ენის ნორმების დაცვით წარმართული სასაუბრო მეტყველების გაგება ნაცნობ და უცნობ თემებზე როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ სხვადასხვა სფეროში ურთიერთობისას. შემსწავლელს შეუძლია ძირითადად ყველაფერი გაიგოს აქტუალურ თემებზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟებიდანაც.

საკვანძო სიტყვები: *ქართული ენა; ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა-სწავლება, ენების საერთო ევროპული ჩარჩო, ენის სწავლების სტანდარტი,*

Nana Shavtvaladze

PhD in Philology
The University of Georgia
Professor, Head of Georgian Philology Department
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-1485-275X
n.shavtvaladze@ug.edu.ge

Requirements and Description for the B2 Level of Teaching Georgian as a Foreign Language

Learning a language and its further development is a very challenging process, with the environment playing an important role. The function of learning a language as a foreign language is increasingly important worldwide due to the growing need and desire. By the time a learner reaches the B2 level, they have already overcome many linguistic challenges. They can communicate at a relatively higher level, and understand conversations spoken slowly and clearly about everyday matters, though they may occasionally ask the speaker to repeat or explain a word. A learner at this level can fully comprehend a simple text containing factual material on topics of

interest. They can engage in conversations about everyday topics and their personal interests, and express their opinions even without prior preparation.

If the learner can already take notes while speaking and consistently formulate their own opinions in writing, they are ready to start studying at the B2 level. No doubt mastering a language requires proficiency in all four skills; among these, communication skills are always prioritized in teaching. This is because language is crucial for establishing relationships between people and creating a social environment.

Language levels, as we know, are determined according to the Common European Framework of Reference for Languages (CEFR). The question arises whether there is a uniform relationship at this studied level and, if not, what the differences are. Of course, things are easier when discussing languages derived from Latin; while the construction is not identical, it is similar. The situation is entirely different for Slavic languages and languages included in the Iberian-Caucasian language group.

According to the CEFR, level B2 is quite significant. At this level, a person feels they possess the language, understand it, establish communication, solve problems, and communicate effectively. However, they also realize there is still a long way to go to perfect the language and understand its nuances.

At this level, when we have students in our educational center, it is natural that we, the compilers and users, are interested in existing experiences. A student should be able to do many things at the B2 level according to the approved standards.

B2 is a highly developed level. At this level, the learner can: establish communication freely, conduct natural and effortless conversations, and understand in detail everything said to them in literary language, even if street noise or other circumstances interfere. At this stage, the learner can correct mistakes that cause misunderstandings and develop habits of argumentative discussion and business conversation.

Of course, all four abilities must be accordingly activated. While listening, the learner should be able to understand conversational speech conducted according to the norms of the Georgian literary language on both familiar and unfamiliar topics, in personal and public interactions. The learner can also understand almost everything from TV reports on current topics in literary language.

Keywords: *Georgian Language, teaching Georgian as a foreign language, CEFR (Common European Framework of Reference for Languages), language teaching standards.*

თეონა შავლოხაშვილი

დოქტორანტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
teonashavlokhashvili@gmail.com

აბუხალოს სკიტე (გამოქვაბულების კომპლექსი)

აბუხალოს სკიტე მდებარეობს ძამის ხეობაში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდინარე ძამის სათავეში ზღვის დონიდან 1480 მეტრზე, ქარელიდან 35 კილომეტრის დაშორებით, აბუხალოს სკიტე გამოქვაბულების კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ღრმა ხევშია მოქცეული.

კომპლექსი თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით. იგი წარმოადგენდა კლდეში ნაკვეთ რვა სხვადასხვა ზომის ქვაბულისაგან შემდგარ მონასტერს. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით კი ძეგლი თარიღდება ფეოდალური ხანით. აბუხალოს სკიტეში აღმოჩენილია გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

აბუხალოს გამოქვაბულების კომპლექსი წარმოადგენდა თავდაცვით ნაგებობებს, რასაც მოწმობს, სათოფურები, რომლებიც დატანებულია ქვაბულებში. აქ მოსახლეობა თავს აფარებდა ხანგრძლივი ომების პერიოდში. იგი გამიზნული იყო ხანგრძლივი გარემოცვისთვის და იქ შეხიზნულები მომარაგებული იყვნენ წყლითა და სურსათით, აგრეთვე აბუხალოს სკიტეში იყო სამლოცველო. აბუხალო მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია ძამას ხეობაში აქედან გზა გადადის გუჯარეთით ბორჯომის ხეობაში, რასაც ვახუშტიც აღნიშნავს: „აბუხალოს დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთსო“.

ამრიგად ძამის სათავეებიდან გზა გადადის: აბუხალოდან გუჯარეთ ბორჯომის ხეობაში, მუხილეთიდან ატენის ხეობაში, ძამიდან ხაშურის რაიონში. სოფელ გვერძნეთან ეს გზები ერთდებიან და მიემართებიან ძამის ხეობით ქარელში სადაც ძამა მტკვარს უერთდება. ამ ხეობაში თავდაცვითი ნაგებობებიც ამის მიხედვით არის განლაგებული, რათა შემოსული მტრებისაგან ხეობა დაეცვა. ამ თავდაცვით ქვაბულის ვიწრო გზა ჩამოდიოდა სათიბებში და ყანებში, საიდანაც თივა და პური შემოჰქონდათ, აღმოსავლეთით კი გადასვლა შეიძლებოდა აბუხალოს ხეობაში. ეს თავდაცვითი ნაგებობა მტრისათვის ძნელი მისადგომი იყო. დღეს მნახველს აოცებს ქვაბულის გამოკვეთის ოსტატობა, მშენებლობის ტექნიკა. აგურის ნაგებობათა და სამლოცველოს მოხატულობის სტილის მიხედვით აბუხალოს ქვაბული მიეკუთვნება მე-17-18 საუკუნეებს. და გამიზნული იყო უმთავრესად დაღესტნელი აბრაგებისაგან თავდასაცავად.

სოფელ აბუხალოსთან მდებარეობს ასევე აბუხალოს უღელტეხილი ტანისა და ძამის წყალგამყოფზე ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, რომელსაც გადასასვლელი აქვს მდინარე ტანას ატენის ხეობის სათავეებიდან გორის რაიონის სოფელ ბოშურიდან მდინარე ძამას ხეობაში. სოფელ გვერძნეთში უღელტეხილის სამხრეთით არის ამავე სახელწოდების მწვერვალი ზღვის დონიდან 2250 მეტრზე.

ლეონტი მროველის ცნობით აბუხალოს ხევში „განუხვრიტეს კლდეი იგი, რომელიც რბილ იყო და ადვილად სახვრეტელი“ მთის-ხეობა ფრიალო კალთები

ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით დაფარული, და ბუნებრივი წყაროებით მდიდარი....“ ხეობის მოსახლეობისათვის თავდაცვით დამცავ არეს ქმნიდა ხეობაში, მიუვალ კლდოვან ადგილებში ბუნებრივ გამოქვაბულთა სიმრავლე. კერძოდ აბუხალოს ხევში ციცაბოდ აზიდული კირქვისა და ქვიშა ქვის მძლავრი ქანები

აბუხალოს სკიტეში დღეს მიმდინარეობს სამონასტრო ცხოვრება გამოქვაბულებში კი განთავსებულია ბერების საცხოვრებელი კელიები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სკიტე დღესაც ძნელად მისადგომია, და მერცხლის ბუდესავით გადმოსცქერის ძამის ხეობას.

საკვანძო სიტყვები: *ძამის ხეობა, აბუხალო, აბუხალოს სკიტე, გამოქვაბულების კომპლექსი*

Teona Shavlokhashvili

PhD Student
Sokhumi State University
Gori, Georgia
teonashavlokhashvili@gmail.com

Scythe of Abukhalo (Complex of Caves)

Scythe of Abukhalo is located in the valley of Dzama, on the northern slope of the Trialeti ridge at the head of the Dzami river at 1480 m above sea level, 35 cm from Kareli.

The complex dates back to the XVII-XVIII centuries. It was a rock-cut monastery consisting of eight different-sized pots. According to archaeological data, the monument dates back to the feudal era. Fragments of baked clay vessels were found in Abukhalo skeete.

The complex of Abukhalo caves was a defensive structure, which is evidenced by the cannons placed in the cauldrons. Here the population took refuge during long wars. It was intended for a long stay, and the pilgrims were supplied with water and food there, and there was a chapel in the skeete of Abukhalo. Abukhalo is an important strategic place in the Dzama valley, from here the road passes through Gujarati to the Borjomi valley, which Vakhushti also mentions: "The road to Gujarat passes west of Abukhalo".

Thus, the road goes from the headwaters of Dzama: from Abukhalo to Borjomi valley in Gujarati, from Mukhileti to Ateni valley, from Dzam to Khashuri district. These

roads join near the village of Gverdzneti and go through the Dzama valley to Kareli, where the Dzama joins the Mtkvari. The defensive structures in this valley are also located according to this, in order to protect the valley from incoming enemies. The narrow path of this defense led down to the meadows and fields, from where hay and bread were brought in, and to the east it was possible to go to the valley of Abukhalo. This defensive structure was difficult for the enemy to reach. Today, the visitor is amazed by the skill of carving the stone, the construction technique. According to the brick constructions and the painting style of the chapel, Abukhalo's pottery belongs to the 17th-18th centuries. and it was intended primarily to defend against Dagestani raids.

The Abukhalo pass is also located near the village of Abukhalo on the watershed of Tana and Dzama at 2200 meters above sea level, which has a passage from the headwaters of the Ateni valley of the Tana river from the village of Boshuri in Gori district to the valley of Dzama river. In the village of Gverdzneti, south of the pass, there is a peak of the same name at 2250 m above sea level.

According to Leonti Mroveli, in the ravine of Abukhalo: "They holed the rock, which was soft and easy to hold" The rolling slopes of the mountain-valley are covered with deciduous and coniferous forests, and rich in natural springs..."

The abundance of natural caves in inaccessible rocky places in the valley created a defensive area for the inhabitants of the valley. In particular, the strong rocks of limestone and sandstone in Abukhalo gorge.

Today, monastic life continues in Abukhalo Skite, and the living of the monks are located in the caves. It should be noted that even today this scythe is difficult to reach, and it protrudes like a swallow's nest from the valley of Dzama.

Keywords: *The Valley of Dzama, Abukhalo, The scythe of Abukhalo, Complex of caves.*

ეგნატე შამუგია

საქართველოს უნივერსიტეტი
კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise
მკვლევარი
თბილისი, საქართველო
e.shamugia@ug.edu.ge

სამი ათწლეული: ინსტიტუტების განვითარება

სამი ათწლეულის წინ, კომუნიზმის ჩამოშლამ და მომდევნო პერიოდმა წარმოშვა უახლესი ისტორიის ალბათ ყველაზე დიდი ბუნებრივი ექსპერიმენტი ეკონომიკურ რეფორმებზე. ეს მოვლენა წარმოადგენს მაგალითს, სადაც ინსტიტუტები, შეიძლება ითქვას, ერთ ღამეში შეიცვალა და განაგრძეს სწრაფი განვითარება. თუმცა, ინსტიტუციური განვითარების ტემპით ქვეყნები მკვეთრად განსხვავდებიან. ასევე, განსხვავება ჩანს ეკონომიკური განვითარების შედეგებსა და რესურსების განაწილებაში. ინსტიტუტების შესწავლით დაკავებული ეკონომისტები ეკონომიკურ კეთილდღეობის დონის და განაწილების ძირითად ფაქტორად ინსტიტუტების ხარისხს გვთავაზობენ.

ინსტიტუტები კი ესაა საზოგადოებაში თამაშის წესები, რომლებიც ადამიანურად შექმნილი შეზღუდვებია. უზრუნველყოფს რა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურას, რაც ამცირებს განუსაზღვრელობას და წარმოადგენს მათ შორის ურთიერთქმედების სახელმძღვანელოს. შედეგად, ინსტიტუციები ქმნის სტიმულების სტრუქტურას ადამიანებს შორის გაცვლაში, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური. ინსტიტუტები ფორმალურ და არაფორმალურ კატეგორიებად იყოფა. ფორმალური ინსტიტუციები უპირველეს ყოვლისა კონსტიტუცია, კანონები და სხვა ნორმატიული აქტებია, ხოლო არაფორმალური კი – ადათ-წესები, ქცევის ეთიკური ნორმები და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ განვითარებაში ინსტიტუტების საკვანძო როლზე კონსენსუსია. ამ უკანასკნელის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის არხები ფართოდ შესწავლილია. ერთი ესაა ტრანზაციული დანახარჯები და მეორე, ინსტიტუტები სტიმულების ქმნიან ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისთვის, ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა და წარმოების ორგანიზებაში. ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კერძო საკუთრების სტრუქტურას. ასეთი ინსტიტუტი პოსტკომუნისტურ სივრცეში სამი ათწლეულის წინა ჩამოყალიბდა, რომლის ხარისხის არაერთგვაროვანია.

მართალია, ინსტიტუტების ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენა ფართო თეორიული და ემპირიული ლიტერატურის არსებობით გამოირჩევა, მაგრამ თავად ინსტიტუტების ჩამოყალიბება, მათი განვითარება და ხარისხი ნაკლებად შესწავლილია. თუმცა, არსებულ მწირი ლიტერატურა ინსტიტუტების შესწავლისას რამდენიმე ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას. ამ კუთხით საინტერესო ფენომენი მეოცე საუკუნის მიწურულის უდიდესი გეოპოლიტიკური მოვლენა – საბჭოთა კავშირის დაშლა და გეგმიური ეკონომიკური სისტემიდან საბაზროზე გადასვლისთვის საჭირო ინსტიტუტების შექმნის პროცესია.

აწმყოში ინსტიტუტების ხარისხის განმაპირობებელი საკვანძო ფაქტორი შეიძლება წარსული ხანგრძლივი გამოცდილება იყოს. მიმდინარე პერიოდში ინსტი-

ტუტების ხარისხს პრე-კომუნისტურ პერიოდში არსებული ინსტიტუციური გამოცდილება და კულტურა განაპირობებს. ამასთან მოსალოდნელია, რომ ინსტიტუტების ხარისხის მნიშვნელოვანი ამხსნელი გარდაქმნის პერიოდში არსებული რევოლუციები და გადატრიალებები იყოს. ინსტიტუტების ხარისხის მნიშვნელოვან დეტერმინანტად საგარეო დახმარება, მისი სტრუქტურა და მიღების პირობები მოიაზრება. სხვებს შორის კი გამოკვეთილია ეგზოგენური ფაქტორები, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები.

ჩვენი მიზანი კი პოსტკომუნისტური ქვეყნების ემპირიული ანალიზის საფუძველზე ინსტიტუტების ხარისხის დეტერმინანტების გამოვლენა და მათი გავლენის შეფასებაა. როგორც აღვნიშნეთ, კომუნიზმის ჩამოშლა ასევე რეფორმების დიდი ბუნებრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი იყო, რაც შემოთავაზებული ჰიპოთეზის შემოწმების მეთოდოლოგიის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: *ინსტიტუტები, ეკონომიკური განვითარება, პოსტკომუნისტური ქვეყნების ემპირიული ანალიზი.*

ხათუნა ჩაფიჩაძე

სოციალური მეცნიერებების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-3556-0927
khatuna.khatuna@gmail.com; kh.chapichadze@gtu.ge

რუსული მიგრაცია საქართველოში – პროექტი „ახალი ნოვოროსია“ საკითხისათვის

მოხსენება შეეხება საქართველოში ბოლოდროინდელი რუსული მიგრაციისა და ფაქტობრივად, ერთგვარი რუსიფიკაციის აქტუალური ტენდენციების გააზრებას, რომლებიც მომდინარეობს და/ან გაძლიერდა რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში.

ჩვენ გავაანალიზებთ რუსეთიდან სწორედ ვლადიმერ პუტინის ავტორიტარული მმართველობის შედეგად ზოგადად გაზრდილი ემიგრაციის ჯერ კიდევ საკმაოდ სტაბილურ პროცესს, რაც გამწვავებულია და ატარებს დროდადრო კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს – ევროპაში მიმდინარე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი უპრეცედენტო მასშტაბის კონფლიქტიდან გამომდინარე.

ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნულ მიგრაციულ პროცესებს და თანმხლებ რუსიფიკაციის პოლიტიკას თუ, როგორც მინიმუმ, ამგვარი ტიპის მცდელობებს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის უშუალო სამეზობლოში აქვს ადგილი; სწორედ იმ სამეზობლოში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის საქართველოც, საუკუნეების მანძილზე, პირდაპირ თუ ირიბად, და ამასთან, ირონიულად და პარადოქსულად, – რუსული იმპერიალიზმის გავლენის ისტორიულ არეალს წარმოადგენს და ახლაც – რუსული ოკუპაციის უშუალო მსხვერპლია.

მოხსენებაში, პირველყოვლისა, განვმარტავთ, თუ რას გულისხმობს – ისტორიული „ნოვოროსია“, ე. წ. ახალი რუსეთი და „რუსული სამყაროს“ უფრო ფართო იმპერიალისტური კონცეფცია. შევეცდებით გავარკვიოთ ახალი პროექტის რაობა და მისი პერსპექტივები ცვალებადი მიკრო და მაკრო გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, სხვა გარემოებებთან ერთად.

მოხსენება დაეყრდნობა წინააღმდეგობრივ და საკმაოდ რთულად დასადგენ, მათ შორის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე – სხვადასხვა ანალიტიკური ცენტრის და ორგანიზაციის, მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს და სხვა ინსტიტუციების ანგარიშებს.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის მრავალგანზომილებიანი გააზრების პროცესში შეიძლება უკიდურესად რთული იყოს იმის მტკიცება, რომ საქართველოში მიმდინარე უდავო რუსიფიკაციის მცდელობა წინასწარ იყო დაგეგმილი რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ, ასეთი დიდი რაოდენობით – ათასობით და ასობით ათასი რუსი ემიგრანტის რელოკაციის პროცესი, – საგულისხმო – სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოსთვის, სადაც 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 3 694 მილიონი

ადამიანი ცხოვრობს, ობიექტურად, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის საფრთხეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

აღსანიშნავია ასევე, რომ, თუმცა საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსების ზოგიერთმა სექტორმა უდავოდ ისარგებლა რუსული ნაკადების, კერძოდ, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებისა და ადამიანების შემოდინებით, რომლებმაც განაგრძეს და რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვნად განავითარეს თავისი ეკონომიკური საქმიანობა ახალი დანიშნულების ქვეყანაში, ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას, რომ ადგილობრივი საცხოვრებელი პირობები ქვეყნის მოსახლეობისთვის არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც, რაც ცალკე ანალიზის საგანია.

საკვანძო სიტყვები: *რუსული მიგრაცია საქართველოში; საქართველო; რუსეთი; პროექტი „ახალი ნოვოროსია“; რუსიფიკაცია.*

Khatuna Chapichadze

PhD in Social Sciences
Georgian Technical University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-3556-0927
khatuna.khatuna@gmail.com; kh.chapichadze@gtu.ge

Russian Migration to Georgia – For the Issue of the New Novorossiya Project

The paper discusses the current trends of recent Russian migration to Georgia and, in fact, a kind of Russification, which originates and/or has been intensified under the conditions of the Russia-Ukraine war.

We will analyze the still rather stable process of emigration from Russia, which has generally increased as a result of the authoritarian rule of Vladimir Putin, aggravated, and has an even more intense character from time to time – due to the conflict of an unprecedented scale after the Second World War in Europe.

It is significant that the above-mentioned migration processes and accompanying Russification policy, or at least attempts of this type, primarily take place in Russia's immediate neighborhood; In that neighborhood, a significant part of which, including Georgia, for centuries, directly or indirectly, and at the same time, ironically and paradoxically, represents the historical area of influence of Russian imperialism and is still a direct victim of Russian occupation.

In the paper, first of all, we will explain what it means – the historical "Novorossiya," the so-called New Russia and the wider imperialist concept of the "Russian world." We will try to find out the nature of the new project and its prospects, taking into account the changing micro- and macro-geopolitical or geoeconomic factors, among other circumstances.

The paper will be based on contradictory and rather difficult-to-determine statistical data, including the one provided by the National Statistics Office of Georgia (Geostat), as well as reports of various think tanks and organizations, for example, the Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Transparency International Georgia and other institutions.

In a comprehensive analysis of the issue, it may be difficult to conclusively prove that Russification efforts in Georgia were explicitly directed by the Russian leadership. Nevertheless, the relocation of such a large number—thousands, even hundreds of thousands—of Russian immigrants is significant for a small South Caucasian state like Georgia, which, as of January 1, 2024, has a population of 3.694 million. Regardless of intent, this influx poses clear and varied threats to Georgia's national security.

It should also be noted that, although some sectors of the economy and finances of Georgia undoubtedly benefited from the Russian influxes, in particular, middle-income families and people who continued and in some cases significantly developed their economic activities in the new destination country, at the same time, it should be emphasized that the local living conditions for the population of the country have not only improved, but have also deteriorated, which is the subject of a separate analysis.

Keywords: *Russian migration to Georgia; Georgia; Russia; The New Novorossiya Project; Russification*

ეკა ჩიკვაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
მეცნიერი-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
0009-0002-4096-6427

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“

VI საუკუნის ქართლი და ტექსტთან დაკავშირებული პრობლემატიკა

ქრისტიანობამ არა მხოლოდ სააზროვნო თუ მსოფლმხედველობრივი საფუძველი შეუქმნა გაქრისტიანებულ ერებს, არამედ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი კვალი დატოვა მათს კულტურულ ისტორიაში; ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისთვის ქრისტიანობა (მიუხედავად დამწერლობისა თუ მწერლობის დასაწყისთან დაკავშირებული ნაირგვარი ჰიპოთეზისა) ლიტერატურული თვალსაზრისითაც აღმოჩნდა წყალგამყოფი წარმართულსა და ქრისტიანულ კულტურათა შორის. ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად გავრცელებული ლიტერატურული პროდუქცია, მათ შორის, აგიოგრაფიული ლიტერატურაც, ქართველი ავტორებისთვის ბერძნულ სივრცეში შექმნილ-შემუშავებულ შაბლონებს უკავშირდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული აგიოგრაფიის ყოველი დიდი თუ მცირე ნიმუში თავისებური ორიგინალურობით გამოირჩევა, ხოლო ტექსტებში ასახული პრობლემების რკალიც მჭიდრო ერთობას ქმნის იმ ისტორიულ რეალობასთან, რომლის წიაღშიც მასში აღწერილი პროცესები აღესრულება, ტექსტი კი იქმნება. „ევსტათი მცხეთელის წამება“ მაზდეანური სპარსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის ფონზე გაქრისტიანებულ სპარსთა მიერ გამოვლენილი ქრისტიანული მოშურნეობის ამსახველი ძეგლია და ერთადერთი აგიოგრაფიული თხზულებაა, რომლის სახელწოდებაშიც ქართული „წამების“ ნაცვლად მისი ბერძნული ეკვივალენტი – „მარტვლობაა“ ასახული. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით. მათგან ყველაზე ძველი XI საუკუნის ხელნაწერი H-341-ია. ცილობას არ იწვევს, რომ ევსტათის წამების ავტორი წმინდანის თანამედროვე (ისე, როგორც შუშანიკის, აბოს წამებათა ან სხვა აგიოგრაფიული ტექსტებისა) და ამბის უშუალო თვითმხილველი (სავარაუდოდ, – მცნობელიც) უნდა იყოს („და გამოიყვანნეს იგინი მიერ საპყრობილით და მოვიდეს იგინი ვანად თჳსა ქრისტეანებით. და სათნოდ ღმრთისა ცხონდებოდეს ნეტარნი იგი. და *რომელმან-მე მათგანმან ნებითა ღმრთისაჲთა შეისჭენა ყამად-ყამად და რომელნი-მე ცოცხალ არიან*“[6]); ტექსტი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. მათ შორის, კომპოზიციურად და თხრობის სტილით, რომელიც გაცილებით ჩამოყალიბებულია, ვიდრე პირველი ეტაპის კიმენურად წოდებული ტექსტი ითვალისწინებს და, ამავე დროს, ვხვდებით ერთ

[6] ტექსტს ვიმოწმებთ TITUS (ფრანკფურტის ი. ვ. გოეთეს უნივერსიტეტის პროფ. ი. გიპერტის პროექტის) ინტერნეტ-გვერდიდან: http://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm?/texte/texte2.htm

პრობლემურად მოხსენიებულ ფრაზას, რომელსაც ისეთი ღრმად განსწავლული მკვლევარიც კი, როგორიც კ. კეკელიძეა, მონოფიზიტურად მიიჩნევა. ეს ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელთა შესახებ მსჯელობაც ქართული აგიოგრაფიის ბუნებას მნიშვნელოვან კონტურებს სძენს. ამავე დროს, ცნობილია, რომ ევსტათი აწამეს 551 წელს, პირვანდელი ტექსტი სწორედ 551 წლის ახლო პერიოდში უნდა შექმნილიყო, შესაბამისად, აღწერს მე-6 საუკუნის შუახანების ქართლის ვითარებას. აღმოსავლეთ საქართველოში მომრავლდნენ ცეცხლთაყვანისმცემლები (რომელთაც ქართლში ვხედავთ „წმინდა შუშანიკის წამებაშიც“ – გავიხსენოთ მოგვის ეპიზოდი, „წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც“ – გაცილებით მასშტაბურად), რომელნიც, ქრისტიანებთან „მშვიდობიანი“ ურთიერთობის მიუხედავად, სპარსთა მარზპანის მხარდაჭერით სარგებლობა ყოველთვის შეეძლოთ. შესაბამისად, მათი უფლებრივი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო. როგორც ევსტათის მარტვილობაში, ისე ნინოს ცხოვრების ამსახველ ტექსტებში ვხვდებით ებრაელთა თემს. ე. ი. საქმე გვაქვს მულტიკულტურულ სივრცესთან, რომელშიც (მიუხედავად ჰეგემონიის შედეგებისა) თანაცხოვრობდა სამი რელიგიური და სარწმუნოებრივი კულტურა – ქრისტიანული, იუდეური და მაზდეანური (რომელიც მუსლიმური სარწმუნოების ჩამოყალიბებისა და არაბთა შემოჭრის შემდეგ ჩაანაცვლა მუსლიმურმა). შესაბამისად, ევსტათის მარტვილობის ამსახველი ტექსტი (სხვა აგიოგრაფიულ ძეგლთა მსგავსად) თანადროული საზოგადოების რაგვარობის გასააზრებლად უმნიშვნელოვანესია.

საკვანძო სიტყვები: *აგიოგრაფია, დოგმატიკა, მაზდეანობა, ქრისტიანობა*

Eka Chikvaidze

Ivane Javakhishvili Tbilsi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Researcher
Tbilisi, Georgia
0009-0002-4096-6427

"Martyrdom of St. Eustathius Mtskheteli" 6th century Kartli and text-related problems

Christianity not only created a thought and worldview basis for the Christianized nations but also left an important and multifaceted mark in their cultural history; For the centuries-old history of the Georgian nation, Christianity (regardless of any hypothesis related to writing or the beginning of writing) turned out to be a watershed between pagan and Christian cultures from a literary point of view. Literary productions spread with the introduction of Christianity, including hagiographic literature, and were connected to templates created and developed in the Greek space for Georgian authors. Still, every large or small sample of Georgian hagiography is distinguished by its own originality, and the arc of problems depicted in the texts creates a close unity with that historical reality. , in the heart of which the processes described in it are performed, and the text is created. "The Martyrdom of Eustathius Mtskheteli" is a monument depicting the Christian zeal shown by the Christianized Persians against the background of the annexation of Eastern Georgia by Mazdean Persia, and it is the only hagiographic work whose title contains the Greek equivalent of "martyrdom" instead of the Georgian "martyrdom". "The Martyrdom of Eustathius Mtskheteli" has been preserved in several manuscripts. The oldest of them is the 11th-century manuscript H-341. It is not surprising that the author of the martyrdom of Eustathius should be a contemporary of the saint (just like the martyrdom of Shushanik, Abo or other hagiographical texts) and a direct eyewitness (probably, an informant) of the story ("And they brought him out of prison ... and some of them are alive"); The text attracts attention in many ways. Among them, compositionally and with a narrative style that is much more established than the so-called Kimenian text of the first stage provides, and at the same time we find one problematically mentioned phrase, which even such a deeply learned scholar as K. Kekelidze is considered monophysite. These are important issues, the discussion of which adds important contours to the nature of Georgian hagiography. At the same time, it is known that Eustace was tortured in 551, the original text must have been

created around 551, therefore, it describes the situation in Kartli in the middle of the 6th century. In Eastern Georgia, fire-worshippers (whom we see in Kartli also in the martyrdom of St. Shushanik) - let's remember the episode of the magus, in the life of St. Nino - on a much larger scale), who, despite the "peaceful" relationship with Christians, could always benefit from the support of the Persian marzipan.

Consequently, their legal status was much better. Both in the simplicity of Eustathius and in the texts depicting the life of Nino, we find the Jewish community. i.e. We are dealing with a multicultural space in which (despite the consequences of hegemony) three religious and religious cultures coexisted - Christian, Jewish, and Mazdean (which was replaced by Muslim after the formation of the Muslim faith and the Arab invasion). Therefore, the text depicting the simplicity of Eustathius (like other hagiographical monuments) is crucial for understanding the nature of contemporary society.

Keywords: *Hagiography, dogmatics, Mazdaism, Christianity.*

ცირა ჩიკვაიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ისტორიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0009-7976-4233
ts.chikvaidze@ug.edu.ge

აშშ-ის საჯარო კანონი 86 90

„ცივი ომის“ პერიოდში აშშ-ში მკვიდრდება ტერმინი „დაპყრობილი ერები“, რომელიც გამოიყენებოდა იმ ხალხების მიმართ, რომლებიც „აღმოჩნდნენ საბჭოთა კომუნიზმის იმპერიალისტური და აგრესიული პოლიტიკის ტყვეობაში მსოფლიოში და ასევე, იმ ერების მიმართ, რომლებიც იმყოფებოდნენ საბჭოთა ბატონობის ქვეშ და რომლებსაც წაართვეს ეროვნული დამოუკიდებლობა და პირადი თავისუფლება“.

„დაპყრობილი ერების“ ქვეშ მოიაზრებოდა საბჭოთა კავშირში (რუსეთის გამოკლებით) შემავალი და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. 1959 წლის 17 ივლისს აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა დუაიტ დ. ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა პროკლამაციას, რომლის მიხედვითაც ივლისის თვის მესამე კვირა ცხადდებოდა, როგორც „დაპყრობილი ერების კვირა“ და რომ „ყოველწლიურად მსგავსი პროკლამაციების გამოცემა გაგრძელდებოდა მანამ, სანამ არ იქნებოდა მიღწეული მსოფლიოს ყველა დაპყრობილი ერების თავისუფლება და დამოუკიდებლობა“.

„დაპყრობილი ერების კვირის“ რეზოლუციის ინიციატორი, ავტორი და ლობისტი გახლდათ ამერიკაში დაბადებული უკრაინელი ემიგრანტების ვაჟი ლევ დობრიანსკი (1918–2008). ის იყო ამერიკელი ისტორიკოსი, ეკონომისტი, ვაშინგტონის ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტის პროფესორი და დიპლომატი. ლევ დობრიანსკი იყო ასევე ამერიკაში გამომავალი „უკრაინული კვარტალური ჟურნალის“ *The Ukrainian Quarterly* სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე. აშშ-ში მყოფი უკრაინელი, ქართველი და სხვა „დაპყრობილი ერების“ ემიგრანტებისათვის ეს ჟურნალი იყო საუკეთესო ტრიბუნა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ჟურნალთან ქართველი ემიგრანტები, მათ შორის ვ. ნანუაშვილიც თანამშრომლობდა და აქვეყნებდა სტატიებს.

ლევ დობრიანსკის მცდელობამ შედეგი გამოიღო და აშშ-ში მიღებულ იქნა „საჯარო კანონი 86 90“, სადაც ხაზგასმული იყო, რომ 1918 წლიდან რუსული კომუნიზმის იმპერიალისტურმა და აგრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია უზარმაზარი იმპერიის შექმნა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნდა არა მარტო შეერთებული შტატების, არამედ მთელი თავისუფალი ხალხების უსაფრთხოებას მსოფლიოში; რომ კომუნისტური რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, პირდაპირი თუ არაპირდაპირი აგრესიის მეშვეობით, გამოიწვია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების, ჩრდილოეთ კორეის, ალბანეთის, ჩრდილოეთ ვიეტნამის და სხვ. ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა; რომ შეერთებული შტატების ხალხები იზიარებდა ამ ქვეყნების მისწრაფებას მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის; რომ 1959

წლის ივლისის მესამე კვირა ცხადდებოდა, როგორც „დაპყრობილი ერების კვირა“ და შეერთებული შტატების ხალხებს მოუწოდებდა აღენიშნათ ეს კვირა შესაბამისი ცერემონიებითა და ღონისძიებებით.

აშშ-ის „საჯარო კანონი 86 90“-ის თანახმად, აშშ-ში, ვაშინგტონში 1959 წელს ჩამოყალიბდა ანტიკომუნისტური ორგანიზაცია „დაპყრობილი ერების ეროვნული კომიტეტი“ (The National Captive Nations Committee, NCNC). მისი დამფუძნებელი და თავმჯდომარე დიდი ხნის განმავლობაში იყო სწორედ ლევ დობრიანსკი.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენამდე „დაპყრობილი ერების“ სიაში იყო საქართველოც. მოყოლებული 1959 წლიდან აშშ-ის ყველა პრეზიდენტი თავს მოვალედ მიიჩნევდა მთელი მსოფლიოსათვის შეეხსენებინა, რომ საბჭოთა რეჟიმი თრგუნავდა თავისუფლებასა და დემოკრატიას მთელ მსოფლიოში. საქართველოსათვის „დაპყრობილი ერების კვირეულმა“ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ბატონობისა და კომუნისტური მმართველობისაგან თავის დაღწევაში.

საკვანძო სიტყვები: *დაპყრობილი ერები, დობრიანსკი ლ., საქართველო, საბჭოთა რეჟიმი, „ცივი ომი“.*

Tsira Chikvaidze

The University of Georgia
Professor, Head of the Department of History
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-7976-4233
ts.chikvaidze@ug.edu.ge

US Public Law 86-90

During the “Cold War” period in the United States, the term "Captive Nations" became established. It was used to refer to those peoples who "found themselves in the grip of Soviet communism's imperialist and aggressive policies around the world, as well as those nations that were under Soviet domination and had their national independence and individual liberties taken away.“

The term “Captive Nations” referred to the countries within the Soviet Union (excluding Russia) and those in the socialist bloc. On July 17, 1959, US President Dwight D. Eisenhower signed a proclamation designating the third week of July as "Captive Nations Week" and stating that similar proclamations would continue to be issued annually until the freedom and independence of all captive nations around the world were achieved.

The initiator, author, and lobbyist of the "Captive Nations Week" resolution was Lev Dobriansky (1918-2008), the son of Ukrainian immigrants born in America. He was an American historian, economist, professor at Georgetown University in Washington, and diplomat. Lev Dobriansky was also the chairman of the editorial board of "The Ukrainian Quarterly," a journal published in America. For Ukrainians, Georgians, and other immigrants from "captive nations" residing in the U.S., this journal was the best platform for the struggle against the Soviet regime. Georgian immigrants, including V. Nanuaishvili, collaborated with the journal and published articles there.

Lev Dobriansky's efforts yielded results, and the United States enacted "Public Law 86-90," which emphasized that since 1918, the imperialist and aggressive policies of Russian communism had led to the creation of a vast empire that posed a serious threat not only to the United States but to the security of all free peoples worldwide. The imperialist policies of Communist Russia, through both direct and indirect aggression, had caused the situation in Eastern and Central Europe, countries within the Soviet Union, North Korea, Albania, North Vietnam, and others. Loss of national independence; that the people of the United States shared the aspirations of these countries for the restoration of their freedom and independence; that the third week of July 1959 was declared as "Captive Nations Week" and called on the people of the United States to observe this week with appropriate ceremonies and events.

According to the U.S. 'Public Law 86-90,' in 1959, an anti-communist organization called the 'National Captive Nations Committee' (NCNC) was established in Washington, D.C. The founder and chairman of this organization for a long time was indeed Lev Dobriansky.

Before the dissolution of the Soviet Union and the restoration of independence by Georgia, Georgia was also listed among the "Captive Nations." Since 1959, every U.S. president felt it was their duty to remind the entire world that the Soviet regime was suppressing freedom and democracy worldwide. For Georgia, the "Captive Nations Week" played a significant role in the struggle to free itself from Soviet rule and communist governance.

Keywords: *Captive Nations, Cold War; Dobriansky L., Georgia, Soviet Regime.*

ნინო ჩიქოვანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტი პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-8294-0586
nino.chikovani@tsu.ge

გმირები და ანტიგმირები „ახალი მეხსიერების“ კონსტრუირების პროცესში

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია გმირებისა და ანტიგმირების სახეთა ფორმირებისა და ინსტიტუციონალიზაციას პროცესის შესწავლა. საკვლევი პერიოდი საბჭოთა კავშირის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულს მოიცავს, ანუ ნგრევის პროცესში მყოფი სისტემიდან ახალ, ჯერ კიდევ ბუნდოვან რეალობაზე გარდამავალ პერიოდს. ასეთ პერიოდებში მნიშვნელოვანი ხდება კოლექტიური მეხსიერების რეკონსტრუქცია ქვეყნის წინაშე მდგარი ახალი ამოცანების შესაბამისად და „ახალი მომავლისათვის“ საჭირო „ახალი წარსულის“ შექმნა. ჩნდება ახალი ეროვნული გმირები – ერთგვარი გზამკვლევები, ღირსებისა და გმირობის ნიმუშები, რომლებიც იმედს და გამბედაობას უნერგავენ თანამედროვეებს და შთამომავლებს. გმირთა სახეები სოციალური და კულტურული კონსტრუქციებია, მათი მნიშვნელობა იცვლება ისტორიული პერიოდისა და კონტექსტის მიხედვით.

მას შემდეგ, რაც პერესტროიკამ მნიშვნელოვნად შეასუსტა საბჭოთა სისტემის მიერ დაწესებული აკრძალვები და შეზღუდვები, ხოლო ე. წ. საჯაროობის პოლიტიკამ ისტორიის ბევრი მანამდე უცნობი ან კარგად დავიწყებული ფაქტი გამოააშკარავა, წარსული – კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსაზღვრელი – ერთბაშად მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. დაიწყო წარსულთან ანგარიშსწორებისა (პიერ ნორა) და აქტიური დავიწყების (ალეიდა ასმანი) პროცესი. საბჭოთა ეპოქის გმირები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ კვარცხლბეკებს – არა მხოლოდ მატერიალურს, არამედ სიმბოლურსაც. მათ ადგილს ახალი გმირები და სიმბოლოები იკავებდნენ. ნაშრომში შესწავლილია კონკრეტული ფაქტები, რომლებიც წარსულის ახალი სურათის შექმნისა და მასზე დაფუძნებული ახალი მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესს ასახავს, ნაჩვენებია ქართველთათვის უმნიშვნელოვანესი მეხსიერების ადგილების გარდაქმნა ახალი იდენტობის სიმბოლოებად, რაშიც მთავარ როლს სწორედ „ძველი“ და „ახალი“ გმირების დაპირისპირების სხვადასხვაგვარი გამოვლინება ასრულებდა.

კვლევის პროცესში გაანალიზებული მასალა (მონუმენტები, მემორიალები, ტექსტური წყაროები) გააზრებულია კოლექტიური მეხსიერების თეორიის ჩარჩოში, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ კონკრეტული ფიგურები, რომლებიც გმირებად/ანტიგმირებად ყალიბდებიან გარდამავალ პერიოდში, ადგილს უცვლიან ერთმანეთს და ზემოქმედებენ მოვლენათა განვითარებაზე გარდაცვალების/დაღუპვის შემდეგაც. ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იან ასმანის მიერ შემოთავაზებულ კომუნიკაციური და კულტურული

მეხსიერების კონცეფციას: შესასწავლი პერიოდი ჯერ არ გასცილებია კომუნიკაციური მეხსიერების დროით ჰორიზონტს; მისი ცალკეული ნაკადები ჯერ კიდევ ძლიერია და ისინი მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანეთს ამა თუ იმ პერსონაჟისთვის მინიჭებული მნიშვნელობების ირგვლივ, ანუ კულტურულ მეხსიერებაში მათი დამკვიდრების ან წაშლის პერსპექტივისათვის. თომას კარლაილისა და მაქს ვებერის მიერ განსაზღვრული გმირისა და ლიდერის მახასიათებლები საფუძვლად დაედო გმირებისა და ანტიგმირების, ან ასეთად ყოფნის ამბიციის მქონე ქართველი პოლიტიკოსების იმიჯების ჩამოყალიბებისა და ცვლილებების ახსნას.

კოლექტიური მეხსიერების კულტურული ჩარჩოსა და იმ კულტურულ საშუალებათა შესწავლას, რომელთა ინსტიტუციონალიზაციის გზით იქმნება და ნარჩუნდება/გადაიხედება მეხსიერება, საფუძვლად დავუდეთ პიერ ნორას მეხსიერების არეების (lieux de memoire) კონცეფცია. ნორას მიხედვით, გმირები/ ანტიგმირებიც მეხსიერების არეებია, რომელთა ინსტიტუციონალიზაცია თუ დეინსტიტუციონალიზაცია კოლექტიური მეხსიერებისა და მასზე დაფუძნებული იდენტობის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საკვანძო სიტყვები: *კოლექტიური მეხსიერება, გმირები, ანტიგმირები, გარდამავალი პერიოდები, პიერ ნორას მეხსიერების არეები.*

Nino Chikovani

PhD in History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-8294-0586
nino.chikovani@tsu.ge

Heroes and Anti-heroes in the Process of Constructing a "New Memory"

The paper aims to explore the process of formation and institutionalization of heroes and anti-heroes in the last years of the Soviet Union and the first decade of independence. This was the period of transition from the collapsed Soviet system to a new, still unclear reality. In the period of transition, it becomes important to reconstruct the collective memory following the new goals of the country, and to create the "new past" for the "new future". New national heroes appear, who provide models of honour and heroism, and inspire hope and courage in contemporaries and descendants. Images of heroes are social and cultural constructions, their significance changes according to historical period and context.

Perestroika significantly weakened prohibitions and restrictions imposed by the Soviet system. Politics of “glasnost” revealed previously unknown or almost forgotten

facts of history. The past - one of the most important markers of collective identity – appeared in the focus of public attention. The process of taking revenge on the past (P.Nora) and active forgetting (A.Assmann) started. Heroes of the Soviet era were falling from material as well as symbolic pedestals. New heroes and symbols took their place. The paper examines concrete facts that reflect the process of creating a new image of the past and forming a new memory based on this image. Transformation of the most important places of memory into the symbols of new identity is presented, in which the main role was played by various manifestations of the conflict between "old" and "new" heroes.

Empirical material (monuments, memorials, political statements, textual sources) is analyzed within the framework of the theory of collective memory, which allows us to identify specific figures who become heroes/anti-heroes in the period of transition; their meanings changed, and they influenced developments in the country even after death. The concept of communicative and cultural memory proposed by Ian Assmann is particularly important for our research: the period under discussion remains within the temporal framework of communicative memory; its different streams are still strong, and they hotly debate the meanings assigned to various personages and perspective of their establishment in the cultural memory.

The study of the cultural framework of collective memory and cultural means through which the memory is created and maintained/revised is based on Pierre Nora's concept of sites of memory (lieux de mémoire). According to Nora, heroes/anti-heroes are sites of memory, whose institutionalization or de-institutionalization plays an important role in the process of building collective memory and identity.

Keywords: *Collective memory; Heroes and anti-heroes; Post-Soviet transition; Sites of Memory, Pierre Nora's Concept of Sites of Memory.*

ნინო ჩიხლაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-3133-7330
nino_chikhladze@yahoo.com; Nino.chikhladze@ug.edu.ge

XX საუკუნის 70-80-იანი წლების *შუშანიკის წამების* ვიზუალიზაციის მხატვრულ-ისტორიული კონტექსტი

უძველესი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ დაწერილი დედოფლის პირადი მოძღვრის, იაკობ ხუცესის (ცურტაველის) მიერ, გამორჩეული ლიტერატურული ქმნილებაა, თუმცა მის მიმართ თანამედროვე ქართველ ხელოვანთა საგანგებო ინტერესი განსაკუთრებული სიმძაფრით XX საუკუნის 70-იანი წლებში გამოვლინდა, რაც არ იყო შემთხვევითი.

XX საუკუნის 70-იანი წლები საქართველოში ეროვნული მოძრაობის სულის-კვეთების მზარდი განწყობების გამომხატველი პერიოდია, რომლის კულმინაციასაც 1978 წლის 14 აპრილის მანამდე არნახული საერთო სახალხო გამოსვლა წარმოად-გენდა ქართული ენის დასაცავად. საზოგადოებამ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისთვის და მიაღწია საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის უკან გაწვევას, რომლის ამოქმედების შედეგადაც უნდა გაუქმებულიყო ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი. ვფიქრობთ, გარკვეულწილად ამ მოვლენათა საპასუხო გაგრძელებაა ქართული ენის უძველესი ცოცხალი ძეგლის – „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავის საყოველთაო აღნიშვნა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ესენია სამეცნიერო კონფერენციები, პუბლიკაციები, თეატრალური და საოპერო დადგმებიც კი, რომელთა გააზრებისა და მხატვრული გადაწყვეტის დროს ფართო გასაქანი მიეცა ტექსტის თავისუფალი ინტერპრეტირებისა და პერსონაჟთა ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვის კუთხით წარმოჩენის შემოქმედებით პროცე-სებს. ამან გააჩინა საფუძვლიანი ანალიზისა და მწვავე კრიტიკის შემცველი უაღრესად საინტერესო პოლემიკური ტექსტები ლიტერატურულ თუ სახელოვნებო პერიო-დიკაში. პარალელურად მოეწყო გამოფენები და განხორციელდა „შუშანიკის წამების“ რამდენიმე ილუსტრირებული გამოცემა, სადაც გამოჩნდა მხატვრული დასურათების განსხვავებული მიდგომები, რომელთა შორის გამოვყოფთ ორ უმთავრესს. ერთ შემთხვევაში მხატვრები გვთავაზობენ ტრადიციული კულტურულ-ისტორიული კონტექსტისგან თავისუფალ ვერსიას და მარტვილობის ტექსტის მოტივებზე შექმნილ ილუსტრაციებს (ზურაბ ნიჟარაძე, ლორეტა შენგელია-აბაშიძე, ლევან ცუცქირიძე), მეორე მიდგომით, მხატვარი არა მხოლოდ მისდევს ტექსტს, გამოკვეთს მის სემან-ტიკურ მნიშვნელობას, არამედ ითვალისწინებს ნაწარმოების ეპოქას (მამია მალაზონია, კარლო ფაჩულია).

1978 წელს დაწყებული „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავის აღნიშვნა 1983 წელს დაგვირგვინდა განსაკუთრებული გამოცემით, რომელშიც ნუსხურითა და მხედ-

რულით შესრულებული „შუშანიკის წამების“ ქართული ტექსტის გარდა, მოცემულია რუსული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული, ესპანური და გერმანული თარგმანები. ამით წიგნი ნაწარმოების მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად გააზრების პრეტენზიასაც აცხადებს, თუმცა მას არ გააჩნია სამეცნიერო აპარატი და „განწირულია“ საბჭოთა ჩაკეტილ სივრცეში არსებობისთვის. ვფიქრობთ, ის უფრო ვიზუალური არტეფაქტია (შემდგენელი და რედაქტორი ოთარ ეგაძე), რომელსაც ძირითადად, სწორედ მხატვრები ქმნიან. განსაკუთრებულ ღირებულებას მას სძენს რვა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტილისა და მიდგომის მხატვართა (მამია მალაზონია, ბელა ბერძენიშვილი, სამეული, ლევან ცუცქირიძე, ზურაბ ნიჟარაძე, თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ ჯაბაძე, ლორეტა შენგელია) 62 ილუსტრაცია, რომლებშიც ჩანს ზემოთდასახელებული ორივე ტიპის მხატვრული მიდგომა. მათში არეკლილია 60-იანი წლების რეფორმატორ მხატვართა თაობის პიროვნული და ეროვნული თავისუფლების ძიების ნიშნები და ამიტომაც ისინი ქმნიან ღირებულ არტეფაქტებს, რომლებიც XX საუკუნის 70-80-იანი წლების ეროვნული მხატვრული ძალების გამოღვიძების ნათელ გამოვლინებად აღიქმევა დღესაც.

საკვანძო სიტყვები: *შუშანიკის წამება, XX საუკუნის 70-80-იანი წლები, თეატრალური და საოპერო დადგმები, ილუსტრაციები.*

Nino Chikhladze

PhD in Art History
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-3133-7330
nino_chikhladze@yahoo.com; nino.chikhladze@ug.edu.ge

Artistic and Historical Context of the Visualization of "The Martyrdom of St. Shushanik" in the 1970s-80s

The ancient Georgian hagiographic work "The Martyrdom of the Holy Queen Shushanik," written by the Queen's father confessor, Jacob the Priest (Jacob of Tsurtavi), is an outstanding piece of literature. However, special interest in it manifested among modern Georgian artists with intensity in the 1970s, which was no coincidence.

The 1970s of the 20th century saw a period marked by a growing spirit of national movement in Georgia, culminating in an unprecedented public demonstration on April 14, 1978, aimed at defending the Georgian language. The society was able to

resist the leadership of the Soviet Union and managed to repeal Article 75 of the constitution, which, if enacted, would have revoked the national status of the Georgian language. We believe that the widespread celebration of the 1500th anniversary of the oldest living monument of the Georgian language – "The Martyrdom of St. Shushanik" – and associated events were partially a response to these circumstances. These included scientific conferences, publications, and even theatrical and opera productions, in the interpretation and artistic execution of which creative processes of free interpretation of the text and representation of characters from different perspectives have gained wide scope. This has resulted in captivating polemical texts within literary and artistic periodicals, featuring profound analysis and incisive criticism. At the same time, exhibitions were held and several illustrated editions of "The Martyrdom of St. Shushanik" were released, where various approaches to artistic images emerged, among which we can highlight two primary ones. In one instance, artists explore interpretations free from traditional cultural-historical contexts and motifs derived from texts of martyrdom (Zurab Nizharadze, Loretta Shengelia-Abashidze, Levan Tsutskiridze). In another approach, artists faithfully follow the text, emphasizing its semantic significance while also considering the era in which the work was written (Mamia Malazonia, Carlo Pachulia).

The celebration of the 1500th anniversary of "The Martyrdom of St. Shushanik," initiated in 1978, culminated in a special edition in 1983. This edition not only featured the original Georgian text of "The Martyrdom of St. Shushanik" written in Nuskhuri and Mkhedruli scripts but also included translations into Russian, Latin, English, French, Spanish, and German. Thus, despite lacking scholarly apparatus and existing within the confines of the closed Soviet space, the book aims to be recognized as a monument of global significance. We view it more as a visual artifact (compiled and edited by Otar Egadze), primarily created by artists. Of particular significance are the 62 illustrations by eight artists with completely different styles and approaches (Mamia Malazonia, Bela Berdzenishvili, Sameuli, Levan Tsutskiridze, Zurab Nizharadze, Tengiz Mirzashvili, Zurab Jabadze, Loretta Shengelia). These artworks encompass both mentioned types of artistic approaches. They reflect the pursuit for personal and national freedom of the generation of reformist artists of the 1960s, thus creating valuable artifacts, which even today are regarded as a vivid manifestation of the awakening of national artistic forces in the 1970s and 1980s.

Keywords: *The Martyrdom of Saint Shushanik, 1970s and 1980s, theatrical and opera productions, Illustrations.*

ნარი ჩხაბერიძე

საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტის წევრი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0001-7011-4818
chkhaberidzenari@gmail.com

გნოსეოლოგიის სიკეთესთან მიმართების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ასპექტები

საკონფერენციო მოხსენება ეხება გნოსეოლოგიის სიკეთესთან მიმართებით მიმოხილვას ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო თვალსაზრისებით. გნოსეოლოგია, როგორც ცოდნის შესაძლებლობებისა და მისი შესაბამისობის საკითხის შემსწავლელი ფილოსოფიური თეორია, აყენებს მოთხოვნას: „შეიცან თავი შენი“, რათა გაიგო, რა შეგიძლია, რა იცი, და ამით მოუწოდებ საკუთარ თავს ახალი ცოდნის შემეცნებისკენ. ამის მოთხოვნილება შესაქმიდანვე დაჰყვა ადამიანს, როგორც შემოქმედის მსგავსსა და ხატს, თუმცა, ადამიანის სურვილი, თავისი შემოქმედის მსგავსად ყოვლისმცოდნე გამხდარიყო, იმთავითვე უპირობო მარცხისთვის იყო განწირული. მიუხედავად ამისა, დღემდე, შემეცნების ობიექტის შემეცნებას მიმართავს – შემეცნების სუბიექტი. ის არის პიროვნება, რომელიც შემეცნებას მიმართავს ტრანსცენდენტურ (თავის გარეთ), და იმანენტურ (თავის შიგნით) სინამდვილეში. ადამიანს ღვთისადმი მსგავსება აძლევს შესაძლებლობას, რომ ისწრაფოდეს უფლის შეცნობისაკენ, რასაც გარკვეულწილად მაინც უნდა აღწევდეს. სწორედ ამისათვის ებოძა თავისუფალი არჩევანის უფლებით დაჯილდოებულ ადამიანს გონება.

დღეს, კულტურულ, განვითარებულ საზოგადოებაში, კაცობრიობის მიერ ეპოქათა შესაბამისად ათვისებული ცოდნის ცოდნაზე მოთხოვნები, დაახლოებით ისევე სავალდებულოა, როგორც ზნეობრიობაზე, სინდისიერებასა და ნებისმიერ სიკეთეზე. უცოდინრობა და გაუნათლებლობა კი, თითქმის, ისევე სირცხვილად არის მიჩნეული ადამიანისათვის, როგორც სხვა რაიმე ღირსების დამამცირებელი და უკეთური საქციელი. ამის მიუხედავად, კაცობრიობა, მაინც ცოდნის სინათლისა და უცოდინრობის სიბნელეს შორის ჭიდილში აგრძელებს თავის არსებობის ისტორიას.

ცოდნის უპირატესობაზე მიგვითითებს და გვასწავლის, ჯერ კიდევ ბიბლიური ძველი აღთქმიდან, სოლომონ მეფის მიერ სიბრძნის არჩევანი სხვა ყველა ამქვეყნიური სიკეთეების საპირწონედ. შემდეგშიც ფილოსოფოსთა მიერ სიბრძნის სიყვარულმა გაჭრა გზა ჭეშმარიტებისაკენ და შესაძლებელი გახადა კაცობრიობის აზროვნების წინსვლა უმაღლესი ჭეშმარიტების – ქრისტიანული მოძღვრების შესამეცნებლად. ცოდნა, რომელიც სინამდვილეში ბიბლიურად უკვე უნდა ჰქონოდათ ქრისტეს ჯვარმცმელებს, ვერ მიეცათ, რადგან მცდარ ცოდნაში გაკერპებით თავდაჯერებულობის შედეგად, მათ, საკუთარი ნებით ჩაუკეტეს კარი ჭეშმარიტების მიღების შესაძლებლობას.

ამგვარად გაუგუნურებულნი იქამდე მივიდნენ, რომ ჯვარს აცვეს ჭეშმარიტი ღმერთკაცი, მაშინ, როცა ეგონათ, რომ ჭეშმარიტებას იცავდნენ. რამდენიმე საუკუნით ადრე ასევე სიკვდილით დასაჯეს ფილოსოფიის მამამთავარი – სოკრატეც. არადა, საკმარისი იყო ათი მცნების ჭეშმარიტი პრინციპებით ემოქმედათ და, რაც არ უნდა

სისასტიკის ვნებით შეპყრობილები ყოფილიყვნენ, მკვლელებად და ჯვარმცმელებად მაინც არ უნდა ქცეულიყვნენ. ქრისტემ, მამის წინაშე ჯვარმცმელებისთვის პატიების თხოვნისას, მათს გასამართლებლად უცოდინაროზა დაასახელა. გამოდის, ქრისტეს მოსვლამდე, კაცობრიობამ, მიუხედავად სიბრძნის ძიების მრავალმხრივი მცდელობისა, ერთი იმდენიც ვერ შეიმეცნა, რომ თავად ღმერთის მკვლელები არ გამხდარიყვნენ. სწორედ უცოდინრობით ხდებიან ჯვარმცმელები იმ ღმერთისა, რომელმაც მოიტანა ცოდნა უმაღლესი სიკეთისა.

საკითხის ამგვარი ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ასპექტების თანმიმდევრული მიმოხილვით შევეცადეთ ზოგად ანალიზს, ჩვენს საკონფერენციო მოხსენებაში, გნოსეოლოგიური შესაძლებლობებისა და მისი სინამდვილის კაცობრიობის განვითარების ისტორიაში გავრცობის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: *ცოდნა, სიკეთე, ბიბლია, ფილოსოფია.*

Nari Chkhaberidze

Member of the National Committee of Byzantinologists of Georgia
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0001-7011-4818
chkhaberidzenari@gmail.com

Theological and Philosophical Aspects of Relations between Gnoseology and Kindness

The conference report refers to relations between gnoseology and kindness based on philosophical and theological standpoint. Gnoseology as knowledge of possibilities and its philosophical theory to study accordance to reality issue, requires: „know thy self“, to understand, what you are able to do, what you know and to motivate yourself to seek new knowledge. This need has been with us since creation, as to the likeness and image of the Creator, however, human desire to become omniscient as the creator was doomed from the start, nevertheless, till today cognitive object`s cognition is being managed by cognitive subject. He is a person who directs cognition to transcendental (outside himself) and immanent (inside himself) reality. Similarities between God and humans give them possibilities to stive to know the Lord, which should be reachable to some extent. That is why a person rewarded with the right of free choice was granted a mind.

Today, in cultured, developed society, requirements for the knowledge of the knowledge acquired by mankind in accordance with the eras, is as much of

mandatory as morality, conscience and any goodness. Ignorance and illiteracy are considered to be as much shameful as any degrading and bad behavior. Despite this, humanity continues its history of existence in the struggle between the light of knowledge and the darkness of ignorance.

The superiority of knowledge is indicated and taught by the choice of the wisdom of King Solom as a sacrifice of all other worldly goods from the biblical Old Testament. Even after that Philosophers' love of wisdom paved the way to truth and made possible the advancement of human thought to know the highest truth – study and understand Christian doctrine. Knowledge which in reality biblicall, Christ crucifiers must not have been given to them, because as a result of their idolatrous confidence in false knowledge, they have voluntarily closed the door to the possibility of receiving the truth.

Thus, the fools went so far as to crucify an honorable man, when they thought they were defending the truth. Couple of centuries ago Socrates, the father of philosophy, was also executed. However, it was enough for them to act according to the true principles of the Ten Commandments and no matter how much they were obsessed with the passion of cruelty, they could not have become murderers. When Christ asked the Father to forgive the crucifiers, he cited ignorance to justify them. It turns out that before the coming of Christ, mankind, despite their many efforts to seek wisdom, could not think of even one thing so as not to become the killers of God himself. It is through ignorance that they become the crucifiers of the God who brought the knowledge of the highest kind.

In our conference report, we attempted a general analysis with a consistent review of such philosophical-theological aspects of the issue. In the process of spreading gnoseological possibilities and its reality in the history of human development.

Keywords: *Knowledge, kindness, Bible, philosophy.*

თამარ ცაგარელი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0000-0002-1703-216X
ttsagareli@tafu.edu.ge

ტრაგედიის ჟანრის განსაზღვრა ანტიკურ ეპოქასა და XXI საუკუნეში

დრამა (ბერძნ. მოქმედება) წარმოიშვა ანტიკურ საბერძნეთში. მისი წარმოშობა უკავშირდება საკულტო რიტუალებს. დრამა ორი სახით არსებობს – როგორც დაფიქსირებული ტექსტი და როგორც თეატრალური დადგმა (ინსცენირება, სპექტაკლი). პირველ მათგანს შეისწავლის ლიტერატურათმცოდნეობა, მეორეს კი – თეატრთმცოდნეობა. დრამატული ტექსტის რეცეფცია (აღქმა, წაკითხვა) ინდივიდუალურად ხორციელდება, მკითხველმა მოქმედება თავად უნდა წარმოიდგინოს, მას ძალუძს, კითხვის დროს შეჩერდეს, უკან დაბრუნდეს ან პირიქით წინ გაუსწროს მოვლენებს. სპექტაკლის მაყურებელი სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია, რადგან თითოეული ინსცენირება ნაწარმოების ერთგვარი ინტერპრეტაციაა, რომელსაც რეჟისორი, მსახიობები და თეატრალური აპარატი ახორციელებენ. ამასთან, სპექტაკლის პროდუქცია და რეცეფცია კოლექტიური (მის შექმნაში მონაწილეობს რეჟისორი, მსახიობები და სხვა მრავალი ადამიანი, ხოლო რეცეფციაში – მრავალი მაყურებელი) და ერთდროულია. დრამატული ჟანრებია: ტრაგედია, კომედია, ტრაგიკომედია, ფარსი, მისტერია, ვოდევილი, მელოდრამა, აუდიოპიესა და სხვა.

ტრაგედიის („თხის სიმღერა“) წარმოშობა საკულტო-რიტუალურ პრაქტიკასთანაა დაკავშირებული. თავდაპირველად გვხვდება მისი შემდეგი სახესხვაობები: სატირა (ნიღბებსა და ქურქში გამოწყობილი ადამიანები ლექსებით ხოტბას ასხამდნენ ღვინისა და თრობის ღმერთ დიონისეს) და დითირამბი (ქორული საკულტო სიმღერა, რომელშიც სიტყვები, ცეკვა, მიმიკა და თამაში მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული). დღეს, თანამედროვე ეპოქაში ტრაგედიის ჟანრი, არისტოტელეს განსაზღვრებისგან განსხვავებით, სხვა მოთხოვნებითა და სანახაობრივი ფორმებით წარმოგვიდგება. ფაქტიურად, შესაძლებელი ითქვას რომ, ტრაგედიის ჟანრი არ არსებობს. რამ ჩაანაცვლა იგი და რა იწერება დრამატურგიაში, როგორც სათეატრო სანახაობის საფუძველი?!

საკვანძო სიტყვები: *ტრაგედიის ჟანრი, ჟანრის ევოლუცია, დრამატურგია.*

Tamar Tsagareli

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-1703-216X
ttsagareli@tafu.edu.ge

Evaluation of the genre of tragedy in the ancient era and the 21st century

Drama (Gr. action) originated in ancient Greece. Its origin is connected with religious rituals. Drama exists in two forms – as a fixed text and as a theatrical production (staging, play). The first of them will study literary studies, and the second – theater studies. The reception (perception, reading) of the dramatic text is carried out individually, the reader must imagine the action himself, he can stop during the reading, go back or, on the contrary, go ahead of the events. The audience of the performance is in a completely different situation because each staging is a kind of interpretation of the work, which is carried out by the director, actors and theater apparatus. In addition, the production and reception of the play are collective (the director, actors and many other people participate in its creation, and many spectators participate in the reception) and simultaneous. Dramatic genres are: tragedy, comedy, tragicomedy, farce, mystery, vaudeville, melodrama, audio play and others. Consider each of them.

The origin of the tragedy („goat song“) is connected with cultic-ritual practice. At first, its following variants are found: satire (people dressed in masks and furs preached verses to Dionysus, the god of wine and wine) and dithyramb (a choral cult song in which words, dance, mime and play were closely connected). Today, in the modern era, the genre of tragedy, in contrast to Aristotle's definition, is presented to us with other requirements and spectacular forms. It is possible to say that there is no genre of tragedy. What replaced it and what is written in dramaturgy as the basis of a theatrical performance?!

Keywords: *genre of tragedy, evaluation of the genres, dramaturgy.*

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0006-4175-4804
maiatsertsvadze@yahoo.com

1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის – დიმიტრი ბატონიშვილის წერილები თამარ ბატონიშვილისადმი

როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოდან რუსეთის იმპერიის განდევნას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, 1826–1827 წლებში ჩაისახა პეტერბურგში რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა წრეში. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ მეფე ერეკლე II-ის (1720–1798) ვაჟის, თავადაც ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი იულონ ბატონიშვილის (1760–1827) შვილი დიმიტრი (1803–1845) ბატონიშვილი. იგი არის ამ შეთქმულების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი, შეთქმულთა პეტერბურგული წრის მეთაური. მან იქ შემოიკრიბა რუსეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდები და გაანდო მათ აჯანყების განზრახვა. შეთქმულების უმნიშვნელოვანესი ფიგურაა მისი დაც თამარ ბატონიშვილი (1791–1857), რომელიც მის თბილისურ წრეში მოქმედებდა და რომელსაც დაკისრებული ჰქონდა აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა და გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს დროებითი მართვაც. შეთქმულების გაცემის შემდეგ დიმიტრი ბატონიშვილი „დამნაშავეთა“ პირველ კატეგორიას („შეთქმულების მთავარი დამწყებნი“), ხოლო თამარი – მესამე კატეგორიას („ვინც შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და ეთანხმებოდა აჯანყების იდეას“) მიაკუთვნეს და გადაასახლეს – დიმიტრი ბატონიშვილი სმოლენსკში, ხოლო თამარი – სიმბირსკში.

შეთქმულების საგამოძიებო კომისიის მასალებში დაცულია დიმიტრი ბატონიშვილის მიერ თამარ ბატონიშვილთან 1831–1832 წლებში პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნილი წერილები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ამ შეთქმულების ისტორიოგრაფიისათვის. ძირითადად რუსულ ენაზე დაწერილი ეს პირადი წერილები მოიცავს როგორც ოჯახურ ამბებს, ასევე იმჟამად პეტერბურგში მყოფ ან იქიდან საქართველოში დაბრუნებულ სხვა შეთქმულთა მოკითხვისა და მათ შესახებ სხვა ცნობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბარათების ტექსტები შეიცავს დაშიფრულ ადგილებს, სადაც გამოყენებულია კოდური სიტყვები და ამდენად ისინი შეიძლება წაადგეს 1832 წლის შეთქმულთა საქმიანობის კონსპირაციის საკითხის – დაშიფრული მიმოწერის გამოყენება სიდუმლო ანბანსა და საიდუმლო მიმოწერის იმ მეთოდთან ერთად, სპეციალური ტრაფარეტის, ე. წ. ჩარჩოს საშუალებით რომ ხდებოდ შეთქმულების თბილისურ და პეტერბურგულ/ მოსკოვურ წრეებს შორის და რომლის ავტორიც თავად დიმიტრი ბატონიშვილია, მისი კრიპტოგრაფიული ასპექტის შემადგენელია.

მოხსენებაში ჩვენ განვიხილავთ შეთქმულ ბატონიშვილთა ამ წერილებს, წარმოვადგენთ მათ ქართულ თარგმანებს, შევეხებით წერილების ადრესანტისა და

ადრესატის შეთქმულებაში მონაწილების საკითხს, წერილების ფიგურანტებს – შეთქმულებსა და სხვა პირებს, მოვიყვანთ მათ დაზუსტებულ ბიოგრაფიულ ცნობებს და შევეცდებით დაშიფრული ადგილების განმარტებას. კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს როგორც 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიების, ასევე მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემოს შესწავლასაც.

საკვანძო სიტყვები: *1832 წლის შეთქმულება, დიმიტრი ბატონიშვილი, ბატონიშვილების წერილები.*

Maia Tsertsvadze

Associate Professor at Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0006-4175-4804
maiatsertsvadze@yahoo.com

For the study of the conspiracy of 1832 – prince royal Dimitri's letters to princess royal Tamar

As is known, the conspiracy of 1832, which aimed to expel the Russian Empire from Georgia and restore Georgia's independence, was hatched in St. Petersburg in 1826-1827 in the circle of Georgian noblemen who had emigrated to Russia. First of all, we should mention prince royal **(**Batonishvili) Dimitri (1803-1845), grandson of King Erekle II (1720-1798), son of prince royal Yulon Batonishvili (1760-1827), who also fought for the restoration of independence of Kartl-Kakheti. He is one of the initiators and organizers of this conspiracy, the head of the St. Petersburg circle of conspirators. He gathered there Georgian youths who had come to study in Russia and confided in them the intention of rebellion. The important figure of the conspiracy is his sister princess royal **(**Batonishvili) Tamar (1791-1857), who was active in its Tbilisi circle and was entrusted with the overall leadership of the rebellion and, in case of victory, the temporary governing of Georgia. After issuing the conspiracy, Dimitri Batonishvili was assigned to the first category of "criminals" ("the main initiator of the conspiracy"), and Tamar – to the third category ("those who actively participated in the conspiracy and agreed with the idea of rebellion") and were exiled - Dimitri Batonishvili to Smolensk, and Tamar - to Simbirsk.

In the materials of the investigation commission of the conspiracy, the letters sent by Dimitri Batinoshvili to Tamar Batonishvili from St. Petersburg to Tbilisi in 1831-1832

are preserved. They are very important for the historiography of this conspiracy. These personal letters, written mostly in Russian, include family news, as well as other information about other conspirators in St. Petersburg or returning to Georgia from there. Of particular note is the fact that the texts of these letters contain encrypted places where code words are used, and thus they can be considered as a question of the conspiracy of the event of 1832 – the use of encrypted correspondence together with the secret alphabet and the method of secret correspondence between the Tbilisi and St. Petersburg/Moscow circles with a special stencil, so called "Frame" whose author is Dimitri Batonishvili himself is the question of its cryptographic aspect.

In the report, we will discuss these letters of the conspirators Batonishvili, will present their Georgian translations, will touch on the issue of the participation of addresser and the addressee of the letter's in the conspiracy, the characters of the letters – conspirators and other persons, will provide biographical data about them and will try to explain the coded places. We believe that the research presented at the conference will contribute to the study of the vicissitudes of the 1832 conspiracy, as well as the public environment of Georgia in the first half of the 19th century.

რუსუდან ციცქიშვილი

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-1448-7024
ru_tsi@yahoo.com

დასაქმებულთა მოტივაციის კავშირი ინტერპერსონალური ურთიერთობების მახასიათებლებთან

წარმოდგენილი კვლევის მიზანია წარმოაჩინოს კავშირი დასაქმებულთა მოტივაციასა და ორგანიზაციაში არსებული ინტერპერსონალური ურთიერთობების ასპექტებს შორის. მოტივაცია ორგანიზაციული ეფექტურობის აუცილებელი პირობაა. მოტივირებული დასაქმებული ჩართულია სამუშაო პროცესში და დებს მასში მეტ ძალისხმევას, რასაც მოყვება უკეთესი სამუშაოს შესრულება. მაღალ შედეგებს უზრუნველყოფს ისიც, რომ ასეთი თანამშრომელი უფრო კმაყოფილია საკუთარი სამუშაოთი და არის ორგანიზაციის ერთგული. არსებობს სხვადასხვა თეორია, მიდგომა, პრაქტიკული ინსტრუმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით. დასაქმებულის მოტივირება რთულია, რადგან ამ პროცესში ჩართულია მრავალი ცვლადი და ამასთან, ყველა ორგანიზაცია, ისევე როგორც ყველა ადამიანი, უნიკალურია.

მოტივაცია შეიძლება იყოს გარეგანი ან შინაგანი. გარეგანი მოტივაცია წარმართავს ქცევას მატერიალური ან ფსიქოლოგიური ჯილდოების მისაღებად ან დასჯის თავიდან ასაცილებლად. დასაქმებულთათვის ეს ნიშნავს ხელფასს, საკომისიოს, პრემიას, ბენეფიტებს, დაწინაურებას, სტატუსს. ამ დროს ქცევისათვის სტიმულის მიმცემი არის მისი შედეგი. შინაგანი მოტივაციის დროს კი ქცევის თავად პროცესი არის დამაჯილდოვებელი, სასურველი. დღესდღეობით ითვლება, რომ შინაგანი მოტივაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე გარეგანი. დასაქმებულის შინაგანი მოტივატორები შეიძლება იყოს: ავტონომია, პროფესიული ზრდის შესაძლებლობა, საკუთარი თავის მნიშვნელოვნების განცდა, საინტერესო და რთული სამუშაო, თვითრეალიზაცია, ასევე სოციალური გარემო და ურთიერთობები სხვა ადამიანებთან.

ინტერპერსონალური ურთიერთობები მძლავრი მამოტივირებელი ინსტრუმენტია. მაგრამ პრაქტიკულად ხშირად რთულია იმაში გარკვევა, თუ რა ტიპის ურთიერთობები არის ყველაზე სასარგებლო ორგანიზაციული ინტერესებისთვის, რა ტიპის ურთიერთობა მოანდომებს დასაქმებულს იმუშაოს კარგად და გულმოდგინედ. ადამიანთა ეფექტური მენჯმენტი მოითხოვს ცოდნასაც და კრეატიულობასაც, რადგან სოციალური სიტუაცია მუდამ უნიკალურია. თუმცა შესაძლებელია ზოგადი კანონზომიერებებისა და პრინციპების იდენტიფიცირება.

ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში არსებული ორგანიზაციების მენეჯერები, რიგითი დასაქმებულები და ფსიქოლოგები. მათ თხოვდნენ დაესახელებინათ, თუ რის მიხედვით შეიძლებოდა ორგანიზაციაში არსებული ინტერპერსონალური ურთიერთობების დახასიათება. დასახელდა ისეთი განზომილებები, როგორიცაა: პატივისცემა, ნდობა, კეთილგანწყობა, გუნდურობა,

ალტრუიზმი, მტრობა, საერთო ინტერესები, დახმარებისათვის მზაობა, მოტყუება, ინფორმაციის გაზიარება, გულწრფელობა, აღიარება, კონფლიქტურობა, სამართლიანობა. საბოლოოდ კი გამოიკვეთა ორგანიზაციაში დასაქმებულთა შორის არსებული ურთიერთობების სამი განზომილება: ავტორიტარულობა დემოკრა-ტიულობა, პარტნიორობა-კონკურენტულობა, ფორმალურობა-არაფორმალურობა.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კითხვარი, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა ორგანიზაციის დასაქმებულები აფასებდნენ თავიანთ ორგანიზაციაში არსებულ ურთიერთობებს ამ სამი განზომილების მიხედვით და აგრეთვე საკუთარ სამუშაო მოტივაციას. შესაბამისად 24 დებულებისაგან შემდგარი კითხვარი დაყოფილი იყო ოთხ ნაწილად და თითოეულ ნაწილში იყო 6 დებულება, რომელზე დათანხმების ხარისხიც იზომებოდა ლიკერტის შვიდბალიანი შკალით -3-დან +3-მდე.

გამოკითხვაში მიღებული შედეგები გაანალიზებული იყო სქესისა და ასაკის მიხედვით. გამოყოფილი იყო სამი ასაკობრივი ჯგუფი: 18-28, 29-50, 51-დან. სულ გამოკითხული იყო 360 რესპონდენტი, 60 რესპონდენტი თითოეულ ქვეჯგუფში.

ძირითადი შედეგები იყო ასეთი: მოტივაციის მაღალი დონე უკავშირდებოდა ავტორიტარულობა-დემოკრატიულობის განზომილების უკიდურეს მაჩვენებლებს, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის რესპონდენტებთან. პარტნიორული ურთიერთობები დაკავშირებული იყო მაღალ მოტივაციასთან საშუალო და უფროსი ასაკის ქალებისთვის. არაფორმალური ურთიერთობების მაღალი ხარისხი ასოცირდებოდა ძლიერ მოტივაციასთან რესპონდენტთა ყველა ქვეჯგუფში. კვლევაში მიღებულ შედეგებს აქვთ პრაქტიკული ღირებულება, რამდენადაც შეიძლება მათი უშუალო გათვალისწინება ორგანიზაციის მენეჯმენტში.

საკვანძო სიტყვები: *ინტერპერსონალური ურთიერთობები, დასაქმებული, მოტივაცია, განზომილებები.*

Rusudan Tsitskishvili

PhD in Psychology
The University of Georgia
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-1448-7024
ru_tsi@yahoo.com

The Relationship Between Employee Motivation and Characteristics of Interpersonal Relations

The purpose of this study is to observe the relationship between employee motivation and some dimensions of interpersonal relations in the organization. Motivation is a necessary condition for organizational effectiveness. Motivated employees are engaged in the work process and put in more effort, leading to better

performance. They are more satisfied and committed to their job and organization. There are various theories, approaches, and practical tools regarding this matter. Employee motivation is difficult, since there are many variables involved in the process, and every organization, like every person, is unique.

Motivation may be extrinsic or intrinsic. Extrinsic motivation directs behavior to earn material or psychological rewards or to avoid punishment. For employees, it means wages, salaries, commissions, bonuses, benefits, promotions, status. Intrinsically motivated behavior is performed for its own sake, the source of motivation is an employee's interest or personal wish. Nowadays intrinsic motivation is considered as more effective than extrinsic. An employee's intrinsic motivators can be: autonomy, professional growth opportunities, a sense of self-importance, interesting and challenging work, self-actualization, being creative, enjoying the job, and also social environment and relationships with people at work.

Interpersonal relationships are a powerful motivational tool. But in practice, it is often difficult to determine what type of relationship is most beneficial to organizational interests, and what type of relationship will encourage the employee to work well and diligently. Effective human resource management requires both knowledge and creativity because social situations are always unique. However, it is possible to identify general regularities and principles.

A survey was conducted, in which psychologists, managers and regular employees of organizations in Georgia participated. They were asked to name how the interpersonal relationships in the organization could be characterized. They were speaking about such dimensions as: respect, trust, benevolence, teamwork, altruism, enmity, common interests, willingness to help, deception, information sharing, sincerity, recognition, conflict, fairness. Finally, three dimensions of the relations between employees in the organization were identified: authoritarianism-democracy, partnership-competition, and formality-informality.

A questionnaire was used as a research tool, through which the employees of different organizations evaluated the interpersonal relationships in their organization according to these three dimensions, a well as their work motivation. Accordingly, the questionnaire, consisting of 24 statements, was divided into four parts, and each part contained 6 statements, the degree of agreement with which was measured on a seven-point Likert scale from -3 to +3. The survey results were analyzed by gender and age. Three age groups were distinguished: 18-28, 29-50, and from 51. A total of 360 respondents were interviewed 60 respondents in each subgroup.

The main results were as follows: a high level of motivation was associated with extreme scores on the authoritarianism-democratic dimension, especially among middle-aged and older respondents. Partnership was associated with higher motivation for middle-aged and older women. A moderately high degree of informal relationships was associated with high motivation in all subgroups of the respondents. The results obtained in the research have practical value, as far as they can be directly considered in the management of the organization.

Keywords: *Interpersonal relations, employee, motivation, dimensions.*

აკაკი ცომაია

საქართველოს უნივერსიტეტი
ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი
აფილირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-4332-5767
a.tsomaia@ug.edu.ge

ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ეკონომიკური გავლენა საქართველოზე

საქართველოს ეხსნება სწრაფი ეკონომიკური და ინკლუზიური განვითარების დიდი პერსპექტივა ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციის გზაზე, რაც უნდა აისახოს ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან აჩქარებაში. არის მოლოდინი, რომ მოკლე დროში, შესაძლებელია ცხოვრების იმ დონის უზრუნველყოფა, რაც ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია. ტექნიკურ პროგრესზე გავლენას ახდენს შემდეგი კომპონენტები: ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება; მაღალტექნოლოგიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ფინანსური კაპიტალის შემოდინება; მცირე ბიზნესის განვითარება და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა.

ინსტიტუციური რეფორმები უზრუნველყოფს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის განმტკიცებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეკონომიკის თავისუფლებისა და სამართლიანი თამაშის წესებით კონკურენციის ხარისხს. მრავალი კვლევით დასტურდება, რომ ტექნიკური პროგრესი იზრდება სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებშიც მყარდება საზოგადოების ურყევი რწმენა სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების მიმართ. ასევე, ხელისუფლება არასამთავრობო სექტორთან ერთად, ორიენტირებულია საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე და არა მათ შექმნაზე. ამჟამად, ქვეყნის დიდ გამოწვევას წარმოადგენს კვაზი-დემოკრატია, კლეპტოკრატია და განსაკუთრებით, ოლიგარქიული არაფორმალური მმართველობა.

პუი თვისობრივად შეცვლის ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურას. იზრდება ალბათობა, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზაზე, ნედლეულსა და რეექსპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ტრანსფორმირდება მაღალტექნოლოგიური და მწვანე პროდუქციის მწარმოებელ საზოგადოებად, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს პროდუქტიულობისა და ეკონომიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ქვეყანას ეძლევა პოსტსაბჭოთა და განსაკუთრებით, რუსეთის სავაჭრო გრავიტაციული ზონიდან ევროკავშირის ორბიტაზე გადასვლის უნიკალური შესაძლებლობა. მაღლტექნოლოგიური ტრანსეროვნული კორპორაციების ექსპანსია ქვეყანაში გაზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების პროცესს. თავის მხრივ, ადამიანური კაპიტალის განვითარება განაპირობებს სამუშაო ძალის მეტ პროდუქტიულობას, რაც დადებით გავლენას მოახდენს ტექნიკური პროგრესის სიდიდესა და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ტემპზე. გარდა ამისა, მაღალტექნოლოგიური ინვესტიციები უზრუნველყოფს შრომის

უსაფრთხოების პირობებსა და გაზრდის სოციალური დაცვის გარანტიებს, რაც აისახება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

გაიზრდება წვდომა როგორც საბანკო სისტემის, ისე საფონდო ბირჟის რესურსებზე. ქვეყნის საერთაშორისო საკრედიტო რისკის შემცირებასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ საპროცენტო განაკვეთები კრედიტზე თანდათანობით მოიკლებს, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს როგორც საკრედიტო, ისე ეკონომიკურ აქტივობაზე.

მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების წარმოების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. საერთაშორისო ლიცენზირებული კომპანიები ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობების, ტურიზმისა და სხვა დარგების განვითარებას.

კანდიდატის სტატუსის მოპოვება ქვეყანას აძლევს პირდაპირი სარგებლის მიღების შესაძლებლობას ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტებიდან. ესაა გაწევრიანების წინასწარი განაცხადის ინსტრუმენტი (IPA III), რომლის ბიუჯეტი 14 მილიარდ ევროს შეადგენს. მაგალითად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP), რომელიც 2022 წელს დამტკიცდა, მიზნად ისახავს 17 მილიარდი ევროს მოზიდვას საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. საქართველოსთვის EIP-ის ფარგლებში, ევროკავშირმა უკვე უზრუნველყო 1,7 მილიარდი ევროს ინვესტიცია, მათ შორის 194 მილიონი ევროს გრანტები. ძირითადი ინვესტიციები მოიცავს: საქართველოში 80 000 მცირე და საშუალო საწარმოს (SME) მხარდაჭერა; შავ ზღვაში წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი და ელექტრო კაბელის დამონტაჟება; შავი ზღვის გავლით ევროკავშირისა და საქართველოს დამაკავშირებელი რეგულარული საბორნე ხაზის დამყარება; საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების განახლება გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობისთვის და მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება სოფლად.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით დინამიკურ-სტოქასტიკური ენდოგენური ეკონომიკური ზრდის მოდელის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ტექნიკური პროგრესის დინამიკის პროექციის გზით პოტენციური გამოშვების პროგნოზირება და აღნიშნულ კონტექსტში, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ეკონომიკური გავლენის შეფასება საქართველოსთვის.

Akaki Tsomaia

The University of Georgia
Head of Economic Institute
Affiliated Professor
https://orcid.org/0000-0002-4332-5767
a.tsomaia@ug.edu.ge

The Economic Impact of Georgia's Integration into the Euro-Atlantic Community

In the pursuit of integration into the Euro-Atlantic community, Georgia stands on the way of substantial economic growth and inclusive development, poised to manifest through significant advancements in technical progress. It is becoming increasingly apparent that, in a relatively short period, the nation has the potential to approximate the living standards currently observed in Eastern European countries. The dependent variable, technical progress, is influenced by several independent factors, including the institutional environment, high-tech foreign direct investment (FDI), the inflow of foreign financial capital, the development of small businesses, and financial support from the European Union.

Institutional reforms play a crucial role in bolstering fundamental human rights, the rule of law, and democracy, which, in turn, significantly enhance economic freedom and establish fair competition. Technological progress is most pronounced in countries where there is unwavering public confidence in fair and impartial justice. Moreover, the government, in collaboration with the non-governmental sector, is dedicated to addressing public issues rather than exacerbating them. Presently, the country faces significant challenges, including quasi-democracy, kleptocracy, and, most notably, oligarchic informal governance.

FDI is poised to qualitatively transform the structure of the nation's economy. As the country advances toward EU quality standards, there is an increasing likelihood that it will transition from a raw materials and re-export dependent economy to one characterized by high-tech and green production. This shift will significantly enhance economic efficiency. The country has been afforded a unique opportunity to pivot from the post-Soviet, particularly Russian, trade influence towards integration with the EU economic sphere. The expansion of high-tech multinational corporations within the country will elevate the demand for a highly skilled labor force, thereby fostering the alignment of educational programs with labor market requirements.

Consequently, the development of human capital will lead to increased labor productivity, positively impacting the magnitude of technical progress and, subsequently, the rate of economic growth. Furthermore, high-tech investments will improve labor safety conditions and bolster social protection guarantees, ultimately enhancing the quality of life.

Enhanced access to both banking and capital markets resources is anticipated. As the country's international credit risk diminishes, a gradual decline in interest rates on credit is foreseen, promising favorable effects on both credit availability and economic activity.

Small business support programs offer solutions to challenges concerning the quality of goods and services. International licensed enterprises will aid in fostering the growth of agriculture, tourism, and other sectors

The attainment of candidate status affords the country the opportunity to avail itself of direct benefits from EU financial mechanisms, notably the Instrument for Pre-accession Assistance (IPA III) with a budget totaling 14 billion euros. For instance, the Eastern Partnership Economic and Investment Plan (EIP), endorsed in 2022, aims to mobilize 17 billion euros in collaboration with international financial institutions. To date, the European Union has allocated 1.7 billion euros in investment to Georgia under the EIP, including 194 million euros in grants. Key investments encompass support for 80,000 small and medium enterprises (SMEs) in Georgia, the installation of submarine fiber optic and electrical cables in the Black Sea, the establishment of a regular ferry service linking the European Union and Georgia via the Black Sea, renovations of public and residential buildings to enhance energy efficiency, and the development of high-speed broadband infrastructure in rural areas

This study aims to develop a dynamic-stochastic endogenous economic growth model drawing from the experiences of Eastern European countries. This model aims to forecast potential output growth by projecting the trajectory of technical progress. Additionally, within this framework, the study seeks to evaluate the economic implications of Georgia's integration into the Euro-Atlantic sphere.

ივანე წერეთელი

ისტორიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველოს
https://orcid.org/0000-0002-6327-5453
Ivane.tsereteli@tsu.ge

გმირი თუ ანტიგმირი: XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ლიდერები თანამედროვე ტექსტებში

XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში მომხდარი მოვლენები კონკრეტული პოლიტიკური ლიდერების სახელებთან არის დაკავშირებული. პოლიტიკურ ლიდერთა მიმართ დამოკიდებულებები და აღქმები ცვალებადია როგორც დროში, ასევე განსხვავებულ სოციალურ სივრცეებში. ნაშრომის მიზანია, ვნახოთ, როგორ მუშაობს დამახსოვრება-დავიწყების მექანიზმი გმირი-ანტიგმირის სახის კონსტრუირების პროცესში, რატომ იცვლება პოლიტიკურ ლიდერთა აღქმა სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად? 1990-იანი წლების მთავარი ფიგურებიდან არჩევანი შევაჩერეთ ჯაბა იოსელიანზე. კრიმინალური წარსულის მქონე (კანონიერი ქურდი) მეცნიერების დოქტორი სამოქალაქო დაპირისპირების ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელსაც შედეგად კანონიერი ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ჯაბა იოსელიანი მნიშვნელობით მეორე, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დასაფლავებული. იგი 1990-იანი წლების საქართველოს ფრაგმენტირებული საზოგადოების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. რომლის აღქმაც მისაავე სიცოცხლეში დაიწყო და დღემდე გრძელდება სხვადასხვა სახის ნარატივების თუ სხვა *მეხსიერების ადგილების* შექმნით. ჩვენი აზრით, ჯაბა იოსელიანი მკაფიოდ წარმოგვიდგენს გმირისა და ანტიგმირის იმიჯებისა და მათთვის მინიჭებული მნიშვნელობების ურთიერთმონაცვლეობას.

საკვანძო სიტყვები: *გმირი, ანტიგმირი, საქართველო, პოლიტიკური ლიდერები.*

Ivane Tsereteli

PhD in History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-6327-5453
Ivane.tsereteli@tsu.ge

Hero or Antihero: 1990s Georgian Political Leaders in Modern Texts

Events that occurred in 1990s Georgia are connected with the names of politicians. Attitudes and perceptions of political leaders change both over time and in different social spaces. The goal of this paper is to see how the mechanism of remember-forgetting fits in the process of constructing the symbol of the hero-antihero and why the perception of political leaders alters with change in social and political contexts.

From the figures of the 1990s, we chose Jaba Ioseliani. A doctor of science with a criminal past was one of the leaders of the civil conflict, which resulted in the overthrow of the legitimate government. Jaba Ioseliani is buried in the Didube Pantheon, which is the second most important symbolic burial site. He became a symbol of the fragmented Georgian society of the 1990s, whose perception began during his own life and continues to this day by creating different kinds of narratives or other *memory places*. According to us, Jaba Ioseliani represents the alteration between hero and antihero images and the meanings assigned to them.

Keywords: *Hero, antihero, Georgia, political leaders.*

ალექსანდრე ჭულუხაძე

ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროსი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
a.chulukhadze@ug.edu.ge

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ უცხო ლექსიკა

იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“ ანუ „შუშანიკის წამება“, დღემდე მოღწეული უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლია, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ნაწარმოებში გამოყენებულია მრავალფეროვანი უცხო ლექსიკა, რომლის ანალიზიც გვაძლევს საშუალებას, რომ უფრო ფართო და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ადრეული შუა საუკუნეების საქართველოსა და გარესამყაროს ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, სამხედრო-ადმინისტრაციული და სხვა სახის ურთიერთობების მრავალი საკითხისა და თავისებურების შესახებ.

„შუშანიკის წამების“ ვრცელი და მოკლე ქართული ვერსიებისა და სვინაქსარული რედაქციების ლინგვისტურმა შესწავლამ გამოავლინა 148 ნასესხობა, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა გზებითა და სხვადასხვა ენებიდან იქნა შეთვისებული ქართულში. შესწავლილ იქნა 73 ირანული (სამი ძველი სპარსული, შვიდი პართული, 40 ფალაური, ერთი ახალი სპარსული და ერთი ალანურ - ოსური), 17 სომხური, 25 ბერძნული, 13 ებრაული, 6 ლათინური, 4 არაბული, 1 არამეული, 1 სირიული და 2 თურქული ნასესხობა და რამდენიმე ლექსემის ფონეტიკური ვარიანტები.

შესწავლილი მასალა სემანტიკური და დანიშნულების თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს რელიგიური, საზოგადო, სამხედრო, ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის ლექსიკას, 45 საკუთარ, 19 გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელს, რომლის ნაწილიც უდავოდ ჯერ კიდევ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე ზეპირი გზით დამკვიდრდა ქართულ ენაში, ხოლო ნაწილმა კი, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ბერძნული, სომხური და სირიული ენებიდან ზეპირი და სალიტერატურო გზებით შემოაღწია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელთა გარკვეული ნაწილიც დღემდე აქტიურად გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.

წარმოდგენილი მასალის გარკვეული ნაწილი ადრეც იქნა ზედაპირულად შესწავლილი მკვლევარების მიერ და ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემებსა თუ სამეცნიერო შრომების კრებულებშია გაფანტული. ჩვენს მიერ პირველად მოხდა არსებული გამოკვლევების მასალების შეკრება, მათი გადამუშავება, შეცდომების გასწორება და ახალი ეტიმოლოგიური მასალების დართვა, რამაც მოგვცა საშუალება

წარმოგვედგინა სრულფასოვანი სამეცნიერო გამოკვლევა, რაც დაეხმარება ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრებს უკეთ შეაფასონ „შუშანიკის წამება“ მნიშვნელობა და ადგილი ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების ისტორიულ პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *ძველი ქართული ლიტერატურა, ეტიმოლოგია, სემანტიკა.*

Alexander Chulukhadze

PhD in Literature and Human Sciences
The University of Georgia
Associate Professor
Head of the Department of Oriental Studies
Senior Researcher of the Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Tbilisi, Georgia
a.chulukhadze@ug.edu.ge

The Foreign Vocabulary of “The Martyrdom of Saint Queen Shushanik” by Iakob Khutsesi

“The Martyrdom of Queen Shushanik” by Iakob Tsurtaveli is the oldest surviving monument of Georgian literature, which has a special place in the history of Georgian literature. The text uses a variety of foreign vocabulary, the analysis of which allows us to create a broader and clearer understanding of many issues and features of the historical, political, social, economic, cultural, religious, military-administrative and other relations of Georgia with different cultures of the early Middle Ages.

A linguistic study of the full and short Georgian versions and svinaksar editions of “The Martyrdom of Queen Shushanik” revealed 148 borrowings that influenced into the Georgian language in different times, in different ways and from different languages. 73 Iranian (three Old Persian, seven Parthian, 40 Middle Persian, one New Persian and one Alan-Ossetian), 17 Armenian, 25 Greek, 13 Hebrew, 6 Latin, 4 Arabic, 1 Aramaic, 1 Syriac and 2 Turkic loanwords and phonetic variants of several lexemes were studied.

The research material is very diverse in terms of semantics and purpose and includes religious, social, military, administrative and other vocabularies, 45 proper, 19 geographical and ethnic names, some of which, undoubtedly, were influenced in the Georgian language orally even before the spread of Christianity to Georgia and part

of this vocabulary, after the spread of Christianity, borrowed into the Georgian language and literature from Greek, Armenian and Syriac through oral and literary means, some of which are still actively used in modern literary Georgian language and dialects.

A certain part of the presented material had previously been superficially studied by scholars and scattered across various publications of "The Martyrdom" or collections of scientific works. For the first time, we collected existing research materials, processed them, corrected errors and added new etymological material, which allowed us to present a full-fledged scientific study that will help researchers of ancient Georgian literature to better assess the importance and place of "The Martyrdom of Queen Shushanik" in the historical process of the further development of Georgian literature.

Keywords: *Old Georgian Literature, Etymology, Semantics.*

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
პროფესორი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
d.chumburidze@ug.edu.ge; dodochumburidze@yahoo.com

ისტორიის აქტივაციის პროცესი „თერგდალეულთა“ ნაციონალური პროექტის კონტექსტში და ილია ჭყონიას საისტორიოგრაფიო მოღვაწეობა

ქართველი იურისტი, ისტორიკოსი, მთარგმნელი და პუბლიცისტ-გამომცემელი – ალესანდრე ჭყონია(1855-1907) საინტერესო მოღვაწე იყო. წერდა „მაჭახელიძის“ ფსევდონიმით. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი და საზოგადოების გამგეობის წევრი. ალექსანდრე ჭყონიას პირადი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ისტორიული მეცნიერების შესასწავლად პარიზში გაემგზავრა. სწავლის დროს, ფინანსური გაჭირვების გამო, მისთვის უდიდეს ავტორიტეტსა და სათაყვანო ადამიანს პირადი წერილით აცნობა თავისი მდგომარეობა, სწავლის მიღების სურვილი, რამაც დიდი მწერალი მისადმი კეთილად განაწყო და დახმარება აღმოაჩენინა.

1876 წლის 14 ივნისს ილიას მიერ გაგზავნილი პირველი ფულადი დახმარებით ალექსანდრე ჭყონიამ შეძლო ისტორიის ცოდნის გაღრმავება და თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფიის მონაპოვართა შესწავლა. მან თავისი ცოდნა დაახმარა ამ პერიოდში მიმდინარე ქართული საისტორიოგრაფიო აზროვნების გაღრმავების საქმეს, თარგმნა უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიის დარგის მეცნიერებად ჩამოყალიბებისა და მისი ევრიპეიზაციისათვის.

ალექსანდრე ჭყონიასა და ილია ჭავჭავაძეს შორის განსაკუთრებული, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მისი პარიზიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო. ევროპული ენების მცოდნე ისტორიკოსი განსაკუთრებით ჭირდებოდა მწერალს იმ ცილისმწამებლურ წერილებზე პასუხის გასაცემად, რასაც საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ წერდნენ შოვინისტი რუსი მეცნიერები. სამეცნიერო აზრების უკეთ არგუმენტირებისათვის ილია იყენებდა ცნობილ გერმანელ და ფრანგ ისტორიკოსთა ნაშრომებს, რომლებზე წვდომაც და ცოდნაც ალექსანდრე ჭყონიას ჰქონდა.

1890 წელს ჭყონიამ საკუთარი ხარჯით გამოსცა „ისტორიული ნარკვევი“ (საისტორიო ქრესტომათია). მან პირველმა გააცნო ქართველ მკითხველს ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების ცნობები საქართველოს შესახებ („პიეტრო დელა ვალლეს მოხსენება საქართველოს შესახებ – 1627 წ.“, ივერია, 1871 წ. N111; „იტალიელი მოგზაურები საქართველოში მე-15 საუკუნეში: იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონრატინი“, მოამბე, 1894, NXI; „ტავერნიეს მოგზაურობიდან მე-17 საუკუნეში“, მოამბე", 1898, VI; „არქანჯელო ლამბერტი – სამეგრელოს აღწერა“ და სხვ.

ქართული ისტორიული აზროვნების გაღრმავებას განსაკუთრებული ამაგი დასდო ისტორიკოსისა და პუბლიცისტის მიერ 1890 წელს გამოცემულმა „ისტორიულმა ნარკვევმა“.ესაა ქრესტომათიული კრებული, შედგენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებით კავკასიასა და ქართველ ტომებზე, მათ განსახლებაზე, უძველეს ცივილიზაციურ კავშირებზე, მსოფლიო ისტორიულ პროცესებში ქართველების მონაწილეობაზე და სხვ.

წიგნის გამორჩეულ მნიშვნელობას ქმნის ის მომენტი, რომ ყველა წერილი ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერებს და ისინი მოძიებულია და ევროპული ენებიდან თარგმნილია კრებულის შემდგენელის – ალექსანდრე ჭყონიას მიერ. კრებულში შესული სამეცნიეროპუბლიკაციების ავტორები არიან: ჰეროდოტე, სტრაბონი, პროკოფი კესარიელი, აგათა, მენანდრე ბიზანტიელი, კედრენე, ევროპელი მეცნიერები: ფრანსუა ლენორმანი, მარი ბროსე, ვივიენ დე სენ მარტენი, გატერიასი, შარლ ლუი დე მონტესკიე, კარლ რიტერი, დიუბუა დე მონპერე, თეოდორ მომზენი, რუსი მეცნიერი – პეტრე უსლარი; ქართველი მეცნიერები: ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონები, პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, გიორგი წერეთელი და სხვ.

ამ ავტორთა დიდი ნაწილის ტექსტები ამ დროს არათუ უბრალოდ დაინტერესებული ქართველებისთვის, პროფესიონალი ისტორიკოსებისთვისაც ძნელი მისაწვდომი იყო. შესავალი წერილი, მის მიერ დაწერილ რამდენიმე პარაგრაფს რომ თავი დავანებოთ, კარგად გვაცნობს კრებულის შემდგენელის მიზნებსა და დამოკიდებულებას ისტორიის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარების, მისი ხალხამდე მიტანის აუცილებლობის შესახებ. ისტორიკოსი იმედს გამოთქვამდა, რომ წიგნი საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ყველა ადამიანს დაეხმარებოდა, განსაკუთრებით სკოლის მოწაფეებსა და პედაგოგებს, „ყველა ქართველს, ვისაც თვითონ შემთხვევა და შეძლება არა აქვს გადაჩხრიკოს და გადაიკითხოს, რაც რომ დაწერილა ქართულზე და უცხო ენებზე ჩვენი ისტორიის შესახებ“.

საძიებო სიტყვები: *ქართული ისტორიოგრაფია, ევროპელი ისტორიკოსები, უცხოური წყაროები, ალექსანდრე ჭყონია, ილია ჭავჭავაძე.*

Dodo Chumburidze

PhD in History
The University of Georgia
Professor
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
d.chumburidze@ug.edu.ge ; dodochumburidze@yahoo.com

Activating History: The National Project 'Tergdaleuli' and Ilia Chkonia's Historiographic Contributions

Georgian lawyer, historian, translator and publicist-publisher Alessandre Chkonia (1855-1907) was an interesting figure. He wrote under the pseudonym "Machakhelidze". He was a comrade of the chairman of the society for spreading literacy among Georgians and a member of the society board. Alessandre Chkonia had a personal relationship with Ilia Chavchavadze. After graduating from the Faculty of Law at St. Petersburg University, he went to Paris to study historical sciences. During his studies, due to financial difficulties, he informed the greatest authority and venerable person about his situation and his desire to study in a personal letter, and the great writer benevolently provided him with support through his friends.

On June 14, 1876, with the first monetary aid sent by Ilia, Alessandre Chkonia was allowed to succeed in his studies of history and the achievements of modern European historiography. He contributed his knowledge to the thorough research of Georgian historiographical thinking during this period, he translated foreign sources about Georgia, which was of great importance for the establishment of the field of history as a science and its Europeanization.

The close, business and friendly relationship between Alessandre Chkonia and Ilia Chavchavadze started with his return from Paris. The writer needed a historian with knowledge of European languages to answer the slanderous allegations written by chauvinist Russian scientists about Georgia's historical past. To better argue his scientific ideas, Ilya used the works of famous German and French historians, to which Alexsander Chkhonia had access and deep knowledge.

In 1890, Chkonia published "Historical Essay" (Historical Chrestomathy) at his own expense. He was the first to introduce Georgian readers to the reports of European

travelers and missionaries about Georgia ("Pietro Della Valle's Report on Georgia – 1627", Iveria, 1871. №111; "Italian Travelers in Georgia in the 15th Century: Iosafa Barbaro and Ambrozio Konratini", Moambe, 1894, №XI; "From Tavernier's travels in the 17th century", Moambe", 1898, VI; "Arcangelo Lambert – description of Samegrelo" and others.

The "Historical Essay" published by a historian and publicist in 1890 contributed to the expansion of Georgian historical thought. This is a comprehensive collection of works by Georgian and foreign scientists on the Caucasus and Georgian ethnic groups, their resettlement, ancient civilizational ties, participation of Georgians in the world-historical processes, etc.

The unique importance of the book is created by the fact that all the letters belong to well-known scientists and they were researched and translated from European languages by the author of the collection, Alessander Chkhonia. The authors of the scientific publications included in the collection are: Herodotus, Strabo, Procopius of Caesarea, Agatha, Menandre of Byzantium, Kedrene, European scientists: François Lenormand, Marie Brosse, Vivien de Saint Martin, Gaterias, Charles Louis de Montesquieu, Carl Ritter, Dubois de Montperre, Theodore Momzeni, Russian scientist Petre Uslar; Georgian scientists: Vakhushti and Teimuraz Bagrationi, Platon Ioseliani, Sulkhan Baratashvili, Dimitri Bakradze, Alessandre Tsagareli, Giorgi Tsereteli and others.

At that time, the texts of a large part of these authors were difficult to access not only for interested Georgians but also for professional historians. The introductory letter, apart from a few paragraphs written by him, informs us about the goals and attitude of the compiler of the collection about the development of history as a field of science, the need to bring it to the people. The historian expressed his hope that the book would help all the interested parties in the study of Georgian history, especially school students and teachers, "all Georgians who do not have the opportunity and ability to research and re-read what was written in Georgian and in foreign languages about our history".

Search words: *Georgian historiography, European historians, foreign sources, Alessandre*

ნინო ხუნდაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
https://orcid.org/0009-0009-9445-4161
n.khundadze@ug.edu.ge ; nino.khundadze@yahoo.com

გიგო გაბაშვილი – ხელოვნების თეორეტიკოსი მხატვრის იდეები და ნამუშევრები (გ. გაბაშვილის უცნობი წერილების/სწავლებების მიხედვით)

1936 წელს, ციხისძირში, სამუშაოდ მივლინებული გიგო გაბაშვილის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, მხატვრის სახელოსნოში დარჩენილი მთელი მისი მემკვიდრეობა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ აღრიცხა და ხელოვნების მუზეუმს გადასცა. 2015 წელს, როდესაც ფონდის აღრიცხვა-შეჯერების სამუშაო დავიწყეთ, ფონდში გიგო გაბაშვილის დოკუმენტების რამდენიმე საქაღალდე დაგვხვდა, რომელშიც ხელოვნების შესახებ, მანამდე უცნობი, გიგო გაბაშვილის მიერ რუსულ ენაზე შექმნილი ხელნაწერი წერილი აღმოჩნდა: „ჩემი უცნაური ფიქრები ნახატზე“, „ჩემი იდეები კოლორიტზე“, „კომპოზიციაზე“. ეს წერილები მხატვრის შემოქმედებით თუ პედაგოგიურ გამოცდილებას ეფუძნება და მნიშვნელოვანი მასალაა გიგო გაბაშვილის პიროვნების სრულიად განსხვავებული კუთხით გასაცნობად, როგორც მკვლევრის, თეორეტიკოსის და პედაგოგის. ამ წერილების გაანალიზება, წარმოჩენა იმისა, თუ როგორ არის განსახიერებული თითოეული მოსაზრება თავად მხატვრის ნამუშევრებში, საინტერესო ასპექტია მხატვრის შემოქმედების კვლევისას, ასევე მნიშვნელოვანი რესურსია საგანმანათლებლო თვალსაზრისით. წერილებში გიგო გაბაშვილი წარმოჩნდება პროგრესულად მოაზროვნე, ფართოდ და ღრმად განათლებულ და დაკვირვებულ მეცნიერ-შემოქმედად, რაც მას, დავით კაკაბაძის და სხვათა მსგავსად, თეორეტიკოს მხატვართა რიგში აყენებს.

საკვანძო სიტყვები: *გიგო გაბაშვილი, მხატვრობა, ხელოვნების თეორია, კომპოზიცია, სახვითი ხერხები, სახვითი საშუალებები (ფერი, ხაზი)*

Nino Khundadze

PhD in Art History
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-9445-4161
n.khundadze@ug.edu.ge ; nino.khundadze@yahoo.com

Gigo Gabashvili as an Art Theorist – the Artist's Ideas and Works (According to the Unknown Letters/Teachings of Gigo Gabashvili)

In 1936, after the sudden death of Gigo Gabashvili, who was sent to work in Tsikhisdziri, all his heritage left in the artist's workshop, was described by a specially created commission and donated to the art museum. In 2015, when we started the reconciliation work of the funds, we found a few folders of Gigo Gabashvili's documents, in which we found a previously unknown handwritten letter created by Gigo Gabashvili in Russian: "My strange thoughts on the painting", "My ideas on color", "About Composition". These letters are based on the artist's creative and pedagogical experience and are important material for getting to know the personality of Gigo Gabashvili from a completely different angle, as a researcher, theorist and teacher. Analyzing these letters, showing how each opinion is embodied in the artist's work, is an interesting aspect of researching the artist's work, as well as an important educational resource. In his letters, Gigo Gabashvili presents himself as a progressive thinker, widely and deeply educated and observant – creator-scientist, which puts him, like Davit Kakabadze and others, in the ranks of theorist artists.

Keywords: *Gigo Gabshvili, painting, theory of Arts, composition, principles of visual arts elements of visual arts (color, line)*

ნანა ჯანაშია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწვეული ლექტორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-0921-3584
nanajanashia66@hotmail.com

ცენზურა და კავკასიურენოვანი გაზეთების დევნა ცარიზმისდროინდელ კავკასიაში

ცარიზმისდროინდელ კავკასიაში რუსულენოვანი გაზეთები ჭარბობდა. ცენზურა მოქმედებდა როგორც კავკასიური სიმართლის ჯალათი. ცარიზმი გამუდმებით ებრძოდა თავისუფალ სიტყვას და ეროვნული ხასიათის გამოცემებს, შედეგად კი – არაერთი გაზეთი დაიხურა და არაერთი რედაქტორი დაიჭირეს. კავკასიის საცენზურო კომიტეტი კრძალავდა წერილებს სკოლების, სამკითხველოების, ქართული წიგნების გავრცელების თაობაზე, იმაზე ინფორმაციებსაც, თუ სადმე მოსავალი არ მოვიდოდა და სიღარიბე ელოდა ხალხს. კრძალავდა მასალების წერას სნეულებების შესახებ. კრძლავდა ინფორმაციის გავრცელებას შიმშილისა და სიღარიბის შესახებ. ასევე, ფედერალიზმისა და ავტონომიის პროპაგანდას. მაგალითად, 1901 წელს ბაქოს ნავთის სარეწებზე გაჩენილმა ხანძარმა 500 მუშა იმსხვერპლა. ამ ინფორმაციის დაბეჭდვის უფლება არ მისცეს არცერთ ქართულ გამოცემას. თუმცა, ამ ფაქტთან დაკავშირებით მასალები რომ მომზადდა, ამაზე მეტყველებენ საარქივო დოკუმენტები.

საკვანძო სიტყვები: *კავკასიურენოვანი გაზეთები, ცარიზმისდროინდელი კავკასია, ცენზურა.*

Nana Janashia

PhD in Social Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Lecturer
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-0921-3584
nanajanashia66@hotmail.com

Censorship and Persecution of Caucasian-language Newspapers in the Caucasus during the Tsarist Period

During the tsarist period, the Russian-language newspapers dominated in the Caucasus. Censorship acted as the executioner of the Caucasian truth. Tsarism constantly fought against freedom of speech and publications in Caucasian languages, as a result of which many newspapers were closed and editors arrested. The Caucasian censorship committee forbade publications about schools, reading rooms, distribution of Georgian books, information about whether the harvest had disappeared somewhere and whether poverty awaited the people. It forbade the publication of materials about diseases, the dissemination of information about hunger and poverty, and the propaganda of federalism and autonomy. For example, in 1901, a fire at the Baku oil refineries killed 500 workers, but none of the Georgian publications was allowed to publish this information. Nevertheless, the information on this fact was prepared which is evidenced by archival materials.

Keywords: *Censorship, Caucasian-language Newspapers, Tsarist period.*

თინათინ ჯიქურაშვილი

ფილოლოგიის მაგისტრი, თსუ დოქტორანტი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-7752-5537
t.jikurashvili@ug.edu.ge

შუა საუკუნეების ქართული თეორიული გრამატიკა

დაზუსტებით არ ვიცით, პირველად როდის დაიწყეს საქართველოში ფიქრი გრამატიკაზე, მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს აუცილებლად მოხდა მაშინვე, როგორც კი საქართველოში წმინდა წერილის და ქრისტიანობისთვის საჭირო სხვა წიგნების თარგმნა დაიწყეს. მიიღო თუ არა ამ ფიქრმა წერილობით სახე და იქცა თუ არა რაიმე სახის სახელმძღვანელოდ, ამის თქმა დაბეჯითებით რთულია, რადგან შუა საუკუნეებიდან ამგვარი სახით ჩვენამდე არცერთ შრომას არ მოუღწევია. უნდა ითქვას, რომ ალბათ არც იყო საჭიროება ცალკე გრამატიკის სახელმძღვანელოს არსებობისა. მთარგმნელები თარგმანის პროცესში აწყდებოდნენ სხვადასხვა სახის სირთულეს და ხედავდნენ, რომ ზოგიერთი კატეგორიისა თუ სინტაქსური კონსტრუქციის გადმოტანა ქართულში სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სრულიად აშკარაა, რომ ამ პრობლემის წინაშე პირველი მთარგმნელებიც იდგებოდნენ, თუმცა ისინი ამ საკითხებზე დუმან და ჩვენ მხოლოდ შედეგს ვხედავთ – შეგვიძლია ქართული თარგმანი ორიგინალს შევადაროთ და ვნახოთ როგორ გადაწყვიტა მთარგმნელმა რომელიმე რთული საკითხი. უფრო მოგვიანებით, მას შემდეგ რაც თარგმნა გარკვეულ კონცეფციას დაექვემდებარა, ძირითადი პრინციპები გაუჩნდა, მთარგმნელებმა დაიწყეს თარგმანთან დაკავშირებული სირთულეების ლოკალური აღწერა. ამ პრინციპს შეგვიძლია ვუწოდოთ „აქ და ახლა“, ანუ გრამატიკაზე, უფრო სწორად, მის კონკრეტულ, კონტექსტურ საკითხზე, საუბარია საჭირო დროს, საჭირო კონტექსტში, იქვე, ხელნაწერის აშიაზე.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება იოანე ქსიფილონოსის მიერ შედგენილი ზაფხულის თვეების მეტაფრასული კრებულების გელათურ თარგმანებზე (S 417, K 1, K 2, K 3) დართული გრამატიკული კომენტარები და მთარგმნელთა მსჯელობა სხვადასხვა ენობრივ საკითხზე, რასაც შეიძლება თამამად ვუწოდოთ შუა საუკუნეების ქართული თეორიული გრამატიკა.

საკვანძო საკითხები: *თეორიული გრამატიკა, იოანე ქსიფილინოსი, მეტაფრასული კრებულები. კომენტარები.*

Tinatin Jikurashvili

Master in Philology, TSU PhD Student
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Research fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-7752-5537
t.jikurashvili@ug.edu.ge

Medieval Georgian Theoretical Grammar

We don't know exactly when people in Georgia first started thinking about grammar, but we can confidently say that it must have occurred as soon as the translation of the Holy Scriptures and other texts necessary for Christianity began in Georgia. Whether this thinking took a written form or developed into any kind of manual is hard to say definitively, as no such work has survived from the Middle Ages. It's likely that there was no need for a separate grammar guide. Translators encountered various challenges during the translation process and recognized that translating certain categories or syntactic constructions into Georgian was difficult. It's clear that early translators faced these issues, though they remain silent on these topics; we only see the results, comparing the Georgian translations to the originals to understand how translators resolved complex issues. Later, as translation followed a more established concept and had basic principles, translators began to describe the difficulties of translation locally. We might call this approach "here and now," meaning that grammar – more precisely, specific contextual issues – is discussed when needed, in the right context, sometimes even in the margins of the manuscript.

This presentation will analyze the grammatical comments and translators' discussions on various linguistic issues found in the Gelati translations of the metaphrastic collections of summer months compiled by John Xiphilinos (S 417, K 1, K 2, K 3), which can confidently be called medieval Georgian theoretical grammar.

Key words: *Theoretical Grammar, John Xiphilinos, Metaphrastic Collections, Grammatical Comments.*

ია ჯიჭონაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-8945-8196
la.jichonaia@mail.ru

„ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა ცნობები საქართველო – ჩრდილოეთკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ

„ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებზე, დიდი ხანია, აქტიურად გამოიყენება ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კიდევ ერთი მცდელობა „ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა მასალების შემდგომი წყაროთმცოდნეობითი დამუშავება. კონკრეტულად, ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის ცნობები საქართველო-ჩრდილოეთის ქვეყნების ურთიერთობის შესახებ.

სუმბატ დავითის ძის თხზულებას „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა“ „ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. თხზულება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის VI-XI საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მასში მოცემულია არაერთი საინტერესო ცნობა საქართველოს ურთიერთობებზე მეზობელ ქვეყნებთან თუ ხალხებთან. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის კავკასიის ქედს გადაღმა არსებული სამყარო, საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, აგრეთვე ხაზარები, ძველი რუსები. პირველი ცნობა, რომელიც შემოდის ჩვენი ინტერესების სფეროში, ესაა ცნობა ჰერაკლე კეისრისა და ხაზარების მიერ თბილისის დალაშქვრის შესახებ. მეორე ცნობა ეხება 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომის პერიპეტიებს, კერძოდ, ბიზანტიისა და ქართული ჯარების დასკვნითი შეტაკების გაშუქებას, სადაც მემატიანე იძლევა საინტერესო ცნობას ბიზანტიის ლაშქარში რუსთა რაზმების „ტაღმანი მეფისანი რუსნი...“ ყოფნის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული მასალა ნამდვილად არ გამოირჩევა ინფორმაციული დატვირთულობით, მაინც საჭიროდ ჩავთვალე მასზე კიდევ ერთხელ ყურადრების გამახვილება, და მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების ჩვენება.

საკვანძო სიტყვები: *„ქართლის ცხოვრება“, პოლიტიკა, მემატიანე, წყარო, კავკასია.*

Ia Jichonaia

Associate Professor at Sokhumi State University
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-8945-8196
Ia.jichonaia@mail.ru

Chronicles of “Kartlis Tskhvreba” on the Political Relations Between Georgia-North Caucasus Countries

The chronicles of the "Kartlis Tskhovreba" about the peoples and countries of the North Caucasus have long been actively used by researchers-historians interested in the history of the North Caucasus. The article discusses another attempt to further source the materials of the chronicles of "Kartlis Tskhovreba". Specifically, historian Sumbat Son of David account of Georgia-Northern countries relations.

Sumbat Son of David’s work “Tskhovrebai da Utskebai Bagrationta”(Life of Bagrations) occupies a very special place among the chronicles of "Kartlis Tskhovreba". The work gives us some insight into the foreign and political situation of Georgia in the VI-XI centuries. It contains several interesting accounts about Georgia's relations with neighboring countries and peoples. In this regard, the world across the Caucasus Range, the peoples of the North Caucasus, as well as the Khazars, the ancient Russians are no exception. The first message that comes into the realm of our interests is the account of Heracles Caesar’s and the Khazar’s attack on Tbilisi. The second reference refers to the peripheries of the Georgia-Byzantine War of 1021-1022, in particular, the coverage of the final clash between Byzantine.

Keywords: *"The Life of Kartli", Politics, Chronicler, Sources, Caucasus.*

გიორგი ჯღარკავა

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწვეული ლექტორი
https://orcid.org/0000-0002-4979-3019
georgejgharkava@gmail.com

„ბედის“ კონცეპტი ქართველურ ენათა პარემიებში

ანდაზები და იდიომები, როგორც კულტურული ინფორმაციის შემცველი ენობრივი ერთეულები, გამოხატავენ მათი შემქმნელი ენობრივი კოლექტივის ფსიქოლოგიას, სოციალურ ჩვევებს. სწორედ ამიტომ, ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ლინგვოკულტუროლოგიური და სხვა მომიჯნავე დისციპლინათა პერსპექტივიდანაც. კერძოდ, ხალხის ისტორიული მეხსიერებისა და კოლექტიური ინტელექტის ფორმირების საკითხის წარმოჩენისათვის აქტუალურია იმაზე დაკვირვება, თუ რა ძირითადი ეროვნულ-კულტურული კონცეპტებია მოცემული პარემიებში.

ქართულ დისკურსში კონცეპტთა შესწავლის აქტუალურობას ადასტურებს უკანასკნელ ხანებში შესრულებული კვლევები (ომიაძე, 2009, 2010, 2013 2015; ყურაშვილი 2007; Goshkheteliani, 2011; ბარბაქაძე, 2012; ერაგია, 2012; ბერიაშვილი, 2016; კაკაჩია და სხვები 2018; ჯიჯავა, ახვლედიანი, 2018; ბერკაცაშვილი, 2020; გელდიაშვილი, 2023 და სხვ.), რომლებშიც გაანალიზებულია არაერთი კონცეპტი. ვფიქრობთ, რომ ქართველური ლინგვოკულტურული სივრცის დახასიათებისას ქართულთან ერთად სხვა ქართველურ ენათა ემპირიული მასალის ჩართვა უფრო სრული სურათის წარმოდგენის საშუალებას მოგვცემს და გააღრმავებს კვლევებს ამ მიმართულებით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოხსენებაში განხილული იქნება ქართველურ ენათა პარემიებში (იდიომებსა და ანდაზებში) კონცეპტის დეფინიციური ნიშნებიდან ყველაზე მაღალი ხარისხის სემიოტიკური სიმჭიდროვის მქონე კონცეპტი „ბედი”, რომელიც, როგორც „ცნობიერებების უმნიშვნელოვანესი კატეგორია“ (ომიაძე, 2009, 96), ამავდროულად, ბაზისურ კონცეპტთა რიგში მოიაზრება (ბერკაცაშვილი, 2020). აღნიშნული კონცეპტი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში წარმოდგენილია არაერთი სინონიმური რიგის ლექსემით (წერა, ბედისწერა, იღბალი, ბედ-იღბალი, სვე, სვე-ბედი, განგება, ხვედრი, წილი, ეტლი, ფატუმი, დავლათი, დორანი, ყისმათი, ნასიბი, უღური, აჯალი, რუზღი და სხვ.), ხოლო არასალიტერატურო ქართველურ ენებში ბედის სინონიმური წრე შედარებით ვიწროა.

მოხსენების ძირითად ემპირიულ ბაზას წარმოადგენს გამოცემული ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური ანდაზები და იდიომები. გარდა ამისა, საანალიზო მასალად აღებულია ლექსიკონის მონაცემები და ელექტრონული რესურსები. ამასთან, მაგალითები მოყვანილია ლინგვისტური ექსპედიციის ფარგლებში ჩვენ მიერ შეგროვებული მასალიდანაც. არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ვრცელი ემპირიული მასალის გათვალისწინებით მოხსენებაში შესწავლილია „ბედის“ კონცეპტის სემანტიკურ-დისტრიბუციული ველი, გაანალიზებულია რამდენიმე პრობლემური

საკითხი, მაგალითად, როგორიცაა: ბედის, ბედისწერისა და განგების ურთიერთმიმართება; ყოფითი და რელიგიური ცნობიერების ასახვა ბედის კონცეპტთან მიმართებით და სხვ.

საკვანძო სიტყვები: *ქართველური ენები; კონცეპტი „ბედი“; ანდაზა; იდიომი; პარემიოლოგია.*

Giorgi Jgharkava

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Lecturer
https://orcid.org/0000-0002-4979-3019
georgejgharkava@gmail.com

The Concept of "Fate" in the Proverbs of Kartvelian Languages

Proverbs and idioms, as linguistic units containing cultural information, express the psychology and social habits of the language collective that created them. That is why they are especially important not only from the perspective of linguistics but also from the perspective of linguoculturology and other related disciplines. In particular, to present the issue of the formation of people's historical memory and collective intelligence, it is relevant to observe what basic national-cultural concepts are given in paroemias.

The relevance of the study of concepts in the Georgian discourse is confirmed by recent studies (Omiadze, 2009, 2010, 2013 2015; Kurashvili, 2007; Goshkheteliani, 2011; Barbakadze, 2012; Eragia, 2012; Beriashvili, 2016; Kakachia et al. 2018; Jijava, Akhvlediani, 2018; Berkatsashvili, 2020; Geldiashvili, 2023 etc.), in which several concepts are analyzed. We think that the inclusion of the empirical material of other Kartvelian languages besides Georgian in the characterization of the Kartvelian linguistic space will allow us to present a more complete picture and deepen the research in this direction.

Taking into account the above, the report will discuss the concept of "fate" with the highest degree of semiotic complexity among the defining signs of the concept in the paroemias (idioms and proverbs) of the Kartvelian languages, which, as "the most important category of consciousness" (Omiadze 2009:96), at the same time, is considered to have its place among the basic concepts (Berkatsashvili 2020). In the Georgian literary language and dialects, the mentioned concept is represented by a number of synonymous lexemes (ცera, bedisცera, იġbali, bed-იġbali, sve, sve-bedi,

gangeba, xvedri, c̣ili, eṭli, paṭumi, davlati, dorani, qismati, nasibi, uġuri, ažali, ruzġi etc.), and in non-literary Kartvelian languages, the circle of synonyms for fate is relatively narrow.

The main empirical base of the report consists of published Georgian, Megrelian, Laz, Svan proverbs and idioms. In addition, dictionary data and electronic resources are taken as the analysis material. Examples are provided from the material we collected as part of our linguistic expedition. Taking into account the existing scientific literature and extensive empirical material, the report examines the semantic-distributive field of the concept of "fate", analyzes several problematic issues, such as: the relationship between fortune, fate and destiny; Reflection of existential and religious consciousness about the concept of fate, and so forth.

Examples are also provided from the material we collected during our linguistic expeditions. Taking into account the existing scientific literature and extensive empirical material, the report examines the semantic-distributive field of the concept of "fate" and analyzes several problematic issues, such as the relationship between fate, destiny, and fortune and the reflection of existential and religious consciousness in relation to the concept of fate.

Keywords: *Kartvelian Languages; The concept of "fate"; Proverb; Idiom; Paremiology.*

რაფიელ ერისთავი – 200

ნინო აბაკელია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი, ემერიტუსი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-4586-8206
nino_abakelia@iliauni.edu.ge

რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი და კულტურის კულტივატორი მე-19 საუკუნის ქართულ ერთიან სააზროვნო და წარმოსახვით სივრცეში

მოხსენება ფოკუსირდება ეთნოგრაფიისა (როგორც თვითშემეცნების საშუალებისა) და კულტურის ურთიერთ მიმართებაზე, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოში განვითარდა. საქართველოს ისტორიაში ეს ის პერიდია, როდესაც ქვეყანა კარგავს სახელმწიფოებრიობას და იყოფა ორ (თბილისისა და ქუთაისის) გუბერნიად (აღმოსავლეთ საქართველო 1801 წელს, დასავლეთ საქართველო – 1810 წელს), რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების შემდეგ და ექვემდებარება რუსულ მმართველობას; უძველესი ქართული ორთოდოქსული ეკლესია (ავტოკეფალური 750 წლიდან, რომლის მეთაურად 1008 წლიდან ითვლებოდა კათოლიკოს-პატრიარქი) რეორგანიზებული იქნა საქართველოს საეგზარქოსოდ, რომელსაც რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართული ენა სრულიად აიკრძალა სკოლებში.

მე-19 საუკუნეში ქართულ კულტურულ სფეროში პარადიგმა იცვლება. აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენები, შესაბამისად, იცვლება. რუსული კოლონიური ზეგავლენა იზრდება. იზრდება ინტერესი ევროპული კულტურის მიმართ. ხალხის ღირებულებათა სისტემაში ბეჭდური სიტყვის, ლიტერატურის გაძლიერებისა და წერა-კითხვის ფართოდ გავრცელების ფონზე საზოგადოებაში იზრდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეა და ახალი მოდერნული ტიპის სოციალური სივრცე იქმნება (წიფურია 2010). კულტურული ინიციატივებისა და კროს-კულტურული აქტივობების კონტექსტში პარადიგმის ცვლილება ვლინდება მკაფიოდ გამოხატული კულტურული ნაციონალიზმის სახით. ამ პერიოდის ისტორიაში პროგრამული ინიციატივა,

თანმხლები კულტურული აქტივობებით, ფოკუსირდება ნაციონალიზმზე, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში განისაზღვრება როგორც კულტურის კულტივაცია.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სოციო-კულტურულ და სააზროვნო სივრცეში ქართული ნაციონალური სივრცის ჩამოყალიბებაში ლიტერატურულთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნოგრაფიული ნარატივები. დროსა და სივრცეში დაშორებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად იწყება ეთნოგრაფიის განვითარების ინტენსიური პერიოდი. ამ დროს არსდება პარიზის ეთნოლოგიური საზოგადოება (1839), ნიუ-იორკის ეთნოლოგიური საზოგადოება (1842), ლონდონის ეთნოლოგიური საზოგადოება (1843). პეტერბურგში – 1845 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის ბაზაზე ეთნოგრაფიული განყოფილება იქმნება. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა კოლონიური პოლიტიკის განვითარებას. რომლის დროსაც კოლონიური ხალხი და მათი შესწავლა მნიშვნელოვანი ხდება. ასეთ შემთხვევებში იწყება კულტურების კულტივაცია (იო. ლეერსენი) და კულტურულ სივრცეებში ჩნდებიან ე. წ. კულტურის კულტივატორები და ნაციონალური პროექტები იშლება როგორც კულტურული ისტორიების ნაწილების სახეები.

კულტურული ნაციონალისტების სოციოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი პოეტს, დრამატურგს, პუბლიცისტს, ფოლკლორისტს, ლექსიკოგრაფს, ისტორიკოს, ეთნოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს რაფიელ ერისთავს უკავია, რომლის კულტურული აქტივობა სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში თავსდება.

1850 წელ თბილისში დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება. 1852 წლის მაისში რ. ერისთავის უშუალო მონაწილეობით თბილისში რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოების ბაზაზე დაფუძნდა კავკასიური მუზეუმი, რომელიც ნაციონალური აქტივობის ცენტრად იქცა. მუზეუმის თანამშრომლები ცდილობდნენ ეთნიკური კულტურა დაეფიქსირებინათ, გაეცოცხლებინათ და მისი პოპულარიზაცია გაეწიათ. რ. ერისთავი, სხვა კულტივატორებთან (სკოლის მასწავლებლებთან და პოეტებთან) ერთად აგროვებდა ანდაზებს, ხალხურ გადმოცემებს, ხალხურ წეს-ჩვეულებებს და სხვ. და გახდა უნებლიე ავანგარდის სოციალური და პოლიტიკური აქტივისტი.

ცნობილია, რომ კულტურული ნაციის კულტურა, შეიძლება მასალად იყენებდეს ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ისტორიას. რაფიელ ერისთავი, როგორც მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ინტელექტუალი მთელი თავის შემოქმედებითა და მოღვაწეობით გახდა კულტურული ნაციის ერთერთი რეპრეზენტანტი და ერის, წარმოსახვითი ერთობის“, შემქმნელი.

იგი როგორც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის მკვლევარი 1846 წელს პერიოდულ პრესაში უმნიშვნელოვანესი ჩანახატებითა და ნარკვევებით ჩნდება. ხოლო 1855 წელს მნიშვნელოვანი ნარკვევით თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ; ლეჩხუმის მაზრის, იმერეთის, რაჭის, სამეგრელოსა და სვანეთის ძველი და ახალი ჩვეულებების მოთხრობებითა და ისტორიებით და სხვ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში რ. ერისთავი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უშუალო დაკვირვებით კრებდა და გამოცემდა ეთნოგრაფიულ მასალას, რაც დღეს პირველწყაროს მნიშვნელობის არის.

იმის საილუსტრაციოდ თუ რა მნიშვნელობისა და ღირებულების იყო რ. ერისთავის როგორც უშუალო მოწმისა და დამკვირვებლის მიერ შეკრებილი ეთნოგრა-

ფიულ მასალა მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია რ. ერისთავის მიერ სამეგრელოში დაფიქსირებული დღეისთვის უკვე მივიწყებული რიტუალი ბიობა, იგივე მალანურობა. ხაზგასმულია, რომ ეთნოგრაფიული ფაქტების აღწერასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო, ასევე, თვითონ რ. ერისთავის როგორც იდეების გამავრცელბლის ფუნქციაც.

მე-19 საუკუნის სოციო-კულტურულ სივრცეში,ნაჩვენებია თუ როგორ იქცა ეთნოგრაფია ლიტერატურასთან ერთად ნაციონალური ნარატივებისა და კულტურული ცნობიერების მნიშვნელოვან ბაზად და მისი ამაღლების საშუალებად და, კერძოდ, რა როლი და ფუნქცია ჰქონდა ამ საქმეში რ.ერისთავს. ნაჩვენებია ეთნოგრაფიული აქტივობით ეთნიკური ტრადიცია როგორ დაბრუნდა, გააქტიურდა და ყველაფერმა ამან როგორ გამოავლინა იმდროინდელი საზოგადოების ეთნიკური ფესვები, რაც წინ უძღვოდა ნაციონალისტურ იდეოლოგიას.

საკვანძო სიტყვები: *კულტურული სივრცე, წამოსახვითი სივრცე, კულტურის კულტივაცია, კულტურული ნაციონალიზმი, ნაციონალური იდეოლოგია.*

Nino Abakelia

Doctor of Historical Sciences
Ilia State University
Professor, Emeritus
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-4586-8206
nino_abakelia@iliauni.edu.ge

Raphiel Eristavi as an Ethnographer and Culture Cultivator in the 19th-Century Georgian Common Thinking and Imagined Space

The paper is focused on the relationship between ethnography (as a means of self-consciousness) and culture as it developed in the 19th century Georgia.

In the History of Georgia, this is the period when the country, loses its statehood and divided into two provinces (that of Tbilisi and Kutaisi) after imperial Russia annexed Georgia (eastern part in 1801, and western part in 1810) falls under the Russian rule; The ancient Georgian Orthodox Church (autocephalous since 750, whose head was since 1008 designated Catholicos-Patriarchs) was reorganized into Georgian Exarchate, and was run by Russian exarchs. It is the period when Georgian language is completely excluded from schools.

The 19th century is the period during which the paradigm changes in the Georgian cultural space. The political and, consequently, cultural influences of the Eastern countries end; Russian colonial influence is growing. Interest in European culture is increasing. The idea of state freedom is at the forefront of public values and thanks to the printed word, literacy grows in the society and a modern type of social space is formed (see Tsipuria, 2010).

In the contexts of cultural initiatives and cross-current activities the change of the paradigm is revealed and a clearly defined outline of cultural nationalism is formed. The programmatic initiative in the history of this period focuses on nationalism, with accompanying cultural activities, which in special literature is called cultivation of culture.

In the formation of Georgian national space together with literature ethnographic narratives become of special importance in the 19th century Georgian socio-cultural and thinking space.

In the history of ethnography, the 19th century is considered to be the period of intensive development of ethnography. At that time the Société Ethnologique de Paris (1839), the Ethnological Society of New York (1842), the Ethnological Society of London (1843) were founded. At St. Petersburg, in 1845, the Imperial Russian

Geographic Scientific Society was established on the basis of which ethnographic department had been set up. The mentioned period coincided with the development of colonial policy during which the study of colonial peoples came to the fore (became prominent). In such cases the cultivation of cultures begins (Leersen) and so-called cultivators appear in cultural spaces and national projects unfold as a part of cultural histories.

In the Georgian sociography of cultural nationalists, a special place is occupied by the poet, playwright, dramatist, publicist, folklorist, lexicographer, historian, ethnographer and public figure Raphael Eristavi, whose cultural activity can be placed in a socio-political context.

In 1850 the regional branch of the Imperial Russian Geographical Society was opened in Tbilisi. On May 12, 1852 under the direct leadership of Raphael Eristavi the Caucasian department of Imperial Russian Geographic Society was founded in Tbilisi on the basis of which ethnographic department had been opened.

The Museum became the center of national activities, where Museum workers tried to fix, to revive the ethnical cultrure and to popularize it. R. Eristavi, together with the other culture cultivators (school teachers and poets) gathered proverbs, folk tales, folk customs, etc. and became a social and political activist of informal vanguard.

As is known, the culture of national culture can use ethnography, folklore, history as material. Raphael Eristavi as a writer, civil official, public figure, ethnographer, and intellectual with his creative work became one of the representatives of the cultural nation and one of the creators of the "imaginary unity" of the nation.

As a researcher of the lifestyle and culture of the Georgian people, he appeared in the periodical press in 1846 with the most important sketches and essays, and in 1855 with an essay about Tush-Pshav-Khevsureti district. Later with ethnographic notes and essays about Lechkhumi Mazra, Imereti, Racha, Samegrelo and Svaneti, etc. with stories of old and new customs.

The ethnographic data collected and published by participant observation method was gathered in East and West Georgia during his civil service, which became of primary importance today.

The paper illustrates the significance of ethnographic data and the facts gathered by Eristavi as a direct witness and observer and the now-forgotten ritual bioba/ the same malanuroba is discussed and analyzed among the attested facts in Samegrelo.

The paper clarifies how ethnography, together with literature, became an important base for raising national narratives and cultural awareness in the Georgian socio-cultural space of the 19th century and shows what role and function R. Eristavi had in all this.

The present paper emphasizes not only the importance of gathered data, but also R. Eristavi's role as a disseminator of ideas and shows how hidden and almost forgotten ethnic traditions became active through ethnographic activity, how all these revealed the ethnic roots of the society of that time, and how all that preceded the nationalist ideology.

Keywords: *Cultural space, imagined space, cultivation of culture, cultural nationalism, national ideology*

ირინე აბესაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
ემერიტუს-პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0003-9401-148X
i.abesadze@yahoo.com

ფრაგმენტები XIX ს-ის 80-იანი წლების სამხატვრო ცხოვრებიდან

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთელმა თაობამ, „60-იანელების“ სახით, წარმატებით გააგრძელა წინა თაობის ძალისხმევა საქართველოში ევროპული საგანმანათლებლო იდეების დანერგვის კუთხით, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მესვეურთა მუხლჩაუხრელი მოქმედებით შექმნილმა საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა „გამოაფხიზლა“ და ეროვნული თვითგამორკვევის სწრაფვას დაუმორჩილა ქართული კულტურა. პატრიოტული იდეებით დამუხტულმა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობამ, ე. წ. 80-იანელებმა, მეტად რთულ დროს, საქართველოს რუსეთის გუბერნიად მოქცევის ვითარებაში ესტაფეტა „თერგდალეულებისაგან“ გადაიბარეს. მათ სწავლა-განათლება რუსეთისა და ევროპის წამყვან ცენტრებში მიიღეს და ძალღონე არ დაიშურეს ქართული კულტურის ევროპული რადიუსით წარმართვისთვის.

აღნიშნულ თაობას განეკუთვნებოდნენ ქართული რეალისტური მხატვრობის უფროსი თაობის წარმომადგენლები: რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვები, რომელთაც, თავის მხრივ, გააგრძელეს და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს ე.წ. თბილისური პორტრეტული სკოლის წარმომადგენლების, პირველი პროფესიონალი მხატვრის, გრიგოლ მაისურაძის, ქართული გრაფიკული ხელოვნების მესაძირკვლის, გრიგოლ ტატიშვილის და სხვათა ტრადიციები. ეს როდი ნიშნავს, რომ გარდა აღნიშნული სახელებისა, საქართველოში არ იყვნენ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე მხატვრები. რასაკვირველია, იყვნენ, მაგრამ ისინი ძირითადად, უცხო ქვეყნებიდან დროებით თუ სამუდამოდ ჩამოსული ხელოვანნი იყვნენ. 1888 წლის 17 იანვარს რუსულ გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“ დაიბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტფილისში მთავარმმართებლის სასახლის ორ დიდ დარბაზში მოეწყო გამოფენა, სადაც გამოიფინა ცნობილი რუსი და უცხოელი მხატვრების ნამუშევრები, ადგილობრივი მხატვრებიდან კი, მხოლოდ ერთი ქართველი მხატვარი – ალექსანდრე ბერიძე იღებდა მონაწილეობას. მან ამ გამოფენაზე ქართული თეატრის ფუძემდებლის, „ქართველ მოლიერად“ წოდებული გიორგი ერისთავის პორტრეტი წარმოადგინა. ალექსანდრე ბერიძე მეგობრობდა გიორგი ერისთავის ვაჟთან – დავით ერისთავთან 1880-1881 წწ. ორივე, მხატვარ დავით გურამიშვილთან ერთად, მახვილ კარიკატურებს აქვეყნებდნენ საქართველოში გამომავალ პირველ იუმორისტულ კარიკატურებიან რუსულ ჟურნალში – „ფალანგა“. ამ ფაქტმა სხვადასხვა ფსევდონიმს ამოფარებული სამივე ქართველი მხატვარი ქართული კარიკატურული მხატვრობის ავანგარდში მოახვედრა. უაღრესად საინტერესოა აღნიშნული სამი მხატვრის დამოკიდებულება იმ პერიოდის საქართველოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს კულტურულ მოვლენასთან

– შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის (1888 წ.) სამზადისთან დაკავშირებით, რაც დეტალურად იქნება განხილული მოხსენებაში.

საარქივო მასალების და იქ დაცული ეპისტოლური მემკვიდრეობის შუქზე იკვეთება ალექსანდრე ბერიძის, ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში ამ შედარებით ნაკლებად შესწავლილი მხატვრის ბიოგრაფიის ცალკეული საკითხები, რომლებიც საინტერესოდ წარმოაჩენს იმ პერიოდის ტფილისის სამხატვრო ცხოვრების ფრაგმენტებს.

საკვანძო სიტყვები: *შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, კარიკატურები, პორტრეტები, გამოფენები, ეპისტოლური მემკვიდრეობა.*

Irine Abesadze

PhD in Art History
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Professor-emeritus
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/ 0009-0003-9401-148X
i.abesadze@yahoo.com

Fragments from the Artistic Life of the 80s of the 19th century

From the second half of the nineteenth century, when the entire generation of Georgian public figures, in the form of "60s", successfully continued the previous generation's efforts in introducing European educational ideas in Georgia. The public associations created by the knee-jerk actions of the supporters of national independence and freedom "awakened" Georgian culture and subjugated it to the desire for national self-determination. The progressive-minded youth charged with patriotic ideas, the so-called The 80's took over the baton from "Tergdaleu" in a very difficult time when Georgia became a Russian province. They received their education in the leading centers of Russia and Europe and spared no effort to promote Georgian culture within a European radius.

The representatives of the older generation of Georgian realistic painting belonged to the mentioned generation: Romanoz Gvelesiani, Aleksandre Beridze, Gigo Gabashvili, Davit Guramishvili and others, who in turn continued and raised the so-called art to a new higher level. The traditions of the representatives of the Tbilisi portrait school, the first professional artist Grigol Maisuradze, the founder of Georgian graphic art Grigol Tatishvili and others. This does not mean that apart from

the mentioned names, no artists were working in different fields of fine arts in Georgia, of course, there were, but they were mostly artists who came from foreign countries temporarily or permanently. On January 17, 1888, the Russian newspaper "Novoe Obozrenye" published information that an exhibition was organized in two large halls of the Governor's Palace in Tbilisi, where the works of famous Russian and foreign artists were exhibited, and among the local artists, only one Georgian artist - Aleksandre Beridze - participated. At this exhibition, he presented the portrait of Giorgi Eristavi, the founder of the Georgian theater, called "Georgian Moliere". Aleksandre Beridze was friends with Davit Eristavi, son of Giorgi Eristavi, 1880-1881. Both of them, together with the artist Davit Guramishvili, placed sharp caricatures in the first humorous caricature magazine published in Georgia – "Falanga". This fact brought all three Georgian artists, covered by different pseudonyms, to the vanguard of Georgian caricature painting. The attitude of the mentioned three artists regarding the most important cultural event in Georgia of that period or the preparation of the Kartvelishvili edition of Shota Rustaveli's "Tiger Skinner" (1888), which will be discussed in detail in the report, is extremely interesting.

In the light of archival materials and epistolary legacy preserved there, separate issues of the biography of Aleksandre Beridze, a relatively little-studied artist in Georgian art history, are outlined, which interestingly present fragments of the artistic life of Tbilisi of that period.

Keywords: *Shota Rustaveli, "The Man in a Panther Skin", caricatures, portraits, exhibitions, epistolary legacy.*

ნოდარ არონიშიძე

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0001-3706-7925
nm.aronishidze@gmail.com

ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია

წინამდებარე მოხსენება დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ბოდორნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიას და მის ისტორიულ კონტექსტს შეეხება. საყურადღებოა, რომ თავად ტაძარი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშია და აშკარად ატარებს თავისი დროის მკაფიო ნიშნებს. მისი გეგმარებითი და, განსაკუთრებით, სივრცითი გააზრება გარკვეულ უჩვეულობებსა და, შეიძლება ითქვას, „ორიგინალობებსაც“ ამჟღავნებს, რაც არა იმდენად ოსტატისეული ჩანაფიქრის შედეგია, რამდენადაც ტექნიკური მოცემულობების „დაუძლევლობისა“. ცხადია, ცალკე აღნიშვნის ღირსია ტაძრის ისტორიული კონტექსტი და მისი კავშირი არაგვის ერისთავთა საგვარეულოსთან.

ეკლესიაზე არსებული წარწერების თანახმად, ადრე იქ მდგარი დანგრეული ეკლესია 1717 წ. განუახლებიათ არაგვის ერისთავის შვილს, მიტროფანეს და სახლთუხუცეს ქაიყუბათ კობიაშვილს. მოგვიანებით, XVIII ს. შუა ხანებში, ქაიყუბათის შვილს ეკლესიისათვის სამხრეთიდან მცირე სამლოცველო მიუშენებია, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. 1912 წელს ეკლესია საფუძვლიანად შეაკეთეს. გუმბათით დაგვირგვინებული დარბაზული ეკლესია ნაშენია რიყის ქვითა და აგურით. ტაძრის სამშენებლო მასალა შერეულია და მხოლოდ ჩრდილოეთ კედელზე გვხვდება ქვისა და აგურის რიგების თანმიმდევრული მონაცვლეობა. რაც შეეხება გუმბათს, მისი ყელი სრულად აგურითაა ნაგები, ხოლო შიდა და გარე კედლები სრულადაა შეთეთრებული. ტაძრის შესასვლელი ღიობები ორ მხარესაა – სამხრეთით და დასავლეთით, საიდანაც ეს უკანასკნელი 1912 წლის შეკეთების დროსაა გაჭრილი. საკურთხეველში, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რომლის ორსავ მხარეს მცირე ზომის თითო ნიშია წარმოდგენილი. საკურთხევლის აფსიდის კედელზე ტრაპეზის ქვაა მიდგმული, ხოლო თავად საკურთევლის იატაკი დარბაზთან შედარებით მაღლაა აწეული – გვხვდება შეთეთრებული კანკელი, რომელზეც გვხვდება აღსავლის კარი და ჩრდილოეთით არსებული მცირე ღიობი. ტაძრის ყველა კედელში თითო სარკმელია გაჭრილი – აქედან სამხრეთი და ჩრდილოეთი სარკმლების თაღები შეისრულია, ხოლო დასავლეთი სარკმლისა და გუმბათის ყელში გაჭრილი რვა სასინათლო ღიობის ფორმები – ნახევარწრიული. გუმბათიქვეშა კონსტრუქციაში წარმოდგენილია გრძივი კედლების შეკიდებულ პილასტრებზე გადაყვანილი ორი შეისრული თაღი, რომლებზეც დამყარებულია მათი პერპენდიკულარული, ორსაფეხურიანი თაღები. ეს წარმოქმნის გუმბათქვეშა კვადრატს, საიდანაც გუმბათის წრიულ ყელზე გადასასვლელად გამოყენებულია აფრები.

ტაძრის გარე მასების გადანაწილება, მათი გააზრება არ შეესაბამება შიდა სივრცის სტრუქტურას. ჯვარ-გუმბათოვანი სახის შესაქმნელად გუმბათის ყელის სამხრითა და ჩრდილოეთით, გვერდის „მკლავების“ ორკალთიანი სახურავებია მოწყობილი. ამის გამო, სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადების შუა მონაკვეთი ამაღლებულია და ფრონტონითაა დასრულებული. აღმოსავლეთ ფასადზე სამი, მოზრდილი ზომის ჯვარია აგურის წყობით გამოყვანილი, საიდანაც ერთი ფრონტონის არეშია მოთავსებული. სხვა ფასადები მოკლებულია დეკორატიულ გაფორმებას. სამხრეთი კარის თავზე ჩასმულ ქვის ფილაზე რვასტრიქონიანი მხედრული წარწერაა, რომლის მიხედვითაც ვიგებთ ეკლესიის განახლების თარიღსა და დამკვეთთა ვინაობას, ხოლო დასავლეთი ფასადის თორმეტსტრიქონიანი მხედრული წარწერა – შეკეთების დროის ამსახველია. წახნაგოვანი გუმბათის ყელის თითოეულ წახნაგზე, დეკორატიულ მოჩარჩოებაში მოქცეული ვიწრო და მაღალი სარკმლებია გაჭრილი. წახნაგთა წიბოებს თითო ლილვი დაუყვება, რომლებიც ზედა არეზე არსებულ ჰორიზონტალურ ლილვს ერთვის. ტაძრის ფასადები დასრულებულია მარტივი, სამსაფეხურიანი კარნიზით, ხოლო გუმბათის ყელის ლავგარდანი ოთხსაფეხურიანია.

აღსანიშნავია, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია, ისევე, როგორც ანანური, არაგვის ერისთავთა საგვარეულო სალოცავსა და საძვალეს წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: *ბოდორნის ეკლესია, არაგვის ერისთავები, არქიტექტურა, ტაძარი, ხელოვნება.*

Nodar Aronishidze

Master in Art History
The Giorgi Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation
Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0001-3706-7925
nm.aronishidze@gmail.com

Church of the Virgin in Bodorna

The present article examines the Church of the Nativity of the Virgin of Bodorna church in Dusheti municipality and its historical context. It is worth noting that the church is an example of late medieval Georgian architecture. It bears the obvious traces of its time. Its layout and especially, spatial comprehension reveal a certain unusualness and, one could say, "originality", which is not so much the result of a masterful design as of the "insurmountability" of technical conditions. The historical context of the church and its connection with the lineage of the nobility of the Aragvi Eristavs (rulers) deserve special mention.

According to inscriptions on the church, in 1717 Mitrophane, son of Aragvi Eristavi, and housemaster Kaiqubat Kobiashvili renovated the destroyed church that stood there before. Later, in the middle of the 18th century, Kaiqubat's son built a small chapel for the church from the south, which no longer exists. In 1912 the church was extensively renovated.

The single-nave church, topped with a dome, is built of cobblestones and bricks. The building material of the church is mixed, and only on the northern wall, there is a consistent alternation of stone and brick rows. As for the dome, it is built entirely of brick. The interior and exterior walls are completely whitewashed. The entrances of the church are on the south and west sides. The latter was cut out during the reconstruction in 1912. The high and arched window is in the center of the apse. The apse is flanked by small single niches. The altar stone is leaning against the wall of the apse, and the floor of the apse is raised compared to the nave. In the whitewashed templon is the Holy Door and a small opening to the north.

Single windows are on each wall of the church. The southern and northern windows are pointed, and the shape of the western window and dome openings (eight pieces) are semicircular. The subdome structure has two pointed arches carried on the hanging pilasters of the longitudinal walls, which are supported by their perpendicular two-tiered arches. This forms a subdome square, from which the pendentives are used to pass into the round drum of the dome. The articulation of the external volumes of the church, and their comprehension does not correspond to the structure of the internal space. The double-pitched roofs of the side "arms" are arranged to design a cruciform dome, with the right and north sides of the dome drum. In this regard, the middle parts of the south and north facades are raised and finished with gables (pediments). On the east façade are three full-length crosses arranged with bricks. One of them is set in the pediment area. The other facades are devoid of decoration. On the stone slab above the southern door, there is an eight-line "Mkhedruli" inscription, from which we recognize the date of renovation of the church and the names of the donors, and a twelve-line "Mkhedruli" inscription on the western facade indicates the time of renovation. Each face of the faceted dome drum has narrow, high windows surrounded by decorative frames. The ribs of the faces are provided with single shafts connected with the upper horizontal shaft. The facades of the church are completed with a simple three-tiered cornice. The drum cornice is four-tiered.

It is worth noting that the Church of the Virgin of Bodorna, like Ananuri, was a family shrine and burial vault of the Aragvi Eristav's nobility.

Keywords: *Bodorna church, Aragvi Eristav's, Architecture, church, art.*

ლევან ბებურიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0008-0270-6302
l.beburishvili@tsu.ge

რაფიელ ერისთავი და ქართველი სამოციანელები

რაფიელ ერისთავი იმ თვალსაჩინო მოღვაწეთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც გარკვეულწილად შეამზადეს საფუძველი ლიტერატურის ასპარეზზე ქართველ სამოციანელთა გამოჩენისათვის. რაფიელ ერისთავი გარდამავალი პერიოდის მწერალია. იგი არც რომანტიკოსთა თაობას ეკუთვნის და არც სამოციანელებისა. მიუხედავად ამისა, მწერალი ჩვენს ლიტერატურაში არაერთი სიახლის დამამკვიდრებლად მოგვევლინა. ქართველი სამოციანელები დიდი პატივისცემით იყვნენ განწყობილნი რაფიელ ერისთავის მიმართ. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ისინი იყვნენ ინიციატორნი მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გადახდისა, რომელიც ეროვნულ დღესასწაულად იქცა. თავიანთ ლიტერატურულ წერილებში თერგდალეულები არაერთხელ შეეხნენ რაფიელ ერისთავის დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე. ილია ჭავჭავაძის შეფასებით, რაფიელ ერისთავმა „შექმნა თავისი საკუთარი სკოლა ხალხური პოეზიისა“, აკაკი წერეთელი რაფიელის მემკვიდრეობას ადარებს „მთასა და ზღვას“, იაკობ გოგებაშვილი კი რაფიელ ერისთავს „მთლიანი პიროვნების“ ისეთ მაგალითად მიიჩნევს, რომელსაც უნდა ბაძავდნენ ახალგაზრდა მწერლები. საკონფერენციო მოხსენებაში სათანადო მემუარული მასალისა და პუბლიცისტური წერილების საფუძველზე განხილული იქნება რაფიელ ერისთავისა და ქართველი სამოციანელების პიროვნულ-ლიტერატურული ურთიერთმიმართების თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები: *ქართული ლიტერატურა, რაფიელ ერისთავი, თერგდალეულები.*

Levan Beburishvili

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/ 0009-0008-0270-6302
l.beburishvili@tsu.ge

Rapiel Eristavi and Georgian "samotsianelebi" (representatives of the sixties)

Rapiel Eristavi belongs to the group of prominent writers who to some extent prepared the ground for the emergence of the Georgian 'Samotsianelebi' in the literary arena. Rapiel Eristavi is a writer of the transition period. He neither belongs to the generation of romantics nor the realists. Nevertheless, the writer introduced many innovations in Georgian literature. 'Samotsianelebi' had great respect for Rapiel Eristavi. It is no coincidence that they were the initiators of the celebration of the 50th anniversary of the writer's creative activity. In their literary articles, 'Tergdaleulebi' repeatedly mentioned Rapiel Eristavi's contribution to Georgian literature. According to Ilia Chavchavadze, Rapiel Eristavi "created his own school of folk poetry", Akaki Tsereteli compared Rapiel's heritage to "the mountain and the sea", and Jacob Gogebashvili considers Eristavi to be an example of a "whole personality" that should be imitated by young writers. In the presentation, based on appropriate memoir material and journalistic articles, the peculiarities of the personal-literary relationship between Rapiel Eristavi and the Georgian 'Samotsianelebi' will be discussed.

Keywords: *Georgian literature, Rapiel Eristavi, Tergdaleulebi.*

თამარ ბელაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0001-3706-7925
tamarbelashvili@gmail.com

მიხაი ზიჩის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის „ვეფხისტყაოსანი“

1888 წელს ქართული საზოგადოების დიდი ძალისხმევით და განსაკუთრებული მონდომებით გამოიცა ე.წ. გიორგი ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“. წიგნი შეიმკო მხატვარ, მიხაი ზიჩის 27 ილუსტრაციით.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის მომზადების ისტორიის ზოგადკულტურული კონტექსტი თავადაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის პოემის საბოლოოდ შეჯერება-შეთანადების ურთულესი პროცესი და როგორ ითარგმნა ტექსტი ფრანგულად. მოვლენებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ეროვნული იდენტობის საკითხისადმი გამორჩეულად საფუვლისმიერი დამოკიდებულება სძენს. ერთადერთი მუდმივა, რომელიც საშუალებას გაძლევს საკუთარი თავი საერთაშორისო პრიზმაში დაინახო და იმავდროულად ზოგადსაკაცობრიო კონტექსტთან შენი კულტურის და შესაბამისად მსოფლმხედველობრივი მახასიათებლის უწყვეტი ბმა გახადო სხვათათვის საცნაური.

ამ თვალსაზრისით, სახვითი ხელოვნება, ეფუძნება რა ვიზუალურ სახეხატებებს, ლიტერატურასა და პოეზიასთან შედარებით, მეტად უნივერსალურ ენას ფლობს. შესაბამისად ის ინფორმაციაც რისი მატარებელიც არის ილუსტრაციები შესრულებული ამ პოემისთვის, თავისთავად უკიდურესად მნიშვნელოვანია დ არა მხოლოდ წმინდა მხატვრულ-ფორმისმიერი ღირებულების თვალსაზრისით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ მომზადება-გამოცემის მთელი ისტორია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე ვითარდებოდა. ამის გამო, გარეშე თვალისთვის, ზოგჯერ, ბუნდოვანიც კია, ამა თუ იმ მოვლენის საფუძვლისმიერი განმაპირობებელი და ორიენტირი. ეს პერიოდი ზოგადკულტურულ კონტექსტშიც არაერთმნიშვნელოვანი მახასიათებლებით გამოირჩა. ცხდია ამ დუალიზმის კვალი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნისთვის“ შექმნილ ილუსტრაციებსაც თან სდევს. ლოგიკურია, რომ ამ გამოცემაში ერთად მოიყარა თავი და სხვდასხვა ფორმით ასახვა ჰპოვა ყველა იმ ისტორიულ-პოლიტიკურმა მახასიათებელმა, რაც ურთულეს ვითარებაში მყოფ XIX საუკუნის საქართველოს გამოარჩევს. ასევე ყველა იმ მხატვრულმა ტენდენციამ რაც ქართულ, ევროპულ თუ რუსულ მხატვრობაში იყო იმხანად აქტუალური. გამოცემამ, განსაკუთრებით კი მისმა მხატვრულმა მხარემ ორიგინალურად აირეკლა პოემის ტანადროული ეპოქის ვიზუალური მხატვრული ესთეტიკაც. იგულისხმება გამოცემის შესამკობად გამოყენებული ორნამენტული მოტივი, რომელიც გრიგოლ ტატიშვილს შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სხვადასხვა ჩუქურთმიდან აქვს გადმოტანილი. ზიჩის ილუსტრა-

ციებმა „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმებაზე მომუშავე, შემდგომი თაობის მხატვრებზეც იქონია ძლიერი გავლენა. ქართული წიგნის გრაფიკის ისტორიაში კი ზიჩის მიერ ილუსტრაციების შექმნის პროცესი, დარჩა როგორც ერთი კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული გაფორმებისას ზოგადსახალხო ჩართულობის უპრეცედენტო მაგალითი.

საკვანძო სიტყვები: *მიხაი ზიჩი, შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ილუსტრაციები.*

Tamar Belashvili

PhD in Art History
The George Chubinashvili National Research Centre for
Georgian Art History and Heritage Preservation
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/ 0009-0001-3706-7925
tamarbelashvili@gmail.com

Mihály Zichy's illustrations for the poem by Shota Rustaveli – "Vepkhistkaosani“ (*The Knight in the Panther's Skin*)

In 1888, with great efforts and eagerness from the Georgian society, a so-called Giorgi Kartvelishvili's "Vepkhistkaosani" (Everything related to the creating and printing of the edition funded by him) was published. The book contained the artist Mihály Zichy's 27 illustrations.

The overall cultural context of the creation of this edition of "Vepkhistkaosani" is very important in itself. This is a story about the painstaking process of summarising Shota Rustaveli's poem and how the text was translated into French. The events are given an especially dramatic flair by how importantly the topic of national identity is viewed and addressed.

In this view, fine art, as it's based on visual faces, has a more universal understanding compared to literature and poetry. The information carried by the illustrations created for this poem is essential and vital, and not only because of artistic values.

It's important to note that Kartvelishvili's edition's whole creation-publishing story was going on with the background of Russia's invasive politics. Because of this, from an outside view, the fundamental reason for different events is sometimes blurry. This period also became important in the overall cultural context, for ambiguous

characteristics. The imprint of this dualism also can be seen in Zichy's illustrations for "Vepkistkaosani". It's only logical that in this edition, all historical-political events, distinctive for 19th century Georgia, gathered together and found different ways of being conveyed through it. In the book, all the artistic tendencies of the Georgian, European, and Russian societies at the time were also found. The edition, especially its artistic side creatively reflected the visual aesthetic of its era. We have in mind the decorative ornamental motif by Grigol Tatishvili, which was replicated from different Georgian architectural examples from the Middle Ages. Zichy's illustrations for the poem had a great influence on the next generations of artists working on "Vepkhistkaosani"'s illustrations. In Georgian art history, the creation of those pictures by Zichy was a great example of society's passionate involvement and determination in fulfilling one, important task.

Keywords: *Mihály Zichy, Shota Rustaveli,"Vepkhistkaosani"*

ციური ბერიძე

დამოუკიდებელი მკვლევარი

იოზეფ რატილის ისტორიული ღვაწლი ქართული მუსიკალური კულტურისა და ქართველი ერის განათლების საქმეში

XIX საუკუნის II ნახევარში მსოფლიოსა და ევროპის საოპერო სცენებზე მრავალი ვარსკვლავი ბრწყინავდა. მათ შორის იყო იოზეფ ნავრატილი (სცენიური გვარი-რატილი) – (1840-1912) – გამოჩენილი ჩეხი მომღერალი-ტენორი. იგი წარმატებით მოღვაწეობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. 1880 წელს იოზეფ რატილი პეტერბურგის მარიინსკის თეატრის საოპერო დასთან ერთად გამოემგზავრა საქართველოში, ტფილისის სახაზინო თეატრში გასტროლებზე. ტფილისის საოპერო თეატრში იოზეფ რატილმა უნივერსალური ტენორის სახელი დაიმკვიდრა, რადგან ყველა ოპერაში ის წამყვან პირველ პარტიებს ასრულებდა. რატილმა მოხიბლა ქართველი საზოგადოება და საქართველოში დაიმკვიდრა დიდი პატივისცემა და სიყვარული.

თავად რატილიც მოხიბლული იყო ქართული კულტურის ტრადიციებით. მასზე დიდი ზემოქმედება მოახდინა არა მარტო მშვენიერმა ბუნებამ და ქართულმა სტუმართმოყვარეობამ, არამედ იმ საზოგადოებრივმა გარემომ, რომელშიც ის აღმოჩნდა. მან გაიცნო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც გააცნეს რატილს საქართველოს მდიდარი ისტორია, ფოლკლორი, ტრადიციები. ამ ყველაფრის სიღრმისეულად შესწავლით იოზეფ რატილი დარწმუნდა, რომ სწორედ საქართველოში უნდა გაეგრძელებინა თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა და გადაწყვიტა მაქსიმალური სარგებლობა მოეტანა ამ ზღაპრული ქვეყნის კულტურისათვის, თავისი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება მიეძღვნა საქართველოს მომავლისათვის. იოზეფ რატილმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოში დარჩენა, ჩამოიყვანა ჩეხეთიდან ხუთშვილიანი ოჯახი და დამკვიდრდა საქართველოში, რომელსაც მან თავისი სიცოცხლის 72 წლიდან 32 წელი მიუძღვნა და უწოდა მას მეორე სამშობლო.

რატილს პირადად იცნობდნენ XIX საუკუნის II ნახევრის ეპოქაში ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ძმები ფალიაშვილები, ნიკო სულხანიშვილი, ფილიმონ ქორიძე, სანდრო და მიხეილ კავსაძეები, ალექსანდრე ყაზბეგი, სოფრომ მგალობლიშვილი, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ზაქარია ჩხიკვაძე, ლადო აღნიაშვილი, რომლებმაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს იოზეფ რატილზე, როცა ერთად იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ საქართველოს მომავლის აქტუალურ საკითხებზე. ამ დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე იოზეფ რატილი, რომლის ჭკვიან მოსაზრებებს ქართული მუსიკის მდგომარეობაზე და პერსპექტივებზე სავსებით იზიარებდნენ მისი ქართველი მეგობრები და კოლეგები.

იოზეფ რატილმა 1885-1888 წლებში იმუშავა აღნიაშვილის გუნდში, ხოლო 1889 წლის მეორე ნახევარში ჩამოაყალიბა ახალი, დამოუკიდებელი “რატილის გუნდი” (ამხანაგობა) და ისევ გააგრძელა ამ მიმართულებით შემოქმედებითი საქმიანობა, რაც მეტყველებს მის პატრიოტულ დამოკიდებულებაზე და ერთგულებაზე ქართული ფოლკლორის მიმართ.

საყურადღებოა იოზეფ რატილის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეში. აქაც მან დიდი ღვაწლი გასწია. მისი პედაგოგიური ოსტატობის სკოლა გაიარეს ქართული პროფესიული მუსიკის მომავალმა კანონმდებლებმა: ივანე და ზაქარია ფალიაშვილებმა, ია კარგარეთელმა, ძმებმა კავსაძეებმა. მისი ნამოწაფარია მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

რატილი უშურველად უზიარებდა თავის ცოდნას, გამოცდილებას ქართველ მუსიკოსებს, კომპოზიტორებს, აძლევდა მათ სასარგებლო, საქმიან, პროფესიულ რეკომენდაციებს ქართული ოპერის შექმნასთან დაკავშირებით (მაგ: ზ.ფალიაშვილის ოპერა "აბესალომი და ეთერი"). მისი რჩევები ყოველთვის აღიქმებოდა დიდი ყურადღებით, რადგან ქართველი მუსიკოსები დიდად აფასებდნენ მის ნიჭიერებას, ღრმა ცოდნას, მათ შორის, საკომპოზიციო უნარებს, ქართულ ფოლკლორში ღრმა წვდომას და ქართული მუსიკალური კულტურისა და განათლების წინაშე დიდ ღვაწლს.

იოზეფ რატილმა ერთ-ერთმა პირველმა ჩაიწერა ნოტებზე 40-მდე ქართული ხალხური სიმღერა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამით ეს საგანძური დავიწყებას გადაარჩინა. შემდეგ ამ სიმღერებს ასწავლიდა გუნდს და მასთან ერთად კონცერტებს მართავდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფლებში, აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეთაც (ჩრდილოეთ კავკასიაში).

იოზეფ რატილს იმდენად შეუყვარდა ქართული ხალხური სიმღერები, რომ თავადაც სიამოვნებით ასრულებდა გუნდთან ერთად ქართულ სამოსში გამოწყობილი, რომელიც მას ძალზე უხდებოდა, ხოლო მისი საოპერო ხმა და ქართული კეთილხმოვანება აღძრავდა მსმენელში დიდ აღტაცებას და მოკრძალებულ პატივისცემას. ამაზე მეტყველებენ გამოხმაურობები იმდროინდელ ჟურნალ-გზეთების ფურცლებზე, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ რატილის ქართული ფოლკლორისადმი ასეთ დიდ სიყვარულს და დაფასებას. ეს გამოხმაურებები მოდიოდა ხალხის წიაღიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სადაც რატილს გუნდი დაჰყავდა კონცერტებით სიმღერების გავრცელების მიზნით.

რატილის ხანგრძლივი და ღვაწლმოსილი მოღვაწეობა საქართველოში მუსიკალური კულტურისა და ქარველი ერის განათლების საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას და დაფასებას იმსახურებს ქართული საზოგადოებისგან.

საკვანძო სიტყვები: *რატილი, ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ოპერა, ქართული მუსიკა*

Tsiuri Beridze

Independent Researcher

Historical honours of Joseph Ratil instead of Georgian culture and in the musical knowledge of Georgian people

In the second half of the 19th century, many famous Wroclaw stars shone on the opera stages of the world and Europe. Among them was Joseph Navratil (stage name-Ratil) – 1840-1912 eminent Czech, singer-tenor. He sang in concerts in many countries. In 1880, Joseph Ratil with the St. Petersburg Marine Theater opera group traveled to Georgia to tour the Tbilisi Treasury Theater. At Tiflis (Tbilisi) Opera House, Joseph Ratil made a name for himself as a universal tenor, as he performed leading, first-rate plays in every opera. Ratil fascinated Georgian society and established great respect and love in Georgia.

Ratil himself was fascinated by the traditions of Georgian culture around him. He was greatly influenced not only by the beautiful nature and Georgian hospitality but also by the environment in which he found himself. In this environment, he got acquainted with prominent Georgian writers, poets, public figures, who introduced Ratil to the rich history, folklore and traditions of Georgia. After studying all this in depth, Joseph Ratil was convinced that he had to continue his life and work in Georgia and decided to make the most of the culture of this fabulous country, devoting his talent, knowledge and experience to the future of Georgia.

Joseph Ratil decided to stay in Georgia, brought a family of five children from the Czech Republic and settled in Georgia, to which he dedicated 32 years from 72 years his life and called it his second motherland.

Ratil was personally known to famous Georgian writers and public figures of the second half of the XIX century: Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Paliashvili brothers, Niko Sulkhanishvili, Philemon Koridze, Sandro and Mikheil Kavsadze, Alexander Kazbegi, Sophrom Mgaloblishvili, Valeri Mesaloshvili, Valeri M. Balanchivadze, Zakaria Chkhikvadze, Lado Aghniashvili, who had a great influence on Joseph Ratil when they met together and discussed current issues of Georgia's future. Joseph Ratil also took an active part in these discussions, whose clever views on the state and prospects of Georgian music were fully shared by his Georgian friends and colleagues. They were comrades.

Joseph Ratil was one of the first to record up to 40 Georgian folk songs in different parts of Georgia and thus saved them from oblivion. He then taught these songs to the choir and held a concert with them. In different cities and villages of Georgia, as well as outside the borders of Georgia (in the North Caucasus).

Joseph Ratil fell in love with Georgian folk songs so much that he himself performed with the choir dressed in Georgian costumes, which suited him very well, and his operatic voice and Georgian benevolence aroused great admiration and modest respect among the listeners. This is evidenced by the responses in the pages of magazines and roads of the time, which gave high praise to such a great love and appreciation of Ratil Georgian folklore. These responses came from the entrails of the people, from different parts of Georgia, where the Ratili team took them to concerts and for distribution.

Joseph Ratil worked in Aghniashvili's team in 1885-1888, and in the second half of 1889 he formed a new, independent "Ratili team" (partnership) and continued his creative work in this direction, which shows his patriotic attitude, and devotion to Georgian folklore.

The pedagogical activity of Josef Ratil in the field of raising musical staff in Georgia is noteworthy. Here, too, he made a great contribution. The future legislators of Georgian professional music passed the school of his pedagogical mastery: Ivane and Zakaria Paliashvili, Ia Kargareteli, and brothers Kavsadze. His student was world-famous opera singer Vano Sarajishvili.

Ratil reluctantly shared his knowledge and experience with Georgian musicians and composers, giving them useful business and professional recommendations on the creation of Georgian opera (eg.: Z. Paliashvili's opera "Absalom and Ether"). His advice was always taken with great care, as Georgian musicians greatly appreciated his talent, deep knowledge, including compositional skills, deep access to Georgian folklore, and his great contribution to Georgian musical culture and education.

The merit of Joseph Ratil is remembered and appreciated in Georgia, both in his era and today. This is evidenced by the facts, responses in the press and in the media to the gratitude of the great Czech singer and supporter of Georgian culture Josef Ratil (1840-1912) and the Georgian people.

Keywords: *Ratil, Georgian folk song, Georgian opera, Georgian music*.

ირმა დოლიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0009-9666-6715
idolidze@tafu.edu.ge

სათეატრო არქიტექტურა XIX საუკუნის საქართველოში

პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობები საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში იგება. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ და აგებულ თეატრებთან ერთად გვხვდება სათეატრო სივრცეებად ადაპტირებული შენობებიც. არქიტექტურული სტრუქტურით ისინი დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობებია პერსპექტიული სცენა-კოლოფით და იარუსული დარბაზით (ევროპაში შექმნილი სათეატრო არქიტექტურის ეს კომპოზიცია დღემდე უცვლელია). მისი ფორმირება მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და გასული საუკუნის დასაწყისში დასრულდა.

სათეატრო შენობების დაპროექტებასა და მშენებლობაზე საქართველოში მოწვეული ევროპელი არქიტექტორები (ასევე, საქართველოში მცხოვრები ევროპელები) მუშაობდნენ. ისინი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობდნენ, მათ შორის თბილისშიც. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ-აგებული თეატრებია: ტფილისის თეატრი ე. წ. ქარვასლის თეატრი (1847-1851) - არქ. ჯ. სკუდიერი; ტფილისის საზაფხულო თეატრი (1869-1870) – არქ. ა. ზალცმანი; სახაზინო (ოპერის) თეატრი (1880-1896) – არქ. ვ. შრეტერი; „არტისტული საზოგადოების“ თეატრი (1898-1901) – არქ.: ა. შიმკევიჩი, კ. ტატიშჩევი; კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი (1901-1909) – არქ. ს. კრიჩინსკი. სათეატრო სივრცეებად გადაკეთებული შენობები იყო: მანეჟის თეატრი (1845) – არქ. ი. ივანოვი; სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი – არქ. ა. ფონ სკოიანი (1878), არქ. პ. შტერნი (1887-1888), ქრ. ტერ-სარქისოვი (სატუნცი) (1906-1908).

თბილისში XIX საუკუნის II ნახევარში ექვსი სათეატრო შენობაა ცნობილი, განსხვავებულია მათი ფუნქციონირების პერიოდი, არქიტექტურული გადაწყვეტა, არსებობის დრო. ექვსივე სათეატრო ნაგებობა თავმოყრილია ისტორიულ გარეთუბანში, იმდროინდელი თბილისის ახალ უბანში, რომლის განაშენიანებაც ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX საუკუნეში და უმთავრესი ადგილი ადმინისტრაციულ შენობებს ეკავა. პასკევიჩ-ერევანსკის (დღეს თავისუფლების) მოედნიდან გოლოვინის (დღეს რუსთაველის) პროსპექტის მიმართულებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენიმე სათეატრო ნაგებობაა. მათაგან ორი – მანეჟის და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის – თეატრებად გადაკეთებული ნაგებობებია, დანარჩენი – ქარვასლის თეატრი, საზაფხულო თეატრი, სახაზინო და „არტისტული საზოგადოების“ თეატრები თავიდანვე ამ ფუნქციით აშენდა. სათეატრო არქიტექტურის კონცენტრაცია ქალაქის ამ ნაწილში მისი განაშენიანების

სპეციფიკაზეც დაგვაფიქრებს. XXI საუკუნის გადასახედიდან კი ეს თავისებური გარემოება მეტ ინტერესს აღძრავს. ასევე, არსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სათეატრო შენობათაგან ორი – ქარვასლის სტრუქტურაშია ჩართული. ასეთია: პასკევიჩ-ერევნსკის მოედანზე მდებარე ტფილისის თეატრი იგივე ქარვასლის თეატრი, რომელიც თავიდანვე ამ ორმაგი ფუნქციური (სავაჭრო და სათეატრო) დატვირთვით იყო ჩაფიქრებული და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი, რომელიც უკვე არსებულ ქარვასლის შენობაში, მისი გადაკეთების შემდეგ, ინტეგრირდა და დროთა განმავლობაში არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა.

თბილისის, როგორც დედაქალაქის როლი სათეატრო ხელოვნების და სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში გამორჩეულია, თუმცა ის საერთო მოზაიკის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის საგულისხმო და მრავალმხრივ საინტერესო სურათს საქართველოს პროვინციებში აგებული სათეატრო შენობები ქმნიან.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სათეატრო ნაგებობები შენდება ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ბორჯომში... და არა მხოლოდ ქალაქებში, სოფელ ქვემო მაჩხაანში 1897 წელს აგებული სათეატრო შენობა ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი სათეატრო ნაგებობა საქართველოში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებული სათეატრო ნაგებობების ასეთი სიმრავლე თეატრისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, სათეატრო ცხოვრების მნიშვნელობაზე და, ამავდროულად, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების დონეზეც მეტყველებს.

საკვანძო სიტყვები: *სათეატრო არქიტექტურა, თეატრი, სათეატრო ნაგებობა*

Irma Dolidze

PhD in Art History
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Dimitri Janelidze Scientific-Research Institution
Principal Researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-9666-6715
idolidze@tafu.edu.ge

Theater Architecture in 19th-century Georgia

The first European-type theater buildings in Georgia were built in Tbilisi in the middle of the 19th century. Along with theaters designed and built as theater buildings, there are also buildings adapted as theater spaces. With their architectural structure, they are closed theater buildings with a perspective stage box and a tiered hall (this composition of theater architecture created in Europe has not changed to

this day). Its formation took place during the 19th century and ended at the beginning of the last century.

European architects as well as Europeans living in Georgia) invited to work on the design and construction of theatrical buildings in Georgia. They worked in various cities of the Russian Empire including Tbilisi. Theatres designed and constructed as theatrical buildings are: Tbilisi Theatre (so-called Carvasla (caravansary) Theatre (1847-1851) – Arch. J. Scudieri; Tbilisi Summer Theatre (1869-1870) – Arch. A. Salzmann; Treasury (Opera) Theatre (1880-1896) – Arch. V. Schreter; „Artistic Society" Theatre (1898-1901) – Arch.: A. Shimkevich and K. Tatishchev; K. Zubalashvili City Public House (1901-1909) – Arch. S. Krychinsky. The buildings converted into theatrical spaces were: Manege Theatre (1845) – Arch. I. Ivanov; Theatre of Land Bank of Nobility – Arch. A. von Skoyan (1878), Arch. P. Stern (1887-1888), Kr. Ter-sarkisov (Satunts) (1906-1908).

Six theater buildings are known in Tbilisi in the second half of the 19th century, the period of their functioning, architectural solution, time of existence are different. All six theater buildings are gathered in the historical outskirts, the new district of Tbilisi at that time, which was intensively developed in the 19th century, and the main place was occupied by administrative buildings. From Paskevich-Erevansky (today's Freedom Square) in the direction of Golovin (today's Rustaveli) avenue, there are several theater buildings for half a century. Two of them – the manege and the nobility landmark bank – are buildings converted into theaters, the rest – Tbilisi Theatre (Caravansary Theatre), Tbilisi Summer Theatre, Treasury (Opera) Theatre and "Artistic Society" theater were built with this function from the beginning. The concentration of theater architecture in this part of the city will make us think about the specifics of its development. From the perspective of the 21st century, this peculiar circumstance arouses more interest. It is also worth noting that two of the above-mentioned theater buildings are included in the structure of the caravansary. These are: Tbilisi Theater, which from the beginning was conceived with this dual functional (commercial and theatrical) load, and the Theater of Land Bank of Nobility, which was integrated into the existing caravansary building, after its reconstruction, and underwent several reconstructions over time.

The role of Tbilisi as the capital in the history of theater art and theater architecture is outstanding although it is only one important part of the overall mosaic of which the theater buildings built in the provinces of Georgia create a highly meaningful and interesting picture.

In the 80s-90s the 19th century theaters were built in Kutaisi Batumi Ozurgeti Borjomi... and not only in the cities… the theater building built in 1897 in the village of Kvemo Machkhaani is one of the oldest theater buildings in Georgia.

Such an abundance of theater buildings built in the second half of the 19th century speaks of a special attitude towards the theater the importance of theatrical life and at the same time the level of social and cultural development.

Keywords: *Theater Architecture, theater, theater buildings.*

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
ivashakidze@cu.edu.ge

ერისთავი ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის შესახებ

ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიაში გამორჩეულად მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი: სწორედ ამ დროს მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ, იმპერიული პოლიტიკის საპირისპიროდ, აქტიურად დაიწყო ბრძოლა ეროვნული მწერლობის განვითარებისა და ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო სფეროში.

ილია ჭავჭავაძესა და ზოგადად „სამოციანელებს“ მყარი ნიადაგი მოუმზადა ჯერ კიდევ 50-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა თაობამ, რომელიც მაშინდელი ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანოს – ჟურნალ „ცისკრის“– ფურცლებიდან ახმიანებდა ერის სატკივარს, ბჭობდა ქართული სამწიგნობრო ენის პრობლემებზე. ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და მკვლევარი რაფიელ ერისთავი. მისმა დაკვირვებამ სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის საკითხებზე შემდეგი დასკვნის საფუძველი მოგვცა:

რ. ერისთავი თავისი თეორიული დებულებებითა და ლიტერატურული ქმნილებებით აგრძელებს მეცნიერული მუშაობის ტრადიციას: ლოგიკურად განავითარებს წინა პერიოდის მწიგნობართა მეთოდოლოგიას და ხელს უწყობს სწორი ორიენტირების გამოკვეთას სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის კვლევაში, კერძოდ:

ერთიან სისტემად აყალიბებს განსხვავებულ / საპირისპირო პოზიციათა საუკეთესო იდეებს არქაული ლექსიკისა და ახალი სიტყვებისადმი დამოკიდებულებაში; ახალი ცნებების გადმოცემისათვის მთავარ პრინციპად ირჩევს ენის ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უცხო სიტყვის სესხებას / თარგმნას;

იღვწის სალიტერატურო ენის მტკიცე ბაზის შექმნისა და სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენებისათვის, რისთვისაც საჭიროდ მიიჩნევს, ერთი მხრივ – ძველი ხელნაწერებისა და ფოლკლორული მასალის შეკრებას, მეორე მხრივ – ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული კვლევების გაფართოებას;

ერთდროულად, მაგრამ არა ერთმანეთის საპირისპიროდ წამოჭრის სამწიგნობრო ენის საორიენტაციო სტილისა და სტილური მრავალფეროვნების საკითხებს, რომელთა დადებითად გადაწყვეტაც მნიშვნელოვანი იყო და არის სამწიგნობრო ენის განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, მე-19 საუკუნის საქართველო, ქართული სალიტერატურო ენა.*

Iamze Vashakidze

Caucasus University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
ivashakidze@cu.edu.ge

Raphiel Eristavi about the Vocabulary and Style of the Georgian Literary Language

The second half of the 19th century is considered an exceptionally important period in the history of the Georgian literary language: at that time, the advanced Georgian society, contrary to the imperial policy, actively began to fight for the development of national writing and the restoration of the rights of the Georgian language in the educational and scientific spheres.

The generation that came to the public arena in the 50s, who echoed the pain of the nation from the pages of the only Georgian periodical – "Tsiskari" magazine, lamenting the problems of the Georgian literary language, prepared a strong atmosphere for Ilia Chavchavadze and the "60s" ("Samotsianelebi") in general. A prominent representative of this generation is the famous writer, translator and researcher Rafiel Eristavi. His observation of the vocabulary and style of the literary language gave us the basis for the following conclusion:

R. Eristavi continues the tradition of scientific work with his theoretical provisions and practical work: It logically develops the methodology of the scribes of the previous period and helps to outline the correct orientation in the study of the vocabulary and style of the literary language, namely: It forms into a single system the best ideas of different/opposite positions about archaic vocabulary and new words; The main principle for conveying new concepts is to use the lexical and word-forming resources of the language as much as possible, and in the absence of such resources – to borrow/translate a foreign word;

– He strives to create a solid base of literary language and use it for scientific purposes, on the one hand, he considers, collecting old manuscripts and folklore material, on the other hand, to expanding lexicological and lexicographic studies;

– At the same time, but not opposite to each other, it will raise the issues of reference style and stylistic diversity of the literary language, the positive solution of which was and is important for the development of the literary language.

Keywords: *Raphiel Eristavi, 19th century Georgia, Georgian literary language.*

ანა ვირსედა დე ანდრეს

CN-Artea Cultural Tourism Consultants
საერთაშორისო კონსულტანტი კულტურული
ტურიზმის განვითარებაში
სეგოვია, ესპანეთი
https://orcid.org/ 0009-0007-4711-4397
avirseda@icnartea.com

ახალი თაობების ჩართვა: სახლ-მუზეუმების როლი თანამედროვე კულტურულ ტურიზმში

ნაშრომი განიხილავს სახლ-მუზეუმების, როგორც კულტურული ტურისტული პროდუქტების, გამოწვევებსა და მნიშვნელოვანი კავშირების დამყარების საჭიროებას თანამედროვე საზოგადოებასთან, სწრაფად მზარდ ციფრულ სამყაროში. ამ უნიკალური კულტურული ინსტიტუციების ფარგლებში, პერსონალური მემკვიდრეობების დაცვაზე ფოკუსირებით, მოცემული ნაშრომი განიხილავს ინოვაციურ სტრატეგიებს, რომელიც მოიცავს ინტერპრეტაციას, სთორითელინგს (ამბის თხრობას) და ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა გაიზარდოს ვიზიტორთა გამოცდილება და ისტორიულ მასალის სწორად დაკავშირება მოხდეს თანამედროვე ვიზიტორებთან. შემთხვევებზე დაფუძნებული ხარისხობრივი კვლევითი მიდგომის გამოყენებით, სწავლება განიხილავს სხვადასხვა მემორიალურ სახლებს და მათთან კავშირში ისეთ თემებს, როგორიცაა აუდიტორიის ჩართულობა, ინტერპრეტაცია, როგორც კონცეპტუალური ქოლგა და აღნიშნული ადგილების ფართოდ პოზიციონირების შესაძლებლობებს კულტურული ტურიზმის ეკოსისტემაში. ძირითადი მიგნებები ხაზს უსვამს ნიუანსური ნარატივების შექმნის მნიშვნელობას, რაც გამოკვეთავს და აამაღლებს ისტორიული ფიგურების როლს, იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს სიღრმისეული გამოცდილების მისაღებად და მხარს უჭერეს სტრატეგიულ თანამშრომლობას მემორიალური სახლების მიმზიდველობისა და აქტუალობის გასაძლიერებლად. აღნიშნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ მოცემული მემკვიდრეობითი რესურსები კვლავაც გახადონ შთამაგონებელი და მომნუსხველი აუდიოტორიებისთვის თაობების მანძილზე, მათი როლის, როგორც დინამიკური, ექსპერიმენტული სივრცეების ხელახალი განსაზღვრით, რომლებიც რეზონანსს უწევენ თანამედროვე საზოგადოებრივ ღირებულებებს. მოცემული ნაშრომი ეძღვნება რაფაელ ერისთავის საიუბილეო წლისთავს, რათა წვლილი შეიტანოს მისი სახელობის მუზეუმის აღდგენასა და განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: *სახლ-მუზეუმები, კულტურული განვითარება, ციფრული ჩართულობა, კულტურული ტურიზმი, შინაარსის გადმოცემის ტექნიკები, ტურისტული პროდუქტები*

ANA VIRSEDA DE ANDRES

ICN-Artea Cultural Tourism Consultants
International Consultant in Cultural Tourism Development
Segovia, Spain
https://orcid.org/ 0009-0007-4711-4397
avirseda@icnartea.com

Engaging New Generations: The Role of House Museums in Contemporary Cultural Tourism

This paper discusses the challenge of house museums, as cultural tourist products, to forge meaningful connections with contemporary audiences in an increasingly digital world. Focusing on preserving personal legacies within these unique cultural institutions, the study examines how innovative strategies, including interpretation, storytelling, and the integration of technology, can enhance visitor experiences and bridge the gap between historical narratives and modern visitors. Through a qualitative case study approach, the research analyzes diverse examples from memorial houses, exploring themes such as audience engagement, interpretation as a conceptual umbrella, and the positioning of these sites within the broader cultural tourism ecosystem. The findings highlight the importance of crafting nuanced narratives that humanize historical figures, leveraging digital technologies for immersive experiences, and fostering strategic collaborations to amplify the appeal and relevance of memorial houses. By redefining their role as dynamic, experiential spaces that resonate with contemporary societal values, these institutions can ensure the legacies they protect continue to inspire and captivate audiences across generations. This document emerges in the context of the Georgian Raphael Eristavi's Anniversary as a contribution to advocating for the restoration and enhancement of his house museum.

Keywords: *House museums, cultural development, digital engagement, cultural tourism, narrative techniques, tourism products.*

თათია თევდორაშვილი

დოქტორანტი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0009-7124-3038
tatia.tev@gmail.com

მხატვრული პროცესები მე-19 საუკუნის საქართველოში

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, XIX საუკუნის განმავლობაში, ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, საქართველოს ტერიტორიაზე, საზოგადოების სოციალური და კულტურული ფორმირების თავისებური პროცესი მიმდინარეობდა. რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების საპასუხოდ, ქვეყანაში გააქტიურდა პატრიოტული სულისკვეთება, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ასპარეზზე გამოვიდნენ თერგდალეულები, დაიწყო პერიოდული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება, ქვეყნის სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებზე აქტიური საზოგადოებრივი მსჯელობა; პრიორიტეტული გახდა კულტურული განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ხელშეწყობა, საფუძველი ჩაეყარა ქართული პროფესიული თეატრის მუშაობას, დაიწყო საოპერო წარმოდგენების დადგმა, თბილისში დაარსდა კავკასიის მუზეუმი.

პარალელურად კი ისტორიული ძველი თბილისის წიაღში არსებობას განაგრძობდა უფრო ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული წეს-ჩვეულებები, აშუღთა სიმღერებითა და ლექსებით გაჯერებული სოციუმი და იქ წარმოქმნილი ხელოვნებისა თუ ხელოსნობის ნიმუშები. ამ პერიოდის თბილისი მრავალეთნიკურ, მულტიკულტურულ, მრავალფეროვანი ხალხური ტრადიციების ქალაქს წარმოადგენდა. აქ ერთმანეთის გვერდით მაცხოვრებელი, განსხვავებული ეროვნების წარმომადგენლების შემოქმედება ადგილობრივ ნიადაგზე გარდაიქმნებოდა, ფორმირდებოდა და მეტად სახასიათო, თბილისური კულტურის ნაყოფს წარმოქმნიდა.

სწორედ ამ მრავალწახნაგოვან კულტურულ გარემოში ხელოვნების განვითარებაც ახალ ეტაპზე გადავიდა, ჩაისახა ახალი დროის ქართული ხელოვნების პირველი ნიშნები.

ამ პერიოდის ყველაზე უკეთ ცნობილ და შესწავლილ მხატვრულ ჯგუფად გვევლინება დაზგური ფერწერის ნიმუშები, რომლებიც ქართველ თავად-აზნაურთა პორტრეტებს წარმოგვიდგენს. ამ ნამუშევრების შესრულების ტექნიკასა და გამოსახვის ხერხებში, შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ტრადიციის მიდევნების პარალელურად, პირველად ჩნდება ევროპული, ილუზიონისტური მხატვრობის მახასიათებლების გამოყენებისა და დაუფლების სურვილი და მისწრაფებაც.

ცალკე მდგომი მხატვრული ნაწარმოებების ჯგუფად გვევლინება ე. წ. ეთნოგრაფიული პორტრეტები – მომცრო ზომის ტილოზე, ზეთის საღებავებით შესრულე-

ბული გამოსახულებები, რომლებიც ძირითადად, საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა სურათებს გვიჩვენებს.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია პირველი პროფესიულად განსწავლული ქართველი მხატვარიც – გრიგოლ მაისურაძე. საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდებიან მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლები - რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, დავით გურამიშვილი; ამავე პერიოდში იწყება ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ფიგურის, ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების ჩამოყალიბებაც.

პროფესიული განსწავლის მხატვართა გვერდით, თბილისში კვლავაც ნარჩუნდება ტრადიციული ქალაქური ყოფის წარმომადგენელი მხატვარ-მღებავების საქმია¬ნობაც. თბილისური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ხელოსანთა მრავალგვარი გაერთიანებებისა და ამქრების არსებობა, რომელთა შორისაც, თავის ადგილს იკავებდა ფერმწერ-მღებავების ამქარიც.

ეს და სხვა მხატვრული პროცესები, რომელთა შესახებაც ჯერჯერობით, არცთუ ბევრია ცნობილი, სათანადო ყურადღებას იმსახურებს. პროფესიული განსწავლის მქონე მხატვრების გამოჩენის პარალელურად, ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოვან-ხელოსნების საქმიანობაზე დაკვირვება, ვფიქრობთ, აუცილებელია საუკუნის საერთო კულტურული გარემოს სურათის ჩვენებისთვის. ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს სწორედ ამ პროცესებზე დაკვირვება და ნაკლებად ცნობილი მხატვრული მოვლენების გამოვლენა წარმოადგენს, რაც სამომავლო კვლევითი მიმართულებების დასახვის წინაპირობაც გახდება.

საკვანძო სიტყვები: *ძველი თბილისი, ხალხური ტრადიციების მხატვრობა, პროფესიული მხატვრობა, ახალი დროის ქართული ხელოვნება.*

Tatia Tevdorashvili

PhD Student
Apollon Kutateladze Tbilisi State Academy Of Art
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0009-7124-3038
tatia.tev@gmail.com

Artistic Processes in 19th-Century Georgia

Starting from the second half of the 18th century and into the 19th century, along with historical and political developments, a unique process of social and cultural formation occurred on the territory of Georgia. Following the annexation of Georgian states by the Russian Empire, patriotic self-assertion emerged among the population,

characterized by the emergence of Tergdaleulebi (artists) and a periodical publication of journals and newspapers, leading to the formation of a publicist discourse regarding social and cultural development within the country. The priority was given to cultural development, reflected in the diverse forms of expression and the emergence of professional Georgian theatre, as well as the establishment of regional museums in Tbilisi and other places in the Caucasus.

Alongside this, the historical context of Old Tbilisi was characterized by urban traditions, expressed through the cultural mosaic of the city, which combined elements of diverse traditions, creating a multi-layered social environment. In this milieu, the distinctive development of Georgian cultural processes unfolded, resulting in the formation of a rich cultural landscape in Tbilisi.

In this multi-layered cultural context, the development of artistic expression reached a new stage, leading to the emergence of the first generation of modern Georgian artists during this period.

During this time, the most notable artistic phenomenon was the movement toward portrait painting, which captured the essence of Georgian identity. This movement was characterized by the interplay of various techniques and approaches, paralleling the evolution of Georgian painting traditions. This included European influences, the emergence of illusionist painting, and the revival of the artistic spirit.

Among the notable artistic movements were ethnographic portraits - a reflection of the visual culture of different regions of Georgia and the Caucasus, which conveyed the uniqueness of Georgian and Caucasian identities.

In the second half of the 19th century, the first professional Georgian painter emerged – Grigol Maisuradze. From the 1880s, a new wave of artists appeared in the Georgian painting scene, such as Romanoz Gvelesiani, Aleksandre Beridze, Gigo Gabashvili, and Aleksandre Mrevlishvili. This period marked the rise of notable figures in Georgian culture, including the emergence of the figure of Niko Firosmanashvili.

The rise of professional painting art in Tbilisi demonstrated a unique urban artistic discourse, wherein the traditional elements of urban culture intersected with contemporary artistic practices. The dynamic interaction of various styles and forms of expression played a pivotal role in the evolution of the artistic community.

This and other artistic processes, which were characterized by distinct styles, reveal the diverse nature of artistic expressions. The professional development of painting during this period was closely intertwined with the social fabric of the population, reflecting the national identity and its representation through artistic means.

Keywords: *Old Tbilisi, folk traditions of painting, professional painting, modern Georgian art.*

ეკა კაჭარავა

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
https://orcid.org/0009-0002-2157-0611
ekkacharava@gmail.com

„ცოცხალი სურათების“ – Tableaux Vivants-ის – „აპოთეოზის“ საწყისებთან

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, დღემდე უცნობი წყაროების - რაფიელ ერისთავის ხელნაწერისა და მასთან დაკავშირებულ წყაროთა (პრესა, ფოტომასალა) მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში „ცოცხალი სურათების“ ისტორიისა და პრაქტიკის კვლევა და ამ ტრადიციის კვლევის შედეგების წარმოდგენა.

ნაშრომში მოკლედ მიმოხილულია „ცოცხალი სურათების“ ზოგადი ისტორია, მათი რაობა და მნიშვნელობა. «*Tableaux Vivants*» ძველი და საინტერესო ისტორია აქვს. „ცოცხალი სურათების“ ტრადიციის ხასიათისა და მნიშვნელობის უკეთ წარმოდგენის მიზნით, მეტად მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ტრადიციის ევროპულ კონტექსტს. შემდგომ განვიხილავთ „ცოცხალი სურათების“, იგივე «Tableaux Vivants-ის», იგივე აპოთეოზის ისტორიას საქართველოში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში „ცოცხალი სურათების“ საწყისს უნგრელ მხატვარს, მიხაი ზიჩის უკავშირებენ. ჩვენი კვლევის შედეგად მოძიებული წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ დადგმის ამ ფორმის ისტორიის საწყისი ბევრად უფრო ადრეა საგულვებელი. «*Tableaux Vivants*», იგივე „ცოცხალი სურათები“, მიღებულ პრაქტიკად უკვე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დასტურდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. ზიჩის საქართველოში ჩამოსვლისას, მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დადგმულ „ცოცხალ სურათებს“ წინ უსწრებდა მ. ლერმონტოვის „დემონის“ „ცოცხალი სურათები“, სადაც, როგორც კვლევის შედეგად ირკვევა მთავარ როლში რაფიელ ერისთავის მეუღლე, თეოდოსია დავითის ასული ერისთავი ფიგურირებს.

თბილისში ახლად ჩამოსულმა მიხაი ზიჩიმ, მ. ლერმონტოვის ნაწარმოების „დემონის“ მშვენიერი თამარის (***«Княжна Тамара молодая»***) პროტოტიპად ქართველ მანდილოსანთა შორის რაფიელ ერისთავის მეუღლე, ხუთი შვილის დედა, 41 წლის თეოდოსია ერისთავი შეარჩია.

ნაშრომში, აღნიშნულის დასტურად თავმოყრილი და წარმოდგენილია საინტერესო ვიზუალური მასალა – ალ. როინაშვილის ფოტომასალები და სხვა ვიზუალური მასალები.

კვლევის შედეგები საინტერესოა როგორც საკუთრივ „ცოცხალი სურათების“ შესწავლის თვალსაზრისით, ისე თეოდოსია დავითის ასული ერისთავის ნაკლებად ცნობილი პორტრეტისა და ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდის რეკონსტრუქციისათვის. მოკვლეულ წყაროთა და ვიზუალური მასალების შედეგად მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ:

- საქართველოში „ცოცხალი სურათების“ დადგმის პრაქტიკის ცნობადობა და სიძველე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის. კვლევის შედეგად დგინდება, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციისგან განსხვავებული რეალობა, კერძოდ, საქართველოში „ცოცხალი სურათების“ ტრადიცია არ უკავშირდება უნგრელ მხატვარ მიხაი ზიჩის და ეს ტრადიცია დღემდე მიჩნეულთან შედარებით ორი ათეული წლით ძველდება.
- ნიშანდობლივია, რომ არსებული ცნობები მოწმობს ამ პრაქტიკის არსებობას არა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქში, არამედ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიაზეც;
- „ცოცხალი სურათები“ იდგმებოდა როგორც თეატრალური წარმოდგენის ან ლიტერატურული საღამოს დასასრულს, ისე პრივატულ წვეულებებზე.
- მიხაი ზიჩის საქართველოში დადგმულ «Tableaux Vivants»-ის პირველი გამოცდილება რაფიელ ერისთავის მშვენიერებით გამორჩეულ მეუღლეს – თეოდოსია ერისთავს უკავშირდება. კვლევა მნიშვნელოვანია თეოდოსია ერისთავის პორტრეტისა და ბიოგრაფიის რეკონსტრუქციის თვალსაზრისითაც.
- 1881 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსული უნგრელი მხატვრის მიზანია, ლერმონტოვის პოემის „დემონის“ ილუსტრირება. დგინდება, რომ, ჩამოსვლიდან ოთხი თვის თავზე, 1882 წლის იანვრისთვის, მას ჯერ კიდევ არა აქვს დასრულებული ლერმონტოვის პოემის ილუსტრაციების შექმნაზე მუშაობა.
- „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების გადაწყვეტილებას ის საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ იღებს.
- დასტურდება, რომ მ. ზიჩის ჩვეული პრაქტიკაა, ჯერ ცოცხალი სურათების დადგმა და შემდგომ მათ მიხედვით ილუსტრაციების შექმნა.
  ამდენად, „ცოცხალი სურათები“, «Tableaux Vivants», იგივე აპოთეოზი, ქართული სცენოგრაფიის ორგანული ნაწილია მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის, შესაბამისად ზიჩის საქართველოში ვიზიტამდეც და მას შემდეგაც.

საკვანძო სიტყვები: *„ცოცხალი სურათები“, «Tableaux Vivants», „აპოთეოზი“, მიხაი ზიჩი*

Eka Kacharava

PhD in History
The University of Georgia Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-2157-0611
ekkacharava@gmail.com

The aim of the presented paper is to research the history and practice of "living pictures" in Georgia based on the data of hitherto unknown sources – Raphiel Eristavi's manuscript and related sources (press, photographs) and to present the research results of this tradition.

The work briefly reviews the general history of "living images", their meaning and importance. "Tableaux Vivants" has an old and interesting history. In order to better understand the nature and significance of the tradition of "living pictures", we will briefly review the European context of this tradition. Next, we will discuss the history of "living pictures", the same as "Tableaux Vivants", the history of the same Apotheosis in Georgia.

In Georgian historiography, the beginning of "living pictures" is associated with the Hungarian artist Mihály Zichy. Based on the sources found as a result of our research, it is clear that the beginning of the history of this form of staging has started much earlier. «Tableaux Vivants», also known as «living pictures», have been confirmed as an accepted practice already in the 60s of the 19th century.

It should be noted here that when M. Zichy arrived in Georgia, the "live pictures" staged by him in "the Knight in the Panther's Skin" were preceded by the "live pictures" of M. Lermontov's "Demon", where, as it turns out according to the research, Raphiel Eristavi's wife, Theodosia Davit's daughter Eristavi, appears in the main role.

Recently arrived in Tbilisi, Mihály Zichy chose 41-year-old Theodosia Eristavi, the wife of Raphiel Eristavi, mother of five children, as the prototype of the beautiful Tamara ("Княжна Тамара молодая") of M. Lermontov's poem "Demon".

In the paper, as a proof of the mentioned, interesting visual material is collected and presented - Al. Roinashvili's photographs and other visual materials.

The results of the research are interesting both from the point of view of studying the actual "living pictures" and for the reconstruction of the little-known portrait and biography of Theodosia Davit's daughter Eristavi.

The information obtained as a result of researched sources and visual materials allows us to conclude:

• The popularity and antiquity of the practice of staging "living pictures" in Georgia since the 60s of the 19th century. As a result of the research, it is determined that the reality is different from the information available in the scientific literature, in particular, the tradition of "living pictures" in Georgia is not related to the Hungarian artist Mihály Zichy, and this tradition is two decades older than what is believed to date.

• It is significant that the existing reports testify to the existence of this practice not only in the capital of the country, but also in its western and eastern periphery;

• "Living pictures" were staged at the end of a theatrical performance or a literary evening, as well as at private parties.

• The first experience of Mihály Zichy's "Tableaux Vivants" staged in Georgia is related to the beautiful wife of Raphiel Eristavi – Theodosia Eristavi. The research is also important in terms of reconstruction of the portrait and biography of Theodosia Eristavi.

• The goal of the Hungarian artist who came to Georgia in the fall of 1881 was to make illustrations for M. Lermontov's poem "Demon". It is stated that, more than four months after his arrival, by January 1882, he still had not finished his work on creating illustrations for Lermontov's poem.

• He made the decision to make illustrations for "The Knight in the Panther's Skin" after arriving in Georgia.

• It is confirmed that M. Zichy's usual practice was to first stage live images and then create illustrations based on them.

Thus, "Living Pictures", "Tableaux Vivants", the same apotheosis, are an organic part of Georgian scenography in the 60s of the 19th century, both before and after Zichy's visit to Georgia.

Keywords: *"Living Pictures", "Tableaux Vivants", apotheosis, Mihály Zichy.*

ირმა კვაშილავა

ისტორიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
irma.kvashilava@tsu.ge

რაფიელ ერისთავი და ხალხური ტრადიციები

რაფიელ ერისთავის მრავალფეროვან მოღვაწეობაში საპატიო ადგილი უჭირავს ეროვნულ ტრადიციებს. ძნელია სხვა ქართველი მწერლის დასახელება, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში უფრო უხვად იყენებდეს ეთნოგრაფიული ყოფის მასალებს და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. მას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მშობლიური ენის სულიერი კულტურის და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირებისადმი. კერძოდ, სხვადასხვა რიტუალებისადმი, რწმენა-წარმოდგენებისადმი, ხალხური დღეობა-დღესასწაულებისადმი, ნათესაობის სისტემის, ქორწინებისა და საქორწილო ცერემონიალისადმი, გლოვისა და დატირების ეროვნული თავისებურებებისადმი, რომელთაც ფართოდ იყენებდა მხატვრულ ნაწერებში, მაგრამ მას ყოველთვის შეუბღალავად უნარჩუნებდა ეთნოგრაფიულ იერსახეს, ვინაიდან ზუსტად და სრულად აფიქსირებდა. უფრო მეტიც, მწერალმა არა მარტო შეკრიბა ხალხური საგანძური, არამედ ქართულ ეთნოგრაფიაში ცალკეული ტრადიციების, თუ წეს-ჩვეულებების სპეციალური კვლევის მეთოდიკა შემოიტანა. სწორედ ეთნოგრაფიულმა ნარკვევებმა მოუხვეჭა მას სახელი სამწერლო ასპარეზზე. საბოლოოდ კი, ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა, მისი მომავალი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ამოცანებს დაუკავშირდა.

ნაშრომის მიზანია იმ ხალხური ტრადიციების წარმოჩენა, მრომელიც ისტორიის კუთვნილება არ არის. ისინი ასაზრდოებენ ქართულ მენტალობას, შინაგან თავისუფლებას, ამიტომ მუდამ ეყოლებათ სათანადო შემფასებელი, როგორსაც ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი და მისი მადლიერი შთამომავლობა წარმოადგენს.

რაფიელ ერისთავის დამსახურება მის სიცოცხლეშივე აღიარეს და სათანადო პატივიც მიაგეს. მრავალი ახალი თაობა დაიწყებს თავის სულიერ ბიოგრაფიას იმ შედეგრით, რაც მან მეთერთმეტე მცნებად შეუქმნა მოზარდ თაობას და „სამშობლო ხევსურისა“-დ იწოდება. გარდა ამისა, რაფიელ ერისთავს, სამეცნიერო, საველე და სამუზეუმო საქმიანობის მრავალფეროვნებით, XIX ს-ის ქართველ ეთნოგრაფთა შორის ბადალი თითქმის არ მოეძებნა. უპრიანი იქნება, ცნობილი მკვლევრის მოღვაწეობა, მისი დაბადებიდან 200 წლისთავზე, პროფესორ ვალერიან ითონიშვილისეული დაკვირვებით შეჯამდეს, რომელმაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა რ. ერისთავის შემოქმედებას – ქართველი ხალხისა და საქართველოს უანგარო სიყვარულით დაწერილს. ვალ. ითონიშვილს არ გამორჩენია რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობით დაინტერესებული მკვლევრები, თუნდაც ისინი, ვინც ირიბად შეეხნენ მის ღვაწლს ქართული ეთნოგრაფიის სფეროში. საკვლევ თემატიკაში აისახა მაშინდელი და თანამედროვე მკვლევრების მომძლავრებული ინტერესი ხალხურობის ნიშნით

გამორჩეული მოღვაწისადმი, რომელიც პირადი ცხოვრებით სანიმუშო მაგალითად გვევლინება: დედაენისა და ეროვნული ტრადიციების მედგარი დამცველი, გლეხკაცობის აღდგენა-დაწინაურების მქადაგებელი და ვინ მოსთვლის მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის სულისკვეთებას, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებას, რწმენა-შეხედულებას, მენტალიტეტს, ცნობიერებას, სოციალურ პირობებს, გლეხის გულისნადებს და ჭირ-ვარამს საკუთარი აზროვნების სიმაღლიდან კი არ უცქერდა, არამედ გლეხისავე შეხედულებით ზომავდა.

ხალხური ცხოვრების მარტივი წესის ლაზათი მუდამ ჩვენი თანადროულია, მას ვერ აფერმკრთალებს პროგრესული ინტელექტუალური მიღწევები; მხოლოდ გვაოცებს და აღგვიძრავს გულში ძლიერ სიყვარულს სამშობლოსადმი, საქმისადმი, მოყვასისადმი.

და ბოლოს, რაფიელ ერისთავმა და მისმა თანამოაზრეებმა, როგორც გ. ასათიანი აღნიშნავდა, ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ – დღევანდელ ქართველებს იმედის თვალით შეგვეხედა მომავლისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ტრადიცია, ეთნოგრაფიული ნარკვევები, სულიერი კულტურა, სოციალური ინსტიტუტები.*

Irma Kvashilava

PhD in History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Senior Research Fellow
Tbilisi, Georgia
irma.kvashilava@tsu.ge

Raphiel Eristavi and Folk Traditions

National traditions hold an honorary place in the diverse activities of Raphiel Eristavi. It is difficult to name another Georgian writer who used materials from ethnographic life and samples of folk creativity as abundantly in artistic creation as he did. He paid particular attention to the spiritual culture of the native language and the functioning of traditional social institutions, specifically regarding various rituals, beliefs, folk celebrations, kinship systems, marriage and wedding ceremonies, mourning, and the national peculiarities of lamentation, all of which he widely employed in his artistic writings while maintaining their ethnographic essence, accurately and fully capturing them. Moreover, the writer not only collected folk treasures but also introduced special research methodologies for studying individual traditions or customs within Georgian ethnography. It was precisely through ethnographic essays that he earned his reputation on the literary stage. Ultimately, his mission was tied to the

preservation of the cultural heritage of the Georgian people and the fight for their future well-being.

The purpose of this work is to highlight the folk traditions that do not belong to history. They nourish the Georgian mentality and inner freedom, which will always have appropriate evaluators, such as the renowned writer Raphiel Eristavi and his grateful descendants.

Raphiel Eristavi's contributions were recognized and honored during his lifetime. Many new generations will begin their spiritual biographies with the masterpiece he created as the Eleventh Commandment for the younger generation, titled "The Homeland of Khevsureti." In addition, Raphiel Eristavi, with his diverse scientific, field, and museum activities, had few equals among 19th-century Georgian ethnographers. It is appropriate to summarize the work of this renowned researcher on the 200th anniversary of his birth, as noted by Prof. Valerian Itonishvili, who dedicated several studies to R. Eristavi's work — written with selfless love for the Georgian people and Georgia. Val. Itonishvili did not overlook researchers interested in the legacy of Raphiel Eristavi, even those who touched upon his contributions to Georgian ethnography indirectly. The study's theme reflects the growing interest of both contemporary and historical researchers in a figure distinguished by his connection to folk culture, who serves as a model through his personal life: a steadfast defender of the native language and national traditions, an advocate for the revival and advancement of peasantry, and who measures the spirit of his lengthy career through the moral customs, beliefs, mentalities, consciousness, social conditions, and aspirations of the people, not from his perspective but through the eyes of the peasant.

The simple principles of folk life are always contemporary; they cannot be overshadowed by progressive intellectual achievements; instead, they amaze us and inspire a strong love for our homeland, our work, and our fellow beings.

Finally, as noted by G. Asatiani, Raphael Eristavi and his associates did much to ensure that we — today's Georgians — look to the future with hope.

Keywords: *tradition, ethnographic essays, spiritual culture, social institutions.*

ეკატერინე კვაჭატაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-2213-7059
Eka_kwatschatadse@yahoo.de

ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია

ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე უფრო კარგად შემონახული ძეგლია. იგი, ძირითადად, XV-XVIII საუკუნეებში არის შექმნილი.

ანანური მთიულეთში (დუშეთის მუნიც.), არაგვის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე „შეუპოვრად“ წოდებული მთის თხემზე მდებარეობს. იგი ერთ დროს არაგვის ერისთავთა მძლავრი საგვარეულო ციხე-სიმაგრე გახლდათ, მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში კი მათი რეზიდენციაც ყოფილა. მტრის შემოსევებისას ის ერისთავთა უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა, ანანურის მთავარი ტაძარი კი – მათ მთავარ სალოცავს და ერთ-ერთ საგვარეულო საძვალეს.

ანანური სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას აშენდა – მასთან თავს იყრის- და ქართლის შუაგულიდან დუშეთზე გავლით კავკასიისკენ თუ მთიულეთისკენ და, პირუკუ, იქიდან მცხეთა-თბილისისკენ მიმავალი მთავარი გზები. აქედანაც ცხადია, რომ იგი ჩართული იქნებოდა ქვეყნის ამ კუთხეში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში.

ციხე-სიმაგრე მცირედ დაქანებულ ფერდზეა განლაგებული. იგი გარშემორტყმულია XVII საუკუნის პირველ ნახევარში ყორე და თლილი ქვებით ნაგები ცილინდრული და ოთხკუთხა კოშკებითა და ნიშებით გაწყობილი მძლავრი გალავნით. მთების ფონზე, ოდნავ დამრეც ფერდობზე შორიდანვე იპყრობს ყურადღებას ლამაზად მოხაზული, არცთუ ძალიან მაღალი, ოდნავ დაქანებული, ქონგურებიანი გალავნის დენადი კონტური, საიდანაც მკაფიო სილუეტით ამოიმართება სხვადასხვა ნაგებობა და, პირველ რიგში, მთავარი, ღმრთისმშობლის მიძინების სახელობაზე ნაგები, დიდი, ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი.

ყველაზე უფრო ადრე ანანურის კომპლექსის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, XV საუკუნეში, სადაზვერვო კოშკი აღიმართა, რომელიც მოგვიანებით ციტადელის ცენტრში, ეკლესიებს შორის მოექცა. ანანურის ანსამბლში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასავლეთი გალავნის შუა ნაწილში მდგომი მთავარი კოშკი, ციხის დონჟონი – „შეუპოვარი“. ეს შვიდსართულიანი, თავისი მასშტაბით და გეგმარებით გამორჩეული კოშკი ერთ-ერთი უდიდესი და ღირსშესანიშნავია საქართველოში.

კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მცირე, გუმბათიანი „ღვთაების“ ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, მთავარ ტაძარზე ცოტა ხნით ადრე –1650-1660-იან წლებში უნდა იყოს აგებული.

ანსამბლის დომინანტი ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაა, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ძეგლთა შორის ერთი ყველაზე ცნობილი და თვალსაჩინო. მას თავისი სიდიდითა და ფასადების მორთვის სიუხვით გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს. მის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იმ დროის ქვის გუმბათური ეკლესია მცირედ მოგვებოვება და, ისიც, რომ ძეგლი სამშენებლო წარწერით ზუსტად არის დათარიღებული (1689 წ.).

ტაძრის ლაპიდარული წარწერა მეტად მრავლისმეტყველია და საგულისხმო შინაარსის შემცველი. წარწერის მნიშვნელობას ზრდის ქართული შუა საუკუნეების ეპიგრაფიკისათვის იშვიათი „დეტალიზაცია“: წარწერის მიხედვით ვიგებთ როგორც ტაძრის ამგების (შემწირველის) ვინაობას – არაგვის ერისთავის შვილი მდივანბეგი (მსაჯულთუხუცესი) ბარძიმი, ისე მისი ხუროთმოძღვრის თუ სარქრის (ზედამხედველის) – ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბაღსარაშვილის სახელს.

სათავდაცვო მნიშვნელობა ანანურმა მხოლოდ საქართველოს რუსეთის იმპერიას შეერთების შემდეგ, XIX საუკუნეში დაკარგა. ამიერიდან საქართველოს სამხედრო (მაშინ რომ იტყოდნენ, „სარუსეთო“) გზის პირას განლაგებული ციხე უპირატესად მასზე მიმომავალთა, მათ შორის მოგზაურთა, მწერალთა, პოეტთა, მხატვართა ყურადღებას თუ მიიპყრობდა.

საკვანძო სიტყვები: *ანანური, არქიტექტურული ანსამბლი, არაგვის საერისთავო.*

Ekaterine Kvachatadze

PhD in Art History
The G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History
and Heritage Preservation
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-2213-7059
Eka_kwatschatadse@yahoo.de

Ananuri – the Residence of the Dukes of Aragvi

Ananuri Castle lies on the top of a mountain commonly called Sheupovari (Fearless), which is situated on the right side of the river in the Aragvi gorge, in the district of Dusheti, Mtiuleti, within 66 kilometers north of Tbilisi. Being a major stronghold of the Aragvi Eristavis (governors), later, towards the final years of its functioning, the castle also served as their residence, Dusheti being the “capital” of the principality. Ananuri served as a shelter for the Eristavis during invasions, while its principal church was their main shrine and one of the family burial places.

The architectural ensemble at Ananuri is among the most accomplished and best-preserved late feudal sites in Georgia. Built between the 15th and 18th centuries in a

strategically important place, it marked the junction of roads running from the heart of Kartli through Dusheti to the Caucasus and Mtiuleti and conversely, from the latter to Mtskheta and Tbilisi. It was thus engaged in the political processes unfolding in this part of the country.

Set on a gentle slope, the castle is enclosed by a strong rubble and ashlar wall fitted with cylindrical and rectangular towers and niches. The curvilinear design of the beautifully outlined sloping wall of modest height with battlements, above which various structures and notably, the large cross-domed Church of the Dormition are silhouetted against a background of mountains, captures the eye even from quite a distance.

The earliest structure, erected at Ananuri in the 15th century, was an observation tower, which later came to mark the central area and became surrounded by churches.

The most noteworthy tower is Sheupovari which draws attention to the central part of the west wall and contains the dungeon. This seven-story tower, remarkable for its dimensions and planning, is one of the largest and most remarkable towers in Georgia.

In the west part of the castle is to be found a small domed Ghvtaeba Church, which must have been built slightly earlier than the main church, i.e. between 1650 and 1660.

The ensemble is dominated by the Church of the Dormition, one of the most renowned and notable Georgian churches of the late Middle Ages. With its size and rich facade decoration, it holds a distinguished place in Georgian religious architecture. Its importance is increased by the fact that it is one of the few stone-domed churches of the time and also that it is accurately dated using a building inscription (1689).

The church's lapidary inscription thus appears highly notable and informative. A detailed rendering atypical of medieval Georgian epigraphy increases its importance. The inscription allows us to identify the church's donor, the chief judge Bardzim, son of the Aragvi Eristavi, as well as the architect or building supervisor, *bokaultukhutsesi* (the chief of police) Kaikhosro Baghsarashvili.

It was only in the 19th century, after Georgia became part of the Russian Empire, that Ananuri lost its defensive function. Since then, the castle lying on the side of Georgia's military highway would only be noticed by people using this road, including travelers, writers, poets, and artists.

Keywords: *Ananuri, Ananuri Castle, Architectural Ensemble, Dukes of Aragvi.*

მაია კიკნაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
Maiakiknadze39@gmail.com

რაფიელ ერისთავი და ქართული თეატრი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება წარმოუდგენელია რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის გარეშე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი, დრამატული საზოგადოება და სხვა მნიშვნელოვანი ეროვნული პროექტები რაფიელ ერისთავისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი ძალისხმევით იქმნებოდა.

რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თეატრალური საქმიანობა. მწერლის სიახლოვე თეატრთან ჭუთაისიდან დაიწყო. 1867 წელს, ის სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარეთა წრეს, რომელსაც შემდეგ შეუერთდა რუსეთიდან საქართველოში დროებით დაბრუნებული აკაკი წერეთელი. რაფიელ ერისთავი თავის წრეში სუფლიორობდაც მუშაობდა, როგორც ეს ძველ თეატრში იყო მიღებული. ცნობილია ისიც, რომ ერისთავს რამდენჯერმე სპექტაკლშიც უთამაშია (მაგ., 1867 წელს, ბარბარე ჯორჯაძის პიესაში „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ სირაჯ ავეტიკას როლი).

1879 წელს, როდესაც მუდმივმოქმედი თეატრი შეიქმნა, რაფიელ ერისთავი ქართული თეატრის სათავეებთან იდგა და თავისი პიესებით თეატრს რეპერტუარის შექმნაში ეხმარებოდა. სწორედ მისი და მისი დის, ბარბარე ჯორჯაძის პიესებით გაიხსნა მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრი (დღევანდელი რუსთაველის ეროვნული თეატრი).

რაფიელ ერისთავის დამსახურება ქართულ თეატრის ისტორიაში უპირველესად განისაზღვრება მისი დრამატურგიული მოღვაწეობით. ის არის ავტორი არაერთი ორიგინალური თუ გადმოკეთებული კომედია ვოდევილებისა, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით მე-19 ს-ის 60-80-იან წლებში იდგმებოდა. მისმა ვოდევილებმა დიდი როლი ითამაშეს ვოდევილის ჟანრის განვითარებაში. მას აქვს როგორც ორგინალური, ასევე გადმოკეთებული კომედიები, რომლებიც ქართველი კაცის ხასიათს და ქართული მაყურებლის გემოვნებას მიესადაგებოდა. თავის პიესებში მწერალი საუბრობდა საზოგადოების მანკიერ მხარეებზე. სკოლებში არსებულ სავალალო მდგომარეობასა და იმდროინდელი სასამართლო სისტემის, მართლმსაჯულების უსამართლობაზე.

რაფიელ ერისთავის დრამატურგიის თავისებურება უპირველესად მის ხალხურობასა და სამეტყველო ენაში ვლინდება. ცნობილი თეატრალური მოღვაწე გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავდა: „ქართული ენა ახლანდელს მწერლობაში ისე მდიდრად არსად არა სჩანს, როგორც რაფიელ ერისთავის ნაწერებში“.

1881 წელს, როდესაც დრამატული საზოგადოება შეიქმნა, დამფუძნებელთა (ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, ვასო აბაშიძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ავალიშვილი და სხვები), შორის რაფიელ ერისთავიც იყო. ხოლო მოგვიანებით 1884 წლის 28 ივნისს, ის დრამატული საზოგადოების კრებაზე თავჯდომარედ აირჩიეს.

რაფიელ ერისთავის პიესების პოპულარობა, მისი სცენური სიცოცხლე განაპირობა იმანაც, რომ ავტორი კარგად იცნობდა სასცენო ხელოვნების ანა-ბანას და იმ პერიოდის ქართველ მსახიობთა შესაძლებლობებს.

რაფიელ ერისთავის პიესების დადგმის ისტორია სცენისმოყვარეთა წრის წარმოდგენებიდან იწყება (1875 წელი). ამ პერიოდიდან მოყოლებული მისი არაერთი პიესა დაიდგა. დღესაც, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის რეპერტუარში შეტანილია რაფიელ ერისთავის პიესა „ჯერ დაიხოცნებ მერე იქორწინეს“ (რეჟ.: გოგი მარგველაშვილი), რომელიც დიდი წარმატებით იდგმება.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, ვოდევილი, დრამატული საზოგადოება, სცენიური ინტერპრეტაცია, მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრი, სცენისმოყვარეთა დასი.*

Maia Kiknadze

PhD in Art History
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University
Associated Professor
Tbilisi, Georgia
Maiakiknadze39@gmail.com

Rapiel Eristavi and the Georgian Theater

The social and cultural life of the second half of the 19th century is unimaginable without the work of Raphiel Eristavi's activities. Society for Spreading the Literacy among Georgians, Georgian theater, drama society and other important national projects were created with great efforts of Rapiel Eristavi and public figures.

His theatrical activity is especially important in Rapiel Eristavi's versatile work. The close relationship of a writer with the theater started in Kutaisi. In 1867, he became the leader stage lovers' Society, which was later joined by Akaki Tsereteli, temporarily returning to Georgia from Russia. Rapiel Eristavi also worked as a prompter in his society, as was customary in the old theater. It is also known that Eristavi played several times in the play (for example, in 1867, the role of Siraj Avetika in the play "What I was Looking for and What I Found" by Barbare Jorjadze).

In 1879, when the permanent theater was established, Rapiel Eristavi stood at the head of the Georgian theater and helped the theater in the creation of repertoire with his plays. The permanent professional theater was opened exactly by staging his and his sister Barbare Jorjadze's plays that the permanent professional theater (today's Rustaveli National Theater) was opened.

Rapiel Eristavi's merit in the history of Georgian theater is primarily determined by his dramaturgical activity. He is the author of several original and adapted vaudeville comedies, which were particularly popular in the 60s and 80s of the 19th century. His vaudeville acts played a major role in the development of the vaudeville genre. He has both original and adapted comedies that suit the character of the Georgian man and the taste of the Georgian spectator. In his plays, the writer talked about the problems of society. The deplorable conditions in schools and the injustice of the judicial system of that time.

The peculiarity of Rapiel Eristavi's dramaturgy is primarily revealed in his folk and spoken language. The famous theatrical figure Giorgi Tumanishvili noted: "The Georgian language does not seem so rich in contemporary writing as in the writings of Rapiel Eristavi".

In 1881, when the drama society was created, Rapiel Eristavi was among the founders (Alexander Kazbegi, Ivane Machabeli, Vaso Abashidze, Anton Purtseladze, Niko Avalishvili and others). And later on June 28, 1884, he was elected as the chairman at the meeting of the Dramatic Society.

The popularity of Rapiel Eristavi's plays and his life on the stage were also stipulated by the fact that the author was well aware of the stage art and the abilities of Georgian actors of that time.

The history of the staging of Rapiel Eristavi's plays begins with the performances of the Stage Lovers Society (1875). Since this period, many of his plays have been staged. Even today, Rapiel Eristavi's play "First died, Then Married" is included in the repertoire of Mikheil Tumanishvili's Theater (stage director: Gogi Margvelashvili).

Keywords: *vaudeville, dramatic society, scenic interpretation, permanent professional theater, troupe of stage lovers.*

ესმა კუნჭულია

კულტურის კვლევების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული გასტრონომიული კულტურის მუზეუმის დამფუძნებელი
თბილისი, საქართველო
Email:esmakunchulia@gmail.com

და-ძმა ერისთავები და პირველი ქართული სამზარეულო წიგნი

პირველი ქართული სამზარეულო წიგნი 150 წლისაა. სიტყვა „ქართულით“ მარკირებული სამზარეულო რეცეპტების პირველი კრებული 1874 წელს გამოიცა და იგი პოლემისტმა, ფემინისტმა და პოეტმა ქალმა – ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძემ შეადგინა.

წიგნმა სათაურით – *„ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი, დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა“* სავალდებულო ცენზურა 1874 წლის 10 თებერვალს გაიარა და თბილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა.

წიგნის გამოცემის თარიღმა ნაციონალიზმის გარიჟრაჟზე მიგვითითა, ხოლო სათაურში გამოყენებულმა სიტყვა-კოდმა – „ქართულმა“ კი მის ეროვნულ პროექტში ჩართულობაზე დაგვაფიქრა. შესაბამისად, საჭირო გახდა კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდომოდით ეროვნული იდენტობის რაობასა და გამოგვეკვეთა ეროვნული მობილიზაციის შემოქმედენი, ის ადამიანები, ვინც 150 წლის წინათ ერის წევრთა კონსოლიდაციაში იღებდნენ მონაწილეობას.

რა კავშირშია პირველი ქართული სამზარეულო წიგნი ქართულ ნაციონალიზმთან და რა წვლილი აქვს მას შეტანილი ეროვნული იდენტობის შენებაში? ამ კითხვებზე პასუხების ძიებას კი კულტურის, მეხსიერებისა და ნაციონალიზმის კვლევების პარადიგმებით შევეცადეთ.

ქართული სამზარეულოს პირველი წიგნის შესწავლისას ჩვენ დავამუშავეთ სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოთა ისტორიები და ერის სახელით გამოცემული პირველი კრებულები. კვლევისას აღმოჩნდა, რომ მრავალი იგივეობა თვალშისაცემად თავს იყრიდა მაინცდამაინც ისტორიის ახალ დროში – ნაციონალიზმის ეპოქაში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ერის სახელთან დაკავშირებული სამზარეულო წიგნების გამოცემა მსოფლიოში, თითქმის ყველგან, XIX საუკუნეში დაიწყეს და მათი გამომცემლები ეროვნულ მოძრაობებში ჩაბმული საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

ნაციონალიზმის ისტორია ადასტურებს, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ეროვნული მოძრაობის სათავეებთან პოლიტიკოსებამდე ის ჰუმანიტარი ინტელექტუალები იდგნენ, ვისი კვლევის საგანიც ერის ფესვების ძიება იყო. ნაციონალიზმის მკვლევართა მიხედვით, თითქმის ყველგან ნაციონალური მოძრაობები იწყებოდა არა საპროტესტო აქციებით, დეკლარაციებითა და შეიარაღებული გამოსვლებით, არამედ ლიტერატურული საზოგადოების შექმნით, ჟურნალების გამოცემითა და სხვა ჰუმანიტარული ქმედებებით (სმითი, 2004: 28).

ნაციონალიზმის პირველ ფაზაში სწორედ ისტორიკოსებმა, ლინგვისტებმა, ეთნოგრაფებმა, პუბლიცისტებმა, მწერლებმა ითავეს ეროვნული „მე“-ს რეფლექსია, იდენტობის მშენებელი მრავალფეროვანი ტექსტების შექმნა და ხალხში ფართოდ გავრცელება. ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და მისით ქართული

ერთობის გამსჭვალვის პროცესში კი მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ინტელიგენცია.

ქართული ნაციონალიზმის სათავეებთან იდგნენ პირველი ქართული სამზარეულო წიგნის ავტორი ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე და მისი ძმა, ცნობილი ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი, რომლის ლექსიც „სამშობლო ხევსურისა“ დღემდე უდიდეს ემოციურ გავლენას ახდენს ქართველთა ცნობიერებაზე. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ და-ძმა ერისთავების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა, რამაც საშუალება მოგვცა იმ ეპოქის სიღრმეებში ჩაგვეხედა, სადაც, ეროვნული იდენტობის სხვა ნარატივებთან ერთად, იდენტობის კიდევ ერთი ტექსტი – წიგნი „ქართული სამზარეულო“ დაიბადა.

თუმცა ჩვენს კვლევაში რაფიელ ერისთავის ჩართვას სხვა მიზეზიც ჰქონდა, მისი ეთნოგრაფიული ნარკვევები ქართულ და რუსულ ენებზე 1845 წლიდან იბეჭდებოდა. ხალხურ რეცეპტთა შეკრება კი ეთნოგრაფიულ სამუშაოს წარმოადგენს, ისევე როგორც ხალხურ ანდაზათა, ზღაპართა, სიმღერათა და სხვა ფოლკლორულ მასალათა შეგროვება. ჩვენ დავამუშავეთ რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული შრომები, სადაც უხვად შეგვხვდა ქართულ კერძთა და კვების წესების აღწერებიც. შესაბამისად, გაგვიჩნდა ეჭვი: დასთან ერთად მასაც ხომ არ მიუღია მონაწილეობა პირველი ქართული სამზარეულო წიგნის შექმნაში? ჩვენი აზრით, რაფიელ ერისთავი დასთან ერთად პირველი ქართული სამზარეულო წიგნის შექმნაში აქტიურად იღებდა მონაწილეობას.

საკვანძო სიტყვები: *და-ძმა ერისთავები, ქართული სამზარეულო წიგნი, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე.*

Esma Kunchulia

PhD in Cultural Studies
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Founder of Georgian Gastronomy Culture Museum
Tbilisi, Georgia
esmakunchulia@gmail.com

Siblings Eristavi and the First Georgian Cookbook

The first Georgian cooking book is 150 years old. The author of the first collection of cooking recipes marked with the word "Georgian" is a polemicist, feminist and female poet – Barbara Eristavi-Jorjadze. The text of the book passed the censorship on February 10, 1874, and was printed in Ekvtime Kheladze's printing house in Tbilisi.

We were interested in the publication date of the book, which pointed us to the origins of Georgian nationalism. Our goal was to study the era of publication of the

book and the actors involved in it, who participated in the consolidation of the members of the nation 150 years ago.

The question of our research was as follows: What is the connection between the first Georgian cookbook and Georgian nationalism and what is its contribution to the construction of national identity?

We tried to find answers to these questions with the paradigms of Culture, Memory and Nationalism studies.

While studying the first book of Georgian cuisine, we processed the first collections of cuisines of different countries. Our attention was drawn to the fact that cooking books related to the name of the nation began to be published almost everywhere in the world in the 19th century, and their publishers were public figures involved in national movements.

According to the history of nationalism, humanitarian intellectuals were involved in the beginnings of the national movement before the politicians in Georgia, as well as everywhere. According to the researchers of nationalism, almost everywhere national movements started not with protests, declarations and armed speeches, but with the creation of literary societies, publication of magazines and other humanitarian actions (Smith, 2004: 28).

The author of the first Georgian cooking book, Barbara Eristavi-Jorjadze, and her brother, the famous Georgian poet Rafiel Eristavi, were at the head of Georgian nationalism.

The inclusion of Rafiel Eristavi in our study had a certain reason. He started publishing ethnographic essays (in Georgian and Russian languages) from 1845. The collection of folk recipes is an ethnographic work, as well as the collection of folk proverbs, tales, songs and other folklore materials.

We processed the ethnographic works of Rafiel Eristavi, where we encountered descriptions of Georgian dishes and food rules in many places. Accordingly, we had a doubt: did he, along with his sister, take part in the creation of the first Georgian cooking book? In our opinion, Rafiel Eristavi actively participated in the creation of the first Georgian kitchen book together with his sister.

The conclusion of our research is as follows: in the first Georgian kitchen book, the unification of dishes spread in the corners of Georgia in one collection laid the foundation for a kind of legal document that "legitimized" the list of Georgian dishes.

And what is most important – within the framework of the book "Georgian Kitchen" the union of different parts of Georgia attended the political unification of the country.

Keywords: *Siblings Eristavi, Georgian Cookbook, Barbare Jorjadze-Eristavi.*

ნანა კუპრაძე

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0002-0913-3734
n.kupradze@ug.edu.ge

გავლენის ინტერპრეტაცია ორი მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების მაგალთზე (რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა)

ლიტერატურული გავლენა სიტყვაკაზმული მწერლობის განუყოფელი ნაწილია. ის შეიძლება ეხებოდეს მხატვრულ ენას, სტილს, წერის მანერას, თემატიკასა და სხვა. ცხადია, ასეთი გავლენა სულაც არ აკნინებს შემოქმედის ნიჭს.

ლიტერატურათმცოდნეებმა არაერთი ასეთი გავლენა შეისწავლეს და გააანალიზეს. რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას სახელებიც ამ ეტაპზე ამ კონტექსტში დავაწყვილეთ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1895-1896 წლებში ჟურნალ „მოამბესა“ და 1896 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნდა გრიგოლ ყიფშიძის ლიტერატურული წერილები, რომლებიც, სხვასთან ერთად, ეხებოდა რაფიელ ერისთავისა და ძმებ რაზიკაშვილების შემოქმედების გავლენას.

წერილში „თ-დი რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“, მკვლევარმა არ გაიზიარა იონა მეუნარგიას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რაფიელ ერისთავის ლექსმა „სამშობლო ხევსურისამ“ შექმნა „მთელი სკოლა“ და თითქოს ამ სკოლაში ძმები რაზიკაშვილები პირველობენ.

მკვლევარი უარყოფს ყოველგვარ გავლენას და თვლის, რომ ეს გავლენა კი არ იყო, არამედ დროის შედეგი „საერთო თვისება მათ შორის დიდია, გარნა განსხვავებაც დიდია. ერთფეროვნება აიხსნება ნიჭის ნათესავობით, სულის თვისტომობით და არა ზეგავლენით, ერთმანეთის მიბაძვით“ („მოამბე“, 1895, N10). ასეთივე პათოსით არის გამსჭვალული მეორე წერილიც, რომელიც 1896 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაიბეჭდა.

ვაჟა-ფშაველასთვის უცხო არ ყოფილა ასეთი დამოკიდებულება. საუბრობდნენ მისი შემოქმედებისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენაზეც.

ვაჟა-ფშაველამ უპასუხა ამ მოსაზრებებს წერილებით, „კრიტიკა იპ. ვართაგავასი“ და „pro domo sua“ („ჩემ შესახებ“). ამ ეტაპზე ჩვენთვის საყურადღებოა მეორე წერილი, რადგან ის უშუალოდ რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას გავლენას ეხება.

ვაჟა-ფშაველა თვლის, რომ ლიტერატურული გავლენა აბსოლუტურად მისაღები და კანონზომიერია. საკუთარი მოსაზრებას კი ლიტერატურაში არსებულ „თანდათანობით კანონზე“ დაყრდნობითა და რამდენიმე არგუმენტით ამყარებს. „ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა. რამ უნდა ააყღეროს მისი ჩანგი თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი,

ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამაღელვებელი, ან ბუნების მოვლენით მოუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს“ („pro domo sua“).

რაც შეეხება უშუალოდ რაფიელ ერისთავის შემოქმედების გავლენას, პოეტი პასუხობს: „თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შეძრა იგი. ამასთანავე, ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა“ („pro domo sua“).

წერილში ვაჟა-ფშაველა თამამად საუბრობს ამ საკითხზე და ასახელებს იმ მწერლებსა და ნაწარმოებებს, რომლებიც იქცა მისი შესანიშნავი ქმნილებების ინსპირაციად.

საინტერესოა, თავად მწერლის დამოკიდებულება გავლენის, როგორც მოვლენის მიმართ. მწერალი თვლის, რომ ის კანონზომიერია, და აუცილებელიც კი არის საკუთარი ნიჭის გასავითარებლად; ის შესაძლებლობაა, რომ მწერალმა იპოვოს საკუთარი სტილი, აღმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ლიტერატურული გავლენა.*

Nana Kupradze

PhD in Philology
The University of Georgia
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0002-0913-3734
n.kupradze@ug.edu.ge

Interpretation of Influence on the Example of the Creative Life of Two Writers (Raphiel Eristavi and Vazha-Pshavela)

Literary influence is an integral part of literal writing. It can refer to artistic language, style, writing style, subject matter, and more. Such an influence does not diminish the talent of the creator.

Literary scholars have studied and analyzed several such influences. At this stage, we also paired the names of Raphiel Eristavi and Vazha-Pshavela in this context.

It all started with the fact that in 1895-1896 the magazine "Moambe" and in 1896 the newspaper "Novoe Obozrenie" published the literary letters of Grigol Kipshidze, which, among others, were about the influence of the work of Rafiel Eristavi and the Razikashvili brothers.

In the letter "Raphiel Eristavi and his literary work", the researcher did not share the opinion of Yona Meunargia regarding the fact that Raphiel Eristavi's poem "Native Khevsurisa" created "the whole school" and it seems that the Razikashvili brothers are the first in this school.

The researcher denies any influence and believes that it was not an influence, but the result of time. The monotony is explained by the kinship of talent, the kindred of the soul, and not by influence, by imitating each other" ("Moambe", 1895, N10) The second letter, which was printed in the newspaper "Novoe Obozrenie" in 1896, is imbued with the same pathos. Vazha-Pshavela was no stranger to such an attitude. They also talked about the influence of his creativity and folk word of mouth.

Vazha-Pshavela responded to these opinions in letters, "Criticism of IP. Vartagawas" and "pro domo sua" ("about me"). At this stage, the second letter is noteworthy for us, because it directly refers to the influence of Rafiel Eristavi and Vazha-Pshavela. Vazha-Pshavela believes that literary influence is acceptable and legitimate. He supports his opinion based on the "gradual law" in the literature and several arguments. "Influence on the writer is necessary, otherwise the writer would be an empty, lifeless being, if at the same time, he is not a living expression of the world." What should sound his voice if he did not hear a story, or a poem, or a case, did not see the circumstances of life as exciting, or was deafened by the events of nature? These are the external factors, and it is the inner heart that absorbs them, and pours them into the mold (pro domo sua). Regarding the direct influence of Rafiel Eristavi's work, the poet answers: "Raphiel's poems, both written in a secular style and in a typical mountain style, moved my heart differently, moved it differently. At the same time, let's not forget that even though you were an apprentice then, I knew a lot of folk, Pshauri, and Khevsuri poems; I loved this kilo, it held a special place in my heart" ("pro domo sua").

In the letter, Vazha-Pshavela boldly speaks about this issue and names the writers and works that became the inspiration for his wonderful creations. It is interesting, the attitude of the writer himself towards influence as an event. The writer believes that it is legitimate, and even necessary for the development of his talent; It is an opportunity for the writer to find his own style, to discover his own possibilities.

Keywords: *Rafiel Eristavi, Vazha-Pshavela, Literary influence.*

სამსონ ლეჟავა

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-7442-3268
samson.lezhava@art.edu.ge

ერთი არქიტექტურული დეტალის შესახებ რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმში

წინამდებარე მოხსენება მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული პროექტის – „ტრადიციული საცხოვრისი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში“ – ფარგლებში (FR-23-569)

ის, რომ საქართველოში ღია ტიპის, გახსნილი აივნიანი საცხოვრებლები XIX საუკუნებდეც არსებობდა, კარგად არის გამოკვლეული ვ. ბერიძის, მ. გარაყანიძის, ვ. ცინცაძის, ლ. რჩეულიშვილის, მ. მანიასა და სხვათა მიერ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია წყაროთა მონაცემები, რომელთა საფუძველზეც მოხსენიებულ მკვლევართა დასკვნები მტკიცედ არის დასაბუთებული.

რაც შეეხება ხუროთმოძღვრულ დეტალთა ანალიზს, ამ მხრივ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი. ამ შემთხვევაში ინტერესს აღძრავს აივნის მოაჯირთა ცხაური, თავისი რიკულების (იგივე ბალიასინების, ასევე – სურაიას) მწყობრი რიგით, რომელ-საც, გარდა ფუნქციისა, უდაოდ გამოარჩევს გარკვეული ეფექტური ესთეტიკური დატვირთვა.

საზოგადოდ, რიკულების რიგთან დაკავშირებული „ხატოვანება“ აერთიანებს მაღალორგანიზებული, დიფერენცირებული ფორმათა „აქტივობისა“ და ყოველი რიკულის თითქოსდა „ირგვლივ“ არსებული სივრცეირების „დიალექტიკურ“ ურთი-ერთკავშირს. ახლა რა მგვანება შეიძლება აღვიქვათ თავის მხრივ, კერამიკული, ხელით ამოყვანილი ფორმისა და რიკულის გამორჩეულ ფორმას შორის? ორსავ შემთხვევაში, წრიულად მოძრავი ჩარხის მაორგანიზებლობა ფორმის შეკუმშვების პროცესში საზიაროა. განსხვავებულია ამოძერწვა პირველ შემთხვევაში და „გამოკ-ვეთა-გამოღარვა“ – მეორე შემთხვევაში. არაა გამორიცხული, რომ ცნება „სუსაია“ სწორედ კერამიკასთან ასოციაციით აიხსნებოდეს, ხოლო თავისთავად – მგვანება უფრო მეტად, ვერტიკალურად, „მაღლივად“ ამომართულ რიკულსა და ასევე მოცულობრივ აგრეთვე „სიმეტრიულად სკულპტურულ“ ჭურჭელს შორის – საკმაოდ რეალურია და თვალსაჩინო.

არაა გამორივცული, რომ რიკულთა ასახულობა უკვე ბანას ტაძარშიც შეინიშნებოდეს, თუმცა ეჭვმიუტანელია ბაგრატის მორთულობაში. მისი ფიქსირებუ-ლობა, რაც არაერთგზისაა აღნიშნული მკვლევართა მიერ (მ. გარაყანიძე, ვ. ცინცაძე).

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ მამუკა თავაქა-რაშვილის მხატვრობაში ასახულია რიკულთა რიგი (ი. ხუსკივაძე). ეს უკვე გვიანფეოდალური ხანაა და მისი მხატვრობა ჩვენ გვაწვდის ინფორმაციას ყოფაში

არსებულ არტეფაქტზე. შესაძლებელია აქ მხატვარი აივნის ცხაურს წარმოჩენს, თუმცა დასაშვებელია, რომ ინტერიერში გამოყენებული, „შირმისებრი“ ცხაურიც იგულისხმებოდეს.

აღსანიშნავია, რომ გვაქვს კიდევ სხვა მაგალითიც ჭედუროაბის ერთ-ერთ ნიმუშში, რომელიც გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა. ორივე ეს მაგალითი სპეციფიკურია: აქ გვაქვს შუაში„ბურთულისებრი“, საკვანძო არე, რომელიც ორმხრივ – როგორც ზემოთკენ, ისე ქვემოთკენ გაფართოვებად, მკაფიოდ აღნაგ ფომრბს ებმის. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამდაგვარ რიკულთა ფორმა თითქოსდა „ამოტივტივდა“ რ. ერისთავის გვიანდელ საცხოვრისში, აივნის მორთულობის სახით, რაც ამ „კონფიგურაციის“ მდგრადობას ადასტურებს საუკუნეთა მანძილზე – გარკვეულწილად იცვლება კონტექსტი, მაგრამ მეტ-ნაკლებად – უცვალებელია ამსახველი ფორმა.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, სახლ-მუზეუმი, არქიტექტურა, ტაძარი, ხელოვნება.*

ესმა მანია

ფილოლოგიის დოქტორი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-6168-5678
esmamania2@gmail.com

რაფიელ ერისთავის ბიბლიოფილური მისწრაფებების ვექტორების კვალდაკვალ

ცნობილი ქართველი მოღვაწის – რაფიელ ერისთავის ბიბლიოფილური მისწრაფებები მოიცავს მისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შემოქმედების არაერთ ასპექტს: 1. ხელნაწერი წიგნების მოძიებას; 2. შესასყიდი წიგნების შერჩევაში ავტორიტეტული რეკომენდაციის უფლებით სარგებლობას; 3. ახალი გამოცემების ინიციატივებს; 4. წიგნების სტრუქტურულ და კონცეპტუალურ სრულყოფაზე ზრუნვას; 5; საბიბლიოთეკო საქმის ინსტიტუციურ გამართულობაზე მუშაობას; 6. ბიბლიოფილური ინტერესების ხარისხის ზრდის მცდელობას საზოგადოებაში და ა. შ.

მოხსენება ეყრდნობა სამ ძირითად საკვლევ წყაროს: რაფიელ ერისთავის პირად საარქივო ფონდს; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციის ხელნაწერებს და პერიოდული პრესის მასალას.

გარდა იმისა, რომ ჩვენთვის საგულისხმოა რაფიელ ერისთავის ამ დარგში სხვადასხვა ორგანიზაციის ფარგლებში საქმიანობის ამსახველი ფაქტების აღდგენა-რეკონსტრუქცია, ასევე კვლევის მეტად საინტერესო იმპულსს გვაძლევს პირად წერილებში მოხმობილი ფაქტების კვალდაკვალ სვლა. ამ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ რაფიელ ერისთავი იცნობს და უკავშირდება ინფორმატორებს, ბიბლიოფილებს, აგენტებს და ინტერესდება ნებისმიერი შინაარსისა და წარმომავლობის ხელნაწერის შეგროვებით. მისი არქივიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ მას მოუძიებია შემდეგი თემატური რაობის სამ ათეულამდე ხელნაწერი წიგნი: აგიოგრაფიული და საღვთისმსახურო ძეგლები, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი ტექსტები, ენათმეცნიერული ნაშრომები...

როგორც ჩანს, რაფიელ ერისთავი დეტალურად ინტერესდებოდა ამ ხელნაწერი წიგნების მფლობელების ვინაობებითა და ამ არტეფაქტების დაცულობის ისტორიით, რაზეც მოწმობს მისი ერთი ინფორმატორის საგულდაგულო აქცენტები. რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული ცნობები ხელნაწერთა მფლობელების, გამავრცელებლების, გამყიდველების (კიკო თადიაშვილი, გრიგოლ მაყაშვილი, სვიმონ მაყაშვილი, ექვთიმე ნიკოლიშვილი, ვინმე ქობულაშვილი) შესახებ ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა. ჩვენი მოხსენების ერთ-ერთი ხაზი სწორედ აქ ნახსენები ხელნაწერების იდენტიფიკაციაცაა ამავე წყაროებში მოცემული ხელნაწერის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საფუძველზე, რაც მოგვცემს ამ მრავალპროფილური მოღვაწის კიდევ ერთი საგულისხმო როლის დაზუსტების საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: *ბიბლიოფილი; ხელნაწერი წიგნი; პირადი არქივი; რაფიელ ერისთავი.*

Esma Mania

PhD in Philology
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
Senior researcher
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-6168-5678
esmamania2@gmail.com

Tracing the Vectors of Raphiel Eristavi's Bibliophilic Aspirations

The bibliophilic aspirations of the renowned Georgian figure – Raphiel Eristavi encompass various facets of his public life and creativity, including 1. The search for handwritten books; 2. Utilizing authoritative recommendations for the selection of books to be acquired; 3. Initiating new editions; 4. Ensuring the structural and conceptual refinement of books; 5; working towards the institutional efficiency of library activities; 6. Striving to elevate the quality of bibliophilic interests within society, etc.

The report is based on three primary research sources: Raphiel Eristavi's personal archival fund, manuscripts, and periodicals from the collection of the Literacy Society.

It is crucial not only to restore and reconstruct the facts of Raphiel Eristavi's activities within various organizations but also to trace the facts mentioned in his letters that trigger us toward the research. These sources reveal Eristavi's extensive network of informants, bibliophiles, and agents, as well as his keen interest in collecting manuscripts of diverse content and origin. His archive indicates that he sought approximately three dozen handwritten books on topics such as hagiographic and liturgical monuments, the history of Georgia, translated texts, and linguistic works…

Raphiel Eristavi exhibited a detailed interest in the identities of the manuscript owners and the preservation history of these artifacts, as evidenced by the meticulous notes from one of his informants. The information about the owners, distributors, and sellers of manuscripts, such as Kiko Tadiashvili, Grigol Makashvili, Svimon Makashvili, Ekvtime Nikolishvili, and some Kobulashvili, stored in Eristavi's archive, is invaluable. One focus of our report is the identification of these manuscripts based on the identification data provided in Eristavi's sources. This will help elucidate another significant role of this multi-faceted figure.

Keywords: *Bibliophile; Manuscript; Personal Archive; Raphiel Eristavi.*

თეა მეშველიშვილი

ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-5556-6970
t.meshvelishvili@ug.edu.ge

რაფიელ ერისთავის წერილები ოსმალოს საქართველოს შესახებ

70-იან წლებში აქტიურად იწყება ქართველი ერის ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების გაღვიძებისაკენ მიმართული ბრძოლა. 1877-78 ოსმალეთსა და მეფის რუსეთს შორის გაჩაღებულ ომში ოსმალეთის მარცხის შემდეგ ოსმალეთის ბატონობისგან განთავისუფლდა აჭარა და ტაო-კლარჯეთი. ქართულ საზოგადოებაში იმედი გაჩნდა, რომ ისტორიული ერთობა სამუსლიმანო საქართველოსთან, აღდგებოდა. ამისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწეები ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ საგაზეთო პუბლიკაციების გამოქვეყნებით, თუ ადგილზე აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით, რათა გამაჰმადიანებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნება გამოეღვიძათ. სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების პროცესში ერთიანობის აუცილებლობის წარმოჩინება მთავარი ლეიტმოტივი გახდა ქართულ პუბლიცისტიკაში, ერთიანობა კი ეფუძნებოდა საერთო ისტორიის გააზრებასა და ენის, როგორც იდენტობის მთავარი ასპექტის ხაზგასმას. გაზეთ ივერიისა და დროების ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართველი მწერლებისა და პუბლიცისტების წერილები. მტრისგან განთავისუფლებულ სამუსლიმანო საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სკოლების გახნას და მაჰმადიანი ქართველების ქართულ კულტურასთან დაბრუნებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის შესწავლაც და მათი კეთილგანწყობის მოპოვება. ამავე პერიოდში ხდება სამუსლიმანო საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხით შესწავლა. 70- იან წლებში აჭარასა და ტაო-კლარჯეთში იმოგზაურეს გიორგი ყაზბეგმა, დიმიტრი ბაქრაძემ. ამ უკანასკნელმა სტამბოლის არქივიდან ოსმალური დოკუმენტაცია ჩამოტანა, მათ შორის ბათუმისა და ყარსის სანჯაყების დავთრები. გიორგი ყაზბეგმა კი ვრცელი ნაშრომი მიუღძვნა ოსმალოს საქართველოს შესწავლას. ერთი შეხედვით, ეთნოგრაფიული კვლევაა, თუმცა, მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციასაც შეიცავს. სამუსლიმანო საქართველოს საქართველოს შესწავლასა და მაჰმადიანი ქართველების ისტორიულ ფესვებთან დაბრუნების პროცესში მართლაც, რომ მთელი ქართული საზოგადოება იყო ჩართული. ამ კუთხით საინტერესოა რაფიელ ერისთავის ფონდში აღმოჩენილი წერილები ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებით.

სტატიის მიზანია რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებული ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე წარმოვაჩინოთ ქართულ საზოგადოებაში მაჰმადიანი ქართველების მიმართ განწყობა, რა ისტორიულმა მოვლენებმა შეუწყო ხელი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქართული მიწა-წყლის დაბრუნება, ქართველი ინტელიგენციის მიერ რა სტრატეგიული ნაბიჯები იქნა დასახული აჭარაში, ტაო-კლარჯეთსა და სამცხეში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველობის დედასამშობლოსთან დაახლოებასა და სახელმწიფოებრივი იდენტობის გაღვიძების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: *სამუსლიმანო საქართველო, ოსმალოს საქართველო, ოსმალეთი, მეფის რუსეთი, გაზეთი „კავკაზი“.*

Tea Meshvelishvili

PhD in History
The University of Georgia
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-5556-6970
t.meshvelishvili@ug.edu.ge

Raphiel Eristavi's Letters about Ottoman Georgia

In the 70s, the struggle towards awakening the national consciousness and self-awareness of the Georgian nation begins actively. In the years 1877-78 after the defeat of the Ottomans in the war between the Ottomans and Tsarist Russia, Adjara and Tao-Klarjeti were freed from Ottoman domination. There was hope in the Georgian society that the historical unity with Ottoman Georgia would be restored. For this, Georgian public figures spared no effort by publishing newspaper publications or active public activities on the spot to awaken national self-awareness among Georgians who had converted to Islam. Showing the necessity of unity in the process of joining Georgia became the central leitmotif in Georgian journalism, and unity was based on understanding the shared history and emphasizing the language as the central aspect of identity. Letters of Georgian writers and publicists were printed on the pages of the Iveria newspaper and the Times. In Georgia, liberated from the enemy, great importance was attached to the opening of schools and the return of Muslim Georgians to Georgian culture. In addition, it was essential to study the mood of the local population and gain their favor. In the same period, Georgia is being studied from an ethnographic point of view. Giorgi Kazbeg and Dimitri Bakradze traveled to Adjara and Tao in the 70s. They brought Ottoman documentation from the Istanbul archive, including the books of Batumi and Kars Sanjak. Giorgi Kazbeg devoted extensive work to the study of Ottoman Georgia. At first glance, it is ethnographic research. However, it also contains essential intelligence information. The entire Georgian society was involved in studying Georgia and returning Muslim Georgians to their historical roots. In this regard, the letters found in the Raphiel Eristavi Foundation regarding Ottoman Georgia are interesting.

The purpose of the article is to show the attitude towards Muslim Georgians in Georgian society based on the study of the Ottoman manuscripts related to Georgia preserved in the personal archive of Raphiel Eristavi, what historical events contributed to the return of the Georgian land and water under the Ottoman rule, What strategic steps have been taken by the Georgian intelligentsia in terms of bringing the Muslim Georgians living in Adjara, Tao-Klarjeti and Samtskhe closer to their motherland and awakening their state identity.

Keywords: *Muslim Georgia, Ottoman Georgia, Ottoman Empire, Tsarist Russia, "Kavkaz" newspaper.*

მაია მიქაბერიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
განყოფილების უფროსი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0008-3133-275X
miqaber@gmail.com

რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკა

რაფიელ ერისთავის შემოქმედების საინტერესო მიმართულებაა მისი წერილები, რომლებსაც წლების განმავლობაში აქვეყნებდა საქართველოს პრესაში. მისი ნაშრომები ყურადღებას იპყრობს თავისი თემატური მრავალფეროვნებითა და ანალიზის სიღრმით. რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენის პერიოდში საქართველოში ძირითადად რუსული პრესა გამოდიოდა და, შესაბამისად, მისი პირველი პუბლიკაციებიც რუსულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა.

გაზეთები «Кавказ», «Новое обозрение», ჟურნალები «Записки кавказского отдела русского географического общества [ЗКОРГО]», «Записки кавказского общества сельского хозяйства» ძირითადი პერიოდული გამოცემებია, რომლებშიც ქვეყნდებოდა რაფიელ ერისთავის სტატიები.

სამსახურებრივი მოვალეობის გამო რ. ერისთავს გარკვეული პერიოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უწევდა ცხოვრება. საკუთარი სამშობლოს შეცნობის ბუნებრივი სურვილი განაპირობებდა რ. ერისთავის მიერ ეთნოგრაფიული შინაარსის წერილების მთელლ სერიის შექმნას. მისი წერილები, ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, შეიცავდა საქართველოს სხვადასხვა მხარეების ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს.

რაფიელ ერისთავის ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს იმპერიის დედაქალაქში (მაგ. ნ. ჩერნიშევსკიმ). ნაშრომი „ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ“, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1855 წლის ლიტერატურულ ქმნილებთა შორის საუკეთესოდ მიიჩნია და გასცა რეკომენდაცია, რომ იგი იმპერატორისათვის გასაცნობ ნაშრომთა ხუთეულში შეეტანათ.

ეთნოგრაფიული შინაარსის გარდა, ასევე საყურადღებოა საქართველოს სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი მისი სტატიები. ამ თემისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას გამოხატავს ის ფაქტიც, რომ რ. ერისთავი გახდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრი და თავის მოსაზრებებს აქვეყნებდა ამავე საზოგადოების ჟურნალში. მისი სასოფლო-სამეურნეო თემისადმი მიძღვნილი წერილების ძირითადი საკითხებია: მეღვინეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა იგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციისა და ამ მხრივ ქართველი გლეხობის ეკონომიკური მომგებიანობის თემას.

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, რ. ერისთავმა აქტიურად დაიწყო მათთან თანამშრომლობა. ლიტერატურის ნიმუშების გარდა, რომლებიც გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ღირებულებებით და, რომლებმაც იმთავითვე დაიმსახურეს ქართველი ხალხის

ყურადღება და სიყვარული, რ. ერისთავი ქართულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს, რომლებიც შეეხებოდა ქართველი საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებს.

იგი საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე გახდა, იქნება ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა, საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის საკითხის გააქტიურება, ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის, ბოტანიკური ლექსიკონისა და სხვა, ქართული კულტურისათვის საყურადღებო საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა.

რაფიელ ერისთავის პუბლიცისტური წერილები თავისი თემატიკით, პრობლემის მოგვარების გზებით, გადმოცემული ინფორმაციის სისრულითა და აქტუალობით ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისობით გამოირჩევა და წარმოადგენს საქართველოს ღირებულ კულტურულ მემკვიდრეობას.

საკვანძო სიტყვები: *პუბლიცისტიკა, ეთნოგრაფია, ტერმოლოგია, ლექსიკოლოგია.*

Maia Mikaberidze

The National Parliamentary Library of Georgia
Head of Department
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0008-3133-275X
miqaber@gmail.com

Raphiel Eristavi's Opinion Journalism

Public letters, published continuously for years in Georgian press, is one of the remarkable aspects of Raphiel Eristavi's legacy. His works capture attention with their thematic diversity and depth of analysis. By the time of his debut in public life, the press in Georgia, was primarily Russian, hence his first publications were printed in Russian journals and newspapers.

Newspapers «Кавказ», «Новое обозрение», as well as journals «Записки кавказского отдела русского географического общества [ЗКОРГО]», «Записки кавказского общества сельского хозяйства» were the first periodicals to publish Eristavi's articles.

By dint of his working duties, for a time being, Raphiel Eristavi had to live in different regions of GeorgiaHis natural inclination to explore his homeland provided the basis for a series of his numerous ethnographic letters. Apart from ethnographical materials, Eristavi's letters also included various information of a Physical-geographic or economic-geographic nature.

Raphiel Eristavi's works were highly regarded in the capital of the Empire (notably by N. Chernyshevsky). His work "Records concerning oblast of Tush-Pshav-

Khevsur", was recognized by The Russian Academy of Science as the best among the literary works of 1855, and was recommended for inclusion among the 5 works to be presented to the emperor.

Since the 1850-s, as Georgian press was established, Raphiel Eristavi started actively working within Georgian Press. Apart from literary work, which distinguished by its high artistic value, and which immediately acquired people's attention and affection, Raphiel Eristavi published letters in the Georgian press addressing relevant issues facing Georgian society.

Eristavi was also involved in almost every significant event in the socio-cultural life of Georgia. One can name his contribution towards 'The Society for the Spreading of Literacy among Georgians", as well as the actualization of important topics for Georgian culture and society, such as the social condition of Georgia's population, mathematical terminology in the Georgian language, and a Georgian botanical dictionary, among others.

Raphiel Eristavi's Opinion Journalism stands out for its thematic significance, means of problem-solving, completeness and relevance, for relevance to the demands of the era, and represents Georgia's valuable cultural heritage.

Keywords: *publicism, ethnography, terminology, lexicology, Raphiel Eristavi*.

მერაბ მიქელაძე

ანთროპოლოგიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
მკვლევარი
თბილისი, საქართველო

ღვინო – ქართული იდენტობის სიმბოლო

საკონფერენციო მოხსენების სათაური „ღვინო – ქართული იდენტობის სიმბოლო“ წარმოაჩენს ვაზსა და ღვინოსთან დაკავშირებულ რელიგიურ კოდს, რომელიც ქართულმა ფოლკლორმა და რწმენა-წარმოდგენებმა შემოგვინახა.

მოხსენება დაყოფილია 6 ნაწილად და ის შემდეგ საკითხებს აერთიანებს: 1. *ქვევრი – მატრიცა*, რომელიც აღწერს ამ უძველესი და ეროვნული საღვინე ჭურჭლის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებას. 2. *ღვინო – მზის ნაყური* – ეხება მზის უძველესსა და ცხოველმყოფელ კულტს, რომელიც ოდითგანვე გადაწნულია ვაზისა და ღვინის კულტთან. 3. *ვაზი – ხე სიცოცხლისა*. მოხსენების ამ ნაწილში ვაზი წარმოჩენილია როგორც ქართველთავის სიცოცხლის სამოთხეული ხის თვალსაჩინო გამოვლინება, რომლის ნაყოფსაც მაცოცხლებელი და მაცხონებელი ძალა აქვს. ამის დასტურია წმინდა ნინოს მიერ ვაზის ჯვრით საქართველოს გაქრისტიანებაც. 4. *ქართული მარანი – სამოთხის მიწიერი ხატება*. ქართული ცნობიერებით, მარანი, როგორც სიწმინდე, ეკლესიასაც ედარებოდა და მასში არაერთი მნიშვნელოვანი რიტუალი აღესრულებოდა (მაგ. ჯვრისწერა); ამასთან, მარანი ის ადგილია, სადაც ქართული ფოლკლორით ვაზი, საკრალურ ალვის ხედ ამოდის, ხოლო მის ტოტზე ბულბული გალობს. ქართულ მარანში *სიცოცხლის ხედ* შერაცხული დედაბოძის არსებობაც მის საკრალურობას კიდევ ერთხელ მიანიშნებს. 5. *დიონისე და ღვინის მფარველები*. მოხსენების ამ ნაწილში განხილულია ის ანთროპომორფული ღვთაებები, რომლებიც ვაზისა და ღვინის კულტთან არიან დაკავშირებულნი. ქართულ რეალობაში ასეთია – ღვთაება აგუნა. ღვთაება დიონისეს მცირეაზიურ კულტთან ერთად, აქვე განხილულია არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე პლასტიკა, რომელიც თავისი ატრიბუტიკითა და ფორმით, ღვინის ღვთაებებად აღიქმებიან. 6. *პურ-ღვინო, საფერხულო ქორბელელა და მრავალჟამიერი*. მოხსენების ამ დასკვნით ნაწილში გამოკვეთილია ქართულ ყოფაში, ნეოლითიდან მოყოლებული ორი უმნიშვნელოვანესი კულტურის: ხორბლისა და ღვინის მჭიდრო რელიგიური კავშირი და რიტუალში მათი საკრალური ერთობა. აქვე განხილულია საფერხულო ქორბელელას რელიგიური საზრისი, რომელიც ხორბლის მოსავლის მოთხოვნასთან ერთად, ღვთის კარზე რგული ვაზის, ვითარცა *სიცოცხლის ხის* სადიდებელიცაა.

საკვანძო სიტყვები: *ღვინო, იდენტობის სიმბოლო, ქართული იდენტობის სიმბოლო, ქართული მარანი, ქვევრი*

Merab Mikeladze

PhD in Anthropology
National Museum of Georgia
Researcher
Tbilisi, Georgia

Wine – the Symbol of Georgian Identity

The title of the conference presentation is "Wine – The Symbol of Georgian Identity," which presents the religious code associated with vines and wine preserved in Georgian folklore and beliefs. The presentation is divided into six parts and covers the following topics:

Kvevri – The Matrix: This section describes the relationship between the form and content of this ancient and national wine vessel.

Wine – The Sun's Essence: This part refers to the ancient and life-giving sun cult that has always been intertwined with the culture of vines and wine.

Vine – The Tree of Life: In this section, the vine is depicted as a prominent manifestation of the tree of life in Georgian life, whose fruit has revitalizing and redemptive power. Evidence of this is seen in Saint Nino's Christianization of Georgia through the vine cross.

Georgian Marani – The Earthly Image of Paradise: in Georgian consciousness, the Marani (wine cellar) is considered a sacred place, akin to a church, where numerous significant rituals were performed (e.g., wedding ceremonies). Furthermore, the marani is where, through Georgian folklore, the vine emerges as a sacred entity, and the nightingale sings on its branches. The presence of the mother post, regarded as the essence of life, further indicates its sacredness.

Dionysus and the Guardians of Wine: This part discusses the anthropomorphic deities associated with the culture of vines and wine. In the Georgian context, one such deity is the god Aguna. Alongside the Anatolian cult of Dionysus, it also examines small bronze artifacts discovered in archaeological excavations, which are perceived as representations of wine deities based on their attributes and forms.

Bread-Wine, the Ritual of Korbegela, and Multitudinous Celebrations: This concluding part highlights the close religious connection between two crucial cultures in Georgian life – wheat and wine – since the Neolithic period and their sacred unity in rituals. It also discusses the religious significance of the Korbegela ritual, which, alongside the wheat harvest, symbolizes the vine as the Tree of Life honored at God's altar.

Keywords: *wine, wine as a symbo of identity, a symbo of identity Georgian identity, Georgian Marani, Qvevri*

ასმათ ოქროპირიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/ 0009-0004-9409-5043
asineti15@gmail.com

რაფიელ ერისთავის პოეზიის მიმართებისათვის ქართული კულტურის პარადიგმასთან

რაფიელ ერისთავის ამოუწურავი სულიერი მემკვიდრეობა კვლავაც ახალი სიღრმეებით იხსნება და ქართული კულტურის პარადიგმასთან ძირეულ კავშირს წარმოაჩენს.

უფლის განგებულებით გზა ედემის სიცოცხლის ხიდან გოლგოთამდე შესაქმნიდანვე დაისახა საქართველოს სულიერი მყოფობის მთავარ საზრისად. ევრაზიის კონტინენტის ცენტრში მდებარე ქვეყნის გულში, უფლის კვართზე აღიმართა ცხოველმყოფელი სვეტი, რომლის წვეროც ცას სწვდება. სახეობრივი კავშირი ედემის ბაღსა და გოლგოთას შორის არქეოლოგიური მასალის მოწმობით, იმთავითვე გაცხადდა ვაზისა და ხორბლის ოდინდელი მყოფობით მიწათმოქმედების ამ უძველეს სამშობლოში. ვაზი და ხორბალი, როგორც მცენარეები – სიცოცხლის ხის „მემკვიდრეები“ არიან, რომლთაც იმთავითვე უფლისგან დაევალათ გოლგოთის მხსნელი მსხვერპლის – სისხლისა და ხორცის ტვირთვა.

სწორედ ამ კონტექსტში რაფიელის პოეზია ქრთული კულტურის პარადიგმასთან მინიმალისტურ, მაგრამ დიდი სიღრმის მქონე კავშირს ავლენს.

ამ მიზნით მოხსენებაში განხილული იქნება რამდენიმე ლექსი და მათი საკვანძო სიტყვების სემანტიკა: „პურის მოსავალი“ (რომელსაც აკაკი წერეთელმა ქართული მწერლობის ობოლი მარგალიტი უწოდა) – სიტყვები – „პური“, „ღელვა“, „ბზინვა“, „ოქროსფერი“, „უფლის თვალი“, „მევენახის სიმღერა“ – „უფლისგან კურთხეული“, „წითელი ღვინის დედა“, „გახარებული გულისა“, „შენით ვარ მხნე და გულადი“, „შენი ზედაშის მადლს ვლოცავ“, „სესიას ფიქრები“ – „მიწა ვარ ნიადაგ მენა“, „მიწაა ჩემი დედ-მამა, ჩემი ძმა, ჩემი დობილი“, „სამშობლო ხევსურისა“ – „სალი კლდე“, „უკვდავების ხე“, „სხვა ქვეყნის სამოთხე“.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, არქიტექტურა, ტაძარი, ხელოვნება.*

Asmat Okropiridze

PhD in Art History
The G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History
and Heritage Preservation
Chief Research Fellow
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-9409-5043
asineti15@gmail.com

On the Relationship of Raphael Eristavi's Poetry with the Paradigm of Georgian Culture

Raphael Eristavi's inexhaustible spiritual heritage continues to reveal new depths, highlighting its profound connection with the paradigm of Georgian culture. By divine providence, the path from the Tree of Life in Eden to Golgotha was established from the very beginning as the central meaning of Georgia's spiritual existence. In the heart of the country located at the center of the Eurasian continent, the life-giving pillar was raised on the Lord's tunic, with its peak reaching the heavens. The symbolic connection between the Garden of Eden and Golgotha, as evidenced by archaeological materials, was revealed from the outset through the ancient presence of vines and wheat in this ancient homeland of agriculture. The vine and wheat, as plants, are the "heirs" of the Tree of Life, entrusted by the Lord from the very beginning to carry the salvific sacrifice of Golgotha – the blood and body. In this context, Raphael's poetry reveals a minimalist yet profound connection with the paradigm of Georgian culture. In this presentation, several poems and the semantics of their keywords will be discussed: *"The Harvest of Bread"* (which Akaki Tsereteli called the orphaned pearl of Georgian literature) – words such as "bread," "stream," "shining," "golden," "the Lord's eye"; *"The Song of the Vinedresser"* – "blessed by the Lord," "mother of red wine," "with a joyful heart," "I am strong and brave through you," "I bless the grace of your Zedashe"; *"The Thoughts of Sessia"* – "I am the soil of the land," "the earth is my mother and father, my brother, my sister"; *"The Homeland of the Khevsur"* – "rocky cliff," "tree of immortality," "the paradise of another country."

Keywords: *Raphiel Eristavi, Architecture, church, art.*

ნინო პოპიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიწვეული ლექტორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0001-9182-20-66
nino.popiashvili@tsu.ge

რაფიელ ერისთავის შემოქმედება გერმანულ ენაზე

ქართველი პოეტის, პუბლიცისტის, რაფიელ ერისთავის შემოქმედება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისათვის. აღსანიშნავია, რომ მისი შემოქმედება თარგმნილი და გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე პოეტის სიცოცხლეშივე.

1887 წელს გამოიცა გერმანელი მწერლის, მთარგმნელის, გამომცემლის, არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი კრებული „ქართველი პოეტები“ (Leist, Arthur, *Georgische Dichter*, Leipzig, 1887). ეს არის ქართული პოეზიის პირველი ანთოლოგია გერმანულ ენაზე, რომელშიც 32 ხალხური ლექსი და თერთმეტი ავტორის 89 ლექსია შესული, მათ შორის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის და სხვათა ლექსები. ამ ანთოლოგიამ დიდი წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ არტურ ლაისტმა 1900 წელს ანთოლოგიის განმეორებითი, შევსებული გამოცემაც მოამზადა და დაბეჭდა ლაიფციგში.

ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, რომელიც 2015 წელს გამოიცა, შემდგენლები და გამომცემლები გერტ რობერტ გრიუნერტი და ნინო პოპიაშვილი (Gert Robert Grünert, Nino Popiaschwili (Hgs), „*Anthologie goergischer Lyrik “Ich aber will dem Kaukasos Zu”*, Pop Verlag Ludwigsburg“, 2015), შეტანილია რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“.

მოხსენებაში ვისაუბრებთ რაფიელ ერისთავის შემოქმედების გერმანულენოვან თარგმანებზე, ყურადღებას მივაქცეთ არტურ ლაისტის ნაშრომებში რაფიელ ერისთავის შესახებ არსებულ ცნობებს, ასევე, გერმანულად თარგმნილი ლექსების თარგმანმცოდნეობით საკითხებს.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, არტურ ლაისტი, ანთოლოგია.*

Nino Popiashvili

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Visiting Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0001-9182-20-66
nino.popiashvili@tsu.ge

Raphiel Eristavi's work in German

The work of the Georgian poet, publicist, Raphiel Eristavi, is important for Georgian literature in many ways. It is worth noting that his works were translated and published in German during the poet's lifetime.

In 1887, a collection translated by the German writer, translator, publisher, Arthur Leist, "Georgian Poets" was published. (Leist, Arthur, *Georgische Dichter*, Leipzig, 1887). This is the first anthology of Georgian poetry in the German language, which includes 32 folk poems and 89 poems by eleven authors, including poems by Grigol Orbeliani, Aleksandre Chavchavadze, Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, Raphael Eristavi and others. This anthology made a great contribution to Georgian-German literary relations. It should be noted that in 1900, Arthur Leist prepared and printed a repeated, completed edition of the anthology in Leipzig.

In the anthology of Georgian poetry, which was published in 2015, compilers and publishers: Gert Robert Grünert and Nino Popiaschwili (Gert Robert Grünert, Nino Popiaschwili (Hgs), "Anthologie goergischer Lyrik "Ich aber will dem Kaukasos Zu", Pop Verlag Ludwigsburg", 2015), Raphael Eristavi's "Motherland of Khevsuri" is included.

In the paper, we will talk about the German translations of Raphael Eristavi's works, we will pay attention to the information about Raphael Eristavi in the works of Arthur Leist, as well as the translation issues of the poems translated into German.

Keywords: *Raphiel Eristavi, Arthur Leist, anthology.*

თეონა რუხაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
teorukhadze@gmail.com

რაფიელ ერისთავი და ქართული ტრადიციული მუსიკა

2014 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა უნიკალური აუდიოალბომი, რომელიც 1916–1918 წლებში, პრუსიის ფონოგრაფიული კომისიის წევრების მიერ, ავსტრიისა და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში მოხვედრილი ქართველი ჯარისკაცებისაგან, ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილ სიმღერებს აერთიანებს. ერთ-ერთ სიმღერას ქართველი ტყვეები იწყებენ სიტყვებით — „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“.

რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფი და გერმანიის ტყვეობაში ჩავარდნილი ქართველი მეომრების მიერ სიმღერით ნათქვამი რაფიელ ერისთავის ეს ლექსი, ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან რაფიელ ერისთავის კავშირი, არ შემოიფარგლება მისი ზოგიერთი ლექსის ქართულ ტრადიციულ ჰანგებზე დამღერებითა და გახალხურებით. საქართველოს ღირსეული შვილისა და მოამაგის მოღვაწეობა ქვეყანაში ფოლკლორისადმი ინტერესის გაღვივების წლებს დაემთხვა. მან წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ეთნოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების, არამედ ტრადიციული მუსიკის კვლევაშიც და დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები და მოსაზრებები ქართული საეკლესიო გალობის, ხალხური სიმღერისა და ქალაქური ფოლკლორის შესახებ.

პუბლიკაციაში, რაფიელ ერისთავის ფოლკლორისტული შეხედულებების განხილვასთან ერთად, გაანალიზებულია მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე — XIX საუკუნის ბოლო წლების თბილისის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული თარიღი. ქართულ პრესასა და მემუარულ ლიტერატურაში აღწერილი ეს ღონისძიება, ძვირფასი დოკუმენტური მასალაა. იგი წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საქართველოში ტრადიციული მუსიკის — ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი სიმბოლოს როლსა და მნიშვნელობაზე.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, ქართული ტრადიციული მუსიკა, ხალხური სიმღერა, ფოლკლორი*

Teona Rukhadze

PhD in Art History
Giorgi Mtatsmindeli University of Chant
Associate Professor
Tbilisi, Georgia
teorukhadze@gmail.com

Rapiel Eristavi and traditional Georgian music

In 2014, the Tbilisi State Conservatory released a unique audio album featuring songs recorded on wax cylinders by members of the Prussian Phonographic Commission from 1916-1918. These songs were sung by Georgian soldiers held in Austrian and German prisoner-of-war camps. Georgian prisoners begin one of the songs with the words "Where I was born and raised".

This poem by Raphiel Eristavi, sung by Georgian soldiers serving the Russian Empire and captured by the Germans, takes on special significance in the historical and political context.

Rapiel Eristavi's connection with traditional Georgian music is not limited to setting some of his poems to traditional Georgian melodies and turning them into folklore. The work of this esteemed figure and servant of Georgia coincided with a period of burgeoning interest in folklore within the country. He contributed not only to the study of ethnography and verbal folklore but also to the study of traditional music. Eristavi left us remarkable accounts and insights on Georgian church and folk singing traditions as well as urban folklore.

In addition to discussing the folkloristic views of Rapiel Eristavi, the article also analyzes the 50th anniversary of his contributions — one of the notable events in the cultural life of Tbilisi in the final years of the 19th century. This event, documented in the Georgian press and in memoirs, serves as valuable primary material. It provides insight into the role and significance of traditional music — one of the symbols of Georgian national identity — during that period.

Keywords: *Raphiel Eristavi, traditional Georgian music, folk song, Folklore*

მანანა სანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი,
ინსტიტუტის დირექტორი
თბილისი, საქართველო
m.sanadze@ug.edu.ge

პიტიახში, პატრიკიოსი და კურაპალატი ქართულ წყაროებში

ჯუანშერისეულ ქართველთა ცხოვრების „პიტიახშს“ ლეონტი მროველი თით-ქმის ყველგან (იშვიათი გამონაკლისის გარდა) „ერისთავით“ ანაცვლებს. ამას, სავარა-უდოდ, მისი თანამედროვე მკითხველისათვის ტექსტის გაგების გაიოლებისათვის აკეთებს.

მიუხედავად ტერმინი „პიტიახშის“ „ერისთავით“ ჩანაცვლებისა, ის მონაკვე-თები, სადაც ავტორს ეს ჩანაცვლება გამორჩა აჩვენებს, რომ ქართლის სამეფოში ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის ხანაში პიტიახში და არა ერისთავი განაგებდა ქართლის სამეფოს რეგიონებს.

პატრიკიოსი ქართველთა ცხოვრებაში და სხვა ქართულ ნარატიულ ძეგლებში, იშვიათ გა- მონაკლისს გარდა, როგორც წესი, ერისთავად, ერისთავთა მთავრად, ერისმთავრად ან ერისთავთ–ერისთავად ითარგმნება; პირველი პატრიკიოსი ქართულ სივრცეში იყო ვახტანგ გორგასლის უმცროსი ვაჟი, მირი – მირდატი, რომელიც ქართლის სამეფოს სამ სამხრეთ-დასავლეთ საერისთავოს (საპიტიახშოს) განაგებდა და ერისთავთა მთავრად (ქართულ თარგმანში), ანუ პატრიკიოსად იწოდებოდა.

კურაპალატი ქართულ წყაროებში არასოდეს ითარგმნება – არც სხვა თხზულე-ბებში და არც ქართველთა ცხოვრებაში. პირველი კურაპალატი ქართულ სივრცეში აშოტ II ბაგრატუნია (780-იანის ბოლო – 830). ქართველ ბაგრატუნთა ამ საგვარე-ულოს დამფუძნებელი არის გუარამ „კურაპალატის“ (სინამდვილეში პატრიკიოსის) ასული ლატავრი, ამას მოქცევაჲ ქართლისაჲს სინური ხელნაწერის მინაწერიც მოწ-მობს, სადაც ის ამ საგვარეულოს დამფუძნებელად გვევლინება და „დედაჲ კურაპა-ლატთაჲდ“ იწოდება. გუარამ I-ს, გუარამ II-ს, არშუშას და ადარნასე II-ს (აბო ტფილელის ხანის ნერსე ერისმთავრის მამა) კურაპალატობა გვიან მიეწერათ, აშოტ კურაპალატის გაკურაპალატების შემდეგ, მისი და მისი მემკვიდრეების მიერ ამ ტიტულის ტარების ანალოგიით.

საკვანძო სიტყვები: *პიტიახში, ერისთავი, პატრიკიოსი, ერისმთავარი, კურაპალატი.*

ინგა სანიკიძე

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი საქართველო
https://orcid.org/0009-0004-8031-9528
inga.sanikidze@tsu.ge

რაფიელ ერისთავის მხატვრული ენის ესთეტიკა

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკმაოდ გრძელ გზაზე საეტაპო მნიშვნელობას იძენს XIX საუკუნის მეორე ნახევარი, დრო ქართული აზროვნებისა, როდესაც ცოცხალი მეტყველება თუ მისი ცალკეული ელემენტები გამორჩეული სიცხადით იჭრება სალიტერატურო ენაში და ჩვენ წინაშე სრულიად ახლებურად გააზრებული, თავისთავადი ბუნების მქონე ესთეტიკური პლასტი იშლება. რაფიელ ერისთავის, როგორც კლასიკოსი მწერლისა და მრავალმხრივი მოღვაწის, ენობრივი სამყარო თავისი შიდაარსით 60-იანელთა მსოფლმხედველობის განუყრელი ნაწილია, თუმცა მას ინდივიდუალურობის ის სიღრმე და სტილური ელფერი დაჰკრავს, რომელიც საკუთრივ მისეულია და მის ნაწერებს ვერასდროს მივაკუთნებთ რომელიმე სხვა 60-იანელ შემოქმედს.

შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების იმგვარი დაახლოება, როგორსაც რ. ერისთავის თხზულებებში (იგავებში, მოსწრებულ სიტყა-პასუხებში, გამოცანებში, ვოდევილებსა თუ სხვა ნაშრომებში) ვხვდებით, თავისი ფორმა-შინაარით მართლაც უნიკალურია, უნიკალურობის საფუძველს კი სალიტერატურო ენის კონსერვატიულ ესთეტიკურ ფორმაზე უარის თქმა და ლიტერატურაში ცოცხალი მეტყველების დამკვიდრება ქმნის. რ. ერისთავის ენაში საერთო სახალხო აზრიცა (ანდაზები, გამოცანები) და თავად ცოცხალი მეტყველებაც ესთეტიკური განცდის ობიექტი ხდება. თვალნათლივ ჩანს, რომ მწერლის შემოქმედების არსებითი წყარო ხალხია და ამავე ხალხის ეთნოკულტურული ღირებულებები, ხოლო ამ ღირებულებებთან გრძნობადი კონტაქტი უშუალო კომუნიკაციით მყარდება. ამ შემთხვევაში მწერალს კომუნიკაციის გამტარის ფუნქცია ენიჭება. ცოცხალი მეტყველების „არაცოცხალ მეტყველებად“ გარდაქმნა მნიშვნელოვანი გადახვევა იქნებოდა მსოფლმხედველობრივი მაგისტრალიდან, სწორედ ამიტომაა რ. ერისთავის მიერ შემეცნებული ობიექტები (მაგ., იგავ-არაკთა პერსონაჟები) უბრალოების ესთეტიკით იმოსებიან და ასე იძენენ სიცოცხლისუნარიანობას. ენობრივი სისადავე თუ „სიმარტივე“ მწერლის წარმოსახვითი საგნების გააზრების საშუალებას აძლევს მკითხველს და, რადგან მხატვრული ჭვრეტა, თავის მხრივ, ცნობიერების ინდივიდუალურ მობილიზაციას ემყარება, ხოლო განჭვრეტის აქტი ესთეტიკურ ემოციებზეა დამყარებული, ენობრივი კულტურა, მისი ინდივიდუალური ფორმები სარკისებრი ანარეკლის ხასიათს იღებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რ. ერისთავის მხატვრულ სიტყვაში ყველაფერი გამოითქმის ისე, როგორც ეს ცოცხალ, ხალხურ მეტყველებაში გამოითქმება, ხელოვნურობისა და ტრადიციული „სამშვენი-

სების“ გარეშე. რ. ერისთავისათვის საზოგადოებრივი აზრის სიმყარე ეროვნული საფუძვლებით განიზომება, ქართული კულტურის ხანგრძლივობით, ამიტომაცაა რომ მის დანატოვარში განსაკუთრებული ადგილი უკავია ანდაზებს, გამოცანებს, იგავ-არაკებს, თქმულებებს, ანუ, ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, საერთო სახალხო სიბრძნეს.

რ. ერისთავის ენაში თითოეული მხატვრული გამოსახულება ესთეტიკური ობიექტის მატარებელი ვერბალური ნიშანია, რომელიც საერთო სახალხო ენის მოცემულობებიდანაა შერჩეული. იგავებისა თუ გამოცანების კითხვისას თვალნათლივ ცხადდება მათი წარმომავლობა, გენეტიკური ტიპი და მენტალური წახნაგები. ტექსტების გააზრებისას მკითხველი იმ ინფორმაციულ სიბრტყეზე გადადის, სადაც ენის ესთეტიკური შენობა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული მახასიათებლებით იგება (მაგ.: „ქათმით გამოძღა მელია / და მოიღერა ყელია“ [იგავი „მგელი და მელა“]; ან: „რა კარგი რამ ხარ, ჩემო დაიავ!/ შენ გენაცვალოს ჩემი თავია“ [იგავი: „ყვავი და მელა“].

ის ფაქტი, რომ რ. ერისთავი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად დედაენის არსის გააზრებასა (ლექსი „დედა ენა“ – „რომელი როგორ ხმარობს ენასა... გამგებელია ამისი ზენა“) თუ მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომას (რ. ერისთავის ხელნაწერი – „პროგრამა ლექციებისა ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ“), თვალნათლივ აჩვენებს მისი შემოქმედებითი ენის კონცეპტუალურ წესრიგს, რომელიც მას საკუთარ მხატვრულ სამყაროში გააზრებულად შემოაქვს და ინდივიდუალობას ენობრივ თავისუფლებაში ავლენს.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავის თხზულებები, მხატვრული ტექსტი, ენის ესთეტიკა.*

Inga Sanikidze

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-8031-9528
inga.sanikidze@tsu.ge

Aesthetics of Raphiel Eristavi's Artistic Language

It must be said without any exaggeration that the second half of the 19th century, the time of Georgian creative thinking, when living speech or its separate elements penetrate the literary language with exceptional clarity and an aesthetic "valley" of its nature unfolds in front of us in a completely new way. As a classic writer and versatile figure, the linguistic world of Rafiel Eristavi is an inseparable part of the worldview of the 1960s; however, it has the depth and style of individuality of his own and his writings can never be attributed to any other creator of the 60s.

It can be said that such rapprochement of literary language and living speech, as in Rafiel Eristavi's writings (parables, riddles, vaudevilles, and other works), is truly unique in its form and content and the basis of uniqueness is the rejection of the conservative aesthetic form of the literary language and the establishment of lively speech in literature. In R. Eristavi's language, both the general public opinion (proverbs, riddles) and the living speech itself become the object of aesthetic feeling. It is clear that the essential source of the writer's creativity is the people and the ethnic and cultural values of the same people; and the emotional contact with these values is established through direct communication. In this case, the writer is given the function of a communication channel. Transforming living speech into "non-living speech" would be a significant deviation from the ideological path, which is why R. Eristavi recognized objects (for example, characters in fables) are imbued with the aesthetics of simplicity and thus gain vitality.

Linguistic modesty or "simplicity" allows the reader to understand the writer's imaginary objects and since creative contemplation, in turn, is based on the individual mobilization of consciousness and the act of contemplation is based on aesthetic emotions, linguistic culture, its forms, turn into "mirror reflection". In other words, in R. Eristavi's fiction speech, everything is pronounced as it is in living, folk speech, without artificiality and traditional "decorations". For R. Eristavi, the solidity of public opinion is measured by national foundations, by the longevity of

Georgian culture; that is why proverbs, riddles, fables, sayings occupy a special place in his legacy, that is, to put it in a couple of words - common people's wisdom.

Each fiction image in R. Eristavi's language is a verbal sign carrying an aesthetic object, which is selected from the conditions of the common folk language. When reading parables or riddles, their origin, genetic type and mental characteristics are clearly revealed. When understanding the texts, the reader moves to the information plane, where the aesthetic structure of the language is understood by the lexical-grammatical features characteristic of living speech (for example: "The fox ate the chicken / and sand in joy " [Fable - "The Wolf and the Fox"]; or: "What a good thing you are, My Sister! / You are the best in my life [Fable - "The Crow and the Fox".

The fact that Eristavi gave special importance to the understanding of the essence of the mother tongue itself (the poem "Mother Tongue" - "How does one use the language... is decided by the Lord ") or to access the depths of the native language (manuscript of R. Eristavi - "Program of lectures on Georgian language and literature"), clearly shows the conceptual order of his creative language, which he thoughtfully brings into his creative world and reveals his individuality through linguistic freedom.

Keywords: *Raphiel Eristavi's writings, artistic text, language aesthetics.*

რუსუდან საღინაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი
ქუთაისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0001-9230-0243
r_saginadze@yahoo.com

რაფიელ ერისთავის იმერეთში მოღვაწეობის ქრონიკები

რაფიელ ერისთავი ცნობილია როგორც მრავალმხრივი მოღვაწე. ის იყო, ერთი მხრივ, სახელმწიფო მოხელე და, მეორე მხრივ, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, ეთნოლოგი, ცენზორი... ასეთად დარჩა რაფიელ ერისთავი სიცოცხლის ბოლომდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. ერისთავის ღვაწლი ქართული ენის დაცვასა და განვითარებაში, მისი ნაშრომები ლექსიკოლოგიასა და ტერმინოლოგიაში, რამდენიმე ლექსიკონი როგორც ტერმინოლოგიური, ისე განმარტებითი ხასიათისა (რამდენიმეენოვანი), ლექციები ქართულ ენაზე „ქართულის ენის დაარსებასა და წარმატებაზედ“ („დროება“, 1882, 26 თებ., N42), აგრეთვე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში... მის მიერ გამოცემული „მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა...“ (ტფ., 1880).

„თ. რაფიელის ნაწერებს აქვთ ოთხი დიდი ღირსება: ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო“, – ასე შეაფასა რ. ერისთავის ნაშრომები ი. გოგებაშვილმა, რომელიც ყოველთვის წარმოაჩენდა მის პიროვნულ ღირსებებსა და შემოქმედებით მიღწევებს („ივერია“, 1881, N12).

სახელმწიფო სამსახურში სამოხელეო საქმიანობამ რაფიელ ერისთავს მისცა შესაძლებლობა, ახლოს გასცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს: თიანეთს, იმერეთს, სამეგრელოს... ეს კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მოღვაწის შემოქმედებითსა და სამეცნიერო კვლევაძიების ნიჭსა და უნარს. ამ მხრივ განსაკუთრებულია იმერეთში, კერძოდ, ქუთაისში, გატარებული წლები.

როგორც ცნობილია, რ. ერისთავს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან (უმცროს თაობასთან): ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან... სწორედ ისინი იყვნენ მისი პირუთვნელი შემფასებლებიც, რაც კარგად ჩანს მათ პუბლიკაციებში, პირად წერილებში.

ნაშრომში რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა გაანალიზებული იქნება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული საარქივო მასალების, აგრეთვე, სხვა დოკუმენტებისა თუ პუბლიკაციების მონაცემების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *მოღვაწე, სახელმწიფო სამსახური, შემოქმედება, საარქივო მასალა, პოეზია.*

Rusudan Saginadze

PhD in Philology
Akaki Tsereteli State University
Professor
Kutaisi, Georgia
https://orcid.org/0000-0001-9230-0243
r_saginadze@yahoo.com

Chronicles of Raphiel Eristavi's Work in Imereti

Raphiel Eristavi is known as a multifaceted figure: on the one hand, a state official and, on the other hand, a writer, playwright, publicist, lexicographer, ethnologist, censor, etc.

R. Eristavi's contribution to the protection and development of the Georgian language is especially noteworthy, his works in lexicology and terminology, several dictionaries of both terminological and explanatory nature (multilingual), lectures in Georgian "for the establishment and success of the Georgian language" ("Droeba", 1882, Feb. 26, N42), also, in the Georgian language and literature... ". A short scheme of the first part of grammar..." published by him (Tf., 1880).

"Raphiel's writings have four great virtues: originality, the seal of the vitality of Georgian, the pure Georgian language, and the corresponding dialect", – this is how R. Eristavi's works were evaluated by I. Gogebashvili, who always presented his personal virtues and creative achievements ("Iveria", 1881, N12). The official activity in the state service allowed Raphael Eristavi to get to know different corners of Georgia: Tianeti, Imereti, Samegrelo... This strengthened the creative and scientific research talent and ability of a figure who was imbued with the national spirit. In this regard, the years spent in Imereti, in particular, in Kutaisi, are special.

As it is known, R. Eristavi had a close relationship with famous figures (of the younger generation): Ilia Chavachavadze, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze, Iakob Gogebashvili... They were his evaluators, which is visible in their publications, personal letters.

In the research paper, the work of Raphiel Eristavi will be analyzed according to the archival materials and other documents or publications kept at Kutaisi State Historical Museum and Kutaisi Central Archive.

Keywords: *figure, state service, work, archival material, poetry.*

ნატო სონღულაშვილი

ისტორიის დოქტორი
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-0731-3873
nato.songuli@yahoo.com

რაფიელ ერისთავი და ქართული საგანმანათლებლო სფერო (XIX საუკუნის II ნახევარი)

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 1. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაელახა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო. 2. მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული კულტურული ელიტის ნაწილი ცდილობს ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას.

ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

სწორედ აღნიშნული პრიოდის წარმომადგენელია რაფიელ ერისთავი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით სხვადასხვა სფეროში დიდი წვლილი შეიტანა ქართული, ეროვნული იდეის ფორმირებაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რომელიც ეპოქის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა და რაფიელ ერისთავი, როგორც ქართული კულტურული ელიტის წარმომადგენელი დიდ გავლენას ახდენდა ამ სფეროზე.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, განათლება, პროლეტარიატი, ბურჟუაზია.*

Nato Songulashvili

PhD in History
TSU Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-0731-3873
nato.songuli@yahoo.com

Raphiel Eristavi and the Georgian Educational Field (Second half of the 19th century)

From the second half of the XIX century, Georgia faced new challenges. On the one hand, it had to overcome the problems that arose from the collapse of the feudal system and establish itself in a new socio-economic environment and, most importantly, continue to fight for state independence of Georgia differently: to apply knowledge, education, self-discipline instead of armed demonstrations. Its demand had to be appropriate to the interests and capabilities of Georgia and the epoch. 2. On the other hand, this was the period when a part of the Georgian cultural elite tried to propagate nationalism, raise knowledge, get acquainted with the history of the country in wider layers of the society, idealize the past, awaken the awareness of the protection of national values.

The removal of serfdom significantly changed the political, social, and economic system. New demands and challenges have emerged in the new environment. Not only the proletariat and the bourgeoisie but the whole society underwent fundamental transformations. Especially since the national liberation movement in Europe in the XIX century was quite strong, which led to the formation of nation-states. Georgia perceived these changes differently. As an occupied part of the Russian Empire, it was naturally influenced by the ongoing events there. While the process of nation-building was underway in Europe, Georgia was looking for new ways to fight for freedom. The Georgian cultural and political elite, via raising public awareness, tried to create a common Georgian space and involve all social strata equally in the struggle for independence.

The representative of this period was Raphiel Eristavi, who made a great contribution to the formation of the Georgian national idea through his activities in various fields. Among them, a special place is occupied by his educational work, which was one of the main challenges of the era, and Raphiel Eristavi, as a representative of the Georgian cultural elite, had a great influence on this work.

Keywords: *Raphiel Eristavi, Education, the proletariat, the bourgeoisie.*

ნესტან სულავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწვეული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-7808-8722
nestan.sulava@tsu.ge

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა და რაფიელ ერისთავი

„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემა, ისევე როგორც 1712 წლის ვახტანგ მეექვსისეული და 1841 წლის ბროსე-ჩუბინაშვილი-ფალავანდიშვილისეული გამოცემები, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული კრიტიკულად დადგენილი ტექსტია. თითოეული კომისიის მუშაობის სტილი და მეთოდი იმ ეპოქის მოთხოვნებს, მეცნიერულ დონეს, კერძოდ, ტექსტოლოგიური მეცნიერების მუშაობის სტილსა და დონეს შეესაბამებოდა, რომელშიც თითოეული მათგანი დადგინდა და მომზადდა გამოსაცემად. შოთა რუსთველის პოემის ტექსტის დასადგენად XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, 1880 წელს, შეიქმნა კომისია, რომლის წევრები, პოემის სხვადასხვა ხელნაწერთა და რედაქციების შედარების საფუძველზე, შეეცადნენ რუსთველისეული ტექსტის აღდგენას. სამუშაოს შესასრულებლად შეიქმნა ქართველი მწერლებისა და მეცნიერებისაგან შემდეგნილი ავტორიტეტული და კომპეტენტური კომისია, რომლებიც შემფერხებელი პრობლემების არსებობის მიუხედავად, – უმთავრესი პრობლემა ხელნაწერთა საკმარისი რაოდენობით უქონლობა იყო, – მაინც ინტენსიურად იკრიბებოდნენ.

წერილობითი და ზეპირი წყაროები მოწმობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებაზე მუშაობისა და გამოცემის ინიციატორები იყვნენ რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია, რომელთაც გამოცემის მიზნად დასახეს ახალი რედაქციის ტექსტის დადგენა ნაბეჭდი ტექსტისა და ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე. 1880 წლის 15 ნოემბერს გაზეთ „დროების“ 241-ე ნომერში გამოქვეყნებულ რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მეუნარგიას პირველ ერთობლივ საინფორმაციო წერილში ჩამოყალიბებული იყო მათი მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადების თაობაზე. მათ საგანგებოდ მოიხმეს ჰომეროსის თხზულებებზე მუშაობის გამოცდილება ანტიკურ ეპოქაში და ამ კონტექსტში აღნიშნეს, რაც ჰომეროსი იყო ბერძნებისათვის, ისაა რუსთველი საქართველოსთვის. ეს ორი ბუმბერაზი შემოქმედი პირველებმა სწორედ რაფიელ ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და იონა მეუნარგიამ შეადარეს ერთმანეთს. ისაუბრეს მომავალი გამოცემის მიზანდასახულობის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო და რით იქნებოდა გამორჩეული წინა გამოცემებისაგან ახალი, კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა. მომავალ კომისიას მიზნად დაუსახეს:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შეთანხმება ხელნაწერთა ტრადიციულ წაკითხვებთან და გამოცემათა ვარიანტების გათვალისწინება: ნაკლული ადგილების აღდგე-

ნა ხელნაწერული მონაცემების მიხედვით და ჩამატებულ//შემატებული სტროფების ამოღება; ე. ი. ტექსტი უნდა გამართულიყო ხელნაწერთა ვარიანტებისა და გამოცემების კვალობაზე;

2. მართლწერისა და ორთოგრაფიის მოწესრიგება და

3. შესაძლებლობისამებრ, ინტერპოლატორთა ვინაობის გამორკვევა, ტექსტიდან მათი ჩანართ//დანართი სტროფების გამოყოფა.

წერილის ავტორები მიზნად ისახავდნენ პოეტის ბიოგრაფიის აღდგენას იმ დროს არსებული მონაცემების საფუძველზე. ამის შემდეგ იყო თხოვნა საზოგადოების მიმართ ხელნაწერი წიგნების თხოვების თაობაზე და კონკრეტულ პირთა მიმართ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. წერილის ავტორებმა წარმოადგინეს გეგმა, რომლის განსახორციელებლად საჭირო იყო კომპეტენტური კომისიის შექმნა. კომისიის წევრობა სთხოვეს გრიგოლ ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვახტანგ ორბელიანს, გიორგი წერეთელს, სერგეი მესხს, ნიკ. ტ. დადიანს, დავით გიორგის ძე ერისთავს, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს და სხვებს. ეს მძიმე და შრომატევადი სამუშაო უნდა დასრულებულიყო 25 შეხვედრის შემდეგ. კომისიამ ერთი წლის მანძილზე მუშაობის შედეგად დაადგინა გამოსაცემი ტექსტი.

„დროებაში“ გამოქვეყნებული საინფორმაციო სტატიით გაირკვა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შედგენის ინიციატივა ეკუთვნით რაფიელ ერისთავს, იაკობ გოგებაშვილსა და იონა მეუნარგიას; ამ საქმის ინიციატორი, როგორც ადრე იყო მიჩნეული, ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა. რაფიელ ერისთავი აქტიურად იყო ჩართული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, იყო რამდენიმე სხდომის თავმჯდომარე, ტექსტის წამკითხველი და ტექსტის დადგენის მონაწილე. კომისიას სამუშაოდ სხვა ხელნაწერებთან ერთად ჰქონდა მისი კუთვნილი წიგნი რუსთველის პოემისა. აგრეთვე, რაფიელ ერისთავი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის შესაქმნელად ცოცხალი სურათების დადგმაში. მანვე არწრუნისეული თეატრის შენობაში შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ საჯარო მოხსენებაც წაიკითხა, გამოთქვა მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა რაგვარობის თაობაზე, რაც მიუთითებს მის დამოკიდებულებას და სიყვარულს შოთა რუსთველის პოემისადმი.

საკვანძო სიტყვები: *„ვეფხისტყაოსანი“, ქართველიშვილისეული გამოცემა, რაფიელ ერისთავი.*

Nestan Sulava

PhD in Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Samtskhe-Javakheti State University
Visiting Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-7808-8722
nestan.sulava@tsu.ge

Kartvelishvili edition of "Vefkhistkaosani" and Raphiel Eristavi

The 1888 edition of "Vefkhistkaosni", as well as the 1712 Vakhtang sixth edition and the Brosset-Chubinashvili-Falavandishvili editions of 1841, are critically established texts prepared by the "Vefkhistkaosani" text-setting commission. The style and method of work of each commission corresponded to the requirements of the era, the scientific level, in particular, the style and level of work of textological science, in which each of them was established and prepared for publication. To determine the text of Shota Rustveli's poem, at the turn of the 70s-80s of the 19th century, in 1880, a commission was created, whose members, based on the comparison of different manuscripts and editions of the poem, tried to restore the Rustveli text. To carry out the work, an authoritative and competent commission of Georgian writers and scientists was created, which, despite the presence of hindering problems – the main problem was the lack of a sufficient number of manuscripts – still met intensively.

Written and oral sources testify that Rafiel Eristavi, Iacob Gogebashvili and Iona Meunargia were the initiators of the work on the preparation of the new edition of "Vefkhistkaosani", who set the goal of the publication to determine the text of the new edition based on the comparison of the printed text and manuscripts. In the first joint newsletter of Rafiel Eristavi, Iacob Gogebashvili and Iona Meunargia, published in #241 of the newspaper "Droeba" on November 15, 1880, their opinions on the preparation of a new edition of "Vepkhistkaosani" were formulated. They especially called on the experience of working on Homer's writings in the ancient era and in this context noted that what Homer was for the Greeks, Rustveli is for Georgia. Raphiel Eristavi, Iacob Gogebashvili and Iona Meunargia were the first to compare these two bumblebee creators. They talked about the purpose of the future edition, how it should be and how the new edition, prepared by the commission, would be different from the previous editions. The goals of the future commission were set: 1.

agreement of the text of "The Man in the Panter's skin" with traditional readings of manuscripts and consideration of edition options: restoration of missing places according to manuscript data and removal of added/added stanzas; i.e. The text had to be kept on the traces of manuscript variants and editions; 2. Correct spelling and orthography and 3. If possible, find out the identity of the interpolators, separate their insert/appendix stanzas from the text. The authors of the letter aimed to restore the biography of the poet based on the data available at that time. After that, there was a request to the public regarding requests for handwritten books and to specific persons to participate in the work of the "The Man in the Panter's Skin" text-setting commission. The authors of the letter presented a plan for the implementation of which it was necessary to create a competent commission. Grigol Orbeliani, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vakhtang Orbeliani, Giorgi Tsereteli, Sergey Meskhi, Nik. T. Dadiani, Davit Giorgis dze Eristavi, Bishop Gabriel Kikodze of Imereti and others. This hard and time-consuming work was to be completed after 25 meetings. As a result of one year's work, the commission determined the text to be published.

According to the news article published in "Droeba", it was revealed that Rafiel Eristavi, Iakob Gogebashvili and Iona Meunargia took the initiative to compose the text of "Vefkhistkaosani"; Ilia Chavchavadze was not the initiator of this case, as was previously believed. Raphiel Eristavi was actively involved in the work of the commission for determining the text of "The Man in the Panter's Skin", he was the chairman of several sessions, a reader of the text and a participant in determining the text. The commission had a book of Rustveli's poems belonging to him along with other manuscripts. Also, Raphiel Eristavi participated in creating live images for the illustrations of "The Man in the Panter's Skin". He also read a public report about Shota Rustveli and his poem in the building of Artsruni Theater, expressed his opinions about the nature of the characters of "The Man in the Panter's Skin", which indicates his attitude and love for Shota Rustveli's poem.

Keywords: *"Vefkhistkaosani", Kartvelishvili edition, Raphiel Eristavi.*

ნანა ფრუიძე

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-0358-2974
Nan.pruidze@ug.edu.ge

აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავის ღვაწლის შესახებ

აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავს 60-იანი წლების მოღვაწეთა გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრად მიიჩნევდა. პოეტის აზრით, ეს „დიდი მარტოხელობის დრო“ იყო; დრო, როცა „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირე“. რაფიელ ერისთავი აკაკის განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს თავისი შეუპოვრობისა და პრინციპულობის გამო. პოეტის დაკვირვებით, რაფიელთან ერთად ბევრი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მაგრამ უმეტესობა ნელ-ნელა ჩამოსცილდა ამხანაგებს, რადგან საქვეყნოს პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა არჩიეს.

რაფიელ ერისთავის, როგორც საზოგადო მოღვაწის საქმიანობას სათანადოდ დანახულად და დაფასებულად არ მიიჩნევდა აკაკი. მართალია, ზუგდიდში მაზრის უფროსობისა და ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მან ბევრს დაამახსოვრა თავი, მაგრამ არასდროს ყოფილა ხაზგასმული მისი დამსახურება არც ხელისუფლების და არც საზოგადოების მხრიდან;

ნიშანდობლივად მიაჩნია აკაკის, რომ რაფიელი ქართული თეატრის ასაღორძინებლად ენერგიულად იღვწოდა: პიესებსაც წერდა, სცენაზეც თამაშობდა. რეჟისორობდა, სუფლიორობდა. ერთი სიტყვით, არავითარ საქმეს არ უკადრისობდა, რადგან იცოდა, თეატრი იყო იმგვარი ადგილი, სადაც „ხალხი იმოძღვრება და იწვრთნება“. რაკი მუდმივი თეატრი არ არსებობდა, სწორედ სცენისმოყვარეთა შრომასა და გულმოდგინებაზე იყო დამოკიდებული, შედგებოდა თუ არა ქართული წარმოდგენა და მიიღებდა თუ არა საზოგადოება სულიერ საზრდოს.

აკაკი წერეთელი ზრუნავდა, რომ რაფიელ ერისთავის შესანიშნავი თხზულებები და თარგმანები მკითხველამდე მისულიყო: „ერთი მწერლის მეტი არ გვეგულება, რომ თავის სამშობლო ქვეყანა იცოდეს იმ გვარის ცოდნით, რომელიც ზემოთ ვთქვით და გადარჯულებულად არ სწერდეს. ეს მწერალი არის თ. რაფიელ ერისთავი და საჭიროა, რომ მის ნაწერებს ყურადღება მიექცეს. სხვათა შორის, იმას აქვს კრილოვის ზღაპრები და ცოდვა რა არის, რომ ის ასე ხელ-ნაწერათ რჩებოდეს და ობრო-დობროები კი იბეჭდებოდეს, როგორც სახალხო რამ?“ სხვათა შორის, აკაკის ამ შენიშვნის გამოქვეყნებიდან მალევე გამოსცა გრ. ჩარკვიანმა რაფიელის მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკები, რაც ქართველი მკითხველისათვის მართლაც ძვირფასი შენაძენი იყო.

აკაკი რაფიელ ერისთავს ფუტკარს ადარებს, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს, რომ „სიწმინდით შეაზავოს საქვეყნო ძღვენი“. ამიტომ იყო, რომ მოუწო-დებდა სრულიად საქართველოს: „ორ-მოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა

სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფა-ელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულ-მავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა“. საბედნიეროდ, ეს მოწოდება უპასუხოდ არ დარჩა და 1895 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა რ. ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის ურთიერთობა შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს მიმართ საქვეყნო სამსახურში მდგარ ადამიანებს.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, მხატვრული შემოქმედება, საზოგადო მოღვაწეობა.*

Nana Pruidze

PhD in Philology
The University of Georgia
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-0358-2974
Nan.pruidze@ug.edu.ge

Akaki Tsereteli about the Achievements of Raphiel Eristavi

Akaki Tsereteli considered Raphiel Eristavi to be one of the outstanding members of the 60s group of artists and respected him, especially for his persistence and principles.

Akaki did not consider Rafiel Eristavi's activities as a public figure to be properly seen and appreciated. It is true that during his tenure as the head of Mazri in Zugdidi and as a conciliation judge in Kutaisi, he was remembered by many, but his merits were never emphasized either by the government or the society;

Akaki especially appreciates the fact that Raphiel took care of the revival of the Georgian theater; He also wrote plays, acted on the stage, directed, suggested. In a word, he was not capable of any work, because he knew that the existence and promotion of the theater was of great importance at that stage. Since there was no permanent theater, it depended on the hard work and zeal of stage lovers whether the Georgian performance would be performed or not and whether the society would receive spiritual nourishment.

Akaki Tsereteli made sure that Raphiel Eristavi's excellent writings and translations reached the readers. It was he who spread the story of Rafiel Eristavi's translation of Krylov's fables in the press, and we got the result: shortly after Akaki's note was published, Gr. Krylov's fables were translated by Charkviani Raphiel, which turned out to be a really valuable acquisition for Georgian readers.

Akaki compared Raphiel Eristavi to a bee, who worked tirelessly for the good of others. According to Akaki, it would be a great ungratefulness on the part of the Georgian society if they did not celebrate his merits. Fortunately, this call of the poet did not go unanswered either, and on October 22, 1895, R. The anniversary is dedicated to the fiftieth anniversary of Eristavi's writing and public activity.

The relationship between Akaki Tsereteli and Rafiel Eristavi is an excellent example of what kind of attitude people in public service should have towards each other.

Keywords: *Artistic work of Raphiel Eristavi, public work, Akaki Tsereteli.*

მარინა ქავთარაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-4313-461X
marina.kavtaradze@tsc.edu.ge

მე-19 საუკუნის თბილისის მუსიკალური ცხოვრება პრესის შუქზე (ტექსტი და კონტექსტი)

მოხსენება ეძღვნება ქართული მუსიკალური დისკურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან – თბილისის თემას, კერძოდ, თბილისის მუსიკალური ცხოვრების ფენომენს. კვლევის სამიზნეა მე-19 ს-ის მეორე ნახევრის პრესა (გაზეთები „Кавказ“, „თეატრი“, „ცისკარი“, „დროება“), როგორც ეპოქის სარკე, მსმენელისა და მაყურებლის მოზიდვის – პიარის ფუნქციის მქონე, ინფორმაციის წყარო, რომელიც ასახავს ეპოქის ძირითად ტენდენციებს და მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემის ცდას წარმოადგენს – ვინ, რა, სად, როდის. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საკუთრივ მუსიკალური მასალების უქონლობის პირობებში პრესა გვიქმნის წარმოდგენას ეპოქის მუსიკალური ცხოვრების ღირსშესანიშნავ ფაქტებზე, მოვლენებზე და გარკვეულწილად მათი ისტორიული რეტროსპექტივის შექმნის შესაძლებლობასაც იძლევა.

კვლევის მთავარი ამოცანაა იმდროინდელ პრესაში მიმოფანტული მწირი მასალების – საინფორმაციო ანონსების, რეცენზიების, წერილების, სტატიების საფუძველზე ეპოქის მუსიკალური ცხოვრების რეკონსტრუქცია, რომელიც იმ დროის თბილისს განასახიერებს. ჩვენს მიერ განხილულ ნიმუშების უმრავლესობა, ავტორთა ვინაობის მითითების გარეშეა გამოქვეყნებული და ფსევდონიმებითაა წარმოდგენილი.

კვლევის მეთოდები ნაკარნახევია თემის ინტერდისციპლინური ბუნებით და ეფუძნება შედარებით-ისტორიულ, მუსიკალურ-კულტუროლოგიული მიდგომების სინთეზს.

ქართული მუსიკალური ჟურნალისტიკა-კრიტიკის სათავეები მრავალფეროვნებითა და წყაროების შესაშური სიმრავლით გამოირჩევა. განსაკუთრებული ინტერესი აღინიშნება იმ ხანად ახლად გახსნილი საოპერო თეატრისა და ზოგადად საოპერო ჟანრის მიმართ, რის გამოც პუბლიკაციების დიდი ნაწილი სწორედ ამ სფეროს ეხება: ოპერისა და ბალეტის თეატრს, საოპერო წარმოდგენებს, იტალიური და რუსული საოპერო და საოპერეტო დასების გასტროლებს, ცალკეულ საოპერო მომღერლებს. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მუსიკალურ ცხოვრებასთან შედარებით ჩვენი თანამედროვე კულტურული ცხოვრება ბევრად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, და შესაბამისად, მუსიკალურ-ჟურნალისტური საქმიანობისთვის ასპარეზი მედიასივრცისა და ინტერნეტის შესაძლებლობების, ასევე მუსიკოსთა პროფესიონალიზმის ზრდის გათვალისწინებით ბევრად მეტია, უდაოა რომ ჩვენი თანამედროვე მუსიკალური ჟურნალისტიკა გაცილებით ღარიბად და უინტერესოდ გამოიყურება, ვიდრე საუკუნენახევრის წინანდელი პუბლიკაციები.

მოხსენებაში წარმოდგენილი პრესის მიმოხილვა და ანალიტიკური ექსკურსი მუსიკალური „თბილისიანას“ ჩამოყალიბებასა და განვითარების პროცესს წარმოაჩენს.

წარმოდგენილი მასალები წყაროთმცოდნეობითი მუშაობის შედეგია და საინტერესო პერსპექტივას სახავს თბილისის თემის კომპლექსური შესწავლის კუთხით.

თბილისის მუსიკალური ცხოვრების ძირითად თემებს ავტორი წარმოგვიდგენს ეპოქის გლობალური პრობლემების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: *მე-19 საუკუნის პრესა, თბილისის მუსიკალური ცხოვრება, მუსიკალური ჟურნალისტიკა.*

Marina Kavtaradze

PhD in Art History
The Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire
Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-4313-461X
marina.kavtaradze@tsc.edu.ge

The Tbilisi Musical Life of the 19th Century in the Reflection of the Press (Text and Context)

The paper deals with one of the important topics of Georgian musical discourse – the theme of Tbilisi, namely the phenomenon of Tbilisi's musical life. The research topic is the press of the second half of the 19th century (newspapers “Kavkaz”, “Teatri”, “Tsiskari”, “Droeba”) as a mirror of the era, the source of information with a PR function to attract listeners and viewers, which reflects main trends of the epoch and is an attempt to answer eternal questions - who, what, where, when. Based on objective reasons, in the absence of musical materials, the press gives an idea of the remarkable facts and events from the musical life of the epoch, and to some extent, provides the opportunity to shape their historical retrospective.

The main task of the study is to reconstruct the musical life of the epoch based on scanty materials scattered in the press of the time – information announcements, reviews, letters and articles, representing Tbilisi of that time.

Research methods are dictated by the interdisciplinary nature of the topic and based on the synthesis of comparative-historical and musical-cultural approaches...

The origins of Georgian music journalism and criticism are distinguished in their diversity and enviable abundance of sources. Of particular interest is the then newly

opened Opera House and opera genre in general, this is why most publications touch upon this field: the majority of the material refers to the Opera and Ballet Theater, new opera performances, tours of Italian and Russian opera and operetta troupes, and individual opera singers.

Even though, compared to the musical life of the second half of the 19th century, our contemporary cultural life is much more multifaceted and diverse, therefore, the arena for music-journalistic activities is much greater, given the media space and the Internet's possibilities, as well as the increase in the professionalism of musicians, today's music journalism undeniably looks much poorer and less interesting than the publications from a century and a half ago.

The press review and analytical excursus provided in the paper reflect the formation and development process of musical Tbilisiana. These materials are the result of source research and reflect an interesting perspective for a comprehensive study of the Tbilisi community.

The author presents the main themes from the musical life of Tbilisi in the context of the global problems of the epoch.

Keywords: *Press in the XIX century, musical life in Tbilisi, musical journalism.*

ლია ქაროსანიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების
ხელმძღვანელი
https://orcid.org/0009-0005-4555-2049
l.karosanidze@gmail.com

რაფიელ ერისთავი – XIX საუკუნის ქართული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განმსაზღვრელი

როგორც ცნობილია, წარმატებული ტერმინოლოგიური მუშაობისთვის უმნიშვნელოვანესია მისი მართვა, შეთანხმებული მუშაობა, რაც ადვილი მოსაგვარებელი არ არის. მე-20 საუკუნიდან დღემდე მრავალი საერთაშორისო სტანდარტია შექმნილი, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე სწორი ტერმინოლოგიური მუშაობის დაგეგმვის, მართვის წესებია ჩამოყალიბებული. როგორ შეძლეს XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში კოორდინირებული მუშაობა, სხვადასხვა ჯგუფის გაერთიანება? ეს უდავოდ გასაკვირია და კიდევ ერთხელ, სხვა მიღწევებთან ერთად, გვაჩვენებს ამ ეპოქის ქართველი განათლებული საზოგადოების სახეს.

ყველაფერი კი იმ განცხადებით იწყება, რომელშიც სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლებმა ა. ღულაძემ და ი. მრევლიშვილმა ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხი დასვეს: პირველი სირთულე, რომელიც ამ განცხადებაში გამოიკვეთა, ტერმინოლოგიური სიჭრელის მოგვარება იყო: „ტერმინები გვაქვს, მაგრამ გაფანტულია; საჭიროა მათი შეკრება და გამოცხადება საყოველთაო სახმარებლად, რომ ყველგან ერთგვარი ტერმინების ხმარება იქნეს შემოღებული და არ ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი თავისთავად მოგონებულის ტერმინებით“; მეორე და მნიშვნელოვანი საკითხი თავის ნებაზე მიშვებული ტერმინთშემოქმედების მოწესრიგებაა: „დღევანდლამდის, ვინც კი მოჰკიდებდა ხელს, მარტო თავის ქეიფზედ ადგენდა ტერმინებს და ამის გამო ლიტერატურაში ერთსა და იმავე საგნის სახელად ათას ტერმინს შეხვდებით, რომელიც რევს და უკან აყენებს საქმეს“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი გახდა ტერმინოლოგიური მუშაობის კოორდინაციის საკითხის დასმის საფუძველი ამ დროის საქართველოში. დაწესდა სატერმინოლოგიო სხდომების მოწვევა. ამის შესახებ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 20 გიორგობისთვეს, შაბათს, დანიშნულია კრება, რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული სამეცნიერო ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. პირველი სატერმინოლოგიო კრება შედგა 1882 წ. 20 ნოემბერს (გიორგობისთვეს) ქალაქის სამმართველოს დარბაზში. კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს რაფიელ ერისთავი. ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, მასწავლებლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ტერმინოლოგიურ კრებებზე გამოიკვეთა ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის გეგმა, იმსჯელეს ქართული ტერმინოლოგიის ხასიათზე, რომლის შესახებაც კრების მონაწილეებს განსხვავებული თვალსაზრისები ჰქონდათ. სწორედ ამ

სხდომებზე ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ტერმინოლოგიური პოლიტიკა, რომლის თეორიული საფუძველი, გარკვეულწილად, იკითხება რაფიელ ერისთავის მნიშვნელოვან წერილში „რამდენად მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე დასწამეს“. მოხსენებაში განვიხილავთ იმ შედეგებს, ქართველი საზოგადოების სწორად დაგეგმილმა ტერმინოლოგიურმა მუშაობამ რომ მოიტანა, რომლის მთავარი წარმმართველი რაფიელ ერისთავი იყო.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიური პოლიტიკა.*

Lia Karosanidze

PhD in Philology
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics
Head of the Department of Translating Dictionaries and Scientific Dictionaries
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-4555-2049
l.karosanidze@gmail.com

Raphiel Eristavi – a Shaper of Georgian Terminology Policy in the 19th Century

As it has been known, for successful terminology work, its management and coordinated endeavors are is rather significant, and this is not easy to accomplish. Since the 20th century to our days, several international standards have been developed which, based on know-how of various countries, stipulate rules for planning and managing adequate terminology work. How did people manage to work in coordination in the late 19th century? How did they manage to unite? This is unarguably surprising, and, alongside other achievements, it repeatedly reveals the make-up of the Georgian-educated public of the epoch.

Everything began with the statement in which A. Guladze and I. Mrevlishvili, teachers at a vocational school, set forth the problem of working on terminology; the primary difficulty, identified in the statement, was to cope with terminological diversity: “We have terms but they are scattered; we need to collect them and to declare them for common usage and declare them for common use in order to introduce use of the same terms everywhere and not to make teachers use terms coined by themselves.” Another and rather significant problem were to regulate the coinage of terms which was left to chance: “Up to the present day, all, who took

up with it, established terms only on their own, and, owing to that, in the literature, one comes across a plethora of terms to refer to the same object, thus embroiling the cause and moving it backwards."

We can say that the statement became an impulse for setting forth the issue of the coordination of terminology work in the then Georgia. It was established to convene terminology sessions. The newspaper *Droeba* published an announcement informing that a meeting was scheduled on November 20, Saturday, whereby Georgian scientific terms for all subjects were to be explored and developed. The first terminology meeting was held on November 20, 1882, in the hall of the city administration. Raphiel Eristavi was unanimously elected chair of the meeting. Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Ivane Machabeli, Iakob Gogebashvili, Zakaria Chichinadze, teachers and other representatives of the public attended the meeting.

The terminology meetings identified a plan of Georgian terminology work, discussed the character of Georgian terminology about which participants expressed different viewpoints. It was at those sessions whereby Georgian terminology policy of the 19th century was shaped by the theoretical foundation of which was in a way implied in Raphael Eristavi's article "How fair is it to accuse the Georgian language of being poor?"

The paper discusses the outcomes brought as a result of the Georgian public's well-planned terminology policy powered by Raphiel Eristavi.

Keywords: *Raphiel Eristavi, terminology, terminology policy.*

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-3389-3893
manana_qajaia@yahoo.com

ერთი ასპექტი რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკიდან

ნაშრომში საუბარია XIX საუკუნის ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე, რაფიელ ერისთავზე, მის დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის სფეროების უბრალო ჩამოთვლაც გვარწმუნებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი.

განსახილველ ობიექტს წარმოადგენს რაფიელ ერისთავის ვრცელი წერილი თვალის გადავლება „საუკეთესო ცოდნაზე“, რომელიც „მეურნეში“ დაიბეჭდა 1888 წელს. რაფიელ ერისთავის ეს წერილი არ გულისხმობს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი წერეთლის მხატვრული ნიჭის შეფასებას, მაგრამ იგი ჩვენთვის გარკვეული აზრით, მაინც საყურადღებოა.

ბროშურა „საუკეთესო ცოდნა“ შედგენილია გიორგი წერეთლის მიერ და 1888 წელსაა გამოცემული. დღევანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, იგი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. ამ ბროშურას რაფიელ ერისთავი დადებითად აფასებს და აღნიშნავს, ამგვარი ღვაწლი მართლაც საქებარია. ამასთანავე უკმაყოფილებას გამოთქვამს ბროშურის ზოგიერთი ნაკლის გამო, ამახვილებს ყურადღებას სპეციფიკურ ტერმინებზე.

რაფიელ ერისთავის აზრით, საჭირო არ არის ახალი სიტყვების გამოყენება ან უცხო სიტყვების შემოტანა. მისი აზრით, ტერმინების შედარებისას აშკარად ჩანს გიორგი წერეთლის ლექსიკური ინტუიცია და მეორეც – წერილის ავტორი ობიექტურ დაკვნას აკეთებს. აქედან გამომდინარე, რაფიელ ერისთავი, როგორც ჩანს, გიორგი წერეთლის მხატვრული ნაწარმოებების ენასა და კილოს სტილს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა.

საკვანძო სიტყვები: *ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, ფოლკლორული საზოგადოება, განწყობილება.*

Manana Kajaia

Georgian Technical University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-3389-3893
manana_qajaia@yahoo.com

One Aspect of Raphiel Eristavi's Publicism

The article talks about the Georgian writer and public figure of the 19th century, Raphiel Eristavi, and his merits to the Georgian nation.

A simple enumeration of Raphiel Eristavi's fields of activity assures us that he has made a significant contribution to the public life of Georgia.

The subject under discussion is the extensive letter of Raphiel Eristavi "Looking at the "Best Knowledge", which was printed in "Meurne" in 1888. This letter of Raphiel Eristavi does not imply an evaluation of the artistic talent of the great Georgian writer and public figure, Giorgi Tsereteli, but it is still noteworthy for us.

The brochure "Best Knowledge" was compiled and published by Giorgi Tsereteli in 1888. If we use today's terminology, it can be attributed to the category of scientific-popular literature. Rafiel Eristavi positively evaluates this brochure and notes that this kind of work is praiseworthy. At the same time, he expresses dissatisfaction with some of the shortcomings of the brochure, focusing on specific terms.

According to Raphiel Eristavi, there is no need to use new words or introduce foreign words. In his opinion, Giorgi Tsereteli's lexical intuition is visible when comparing the terms, and secondly, the author of the letter makes an objective assessment. Therefore, it seems that Raphiel Eristavi highly valued the language and style of Giorgi Tsereteli's artistic works.

Keywords: *ethnographer, lexicographer, folklore society, mood.*

გელა ქისტაური
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-6643-9740
g.kisrauri@sangu.edu.ge

არაგვის საერისთავოს მმართველობითი სტრუქტურა და არაგვის ერისთავთა სოციალური მდგომარეობა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში

1743 წელს ბეჟან არაგვის ერისთავის მკვლელობის შემდეგ, არაგვის საერისთავო საუფლისწულოდ იქცა. აღნიშნული გეოგრაფიული არეალი სამართავად გადაეცათ ერეკლე მეორის შვილებს.

არაგვის საერისთავოს ჯერ ერეკლე მეორის უფროსი ვაჟიშვილი ვახტანგი განაგებდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ლევან ბატონიშვილი, ხოლო მის შემდეგ კი ვახტანგ (ალმასხანი) ბატონიშვილი.

როგორც ნარატიული წყაროებიდან ირკვევა, ბეჟან არაგვის ერისთავის მკვლელობის შემდეგ, ვახტანგ ბატონიშვილის მცირეწლოვნობის გამო, არაგვის ერისთავთა საგამგებლო ტერიტორია სამართავად ჯიმშერ ჩოლოყაშვილს კი გადაეცა, მაგრამ, არა როგორც ახალ ერისთავს, არამედ, როგორც მეფეზე დამოკიდებულ მოხელეს.

როგორც ჩანს, არაგვის საერისთავოში უფლისწულთა მოღვაწეობის პერიოდში, ამ ტრიტორიულ ერთეულში განსხვავებული მმართველობითი სტრუქტურა ჩამოყალიბდა, კერძოდ კი დაახლოებით შემდეგი ფორმით: მეფე, – უფლისწული, – უფლისწულზე დამოკიდებული მოხელე-?, – მოურავი და მთიულეთში მცხოვრები სამეფო ოჯახის ერთგული „კაცნი“, რომლის შესახებაც მოხსენების დროს უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზი ექნება გასმული XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელთა მცდელობას, მოხსენიებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიკრო რეგიონში ძველი სტატუსის აღდგენის შესახებ.

ქართლ-კახეთის სამეფოს სახლსა და ყოფილ არაგვის ერისთავთა შორის, დაძაბული ურთიერთობა რომ არსებობდა, ამის ნათელი დამადასტურებელია 1801 წელს ვახტანგ (ალმასხანი) ბატონიშვილის მიერ კნორინგთან გაგზავნილი წერილი. დასახელებული წერილი ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ, ამ წერილის გარდა, არსებობს კიდევ ერთი ისტორიული წყარო, რომელშიც მოთხრობილია არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლის – ბეჟანის ძალისხმევა, ძველი პოლიტიკური და სოციალური სტატუსის აღდგენის მცდელობის შესახებ, რომლის დროსაც, მთელი ამ პრობლემური პროცესების დროს, როგორც

ბეჟანის მოკავშირე, წინა პლანზე წამოწეულია ლომისის ეკლესია. რატომ მაინც და მაინც ლომისის ეკლესია?! - ჩვენს ხელთ არსებული სხვა კლასიფიკაციის ისტორიული წყაროების მონაცემების მიხედვით, ლომისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, არა მარტო რელიგიური კუთხით, არამედ პოლიტიკური და სოციალური დატვირთვითაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყოფილა ერეკლე მეორის სამეფო ოჯახისთვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლის – ბეჟანის მიზანიც ზუსტად ის ყოფილა, რომ, სწორედ აღნიშნული ეკლესიის პოზიცია გამხდარიყო მისთვის, არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე, ერისთავის ხელისუფლების ახლიდან მოპოვების//დაბრუნების კანონიერი ლეგიტიმურობის გარანტი.

საკვანძო სიტყვები: *არაგვის საერისთავო, არაგვის ერისთავთა სოციალური მდგომარეობა, არაგვის ერისთავები XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში.*

Gela Kistauri

PhD in History
Saint Andrew Georgian University of the Georgian Patriarchate
Associate Professor
https://orcid.org/0000-0002-6643-9740
g.kisrauri@sangu.edu.ge

The Administrative Structure of the Aragvi Principality and the Social Status of the Aragvi Princes in the Late 18th and Early 19th Centuries

Following the murder of Bejan, the prince of Aragvi, in 1743, the Aragvi principality became a principality. This geographical area was transferred to the rule of the children of King Erekle II. Initially, it was governed by Erekle II's eldest nephew, Vakhtang, and after his death, it was managed by Levan, the prince, and subsequently by Vakhtang (Almaskhani).

As narrative sources reveal, after the murder of Bezhan, due to the minority of Prince Vakhtang, the administrative territory of the Aragvi princes was temporarily handed over to Jimshere Cholokashvili for governance; however, he did not hold the position as a new prince but as a dependent official of the king.

It appears that during the activity of the princes in the Aragvi principality, a different administrative structure was established within this territorial unit, specifically in

approximately the following form: king – prince – official dependent on the prince – governor – loyal "men" of the royal family living in the mountains, which we will discuss in more detail during the presentation.

Based on documentary sources, the presentation will particularly emphasize the attempts of the representatives of the Aragvi princely family at the end of the 18th century and the beginning of the 19th century to restore their former status in the mentioned historical-ethnographic micro-region.

The tense relationship between the Kingdom of Kartli-Kakheti and the former Aragvi princes is clearly evidenced by a letter sent by Vakhtang (Almaskhani) to Knorinig in 1801. This letter is widely known in Georgian historiography. However, in addition to this letter, there is another historical source that narrates the efforts of a representative of the Aragvi princely family, Bejan, to restore his former political and social status, during which the church of Lomis was prominently featured as Bejan's ally.

Why the church of Lomis in particular? According to data from other classified historical sources at our disposal, the Church of St. George in Lomis has been significant not only religiously but also politically and socially, especially for Erekle II's royal family.

Consequently, we believe that the goal of Bejan, the representative of the Aragvi princely family, was precisely to ensure that the position of this church became a legal guarantee for him to regain the authority of the prince over the territory of the Aragvi principality.

Keywords: *Aragvi Principality, Social Status of the Aragvi Princes, Aragvi Principality in Late 18th and Early 19th Centuries*

ნაზიბროლა ქორთუა

დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი
ხელნაწერთა ფონდის მცველი
ზუგდიდი, საქართველო
kortuanazibrola@gmail.com

რაფიელ ერისთავი ზუგდიდში

რაფიელ ერისთავმა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი 10 წელი (1857–1867 წწ.) სამეგრელოში გაატარა.

ეს ის პერიოდია, როცა სამეგრელოს სამთავრო გაუქმებული და მისი მომავალი გაურკვეველია. მღელვარებათა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივ საკითხთა მოსაგვარებლად, 1857 წელს, ზუგდიდის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად სამეგრელოს მმართველად რაფიელ ერისთავი იგზავნება.

გარდა სახელმწიფოებრივი საქმიანობისა რ. ერისთავი სამეგრელოში შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა. წერდა ლექსებს, ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს, ნარკვევებს სამეგრელოსა და სვანეთზე. აქვე შექმნა ოჯახი.

ზუგდიდში მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით არაერთი პროექტი განხორციელდა: გაშენდა ფრანგული ტიპის ბულვარი ჭადრებისა და ნაძვების ხეივნით, არხით, დაგეგმარდა ზუგდიდის ბაზარი, სასახლესა და ბაღს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

რაფიელ ერისთავის სამეგრელოში გაწეული საქმიანობის სამადლობელად და პატივსაცემად, ბულვარში მოქანდაკის რომან შეროზიას ავტორობით შესრულებული მისი ბიუსტია განთავსებული. ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში რაფიელ ერისთავის ზუგდიდში, და ზოგადად სამეგრელოში მოღვაწეობის ამსახველი მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული (ზსიემ. ლიტ. ფ. № 1919, ზსიემ ლიტ. ფ. 1913, ბოტანიკური ბაღის გეგმა შედგენილი შმიდტის მიერ – ზსიემ. დკ. 9876 და სხვა).

რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოღვაწეობა სამეგრელოს სამთავროს ისტორიის მნიშვნელოვანი, ათ წლიანი პერიოდის თანადროულია და შესაბამისად სამეგრელოს სამთავროს ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო.

მწერალთან დაკავშირებული რეალიები და მის ნაშრომებში დაცული ინფორმაცია გვაცნობენ სამეგრელოს სამთავროს ღირსშესანიშნაობებს, ეკლესია-მონასტრებს, აქ დაცულ სიწმინდეებს, დადიანების სასახლეებსა და მთელს ამიერკავკასიაში განთქმულ ბოტანიკურ ბაღს, გაშენებულს არაჩვეულებრივი ხის ჯიშებითა და ეგზოტიკური მცენარეებით, მეგრელთა ტრადიციებს, სოციალურ ურთიერთობებს, ომერ ფაშას 1856 წლის შემოსევას სამეგრელოში, ოსმალების მიერ მიყენებულ ზიანს, მის პირად ურთიერთობებს სამეგრელოს სამთავროს დედოფალთან და ოჯახის სხვა წევრებთან.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოღვაწეობასთან დაკავშირებული, ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ისტორიულ დოკუმენტებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიებით, მწერლის სამეგრელოში მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა და მისი სამეგრელოს სამთვაროსათვის გაწეული ღვაწლის წარმოდგენა.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, ზუგდიდი, ზუგდიდის მუზეუმი, სამეგრელო.*

ია ღადუა

ფილოლოგიის დოქტორი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
უნიკალურ წიგნთა კოლექციის კურატორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0002-7434-2519
ghaduaia@gmail.com

როგორ იქცა რაფიელ ერისთავის იუბილე სახალხო ზეიმად

რაფიელ ერისთავის ღვაწლი მისსავე სიცოცხლეში დააფასა ქართველმა ერმა, როდესაც 1895 წლის 22 ოქტომბერს საყვარელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის 50 წლის იუბილე საზეიმოდ აღნიშნა. ეს დღე იმთავითვე სამართლიანად იწოდა საერო დღესასწაულად.

იუბილეს ინიციატორი აკაკი წერეთელი გახლდათ, რომელმაც 1895 წლის 22 მაისის გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილ სტატიაში რაფიელ ერისთავის ღვაწლზე ისაუბრა და ქართველ ერს შეახსენა, თუკი მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს არ აღვნიშნავთ, დიდი უმადურობა იქნება ჩვენი მხრიდანო. სტატიას სათაურიც შესაფერისი შეურჩია მგოსანმა – „საყურადღებოთ“. აკაკის მოწოდებას მყისიერად გამოეხმაურა ჯერ გაზეთი „კვალი“, შემდეგ „ივერია“ და ასე დაიწყო მზადება დღესასწაულისთვის.

„კვალის“ რედაქცია გულისყურით მოეკიდა აკაკის მოწოდებას და საერთო განცხადება დაბეჭდა, რომ რაფიელ ერისთავის იუბილეს გადახდისთვის შეკრებილიყვნენ და თარიღიც დაენიშნათ. მას მყისიერად გამოეხმაურა „ივერია“ და ეს ბუნებრივიცაა. რაფიელ ერისთავის იუბილე ხომ იმდენად მნიშვნელოვანი და ღირებული იყო ქართველი ერისთვის, გაზეთი „ივერია“ გვერდს ნამდვილად არ აუვლიდა. იუბილეს შესახებ პირველი ინფორმაცია „ივერიაში“ 27 მაისს ჩნდება, მეთაური წერილის სახით, რომლის ავტორია ლალი, იგივე გიორგი ლასხიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავის იუბილეს შესახებ სტატიები ძირითადად გიორგი ლასხიშვილის მიერაა დაწერილი. ამ წერილით „ივერია“ ეხმიანება აკაკის წერილს იუბილეს გამართვის შესახებ და იმედს გამოთქვამს, რომ ამ შემთხვევაში ქართველი ერი არ გამოიჩენს ჩვეულ დაუდევრობას.

მართალია, 1889 წელს ექვთიმე ხელაძემ ერთ წიგნად შეკრა და გამოსცა საიუბილეო მასალები, მაგრამ მასში ძირითადად მოცემულია ინფორმაცია 22 ოქტომბერს გამართული საზეიმო დღესასწაულისა. თუმცა, არანაკლებ საყურადღებოა იუბილეს მზადების დეტალები და ქრონოლოგიური სურათი, რადგან მზადების პროცესში ბევრი პრობლემაც წამოიჭრა, თუნდაც საორგანიზაციო კომიტეტების პასიურობა, რომლის შესახებ ასე აქტიურად წერდა გაზეთი „კვალი“.

ჩვენ დავძებნეთ და თავი მოვუყარეთ პრესაში გამოქვეყნებულ თითოეულ წერილს, მოგონებას და ასე აღვადგინეთ იმდროინდელი რეალური სურათი, თუ ვისი ხელშეწყობით, მზაობით, შრომითა თუ ორგანიზებით შედგა რაფიელ ერისთავის იუბილე, როგორ ემზადებოდა თითოეული კუთხე, რეგიონი ამ დღისთვის.

ასევე, დეტალურადაა წარმოჩენილი იუბილეც, შთამბეჭდავი და ხალხის სიყვარულით გაჯერებული დღესასწაული. სწორედ ეს იყო ის ფასდაუდებელი

ჯილდო, რომელიც ქართველმა ერმა „სამშობლო ხევსურისას“ ავტორს უძღვნა და რომელმაც იუბილარს ათქმევინა: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა, მაგრამ რაღა სჯობს ამ გრძნობას საერთოს, სანეტაროსა!..“.

საკვანძო სიტყვები: *რაფაელ ერისთავი, იუბილე, აღნიშვნა.*

Ia Ghadua

PhD in Philology
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
Curator of Unicum Books Collection
Tbilisi, Georgian
https://orcid.org/0000-0002-7434-2519
ghaduaia@gmail.com

How Raphiel Eristavi's Anniversary Transformed into a Public Celebration

The Georgian nation recognized and celebrated Raphiel Eristavi's achievements during his lifetime, notably on October 22, 1895, when the 50th anniversary of the esteemed poet and public figure was solemnly commemorated. This day was aptly termed a secular holiday.

The anniversary's initiation was spearheaded by Akaki Tsereteli, who, in an article published in the newspaper *Kvali* on May 22, 1895, extolled Raphiel Eristavi's accomplishments and reminded the Georgian nation of the importance of celebrating his 50 years of contributions. Tsereteli cautioned that neglecting to honor this milestone would be a significant act of ingratitude. He aptly titled the article "Attention". Akaki's appeal was promptly heeded, first by the newspaper *Kvali*, followed by *Iveria*, thus marking the beginning of the preparations for the celebration.

The editors of *Kvali* responded promptly to Akaki Tsereteli's call, publishing a general announcement to convene and set a date for Raphiel Eristavi's anniversary. This initiative was quickly supported by the newspaper *Iveria*, reflecting the significant importance of Raphiel Eristavi's anniversary to the Georgian nation. *Iveria* did not overlook this opportunity, with the first mention of the anniversary appearing on May 27, in a letter penned by Lali, also known as Giorgi Laskhishvili. It is noteworthy that most articles regarding Raphiel Eristavi's anniversary were authored by Giorgi Laskhishvili. In this initial letter, "Iveria" echoed Akaki's appeal for the anniversary celebration and expressed the hope that the Georgian nation would not exhibit its usual indifference in this important matter.

While it is true that in 1889 Ekvtime Kheladze compiled and published the jubilee materials into a single book, this compilation mainly documents the events of the solemn celebration held on October 22. However, the details and chronological sequence of the anniversary preparations are equally noteworthy, as numerous challenges arose during this process, including the passivity of the organizing committees, a topic that was actively covered by the newspaper *Kvali*.

We diligently searched for and collected every letter and recollection published in the press, thereby reconstructing the authentic historical context. This allowed us to document the efforts, assistance, work, and organization that contributed to the celebration of Raphiel Eristavi's anniversary, illustrating how every corner and region prepared for this significant day.

The jubilee was an impressive celebration, meticulously detailed and filled with the people's admiration and affection. This event was the invaluable tribute that the Georgian nation dedicated to the author of "Native Land Khevsuri." In his address during the jubilee, he poignantly remarked, ""One leaves and another comes into this world, but what could be better than such a unity that brings me me joy!..."

Keywords: *Raphiel Eristavi, jubilee, celebration.*

თამარ შაიშმელაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0003-4480-9119
tamartamriko830@gmail.com

რაფიელ ერისთავი, როგორც საბავშვო პოეტი

რაფიელ ერისთავი მრავალმხრივი მოღვაწეობით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან ერთად მრავალ ქართულ საქმეთა მოთავე იყო.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსიფიკატორებმა შეტევა მიიტანეს სულიერების თითქმის ყველა ეროვნულ ბურჯზე. დარტყმის ქვეშ მოექცა: სკოლა, ეკლესია, თეატრი, პრესა, ქართული ენა... ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურმა „თერგდალეულებმა“ სწორედ განათლებას მიანიჭეს უმთავრესი მისია . დაუღალავად იღვწოდა 1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

ამ დროს რაფიელ ერისთავის პოეზიაში განსაკუთრებული სიყვარულით შემოდის ბავშვთა სამყარო. რაფიელ ერისთავის საბავშვო ლექსები აქტიურად ქვეყნდებოდა: „ბუნების კარში“, „ნობათში“, „საბავშვო კალენდარში“, „ჯეჯილში“... იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ რაფიელ ერისთავის პორტრეტი ილიასა და აკაკის სურათების გვერდით იყო მოთავსებული.

„თითქმის ყველა საბავშვო ჟურნალ-გაზეთის ახალი ნომერი რაფიელის საყმაწვილო ლექსით იხსნებოდა. იგი პოპულარული საბავშვო პოეტიც გახდა. ნორჩი თაობის საყვარელ ნაწარმოებებად იქცა რაფიელის ლექსები: „დედა ენა“, „მერცხალი, „გაზაფხული, „რთველი“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „ზამთარი“, „ბზობა“, „ჩიტი”, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“ და სხვ“ (ჯაგოდნიშვილი, 1986:47).

1881 წელს გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს რაფიელ ერისთავის ლექსებს: „დედაენა“ და „სამშობლო ხევსურისა“, რომლებმაც პატრიოტული გრძნობით აღავსო ყველას გულები. ეს ხმა და პათოსი ჰაერივით სჭირდებოდა იმდროინდელ ქართველობას გამოსაფხიზლებლად. ამიტომაც უწოდეს „სამშობლო ხევსურისას“ „მეთერთმეტე მცნება“. ის ზეპირად იცოდა თითქმის ყველა ქართველმა. აი, რას წერდა მასზე 1899 წელს გამოცემული კრებული: „იგი სამუდამოდ დაურჩება მოზარდ ქართველობას მეთერთმეტე მცნებად“ (კრებ. „საერო დღესასწაული, თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, 1899:11).

რაფიელ ერისთავის საბავშვო ლექსები არტურ ლაისტს უთარგმნია და დაუბეჭდავს გერმანულ და პოლონურ პრესაში. ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში“ იაკობ გოგებაშვილს თავის სასკოლო სახელმძღვანელოშიც შეუტანია.

რაფიელ ერისთავის საბავშვო პოეზია შრომისკენ და სწავლისკენ მოუწოდებდა ბავშვებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რაფიელ ერისთავმა თარგმნა ი. კრილოვის იგავ-არაკები, აგრეთვე გალექსა სულხან-საბა ორბელიანის იგავები.

რაფიელ ერისთავი ითვალისწინებდა ბავშვის სულის სიფაქიზეს და იმასაც, რომ ლექსი არა მარტო ესთეტიკური სიამოვნების მიღებაა, არამედ ეხმარება ბავშვებს სამყაროს აღქმაში.

რაფიელ ერისთავს იაკობ გოგებაშვილთან ერთად დამსახურებულად მიიჩნევენ ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლად.

საკვანძო სიტყვები: *საკვანძო სიტყვები: საბავშვო, პოეზია, სულიერება, პატრიოტული, პოპულარული*

Tamar Shaishmelashvili

PhD in Philology
Georgian Technical University
Assistant Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0003-4480-9119
tamartamriko830@gmail.com

Raphiel Eristavi as a Children's Poet

Raphiel Eristavi with his multifaceted activities is one of the prominent figures of the second half of the 19th century in Georgia. He was the leader of many Georgian affairs together with Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, and Jacob Gogebashvili.

In the 80s of the 19th century, Russifiers attacked almost all national pillars of spirituality. The following came under attack: school, church, theater, press, Georgian language...

The leaders of the national-liberation movement "Tergdaleuli" assigned education as the most important mission. "Literacy spreading society among Georgians", founded in 1879, has been growing tirelessly.

At this time, the children's world enters Rafiel Eristavi's poetry with special love. The children's poems of Raphiel Eristavi were actively published in magazines and newspapers: "Bunebis kari, "Nobati", "Jejili"...

The portrait of Rafiel Eristavi was placed next to the pictures of Ilia and Akaki In the book "Bunebis kari" by Iakob Gogebashvili.

"Almost every new issue of children's magazine-newspaper opened with children's poem of Rafiel Eristavi. He also became a popular children's poet. The poems of Rafiel Eristavi became favorite works of the younger generation: "The Mother Tongue", "Swallow", "Spring", "Vintage", "Invitation to School", "Winter", "Bzoba", "Bird", "First work, then jump" and others. (Jagodnishvili, 1986:47).

In 1881, the newspaper "Iveria" published Rafiel Eristavi's poems: "The Mother Tongue" and "Motherland of Khevsur" which filled everyone's hearts with patriotic feelings. This voice and pathos were needed like air to wake up the Georgians of that time.

That is why they called the "Motherland of Khevsur" the "Eleventh Commandment". Almost all Georgians knew it orally. This is what the collection published in 1899 wrote about it: "It will forever remain as the "Eleventh Commandment" of young Georgians" (Collection "Secular holiday, on the occasion of the anniversary of R. Eristavi", 1899: 11).

Children's poems of Raphiel Eristavi were translated by Arthur Laist and published in the German and Polish press. The poem "Invitation to School" by Jacob Gogebashvili is included in his school textbook.

Children's poetry of Raphiel Eristavi encouraged children to work and study. It is also worth noting that Raphiel Eristavi translated I. Krylov's fables, he wrote Sulkhan-Saba Orbelian's fables as verse.

Raphiel Eristavi paid attention to the delicacy of the child's soul, in his opinion, a poem is not only an aesthetic pleasure but also helps children to perceive the world.

Along with Yakob Gogebashvili, Raphiel Eristavi is considered to be the founder of Georgian children's literature.

Keywords: *children's, poetry, spirituality, patriotic, popular.*

თამარ შარაბიძე

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-8031-9528
Shagno12@gmail.com

ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი

ილია ჭავჭავაძესა და რაფიელ ერისთავს შორის განსხვავება 13 წელიწადია; ისინი თანამედროვეები არიან; თუმცა რაფიელს 60-იანელები „უხუცესად“ და „მოხუც პოეტად“ მოიხსენიებენ. ეტყობა, ერთ ათეულ წელსაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყანაში თერგდალეულების „დაბადე-ბამდე“ რაფიელ ერისთავმა მრავალი სახელმწიფო სამსახური გამოიცვალა და ყველგან და ყოველთვის ემსახურებოდა ქართულ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ის უფროსი თაობის წარმომადგენლად ითვლებოდა, რაფიელი გვერდში ამოუდგა ახალ თაობასა და მის თავკაცს _ ილია ჭავჭავაძეს. ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის დროს“, როდესაც ილიამ პასუხი მკაცრი გასცა ბარბარე ჯორჯაძეს (რაფიელის დას) ენის საკითხებთან დაკავშირებით და მას სხვა ახალთაობელებიც აჰყვნენ, ჩანს, რაფი-ელ ერისთავმა პოლემიკაში ჩართვისგან თავი შეიკავა. ვფიქრობთ, თუ არა მას, იგავ-არაკების მთარგმნელსა და შემქმნელს, პოეზიაში მთის კილოს შემომტანს, გლეხთა გულშემატკივარს, სხვას ვის უნდა სცოდნოდა სახალხო ენის შემოტანის აუცილებ-ლობის მნიშვნელობა სალიტერატურო ქართულში?! რაფიელს ილიასთან ახლო ნათესაური ურთიერთობაც ჰქონდა – მისი ბიძა და ილიას გამზრდელი მამიდა მაკრინე ცოლ-ქმარნი იყვნენ; თუმცა შემორჩენილი ეპისტოლეებიდან, საქმიანი დოკუმენ-ტებიდან და პუბლიკაციებიდან მათი ურთიერთობა ლიტერატურულ-საზოგადოებ-რივი ხასიათისა უფროა. რაფიელ ერისთავმა შეაფასა ილიას მიერ ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებული გლეხური სიმღერები და ამ ფაქტს დიდი ეროვნული საქმე უწოდა. ამას მოჰყვა რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის ერთობლივი კრებულის – „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ – ცალკე წიგნად გამოცემა.

ილია ჭავჭავაძესთან რაფიელ ერისთავს მრავალი საზოგადო საქმე აკავში-რებდა. ისინი ერთობლივი მონაწილეები იყვნენ წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობის სხდომებისა, ქშწკგ საზოგადოების კრებებისა, „მეფე ლირის“ დადგმის-თვის საჭირო მსახიობების შესარჩევი კონკურსისა; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის სხდომებისა, სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოებისა.

ილია გაითვალისწინა რაფიელ ერისთავის მისწრაფება და კომპეტენცია ძველი ხელნაწერების შეკრება-გამოქვეყნებისა და 1881 წელს ქშწკგ საზოგადოების სხდო-მაზე სწორედ მას დაავალა გრიგოლ ჩარკვიანისაგან შესასყიდი წიგნების შერჩევა; ასევე ამავე წელს – ბიბლიოთეკის პროექტისა და წიგნების შეგროვების გეგმის შედგენა.

1884 წელს არტურ ლაისტის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ილიამ ჯერ სადილი გამართა, შემდეგ კი 31 დეკემბერს ქართველი მოღვაწეები ახალი

წლისა და „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლის შესახვედრად მიიწვია. საახალწლო სუფრის თამადა შეუცვლელი რაფიელ ერისთავი ყოფილა. მიღებული შთაბეჭდილებები აღწერილია არტურ ლაისტის მოგონებებში, ასევე – ილია ბახტაძის (ხონელი) „ივერიაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციაში.

ილიასა და რაფიელის ურთიერთობა განსაკუთრებით წარმოჩნდება 1887 წლის დეკემბერში დავით სარაჯიშვილის სახლში გამართულ ნადიმზე, სადაც ილიამ „ოთარაანთ ქვრივი“ წაიკითხა. ნაწარმოების რაფიელისეული შეფასება შემოგვინახა პოეტის პირად ფონდში დაცულმა ერთტაეპიანმა ლექსმა:

„დღევანდლამდის, ჭეშმარიტად ქვრივი მე არ მყვარებია...“

რაფიელ ერისთავის კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოღვაწეობის დროს ილიას მიერ რაფიელისადმი გაგზავნილი ბარათებიდან ყველაზე მეტად საინტერესოა 1889 წლის წერილი, რომელშიც ის თხოვს რაფიელს მიხეილ ნასიძის ლექსის შეუცვლელად დატოვებას. რაფიელი, თავისი თავის საზიანოდ, ილიას სურვილს აკმაყოფილებს.

ილიამ მონაწილეობა მიიღო 1895 წელს გამართული რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილის პროგრამის შედგენაში, მგოსნის გვერდით იჯდა მთელი საღამო და სიტყვითაც გამოვიდა.

რაფიელ ერისთავის გარდაიცვალება დიდი დანაკლისი იყო ილია ჭავჭავაძისთვის. მისი სულის მოსახსენიებლად ქშწკგ საზოგადოებამ ქაშვეთის ეკლესიაში გამართა პანაშვიდი, რომლის ორგანიზება ილიას ეკუთვნოდა.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა.*

Tamar Sharabidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-8031-9528
Shagno12@gmail.com

Ilia Chavchavadze and Raphiel Eristavi

The difference between Ilia Chavchavadze and Raphiel Eristavi is 13 years; They are contemporaries; However, people of the 60s refer to Raphiel as "elder" and "old poet". It seems that even one decade is of great importance from the point of view of public activity. Before the "appearance" of Tergdaleulebi in the country, Raphiel Eristavi changed many government jobs and served the Georgian cause everywhere and always. Although he was considered a representative of the older generation, Raphiel stood by the side of the new generation and its leader – Ilia Chavchavadze. During the " the so-called Clash of Fathers and Sons", when Ilya gave a harsh answer to

Barbare Jorjadze (Raphiel's sister) regarding language issues and other new generation youths followed him, it seems that Raphiel Eristavi refrained from getting involved in polemics.

We think, who but him the translator and creator of fables, the establisher of mountain dialects in poetry, the fan of the peasants, would have known the importance of the need to introduce the folk language into literary Georgian?! Raphiel had a close relationship with Ilya - he and Ilya's foster aunt Makrine were husband and wife; however, from the surviving epistles, business documents and publications, their relationship is more of a literary-social nature. Raphiel Eristavi evaluated the peasant songs published by Ilya in the "Collection" magazine and regarded the fact as a great national matter. It was followed by the publication of the joint collection of Raphiel Eristavi and Ilia Chavchavadze - "Peasant Songs, Poems and Proverbs" - as a separate book.

Many public affairs connected Raphiel Eristavi with Ilia Chavchavadze. They were joint participants in the meetings of the book publishing association of Georgians, the meetings of the Society of the People' literacy, the competition for the selection of actors needed for the production of "King Lear"; determination and publishing sessions of the "Man in the Panther's Skin" text, various charity evenings.

Ilia took into account Raphiel Eristavi's aspiration and competence to collect and publish old manuscripts, and in 1881, at the meeting of the Society of the People's Literacy, he entrusted him with the selection of books to be purchased from Grigol Charkviani; Also in the same year, drawing up the library project and book collection plan. In connection with Arthur Laist's arrival in Georgia in 1884, Ilia first held a dinner, and then on December 31, he invited Georgian figures to celebrate the New Year and the release of the first issue of "Iveria". Raphiel Eristavi was irreplaceable at the New Year table. The vivid impressions are described in Arthur Laist's memoirs, as well as in the publication printed in "Iveria" by Ilia Bakhtadze (Khoneli). The relationship between Ilya and Raphiel is particularly evident at the Banquet held in Davit Sarajishvili's house in December 1887, where Ilya read "Otaraant Widow". Raphiel's assessment of the work was preserved in the personal fund of the poet:

"Until today, I had never loved a true widow...."

The most interesting of the cards sent by Ilia to Raphiel during his tenure in the Caucasian censorship committee of Raphiel Eristavi is the letter of 1889, in which he asks Raphiel to leave Mikheil Nasidze's poem unchanged. Raphiel, to his detriment, fulfills Ilya's wish. Ilya took part in drawing up the program of the 50th anniversary of Raphiel Eristavi held in 1895, he sat next to the poet all evening and gave a speech. The death of Raphiel Eristavi was a great loss for Ilia Chavchavadze. For the remembrance of his soul, the Peopple's Literacy Society held a funeral in the Kashveti church, the organization of which belonged to Ilia.

Keywords: *Raphiel Eristavi, Ilia Chavchavadze, relationship.*

ლალი შაშიაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი
არქიტექტორი
თბილისი, საქართველო
lalikoshashiashvili@yahoo.com

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა

თანამედროვე სამყაროს ცნობიერებაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თითოეული ძეგლი ეროვნული მნიშვნელობის ობიექტია, რომელშიც ისტორიისა და ეპოქის სულიერი და კულტურული ღირებულებებია ასახული.

ბუნებრივია, დასაფასებელი და საამაყოა მსგავსი მნიშვნელობისა და ღირებულებების მატარებელი ობიექტები, რომლებიც ხიბლს ანიჭებენ დროსა და სივრცეს. ასე იქმნება ღირსშესანიშნაობები, რომლებიც ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყნისა თუ კუთხისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, მათი შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა მნიშნელოვანია. თუმცა დღეს საკმაოდ აქტუალურია რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის საკითხისადმი განსხვავებული მიდგომები. ხშირია რეკონსტრუქციით გამოწვეული თავდაპირველი იერსახის ცვლილება, ამა თუ იმ ნაგებობის სივრცესთან მიმართებაში კონცეფციური ამოვარდნა, რაც თავის მხრივ ქალაქისა თუ სოფლის იერსახეზე უარყოფითად აისახება.

პროექტის არსი: რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია/რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მისი ინფრასტრუქტურული განვითარება გულისხმობს მწერლის მემორიალური სახლის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენას და თანამედროვე მოთხოვნებისადმი მორგებას. შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, ნაგებობას უნდა დაუბრუნდეს ავთენტური იერსახე. ამავდროულად, მისი ფუნქციური დატვირთვისა და გაცოცხლებისათვის აუცილებელია მე-19 საუკუნის არქიტექტურული შენობის თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნების გათვალისწინებით დატვირთვა.

მიზანი: უმთავრესი მიზანია, რეგიონალური მოძრავი, უძრავი და ცოცხალი კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული მეხსიერების დაცვა-შენარჩუნება და რეგიონში აქტივობებით დატვირთული, მულტიფუნქციური სამუზეუმო, საგანმანათლებლო, რეწვითი, კომერციალიზებული (გასტრონომიული, სასუვენირე და სხვა) სივრცის შექმნა.

პროექტის მიზანია, რაფიელ ერისთავის მემორიალური სამუზეუმო კომპლექსის რეაბილიტაციისა და სამუზეუმო ადაპტაციის პროექტის მომზადება. პროექტმა პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს არაგვის საერისთავოსა და ერისთავების ისტორიას, მათთან დაკავშირებულ კულტურულ მემკვიდრეობას, რაფიელ ერისთავისა და მისი დის, ბარბარე ჯორჯაძის საინტერესო და მრავალმხრივ მოღვაწეობას, ხელი შეუწყოს რაფიელ ერისთავის მემორიალური სახლ-მუზეუმის სრულფასოვან, საინტერესო და

მრავალფუნქციურ სივრცედ გარდაქმნასა და რეგიონის კულტურულ ჰაბად ჩამოყალიბებას.

ახალი მუზეუმი უნდა იყოს არაფორმალური განათლების, ტრადიციული რეწვის ხელშემწყობი, შემეცნებით-ისტორიული შინაარსით დატვირთული მარნისა და კაფეს („ბუფეტის) „ბარბარე“, შემოქმედებით-კულტურული ღონისძიებების თანამედროვე კერა, გათვლილი მულტიეთნიკურ-რელიგიურ მოთხოვნებზე, გენდერულ თანასწორობაზე, რეგიონში ქალის სოციალიზაციასა და აქტივობის ზრდაზე, ადგილობრივი თემის განვითარებაზე. მარნის, კაფეს, სასუვენირე სივრცეების ფუნქციონირებით ხელი შეეწყობა ადგილობრივთა დასაქმებას, კულტურული, ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის, რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის მოწყობა.*

Lali Shashiashvili

Univesrity of Georgia
Architect
Tbilisi, Georgia
lalikoshashiashvili@yahoo.com

Reconstruction, Rehabilitation, and Infrastructure Development of Raphiel Eristavi's House-Museum

In contemporary global consciousness, monuments of cultural heritage hold significant value. Each monument is an object of national importance, reflecting the spiritual and cultural values of history and the era it represents. Naturally, objects of such significance and value, which enrich the perception of time and space, are worthy of respect and pride. These monuments become landmarks, serving as a kind of calling card for a country or region.

Given this, their preservation and maintenance are crucial. However, today there are varied approaches to the issue of reconstruction and rehabilitation. Often, reconstruction leads to alterations in the original appearance, conceptual dissonance with the surrounding environment, and negative impacts on the visual integrity of towns and villages.

Project Essence

The restoration, rehabilitation, and reconstruction of Raphael Eristavi's House-Museum, along with its infrastructural development, aim to restore the writer's memorial house as a cultural heritage monument and adapt it to modern standards. Based on thorough research, the building should regain its authentic appearance. At the same time, to revitalize its functional role, it must be adapted to meet modern museum requirements, ensuring the 19th-century architectural structure serves contemporary needs.

Objective

The primary goal is the preservation and protection of regional movable, immovable, and living cultural heritage, historical memory, and the creation of a multifunctional museum, educational, craft, and commercial space (including gastronomic and souvenir offerings) filled with activities**.**

The project aims to prepare a rehabilitation and museum adaptation plan for Raphael Eristavi's memorial complex. It seeks to promote the history of Aragvi Saeristavo and the Eristavi family, the cultural heritage associated with them, and the fascinating and multifaceted work of Raphael Eristavi and his sister, Barbare Jorjadze. The project will also contribute to transforming the memorial house museum into a vibrant and multifunctional space, establishing it as a cultural hub for the region.

The new museum will support informal education, and traditional crafts, and house a winery and café ("Buffet Barbare") with educational and historical content. It will also be a modern venue for creative and cultural events, catering to multi-ethnic and religious needs, promoting gender equality, the socialization and empowerment of women in the region, and the development of the local community. The functioning of the winery, café, and souvenir spaces will aid local employment, and foster the development of cultural, wine, and gastronomic tourism, supporting the sustainable economic growth of both the region and the country.

Keywords: *Raphiel Eristavi House-Museum, reconstruction, rehabilitation, infrastructure development.*

ვაჟა შენგელია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების
ხელმძღვანელი
თბილისი, საქართველო
vazhashengelia@gmail.com

ლალი იორდანიშვილი – რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობის მკვლევარი

ფილოლოგიის დოქტორი ლალი იორდანიშვილი (1927–2011) იყო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, ერუდიციითა და სიდარბაისლით გამორჩეული პიროვნება, რომელიც თითქმის სამოცი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში.

ლ. იორდანიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მრავალი დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენაში, წარმატებით იკვლევდა ლექსიკოლოგიისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით ლ. იორდანიშვილმა მოამზადა დისერტაცია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის, ეთნოლოგისა და ლექსიკოგრაფის რაფიელ ერისთავის ენის თავისებურებათა შესახებ. ნაშრომის პირველ ნაწილში მკვლევარმა განიხილა მწერლის თხზულებათა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი, აგრეთვე, მისი სტილის ზოგიერთი საკითხი; ყურადღება გაამახვილა პერსონაჟთა მეტყველებაზე, მწერლის მიერ გამოყენებულ იდიომატურ და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებზე.

ლ. იორდანიშვილის ნაშრომის მეორე ნაწილი ეძღვნება რაფიელ ერისთავის ღვაწლის წარმოჩენას ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოლოგიის სფეროში; სამეცნიერო კვლევის საგანია როგორც გამოქვეყნებული, ისე ხელნაწერი ლექსიკონები.

ანალიზისას მკვლევარი ემყარება, ერთი მხრივ, რ. ერისთავის სიცოცხლეში განხორციელებულ პუბლიკაციებს, მეორე მხრივ, საარქივო მასალას.

ლ. იორდანიშვილის ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: *ენა, ტერმინოლოგია, თავისებურებანი, ერუდიცია, წვლილი.*

Vazha Shengelia

TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics
Doctor in Philology, Head of the Department of Mountain Iberian-Caucasian Languages at Arn.Chikobava Institute of Linguistics
Tbilisi, Georgia
vazhashengelia@gmail.com

Lali Iordanishvili – the Researcher of Raphiel Eristavi Haritage

Doctor of Philology Lali Iordanishvili (1927-2011) was a highly qualified specialist, a person distinguished by her erudition and gravity, who worked productively for almost sixty years in the Scientific Terminology Department of the Arnold Chikobava Institute of Linguistics. L. Iordanishvili took an active part in the compilation of scientific terminology of many fields, successfully researched urgent issues of lexicology and scientific terminology.

Under the Acad. Arn. Chikobava's leadership L. Iordanishvili prepared a dissertation on the peculiarities of the language of Raphael Eristavi, an outstanding representative of Georgian literature of the second half of the 19th century, ethnologist and lexicographer. In the first part of the work, the researcher discussed the phonetic, morphological and syntactic features of the writer's literary works, as well as some issues of his style; She focused on characters' speech, idiomatic and phraseological expressions used by the writer.

The second part of L.Iordanishvili's work is dedicated to presenting the merits of Raphael Eristavi in the field of lexicography and terminology; Both published and handwritten dictionaries are the subject of scientific research.
In the analysis, the researcher is based, on the one hand, on the publications carried out during R. Eristavi's lifetime, on the other hand, on the archival material.

L. Iordanishvili's work is an important contribution to the study of Raphael Eristavi's heritage.

Keywords: *ena „language", terminologia ,,terminology", taiseurebani ,,peculiarities", erudicia „erudition", tsvlili „contribution"*

ნინო შიოლაშვილი

ისტორიის დოქტორი
ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
shiolashvilinino7@gmail.com

ბერი ეგნატაშვილის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის (თექთურმანიძეთა გვარის ისტორიისათვის)

XV საუკუნის საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების მოშლის შედეგად წარმოიქმნა ახალი ფეოდალური ინსტიტუტი – სათავადოები, რომლებიც ნახევრად დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდნენ. ქართლის სამეფოში შემავალი ერთ-ერთი ასეთი ძლიერი სათავადო იყო არაგვის საერისთაო. მისი წარმოშობისა და ერისთავების ვინაობის შესახებ ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. წყაროთა ერთი ნაწილი ერისთავებად შაბურისძეებს ასახელებს, ზოგიერთი ცნობით კი – თექთურმანიძეებს, ჭარმეულებს, ბაზალისძეებს და სიდამონიძეებს. განსხვავებულია ბერი ეგნატაშვილის ცნობა, რომლის თანახმადაც „ხევის პატრონები“ იყვნენ თექთურმანისძეები, რომლებიც არაგვის ერისთავების წინაპრებმა ამოწყვიტეს და ხევს დაეპატრონნენ. თექთურმანიძეთა „ხევის პატრონობის“ საკითხი გარდა ზემოთხსენებული წყაროსი არსად დადასტურებული არ არის.

ეგნატაშვილის ეს ცნობა მეცნიერთა ნაწილის მიერ უკრიტიკოდ იქნა მიღებული. რითიც საფუძველი დაედო მცდარ მოსაზრებას, ხევის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის – საერისთავოს არსებობას თექთურმანიძეთა დინასტიით სათავეში. ბერი ეგნატაშვილის ნაშრომს რომ ბევრი უზუსტობა და შეცდომები ახასიათებს, ეს ჯერ კიდევ მისი დროის ცნობილმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბატონიშვილმა შეამჩნია და სათანადოდ გააკრიტიკა. მისი პერიოდის უცნობი კრიტიკოსი მას „შურით და მტერობით“ მოქმედ მწერლად მოიხსენიებს, ხოლო ივანე ჯავახიშვილი კი მის თხზულებასთან დაკავშირებით ბევრ ისტორიულ ნაკლოვანებასა და ანაქრონიზმებზე მიუთითებდა.

არაგვის საერისთაოს შესწავლასთან დაკავშირებით მეცნიერებმა გარკვეული ადგილი დაუთმეს თექთურმანიძეთა საკითხს და საკუთარი მოსაზრებებიც გამოთქვეს, მაგრამ, აღნიშნული საგვარეულოს ისტორია დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევია.

საქართველოს მთიანეთის ისტორიის, მისი საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის პირველხარისხოვანი წყაროების (გერგეტის „სულთა მატიანე“, „ძეგლი ერისთავთა“ და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“) ანალიზის შედეგად ხევის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი, ცალკე საერისთაოს კვალი არ იკვეთება. ამას გარდა, ნიშანდობლივია, რომ გერგეტის „სულთა მატიანე“, რომელიც საგანგებოდ მოიხსენიებს არაგვის ერისთავებს (რამდენიმე დინასტიას), ქვენიფნეველებს და ათაბაგებსაც კი, არ იცნობს თექთურმანიძეებს. თავისთავად გაუგებარია, ბერი ეგნატაშვილის ცნობა თექთურმანიძეების „ხევის პატრონობის“ საკითხი. თუმცა, ჩვენი ვარაუდის გასამყარებლად საჭიროა დამატებითი სხვა მასალის მეშვეობით

აღნიშნული საკითხის ღრმა კვლევა. ასეთი სამუშაოს ჩატარება კი ხანგრძლივ დროს მოითხოვს, როგორც საბუთების ძიების, ისე მათი კვლევა-დამუშავების მხრივ.

საკვანძო სიტყვები: *ბერი ეგნატაშვილი, თექთურმანიძეთა გვარი, სათავადოები, საქართველოს მთიანეთის ისტორია.*

Nino Shiolashvili

PhD in History
Saint Andrew's Georgian University
Associate Professor
Tbilisi, Georgia
shiolashvilinino7@gmail.com

Regarding the History of Tekturmanisdze Family

In the 15th century, as a result of the breakup of the central government in Georgia, there was established a new feudal institution – Satavado (principality), which was a semi-independent, political-administrative unit. One of the powerful principalities included in the Kartli kingdom was Aragvi Saeristavo (dukedom). There are different viewpoints about its origin and the identities of its rulers (Eristavs) in historical sources and scientific literature. According to some sources, Shaburidzes used to be Eristavs (dukes) of the principality, while the others were named Tekturmanidzes, Charmeulis, Bazalisdzes and Sidamonidzes. The information of Beri Egnatashvili is different; according to it, the "owners of the Khevi (ravine)" were Tekturmanisdzes, who have been annihilated by the ancestors of Aragvi Eristavs (dukes), taking possession of the ravine. Tekturmanisdzes' "ownership of the ravine" is not confirmed anywhere except the above-mentioned source.

This information from Egnatashvili was accepted by some scientists without criticism, thus, giving basis to false consideration regarding the existence of an independent political unit - Saeristavo (principality) on the territory of Ravine, under the leadership of the Tekturmanisdze dynasty. Vakhushti Batonishvili, a well-known historian of that time, had noticed that monk Egnatashvili's work is full of inaccuracies and mistakes and criticized it accordingly. An unknown critic also of that time refers to him as a writer acting with "envy and enmity", while Ivane Javakhishvili points out many historical defects and anachronisms about his work.

When studying Aragvi Principality, scientists have given special consideration to Tekturmanidzes issue and expressed their own opinions, but still, no one has scrutinized the history of this family up to date.

As a result of the analysis of the primary sources of the history of Mtianeti (Mountainous Area – a region in eastern Georgia) of Georgia, the social and political structure of its society (Gergeti's "Sulta Matiane", "Dzegli Eristavta" and George V "Dzeglisdeba" – book of laws), there is no evidence of independent, separate secular governance on the territory of Khevi (ravine). In addition to this, it is significant that Gergeti's "Sulta Matiane", which specifically mentions Aragvi Eristavs (several dynasties), Kvenifnevellis and even Atabags, says nothing about Tekturmanidzes. Beri Egnatashvili's reference to the issue of Tekturmanidzes' "ownership of the ravine" is obviously incomprehensible. However, in order to strengthen our assumption, a deeper study of the above issue is needed through additional materials, which is the goal of our further work.

Keywords: *Tekturmanisdze family, Saeristavo, Beri Egnatashvili.*

თამარ ციციშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
t.tsitsisvili@yahoo.com

XIX საუკუნის ქართული მწერლობა და ქალის ხედვა (ბარბარე ჯორჯაძე)

უძველესი პერიოდიდან მეცნიერება და ხელოვნება მხოლოდ მამაკაცის პრივილეგიად მიიჩნეოდა. XIX საუკუნეებში ევროპაში განახლებისა პროცესი იწყება და საზოგადოებრივ და სამწერლო სარბიელზე აქტიურად ჩნდებიან ქალები, რომელთა შემოქმედებამ მკითხველთა გულები დაიპყრო. XIX საუკუნეში ქართველი ქალებიც აქტიურად ერთვებიან თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში. მართალია, საქართველოში ისტორიულად ყოველთვის ქალის კულტი იყო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობის ჟამს, ქალი უპირატესად მაინც მხოლოდ შვილების აღზრდითა და საოჯახო საქმით იყო დაკავებული. საქართველოში ქალის როლზე, სხვადასხვა პერიოდში, ისლამური სახელმწიფოების დამპყრობლურმა პოლიტიკამაც იქონია ზეგავლენა. მე-19 საუკუნეშიც ქართველ კონსერვატორების ნაწილი, აქტიურად ილაშქრებდა ქალთა უფლებების წინააღმდეგ. ისინი მიიჩნევდნენ ,რომ ჩვენ თუ „რაშიმე მამა-პაპის ჩვეულებას გადავუდგებოდით“, სულ დავიღუპებოდით. ქართველი ქალების ერთ-ერთი პირველი დამცველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე აღმოჩნდა, რომლის წერილი „ქართველი ქალები“ ჟურნალ „ცისკარში“დაიბეჭდა. კონსერვატორების საწინააღმდეგოდ ქართველი მამაკაცების ახალმა თაობამ, ლიბერალებმა გაიღაშქრეს. ისინი არა მარტო ქალების დამცველებად მოგვევლინენ, არამედ ახალისებდნენ და ყოველ სასიკეთო საქმეში მხარში ედგნენ მათ -ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, და სხვები. XIX საუკუნის ქართული პრესაც ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ქალთა მოძრაობის საკითხები გაეშუქებინა. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპის დამრღვევი, არსებული რეალობის შემცვლელი და სიახლის ერთ-ერთი პირველი მაუწყებელი მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძე (1833-1895) გახლდათ. ბარბარე ჯორჯაძემ ლიტერატურის ყველა ჟანრში სცადა ბედი. ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი პოეტური, პროზაული, დრამატული ტექსტები და კრიტიკული წერილები. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა მამათა და შვილთა ბრძოლაში. ჯორჯაძემ დაამტკიცა, რომ: „როგორც ბევრს ჰგონიათ ქალის დანიშნულება მარტო გარეგანი მშვენიერება არ არის, რომ ქალის უაღრესობა და ანგელოსებრივი ძალა შინაგან მშვენიერებაზედ არის დაყრდნობილი და რომ შინაგანი მშვენიერება არის ხანგრძლივი და მარადის უკვდავი" („ივერია"). ბარბარე ჯორჯაძის ტექსტების თემატიკა დიდად იყო განსაზღვრული მწერალი ქალის თანამედროვე პერიოდის საქართველოს რთული და მძიმე პოლიტიკური ისტორიით. საგულისხმოა, რომ მწერლის მოთხრობები შეიცავს უხვეთნოგრაფიულ ცნობებს ქართული ტრადიციების, ადათ-წესებისა და რიტუალების შესახებ, ძველ, ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო ამბებს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, მაგრამ საინტერესო ისტორიებს. მწერალი ქალი ახალფეხადგმულ

ქართულ თეატრალურ ცხოვრებაშიც იყო ჩართული. სწორედ მისი კომედიით "რს ვეძებდი და რა ვპოვე" – გაიხსნა 1879 წლის 5 სექტემბერს განახლებული ქართული პროფესიული თეატრის პირველი სეზონი. განსაკუთრებული თემაა ბარბარე ჯორჯაძის ფართოდ ცნობილი „სამზარეულოს წიგნი" ბარბარე ჯორჯაძე იყო პირველი მწერალი ქალი, „პირველი მერცხალი", ვის შემდეგაც საზოგადოებამ კარი გაუღო სხვა ქართველ მწერალ ქალებს.

საკვანძო სიტყვები: *XIX საუკუნე, ქალი მწერლები, ბარბარე ჯორჯაძე.*

Tamar Tsitsishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Senior Researcher
Tbilisi, Georgia
t.tsitsisvili@yahoo.com

Women's Vision and 19th-century Georgian writing (Barbare Jorjadze)

Since ancient times, science and art were considered only the privilege of men. In the XIX century, the process of renewal began in Europe, and women actively appeared on the public and literary scene, whose works captured the hearts of readers. In the XIX century, Georgian women were also actively involved in the struggle for equality. It is true that historically there has always been a cult of women in Georgia, but during the centuries-old hardships of our country, women were mainly engaged in raising children and doing family work. In different periods, the conquering policy of the Islamic states had an impact on the role of women in Georgia. Even in the XIX century, a part of Georgian conservatives actively campaigned against women's rights. They believed that if we "turned away from the customs of our parents", we would all die. One of the first defenders of Georgian women turned out to be historian Dimitri Bakradze, whose letter "Georgian Women" was published in "Tsiskari" magazine. A new generation of Georgian men, the liberals, marched against the conservatives. They not only came to us as defenders of women, but also encouraged them and supported them in every good work - Ilia, Akaki, Vazha, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli, Sergei Meskhi, and others. The Georgian press of the XIX century did not make any effort to cover the issues of the women's movement. In XIX-century Georgian writing, Barbara Jorjadze (1833-1895) was a

woman writer who broke the prevailing stereotype in society, changed the existing reality and was one of the first broadcasters of news. Barbara Jorjadze tried her luck in all genres of literature. Her poetic, prose, dramatic texts and critical letters were systematically printed in the Georgian periodical press. She took an active part in the struggle of fathers and sons. Jorjadze proved that: "As many people think, the purpose of a woman is not only external beauty, that the supremacy and angelic power of a woman is based on internal beauty, and that internal beauty is long-lasting and eternally immortal" ("Iveria"). The subject matter of Barbara Jorjadze's texts was largely determined by the complicated and difficult political history of Georgia in the modern period of the woman writer. It is significant that the writer's stories contain non-ethnographic information about Georgian traditions, customs and rituals, old, everyday, household stories, and seemingly ordinary but interesting stories. The writer was also involved in the fledgling Georgian theater life. It was with her comedy – "What I was looking for and what I found" - that the first season of the renewed Georgian Professional Theater was opened on September 5, 1879. A special topic is the widely known "Kitchen Book" by Barbara Jorjadze. Barbara Jorjadze was the first woman writer, the "first swallow", after whom society opened its doors to other Georgian women writers

Keywords: *XIX century, Women writers, Barbara Jorjadze.*

მანანა წერეთელი

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-2597-1791
mtsereteli@ug.edu.ge

„განჯაფა“ რაფიელ ერისთავის წერილებში

ეს კვლევა შეისწავლის განჯიფას (ასევე განჯაფა) არსებობას მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ინტელექტუალის, რაფიელ ერისთავის კორესპონდენციაში. განჯიფა, ტრადიციული ქართული თამაშია, რომელიც წარმოშობით სპარსეთიდანაა და პოპულარულია აზიის სხვადასხვა ნაწილში. რაფიელ ერისთავის წერილებში დაცული ინფორმაცია უნიკალურ პერსპექტივას გვთავაზობს მე-19 საუკუნის საქართველოში კულტურული გაცვლისა და ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის შესასწავლად. კვლევის მიზანია გააანალიზოს განჯიფას ხსენების კონტექსტი და მნიშვნელობა ერისთავის წერილებში, გაითვალისწინოს მისი გავლენა საქართველოსა და მის აღმოსავლელ მეზობლებს შორის კულტურული არტეფაქტებისა და იდეების ცირკულაციის გასაგებად. ერისთავის განჯიფასთან დაკავშირების შესწავლით, ეს კვლევა ცდილობს გააშუქოს ქართული ელიტური კულტურის ასპექტები, კულტურათაშორისი ურთიერთობის მოდელები და აღმოსავლური ტრადიციების პოტენციური გავლენა ქართულ საზოგადოებაზე ამ პერიოდში. შედეგებმა შეიძლება წვლილი შეიტანოს უფრო ფართო დისკუსიებში კულტურულ დიფუზიაზე, ქართველი ინტელექტუალების ინტერესებზე და თამაშების როლზე სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მე-19 საუკუნის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: *ისტორია, ქალები, ეროვნული ცნობიერება.*

Manana Tsereteli

PhD in Social and Cultural Anthropology
The University of Georgia
Assistant Professor
Researcher at the Tamaz Beradze Institute of Kartvelology
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-2597-1791
mtsereteli@ug.edu.g

Ganjifa (also known as ganjafa) in the Correspondence of Raphiel Eristavi

This study examines the presence of Ganjifa (also known as ganjafa) playing cards in the correspondence of Raphiel Eristavi, a prominent 19th-century Georgian intellectual. Ganjifa, a traditional card game originating in Persia and popular in various parts of Asia, appears as a subject of interest in Eristavi's letters, offering a unique lens through which to explore cultural exchange and intellectual curiosity in 19th-century Georgia. The research aims to analyze the context and significance of ganjifa's mention in Eristavi's writings, considering its implications for understanding the circulation of cultural artifacts and ideas between Georgia and its eastern neighbors. By investigating Eristavi's engagement with ganjifa, this study seeks to illuminate aspects of Georgian elite culture, patterns of cross-cultural interaction, and the potential influence of Eastern traditions on Georgian society during this period. The findings may contribute to broader discussions on cultural diffusion, the interests of Georgian intellectuals, and the role of games in social and cultural life during the 19th-century.

Keywords: *History, women, national consciousness*

მარუსია ჭავჭავაძე

დამოუკიდებელი მკვლევარი
ნიუ იორკი, აშშ

marusyachav@gmail.com

პავლე ჭავჭავაძის ოჯახის ისტორია

მე მრავალი საოცარი მოგონება მაქვს ჩემს პაპაზე, პავლე ჭავჭავაძეზე (1899–1971). ბავშვობაში ჩემი და და მე ზაფხულებს მასაჩუსეტსის შტატში, კეიპ კოდზე, ბებიასთან და პაპასთან ვიზიტებით ვატარებდით. ჩვენ ვუსმენდით პაპას, რომელიც გვიყვებოდა ჭავჭავაძეების წინაპრებზე, მღეროდა და გიტარაზე უკრავდა. 1918 წელს, პავლე იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო, დედასთან, ძმა გიორგისთან და და მარინასთან გაერთიანდა ბესარაბიის ქიშინოვში, ხოლო მისი მამა, ალექსანდრე ჭავჭავაძე, საქართველოში დარჩა. პავლემ რამდენიმე წელი ლონდონში გაატარა, შემდეგ კი 1923 წელს მეუღლე ნინასთან და 3 წლის ვაჟთან, დავითთან (ჩემს მამასთან) ერთად აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. ამერიკაში პავლე მწერალი გახდა და რამდენიმე ისტორიული რომანი და მემუარი დაწერა.

ამ სტატიაში ვყვები ჩემი პაპის, პავლე ჭავჭავაძის, ოჯახის ისტორიას რევოლუციამდე და ემიგრაციაში რევოლუციის შემდეგ. პავლე იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილის შვილი, ხოლო მისი მეუღლე, ჩემი ბებია ნინა, რომანოვების ოჯახის წევრი იყო. როდესაც 1994-2023 წლებში, საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ აღმასრულებელი დირექტორის რანგში, საქართველოში ხშირად ვმოგზაურობდი, ხალხი ხშირად მეკითხებოდა ჩემს პაპაზე, პავლეზე, და რა ბედი ეწია მას, მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო. 1977 წელს მამამ პირველად წამიყვანა წინანდალში და 1996 წლიდან თითქმის ყოველ წელს ვსტუმრობდი იქ. წინანდლის მუზეუმს ვაჩუქე პაპას მიერ ინგლისურად დაწერილი სამი წიგნი, მათ შორის *„საოჯახო ალბომი“*, რომელზეც დაყრდნობითაც დავწერე ეს სტატია.

როგორც რუსული რევოლუციის მრავალი სხვა დევნილი, ჩემი ბებია და პაპაც ფინანსურ სირთულეებს განიცდიდნენ.

საკვანძო სიტყვები: *პავლე ჭავჭავაძე, ქართველები ემიგრაციაში, ალექსანდრე ჭავჭავაძე.*

Marusya Chavchavadze

Former Executive Director of American Friends of Georgia
Independent Researcher
New York, USA
marusyachav@gmail.com

Paul Chavchavadze Family History

I have many wonderful memories of my grandfather Paul Chavchavadze (1899-1971). My sister and I spent our summers as children visiting our grandparents on Cape Cod in Massachusetts. We would listen to our grandfather's stories about his Chavchavadze ancestors, singing songs and playing the guitar. In 1918, Paul was forced to flee Georgia, joining his mother, brother George and sister Marina in Kishineff, Bessarabia. Paul's father Alexander Chavchavadze remained behind in Georgia. Paul moved for several years to London before emigrating to the United States in 1923 with his wife Nina and his 3-year-old son David (my father). In the United States, Paul became a writer and wrote several historical novels and memoirs.

In this article, I describe the family history, both before the Revolution and in immigration after the Revolution, of my grandfather Paul, who was the great-great grandson of the poet Alexander Chavchavadze, and of his wife my grandmother Nina, who was a Romanoff. During my many visits to Georgia as executive director of the US charity American Friends of Georgia (1994-2023), I was often asked about my grandfather Paul and what happened to him after he was forced to leave Georgia. My father had taken me to visit Tsinandali in 1977 and beginning in 1996, I visited Tsinandali almost every year. I gave the Tsinandali Museum three books that my grandfather Paul had written in English, including a book he wrote about the history of his family, 'Family Album', which I used to write this article.

Like many other refugees from the Russian Revolution, my grandparents knew financial stress. My father David Chavchavadze wrote "My father was unemployed most of the time but as always, my parents got along somehow, never worrying much about the future, and having themselves an enormously good time. They did not brood over the past, kept up to date, and enjoyed life."

Keywords: *Paul Chavchavadze, Georgian emigrants, Alexander Chavchavadze*

გიორგი ჭეიშვილი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ევროპის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
giorgi.cheishvili@tsu.ge

არაგვის საერისთავოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

არაგვის საერისთავო წარმოქმნა სამეცნიერო ლიტერატურაში XIII-XIV სს-ით თარიღდება. სწორი უნდა იყოს თვალსაზრისი, რომ საერისთავო XIII ს-ში შეიქმნა, თუმცა მისი სათავადოდ გარდაქმნა XIV ს-ით უნდა თარიღდებოდეს. თავდაპირველად ეს სათავადო მხოლოდ ბაზალეთის პლატოს, ანუ არაგვის ხეობის ბარისა და მთისწინა რაიონებს მოიცავდა. მისი ცენტრი, სავარაუდოდ, საშაბურო იყო. მომდევნო პერიოდში საერისთავოს საზღვრები ფართოვდება ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით: XV ს-ში არაგვის ერისთავები იერთებენ მთიულეთსა და ჭართალს (ეს მიწები სამეფო დომენი იყო), ხოლო XVI ს-ში – ხევს, რომელსაც მეფის ერისთავი განაგებდა. არაგვის საერისთავოში შემოდიოდა თრუსო და დვალეთის ნაწილი, კერძოდ, ზახა. არაგვის მარცხენა სანაპიროზე საერისთავოს ეკუთვნოდა ერწო-თიანეთი, ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ვითარება XV ს-ის მეორე ნახევარში. XVI ს-ში ეს მხარე კახთა მეფეების ხელში გადავიდა. XVII ს-ის პირველ მეოთხედში ძლიერების ზენიტში მყოფი არაგვის ერისთავები კვლავ იერთებენ ერწო-თიანეთს და მასზე ეკონომიკურად დამოკიდებულ ფშავ-ხევსურეთზეც ავრცელებენ ძალაუფლებას, მაგრამ XVII-XVIII სს-თა მიჯნაზე კვლავ კარგავენ ამ მიწებს. არაგვის საერისთავოს დასვლეთი (ქსნის საერისთვოსთან) და სამხრეთის (სამუხრანბატონოსთან) საზღვრები შედარებითი სტაბილურობით ხასიათდებოდა. გვიან შუა საუკუნეებში (XVI-XVIII სს.) არაგვის საერისთავოს ცენტრი იყო დუშეთი. ერისთავებს რეზიდენცია ჰქონდათ ანანურშიც. არაგვის საერისთავო იყოფოდა უფრო მცირე სამოურავო ქვეყნებად. მოურავები საგამგეო ქვეყნებს ციხე-კოშკებიდან განაგებდნენ. ამგვარმა „საციხისთავო ქვეყნებმა“ ჩაანაცვლა „საქალაქო ქვეყნები“ ბარში და სახევისთავოები – მთაში. 1743 წ. არაგვის საერისთვო გაუქმდა. სახელწოდების შენარჩუნების მიუხედავად, მისი ტერიტორია სახასოდ გადაიქცა.

ეკლესიურად არაგვის საერისთავოზე წილკნელისა და ხარჭაშნელის იურისდიქცია ვრცელდებოდა. მთიანეთში წილკნელის უფლებები ნომინალური იყო. არაგვის საერისთავოში საკათალიკოსო მიწათმფლობელობაც დასტურდება. ყმა-მამულს ფლობდნენ ბოდორნის ღმრთისმშობელი, ანანურის ღმრთისმშობელი, გერგეტის სამება. ანანურის ტაძარი საარქიმანდრიტო ყოფილა, თუმცა არ ჩანს, რომელი მონასტრების გამგებელი იყო ანანურის არქიმანდრიტი. შესაძლებელია, ეს უფრო საპატიო წოდება ყოფილიყო, ვიდრე რეალური მნიშვნელობის მატარებელი.

არაგვის საერისთავო ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით იყოფოდა „მთად“ და „ბარად“; ეს უკანასკნელი გვიანდელ წყაროებში „დაბალ საერისთოდაც“ მოიხსენება. საზღვარი მათ შორის ანანურთან გადიოდა. ბაზალეთის

მხარე ინტენსიური მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით ხასიათდებოდა. განვითარებულ შუა საუკუნეებში მოწესრიგებული სარწყავი სისტემა საბაღ-ვენახე მიწების ფართოდ ათვისების შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ გვიან შუა საუკუნეებში სარწყავი არხების მოშლამ მეხილეობა-მევენახეობის არეალი შეზღუდა. საკმაოდ ინტენსიურად იყო განვითარებული მემინდვრეობა; ბაზალეთის მარცვლეულ კულტურებზე არაგვის მთიელებიც იყვნენ დამოკიდებულნი. არაგვის მთიანეთში მეტად შეზღუდული პირობები იყო როგორც მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობის განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სოფელში იმდენად მოზრდილი საძოვრები ყოფილა, რომ მათ ბარისა და მთისწინეთის მოსახლეობაც იყენებდა. არაგვის ხეობაზე გადიოდა არაერთი საერთაშორისო თუ ლოკალური მნიშვნელობის გზა. გზების ინტენსივობა ხელს უწყობდა ქალაქების აღმოცენებასა თუ დაცემას.

წერილობითი წყაროები, განსაკუთრებით, დოკუმენტური მასალა და ეთნოგრაფიული გადმოცემები ადასტურებს მოსახლეობის მიგრაციას როგორც არაგვის საერისთავოდან (განსაკუთრებით, მეზობელ კახეთსა და შიდა ქართლში), ისე არაგვის საერისთავოში. ამგვარი შიდა მიგრაციები ხელს უწყობდა ქართველი ერის კონსოლიდაციას. მოხსენებაში ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, ებრაელების, სომხებისა და ოსების გამოჩენას, განსახლებას, ადგილსა და როლს არაგვის საერისთავოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: *არაგვის საერისთავო, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია.*

Giorgi Tcheishvili

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Chief Research Fellow
European University
Associated Professor
giorgi.cheishvili@tsu.ge

Issues of the Historical Geography of Aragvi Saeristavo

The date of the emergence of the Aragvi saeristavo is disputable. It might have been formed as an administrative unit in the 13th century, and transformed into the princedom (satavado) in the 14th century. Originally, the princedom comprised the Bazaleti Plateau, i.e. the lowlands and foothills of the Aragvi valley. It was centered in Sashaburo. In the following centuries borders of the Aragvi saeristavo expanded northwards and eastwards: in the 15th century the princes of Aragvi seized the districts of Mtiuleti and Chartali which had been under the Crown. In the 16th century the Aragvi saeristavo was enlarged through the Khevi province on the Upper Tergi River. The districts of Truso and Zakha were parts of the Saeristavo too. On the left bank of the Aragvi River the princes of Aragvi held Ertso-Tianeti which was lost to the kings of Kakheti in the 16th century. In the first quarter of the 17th century princes

of Aragvi regained Ertso-Tianeti and brought under control the region of Pshav-Khevsureti which was economically dependent on Etso-Tianeti. Yet, those territories were lost on the turn of the 17th-18th centuries. The Aragvi saeristavo's western and southern borders with the proncedoms of the Ksani saeristavo and Samukhranbatono, respectively, were stable. In the late Middle Ages (16th-18th centuries) he Saeristavo was centered in Dusheti. Another important residence was in Ananuri. The Aragvi saeristavo was divided into samouravos (prefectures). In 1743 the Aragvi saeristavo was abolished and included in the royal domains.

Ecclesiastically, the Aragvi saeristavo was divided in two provinces under the jurisdiction of the bishops of Tsilkani and Kharchasho. The Svetitskhoveli Cathedral had estates in the Saeristavo as well. There is certain information regarding landownership of the monasteries of Bodorna, Ananuri and Gergeti Trinity. The monastery of Ananuri was a seat of archimandrite; however, it is not clear whether the archimandrite of Ananuri realized actual supervision over monasteries r held just an honorary title.

Due to the characteristics of the physical and economical geography the Aragvi saeristavo was divided into highlands and lowlands; the latter is referred to as *the lower saeristavo* in the literray sources of the Late Middle Ages. The two zones bordered along Ananuri. The region of Bazaleti was characterized by intensive agriculture and cattle-breeding. In the High Middle Ages viticulture and horticulture were based on well-developed irrigation system. But in the Late Middle Ages because of poor maintenance of the irrigation system the areas under viticulture and horticulture diminished. Field crop farming was one of the main branches of economy. The highlanders of the Aragvi valley supplied by crop from the Bazaleti plateau. There were limited conditions for the development of agriculture and cattle-breeding the highlands of the Aragvi. However, in certain villages pasture areas were enough to be used by farmers from lowlands and foothills. The net of roads of local and international importance covered the Aragvi valley.

The intensivity of the roads contributed to the rise and fall of the urban sites.
Literary sources and ethnographic data prove migration to and from the Aragvi saeristavo. Internal migration contributed to the nation formation process of the Georgian people. Special attention is paid to the immigration and settlement of ethnic minorities like Jews, Armenians and Ossetians, as well as their role in the economic and political life of the Aragvi saeristavo.

Keywords: *Aragvi Saeristavo borders, economic geography, church geography, ethnic geography.*

გულნარა კვანტიძე
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
უფროსი კურატორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000- 0002-7298-6281
gulikokvantidze@yahoo.com

მანანა ხიზანიშვილი
ისტორიის მაგისტრი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
კურატორი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0000-6566-3305
etnomanana@yahoo.com

რაფიელ ერისთავი კავკასიური მუზეუმის პირველი კურატორი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი მოვლენა, რომელშიც რაფიელ ერისთავს მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანა. სამწერლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამოცი წლის მანძილზე იგი უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების, კავკასიური მუზეუმის, ქართული თეატრის, იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთების... შექმნასა და საქმიანობაში. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

მოხსენება ეხება რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასა და მასთან დაარსებულ კავკასიურ მუზეუმ-ში 1851-1861 წლებში.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმისა და ეთნოგრაფიის განყოფილების, ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივებში, სამეცნიერო ლიტარატურაში მოძიებული დოკუმენტაციის, საინვენტარო დავთრებისა და კატალოგების შესწავლის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიური მუზეუმის განვითარებასა და წინსვლაში, მუზეუმში ეთნოგრაფიული და ისტორიული კაბინეტე ბის მოწყობაში.

1851 წელს თბილისში ჩამოყალიბებული რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრობა რაფიელ ერისთავს საშუალებას აძლევდა ორგანიზაციის გამოცემებში გამოექვეყნებინა ეთნოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციები, საველე თუ საექსპედიციო მუშაობის ანგარიშები. სწორედ ამ განყოფილების ბაზაზე 1852 წელს ჩამოყალიბდა კავკასიის მუზეუმი. 1855 წლის იანვარში კავკასიის მუზეუმის დირექტორმა ვ. ა. სოლოგუბმა რაფიელ ერისთავი, როგორც ეთნოლოგი მუზეუმში მიიწვია სამუშაოდ, რათა ეწარმოებინა ფონდებში შემოსული ნივთების რეგისტრაცია, სისტემაში მოეყვანა ეთნოგრაფიული და ისტორიული ექსპონატები. განესაზღვრა კოლექციების სამუზეუმო ღირებულება,

წარმომავლობა, მათი ფუნქცია-დანიშნულება. განყოფილების ანგარიშებიდან ჩანს, რომ რაფიელ ერისთავმა ეს სამუშაო პირნათლად შეასრულა. ამასთან ერთად მან პირველმა შეიმუშავა კოლექციათა კატალოგიზაციის სისტემა, რაც იმ დროისთვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ჩატარებული სამუშაოებით ნათლად გამოჩნდა რაფიელ ერისთავის სამუზეუმო საქმიანობის უახლოესი მეცნიერული მიღწევების ცოდნა. მისი დამსახურებით მუზეუმის 1856 წლის ეთნოგრაფიული კაბინეტის კატალოგი ბევრად უფრო სრულყოფილი და ინფორმატიულია, ვიდრე 1870 წელს გუსტავ რადეს დროს შედგენილი სარეგისტრაციო წიგნი. (კატალოგები დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქივში) .

რაფიელ ერისთავის სამუზეუმო საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო მისი როლი ნივთების მოძიება-თავმოყრასა და დაცვაში. რაფიელ ერისთავის მიერ შეძენილი და შემოწირული რამდენიმე ექსპონატი ეთნოგრაფიის კოლექციების სხვადასხვა ფონდშია დაცული. მან საფუძვლიანად შეისწავლა და მუზეუმში შემოიტანა ძველებური, ბანქოს სათამაშო ფირფიტები ე. წ. „განჯაფა“. როგორც პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერმა უარყო ექსპონატების შეგროვების იმ დროისთვის გავრცელებული რარიტეტული მეთოდი. ხალხში, ადგილზევე არკვევდა ნივთის რაობას, ადგილობრივ სახელწოდებას. რაფიელ ერისთავი არა მარტო ეთნოგრაფიული კოლექციებით ამდიდრებდა კავკასიის მუზეუმის ფონდებს, არამედ განათხარი მასალითაც. ცნობილია, რომ მას თავადვე უწარმოებია არქეოლოგიური გათხრები ანაკლიაში, რის შედეგად მოპოვებული ნივთები მუზეუმისთვის გადაუცია.

საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რაფიელ ერისთავი 1860-იან წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა განყოფილებისა და მუზეუმის საქმიანობაში, რისთვისაც მუზეუმის ხელმძღვანელებისა და გეოგრაფიული საზოგადოებისაგან რამდენჯერმე მადლობა დაიმსახურა. მისი დიდი დამსხურებაა ის, რომ კავკასიური მუზეუმის ეთნოგრაფიის კაბინეტი, რუსეთის იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთ წამყვან სამხარეო - ეთნოგრაფიულ ცენტრად იქცა.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, მუზეუმი, ეთნოლოგია, ექსპონატი.*

Gulnara Kvantidze

Simon Janashia Georgian National Museum
Senior Curator
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0002-7298-6281
gulikokvantidze@yahoo.com

Manana Khizanishvili

Simon Janashia Georgian National Museum
Curator
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0000-6566-3305
etnomanana@yahoo.com

Raphiel Eristavi – the Inaugural Curator of the Caucasian Museum

Raphiel Eristavi, the inaugural curator of the Caucasian Museum, was a pivotal figure in the cultural and social landscape of Georgia during the latter part of the 19th century. Across six decades of literary, scientific, and public engagement, he played integral roles in the formation of various significant institutions such as the Russian Literacy Society, the Caucasus Department of the Russian Geographical Society, the Georgian Theater, and numerous publications of the era. Eristavi's influence on the establishment and advancement of the Georgian ethnographic school was immeasurable.

This study delves into Raphiel Eristavi's tenure within the Caucasus Department of the Russian Geographical Society and the subsequent founding of the Caucasian Museum from 1851 to 1861. Extensive research conducted in archives of the Simon Janashia Museum of Georgian, the Ethnography Department, and The National Center of Manuscripts confirms Eristavi's vital contributions to the development of the Caucasian Museum and the curation of its ethnographic and historical exhibits.

Having membership of the Caucasus section of the Russian Geographical Society founded in Tbilisi in 1851, Eristavi seized the opportunity to publish ethnographic works and fieldwork reports in the society's publications. This association led to the establishment of the Museum of the Caucasus in 1852, where Eristavi was later invited by the museum director V. A. Sologub to oversee the registration and categorization of collections, as well as the enhancement of ethnographic and historical displays. Eristavi's meticulous cataloging system and dedication significantly enriched the museum's ethnographic collection, surpassing later cataloging efforts by Gustav Rade.

Noteworthy was Eristavi's hands-on approach to acquiring museum items, opting for personal exploration and community engagement over conventional rarity-based collection methods. His commitment to ethnographic research extended to archaeological excavations in Anaklia, adding excavated artifacts to the museum's holdings. Through his active involvement in the museum and department activities in the 1860s, Eristavi earned recognition from museum and geographical society leaders for elevating the Ethnography Cabinet of the Caucasian Museum to prominence as a premier regional ethnographic center within the Russian Empire.

Keywords: *Raphiel Eristavi, museum, ethnology, museum item.*

ბეჟან ხორავა

საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0000-0001-2345-6789
bxorava@yahoo.com

რაფიელ ერისთავი – სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი

მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი (1824–1901), ასევე ცნობილია, როგორც ლექსიკოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი. თავისი ცხოვრების გარკვეულ მანძილზე იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეგრელოსთან.

1855 წელს რაფიელ ერისთავი ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებულ დავალებათა უფროს მოხელედ დაინიშნა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს, 1857 წელს, ქვაშიხორში, რაფიელ ერისთავი ქუთაისის ვიცე-გუბერნატორს ნიკოლაი კოლიუბაკინს აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას სიტყვას უთარგმნიდა. სამეგრელოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, 1857–1867 წლებში, ის ზუგდიდის ოკრუგის უფროსი იყო. იმავდროულად, იგი სამეგრელოში საგლეხო რეფორმის მომზადებას და გატარებას ხელმღვანელობდა.

ზუგდიდის ოკრუგის უფროსად ყოფნისას რაფიელ ერისთავმა დიდი ღვაწლი დასდო ზუგდიდის კეთილმოწყობას.

ქალიშვილის, ანასტასია ერისთავი-კახიძის მოგონებით, რაფიელ ერისთავს, ძალიან უყვარდა ზუგდიდი. ცხოვრების ნახევარგზა გამოვლილი რაფიელ ერისთავი დადიანების სასახლეში შეხვდა გურული თავადის ახალგაზრდა ქალიშვილს თეოდოსია ერისთავს, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. 1863 წელს რაფიელ ერისთავმა მასზე იქორწინა.

რაფიელ ერისთავი დაინტერესებული იყო მხარის ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უშუალოდ ნახვით და ფაქტის ადგილზე გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ამ მიზნით მან საგანგებოდ შემოიარა ეს მხარე. ამ მოგზაურობას მან საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა. ეს არის სამეგრელოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესანიშნავი ნარკვევი. იგი ავტორია აგრეთვე ნარკვევებისა სამეგრელოს სამღვდელოების, გლეხთა კატეგორიებისა და პრივილეგირებულ წოდებათა, ბატონყმური ურთიერთობების შესახებ და სხვ.

რაფიელ ერისთავი სამეგრელოს ისტორიის შესახებ მასალებს აწვდიდა ადოლფ ბერჟეს და მარი ბროსეს; ახლო ურთიერთობა ჰქონდა კორნელი ბოროზდინთან, რომელიც ასევე მუშაობდა სამეგრელოს ისტორიაზე. 1862 წელს ადოლფ ბერჟე ზუგდიდში ჩავიდა და მასთან ერთად მოიარა სამეგრელო. რაფიელ ერისთავის ინტერესი სამეგრელოს ისტორიის საკითხებისადმი კარგად ჩანს ა. ბერჟეს მიერ მისთვის გაგზავნილ წერილებში. ადოლფ ბერჟე მას სთხოვდა დაეწერა წერილები გაზეთ „კავკაზისათვის“ სამეგრელოს შესახებ; ურჩევდა, ნაშრომი სამეგრელოს

შესახებ თბილისში დაესრულებინა, სადაც უამრავ მასალას ნახავდა ამ თემაზე; ამასთანავე, იგი წერილებსა და მასალებს უგზავნიდა სამეგრელოს შესახებ. ადოლფ ბერჟესაც აინტერესებდა მასალები სამეგრელოს შესახებ, რომლის გაგზავნასაც მას სთხოვდა. ამ თანამშრომლობის შედეგია ბერჟეს შესანიშნავი ნარკვევი სამეგრელოს შესახებ. ადოლფ ბერჟეს აინტერესებდა არამარტო მასალები სამეგრელოს ისტორიის შესახებ, არამედ ფოლკლორული მასალებიც. იგი რაფიელ ერისთავს სთხოვდა შეეგროვებინა მისთვის სვანური, აფხაზური და სხვა ხალხური სიმღერები.

რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცულია მრავალი მასალა სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, რომელიც საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, სამეგრელო, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.*

Bezhan Khorava

The University of Georgia
Senior Researcher at the Tamaz Beradze
Institute of Georgian Studies
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0000-0001-2345-6789
bxorava@yahoo.com

Raphiel Eristavi – the Researcher of the History and Ethnography of Samegrelo

Writer and public figure Raphiel Eristavi (1824-1901) is also known as a lexicologist, historian, ethnographer and folklorist. At a certain stage of his life, he was closely associated to Samegrelo.

In 1855, Raphiel Eristavi was appointed senior official for special assignments in the Kutaisi Governorate. While fulfilling his official duties, during the peasant revolt in Samegrelo, he translated the words of the leader of the revolt, Utu Mikava, to the vice governor of Kutaisi, Nikolay Kolyubakin, in Kvashikhori. After the establishment of Russian rule in Samegrelo, in 1857-1867, he was the head of the Zugdidi district. At the same time, he supervised the preparation and implementation of the peasant reform in Samegrelo.

As the head of the Zugdidi district, Raphiel Eristavi made a great contribution to the improvement of Zugdidi.

According to the memories of his daughter Anastasia Eristavi-Kakhidze, Raphiel Eristavi loved Zugdidi very much. Having already passed half of his life, Raphiel

Eristavi met Teodosia Eristavi, the young daughter of a Gurian prince, in the Dadiani palace, and she became his life companion. He married her in 1863.

Raphiel Eristavi was interested in the history, ethnography, and folklore of the region. He attached great importance to the impressions gained from viewing and studying the facts directly on the spot. For this purpose, he specially traveled throughout this region. He dedicated a special essay to this journey. This is a wonderful work on the history and historical geography of Samegrelo. He is the author of essays on the clergy, peasant categories and privileged classes, serfdom relations, etc. in Samegrelo.

Raphiel Eristavi provided materials on the history of Samegrelo to Adolf Bergé and Marie Brosset; he had a close relationship with Kornely Borozdin, who also studied the history of Samegrelo. In 1862, Adolf Bergé arrived in Zugdidi and went around Samegrelo with him. Raphiel Eristavi's interest in the issues of the history of Samegrelo is seen from the letters sent to him by A. Bergé. Adolf Bergé asked him to write articles for the newspaper "Caucasus" about Samegrelo; he advised him to finish his work on Samegrelo in Tbilisi where he would find a lot of material on this topic; in addition, he sent him papers and materials about Samegrelo. A. Bergé was also interested in materials about Samegrelo and asked to send them to him. The result of this collaboration is Berger's wonderful essay on Samegrelo. A. Bergé was interested not only in materials on the history of Samegrelo, but also in folklore materials. He asked R. Eristavi to collect Svan, Abkhaz and other folk songs for him.

The personal archive of Raphiel Eristavi contains numerous materials on the history and ethnography of Samegrelo, which require special study.

Keywords: *Raphiel Eristavi, Samegrelo, History and Ethnography of Samegrelo.*

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0002-9749-2648

რაფიელ ერისთავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში წარმოდგენილი მცენარეთა სახელები და მათი ადგილი „მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“

XIX საუკუნის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა, რაფიელ ერისთავმა, მეტად საგულისხმო ლექსიკოგრაფიული ნაშრომებიც დაგვიტოვა. ჩვენი ინტერესის საგანია 2 ლექსიკონი: „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“ (1973 წ.) და „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან“ (1884 წ.). ორივე ლექსიკონს ახლავს წინასიტყვაობა, სადაც მკაფიოდ და ლაკონურადაა ჩამოყალიბებული ლექსიკოგრაფის მიზნები, ლექსიკონის შედგენის პრინციპები და მეთოდოლოგია.

1884 წლის გამოცემაში მცენარეთა სახელები წარმოდგენილია ცალკე განყოფილებად. მასში სალექსიკონო ერთეულთა ძირითადი ნაწილი სამენოვახი დასახელებითაა (ქართული, რუსული, ლათინური) მოცემული. ლექსიკონი ითვალისწინებს ქართული დიალექტებისა და მეგრულის მონაცემებს. რ. ერისთავს ლექსიკონში შეუტანია არა მხოლოდ იმ მცენარეთა სახელები, რომელთა ამოცნობა და განმარტება მოუხერხებია, არამედ ისინიც, რომელთა ამოცნობაშიც ეჭვი თავად შეუტანია და ისეთებიც, რომელნიც ამოუცნობი დარჩენილა. ამით მან კიდევ უფრო ფასდაუდებელი გახადა ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალა.

რ. ერისთავის ლექსიკონებიდან მწირი მასალაა ასახული ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (1961წ.) (თავის მხრივ, რომლის გამოცემამაც თავი მოუყარა უმდიდარეს ლექსიკურ მასალას და წესრიგი შეიტანა მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელების ნომენკლატურაში). ფასდაუდებელი აღმოჩნდა რ. ერისთავის ლექსიკონების მნიშვნელობა „მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონისათვის“ (ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე), რომელიც, თავის მხრივ, ემყარება მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონს“ და არაერთ სიახლესთან ერთად, სრულად ასახავს რ. ერისთავის მიერ მოწოდებულ ფიტონიმებს.

„მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონზე“ მუშაობამ ნათელი გახადა, რომ რ. ერისთავის ლექსიკონებში დადასტურებული ძვირფასი მასალის გაუთვალისწინებლად ვერ მოხერხდებოდა შემდეგი საკითხების მოგვარება: 1. მთელი რიგი ახალი სამეცნიერო ფიტონიმების შექმნა; 2. სხვა ლექსიკონებში დადასტურებული აქამდე დაუზუსტებელი ფიტონიმების ამოცნობა; 3. მცენარეთა ახალი სახელების შემოტანა ქართულ სამეცნიერო სივრცეში; 4. გარკვეულ მცენარეებზე საჭირო ინფორმაციის მოპოვება; 5. დიალექტური სინონიმების გამდიდრება ახალი ერთეულებით; 6. მცენარეთა ჯიშების სახელების მოპოვება სამომავლოდ ახალი ლექსიკონისათვის.

მეტად საინტერესო ლექსემად გვესახება ფიტონიმი **აია**, რომელიც მხოლოდ რ. ერისთავის ლექსიკონში დავადასტურეთ. ის აქ დაუზუსტებელ სახელთა რიგშია წარმოდგენილი. ფიტონიმის ამოცნობაზე მუშაობამ საინტერესო ვარაუდამდე მიგვიყვანა: ჩვენი მოსაზრებით, ფიტონიმი **აია** მცენარე **ბაბუაწვერას** Taraxacum ზანური (მეგრულ-ლაზური) სახელია, რომელიც ხალხურ რიტუალებსა და წარმოდგენებშია შემონახული.

საკვანძო სიტყვები: *მცენარეთა ახალი სამეცნიერო სახელები, დიალექტური სინონიმები, ახალი მასალა.*

თემურ ჯაგოდნიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების
დეპარტამენტის ხელმძღვანელი
თბილისი, საქართველო
https://orcid.org/0009-0004-5878-8889
t.jagodnishvili@gtu.ge

რაფიელ ერისთავი და ქართველი ერი

რაფიელ ერისთავი ცნობილია როგორც პოეტი, მწერალი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოლოგი – ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი და დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც არა ერთ საეროვნო საქმეს დაადგა თავი და ხელი შეუწყო ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას. მისი მოღვაწეობის გამაოგნებელ მრავალფეროვნებაზე უკვე არა ერთი მისი თანამედროვე წერდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აკაკი გამოირჩეოდა. იგი რაფ. ერისთავის იუბილესთვის მზადების პერიოდში, 1895 წლის მაისში, ქართველობას აუწყებდა („კვალი“, №22), რომ რაფ. ერისთავის ნაღვაწის შესაფასებლად აუცილებელი იყო ათასი წვრილმანის შეტოლება, მთლიანობაში გააზრება.

ერთი ადამიანური ამქვეყნიური დროჟამულობაც კი საკმარისი გახდა მისი ამ მრავალმხრივი ნაღვაწის მივიწყებისათვის. ამ გარემოებამ ათქმევინა აკაკის რაფ. ერისთავის გარდაცვალებიდან სამი კვირის თავზე, 1901 წლის 12 მარტს („ივერია“, №57): რაფიელ ერისთავი რომ პოეტი არ ყოფილიყო, როგორც საზოგადო მოღვაწე, უყურადღებოდ დარჩებოდაო.

აკაკი ამის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებდა, რომ რაფ. ერისთავი დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა და არა თბილისში, „სადაც ყოველი ნაბიჯი, გინდ მცირედიც იყოს, თვალსაჩინოა“.

თუ XX საუკუნის გარიჟრაჟზე რაფ. ერისთავის ნაღვაწში ღირებული და გამძლე მხოლოდ პოეზია დაინახეს, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ისეთ საქმეშიც მოუძებნეს ნაკლი, როგორიც იყო ქართული ენის ცენზორობა. ალ. ჯაბადარის მოგონების საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც რაფ. ერისთავს მისთვის უთქვამს: არ ვიცი, ცენზორად როდემდე ვიქნები. თუ რამ გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმომიდგინეთო („მნათობი“, 1934, №1-2, გვ. 273), რაფ. ერისთავს თითქოს ერთი დანაპირები – ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ დაბეჭდვის პირობა არ შეესრულებინოს (ი. იმედაშვილი).

ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ ყოფილა რაფ. ერისთავის სამსახურებრივი მდგომარეობა – დიდი ეჭვი და უნდობლობა ხელისუფლების მხრიდან, რაც მის თანამდებობრივ დაქვეითებაში გამოიხატა (სამეგრელოს მმართველიდან ცენზორობამდე) – ცენზორობა მისთვის საარსებო წყაროს შენარჩუნების შანსი იყო.

XIX საუკუნემ რაფ. ერისთავის ნაღვაწში მაინც ის ცნო ღირებულად, რაც მკაფიოდ გაცხადდა მისი 50 წლის იუბილეს ჩატარებაში 1895 წლის 22 ოქტომბერს და რც გამოიხატა „ქართველთა ეროვნულ ამოძრავებაში“.

საკვანძო სიტყვები: *ეროვნული ცნობიერება, იუბილე, ცენზურა, ნაღვაწი, საზოგადო მოღვაწე.*

Temur Jagodnishvili

PhD in Philology
Georgian Technical University
Professor
Head of the Department of Georgian
Philology and Media Technologies
Tbilisi, Georgia
https://orcid.org/0009-0004-5878-8889
t.jagodnishvili@gtu.ge

Raphiel Eristavi and the Georgian people

Raphiel Eristavi is known as a poet, writer, dramatist, ethnographer, folklorist, lexicologist-lexicographer, journalist and a great public figure who dedicated himself to many national affairs and contributed to the awakening of national consciousness.

Many of his contemporaries have already written about the amazing diversity of his work. Akaki stood out in this regard.

During the preparations for Raphiel Eristavi's jubilee, in May 1895, he announced to Georgians ("Kvali", No. 22) that in order to appreciate the work of Raphiel Eristavi, it was necessary to compare a thousand small things, to understand them as a whole.

Even one human temporality was enough to forget his many-sided work.

Three weeks after Raphiel Eristavi's death, on March 12, 1901 ("Iveria", No. 57), this circumstance told Akaki: if Raphiel Eristavi had not been a poet, as a public figure, he would have remained unnoticed.

Akaki cited the fact that Rafiel Eristavi worked in Western Georgia and not in Tbilisi, "where every step, no matter how small, is visible".

If at the dawn of the 20th century, they saw only poetry as valuable and durable in the work of Raphiel Eristavi, after a few decades they found a flaw in such a case as the censorship of the Georgian language.

Contrary to Alexander Jabadari's recollection, according to which Raphiel Eristavi said to him: I don't know how long I will be a censor. If you have something to print in terms of censorship, present it to me quickly ("Mnatobi", 1934, No. 1-2, p. 273), It is as if Rafiel Eristavi will not fulfill one promise – the promise to print "Bedi Kartlisa" of Nikoloz Baratashvili (I. Imedashvili).

In this case, Raphiel Eristav's employment status was not taken into account - great suspicion and mistrust on the part of the government, which was manifested in his demotion (from the ruler of Samegrelo to censorship) – censorship was a chance for him to maintain his livelihood.

Keywords: *National consciousness, Anniversary, Censorship, Merit, Public figure.*

ოთარ ჯანელიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი
გორი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-0132-4341
Otar_janelidze@yahoo.com

რაფიელ ერისთავი და მისი ეპოქა

რაფიელ ერისთავმა XIX საუკუნის საქართველოს განუმეორებელი ხიბლი და მიმზიდველობა შესძინა. თუ ვინმე განსაზღვრავდა ამ ასწლეულის სიტყვაკაზმული მწერლობის სიმაღლესა და სიდიადეს, ერთი მათაგანი უთუოდ „სამშობლო ხევსურისას“ ავტორიც იყო.

პოეტი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და იყო უშუალო მონაწილე და თვითმხილველი მრავალი საზოგადო მნიშვნელობის მოვლენისა, ერის კოლექტიურ მეხსიერებას წარსულის ხატად რომ შემორჩა.

მოხსენებაში თვალი იქნება მიდევნებული და ეპოქის ფონზე წარმოჩნდება რაფიელ ერისთავის დამოკიდებულება XIX საუკუნის საქართველოში განვითარებული ისეთი ისტორიული მოვლენების მიმართ, როგორებიცაა: ბატონყმობის გაუქმება, ოსმალეთის ჯარების სამეგრელოში შემოჭრა ყირიმის ომის პერიოდში ომერ ფაშას სარდლობით, ქართველების მონაწილეობა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, თბილისში კავკასიის მუზეუმის დაარსება, „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამარცელებელი საზოგადოების“ დაფუძნება, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და პოპულარიზაცია, ქართული ზეპირსიტყვიერების, გამოცანების, ანდაზების, ხალხური ლექსების შეგროვება და გამოცემა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბება და მისი თავმჯდომარეობა, ცენზორად მუშაობა და სხვ.

ყურადღება გამახვილდება რაფიელ ერისთავის იუბილეს მნიშვნელობაზე, რომელიც პოეტის მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავად, 1895 წელს ოქტომბერში, თბილისში გაიმართა. იუბილემ „საერო დღესასწაულის“ ხასიათი შეიძინა და მთელი ქართული ეროვნული კულტურის ზეიმად იქცა.

საკვანძო სიტყვები: *რაფიელ ერისთავი, პოეტი, საქართველო, ბატონყმობის გაუქმება, რუსეთ-ოსმალეთის ომი, იუბილე.*

Otar Janelidze

Gori State University
Professor
Gori, Georgia
https://orcid.org/0000-0003-0132-4341
Otar_janelidze@yahoo.com

Raphiel Eristavi and His Era

Raphiel Eristavi gave Georgia in the 19th century a unique charm and attraction. If someone defined the height and greatness of this century's artistic literature, undoubtedly was the author of "Samshoblo Khevsurisa".

The poet was always in the middle of life and was a direct participant and eyewitness of many events of public importance, which remained in the collective memory of the nation as an image of the past.

The report will trace the attitude of Raphiel Eristavi to such historical events that occurred in Georgia in the 19th century, such as the abolition of serfdom, the invasion of Ottoman troops in Samegrelo during the Crimean War under the command of Omer Pasha, participation of Georgians in the Russian-Turkish War of 1877-1878, Creation of the Caucasian Museum in Tbilisi, the establishment of the "Society for the Spreading of Literacy among Georgians", study and popularization of the Georgian national cultural heritage, collection and publication of Georgian oral folk art – riddles, proverbs, folk poems, formation of the Georgian Theater Society and its chairmanship, work as a censor, etc.

Attention will be focused on the significance of the anniversary of Raphael Eristavi, which took place in Tbilisi in October 1895 on the occasion of the 50th anniversary of the poet's work. The anniversary acquired the character of a "secular holiday" and became a celebration of the identity of the entire Georgian national culture.

Keywords: *Raphiel Eristavi, Poet, Georgia, Abolition of serfdom, Russian-Turkish War, Anniversary.*

ლავრენტი ჯანიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
Lavrenti.janiashvili@tsu.ge

მარნის მშენებლობა და რეკონსტრუქცია ხალხური გამოცდილების საფუძველზე

ჩვენს დროში ქართული მეღვინეობა მსოფლიოს ენეოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რაშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა ქვემო ქართლში,ძვ. წ. აღ. მე-6 ათასწლეულის ადრეულ მიწათმოქმედთა დასახლებაში (გადაჭრილ გორაზე) უძველესი კულტურული მევენახეობის დამადასტურებელი მონაცემების აღმოჩენამ. ქართული ტრადიციული მეღვინეობის აღიარებაა ისიც, რომ 2013 წელს ქვევრის ღვინოს იუნესკომ (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. საქართველოში ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიასთან ერთად შემონახულია ვენახის 500-ზე მეტი ჯიში. ქართველთა ყოველდღიურობა წარმოუდგენელია ვაზის ნაყოფისგან დამზდებული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების (ღვინო, შუმი ღვინო, სახარჯო ღვინო, ჭაჭის არაყი, ბადაგი, ტკბილი, ძმარი და ა.შ) და საჭმელების (ყურძენი, ქიშმიში, ისრიმ-მაყვალი, თათარა, ფელამუში, ტკბილისკვერი, ჩურჩხელა, ჯანჯუხა, ღვინოთბილი, ბოღლიწო, მაჯიგარო და ა.შ) გარეშე. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული საქმიანობას, შრომის ინვენტარს, სამეურნეო ნაგებობებს და რწმენა-წარმოდგენებს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა და დღემდე აქვს ყოფაში.

ემპირიული ცოდნის თანამედროვე პრაქტიკაში დანერგვა ცალკეულ მეწარმეთა წარმატების საფუძვლად იქცა. ბევრი მათგანი ითვალისწინებს იმ გამოცდილებას, რაც ქართველმა მეურნემ საუკუნეების მანძილზე დააუნჯა და ღვინის დაყენებისა თუ შენახვის ტრადიციული მეთოდები რეკლამის მთავარ იარაღად აქცია. ტურისტული მარშრუტები მოფენილია ე. წ. „ღვინის გზებით“, რომელთა მეტი წილი მამა-პაპურ ჭურ-მარანებსაა მიმსგავსებული. ზოგჯერ ამ მარნების ტრადიციულობა მხოლოდ ბუტაფორიაა და არქაულობით ინოვაციური ტექნოლოგიებია შეფუთული. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხალხური ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებას, როგორც ახალი მარნების მშენებლობის, ისე ძველი მარნების შეკეთების საქმეში. განსაკუთრებით სასურველია ამგვარი მიდგომის გამოყენება სამუზეუმეო სივრცეში არსებული მარნების რეკონსტრუქციისას, რათა მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული მათი ავთენტურობა.

ქართლ-კახეთში მარანი// „საღვინე სახლი“ (სულხან საბა ორბელიანი) ეზოში მდგომ ქვითკირის ან ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენდა, ზოგჯერ კი იგი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე იყო მოთავსებული. „საღვინე სახლში“ ჩაფლული ქვევრებში ინახებოდა, ღვინო, აქვე იდგა საწნახელი და სხვა საჭირო ინვენტარი. ღვინის დაყენების მთელი პროცესი ყურძნის დაწურვიდან ქვევრებში

დავარგებამდე სწორედ აქ მიმდინარეობდა. დასავლეთ საქართველოში მარნებს უფრო ხისგან აგებდნენ. მათ ძირითადად ყურძენის დასაწურად და საღვინე ინვენტარის შესანახად იყენებდნენ. ღვინიანი ჭურები კი, როგორც წესი, ხეებით დაჩრდილულ საგანგებო ადგილას, ჭურისთავზე, ჰქონდათ ჩაფლული.

ქართველი მეურნე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამარნე ადგილის მდებარეობას, ქვევრის//ჭურის ჩასაფლობი ნიადაგის ტიპს, სამშენებლო მასალას, ქვევრებისა და საღვინე ჭურჭლის თუ ინვენტარის სათანადოდ მომზადებას და ა. შ. რეგიონების მიხედვით განსხვავდებოდა მარნის ტიპები (ღია, დახურული და ა.შ.); მათი მდებარეობა (ცალკე მდგომი, ზვრებში ან საცხოვრებელში განლაგებული), ფუნქცია (ღვინის დამზადება-დავარგება, ყურძნის დაწურვა, ინვენტარის და ზოგ შემთხვევაში ჭირნახულის შენახვა და სხვ.); სამშენებლო მასალა (ქვიტკირი, ფიცრული, წნელებისგან მოწნული და ა.შ.). ამგვარი მრავალფეროვნება ათასწლეულების მანძილზე დაგროვილი ემპირიული ცოდნის რაციონალიზაციის შედეგია და სასურველია მისი გათვალისწინება თანამედროვე საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: *მარანი, ტრადიცია, მეღვინეობა.*

Lavrenti Janiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Senior Researcher
Institute of History and Ethnology, Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
Lavrenti.janiashvili@tsu.ge

Construction and Reconstruction of Wine Cellars Based on Folk Experience

In our time, Georgian winemaking has come under the spotlight of the world's enologists, largely due to the discovery of ancient cultural viticulture evidence in the early agricultural settlements of the 6th millennium BC in Lower Kartli (on the "cut hill"). The recognition of Georgian traditional winemaking is also reflected in UNESCO granting the status of intangible cultural heritage to *qvevri* wine in 2013. In Georgia, along with the ancient technology of wine production, over 500 varieties of grapes have been preserved. The daily life of Georgians is unimaginable without alcoholic and non-alcoholic beverages made from grapefruit (wine, sparkling wine, cooking wine, chacha, badagi, sweet wine, vinegar, etc.) and foods (grapes, raisins, *isrim-makvali*, tatar, *pelamushi*, *tkbiliskveri*, *churchkhela*, *janjukha*, wine jelly, *boghlitso*, *majigaro*, etc.).

Activities related to viticulture and winemaking, as well as labor inventory, agricultural buildings, and beliefs, have played and continue to play a significant role in daily life. The implementation of empirical knowledge into contemporary practice has become the foundation for the success of individual entrepreneurs. Many of them draw on the experience accumulated by Georgian farmers over centuries and have turned traditional methods of wine production and storage into a key marketing tool. Tourist routes are mapped out along the so-called "wine roads," most of which resemble ancestral wine cellars. Sometimes, the traditional nature of these cellars is merely a façade, concealing innovative technologies as archaic.

In this context, it is naturally of great importance to maximize the use of folk knowledge in both the construction of new cellars and the repair of old ones. Such an approach is particularly desirable in the reconstruction of cellars existing in museum spaces to preserve their authenticity as much as possible. In Kartli-Kakheti, a cellar or "wine house" (as described by Sulkhan-Saba Orbeliani) was a structure made of brick or timber located in the yard, and sometimes it was situated on the ground floor of a residential house. Here, wine was stored in *qvevris* buried in the ground, with a winepress and other necessary inventory nearby. The entire process of wine production, from crushing grapes to fermenting them in *qvevris*, took place here. In western Georgia, cellars were mostly constructed of wood, primarily used for grape crushing and storing winemaking inventory.

Wine cellars were typically located in specially shaded areas, on the hilltops where they were buried. Georgian farmers attached great importance to the location of the cellar, the type of soil for burying *qvevris*, the construction materials, and the proper preparation of *qvevris* and winemaking containers or inventory. The types of cellars (open, closed, etc.) varied by region, as did their locations (standalone, in vineyards, or in residences), functions (wine production and fermentation, grape crushing, storage of inventory, and in some cases, food supplies), and construction materials (brick, timber, woven reeds, etc.). This diversity is the result of the rationalization of empirical knowledge accumulated over millennia, and it is advisable to consider it in contemporary practices**.**

Keywords: *Marani, Tradition, Winemaking.*

ქართველოლოგიის მხარდამჭერი ფონდი
Georgian Studies Support Foundation

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
The University of Georgia Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი
Goethe-Universität Frankfurt

ყდაზე გამოყენებულია კარტოგრაფ ჟოზეფ ნიკოლა დელილის მიერ შესრულებული საქართველოს რუკა – Carte de la Georgie et Des Pays Situes Entre La Mer Noire et La Mer Caspienne, Joseph-Nicolas Delisle, published by Paolo Santini – პირველი გამოცემა: პარიზი, 1766 წ.; მეორე გამოცემა: ვენეცია, 1775 წ.
რუკის ფოტოასლის გადმოცემისთვის მადლობას ვუხდით ბ-ნ სულხან სალაძეს.

The cover features the map of Georgia, created by cartographer Joseph-Nicolas DeLille. The map, *Carte de la Georgie et des Pays Situés entre la Mer Noire et la Mer Caspienne*, was first published in Paris (1766); a second edition of the map Paolo Santini published in Venice (1775). We thank Mr. Sulkhan Saladze for providing a photocopy of the map.